

საისტორიო  
ქრებული

# Historical Collections

2

Annual

Mkhedari

2012

# საისტორიო ქრებული

2

ნელინდეული

მხედარი  
2012

სარედაქციო კოლეგია

ზაზა სხირტლაძე

მამუკა წურნუშია (მთ. რედაქტორი)

გოჩა ჯაფარიძე

რედაქტორი

ზაზა ხოზბერიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა

ირმა ჯიშკარიანი

Editorial Board

Gotcha Djaparidze, Zaza Skhirtladze,

Mamuka Tsursumia (Editor)

© ავტორები 2012

საავტორო უფლებები დაცულია. მასალის გადაბეჭდვა  
რედაქციის ნებართვის გარეშე დაუშვებელია

საისტორიო კრებული

UDC (უაკ) 93/94(051.2) ს-187

ISSN 1987-7285

თბილისი 2012 Tbilisi

# სარჩევი

## ისტორია

I	ბაღვაშთა და ორბელთა ნათესაობის შესახებ <i>მიხეილ ბახტაძე</i>	13
II	საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი გიორგი ბრწყინვალის მეფობაში <i>გიული ალასანია</i>	25
III	ირან-საქართველოს ურთიერთობები შაჰ სეფი I-ის ზეობის ხანაში <i>ნანა გელაშვილი</i>	51
IV	სამელიქო ქვემო ქართლში. შაჰ აბასის მიერ ქვემო ქართლის მინების მიტაცების მცდელობა <i>ალექსანდრე ბოშიშვილი</i>	67
პილიგრიმობა		
V	გზები და მოგზაურები ბიზანტიაში „გიორგი მთანმიდელის ცხოვრების“ მიხედვით <i>ელადიმერ კეკელია</i>	96
VI	გარეჯელი იეროდიაკონი იოსტოს მრევლიშვილი (აღმშენებლობა წმ. დავითის ლავრაში და მოგზაურობა წმინდა მინაზე) <i>დარეჯან კლდიაშვილი, მარინა მესხია</i>	103
სამხედრო ისტორია		
VII	შუა საუკუნეების ქართული პოლიორკეტიკა <i>მამუკა წურნუშია</i>	121

ეპიგრაფიკა

- VIII ქობერის I და II სამეცნიერო ექსპედიციის 170  
პირველადი შედეგები (საინფორმაციო მიმოხილვა)  
*გიორგი კალანდია, ქეთევან ასათიანი*

წყაროთმცოდნეობა

- IX Arm 23-ის ანდერძ-მინაწერის ცნობა 192  
თმოგვის ალების შესახებ  
*დალი ჩიტუნაშვილი*

ნუმიზმატიკა

- X აბასიანთა დირჰემების ქართული მინაბადები და 197  
ბაგრატ III-ის ვერცხლის მონეტის ხელახალი ატრიბუცია  
*გოჩა ჯაფარიძე*

ეკონომიკური ისტორია

- XI სპილენძის ღირებულება ქართლ-კახეთის სამეფოში XVIII 220  
საუკუნის მინურულს ისტორიული საბუთების მიხედვით  
(თანადროული სპილენძის საფასის თვითღირებულების  
საკითხისთვის)  
*ირაკლი ფალავა*

სფრაგისტიკა

- XII მეფე გიორგის ხუთჯვრიანი ბეჭდის (1160-1340) ანაბეჭდები 242  
ვენის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული 1160 წლის  
გარეჯული ხელნაწერი კრებულის (Ven.4) არშიებიდან  
*თემო ჯოჯუა*

დიპლომატიკა

- XIII ავშართა პერიოდის სპარსული და ქართულ-სპარსული 300  
ორენოვანი ისტორიული დოკუმენტები საქართველოს  
სიძველეთსაცავებში  
*თამარ აბულაძე, ელენე გიუნაშვილი*

ხელოვნებათმცოდნეობა

XIV	ათონის ივერიის ღვთისმშობლის ხატის საჩრდილობელი კარავი <i>სოფიო დავითაშვილი</i>	313
-----	--	-----

პოლემიკა

XV	თამარ მეფის გარდაცვალების თარიღის შესახებ <i>გოჩა ჯაფარიძე</i>	348
----	---	-----

რეცენზიები

XVI	გიორგი ნარიმანიშვილი. ჯვაროსნებისა და ფატიმიანების სამხედრო დაპირისპირება პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის დროს <i>მამუკა წურნუშია</i>	364
-----	---	-----

XVII	ზურაბ ბატიაშვილი (დარუჯანაშვილი). ტრაპიზონის იმპერიის დაარსება <i>ლერი თავაძე</i>	372
------	---	-----

XVIII	როგორ იმსხვრევა მითები ნაპოლეონის მამლუქი. რუსტამ რაზას მემუარები. ფრანგულიდან თარგმნეს, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთეს ალექსანდრე მიქაბერიძემ და ნიკა ხოფერიამ. <i>გოჩა ჯაფარიძე</i>	387
-------	---	-----

## Contents

I	On the Family Ties Between Baghvashi and Orbeli <i>Mikhail Bakhtadze</i>	13
II	The Issue of Georgia's Independence During the Reign of Giorgi the Brilliant <i>Giuli Alasania</i>	25
III	Iranian-Georgian Relations during the Reign of Shah Safi I <i>Nana Gelahsvili</i>	51
IV	Melikdom in Kvemo Kartli <i>Alexander Boshishvili</i>	67
V	Roads and Pilgrims According to the "Life of George the Athonite" <i>Vladimer Kekelia</i>	96
VI	Hierodeacon of Gareja Iostos Mrevlishvili (The Builder and the Pilgrim) <i>Darejan Kldiashvili, Marina Meskhia</i>	103
VII	Medieval Georgian Poliorcetics <i>Mamuka Tsurtsunia</i>	121
VIII	Preliminary Results of First and Second Expedition in Koberi <i>George Kalandia, Ketevan Asatiani</i>	170
IX	The Colophon of Ms. Armenian 23 on the Capturing of Tmogvi Fortress <i>Dali Chitunashvili</i>	192
X	Georgian Imitations of Abbasid Dirhams and Reattribution of the Silver Coin of Bagrat III <i>Gotcha Djaparidze</i>	197



XI	Copper Price in the Kingdom of Kartl-Kakheti by the End of the 18 <sup>th</sup> C. According to Historical Documents (On the Issue of the Self-Cost of the Contemporary Copper Currency) <i>Irakli Paghava</i>	220
XII	Impressions of a Five-Cross Seal (1160-1346) of King Giorgi from the Fields of the Gareji Manuscript (Ven.4, 1160) <i>Temo Jojua</i>	242
XIII	Persian and Georgian-Persian Bilingual Historical Documents from Afshar Period at Georgian Depositories <i>Tamar Abuladze, Helen Giunashvili</i>	300
XIV	The Shade Tent of the Virgin's Icon at the Iviron Monastery on Mount Athos <i>Sophio Davitashvili</i>	313
XV	About the Date of the Death of Queen Tamar <i>Gotcha Djaparidze</i>	348
XVI	Reviews	364



## წინათქმა

თქვენს წინაშეა „საისტორიო კრებულის“ მეორე ტომი. კრებულის თემატიკა უწინდებურად მრავალფეროვანი და მრავალმხრივია. მასში წარმოდგენილია შუა საუკუნეების საქართველოს ისტორია, ეპიგრაფიკა და წყაროთმცოდნეობა, ნუმიზმატიკა და სფრაგისტიკა, ხელოვნებათმცოდნეობა, სამხედრო და ეკონომიკური ისტორია. სამეცნიერო გამოკვლევების გარდა, კრებულში შესულია პოლემიკური ნარკვევები და რეცენზიები.

„საისტორიო კრებულის“ პირველი ტომით დავიწყეთ საქართველოში სამეცნიერო ნაშრომების დამონშებათა ჩიკაგოს სისტემის დამკვიდრება. კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ ამ ნაშრომებს ამაოდ არ ჩაუვლია. ჩიკაგოს წესის უპირატესობებში თანდათან რწმუნდებიან ქართველი მკვლევრები. საკმარისია ითქვას, რომ 2011 წელს თავისი შრომების X-XI ნომრიდან ამ სისტემაზე გადავიდა ისეთი დიდი ტრადიციების მქონე დაწესებულება, როგორცაა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. 2011 წლიდან პრაქტიკულად ამავე სისტემით სარგებლობს ისეთი პრესტიჟული გამოცემაც, როგორცაა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის *ჰუმანიტარული კვლევების წელიწდეული*.

კრებულის სრულყოფის შემდგომი ეტაპი საერთაშორისო მოთხოვნებთან მისი შეძლებისდაგვარად დაახლოებაა – ამისთვის აუცილებელია არამარტო მასში წარმოდგენილი ნაშრომების მაღალ სამეცნიერო ღირებულებასა და პროფესიულ დონეზე გამუდმებით ზრუნვა, არამედ უცხოეთის სამეცნიერო წრეებისათვის ამ ნაშრომების ფართოდ გაზიარებაც. კრებულის ინტერნაციონალიზაციის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა უცხოელი ავტორების მოზიდვა, ეს კი მხოლოდ მას შემდეგ იქნება შესაძლებელი, როცა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოება კრებულს მასში შესული მაღალი დონის შრომებით გაეცნობა. ქართულ ენაზე დაწერილი ნაშრომები, შუა საუკუნეების აღმოსავლეთისადმი გაზრდილი ინტერესის მიუხედავად, ენობრივი ბარიერის გამო უცხოელი სპეციალისტებისათვის ჯერ კიდევ მიუწვდომელია. ამ პრობლემის დაძლევის ერთ-ერთი რეალური გზა

გამოკვლევებისათვის შედარებით ვრცელი ინგლისური რეზიუმეების დართვაა, რასაც რედაქცია ყოველმხრივ მიესალმება და ხელს შეუწყობს.

წინამდებარე კრებულში სიახლეა ის, რომ დიდი ადგილი ეთმობა რეცენზიებს სამეცნიერო ნაშრომებზე. დაპირებისამებრ, ვინცებთ მკაცრი და ობიექტური რეცენზიების ბეჭდვას. დასამალი არ არის, რომ ამჟამად, ქართულ სამეცნიერო პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული რეცენზიები, როგორც წესი, ნაშრომის უკრიტიკო დახასიათება-მიწოდებას წარმოადგენს. საქმისადმი ასეთ მიდგომას არ მოაქვს სარგებლობა ქართული ისტორიოგრაფიისათვის, განსხვავებით დასავლეთისგან, სადაც სწორედ ობიექტურმა რეცენზირებამ მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი სამეცნიერო ნაშრომების დონის ამაღლებას. იმედია, მეცნიერების განვითარებისათვის აუცილებელი და საშური ეს პრაქტიკა ჩვენშიც დამკვიდრდება. ასევე ფართოდ უნდა დაინერგოს სამეცნიერო გამოცემებში გამოსაქვეყნებელი ნაშრომების ფარული რეცენზირებაც.

დიდი იმედი გვაქვს, რომ „საისტორიო კრებულის“ რედაქციის ამ ახალ ინიციატივას გაგებით შეხვდება ქართული სამეცნიერო საზოგადოება.

*სარედაქციო კოლეგია*

# I

## ბაღვაშთა და ორბელთა ნათესაობის შესახებ

### *მიხეილ ბახტაძე*

ბაღვაშები და ორბელები შუა საუკუნეების ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან და ძლიერ საგვარეულოებს წარმოადგენდნენ. XI საუკუნეში საქართველოში არავინ იყო ბაღვაშთა სახლზე უფრო ძლიერი, ხოლო XII საუკუნეში ორბელებს ვერავინ შეეცილებოდა პირველობაში.

ქართულ და სომხურ ისტორიოგრაფიაში არსებობს მოსაზრება (მ. ჯანაშვილი, მ. ბროსე, ე. თაყაიშვილი და სხვ.), რომ ორბელები ბაღვაშთა ნათესავები, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, მათი შთამომავლები იყვნენ. ამ აზრს მონინალმდეგებიც (ს. ჯანაშია, ვ. კოპალიანი, ს. ერემიანი და სხვ.) ყავს.<sup>1</sup> ორივე მხარეს თავის არგუმენტები გააჩნია. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ბევრი რამ წყაროებში არსებული ცნობების ინტერპრეტაციაზე დამოკიდებული.

ბაღვაშთა და ორბელთა შესაძლო ნათესაობის საკითხი დანვრილებით განიხილა ქ. ქუთათელაძემ. სტეფანოს ორბელიანის ცნობებთან დაკავშირებით მკვლევარი წერს: „ისტორიკოსი, როგორც ჩანს ფლობს საგვარეულო გადმოცემას, რომლის მიხედვითაც, გვარის სახელოვან წინაპრად ლიპარიტ ბაღვაში გამოჰყავს, თუმცა ბაღვაშად მას არ მოიხსენიებს. უფრო ლოგიკური იქნებოდა ორბელებად ლიპარიტის შემდგომი თაობები წოდებულიყვნენ, როდესაც მათ მამულად სამშვილდე-ორბის ციხე მიიღეს და არა კლდეკარის ერისთავები, რომელთაც ვიდრე ივანე ბაღვაშამდე, სამშვილდე მამულად არასდროს ჰქონიათ... როგორც ჩანს, ბაღვაშთა საგვარეულოს დამხობის შემდეგ ეს გვარი რამდენიმე განშტოებად ჩამოყალიბდა. არგვეთში მოღვაწე შტო კახაბერისძეებად დაიწერნენ, ქვემო ქართლში მოღვაწე შტო კი ორბელებად“.<sup>2</sup> არგვეთისა და ქვემო ქართლის შტოების გარდა, მკვლევარი ბაღვაშთა კიდევ ერთი შტოს არსებობას ვარაუდობს, როდესაც აღნიშნავს, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობა – ბაღვაშთა საგვარეულოს უმემკვიდრეოდ ამოწყვეტის შესახებ „თრიალეთში მოსახლე ბაღვაშთა

<sup>1</sup> დანვრილებით, საკითხის ირგვლივ ლიტერატურის მიმოხილვა, იხ. ქეთევან ქუთათელაძე, *ქვემო ქართლი: პოლიტიკური ისტორიის საკითხები* (თბილისი, 2001), 153-70.

<sup>2</sup> ქუთათელაძე, *ქვემო ქართლი*, 173.

განშტოებას შეეხება“.<sup>3</sup> გამოდის, რომ ბალვაშთა ფეოდალურ სახლში არსებობდა სამი შტო. ერთი თრიალეთში იყო და ამოწყდა, მეორე – არგვეთში იყო და კახაბერისძეებად იწოდებოდა, მესამე – ქვემო ქართლში დამკვიდრდა და ორბელად იწოდა.

ჩვენი აზრით, რეალობა ცოტა სხვაგვარი იყო. 1094 წელს დავით აღმაშენებელმა ლიპარიტ V შეიპყრო და საპყრობილეში გამოკეტა. ბალვაშებმა კლდეკარის ერისთავობა დაკარგეს. ეს „კელი“ გიორგი მწიგნობართუხუცესის დისწულს, თევდორეს გადაეცა. ლიპარიტის ძე რატი კი არგვეთის მამულში დაბრუნდა. 1096 წელს ლიპარიტ V საქართველოდან გააძევეს. 1103 წელს კი რატი გარდაიცვალა<sup>4</sup> და „ალარავინ დაშთა საყოფელთა მათთა მკვიდრი ... და მამული მათი აღილო მეფემან“. სწორედ ეს არგვეთის მამული შესწირა მეფემ გელათის მონასტერს. „მამული ლიპარიტეთი უმკვიდროდ დარჩენილი იყო, არამედ სხუათა მრავალთა და სამართლიანთა უსარზელ-მიუხუეჭელთა სოფელთა თანა მისცნა დედასა ღმრთისასა სამსახურებლად“.<sup>5</sup> ამგვარად, თრიალეთში ბალვაშთა საგვარეულოს წარმომადგენელი არ დარჩენილა. არგვეთში კი გვარის რაიმე ახალი განშტოება არ შექმნილა. კახაბერისძეა საკითხს დაწვრილებით ცოტა ქვემოთ განვიხილავთ.

ქ. ქუთათელაძეს დამატებითი არგუმენტებიც მოაქვს თავისი მოსაზრების დასასაბუთებლად: „ბალვაშთა პოზიციები ყველა სფეროში (საგვარეულო თანამდებობები – ქართლის ერისთავობა და სპასალარობა, სიახლოვე ბაგრატიონთა ხელისუფლებასთან) ორბელთა საგვარეულომ დაიკავა. აქედან გამომდინარე მათ შორის ნათესაური კავშირი მართლაც არსებობდა“;<sup>6</sup> ამას ემატება: ორივე საგვარეულოს წარმომადგენელთა სახელების მსგავსება; ტერიტორია, სადაც ბალვაშებს და ორბელებს უხდებოდათ მოღვაწეობა. ეს გახლავთ სამშვილდე და მისი შემოგარენი, რომელიც ორივე გვარისთვის მამულს წარმოადგენდა; სახელოები რომელსაც ორივე გვარი ფლობდა, სპასალარობა და ქართლის ერისთავობა; დამოკიდებულება ბაგრატიონებისადმი. „ისინი გარკვეულ ზღვრამდე მეფის ერთგულნი და მისი პოლიტიკის გამტარებელნი არიან, მაგრამ გარკვეულ საკითხებზე უთანხმოებებისას მეფეს უპირისპირდებიან“.<sup>7</sup>

გ. ალასანია ეთანხმება მოსაზრებას, რომ ორბელები ბალვაშთა განშტოებას წარმოადგენდნენ და იზიარებს ქ. ქუთათელაძის მიერ წამოყენებულ

<sup>3</sup> იქვე, 182.

<sup>4</sup> მიხეილ ბახტაძე, *ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში* (თბილისი, 2003), 180.

<sup>5</sup> *ქართლის ცხოვრება*, მთ. რედაქტორი რ. მეტრეველი (თბილისი, 2008), 313.

<sup>6</sup> ქუთათელაძე, *ქვემო ქართლი*, 180.

<sup>7</sup> იქვე, 183.

არგუმენტებს. მკვლევარი აღნიშნავს, „ამ იგივეობის ძირითადი არგუმენტებია ის, რომ 1. როგორც ერთ, ასევე მეორე გვარში გავრცელებულია ერთი და იგივე საკუთარი სახელები (ლიპარიტი, ივანე, სუმბატი, ქავთარი...); 2. როგორც ერთი ასევე მეორე გვარი ფლობს ერთსა და იმავე ტერიტორიებს; 3. უკავიათ ერთი და იგივე თანამდებობები; 4. მუდამ ოპოზიციაში უდგანან მეფეს“.<sup>8</sup>

ჩვენ შევეცდებით თითოეული არგუმენტი განვიხილოთ.

პირველ რიგში, გვინდა ბაღვაშთა და ორბელთა საგვარეულოების სამეფო კართან დამოკიდებულების საკითხს შევეხოთ.

სამეფო ხელისუფლებასთან მუდამ ოპოზიციაში ყოფნა, ან თუნდაც მეფის ერთგულება რამდენად შეიძლება ნათესაობით გადადიოდეს და ამა თუ იმ საგვარეულოსათვის „გენეტიკურად“ დამახასიათებელი ნიშანთვისება იყოს ძნელი სათქმელია. ბაღვაშებისაგან განსხვავებით (თუმცა ერთი პერიოდი, 1014-1039 წლებში, ისინიც მეფის ხელსუფლების ერთგულები იყვნენ) ორბელებსამეფო კარის „მუდმივი ოპოზიციონერები“ არ ყოფილან. ორბელთა საგვარეულოს დანიშნულება დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდში იწყება. ამ საგვარეულოს, ჩვენთვის ცნობილი, პირველი წარმომადგენელი ივანე იყო. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მას 1110 წლის ამბების თხრობის დროს მოიხსენიებს – „და შეკრბეს გიორგი ჭყონდიდელსა და მნიგნობართუხუცესსა წინაშე თევდორე, აბულეთი და **ივანე ორბელი** და სიმარჯვით მოიპარეს სამშუღდე... ოდეს სამშუღდე და ძერნა აიღეს, ქრონიკონი იყო სამას ოცდაათი“.<sup>9</sup> დავით IV აღმაშენებლის, დემეტრე I-სა და თვით გიორგი III-ის მეფობის პირველი ოცი წლის მანძილზე მათ სამეფო კართან პრობლემები არ ჰქონიათ. გამონაკლისს დავით V-ის ხანმოკლე მეფობის პერიოდი წარმოადგენს. გიორგი III-სა და ორბელთა დაპირისპირება 1177 წელს დაიწყო. ამიტომ მეფესთან მუდმივად ოპოზიციაში ყოფნა ვერ ჩაითვლება იმის დამადასტურებლად, რომ ორბელები მაინცდამაინც ბაღვაშთა განშტოება იყო. ორბელები სულ ცოტა სამი თაობის მანძილზე მეფის ერთგულები იყვნენ. შემდეგ გიორგი III-ს აუჯანყდნენ (ცალკე საკითხია დემნა უფლისწულის მიერ ტახტის მოთხოვნის კანონიერება). თუმცა უკვე თამარ მეფის დროს ორბელთა ერთი შტო ბრუნდება საქართველოში.<sup>10</sup> ამის შემდეგ ორბელები სამეფო კარის აღარ დაპირისპირებიათ. ამ საგვარეულოს ხელახალი გაძლიერება უკვე XIII სუკუნეში, მონღოლთა ბატონობის დროს ხდება.

სრულიად საპირისპირო იყო ბაღვაშთა დამოკიდებულება მეფის ხელი-

<sup>8</sup> გიული ალასანია, „ბარათაშვილების წარმომავლობისათვის“, *ანალები*, 2 (2002), 11.

<sup>9</sup> *ქართლის ცხოვრება*, 314.

<sup>10</sup> სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთას“ *ძველი ქართული თარგმანები*, ტექსტი გამოსცა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა (თბილისი, 1978), 53.

სუფლებიდან. ამ საგვარეულოს წარმომადგენლები თავიდანვე იბრძვიან ბაგრატიონთა წინააღმდეგ. სამეფო კარს მხოლოდ გიორგი I-სა და ბაგრატ IV-ის მეფობის დასაწყისში უჭერენ მხარს. შემდეგ კი კვლავ უპირისპირდებიან საქართველოს მეფეებს.

ჩვენთვის საინტერესო ამ ორ საგვარეულოს შორის ნათესაური კავშირის დასადასტურებლად არც შემდეგი არგუმენტი – უკავიათ ერთი და იგივე თანამდებობები – გამოგვადგება. ვნახოთ თუ რა თანამდებობები ეკავათ სამეფო კარზე ორბელებსა და ბაღვაშებს. ორბელთა საგვარეულოს წარმომადგენლები სხვადასხვა დროს იყვნენ: ამირსპასალარები, მანდატურთუხუცესები, მეჯინიბეთუხუცესები, ქართლის ერისთავები. ბაღვაშები ფლობდნენ: კლდეკარის ერისთავობას, სპასალარობას, ქართლის ერისთავობას. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სპასალარისა და ქართლის ერისთავის სახელოები ბაღვაშთაგან მხოლოდ ლიპარიტ IV-ს ეკავა. ბაღვაშთათვის ტრადიციული კლდეკარის ერისთავობა იყო. მაშინ როდესაც ორბელთა ტრადიციული სახელოებს ამირსპასალარობა, მანდატურთუხუცესობა და ქართლის ერისთავობა განეკუთვნებოდა. როგორც ვხედავთ არც აქ გვაქვს თანხვედრა. აქვე აღვნიშნავთ, რომ სპასალარი და ამირსპასალარი სხვადასხვა თანამდებობებია. ამირსპასალარობის შემოღების შემდეგ სპასალარის „პელი“ არ გაუქმებულა.

გარდა ამისა, ერთი და იგივე თანამდებობების ფლობა ჯერ კიდევ არ მიანიშნებს საგვარეულოთა ნათესაობაზე. ორბელთა თანამდებობები ამირსპასალარობა და მანდატურთუხუცესობა მხარგრძელებმა დაიკავეს. სხვათა შორის, სახელი ივანეც ორივე საგვარეულოში იყო გავრცელებული. რა თქმა უნდა, ამის გამო არავინ იტყვის, რომ მხარგრძელებს ორბელებთან ნათესაური კავშირი ჰქონდათ.

განვიხილოთ ერთი და იგივე ტერიტორიის ფლობის საკითხიც. სხვადასხვა პერიოდში მოღვაწე ორი საგვარეულოს მიერ ერთი და იგივე ტერიტორიის ფლობა არ ყოფილა შუა საუკუნეების საქართველოსათვის განსაკუთრებული, იშვიათი და უნიკალური ფაქტი. თანაც, რაც მთავარია, ბაღვაშები და ორბელები მაინცდამაინც ერთი და იგივე ტერიტორიას არ ფლობდნენ.

ბაღვაშები მართავდნენ კლდეკარის საერისთავოს. აუცილებლად უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან სამართავად მიცემული ტერიტორია – საერისთავოდ და სამფლობელოდ გადაცემული (თუნდაც დროებით) ტერიტორია. მფლობელი თავის თავში სოციალურ შინაარსს გულისხმობს. სამფლობელოს ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის ის პატრონი ანუ სენიორია. მოსახლეობა ხდება მისი ყმა ანუ ვასალი. განსხვავებული დამოკიდებულებაა ერისთავსა და მისი საერისთავოს მცხოვრებთა შორის. ერისთავი არის



საერისთავოს დროებითი მმართველი. საერისთავოს მოსახლეობა არ არის მისი ვასალი. ის მას ემორჩილება როგორც მოხელეს და არა როგორც სენიორს, პატრონს. სამართავად და სამფლობელოდ გადაცემული „ქუეყნები“ სულ სხვადასხვა სოციალურ ურთიერთობებზე არიან აგებული. კლდეკარი არასდროს არ ყოფილა ბალვაშთა სამფლობელო. ის საერისთავო ანუ სახელმწიფო მიწა იყო.<sup>11</sup> სხვა საკითხია, რომ ხშირად ერისთავობა მემკვიდრეობით ერთი საგვარეულოს კუთვნილება იყო და ეს საგვარეულო არც თუ იშვიათად სახელმწიფო მიწის დასაკუთრებას ცდილობდა.

კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, ბალვაშები კლდეკარის ერისთავები ანუ მმართველები იყვნენ. მათი მამული ანუ სამფლობელო კი არგვეთში იყო. ბალვაშთა მამულს რომ არგვეთი წარმოადგენდა და არა კლდეკარი ეს ნათლად ჩანს წყაროებიდანაც. რატი I „დაჯდა მამულსა თვისაა არგუეთს“. 1057 წელს ლიპარიტ IV-ის დატყვევების მერე „დარჩა არგუეთის მამული ივანეს“.<sup>12</sup> თავად ივანეც ხომ წერს – „მოვედი კაცხს, მამულსა ჩუენსა“.<sup>13</sup>

ორბელები არ ყოფილან ერისთავები ქვემო ქართლში. ისინი აქ მფლობელები იყვნენ. როგორც ვხედავთ უკვე განსხვავებულ სოციალურ სტატუსთან გვაქვს საქმე. ამიტომ საუბარი შეიძლება იყოს მხოლოდ ორბელთა მიერ იმ ტერიტორიის ფლობაზე, რომელსაც ბალვაშები მართავდნენ. ერთიანი ქართული სამეფოს არსებობის ჟამს დაფიქსირებულია საერისთავოს ან მისი ერთი ნაწილის სამფლობელოდ ანუ მამულად გადაქცევის შემთხვევები. მაგალითად, მამულებად იქცა პანკისისა და კალმახის საერისთავოები.<sup>14</sup> თუმცა ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მთელი XII საუკუნის მანძილზე დასტურდება კლდეკარის საერისთავოს არსებობა და რაც ასევე მნიშვნელოვანია, ერისთავები არ მიეკუთვნებოდნენ ორბელთა საგვარეულოს.<sup>15</sup>

წყაროთა მონაცემების გათვალისწინებით, შეუძლებელია საუბარი ორბელების მიერ იმ ტერიტორიის ნაწილის ფლობაზე, რომელსაც ბალვაშები მართავდნენ. მას შემდეგ რაც დავით IV აღმაშენებელმა ბალვაშებს ერისთავობა ჩამოართვა, კლდეკარის საერისთავოს ტერიტორიის ერთი ნაწილი სამეფო დო-

<sup>11</sup> ბახტაძე, ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, 298-9.

<sup>12</sup> ქართლის ცხოვრება, 271.

<sup>13</sup> ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, ტ. I (ტფილისი, 1892), 203.

<sup>14</sup> ბახტაძე, ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, 193, 262.

<sup>15</sup> იქვე, 182.

მენი გახდა.<sup>16</sup> შესაძლოა რალაც ნაწილი რომელიმე ფეოდალს სამფლობელოდაც გადაეცა. შესაძლოა ეს ფეოდალი ივანე ორბელიც ყოფილიყო. სრულიად დასაშვებია, რომ ორბელები ფლობდნენ კლდეკარის საერისთავოს ყოფილი ტერიტორიის რალაც ნაწილს, მაგრამ არა მთელს საერისთავოს.

ყოველივე ზემოთქმულის გამო ჩვენ არ მიგვაჩნია მართებულად მოსაზრება, რომ ბაღვაშები და ორბელები ფლობდნენ ერთსა და იმავე ტერიტორიას.

ქ. ქუთათელაძე ეთანხმება თავის დროზე ნ. ბერძენიშვილის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას და სრულიად მართებულად აღნიშნავს, რომ ტოპონიმიდან საგვარეულო სახელი მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოიქმნება, როდესაც ეს გეოგრაფიული ადგილი მამულია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბაღვაშთა და ორბელთა საერთო მამულად მკვლევარი სამშვილდეს მიიჩნევს.<sup>17</sup>

განსხვებით ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებულია მოსაზრებისაგან – გვარსახელი ორბელი, ქ. ქუთათელაძის თანახმად, უკავშირდება გეოგრაფიულ პუნქტ ორბეთის ციხეს<sup>18</sup> (ორბეთელი//ორბელი) – მკვლევარი ამ გვარსახელს სამშვილდეს უკავშირებს. „სამშვილდეს ძველი სახელწოდება „ორბი“ ყოფილა, რომელიც საშუალო საუკუნეებში და შეიძლება უფრო ადრეც დაიწყებულია, ხოლო შემდგომ დროის ავტორებმა სამშვილდის ძველი სახელწოდება, სახელის მსგავსების გამო, ორბეთთან გააიგივეს... სამშვილდე-ორბიდან წარმოსდგება გვარსახელი „ორბელი“, ხოლო ორბელიდან – ტოპონიმი „ორბეთი“.<sup>19</sup> შესაძლოა სწორი თვალსაზრისია. უბრალოდ გასათვალისწინებელია, რომ X-XV საუკუნეებში ბევრი შემთხვევა გვაქვს, როდესაც ტოპონიმიდან ინარმოება გვარსახელი. გვარსახელიდან ნაწარმოები ტოპონიმი კი ჩვენ არ გვახსენდება (ვგულისხმობთ X-XV საუკუნეებს, თორემ გვიან პერიოდში მსგავსი ფაქტები გვაქვს).

ძალიან მნიშვნელოვანია საკითხი, იყო თუ არა სამშვილდე ბაღვაშთა მამული?

1073 წელს გიორგი II-მ აჯანყებული ფეოდალების დაშოშმინება მათი დასაჩუქრებით შეძლო. მეფემ „უბოძა ივანეს სამშვილდე და ძესა ივანესსა ლიპარიტს მისცა ლონობანნი ნაცვლად რუსთავისა, რომელი მისცა კახთა“.<sup>20</sup>

<sup>16</sup> ილია ანთელავა, *საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XII საუკუნეების საქართველოში* (თბილისი, 1983), 182.

<sup>17</sup> ქუთათელაძე, *ქვემო ქართლი*, 183.

<sup>18</sup> ანრი ბოგვერადე, „ორბელები“, *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*, ტ. VII (თბილისი, 1984), 554.

<sup>19</sup> ქუთათელაძე, *ქვემო ქართლი*, 184-5.

<sup>20</sup> *ქართლის ცხოვრება*, 297.

წყაროდან არ ჩანს თუ რა სტატუსით უბოძა მეფემ სამშვილდე ივანეს. შესაძლოა, მართალია მოსაზრება, რომ ბალვაშს სამშვილდე მამულად ებოძა, როგორც ამას ქ. ქუთათელაძე თვლის. თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ ივანე ლიპარიტის ძეს სამშვილდე მხოლოდ სამართავად გადაეცა, როგორც დ. ბერძენიშვილი ვარაუდობდა. სამწუხაროდ, ამ საკითხის გადასაწყვეტად არანაირი ინფორმაცია არ გავაჩნია. ყველაფერი მხოლოდ მკვლევრის სურვილზეა დამოკიდებული.

სამშვილდის საკითხი ჩვენ იმდენად გვანტერესებს, რამდენადაც ცნობილია, რომ გვარსახელი მხოლოდ მამულიდან წარმოსდგება. თუ სამშვილდე ბალვაშთა მამული არ იყო საკითხი ავტომატურად წყდება – გვარსახელი ორბელი ვერ წარმოიქმნებოდა.

ჩვენთვის საინტერესო საკითხის გადასაწყვეტად უმნიშვნელოვანესი და გადამწყვეტია თუ რა ეწოდებოდა სამშვილდეს XI-XII საუკუნეებში?

დავუშვათ, სამშვილდე მართლაც იყო ბალვაშთა მამული. თუ მას XI-XII საუკუნეებში ორბის ციხე ანუ მოკლედ ორბი არ ეწოდებოდა, მისგან გვარსახელი ორბელი ვერ წარმოიქმნებოდა.

ლეონტი მროველი წერს, „ქართლოს აღაშენა ციხე ორბისაჲ, რომელსა ან ჰქვან სამშულდე“.<sup>21</sup> საინტერესოა რა პერიოდს გულისხმობს „ან“? XI საუკუნეს? ჩვენი აზრით, XI-XIII საუკუნეების მემატიანეების თხზულებებზე დაყრდნობით დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდში სამშვილდეს ერქვა სამშვილდე და არა ორბის ციხე. სუმბატ დავითის ძე, „მატიანე ქართლისაჲს“, დავით აღმაშენებლის ისტორიის, „ისტორიანი და აზმანის“, თამარის მეორე ისტორიის ავტორები და ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე ასახელებენ მხოლოდ სამშვილდეს. ისინი არ იცნობენ სახელწოდებას ორბის ციხე. აქედან გამომდინარე ჩვენ ვვარაუდობთ, რომ XI-XII საუკუნეებში სახელწოდება ორბის ციხე არ გამოიყენებოდა და რელურად არც არსებობდა. ამიტომ, სამშვილდე ბალვაშთა მამული რომც ყოფილიყო, მისგან გვარსახელი ორბელი ვერ წარმოიქმნებოდა. უნდა წარმოქმნილიყო გვარის ფორმა სამშვილდელი.

სამაგიეროდ XI-XIII საუკუნეების მემატიანეები მოიხსენიებენ ორბეთის ციხეს. ბაგრატ IV-ის მეფობისას, 1037-1039 წლებში თბილისის გათავისუფლებისათვის მიმდინარე ბრძოლის დროს „ნაუხუნეს ციხენი **ორბეთი** და ფარცხისი აფხაზთა მეფის ლაშქართა“.<sup>22</sup> გიორგი რუსის აჯანყების ერთ-ერთ ორგანიზატორი ვარდან დადიანი იყო „ლიხთ აქეთ პატრონი **ორბეთისა**

<sup>21</sup> იქვე, 29.

<sup>22</sup> იქვე, 281.

და კაენისა“ (1177 წლის აჯანყების მარცხის შემდეგ ორბელებმა ყველა სამფლობელო დაკარგეს).<sup>23</sup>

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ გვარსახელი ორბელი უკავშირდება ორბეთის ციხეს. ამიტომ არც სამშვილდის ფლობასთან დაკავშირებული არგუმენტი გამოდგება ბაღვაშთა და ორბელთა ნათესაობის დამადასტურებლად.

განვიხილოთ ბაღვაშთა და ორბელთა საგვარეულოებში გავრცელებული სახელების საკითხიც. ორივე საგვარეულოში მართლაც გვხვდება ერთი და იგივე სახელები, კერძოდ ლიპარიტი და ივანე. რაც შეეხება ორბელთა საგვარეულოში არსებულ სახელებს: სუმბატი და ქავთარი, ჩვენთვის ცნობილ წყაროებში, ამ სახელით ბაღვაშთა საგვარეულოს არც ერთი წარმომადგენელი არ მოიხსენიება.

სახელი ივანე ძალიან გავრცელებული იყო X-XIII საუკუნეებში. ეს სახელი არსებობდა ძალიან ბევრ საგვარეულოში: აბაზასძეებში, აბულეთისძეებში, აბუსერისძეებში, ახალციხელებში, ვარდანისძეებში, დადიანებში, მარუშისძეებში, მხარგრძელებში, სურამელებში, ტბელებში, ჯაყელებში. ამიტომ ამ სახელს ვერ მივიჩნევთ სპეციფიკურად, რომელიმე ერთი კონკრეტული საგვარეულოსათვის დამახასიათებლად. თუ საგვარეულოთა შორის ნათესავობის დამადასტურებელ არგუმენტად მხოლოდ სახელ ივანეს გავრცელებას ავიღებთ, მაშინ ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებული საგვარეულოები ყველანი ერთმანეთის ნათესავები გამოვლენ.

სახელ ივანესგან განსხვავებით, სახელი ლიპარიტი ამ მხრივ მართლაც სპეციფიკურია და ნამდვილად ძალიან იყო გავრცელებული ბაღვაშთა შორის. ამ სახელს ხუთი ბაღვაში ატარებდა: კლდეკარში დაფუძნებული პირველი ბაღვაში ლიპარიტ I, ბაგრატ III-ის მოწინააღმდეგე რატის მამა ლიპარიტ II, ამავე რატის ძე ლიპარიტ III, ბაგრატ IV-ის მოწინააღმდეგე და ბაღვაშთა საგვარეულოს ყველაზე ცნობილი და დიდი წარმომადგენელი ლიპარიტ IV, კლდეკარის ბოლო ბაღვაში ერისთავი ლიპარიტ V (ივანე ორ ბაღვაშს ერქვა: ლიპარიტ IV-ის ძმასა და ძეს).<sup>24</sup>

ორბელებში სახელი ივანე ძალიან გავრცელებული იყო, ხოლო ლიპარიტი სამჯერ გვხვდება. ლიპარიტი ერქვა გიორგი III-ის წინააღმდეგ აჯანყებული ამირსპასალარ-მანდატურთუხუცესის ივანეს ძმას, რომელიც აჯანყების დაწყების დროს ქართლის ერისთავი იყო. ასევე ლიპარიტი ერქვა მის შვილიშვილს და ამ უკანასკნელის შვილიშვილსაც.

რა თქმა უნდა, სურვილის შემთხვევაში შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ

<sup>23</sup> იქვე, 423.

<sup>24</sup> ბახტაძე, ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, 174-82.

რადგან ორივე საგვარეულოში არსებობდა სახელი ლიპარიტი, რომელიც არ იყო ძალიან გავრცელებული და სხვა საგვარეულოებში თითქმის არ გვხვდება, ეს ორი საგვარეულო, ნათესაობის კუთხით, გარკვეული სახით ერთმანეთთან იყო დაკავშირებული.

თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ სახელი ლიპარიტი თორელებშიც გვხვდება – „და მოიწია თორს, ლიპარიტ თორელისასა, რომელსა დევის-ყურცა ეწოდებოდა“,<sup>25</sup> მოგვიანო პერიოდში კი დადიანებშიც.

ძალიან გავრცელებული მეთოდია სახელების იდენტიურობის გამო პიროვნებების ერთ საგვარეულოსთან, ხოლო საგვარეულოების ერთმანეთთან დაკავშირება. უბრალოდ ეს მეთოდი ყოველთვის შეიცავს გარკვეულ პირობითობას. მაგ., სახელი ვირშელი ძალიან სპეციფიკურია და დამახასიათებელი იყო ქვენიფნეველთა საგვარეულოსათვის, თუმცა ვირშელი ერქვა ნულუკიძეთა ერთ-ერთ წარმომადგენელსაც.

ამდენად, ბალვამთა და ორბელთა საგვარეულოებში ერთი და იმავე სახელების არსებობა შესაძლოა გამოვიყენოთ ამ ორ საგვარეულოს შორის ნათესაობის დადასტურებელ არგუმენტად. თუმცა ეს ძალიან პირობითი იქნება. პირადად ჩვენ, მხოლოდ ამ არგუმენტზე დაყრდნობა საკმარისად არ მიგვაჩნია.

მეცნიერთა ნაწილს ეჭვი შეაქვს იმაშიც, რომ ბალვამთა საგვარეულო 1103 წელს, როდესაც რატი ლიპარიტის ძე უმემკვიდრეოდ გარდაიცვალა, ამოწყდა. როგორც ვნახეთ, მსგავსი სახის ინფორმაცია დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთან არის დაცული.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობასთან დაკავშირებით გ. ალასანია წერს, „ის რომ, ეს ცნობა ერთგვარი გაზვიადებაა, ან მხოლოდ კონკრეტულ ოჯახს ეხება და არა მთელ გვარს, კარგად ჩანს XIV ს-ის ანონიმის ჟამთააღმწერლის „ასწლოვანი მათიანედან“, სადაც ამ გვარის წარმომადგენელი კიდევ ერთხელ გამოჩნდება როგორც XIII ს-ის ერთ-ერთი აქტიური მოღვაწე. ამასთანავე XIV ს-ის მემათიანე კიდევ ერთხელ იმეორებს იმას, რასაც ადრე დავითის ისტორიკოსიც აღნიშნავდა: „მოკუდა და მოისპო ყოველი ნათესავი მისი ბალვამთა კახაბერისძეთა. არა დაშთა და აღიხოცა ნათესავი მისი და სახსენებელი მათი“.<sup>26</sup>

ცხადია, ბევრი რამ წყაროში დაცული ინფორმაციის ინტერპრეტაციაზეა დამოკიდებული. მაგრამ, თუ X-XV საუკუნეებში არსებულ ვითარებას გავითვალისწინებთ, უნდა ვაღიაროთ – კახაბერისძეები ბალვამები არ არიან. რა თქმა უნდა, კახაბერისძეთა საგვარეულო ბალვამთა განშტოებად შეიძლება

<sup>25</sup> ქართლის ცხოვრება, 575.

<sup>26</sup> ალასანია, „ბართაშვილების წარმომავლობისათვის“, 10-1.

მივიჩნით იმ მხრივ, რომ საგვარეულოს ფუძემდებელი კახაბერ I, ლიპარიტ IV ბაღვაშის ძმის რატის (I) ძე იყო.<sup>27</sup> კახაბერ I-ის ძე რატი (II) უკვე კახაბერისძეა და კახაბერისძეები კი ცალკე საგვარეულო. მისი წარმომადგენლები ყოველთვის იწოდებიან კახაბერისძეებად და არა ბაღვაშებად. ჟამთააღმწერლის ცნობა – „შეიპყრა მეფემან და პირველ თუალი დასნუა, და მერმე ერთი ჳელი და ერთი ფერჳი მოჳკუეთა, და ორნი შვილნი მისნი მისცნა ექსორიობად, კოსტანტინეპოლისს წარგზავნა, რამეთუ დედოფალი ცოლი მისი, ასული იყო დიდისა პალიალოლოს მეფისა. ხოლო კახაბერი, მცირე ცხოვრებული, განვიდა და მოკუდა, და მოისპო ყოველი ნათესავი მისი, ბაღუაშთა კახაბერის-ძეთა, არა დაშთა, და აღიჳოცა ნათესავი მისი და საჳსენებელი მათი“<sup>28</sup> – გამონაკლისია, მაგრამ სრულიად ადვილად ასახსნელი გამონაკლისი. მემატიაზე არ ამბობს კახაბერისძეები იგივე ბაღვაშებიაო, არამედ აღნიშნავს, რომ კახაბერისძეები ბაღვაშთა განაყოფი არიან (ანუ კახაბერისძეები თავის დროზე ბაღვაშები იყვნენ). თან ამასაც საგანგებოდ აკეთებს. ამით ხაზს უსვამს, რომ როგორც ბაღვაშები იყვნენ მეფის ორგულები, ასეთივე ორგული იყო კახაბერ კახაბერისძე დავით ნარინისა.

მას შემდეგ რაც რაჭის ერისთავმა კახაბერ I ბაღვაშმა სათავე დაუდო ახალ საგვარეულოს, კახაბერისძეები და ბაღვაშები ორი დამოუკიდებელი საგვარეულო გახდა. ამიტომ დავითის ისტორიკოსის სიტყვები – „მოკუდა რატი, ძე ლიპარიტისი, კაცი ორ-გული და ნანდკლვე ნაშობი იქედნესითაჲ და ესრეთ დასრულდა სახლი ბაღუაშთაჲ, სახლი განმამწარებელთაჲ, რამეთუ სუა უკანასკნელი თხლე რისხვისაჲ, სასუმელი ცოდვილთა ქუეყანისათაჲ. და არღარავინ დაშთა საყოფელთა მათთა მკუდრი, რამეთუ აღიჳსენა უსჯულთაჲჲ მამათა მათთაჲ წინაშე უფლისა, და მამული მათი აღილო მეფემან“<sup>29</sup> – ეხება ბაღვაშთა საგვარეულოს. მემატიაზე კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ „მამული ლიპარიტეთი უმკუდროდ დარჩომილ იყო“.

ორბელების ბაღვაშებთან ნათესაური კუთხით დაკავშირებისთვის გვრჩება ერთადერთი ხელჩასაჭიდი არგუმენტი – სტეფანოს ორბელიანი, „როგორც ჩანს ფლობს საგვარეულო გადმოცემას, რომლის მიხედვითაც, გვარის სახელოვან წინაპრად ლიპარიტ ბაღვაში გამოჳყავს“.<sup>30</sup> რა შეიძლება ითქვას ამასთან დაკავშირებით? მემატიაზე შესაძლოა ცდება. იმ ფრაგმენტში, სადაც სელჩუკთა წინააღმდეგ ბიზანტიელების მხარდამხარ ლიპარიტის

<sup>27</sup> ბახტაძე, ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, 226-7.

<sup>28</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით. ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II (თბილისი, 1959), 275.

<sup>29</sup> ქართლის ცხოვრება, მთ. რედაქტორი რ. მეტრეველი, 309.

<sup>30</sup> ქუთათელაძე, ქვემო ქართლი, 173.

ბრძოლაზეა საუბარი, რამდენიმე ფაქტობრივი შეცდომაა დაშვებული. ნერია, რომ ლიპარიტი ამ ბრძოლაში დაიღუპა და თანაც საქართველოს მეფედ დავით აღმაშენებელია დასახელებული. არც ისაა გამორიცხული, რომ, როგორც ამას ვ. კოპალიანი და ს. ერემიანი ვარაუდობდნენ, სტეფანოსი საკუთარი გვარის განდიდების მიზნით ასახელებს თავის წინაპრებში ლიპარიტს. როგორც ვხედავთ, არც ეს არგუმენტია მტკიცე და უეჭველი. კვლავ ყველაფერი წყაროში დაცული ინფორმაციის ინტერპრეტაციაზეა დამოკიდებული.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, რომელიც მის მიერ აღწერილი მოვლენების თვითმხილველია, სრულიად სანდო ინფორმაციას იძლევა, რომ ბალვაშთა საგვარეულო ამოწყდა. ცხადია ეს არ გამორიცხავს განშტოებების არსებობას, რომლებიც ამ დროისათვის უკვე დამოუკიდებელ საგვარეულოებს წარმოადგენდნენ. ასეთი იყო კახაბერისძეთა სახლი. შესაძლოა მსგავსი ვითარება ვივარაუდოთ ორბელებთან დაკავშირებითაც. თუმცა წყაროებში არსებული ცნობების ანალიზის შედეგად, პირადად ჩვენ, უფრო დასაშვებად ის მოსაზრება მიგვაჩნია, რომ ორბელები ბალვაშთა განშტოებას არ წარმოადგენდნენ.

### ბიბლიოგრაფია

ალასანია გიული. ბარათაშვილების წარმომავლობისათვის. ანალები, 2, 2002  
ანთელავა ილია. საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XII საუკუნეების საქართველოში. თბილისი, 1983

ბახტაძე მიხეილ. ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში. თბილისი, 2003  
ბოგვერაძე ანრი. ორბელები. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. VII. თბილისი, 1984

სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთას“ ძველი ქართული თარგმანები. ტექსტი გამოსცა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა. თბილისი, 1978

ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959

ქართლის ცხოვრება. მთ. რედაქტორი რ. მეტრეველი. თბილისი, 2008.

ქუთათელაძე ქეთევან. ქვემო ქართლი: პოლიტიკური ისტორიის საკითხები. თბილისი, 2001

ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ. ტ. I. ტფილისი, 1892

## On the Family Ties Between Baghvashi and Orbeli

*Mikhail Bakhtadze*

### Summary

The Baghvashi and Orbeli families were one of the most powerful in medieval Georgia. According to some scholars, the Orbelis were descendants of the Baghvashi. This assumption is based on the fact that the same names were common in both families, both possessed the same territories, same positions and were permanently in conflict with the king. The author disagrees with this statement, because of the following reasons:

1. The historian of David the Builder clearly states that the Baghvashis became extinct.
2. The families did not own the same positions.
3. The territories under their possession were different.
4. Names in their families were different with the exception of two: Ivane and Liparit, which were very common and wide-spread names at that time. This argument is very weak to prove the existence of the kinship ties between these two families.
5. The attitude of their patrimonials towards the government differed.
6. The family name Orbeli comes from Orbeti fortress, not from the old name of Samshilde – Orbis Tsikhe (castle).



## II

### საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი გიორგი ბრწყინვალის მეფობაში

გიული ალასანია

ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთგვარად გაზვიადებულად არის წარმოდგენილი მეფე გიორგი V ბრწყინვალის დამსახურება საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების საქმეში. საკითხის გარკვევას ართულებს წყაროთა სიმცირე. სწორედ გიორგი ბრწყინვალის მეფობის წლებში დაიშალა ილხანთა სახელმწიფო, რის შედეგადაც ახლო აღმოსავლეთი, ისევე როგორც მთელი კავკასია, შინაომებმა და დაპირისპირებებმა მოიცვა, ხოლო, სწორედ იმ დროს, როცა გარდაიცვალა გიორგი ბრწყინვალე, – 1346 წელს, რეგიონს შავი ჭირის ეპიდემიამ გადაუარა. ისტორიის წერისთვის ქვეყანაში არცთუ შესაფერისი დრო იყო.

ჩვენთვის საინტერესო ხანაში, XIV ს-ის 30-40-იან წლებში საილხანოში მარიონეტი ყაენების ზურგს უკან იდგნენ ჰასან დიდი (ბოზორგი) ჯელაირი, ჰასან მცირე ჩობანიანი და მისი ძმა აშრაფი. ჯელაირიანთა ტომი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა აბუ საიდის (1317-36) გარდაცვალების შემდეგ. ჰასან დიდმა (ჯელაირიანმა) თავი ხელმწიფედ გამოაცხადა, დაიპყრო ერაყი და ბაღდადი დედაქალაქად გამოაცხადა. ჰასან დიდმა აბუ-საიდის შემდეგ ტახტზე პირველი სამი ხანი დასვა.<sup>1</sup> ჯელაირიანთა დინასტიამ იარსება 1410 წლამდე და მათი სახელმწიფო სხვადასხვა დროს მოიცავდა სპარსეთის ერაყის დიდ ნაწილს – ჰამადანით, ყაზვინით და სულტანიეთი და გარდა ამისა, ქურთისტანს, სამხრეთ აზერბაიჯანს, ყარაბახს, არაბეთის ერაყს, სომხეთს, შირვანსა და საქართველოს. ჰასან ბოზორგის (1336-56) შემდეგ მისი შვილები, სულტანი ჰუსეინი და უვეისი ინაწილებდნენ ჯელაირიანთა მიწებს. ჰუსეინის შემდეგ მისი ადგილი მისმა ძმამ, შეიხ უვეისმა (1356-74) დაიკავა, მის შემდეგ იყო ჯალალ ად-დინ ჰუსეინი (1374-81), დაბოლოს – სულტანი აჰმედი (1382-1410). ჩობანიანებს, ჯელაირიანებსა და ოქროს ურდოს გამგებლებს შორის მიმდინარეობდა ბრძოლები ტერიტორიების გადასანაწილებლად. ილხან

---

<sup>1</sup> Стэнли Лэн-Пуль, *Мусульманские династии* (Москва, 2004), 177.

აბუ საიდის შემდეგ ჩობანიანმა ჰასან მცირემ 1338 წელს თავის ჯელაირიან მეტოქეს თავრიზი წაართვა და თავისი სამეფო განავრცო ჩრდილო-დასავლეთით აზერბაიჯანით და სპარსეთის ერაყით, რასაც სიკვდილამდე (1343 წ.) ფლობდა.<sup>2</sup>

საქართველოში მონღოლთა ბატონობის ხანგრძლივობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. მეცნიერთა ნაწილი საქართველოს სრულ დამოუკიდებლობას გიორგი ბრწყინვალეს უკავშირებს, სხვები ამ აზრს არ იზიარებენ.

**ვახუშტი ბაგრატიონი გიორგი ბრწყინვალის შესახებ.** „ქართლის ცხოვრების“ ძველი რედაქცია სწორედ გიორგი ბრწყინვალის ტახტზე ასვლაზე წყდება. ჟამთააღმწერელი ჩვენთვის საინტერესო წლებზე მხოლოდ რამდენიმე სიტყვით იფარგლება. მოგვიანებით, ეს ხარვეზი ნაწილობრივ შეავსეს „ქართლის ცხოვრების“ გამგრძელებლებმა, ხოლო შემდეგ – ვახუშტი ბაგრატიონმა. როგორც თავის დროზე მ. ბროსემაც შენიშნა, მას, ალბათ, ხელთ ჰქონდა ქრონიკები, რომლებიც არ შევიდა მამამისის, ვახტანგ VI-ის, ინიციატივით შექმნილ ტექსტში.<sup>3</sup>

ვახუშტის ტექსტი, სხვა წყაროებთან შედარებით, უფრო სრულია და ყველა მკვლევარი, ვინც კი ოდესმე შეხებია გიორგი ბრწყინვალის მეფობას, ძირითადად სწორედ მას ეყრდნობა.

ვახუშტის ინფორმაციაში ყურადღებას იქცევს რამდენიმე მომენტი. პირველ რიგში, აქ საყურადღებოა თარიღები. ვახუშტის ცნობით, გიორგი ბრწყინვალის ტახტზე ასვლის თარიღია 1318 წ., ხოლო გარდაცვალებისა – 1346 წ. თავისი მეფობის წლებში გიორგი V-მ „დაიპყრა საქართველონი, სომხითი, ჰერ-კახნი, ქართლი, მესხნი, ტაო, შავშ-კლარჯნი და ვიდრე სპერადმდე და ზღვადმდე“.<sup>4</sup> „შევიდა და შემუსრნა კავკასსა შინა მყოფნი, ურჩნი მოსრნა და დაიმორჩილნა და მოხარკე ჰყვნა“, „დაამშჯდა ქართლი ოვსთაგან, ვინათგან გზანი ყოველნი თვთ დაიპყრნა“, „კულად შემოიკრიბნა სპანი და შევიდა რანს; ვერვინ წინააღუდგა და მუნიდამ შევიდა შირვანს და დაიმორჩილნა იგინცა. და მოხარკე ჰყვნა დარუბანდამდე ქურდის ლეკითურთ. შემდგომად მოიქცა ტფილისს განძლიერებული“.<sup>5</sup> ვახუშტი გვატყობინებს, თუ როგორ მოუპოვა გიორგიმ ქვეყანას დამოუკიდებლობა: „მაშინ იცა ჟამი ბრწყინვალე გიორგი

<sup>2</sup> Rene Grousset, *L'empire des steppes. Attila, Cengiz Khan, Tamerlan* (Paris, 1982), 465.

<sup>3</sup> Histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'au XIX siècle traduite du Géorgien par M. Brosset, I-re partie, Histoire ancienne, jusqu'en 1469 de J.-C. (S-Petersbourg, 1849), 644.

<sup>4</sup> ბატონიშვილი ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV (თბილისი, 1973), 255.

<sup>5</sup> იქვე, 257.

მეფემანცა და განასხნა თათარნი საქართველოსაგან, რომელნიმე ბრძოლითა და ძლიერებითა და მოსპნა ყოველნი საზღვართაგან თუსთა. მერმე მოიყვანნა ყოველნი ამის ქუეყანისას ერისთავნი და წარჩინებულნი, რეცა დარბაზობად ცივსა ზედა ჰერეთისასა და მოსწყუნდა მუნ ურჩნი თუსისა მეფობისანი და დაადგინნა ყოველთა ადგილთა წარვლინებულნი ერისთავნი თუსნი მორჩილებისანი და დაიპყრნა ამით უმეტეს ყოველთა“.<sup>6</sup> აქვე არის გადმოცემული ქვეყნის გაერთიანების ამბავიც, წარმოდგენილია დასავლეთ საქართველოს ვითარება დავით ნარინის გარდაცვალების შემდეგ, დაპირისპირება სამეფო ოჯახში, დასავლეთ საქართველოს ერისთავების მიმხრობა გიორგისადმი, თუ როგორ მიადგა გიორგი მეფე ჯარით ქუთაისს, სადაც მიქაელის შვილი, ბაგრატი, იყო თავშეფარებული: „ევედრა მეფესა გიორგის, რათა არა-რა ევნოს სიკუდილთა ანუ პატიმრობითა და სცეს სარჩო იმერეთსავე მეფემან, მივიდეს წინაშე მისსა და მოსცეს ყოველნი ციხენიცა იმერეთისანი მეფესა, ვინაფთაგან მოგცა ღმერთმან ძლევა“,<sup>7</sup> „ამისნი მხილველნი დადიანი მამია და გურიელი და სუანთა ერისთავი და აფხაზეთისა შარვაშიძე მიერთნენ ნიჭითა დიდითა და დაულოცეს მეფობა იმერეთსა და ყოვლისა გიორგისა. მერმე შთავიდა ოდიშს, მუნიდამ აფხაზეთს, განაგნა მუნებურნი და დაიპყრნა ციხენი თუსად და მისცა ცხომის საერისთო ბედიელს, შემოვლო გურია, განაგნა მუნებურნი და მოვიდა სამცხეს...“<sup>8</sup> „მოკუდა სარგისი (1334 წ.), მიუბოძა ძესავე მისსა ყუარყუარეს ათაბაგობა და დასხნა ერისთავნი თუსნი კლარჯეთს, სპერს, კალმახს, არტანუჯს და სამცხეს არტანისა და წუნისა და ამ საერისთაოთაგან რომელიმე მიუბოძა ბიძათა და ბიძის ძეთა ყუარყუარე ათაბაგისათა...“<sup>9</sup> აქვეა ცნობა გიორგის საკანონმდებლო საქმიანობაზეც და საეკლესიო საქმეების მოგვარებაზე: „კუალად განიხილნა მეფემან მთიულთა და კავკასთა საქმენი, რამეთუ მრავალნი „უჯერონი იქმნებოდნენ“, „შემოიკრიბნა სპანი, შევიდა და დაიმორჩილნა ყოველნი უმეტეს პირველსა კავკასსა შინა მყოფნი. ხოლო მუნიდამ ჩამოვლო ცხრაზმასა ზედა, მოვიდა მუხრანს და ჩამოიყვანნა მუნ რომელნი კავკასიისა შინა ქრისტიანენი იყვნენ თავნი მათნი და ჰვეისბერნი შემოვიდა ტფილისს, და შემოიტანნა იგინიცა და განუჩინა მათ სამართალნი და წესნი დაუსხნა წიგნით, რათა ჰყოფდნენ წალმართ ეგრეთ. მოკუდა კათალიკოზი ეფთვიმე და დასუა ბასილი“.<sup>10</sup> ვახუშტის მოაქვს ცნობები გიორგის საგარეო წარმატებებზეც, რასაც ნაწილობრივ ქვემოთ დავუბრუნდებით.

<sup>6</sup> იქვე, 256.

<sup>7</sup> იქვე, 257.

<sup>8</sup> იქვე, 258.

<sup>9</sup> იქვე.

<sup>10</sup> იქვე.

დასასრულ, გიორგის მეფობის ნლებია შეჯამებული: „დაიმონნა ყოველი გიორგია ნებასა შინა თჳსსა და კავკასნიცა მორჩილებასა მისსა იყვენ ნიკოფსიიდამ დარუბანდამდე; კუალად რანი, მოვაკანი და შარვანში მოხარკედ აქუნდა და არლარავინ იყო წინააღმდეგომი და ურჩი მისი, შემოიკრიბნა კათალიკოზნი და ეპისკოპოზნი ივერიისანი და განაახლნეს წესნი და რიგნი საეკლესიონი და სამღუდელონი განმართნეს, და დაადგინნეს მონესენი წესსა ზედა თჳსსა და უნესურნი განჰკუეთნეს...“<sup>11</sup> დაბოლოს ვახუშტი გიორგის დავით აღმაშენებელს ადარებს, საუბრობს მის აღმშენებლობით საქმიანობაზე და ამატებს: „რანი, შარვანში და მოვაკანი მოხარკედ ჰყვნა თავისად“.<sup>12</sup>

**სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული შეხედულებები გიორგი ბრწყინვალის შესახებ.** ყველა ზემომოტანილი ცნობა გიორგი ბრწყინვალის შესახებ, მცირე განსხვავებებით, მეორდება სახელმძღვანელოებსა და გამოკვლევებში. ამასთან, ვახუშტისთან ჩამოთვლილ გიორგის დამსახურებებს ემატება ინფორმაცია ჯვრის მონასტრის გამოსახსნელად ორჯერ გაგზავნილ ელჩობაზე (1316/7 და 1320 წწ.), ცნობები მონღოლთა ხარკის შეწყვეტისა და მეფის მიერ ახალი საფასის – გიორგაულის მოჭრის შესახებ. ყველა აქ ჩამოთვლილ ცნობაზე სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა.

მ. ბროსე ერთ-ერთ კომენტარში გვაძლევს ილხანთა ჩამონათვალს, ზოგიერთ ინფორმაციას საქართველოში მდგარი მონღოლური ჯარის მეთაურებზე და ილხანების ოლჯაითუს და აბუსაიდის დიდებულ ჩობანზე, მისი ერთ-ერთი შვილის განდგომაზე, მისი მოკვლის ბრძანებაზე, პასუხად ჩობანის აჯანყებაზე, მის გაქცევაზე ჰერათში და გუბერნატორის მიერ აბუსაიდის ბრძანებით მის მოკვლაზე, ასევე საქართველოს და სომხეთის გუბერნატორის, ჩობანის მეოთხე შვილის, შეიჰ მაჰმუდის წამებით მოკვლაზე ყარაბაღში; იმავე ყარაბაღში, 1336 წლის 30 ნოემბერს, აბუსაიდის გარდაცვალების შემდეგ (30 ნოემბერს, 1336 წელს), ტახტზე არფა ხანის, ჩინგიზ ყაენის ერთ-ერთი შვილის, თულუს შთამომავლის ტახტზე ასვლაზე და მალევე მეორე კანდიდატის მუსას წამოყენებაზე.

მ. ბროსეს ინფორმაციით, არფა მოკლა და ჩაანაცვლა ჰულაგუს სხვა შთამომავალმა, მუჰამადმა, რომელიც ეყრდნობოდა რუმელთა და ქართველთა ჯარებს, მაგრამ დამარცხდა 1336 წლის 24 ივლისის ბრძოლაში.<sup>13</sup> როგორც ჩანს, მ. ბროსეს აქ უზუსტობა აქვს დაშვებული, რაც მოგვიანებით გამეორდა ნ. ურბნელის ნაშრომში „გიორგი ბრწყინვალე“.

ურბნელი აღნიშნავდა, რომ ვინაიდან „1336 წ. ჩვენს ლაშქარს ბრძოლაში

<sup>11</sup> იქვე, 259.

<sup>12</sup> იქვე.

<sup>13</sup> Histoire de la Géorgie, 646, n.1.

მეთაურობდა მოჰამედი, ულო ყაენის ჩამომავალთაგანი, მაშასადამე იმ დროსაც საქართველოს ვასალური დამოკიდებულება ჰქონდა მონღოლებთან და მხოლოდ შემდეგში განთავისუფლდა<sup>14</sup>, თუმცა იგივე მკვლევარი არ იზიარებს იმ მეცნიერთა აზრს, რომლებსაც „მეფის თვით-მპყრობელობა არა სწამთ და ამტკიცებენ, ვითომ გიორგი ბრწყინვალე ბოლომდე ვასალი იყო და არა სხვა ვინმეო“.<sup>15</sup> იმის დასასაბუთებლად, რომ საქართველომ გიორგი ბრწყინვალეს დროს მიაღწია დამოუკიდებლობას, ნ. ურბნელი იმონებს „ძეგლის დების“ ერთ-ერთ ცნობას, რომელიც ხელთ ჰქონია მ. ბროსესაც, სადაც საუბარია გიორგი ბრწყინვალის ხელისუფლების მთელ სამეფოზე გავრცელების შესახებ („ყოველგნით უცილებლად ქონებასა შინა სამეფოსა ჩუენისასა და უცილებლად პყრობასა ტახტისა და სკიპტრისასა“<sup>16</sup> ვიმყოფებოდი). „პირველად იგი, მართალია, ვასალად ირიცხებოდა, მაგრამ ... ნელ-ნელა ვასალობა მოიშორა და სრული დამოუკიდებლობა შეიქმნა“, – დასძენს ნ. ურბნელი. მისი ვარაუდით, ეს მოხდა ილხანებთან დაწყებული არეულობის დროს.<sup>17</sup>

აქვე შევნიშნავთ, რომ თვით მ. ბროსეს ინფორმაცია, როგორც ჩანს, მომდინარეობს ჰაფიზ-ი აბრუს თხზულებიდან, თუმცა ცნობა ამ შემთხვევაში უადგილოდ და არცთუ ზუსტად არის მოტანილი. სპარსულ წყაროში ცნობა ფაქტობრივად ეხება იმ დროს, როდესაც ამირ ჩობანის და მისი ოჯახის წევრების მიმართ რეპრესიების ჩატარებამდე დაიძაბა ურთიერთობა აბუ საიდსა და ჩობანის გვარს შორის. ამასთან დაკავშირებით, შეიკრიბნენ ოჯახის წევრები და იმსჯელეს შექმნილი ვითარების შესახებ. მათ გამოთქვეს აზრი, რომ თავისუფლად შეეძლოთ აბუ საიდის დამარცხება, რის შემდეგაც ჩამოთვალეს მათ განკარგულებაში მყოფი ძალები, დაბოლოს აღნიშნეს: „როდესაც ჩვენი ძმები თიმურ-თაში და მაჰმუდი გაიგებენ ჩვენი აჯანყების შესახებ, ისინი გამოიყვანენ საქართველოს და რუმის ჯარებს, აჯანყებულებიან ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ და ეს იქნება ბრწყინვალე საშუალება სამეფო არმიის შესაჩერებლად ყოველი მხრიდან“.<sup>18</sup> როგორც ვხედავთ, ეს ცნობა სულ სხვა დროს და სხვა მოვლენებს ეხება, ამასთანავე მაჰმუდი, რომელიც ჩობანის შვილია, მარტო არ არის დასახელებული და მასთან ერთად იხსენიება ჩობანის მეორე შვილიც, თიმურთაში. ამდენად, მოტანილი ცნობა არანაირად არ გამოდგება 1327 წლის შემდგომ მონღოლებზე საქართველოს დამოკიდებულების დასასაბუთებლად.

<sup>14</sup> ნ. ურბნელი, *გიორგი ბრწყინვალე მეფე საქართველოსი* (ტფილისი, 1889), 74.

<sup>15</sup> იქვე, 80.

<sup>16</sup> ი. ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, ტ. III (თბილისი, 1966), 263.

<sup>17</sup> ურბნელი, *გიორგი ბრწყინვალე*, 82.

<sup>18</sup> Hafiz-i Abru, *Chronique des Rois Mongols en Iran*, texte persan edite et traduit par K. Bayani, II (Paris, 1936), 101.

ბრიტანელი მეცნიერი დევიდ ლენგი გიორგი ბრწყინვალის მეფობას 1314 წლით იწყებს და ორ პერიოდად ჰყოფს: 1327 წლამდე, ანუ მისი მფარველის ამირა ჩოხანის დაღუპვამდე, და შემდგომ, ქართველი მეფის გარდაცვალებამდე – 1346 წელს. ასეთ დაყოფას შეიძლება დავეთანხმოთ. დ. ლენგის აზრით, მართალია, ჩოხანმა გიორგის აღუდგინა კონტროლი მესხეთზე, სამცხე-საათაბაგოზე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოზე, რომელიც უფრო ადრე ილხანმა აბაღამ ილხანებზე პირდაპირ დამოკიდებულ პროვინციად აქცია, მაგრამ ჩოხანის მარცხის შემდეგ მან დაკარგა კონტროლი აღმოსავლეთ საქართველოზე და თბილისზე, რისი კომპენსაციაც იყო დასავლეთ საქართველოს გაერთიანება მისი სკიპტრის ქვეშ, დასავლეთ საქართველოში იძულებითი გადასვლის შემდეგ. აღმოსავლეთ საქართველოზე მისი კონტროლის შესუსტების გამო, 1338 წელს იქ შეიჭრა ჰასან მცირე.<sup>19</sup>

დ. ლენგი არ ენდობა ქართულ წყაროებს, რომელთა მიხედვითაც გიორგიმ შემოიერთა არამარტო დასავლეთი საქართველო – სამეგრელო, აფხაზეთი, და შავი ზღვისპირეთის სხვა რეგიონები, არამედ, აგრეთვე, აზერბაიჯანი, შირვანი, და კასპიისპირეთი დერბენდამდე და რომ მონღოლი ნოინები გავიდნენ საქართველოდან და თათრები აღარ იყვნენ საქართველოში; რომ მთელი საქართველო და კავკასია ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გიორგი ბრწყინვალის სკიპტრის ქვეშ მოექცა.<sup>20</sup> ნუმიზმატიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, დ. ლენგი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ მონღოლთა ბატონობა საქართველოში მთელი XIV საუკუნის პირველ ნახევარში გრძელდებოდა.

თავისი მოსაზრებების დასაბუთებლად დ. ლენგი, სხვადასხვა წყაროს გამოყენებით სხვადასხვა არგუმენტს იშველიებს, რაც ქართულ ისტორიოგრაფიაში არ არის გაზიარებული. სხვადასხვა დროს დ. ლენგის მსჯელობას და დასკვნებს სხვადასხვა პასუხი გაეცა.

წინასწარ ვაცხადებთ, რომ არ ვიზიარებთ დ. ლენგის აზრს იმის შესახებ, თითქოს გიორგი ბრწყინვალემ 1327 წლის შემდგომ დაკარგა კონტროლი აღმოსავლეთ საქართველოზე და რომ იმ დროიდან საქართველო მნიშვნელოვნად დასუსტდა, ამასთან, ყურადღებას შევაჩერებთ წყაროთა ზოგიერთ ცნობაზე, რომლის არასანდოობა, ვფიქრობთ, არასათანადოდ არის დასაბუთებული სამეცნიერო ლიტერატურაში.

პირველი, ვინც ეჭვქვეშ დააყენა დ. ლენგის ძირითადი მოსაზრება

<sup>19</sup> D.M. Lang. "Georgia in the Reign of Giorgi the Brilliant (1314-1346)," *Bulletin of the School of Oriental and African Studies*, vol. 17, no. 1 (1955), 84.

<sup>20</sup> იქვე, 83; Histoire de la Géorgie, 646-8; ბატონიშვილი ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 277-80.

საქართველოს მონღოლთაგან სრული დამოუკიდებლობის მოპოვების შესახებ მხოლოდ XIV საუკუნის მეორე ნახევარში, იყო ვ. გაბაშვილი.<sup>21</sup> ვ. გაბაშვილის მსჯელობით, აუცილებელი პირობა დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად არის ხარკის შეწყვეტა. აქაც ძირითადად გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში მანამდე მიღებული აზრი (ზოგჯერ ფრთხილი ვარაუდის ფორმით გამოთქმული – „გიორგი ბრწყინვალეს საქართველოში მყოფი მონღოლთა ლაშქრისა და ყველა მათი მოხელეების განდევნა-მოსპობა, რასაკვირველია, არ გაუძნელდებოდა“<sup>22</sup> ზოგჯერ – უფრო კატეგორიულად, რომ მონღოლებისათვის ხარკის გადახდა, ისევე, როგორც დამპყრობლების ჯარის გაყვანა, შეწყდა XIV ს-ის 20-იანი წლების მიწურულს).<sup>23</sup>

ამასთანავე ვ. გაბაშვილის ნაშრომში განხილულია სპარსული წყაროები, გათვალისწინებულია აგრეთვე ნუმისმატიკური მონაცემებიც, სადაც განსხვავებული ვითარებაა წარმოდგენილი. მიუხედავად ამისა, ვ. გაბაშვილის დასკვნით, იმის გამო, რომ „1335-1350 წლებში საქართველოს მეზობელ ქვეყნებში მეტად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა...“ და ილხანთა სახელმწიფო შინაომებმა მოიცვა, „შინაომების ძირითად ასპარეზს აზერბაიჯანი წარმოადგენდა, მაგრამ საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილებზეც ვრცელდებოდა. სწორედ ასეთ ვითარებაში... უნდა გაჩენილიყო სათათრო ხარკიც და მონეტაც... მაგრამ... მონღოლებზე დამოკიდებულება ახლა მხოლოდ ფორმალური ხასიათის მატარებელი უნდა ყოფილიყო“.<sup>24</sup>

**მონღოლებისთვის ხარკის გადახდის შეწყვეტის თარიღი.** ვ. გაბაშვილის დასახელებულ ნაშრომში განხილულია ჰამდალლაჰ ყაზვინის მონაცემები, რომლის თხზულებაც 1339-40 წლებშია დაწერილი და რომლის მიხედვითაც 1336 წელს საქართველოდან შემოდიოდა 120 თუმანი (1,202,000 დინარი ან 7,212,000 დირჰემი). ამ წყაროში „საქართველოს და აფხაზეთის შესახებ“ ვკითხულობთ: „იქ ხუთი ქალაქია, ხოლო კლიმატი ცივი. ის ესაზღვრება არანის, არმენიის და მცირე აზიის მიწებს; მათი მეფეების დროს შემოსავალი დაახლოებით ხუთ მილიონ დინარს აღწევდა ახლანდელი კურსით, ხოლო ჩვენ დროში ხელისუფლება იღებს მხოლოდ 1,202,999 დინარს, საქართველოს და აფხაზეთის რეგიონების დედაქალაქი თბილისია“. ყურადღებას იქცევს ის

<sup>21</sup> ვ. გაბაშვილი, „საქართველოში მონღოლთა ბატონობის ხანგრძლივობის საკითხისათვის“, *აღმოსავლური კრებული*, I (თბილისი, 1960), 121-46.

<sup>22</sup> ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, III, 261.

<sup>23</sup> ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, *საქართველოს ისტორია* (თბილისი, 1958), 251.

<sup>24</sup> გაბაშვილი, „საქართველოში მონღოლთა ბატონობის ხანგრძლივობის საკითხისათვის“, 141.

ფაქტი, რომ ავტორი, როგორც ჩანს, მართლაც, თავისი დროის ვითარებას აღწერს და მან კარგად იცის, რომ საქართველო გაერთიანებულია.<sup>25</sup>

ჰამდალაჰ ყაზვინის გარდა ვ. გაბაშვილი ეხება აგრეთვე აბდალაჰ იბნ მოჰამედ იბნ ქია ალ-მაზანდარანის თხზულებას „რესალეი-ე ფალაქია“, რომლის ცნობები, როგორც ლიტერატურაშია ნავარაუდები, ძირითადად 1333-63 წლებს განეკუთვნება, ყველაზე ადრეული 1333 წ., ხოლო ყველაზე გვიანი ინფორმაცია – 1430-66 წლებისაა.<sup>26</sup> ამ თხზულების მიხედვით, 1350 წელს საქართველოს გადასახადია 40 თუმანი – 400,000 დინარი, არანის 82 თუმანი – 820,000 დინარი; არმენიისა 54 თუმანი – 540,000 დინარი. ამ მონაცემებით, მოკლე დროში 120 თუმანი 40 თუმნით შეიცვალა, ხოლო, თავის მხრივ, 120 თუმანი ყაზან-ხანის წლებთან შედარებით განახევრებულია, თუმცა გადასახადი მოხსნილი არ არის.

ამ ორი წყაროს ცნობების მიმართ მკვლევრებს განსხვავებული კომენტარი აქვთ გაკეთებული. ვ. გაბაშვილის აზრით, ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობა სანდოა, თუმცა ხარკის გადახდა უფრო ეპიზოდურ შემთხვევას უნდა გულისხმობდეს, ვიდრე მონღოლური სახარკო სისტემის ბატონობას საქართველოში.<sup>27</sup> რ. კიკნაძის აზრით, ჰამდალაჰ ყაზვინის მონაცემები მოტანილია გადასახადთა წინასწარი განანილების წიგნიდან („დავთარე კანუნი“ მიხედვით) და შეესაბამება ოლჯაითუს (1304-17) დროინდელ შემოსავალს და არა XIV ს-ის 30-იან წლებს.<sup>28</sup> აქედან გამომდინარე, რ. კიკნაძე ასკვნის: „რაკი ვიცით, რომ 1336-40 წლებში, ფეოდალური შინაომებისა და აჯანყებების ხანაში, ხაზინაში იმის ნახევარიც აღარ გროვდებოდა, რაც ყაზან-ხანის დროს შედიოდა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდში საქართველო ხარკს აღარ უხდიდა მონღოლებს... აბუ-საიდი უძეოდ გარდაიცვალა 1335 წელს და ტახტზე დასვეს მისი შორეული ნათესავი არფა-ხანი, სახელმწიფოში მძაფრი ბრძოლა გაჩაღდა ტახტის მაძიებელთა შორის, ერთმანეთის მოწინააღმდეგე ფეოდალურ დაჯგუფებებს ზედიზედ აპყავდათ ილხანის ტახტზე თავიანთი მარიონეტები (მუსა-ხანი, მოჰამედ-ხანი, სათი-ბეგი, სოლეიმან-ხანი...),

<sup>25</sup> *The Geographical part of the Nuzhat al-Qulub composed by Hamdallah Mustawfi of Qazwin in 740 (1340)*, translated by G. Le Strange (Leyden, 1919), 94.

<sup>26</sup> С.Б. Ашурбейли, “Ресалей-е Фалакийе Абдаллаха Ибн Мухаммад Ибн Кия Ал-Мазандарани как источник по социально-экономической истории Грузии,” *Источниковедческие разыскания* (Тбилиси, 1979), 38-46.

<sup>27</sup> გაბაშვილი, „საქართველოში მონღოლთა ბატონობის ხანგრძლივობის საკითხისათვის“, 141.

<sup>28</sup> რ. კიკნაძე, „მე-14 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიიდან (ჰამდალაჰ ყაზვინის ერთი ცნობის განმარტება)“, *საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები*, II (თბილისი, 1992), 169-84.



რომელთაც არავითარი რეალური ხელისუფლება არ გააჩნდათ. ცხადია, ასეთ ვითარებაში საქართველო ხარკს აღარ მისცემდა მონღოლებს“, – ასკენის მეცნიერი.<sup>29</sup> თუ კონკრეტულად როდის შეუწყვიტა საქართველომ მონღოლებს ხარკის გადახდა, მითითებული არ არის.

ჰამდალაჰის ცნობა ასევე არასანდოდ მიიჩნია ვ. კიკნაძემაც, რომლის აზრითაც, ყაზან-ხანის წლებთან შედარებით, ილხანთა შემოსავლის „განახევრების“ ერთ-ერთი მიზეზი იყო XIV ს-ის 30-იან წლებში რამდენიმე რეგიონის და მათ შორის, პირველ რიგში – საქართველოს გამოკლება.<sup>30</sup> თუ ჰამდალაჰის ცნობა, როგორც ეს რ. კიკნაძემ ივარაუდა და რასაც ვ. კიკნაძეც დაეთანხმა, ოლჯაითუს ხანას შეესაბამება, მაშინ, გამოდის, რომ უკვე ოლჯაითუს დროს, ე.ი. აბუ საიდის ტახტზე ასვლამდე, საქართველო დამოუკიდებელი ყოფილა?

ვალტერ ჰინცმა ალ-მაზანდარანის ცნობა აბუ საიდის (1316-35) დროს გადაიტანა; მისი აზრით, გილანი, შირვანი, საქართველო და მცირე აზია 1349-50 წწ. ხარკს ვერ გადაუხდინენ შეიხ ჰასან ჯელაირს, უვეისის წინამორბედს, ვინაიდან სწორედ უვეისმა 757-776 (1356-74) წლებში წაართვა ოქროს ურდოს აზერბაიჯანი და თავრიზი (759/1357/58 წ.), შემოუერთა თავის სამფლობელოებს მოსული და დიარბაქრი და დაამყარა კონტროლი საქართველოზე.<sup>31</sup>

დ. ლენგმა სანდოდ მიიჩნია ალ-მაზანდარანის ცნობა, არ დაეთანხმა ვ. ჰინცის ეჭვს და ამასთან აღნიშნა, რომ ალ-მაზანდარანის უნდა ესარგებლა ალ-აშრაფის იმ დავთრებით, რომლებიც ჯელაირიანებს ხელთ უნდა ეგდოთ 1358 წელს, როდესაც მათ თავრიზი დაიპყრეს.<sup>32</sup>

ე. გაბაშვილმა ალ-მაზანდარანის ინფორმაცია, ისევე როგორც ჰამდალაჰ ყაზვინისა, სანდოდ მიიჩნია, და, ისევე როგორც პირველ შემთხვევაში, ივარაუდა, რომ ხარკის გადახდა ამ შემთხვევაშიც ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა.<sup>33</sup> ს. აშურბეილიმ ვ. ჰინცის მიერ 1363 წლით დათარიღებული ალ-მაზანდარანის თხზულება, გადაათარილა და სავარაუდოდ მოათავსა 1467 წელს. მკვლევარმა სავსებით სანდოდ მიიჩნია ჰამდალაჰ ყაზვინის მონაცემები და მათთან შედარებით ალ-მაზანდარანის 40 თუმანი საეჭვოდ ჩათვალა. მისი აზრით, ასეთი რიცხვი უფრო XIV საუკუნის დასასრულისათვის არის სავარაუდო.<sup>34</sup>

<sup>29</sup> რ. კიკნაძე, „მე-14 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიიდან“, 180.

<sup>30</sup> ვაჟა კიკნაძე, *საქართველო XIV საუკუნეში* (თბილისი, 1989), 85.

<sup>31</sup> იქვე, 88.

<sup>32</sup> Lang, „Georgia“, 89.

<sup>33</sup> გაბაშვილი, „საქართველოში მონღოლთა ბატონობის ხანგრძლივობის საკითხისათვის“, 143.

<sup>34</sup> Ашурбейли, „Ресалей-е Фалакийе,“ 45-6.

ვ. კიკნაძემ სავსებით გაიზიარა ეს ეჭვი და, თავის მხრივ, ივარაუდა, რომ ალ-მაზანდარანის მიერ დასახელებული 40 თუმანი ასახავს ბევრად უფრო გვიანი ხანის ვითარებას, კერძოდ, ის ჯაჰან-შაჰის (1438-67) წლების გადასახადია.<sup>35</sup>

**სპარსული წყაროები გიორგი ბრწყინვალისა და მისი მომდევნო წლების საქართველოს შესახებ.** ვ. გაბაშვილი იმონებს რაშიდ ად-დინის თხზულების გამგრძელებელთა (ჰაფიზ-ი აბრუ, აბდ არ-რაზაკ სამარყანდი, რომელიც ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთში ჰაფიზ-ი აბრუს ემყარება) საისტორიო ნაწარმოებებს, რომელთა მიხედვითაც, როგორც XIV ს-ის 40-იან, ისე 50-იან წლებში, აზერბაიჯანი და საქართველო ჩოზანიანთა და ჯელაირიანების სახელმწიფოს კონტროლის ქვეშაა.

ჩოზანის დაცემისა და ილხანთა სახელმწიფოს დაშლის შემდეგ, რაც მოჰყვა აბუ საიდის გარდაცვალებას (1336), საქართველო კვლავ ილხანების კონტროლის ქვეშ იყო. ამას ადასტურებს აბუ ბაქრ ალ-კუტბი ალ-აჰარის თხზულება „შეიხ უვეისის ისტორია“, რომლის მიხედვითაც, მოკლული ჩოზანის მოკლული შვილის მუჰამადის ნაცვლად, მონღოლებმა საქართველოს გამგებლად ყუთლუღშაჰის შვილი, იკბალშაჰი დანიშნეს, ხოლო 1334 წელს ეს თანამდებობა მიეცა შეიხ ჰასან ჯელაირს, რომელიც ცნობილი იყო როგორც „დიდი“.<sup>36</sup> 734/12.IX.1333-31.VIII.1334 წლის „ზამთარში სულტანი ბაღდადს გაემართა, გაუგზავნა იარლიყი ამირა შეიხ ჰასანს, რომ ის საქართველოში გამგზავრებულიყო. ამირა წავიდა იქ... კურაკი მალიქი ჩავიდა მის უდიდებულესობა ამირა თავჯ ად-დუნიმა ვა-დ-დინ შეიხ ჰასანთან, ემსახურებოდა ერთგულად. კვლავ გამოვიდა ფადლშაჰის მითითება იმაზე, რომ მთელი რუმი ეკუთვნის თავჯ ად-დინ შეიხ ჰასანს, რის გამოც ის იქ უნდა გაემგზავროს“ (შეიხ უვეისის ისტორია).<sup>37</sup>

მიუხედავად საკმაოდ დეტალური ინფორმაციისა, აბუ ბაქრ ალ-აჰარ ალ-კუტბის ცნობა ქართულ ისტორიოგრაფიაში სანდოდ არ არის მიჩნეული. თ. ბერაძის და მ. სანაძის კომენტარით, „1333-1334 წლებში ილხანთა ყაენმა აბუ-საიდმა საქართველოში შიჰნად ანუ ყაენის ნაცვლად ჰასან ჯალაირი დანიშნა. გიორგი ბრწყინვალემ ის საქართველოში არ შემოუშვა. ჰასან ჯალაირი საქართველოში მონღოლთა მიერ დანიშნული უკანასკნელი შიჰნა იყო. ამით საქართველო მონღოლთა უღლისაგან ფორმალურადაც განთავისუფლდა“.<sup>38</sup>

<sup>35</sup> ვაჟა კიკნაძე, *საქართველო XIV საუკუნეში*, 91.

<sup>36</sup> Абу Бакр ал-Кутби ал-Ахари, *История шейха Увейса*, пер. Кязимова М.Д., Пириева В.З. (Баку, 1984), 13-4.

<sup>37</sup> Абу Бакр ал-Кутби ал-Ахари, *История шейха Увейса*, 14.

<sup>38</sup> თ. ბერაძე, მ. სანაძე, *საქართველოს ისტორია* (თბილისი, 2003), 209.

აღნიშნულ კომენტარში წარმოდგენილი ვითარება აბუ ბაქრ ალ-კუტბი ალ-აჰარის ცნობას, როგორც ვხედავთ, არ შეესაბამება. ერთადერთი, რის გამოც შეიძლებოდა მკვლევრებს მსგავსი დასკვნა გამოეთანათ, ის არის, რომ შეიხ ჰასანის რუმში გადაყვანის შემდეგ, წყაროში არ ჩანს, თუ ვინ დაინიშნა საქართველოში მის ნაცვლად. თუმცა მანამდე საქართველოში დაინიშნული ჰასანი იქ ჩავიდა და მასთანვე გაემგზავრა კურაკი მალიქი, რომელიც მას ერთგულად ემსახურებოდა.

ამავე წლების მოვლენებს ეხება ვ. კიკნაძე, რომელიც შენიშნავს, რომ გიორგი V-მ მონღოლები არა მარტო საქართველოს ტერიტორიიდან განდევნა, არამედ ყოფილ ყმადნაფიც ქვეყნებში, რანსა და შირვანშიც ილაშქრა და ისინიც „მოხარკე ჰყვნა“.<sup>39</sup> ნათქვამის დასადასტურებლად მოტანილია ერთ-ერთი წყარო, კირილე დონაურის „ანდერძი“ (დათარიღებული 1333 წლის 5 მარტით – „ქ-სა კა: თუესა მარტსა ე“, რომლის საფუძველზეც „უცილობელი ხდება, რომ ჯერ კიდევ აბუ საიდის სიცოცხლეში გიორგი V-ს რანსა (განძა) და შირვანში ულაშქრია.“<sup>40</sup> მართალია, აქ დამონმებული დოკუმენტი დათარიღებულია, მაგრამ თვით დოკუმენტში მოტანილ ცნობაში არ ჩანს, როდის მოხდა ჩვენთვის საინტერესო ფაქტი. არ არის გამორიცხული, რომ იქ მოხსენიებული ბრძოლა ყოფილიყო ჯერ კიდევ ამირ ჩობანის დროს, ან თუნდაც ილხანებთან გიორგი ბრწყინვალის ურთიერთობების აღდგენის შემდეგ, უზბეკ ხანის წინააღმდეგ, ხოლო გიორგი ბრწყინვალე ამ შემთხვევაში ილხანების ინტერესების დამცველი ყოფილიყო ჩრდილოეთიდან შემოჭრილი ძალების წინააღმდეგ. მოვიტანთ დამონმებულ დოკუმენტს: „ოდეს ბრწყინვალემან მეფემან გიორგი გაიმარჯუა აგარიანთა ზედა განძას და შირვანს, მას ჟამსა შინა ჩუენნი სამწყსონი შაქ-ქურმუხისანი ჩინებულად იბრძოდეს ძლევად მტერთა და ამისთვის უძლეველმან გიორგი გვინყალობნა სიგელ და დაგვიმტკიცნა ჩუენ ქიშელ-ქურმუხელს. ზღვარი ყვ... ლსა...განუხს. მამულნი ყაბალასა ძუარი ვარდთა შენს სავაჭრონი და ვაჭარნი შუიდნი და შირაქისა: საბალახენი და ქართველთა მთასა ზედა საბალახენი და ქართველთა მთასა ზედა საბალახენი და მტკუარსა თევზისა საბაჟენი ახტაპისანი ღმერთმან წარუმართნეს უძლეველსა მეფესა გიორგი ბრწყინვალესა, რომლისა მეოხებითა უმეტესად განძლიერდა ქრისტიანობაი: მთეულთა შორის და კულად განმტკიცდა ერთობაი საქართველოსა შინა ამინ აღინერა: ესე ქ-სა კა: თუესა მარტსა: ე“.<sup>41</sup> ცნობაში მოხსენიებული „აგარიანი“ სავსებით შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ოქროს ურდოს ძალებიც.

<sup>39</sup> ბატონიშვილი ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 257; კიკნაძე, საქართველო XIV საუკუნეში, 70.

<sup>40</sup> კიკნაძე, საქართველო XIV საუკუნეში, 71.

<sup>41</sup> მ. ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია (თფილისი, 1894), 206.

ჰაფიზ-ი აბრუს (გარდ. 1430/31 წ.) თხზულებაში, 1339 წლის გაზაფხულის მოვლენებს უძღვის ცნობა იმის შესახებ, რომ სპარსეთის ერაყის, აზერბაიჯანის, არანის, მარალისა და საქართველოს მხარეების დაპყრობის შემდეგ, შეიხი ჰასან ჩობანი ტრიუმფალურად შევიდა სულტანიეში და დარჩა იქ ზამთრის დასასრულამდე.<sup>42</sup> ე.ი. იმ დროს საქართველო დაუპყრია ამირ ჩობანის შვილის – თიმურ-თაშის (რომელიც რეპრესიების დროს ჯერ რუმში დარჩა, ხოლო შემდეგ ეგვიპტეს შეაფარა თავი და მოკლულ იქნა მამლუქთა სულტნის მიერ 1328 წელს. მისი თავი გაგზავნეს უჯანში 1328 წლის თებერვალში<sup>43</sup>) შვილს, ჰასან მცირეს. ამავე მემატიანეს 1347 წლის მოვლენებში მოაქვს ცნობა, რომ მალიქ აშრაფი ბაღდადზე წარუმატებელი შეტევის შემდეგ დაბრუნდა თავრიზში და იქიდან მართავდა იმას, რაც მის მფლობელობაში იყო დარჩენილი. აქ ჩამოთვლილ ერთეულებს შორის – აზერბაიჯანი, სპარსეთის ერაყი, არანი, მულანი, ქურთისტანი, კვლავ დასახელებულია გურჯისტანი (საქართველო), რომელთა ამირებად, მისი ცნობით, ერთგული პირები იქნენ დანიშნული.<sup>44</sup> ჰაფიზი აბრუს ცნობითვე, 1342 წელს ჰასან მცირეს სხვადასხვა ქვეშევრდომი უჯანყდება, მათი ნაწილი თავს ჰასან ბოზორგთან, ჯელაირიანთან აფარებს და ჰასან ჩობანიანს მათთან გამკლავება უხდება. სწორედ იმ დროს ჰასანის ძმამ მალიქ აშრაფმა გაიმარჯვა პირ-ჰუსეინზე, რომელიც სულტანიეში გაიქცა.<sup>45</sup> ამ ამბის შემდეგ მალიქ აშრაფი, რომელსაც თავისი ძმის ეშინოდა, თავს აფარებს საქართველოს პროვინციას,<sup>46</sup> რასაც დ. ლენგისაგან განსხვავებით, რომელიც ამ ფაქტს აშრაფის მიერ საქართველოს დაუფლებად მიიჩნევს,<sup>47</sup> ვ. კიკნაძე საქართველოს დამოუკიდებლობის არგუმენტად თვლის.<sup>48</sup> ვფიქრობთ, ეს არც ერთია და არც მეორე. აშრაფს, რომელიც ჯერ კიდევ ღიად არ უპირისპირდებოდა თავის ძმას, შეეძლო გარიდებოდა მას ჩობანიანთა კონტროლის ქვეშ მყოფ პროვინციაშიც, კერძოდ საქართველოში, რომელიც 1347 წლის მოვლენებში ჯერ კიდევ ჩობანიანთა კონტროლის ქვეშ მყოფ პროვინციებს შორის არის მოხსენიებული, სადაც ჩობანიანთა ერთგული ამირები დაინიშნენ. თუმცა ვ. კიკნაძეს ამავე მემატიანის ზემომოტანილი 1347 წლის ცნობაც ასევე საეჭვოდ მიაჩნია,<sup>49</sup> რადგან მემატიანე არ ასახელებს კონკრეტულ ბრძოლას. მკვლევარი

<sup>42</sup> Hafiz-i Abru, *Chronique des Rois Mongols en Iran*, 131.

<sup>43</sup> იქვე, 107.

<sup>44</sup> იქვე, 148.

<sup>45</sup> იქვე, 136.

<sup>46</sup> იქვე, 136.

<sup>47</sup> Lang, "Georgia", 91.

<sup>48</sup> კიკნაძე, *საქართველო XIV საუკუნეში*, 94.

<sup>49</sup> იქვე, 89-95.

ეკამათება დ. ლენგს და ვ. გაბაშვილს, რომლებიც ჰაფიზ-ი აბრუს ცნობაზე დაყრდნობით მიიჩნევენ, რომ დაპყრობილი იყო მხოლოდ აღმოსავლეთი საქართველო, თუმცა საკითხის პრინციპულად გასარკვევად იმის დაზუსტება, თუ საქართველოს რომელი ნაწილი იყო დაპყრობილი, მნიშვნელოვანი არ არის. მხოლოდ ის, რომ წყაროს ცნობაში საქართველო იხსენიება, ხოლო მკვლევრები მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს უთითებენ, არანაირად არ გამოდგება წყაროს ცნობის ეჭვის ქვეშ დასაყენებლად. უფრო მეტიც, ჰაფიზ-ი აბრუს მიერ ზოგადად გურჯისტანის მოხსენიება იმ წლებში, როდესაც საქართველო ერთიანი სამეფოა, სავსებით მოსალოდნელია, ხოლო დ. ლენგის და ვ. გაბაშვილის დაზუსტება გაუმართლებელი.

ჰასან მცირეს მიერ 1338 წელს საქართველოს დაპყრობის შესახებ ჰაფიზ-ი აბრუს თხზულებიდან ზემოთ მოტანილი ნაწყვეტის ეჭვქვეშ დასაყენებლად ვ. კიკნაძეს დამონმებული აქვს ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა, „რომელმან ნოინთაგანმან დაიპყრა ადრაბაგანი, ამანვე იწყობად სომხითისა, რანისა და მოვაკანისა და მოვიდა განჯას, რათა დაიმორჩილოს გიორგი მეფეცა“.<sup>50</sup> „იქმნა ბრძოლა ძლიერი; გარნა ძალითა ღუთისათა მოსრნა მეფემან ბანაკნი მათნი და ივლტოდნენ და მოსწყუედდნენ სპანი მეფისანი მახვილითა და შემოიქცა გამარჯუებული, ალაფითა დიდითა“.<sup>51</sup> მკვლევარის დასკვნით, ვახუშტის ცნობა „ბრძოლაში ქართველთა გამარჯვების შესახებ სწორი უნდა იყოს“, რადგანაც, მისი ვარაუდით, ვახუშტის თანადროული სანდო წყაროები უნდა გამოეყენებია, „საქართველოსა და ილხანთა მემკვიდრეებს შორის ბრძოლას ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა და ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა“.<sup>52</sup> სხვა შემთხვევაში იგივე მკვლევარი აღნიშნავს, რომ „შეუძლებელია საქართველოს მეფეს გიორგი V-ს არ ესარგებლა საილხანოში შექმნილი სიტუაციით და საბოლოოდ არ აღმოეფხვრა მონღოლთა ბატონობა საქართველოში“.<sup>53</sup>

**ნუმიზმატიკური მონაცემები.** სამეცნიერო ლიტერატურაში დასაბუთებული მოსაზრებით, გიორგი ბრწყინვალეს არასდროს მოუჭრია ეროვნული ხასიათის მონეტა.<sup>54</sup>

არაერთხელ გამოითქვა ვარაუდი, რომ ილხანების დაცემის ხანაში საქართველო კვლავ ილხანებს ექვემდებარებოდა. ზემომოტანილი აბუ ბაქრ

<sup>50</sup> ბატონიშვილი ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 258.

<sup>51</sup> იქვე, 258-9.

<sup>52</sup> ვ. კიკნაძე, „საქართველოსა და ჩობანიანების ურთიერთობის ერთი ფაქტის შესახებ (XIV ს.)“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 93, 2, (1979), 501-3.

<sup>53</sup> კიკნაძე, საქართველო XIV საუკუნეში, 70.

<sup>54</sup> ამ საკითხის შესახებ იხ. გიორგი დუნდუა, თედო დუნდუა, ქართული ნუმიზმატიკა, II ნაწ. (თბილისი, 2011), 46.

ალ-აჰარის ცნობის გარდა, ხსენებული ვარაუდის მყარი საფუძველი არის ილხანების სახელზე საქართველოში მოჭრილი მონეტები: არპახანის 736/1335-36, მუჰამედ ხანის 738 /1337-38), სათი ბეგ ხათუნის 739/1338-39, სულეიმან ხანის 740/1339-40, 741/1340-41, 743/1342-43), ანუშირვანის 745/ 1344-45, 748, 750-756/1349-55). როგორც ვხედავთ, 1336 წლის შემდეგაც საქართველოში კვლავ გრძელდებოდა მონეტების ჭრა ილხანების სახელით.<sup>55</sup> მიუხედავად იმისა, რომ გიორგი ბრწყინვალის წლების გასაშუქებლად გამოყენებულ ნუმიზმატიკურ მონაცემებთან დაკავშირებით, ლიტერატურაში, ხშირ შემთხვევაში, აზრთა სხვადასხვაობაა, სწორედ ნუმიზმატიკური მასალის მოშველიებით ბართოლომეი, ფრენი, ლენ-პული, მარკოვი, პახომოვი, ლენგი, ჯალალანია, ღვაბერიძე აკეთებენ დასკვნას იმის შესახებ, რომ საქართველო XIV საუკუნის მანძილზეც სხვადასხვა გარეშე ძალის კონტროლს ქვეშაა.

აბუ საიდის შემდეგ, როგორც აღვნიშნეთ, სპარსეთის ერაყი, აზერბაიჯანი, არანი, მარაღა, ისევე როგორც საქართველო, დაიკავეს ჩობანიანებმა, რომელთა დამარცხებას გარკვეულ დრომდე უშედეგოდ ცდილობდნენ როგორც ჯელაირიანები, ისე ოქროს ურდოს გამგებელი უზბეკ-ხანი. საზღვარი ოქროს ურდოსა და ილხანების სახელმწიფოს შორის გადიოდა დერბენდზე.

წყაროებში არ ჩანს, თუ რა სახის იყო ქართველების დამოკიდებულება ჩობანიანებზე. გარკვეული მინიშნება მათ ურთიერთობაზე არის ალ-‘უმარის თხზულებაში (დაინერა 1340 წლის შემდეგ), სადაც საუბარია ქართველ მეომრებზე: „ისინი ჰულაგუიანთა ლაშქრის ძალასა და სიმდიდრეს წარმოადგენენ, ხოლო (ჰულაგუიანები) ენდობიან მათ და ეყრდნობიან, განსაკუთრებით ჯუბანის შვილები, შვილთაშვილები და სხვა შთამომავალნი ქართველებისადმი ჯუბანის წარსული სიკეთისა და ქველი საქმეების გამო, რომელიც იყო მათი მეფის ბარტილმას გულწრფელი მეგობარი, ნერგავდა მასთან სიკეთეს დამოუწოდებდა დაეცვა (მინდობილი) საგანძური“.<sup>56</sup> მართალია, სულეიმანის შემდეგ ჰულაგუიანთა სახელმწიფოში ხელისუფლება ხელთ იგდეს ჩობანიანებმა, მაგრამ სამხედრო წარმატებების მიუხედავად, ვერც ჰასანმა და ვერც მისმა ძმამ აშრაფმა სულტნად თავის გამოცხადება ვერ გაბედეს. ამდენად, არ არის ცნობილი არც მათი სახელით მოჭრილი მონეტები.<sup>57</sup> ამასთან,

<sup>55</sup> ცილა ღვაბერიძე, *საქართველოს ურთიერთობა ილხანთა ირანთან და ჯელაირთა სახელმწიფოსთან (ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით)* (თბილისი, 1986), 42-3.

<sup>56</sup> XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსების ცნობები საქართველოს შესახებ (ალ-უმარი, ალ-მუჰიბბი, ალ-კალკაშანდი), არაბულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო დიტო გოჩოლეიშვილმა (თბილისი, 1988), 51.

<sup>57</sup> ღვაბერიძე, *საქართველოს ურთიერთობა ილხანთა ირანთან და ჯელაირთა სახელმწიფოსთან*, 40.

ნაპოვნია მონეტები „სამართლიანი სულტნის“ ტიტულით, სულტნის სახელის გარეშე, რომელთაც ე. პახომოვი ჩობანიან აშრაფს უკავშირებს. როგორც ც. ღვაბერიძე აღნიშნავს, ე. პახომოვის კოლექციაში აღმოჩენილია თბილისში მოჭრილი ამ ტიპის მონეტაც, რომელიც ამჟამად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების ქართულ ძირითად ფონდში ინახება.<sup>58</sup> ამდენად, როგორც წერილობითი წყაროები, ასევე ნუმიზმატიკური მონაცემები ადასტურებს საქართველოს დამოკიდებულებას ჩობანიანებზე.

ჩობანიანების მკაცრი რეჟიმის გამო, აზერბაიჯანის ადგილობრივმა ფეოდალებმა დახმარებისათვის ოქროს ურდოს გამგებელს, უზბეკ ხანს (1318-42) მიმართეს, რომელმაც, მიუხედავად არაერთი ცდისა, ვერ მიაღწია მიზანს. ბრძოლები გრძელდებოდა ჯანიბეკის (1342-57) დროსაც, რომელმაც მხოლოდ 758/1356-57 წელს დაამარცხა ჩობანიანი მალიქ აშრაფი, აიღო თავრიზი და შემოიერთა ილხანთა სახელმწიფო. წერილობით წყაროებში მითითებულია 758, მონეტებზე კი – 757 წელი, რაც უფრო ზუსტად არის მიჩნეული.<sup>59</sup> ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებით, ოქროს ურდოს გამგებლებს მცირე ხნით საქართველოს დედაქალაქიც უნდა სჭეროდათ, ვინაიდან 757 წელს თბილისის ზარაფხანაც ახორციელებს სამონეტო რეგალიას ჯანიბეკის და მუჰამედ-ბერდიბეკის სახელით 756-759 წლებს შორის,<sup>60</sup> იმ დროს, როდესაც პარალელურად (759 წ.) თბილისის ვერცხლის მონეტაზე შეიხ უვეისის სახელია აღბეჭდილი.<sup>61</sup> როგორც ცნობილია, სწორედ შეიხ ჰასან ბუზურგის შვილმა, უვეისმა (757-776), დაიპყრო აზერბაიჯანი და საქართველოს სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთით მომიჯნავე ტერიტორიები. როგორც ე. პახომოვი აღნიშნავს, იმის გამო, რომ ქართველი მეფეების დამოკიდებულებაზე ჯელაირიანებზე მატრიანები სდუმან, მონეტების მოწმობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.<sup>62</sup>

XIV ს-ის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოში მიმოქცევაში ილხანთა გარდა, ოქროს ურდოს და ჯელაირიანთა მონეტებიც იყო. დასაბუთებული ვარაუდით, XIV ს-ის 30-იან-იანი წლების დასასრულს ქართველ მეფეთა ქვეშევრდომობაში ჩრდილოეთ ოსეთი შევიდა,<sup>63</sup> რის გამოც ოქროს ურდოს ტერიტორიაზეც გაჩნდა იგივე მონეტები, რაც იყო მიმოქცევაში

<sup>58</sup> იქვე, 40.

<sup>59</sup> დუნდუა და დუნდუა, *ქართული ნუმიზმატიკა*, 52.

<sup>60</sup> E. A. Пахомов, *Монеты Грузии* (Тбилиси, 1970), 190; დუნდუა და დუნდუა, *ქართული ნუმიზმატიკა*, 52; ღვაბერიძე, *საქართველოს ურთიერთობა*, 44-5.

<sup>61</sup> Пахомов, *Монеты Грузии*, 190.

<sup>62</sup> იქვე, 191.

<sup>63</sup> ღვაბერიძე, *საქართველოს ურთიერთობა*, 45.

საქართველოში. მკვლევრის აზრით, სწორედ გიორგი ბრწყინვალის მიერ ოსეთის საქართველოსთან შემოერთების შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში, ოქროს ურდოს ტერიტორიაზე ჩნდება უკანასკნელი ილხანებისა და ჯელაირიანების სახელით მოჭრილი მონეტები. ალაგირის ზარაფხანაში ილხანთა სახელით მონეტები იჭრებოდა 739-759/1338-39 – 1357-58 წლებში. ამიერკავკასიაში კი ჩობანიანთა ბატონობის დროს ჩრდილოეთ ურდოს გამგებლის ჯანიბეკის 757/1356 წ. მონეტის პარალელურად იჭრება ჯელაირიანთა მონეტაც. 757 წელს ჯელაირ ჰასან ბოზორგის სახელით ხდება სამონეტო რეგალიის განხორციელება. ც. ღვაბერიძე ჯელაირიანთა სახელით მონეტების გაჩენას იმ დროს, როდესაც ილხანთა ირანში ჩობანიანთა მმართველობა ოქროს ურდომ დაამხო, ხსნის იმით, რომ ჩობანიანი მელიქ აშრაფი ჯელაირიან ჰასან ბოზორგთან დამარცხების შემდეგ იძულებული გახდა თავი ეცნო მის ვასალად.

იმავე წელს ჩობანიანმა მალიქ აშრაფმა აღიდგინა თავი, ხოლო ადგილობრივებმა კვლავ მიმართეს ჩრდილოეთს დასახმარებლად.<sup>64</sup> აზერბაიჯანის დაუფლების შემდეგ ოქროს ურდოს გამგებელი ჯანიბეკი მალევე ბრუნდება უკან, ხოლო აზერბაიჯანში ტოვებს თავის შვილს ბერდიბეკს, რომელიც, მამის ავადმყოფობის გამო, თვითონაც გადის ქვეყნიდან და ტოვებს თავის ვეზირს ახიჩუკს, რომელიც დამოუკიდებლობას აცხადებს. 759/1357-58 წ. სპარსეთის ერაყი და სამხრეთ აზერბაიჯანი დაიპყრეს მუზაფარიანებმა, რომელთაც, ისევე როგორც ახიჩუკს, იმავე წელს ამარცხებს ჯალაირ შეიხ ჰასან ბუზურგის შვილი, შეიხ უვეისი.<sup>65</sup> ე. პახომოვის აზრით, სწორედ ახიჩუკი ჭრის ჯელაიდურ ანონიმურ მონეტებს.<sup>66</sup> ამგვარად, საქართველოში ფულის ემისია ჯელაირიანებს დაეჭვმდებარა. სწორედ ნუმიზმატიკური მონაცემების გათვალისწინებით გაკეთებულია დასკვნა, რომ გიორგი ბრწყინვალის შვილის, დავით IX-ის და ბაგრატ V-ის მეფობის დროსაც საქართველო კვლავ მონღოლებს ემორჩილება.<sup>67</sup>

აქ განხილული ყველა მონაცემი ადრეც იყო ცნობილი, თუმცა სხვადასხვაგვარად ახსნილი. იმ მკვლევართაგან განსხვავებით, რომლებიც ფიქრობენ, რომ გაერთიანების მიუხედავად, საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა არ იყო მიღწეული XIV საუკუნის მანძილზე („მემატიანის განცხადება, რომ ქართლი სრულიად განმედილია თათართაგან გიორგი

<sup>64</sup> იქვე, 46.

<sup>65</sup> იქვე, 46-7.

<sup>66</sup> Е.А. Пахомов, “Борьба феодальных династий за Восточное Закавказье с половины XIV в. до начала XV в. по монетным данным,” *Краткие сообщения о докладах и полевых исследованиях истории материальной культуры*, Вып. 66 (1956), 48.

<sup>67</sup> ღვაბერიძე, *საქართველოს ურთიერთობა*, 48.



VI-ის დროს, აშკარა გაზვიადებაა“).<sup>68</sup> მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ „როგორც ჯალაირების, ასევე ოქროს ურდოს ყაენთა სახელით მონეტებს ჭრის თვით საქართველოს სამეფო კარი, რომელიც ხელმძღვანელობს მხოლოდ ეკონომიკური მოსაზრებით“. ასე ფიქრობს ვ. კიკნაძე.<sup>69</sup> ანალოგიური აზრი ადრე გამოთქმული ჰქონდა ზოგიერთ ნუმიზმატს, მაგალითად, დ. კაპანაძეს.<sup>70</sup>

**გიორგი ბრწყინვალის მეფობის მეორე ნახევარი (1327 წლიდან).** დავუბრუნდეთ გიორგი ბრწყინვალეს ხანას, კერძოდ იმას, თუ რა ბედი ენია აღმოსავლეთ საქართველოს მეფეს ამირა ჩობანის და მისი ოჯახის მიმართ განხორციელებული რეპრესიების წლებში და შემდგომ? დ. ლენგი მიმართავს პრეცედენტებს საქართველოს ისტორიიდან, კერძოდ, რუსუდანის გადასვლას დასავლეთ საქართველოში ჯალალ ად-დინის შემოჭრის დროს, რუსუდანის შვილის, დავით ნარინის გადასვლას იმავე დასავლეთ საქართველოში მონღოლებთან დაპირისპირების გამო, რის შემდეგაც ვარაუდობს, რომ ასევე მოიქცა გიორგი ბრწყინვალე, რომელმაც გადარჩენის მიზნით თავი ასევე დასავლეთ საქართველოს შეაფარა.<sup>71</sup>

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს, მართლაც, არ არის გამორიცხული, რასაც კვლავ მხარს უჭერს ნუმიზმატიკური მონაცემები.

საინტერესოა, რომ სწორედ 729/1328-29 წლის შემდეგ 1333 წლამდე მონეტები თბილისში აღარ იჭრებოდა. ილხან აბუ საიდს შემოაქვს ახალი წელთაღრიცხვა 733 წლის მონეტაზე – ილხანური ერა, რომელიც 701/1301-02 წლიდან იწყება. მაგრამ ისმის კითხვა: რა ხდებოდა იმ შუალედში და სად იყო იმ დროს გიორგი ბრწყინვალე? არ არის გამორიცხული, რომ დასავლეთ საქართველოში გიორგის გადასვლამდე მოხდა ის ფაქტი, რომელიც იხსენიება „ქართლის ცხოვრების“ რამდენიმე ხელნაწერის (ჭალაშვილისეულის, მაჩაბლისეულის და ჯანაშვილისეულის) მინაწერში: „ამის გიორგი მეფის ჟამში ჩინგიზ ყეენთა მტერობა აღუჩნდათ და ნახდენ, და იმერეთს ნარინ დავითის შვილნიც ერთმანერთზეც აღდგენ, და რა დრო დაიცა მეფე გიორგიმ, ჰერ-კახთა და სომხითის ერისთავნი, რომელნიც ჩინგიზთ მიუდგენ, კახეთს ცივზედ მოანვივა და ამოსწყუტა“.<sup>72</sup> გიორგი გადადის დასავლეთ საქართველოში, სადაც 1327 წელს გარდაიცვალა კონსტანტინე დავით

<sup>68</sup> Пахомов, *Монеты Грузии*, 201.

<sup>69</sup> კიკნაძე, *საქართველო XIV საუკუნეში*, 81.

<sup>70</sup> Д.Г. Капанадзе, “Продолжительность и характер монгольского владычества в Грузии по нумизматическим данным,” *Советская археология*, 2 (1964), 63-78.

<sup>71</sup> Lang, “Georgia”, 86-7.

<sup>72</sup> ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ (თბილისი, 1959), 325.

ნარინის ძე, რომლის ადგილიც დაიკავა მისმა ძმამ მიქაელმა. უკანასკნელი, თავის მხრივ, 1329 წელს გარდაიცვალა და „დაუტყვეა ძე მცირე ბაგრატ“. მართალია, ვახუშტის გადმოცემით, საქართველოს გაერთიანების პროცესი მაქსიმალურად მშვიდობიანად წარიმართა, „ამან ბაგრატ სიყრმით თვისით და დაუმორჩილებლობითა მთავართათა ვერ იკადრა მეფობა, რამეთუ არღარა მოერთნენ ერისთავნი“.<sup>73</sup> ამავე დროს იგივე მთავართა „სათნო იჩინეს მეფობა“ გიორგი ბრწყინვალისა, „ვინაითგან განძლიერდებოდა“.<sup>74</sup> სავარაუდოა, რომ ეს პროცესი არც ისე უმტკივნეულო იყო და ყოველივე ამას დიდი სამუშაოც უძღოდა. „შემოიკრიბნა სპანი თვისნი ძლიერნი, გარდავლო მთა ლიხისა სპითა და ამისი მხილველნი იმერნი ყოველნი მოერთნენ სიხარულითა“, „ბაგრატ ძე მიქელ მეფისა შეიყვანეს აღმზრდელთა და ერთგულთა მისთა ქუთათისს და განამაგრეს ციხე. მცნობი გიორგი მეფე მოადგა ქუთათისს. მაშინ ბაგრატ ვერღარა წინააღმდეგომი და შეჭირვებული რაოდენსამე ჟამსა ევედრა მეფესა გიორგის, რათა არა-რაი ევნოს სიკუდილითა ანუ პატიმრობითა და სცეს სარჩო იმერეთსავე მეფემან, მივიდეს წინაშე მისსა და მისცეს ყოველნი ციხენიცა იმერეთისანი მეფესა, ვინაითგან მოგცა ღმერთმან ძლევა. ამისმან მსმენელმან მეფემან განიხარა და აღუთქუა ყოველნივე აღსრულებად საწადელნი მისნი. სმენელი პირისა ამის გამოვიდა ბაგრატ და მოვიდა წინაშე გიორგი მეფისა და მისცნა ყოველნი ციხე-ქალაქნი და სიმაგრენი იმერეთისანი“. აქ მითითებულია თარიღი – 1330 წ.: „და დასხნა ერისთავნი თვისნი; ხოლო ბაგრატს მისცა საერისთო შორაპნისა და ჰყო მუნ ერისთავად“.<sup>75</sup>

ვახუშტის გადმოცემითაც კარგად ჩანს, რომ დროის დიდი მონაკვეთის მანძილზე მეფე თბილისში არ იმყოფებოდა. ამ ხნის მანძილზე მან მოიარა ოდიში, აფხაზეთი, „განაგნა მუნებურნი და დაიპყრნა ციხენი თჳსად და მისცა ცხოშის საერისთო ბედიელს“, „მოვიდა სამცხეს“, სადაც იმ დროს გარდაცვლილი სარგის ათაბაგის ადგილზე დასვა მისი ძე ყუარყუარე 1334 წელს.<sup>76</sup>

ყურადღებას იქცევს კათოლიკური მისიის დაარსება თბილისში დროის სწორედ იმ მონაკვეთში. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1318 წლიდან სოხუმში არსებული კათოლიკური საეპისკოპოსო, რომლის ეპისკოპოსად ბერნარ მორე დანიშნულა. 1330 წელს კი ამავე თანამდებობაზე პეტრე გერალდი დაუნიშნავთ.<sup>77</sup> აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ იმავე 1318 წელს საქართველოში ჩასულა

<sup>73</sup> ბატონიშვილი ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 257.

<sup>74</sup> იქვე.

<sup>75</sup> იქვე, 257-8.

<sup>76</sup> იქვე, 258.

<sup>77</sup> ვ. კიკნაძე, „საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან“, *მნათობი*, 9 (1962), 156-60.

კათოლიკე იოანე ფლორენციელი, რომელიც იქ 30 წელი დარჩენილა,<sup>78</sup> ამათგან 18 წელი ის თბილისში დაარსებული კათოლიკური საეპისკოპოსოს ეპისკოპოსია.

არსებობს ორი წერილი, რომელიც გაგზავნილია პაპის მიერ გიორგი მეფისადმი. პირველი წერილი გამოგზავნა ავინიონიდან 1321 წლის 15 ოქტომბერს „გიორგის, ქართველთა ბრწყინვალე მეფეს და მის თავადებს“ მონოდებით, შეუერთდნენ რომის წმინდა ეკლესიას. ქართველი მეფის საპასუხო წერილი ცნობილი არ არის. იგივე წერილი ი. ტაბალუას 1322 წლით აქვს დათარიღებული.<sup>79</sup> 1328 წელს პაპმა გააუქმა თურქებისაგან შევინროებული სმირნის საეპისკოპოსო და ის თბილისში გადაიტანა. 1329 წლის ბულით, პაპმა თბილისი ეპისკოპოსის სატახტო ქალაქად აქცია და ბრძანა: „მომავალშიც ყოველთვის ეწოდებოდეს ასევე სახელი: ტფილისის საეპისკოპოსო ქალაქი“;<sup>80</sup> სადაც ეპისკოპოსად დაინიშნა იოანე ფლორენციელი. შემორჩენილია პაპის 1329 წლის მიმართვა საქართველოს მეფისადმი, კვლავ შემოერთების მონოდებით, თუმცა აქ არც მეფის სახელი და არც მისი ადგილსამყოფელი მითითებული არ არის.<sup>81</sup> თუ ვივარაუდებთ, რომ გიორგი ამ დროს აღარ არის თბილისში და თავს აფარებს დასავლეთ საქართველოს, შესაძლოა, სწორედ იმ დროს თბილისში საეპისკოპოსოს დაარსება ერთგვარი დიპლომატიური ნაბიჯიც ყოფილიყო. ახლად დაარსებული თბილისის საეპისკოპოსო პაპმა დაუმორჩილა სულტანიეში 1318 წელს დაარსებულ საეპისკოპოსოს,<sup>82</sup> როგორც ჩანს, სწორედ იმის გამოც, რომ პოლიტიკურადაც საქართველოს ილხანთა კონტროლის ქვეშ მიიჩნევედა. არ არის გამორიცხული, რომ იმ დაძაბულ პერიოდში, როდესაც რეპრესიები დიდ ვეზირ ჩობანის ყველა ახლობელს შეეხო, სწორედ კათოლიკეები მონაწილეობდნენ საქართველოს მეფის და ილხან აბუ-საიდს შორის მოლაპარაკებაში, რის შედეგადაც გიორგის შესაძლებლობა მიეცა მალევე დაბრუნებულიყო თბილისში. ვ. კიკნაძეს შესწავლილი აქვს ზოგიერთი ევროპული წყარო, სადაც, ერთ შემთხვევაში, მოტანილია გიორგი ბრწყინვალის პასუხი ფილიპე VI ვალუასადმი, რომელიც 1332/3 წწ. თავისი ელჩების, ორი ფრანცისკანელის, რიკარდო მერჩერისა და ალექსანდრე ინგლისელის მეშვეობით სთავაზობდა საქართველოს მეფეს ერთობლივ

<sup>78</sup> მ. თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის წამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე* (თფილისი, 1902), 39.

<sup>79</sup> ი. ტაბალუა, *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.)* (თბილისი, 1984), 203.

<sup>80</sup> მ. თამარაშვილი, *ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე*, რედაქცია გაუკეთეს, წინასიტყვაობა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს ზაზა ალექსიძემ და ჯუმბერ ოდიშელმა (თბილისი, 1995), 498, 501; თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა*, 30-5.

<sup>81</sup> თამარაშვილი, *ქართული ეკლესია*, 501.

<sup>82</sup> თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა*, 39.

ლაშქრობას ეგვიპტეზე. აღსანიშნავია, რომ ფრანცისკანელი ელჩები გიორგი V-მ თბილისში პატივით მიიღო და ორი თვის მანძილზე უმასპინძლა. ასეთივე წინადადებით პაპმა მიმართა სპარსეთის ილხან გამგებელს, რომელიც, აბუ საიდს არ გადასცეს იმის გამო, რომ 1323 წელს მას უკვე დადებული ჰქონდა ზავი ეგვიპტის სულთანთან. დოკუმენტი 1919 წ. გამოაქვეყნა ი. ჯ. გოლუბოვიჩმა (კარდინალი იერონიმე), რომელიც აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აკეთებს შემდეგ კომენტარს: „მისი (გიორგის) რეზიდენცია იყო თბილისში და იგი დამოუკიდებელი იყო სპარსეთის მონღოლებისაგან“. გოლუბოვიჩის აზრი მონღოლთა კონტროლისაგან საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ გაიზიარა ჟანრიშარმა. ვ. კიკნაძის მსჯელობითაც, „განასაფრანგეთის მეფე „წმინდა მიწებზე“ გასალაშქრებლად ცალკე მიიწვევდა გიორგი V-ს, თუკი ის აბუ საიდ-ყაენის ვასალი იყო?“<sup>83</sup> ვ. კიკნაძეს მოტანილი აქვს მარინო სანუტოს 1330 და 1334 წწ. ორი წერილი, სადაც ერთი და იგივე ცნობებია საქართველოზე.<sup>84</sup> მარინო სანუტოს ცნობით, ქართველები „ერთგვარად მორჩილებენ სათათრეთს, (მაგრამ), მეორე მხრივ, ფაქტობრივად არც (ემორჩილებიან მას)“. მარინო სანუტო საქართველოს ორ სამეფოს იხსენიებს. ეს წერილები, როგორც ჩანს, ასახავს იმ დროის ვითარებას, როდესაც ქართველი მეფე ჯერ კიდევ დასავლეთ საქართველოშია და გასულია მონღოლების მორჩილებიდან.

საყურადღებო ცნობებს საქართველოზე ჩვენთვის საინტერესო წლებში გვაძლევს ზემოთ დამონშემული არაბი ავტორი ალ-‘უმარი (1301-49), რომლის თხზულება 1340 წლის შემდეგ, მის ახლო ხანებში, დაინერა. აღნიშნული ნაშრომი გამოიყენეს და შეავსეს სირიელმა ავტორმა თაკი ად-დინ ‘აბდ არ-რაჰმან ალ-კადავი ალ-მუჰიბიმ (გარდ. 1384 წ.) და ცნობილმა ეგვიპტელმა ენციკლოპედისტმა შიჰაბ ად-დინ აბუ ლ-‘აბბას აჰმად იბნ ‘ალი ალ-კალკაშანდიმ (1355-1418). ალ-‘უმარის ინფორმაციით, „ქართველთა ქვეყნის დედაქალაქია თბილისი... მას ჰყავს მეფე და მეფობა იქ მუდმივია. მასზე ბატონობს ირანის სამეფოს ჰულაგუიანთა სახლის სულტანი, რომლის ფირმანები მოდის (საქართველოში), მაგრამ მისი ნიაღვარი ნაპირებს არ ლეკავს და არ დაძრწიან ამ ქვეყნის სანახებში მისი მხედრები გაჩაღებული ომის გამო. მას (სულტანს) იქ ჰყავს მხოლოდ ერთი დუმანი ლაშქარი, რომელსაც იყენებს ამ (ქვეყნის) საზღვრების დასაცავად და მის საქმეთა სამართავად“.<sup>85</sup> დ. გოჩოლეიშვილის კომენტარით, ალ-‘უმარის ცნობა, რომ ილხანებს საქართველოში მხოლოდ ერთი დუმანი (10,000) ლაშქარი ჰყავდათ, XIV ს. 20-იანი წლების მიწურულს ეხება, რადგან მას

<sup>83</sup> ვაჟა კიკნაძე, „საქართველოს ისტორიის ევროპული წყაროები“, *მნათობი*, 4 (1983), 158-64; მისივე, „საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან“, 156-60.

<sup>84</sup> კიკნაძე, „საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან“, 161.

<sup>85</sup> XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსების ცნობები საქართველოს შესახებ, 51.

უშუალოდ მოსდევს თხრობა ილხანთა ირანის გამგებლის აბუ საიდის (1317-36) ვაზირის, ჩობანის ვაჟის შეიხ მაჰმუდის შესახებ, რომელიც საქართველოში მყოფი მონღოლთა სამხედრო ძალის მეთაური იყო.<sup>86</sup> აღნიშნული კომენტარი მოკლებულია დამაჯერებლობას, რადგან ალ-‘უმარი, ამბების გადმოცემისას, სრულიადაც არ იცავს ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას. მოტანილი ინფორმაცია ადრეულ ვითარებასაც რომ ასახავდეს, როგორ უნდა ავხსნათ მომდევნო ცნობა, სადაც ავტორი ეხება ქართველთა ლაშქარს, რომელიც, მისი აზრით, „ჰულაგუიანთა ლაშქრის ძალასა და სიმდიდრეს“ წარმოადგენს, „ხოლო (ჰულაგუიანები) ენდობიან მათ და ეყრდნობიან, განსაკუთრებით ჯუბანის შვილები, შვილთაშვილები და სხვა შთამომავალნი“,<sup>87</sup> რომელიც უკვე ნამდვილად ჩობანის განადგურებიდან კარგა ხნის შემდგომ წლებს ეხება. ნაშრომის შექმნის წლებს სავსებით შეეფერება ცნობა იმის შესახებაც, რომ ქართველთა ქვეყნის დედაქალაქი თბილისია, რადგან იმ წლებში საქართველო გაერთიანებულია. როგორც თვითონ დ. გოჩოლეიშვილი შენიშნავს, ეგვიპტის სულტნის სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე ყოფნის გამო, ავტორი კარგად იყო ინფორმირებული ირანისა და საქართველოს შესახებ. ვფიქრობთ, ალ-‘უმარის ცნობები სანდოა და ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. როგორც ჩანს, ეჭვის მიზეზია ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული აზრი იმის შესახებ, რომ გიორგი ბრწყინვალემ საქართველო არამარტო გააერთიანა, არამედ 20-იანი წლების დასასრულს მას სრული დამოუკიდებლობა მოუპოვა.

დაბოლოს, კიდევ ერთხელ შევეხები ჯვრის მონასტრის გამოხსნის მიზნით 1316/17 და 1320 წლებში საქართველოდან გაგზავნილი ელჩების საკითხს. არაბი ავტორის, ალ-მაკრიზის ცნობით, რომელიც 716/26.III.1316–15.III.1317 წლის მოვლენებშია მოთავსებული, ნათქვამია:

„ამ წელს მოვიდნენ უზბეკის ელჩები, ქართველთა მეფის ელჩები და ტულაის, უზბეკის ნათესავის, ელჩები საჩუქრებით. მათ პასუხი გაცვა და გაეგზავნა მათ საჩუქრები. და ამ წელს ეგვიპტეში შეიკრიბა 8 ელჩი. ესენია: ჩობანის ელჩები, აბუ სა’იდის, უზბეკის, ტულაის, ბარსელონას მფლობელის (საჰიბ), სტამბოლის მფლობელის, ნუბიის მფლობელისა და ქართველთა მეფის ელჩები. ყველა მათგანმა გამოხატა მორჩილება. ამის მსგავსი არ მომხდარა თურქების სახელმწიფოში (ად-დავლა ათ-თურქია, ე.ი. ბაჰრელ მამლუქთა სახელმწიფოში – გ.ა.). ყველაზე მეტი, 5 ელჩი იყო ზაჰირის (იგულისხმება აზ-ზაჰირ ბეიბარსი, 1260-77 – გ.ა.) ხელმწიფობის პერიოდში“.<sup>88</sup>

<sup>86</sup> იქვე, 21.

<sup>87</sup> იქვე, 51.

<sup>88</sup> ალ-მაკრიზი, *ას-სულუქ ლი-მა’რიფათ დჟუვალ ალ-მულუქ*. თაჰკიკ მუჰამმად ‘აბდ ალ-კადირ ‘ატა, ალ-ჯუზ’ ას-სანი, ბაჰრუთ, 1997, 517. თარგმანი მოგვანოდა გ. ჯაფარიძემ.

ვინაიდან ცნობაში ჩობანი და აბუ საიდი იხსენიებიან, არ არის გამორიცხული გიორგი მეფის მონაწილეობაც, მაგრამ ელჩების საერთო რიცხვში – 8, საქართველოდან მხოლოდ ერთი ელჩი შეიძლება ვიგულისხმოთ. ეს ერთი ელჩი ცნობაში ორჯერ არის მოხსენიებული. პირველ შემთხვევაში ქართველთა მეფის გარკვეულ კონტექსტში მოხსენიება შესაძლებელს ხდის მის იდენტიფიკაციას. ქართველთა მეფის ელჩის ოქროს ურდოს გამგებლის უზბეკის ელჩთან, მისი ნათესავის, ტულაის, ელჩთან ერთად მოხსენიება იმაზე მიუთითებს, რომ აქ, ამ შემთხვევაში, დასავლეთ და არა აღმოსავლეთ საქართველოს მეფე იგულისხმება. იგივე ვითარებაა 1320 წლის ელჩობასთან დაკავშირებით. აღ-‘აინის ცნობით, 1320 წლის 8 მაისს სულტნის წინაშე წარსდგნენ უზბეკის ელჩები, ქართველთა მეფის ელჩები და ლასკარისის ელჩები<sup>89</sup> (ე.ი. კონსტანტინოპოლის მმართველ დინასტიად არაბული წყაროები შეცდომით მიიჩნევენ ლასკარებს, რომლებიც XIII ს-ის 60-იანი წლებიდან პალეოლოგოსებმა შეცვალეს). იმ დროს, როდესაც აღმოსავლეთ საქართველო და სამცხე ილხანების, კილიკიის სომხეთის, რუმის სასულტნოს და რომის პაპის მოკავშირეები არიან, დასავლეთ საქართველო ბუნებრივად გაერთიანებულია ილხანებთან და რომის პაპთან დაპირისპირებულ ძალასთან – ოქროს ურდოსთან, ეგვიპტესთან და ბიზანტიასთან. აღნიშნული არ გამორიცხავს გიორგი ბრწყინვალის წვლილს ჯვრის მონასტრის დაბრუნების საქმეში, მაგრამ ეს უნდა მომხდარიყო მას შემდეგ, რაც დაიდო ზავი ილხანთა და ეგვიპტის სულტანს შორის.<sup>90</sup>

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

1. 1329-34 წლებში გიორგი ბრწყინვალემ, რომელმაც ისარგებლა ილხანთა სამეფოში შექმნილი ვითარებით, ჩამოიშორა პოლიტიკური მონინალმდეგეები და აღადგინა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, ქვეყანას შეუქმნა მყარი სამართლებრივი საფუძველი, მოაწესრიგა საეკლესიო სფერო. 1329-32/3 წლებში იგი დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდა და გასული იყო მონღოლთა მორჩილებიდან. სწორედ იმ მონაკვეთში საქართველოში ილხანური მონეტა აღარ იჭრებოდა; თუმცა იმ დროისათვის უკვე გაერთიანებული საქართველოს მეფემ მალევე აღიდგინა ილხანებთან ურთიერთობა და დაბრუნდა თბილისში, რაც მონღოლების მორჩილებაში ამჯერად უკვე გაერთიანებული საქართველოს შეყვანას გულისხმობდა.

2. როგორც შესაბამისმა გამოკვლევებმა აჩვენა, გიორგი ბრწყინვალეს არ უკავშირდება ეროვნული მონეტის („გიორგაული“) მოჭრა და მის დროს

<sup>89</sup>В. Тизенгаузен, *Сборник материалов, относящихся к истории Золотой Орды*, т. II, извлечения из сочинений арабских (Санкт-Петербург, 1884), 520.

<sup>90</sup> გიული ალასანია, „ქართველი მეფეების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან მე-14 საუკუნის პირველ ნახევარში“, კრ. *ნოდარ შენგელია*, 75 (თბილისი, 2008), 31-2.

მიმოქცევაში იყო ილხანური მონეტები, ხოლო მოგვიანებით ჩობანიანთა, ოქროს ურდოსა და ჯელაირიანთა მონეტები;

3. 1338-9 წლებში გიორგი ბრწყინვალემ დაიპყრო ოსეთი, რის შემდეგაც ოქროს ურდოს ტერიტორიაზე ილხანური მონეტები გავრცელდა;

4. მიუხედავად უცხო ხელისუფლებაზე ფორმალური დამოკიდებულებისა, რაზედაც მეტყველებს მონღოლთა 10,000-იანი ჯარის დგომა საქართველოს საზღვარზე, ასევე მიმოქცევაში მყოფი უცხოური მონეტა, საქართველო საკმაოდ ფართო შიდა ავტონომიით სარგებლობდა;

5. ფორმალურად საქართველო კვლავ ილხანთა კონტროლის ქვეშ რჩებოდა, რომელთა ჩანაცვლება 1338 წ. მოხდა ჯერ ჩობანიანებით, შემდეგ ოქროს ურდოს გამგებლებით 757/1356 წ., ხოლო პარალელურად და შემდეგ ჯელაირიანებით, რასაც მოწმობს როგორც წერილობითი წყაროები, ასევე ნუმიზმატიკური მონაცემები;

6. რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, აქ ქვეყნის შესაძლებლობები შეზღუდული იყო. ჩვენამდე მოღწეული წყაროებით, არ ივარაუდება გიორგი ბრწყინვალის მონაწილეობა 1316/7, 1320 წლებში ჯვრის მონასტრის დახსნის მიზნით მოწყობილ ელჩობაში. იმ წლებში ელჩები გაიგზავნა, როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოს მეფის, კონსტანტინეს მიერ.

ყოველივე ზემოთქმული არ აკნინებს გიორგი V დამსახურებას ქართველი ერის წინაშე და მის ისტორიულ როლს ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანების, მისთვის სამართლებრივი საფუძვლის შექმნის, საეკლესიო საქმეების მონესრიგების თვალსაზრისით, მეფის, რომელიც დამსახურებულად ატარებს „ბრწყინვალის“ სახელს.

### ბიბლიოგრაფია

ალასანია გიული. ქართველი მეფეების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან მე-14 საუკუნის პირველ ნახევარში. კრ. ნოდარ შენგელია, 75. თბილისი, 2008

ბერძენიშვილი ნ., დონდუა ვ., დუმბაძე მ., მელიქიშვილი გ., მესხია შ., რატიანი პ. საქართველოს ისტორია. თბილისი, 1958

ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბილისი, 1973

ბერაძე თ., სანაძე მ. საქართველოს ისტორია. თბილისი, 2003

გაბაშვილი ვ. საქართველოში მონღოლთა ბატონობის ხანგრძლივობის საკითხისათვის. აღმოსავლური კრებული, I. თბილისი, 1960

დუნდუა გიორგი, დუნდუა თედო. ქართული ნუმისმატიკა. II ნაწილი. თბილისი, 2011

თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე, ავტორის მიერ გამოცემული. თფილისი, 1902

თამარაშვილი მ. ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე. რედაქცია გაუკეთეს, წინასიტყვაობა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს ზაზა ალექსიძემ და ჯუმბერ ოდიშელმა. თბილისი, 1995

კიკნაძე რევაზ. მე-14 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიიდან (ჰამდალაჰ ყაზვინის ერთი ცნობის განმარტება). საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები, II, თბილისი, 1992

კიკნაძე ვაჟა. საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან. მნათობი, 9, 1962

კიკნაძე ვაჟა. საქართველოსა და ჩოხანთანების ურთიერთობის ერთი ფაქტის შესახებ (XIV ს.). საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 93, 2, 1979

კიკნაძე ვაჟა. საქართველოს ისტორიის ევროპული წყაროები. მნათობი, 4, 1983

კიკნაძე ვაჟა. საქართველო XIV საუკუნეში. თბილისი, 1989

ალ-მაკრიზი. ას-სულუქ ლი-მა'რიფათ დუვალ ალ-მულუქ. თაჰკიკ მუჰამმად 'აბდ ალ-კადირ 'ატა. ალ-ჯუზ' ას-სანი, ბადრუთ, 1997

XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსების ცნობები საქართველოს შესახებ (ალ-უმარი, ალ-მუჰიბბი, ალ-კალკაშანდი). არაბულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო დიტო გოჩოლეიშვილმა. თბილისი, 1988

ტაბალუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.). თბილისი, 1984

ურბნელი ნ. გიორგი ბრწყინვალე მეფე საქართველოსი. ტფილისი, 1889

ჯავახიშვილი ი. ქართველი ერის ისტორია. ტ. III. თბილისი, 1966

ქართლის ცხოვრება. ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959

ღვამბერიძე ც. საქართველოს ურთიერთობა ილხანთა ირანთან და ჯალაირთა სახელმწიფოსთან. თბილისი, 1986

ჯანაშვილი მ. საქართველოს ისტორია. თფილისი, 1894

Ашурбейли С. Б. Ресалей-е Фалакийе Абдаллаха Ибн Мухаммад Ибн Кия Ал-Мазандарани как источник по социально-экономической истории Грузии. Источниковедческие разыскания, Тбилиси, 1979

Абу Бакр ал-Кутби ал-Ахари. История шейха Увейса. Пер. М. Д. Кязимова, В.З. Пириева. Баку, 1984



Капанадзе Д.Г. Продолжительность и характер монгольского владычества в Грузии по нумизматическим данным. Советская археология, 2, 1964

Лэн-Пуль, Стэнли. Мусульманские династии. Москва, 2004

Пахомов Е.А. Борьба феодальных династий за Восточное Закавказье с половины XIV в. до начала XV в. по монетным данным. Краткие сообщения о докладах и полевых исследованиях истории материальной культуры, Вып. 66, 1956

Пахомов Е.А. Монеты Грузии. Тбилиси, 1970

Тизенгаузен В. Сборник материалов, относящихся к истории Золотой Орды. Т. II, извлечения из сочинений арабских. Санкт-Петербург, 1884

The Geographical part of the Nuzhat al-Qulub composed by Hamdallah Mustawfi of Qazwin in 740 (1340). Translated by G. Le Strange. Leyden, 1919

Grousset, Rene. L'empire des steppes. Attila, Cengiz Khan, Tamerlan. Paris, 1982

Hafiz-i Abru. Chronique des Rois Mongols en Iran. Texte persan edite et traduit par K. Bayani, II. Paris, 1936

Histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'au XIX siècle traduite du Géorgien par M. Brosset. I- re partie, Histoire ancienne, jusqu'en 1469 de J.-C. S-Pétersbourg, 1849

Lang D. M. Georgia in the Reign of Giorgi the Brilliant (1314-1346). Bulletin of the School of Oriental and African Studies, Vol. 17, No. 1, 1955

## The Issue of Georgia's Independence During the Reign of Giorgi the Brilliant

*Giuli Alasania*

### Summary

In the scholarly literature there are some exaggerations about Giorgi V's (1318-46) merit in regaining political independence for Georgia. The duration of Mongol rule over Georgia is still under dispute. Considering the different sources related to the issue the author of the present paper comes to the following conclusions:

In 1328/9–34, Giorgi the Brilliant took advantage of the situation in Ilkhanid state, got rid of domestic political adversaries, restored the territorial integrity of Georgia, established a sustainable legislative basis for the state, restored order in the ecclesiastical sphere. In 1328/9–1332/3 he was in western Georgia, out of Mongol obedience. At that time the Ilkhan coin was not minted in Georgia. Meanwhile, the king of already united Georgia restored relationships with Ilkhans, returned to Tbilisi and under the Mongol rule;

1. National coinage (“Giorgauli”) is not connected with Giorgi the Brilliant and during his reign Ilkhans’, later Chobanids’, Golden Hordes’ and Jalairids’ coins were minted according to the political dependence of Georgia;

2. In 1338-9 Giorgi the Brilliant occupied Ossetia and since that time Ilkhanid coins were spread in the lands controlled by the Golden Horde.

3. Regardless of formal dependence on foreign power, as evidenced by the remaining 10,000 Mongol troops on the Georgian border, as well as by minted foreign coins, Georgia regained territorial integrity and enjoyed wide autonomy;

4. Georgia formally remained under Ilkhans rule, which was replaced in 1338 by Chobanids’, later by the Golden Horde’s in 757 (1356) and at the same time and continuing later by Jalairids’ control. This is confirmed by the written sources as well as by the numismatic data;

5. As for international policy the possibilities of eastern Georgia were limited. Until 1323 the participation of Giorgi the Brilliant, the king of eastern Georgia, in sending of envoys to the Holy land in 1316/17 and 1320 can’t be presumed. It seems that the envoys in those years were sent by the king of western Georgia, Constantine.

6. Although Giorgi the Brilliant didn’t regain political independence for the country, this doesn’t diminish his historic role and merit for the Georgian nation. Since Giorgi the Brilliant united Georgia, laid a legislative foundation in the country, brought the church to order, and thanks to him the country survived Mongol rule, he deserved the nickname “Brilliant” bestowed upon him by the Georgians.

### III

## ირან-საქართველოს ურთიერთობები შაჰ სეფი I-ის ზეობის ხანაში

*ნანა გელაშვილი*

სეფიანთა ირანის და საქართველოს ურთიერთობების ისტორიაში მრავალმხრივ საყურადღებო პერიოდია XVII საუკუნის 20-იანი წლების მიწურულიდან 40-იანი წლების დასაწყისამდე, რამდენადაც აღნიშნული ხანა არა ერთი მნიშვნელოვანი ფაქტითა და მოვლენით აღინიშნა. სეფიანთა სახელმწიფოს სათავეში შაჰ სეფი I-ის (1629-42) მოსვლით ორი ქვეყნის ურთიერთობებში ახალი ეტაპი დაიწყო. ცნობილია, რომ შაჰ აბას I (1587-1629) თავისი ზეობის უკანასკნელ წლებში იძულებული გახდა ძალადობრივი მეთოდები საქართველოს მიმართ, უფრო ლიბერალურით შეეცვალა, რაც განპირობებული იყო ახლო აღმოსავლეთში და ამიერკავკასიის რეგიონში იმხანად შექმნილი პოლიტიკური ვითარებით. შაჰ აბას I-ის მიერ დაწყებული ახლებური, ე.წ. კომპრომისული კურსი რეალურად ცხოვრებაში მისი ტახტის მემკვიდრე შვილიშვილის – შაჰ სეფი I-ის ზეობის ხანაში განხორციელდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში XVII საუკუნის 20-იანი წლების მიწურულს საკმაოდ მძიმე ვითარება იყო: ქართველ მეფე-მთავართა უმეტესობა ერთმანეთთან მტრულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა, რაც ადეკვატურად აისახებოდა მათ საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციაში სეფიანთა სახელმწიფოსთან, ოსმალეთის იმპერიასთან, რუსეთთან და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან, ანუ მთლიანად გარე სამყაროსთან მიმართებაში. ამის მიუხედავად, თითოეული მათგანი, უთუოდ, ერთი საერთო მიზნისათვის იღვწოდა, რაც სამშობლოს უსაფრთხოების დაცვის ინტერესით იყო ნაკარნახევი. საამისოდ ისინი დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლის პარალელურად, გარკვეული დოზით დათმობებზეც მიდიოდნენ, მოქნილი პოლიტიკური თუ დიპლომატიური სვლების საშუალებით. ყოველივე ამის თაობაზე უხვი მასალა მოიპოვება როგორც ქართულ, ისე უცხოურ (სპარსულ, თურქულ, სომხურ, რუსულ და ევროპულ) წერილობით წყაროებში.

სანამ უშუალოდ ირან-საქართველოს ურთიერთობებს განვიხილავდეთ, უპრიანია ორიოდ სიტყვით შაჰ სეფი I-ის პიროვნული პორტრეტის წარმოჩენა, რომლის ზეობის პერიოდშიც ჩვენთვის საინტერესო მოვლენები ვითარდებოდა.

სამ-მირზა (ასე ერქვა მას გამეფებამდე) შაჰ აბასის უფროსი ვაჟის, სეფის ძე იყო, რომელიც შაჰს ქართველი ქალისაგან შეეძინა. 1615 წელს შაჰ აბასმა სეფი-მირზა ლალატის ეჭვის გამო მოაკვლევინა, თუმცა უფლისწული უდანაშაულო აღმოჩნდა და შაჰი თურმე ძალიან ნანობდა თავისი ქმედების გამო.<sup>1</sup> „კარმელიტების ქრონიკა“ გვაუწყებს, რომ სამ-მირზა 3 წლის იყო, როდესაც მამა მოუკლეს. ის ძალზე ჭირვეული, მგრძობიარე და სუსტი ჯანმრთელობის ბავშვი იყო და შაჰ აბასის ბრძანებით, მას ოპიუმის დღიურ ნორმას ასმევდნენ.<sup>2</sup> სამ-მირზას დედა კი, რომელმაც კარგად უწყოდა სასახლის კარის ინტრიგების შესახებ, შვილს განსაკუთრებულად უფრთხილდებოდა და ყველა ღონეს მიმართავდა, რომ ის ჯანმრთელი და ღონიერი გაზრდილიყო.<sup>3</sup> ასეა თუ ისე, საისტორიო წყაროებიდან ცნობილია, რომ შაჰ აბასს ძალიან უყვარდა სამ-მირზა, ანებივრებდა და სწორედ მას მოიხზრებდა თავის მემკვიდრედ. როგორც ჩანს, ამით ის უსამართლოდ დასჯილი შვილის სისხლის გამოსყიდვას ცდილობდა, რომ სეფი-მირზას კუთვნილი სამეფო გვირგვინი მის ვაჟს მაინც რგებოდა.<sup>4</sup>

ადამ ოლეარიუსის ცნობით (რომელიც XVII საუკუნის 30-იან წლებში ირანში იმყოფებოდა ჰოლშტაინის ელჩობის შემადგენლობაში), როდესაც სამ-მირზა გაჩნდა, ორივე ხელი მას სისხლით ჰქონდა სავსე. შაჰ აბასს მაშინ უთქვამს: „ეს ბიჭი გვარიანად დაიბანს ხელებს სისხლში“.<sup>5</sup> მართლაც, გამეფებისთანავე (მამის პატივსაცემად შაჰ სეფის სახელით) მან საშინელი სისხლისღვრა გააჩაღა, მტყუან-მართლის განურჩევლად, მთელი სისასტიკით სჯიდა და ხოცავდა შაჰ აბასის კარზე აღზევებულებს, ასევე თავის ნათესავებს. მას არც ნიჭი და ენერგია მოსდგამდა თავისი პაპისა, სახელმწიფო საქმეებიც ნაკლებად აინტერესებდა და უმეტეს დროს სმასა და გართობაში ატარებდა. ყოველივე ამას ხაზს უსვამენ თანამედროვე ირანელი მკვლევარებიც.<sup>6</sup>

საბოლოოდ სწორედ გადამეტებულმა სმამ იმსხვერპლა მისი ჯანმ-

<sup>1</sup> *Подробное описание Голитинского посольства в Московию и Персию в 1633, 1636 и 1639 гг.*, составленное секретарем посольства Адамом Олеариумом, перевел с немецкого П. Барсов (Москва, 1870), 860-2; ნასროლა ფასლაფი, ზენდეგანი-ე შაჰ აბბას-ე ავვალ, II (თეირანი, 1954), 176 (სპარსულ ენაზე).

<sup>2</sup> *A Chronicle of the Carmelites in Persia and the Papal Mission of the 17<sup>th</sup> and 18<sup>th</sup> centuries*, vol. I. (London, 1939), 314.

<sup>3</sup> მოჰამად აჰმად ფენაჰი სემნანი, *შაჰ აბბას-ე ქაბირ მარდ-ე ჰეზარ ჩაჰრე* (თეირანი, 1991), 258-9 (სპარსულ ენაზე).

<sup>4</sup> ნანა გელაშვილი, *შაჰ სეფი I-ის გამეფების საკითხისათვის. დავით კაციტაძე 80*, რედ. გიული ალასანია (თბილისი, 2009), 143.

<sup>5</sup> *Подробное описание Голитинского посольства в Московию и Персию*, 861-2.

<sup>6</sup> *მაშქურ მოჰამად ჯავად, თარიხ-ე ირან ზამან აზ რუგ ზარ-ე ბასთან თა ასრ-ე ზაჰერ* (თეირანი, 1977); სემნანი, *შაჰ აბბას-ე ქაბირ მარდ-ე ჰეზარ ჩაჰრე*, 265-6.

რთელობა და სიცოცხლე. გარდაცვალებისას ის მხოლოდ 31 წლის იყო. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შაჰ სეფის ზეობის პერიოდში არა ერთი შემთხვევა დაფიქსირებულა, როდესაც ის გულმონყალებას, ხელგაშლილობას და სიკეთეს ამჟღავნებდა, ასევე რელიგიურ შემწყნარებლობას იჩენდა სხვადასხვა კონფესიების მიმართ.<sup>7</sup> ასე რომ, საბოლოო ჯამში, შაჰ სეფი ძალზე წინააღმდეგობრივი ხასიათის და იმპულსურ პიროვნებად წარმოჩინდება.

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, შაჰ სეფი I საქართველოსთან (კონკრეტულად, აღმოსავლეთ საქართველოსთან) მიმართებაში ცნობილია, როგორც ლოიალური და შემწყნარებლური პოლიტიკის გამტარებელი. თუმცაღა, ეს მეტწილად ქართლის ვალის – როსტომის (1633-58), იგივე ხოსრო-მირზა ბაგრატიონის დამსახურება იყო და არა უნიათო შაჰის რაიმე პოლიტიკური აღლოსი. ცნობილი ფაქტია, რომ სწორედ ხოსრო მირზას დიდი ძალისხმევით წყალობით ასცდა სეფიანთა სამეფო კარი დინასტიურ სისხლისღვრას და შაჰ აბას I-ის სურვილისამებრ, შაჰის ტახტი სამ-მირზამ დაიკავა. ფარსადან გორგიჯანიძის და ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, ამიერიდან ხოსრო-მირზას ავტორიტეტი ირანში კიდევ უფრო ამაღლდა, მაღლიერებით აღსავსე ახალგაზრდა შაჰი მას მამას ეძახდა,<sup>8</sup> დიდ ნდობას უცხადებდა და რჩევებსაც მისგან იღებდა სხვადასხვა საკითხის გადანყვეტისას. ამის შესახებ ვრცლად და ხატოვნად მოგვითხრობენ XVII საუკუნის ირანელი მემატრიანეები (ისქანდერ მუნში, მოჰამად იუსუფი, მოჰამად მა'სუმი, მირ თემურ მარაში, მოჰამედ თაჰერ ვაჰიდი), აღსანიშნავია ასევე ევროპელ მისიონერთა და მოგზაურთა მონაცემები. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მირ თემურ მარაშის ცნობები, რომელიც დაწვრილებით აღწერს ხოსრო-მირზას წინდახედულ ნაბიჯებს და სიფრთხილეს იმ მისიის შესრულებისას, რომელიც შაჰ აბასმა თავისი ანდერძით მას დააკისრა.<sup>9</sup> ხოსრო-მირზას მიმართ შაჰ სეფის განსაკუთრებული დამოკიდებულების ნათელ გამოხატულებას წარმოადგენდა მისთვის ქართლის სამეფო ტახტის ბოძება 1632 წელს. ამიერიდან მას როსტომი ეწოდა ქართლის ვალის ტიტულით, იმავდროულად ის „ძმობის მაღალი

<sup>7</sup> Vera B. Moreen, "The Status of Religious Minorities in Safavid Iran 1617-61, *Journal of Near Eastern Studies*, vol. 40, N2 (1981), 179; *The Cambridge History of Iran*, vol. 6, *The Timurid and Safavid Periods*, ed. by Peter Jackson and Laurence Lockhart (Cambridge, 1986), 280.

<sup>8</sup> ფარსადან გორგიჯანიძე, „ისტორია“, გამომცემელი სარგის კაკაბაძე, *საისტორიო მოამბე*, 2 (1925), 238; ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV (თბილისი, 1973), 441.

<sup>9</sup> ნანა გელაშვილი, „მირ თემურ მარაშის ცნობები საქართველოს შესახებ“, *ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, 338 (2001), 152-3.

ტიტულის“ მატარებელი გახდა.<sup>10</sup> შაჰ სეფი I-ის ოფიციალურ საბუთებში ის შემდეგნაირადაა მოხსენიებული: „ჩემი ძმა, ქართლის ვალი როსტომ-ხანი“.<sup>11</sup> ეს ყოველივე იმაზე მიუთითებს, რომ შაჰ სეფი საქვეყნოდ აღიარებდა როსტომს თავის ტოლ-სწორად. სხვა საკითხია, ეს რეალურად ასე იყო თუ არა.

როსტომის ქართლში გამეფებაში ერთგვარი კატალიზატორის როლი შეასრულა თეიმურაზ I-ის (1606-63) და დაუდ-ხან უნდილაძის მიერ განჯა-ყარაბაღში ორგანიზებულმა აჯანყებამ, რომელიც ირანის ხელისუფლების წინააღმდეგ იყო მიმართული. შაჰ სეფიმ სწორედ ასეთ დაძაბულ ვითარებაში გადაწყვიტა როსტომის საქართველოში გაგზავნა, როგორც მისთვის ძალზე სანდო ადამიანის და თანაც გამოცდილი პოლიტიკური მოღვაწისა (როსტომი იმ დროისათვის 67 წლის იყო). ირანში მუსლიმურ ტრადიციებზე აღზრდილი ქართველი ბატონიშვილი მართლაც შესანიშნავ კანდიდატურას წარმოადგენდა ქართლში გასამეფებლად. შაჰის ბრძანებით, უშუალოდ აჯანყების ჩასახშობად, როსტომის ამალას წინ უძღოდა ყიზილბაშთა ჯარი სპასალარ როსტომ-ხან სააკაძის სარდლობით.<sup>12</sup> ხსენებული ამბოხების პერიპეტეები კარგადაა ცნობილი ისტორიოგრაფიაში. კერძოდ, აჯანყებულები დამარცხდნენ, რის შემდეგაც თეიმურაზმა სამეფო ტახტი დაკარგა და მისი ადგილი 1633 წელს როსტომმა დაიკავა.<sup>13</sup> დაუდ-ხანი მცირე ხანს საქართველოში იმალებოდა, შემდეგ კი ოსმალეთს შეაფარა თავი. განრისხებულმა შაჰ სეფიმ ირანში მყოფ უნდილაძეთა საგვარეულოზე იძია შური: უპირველეს ყოვლისა, დაუდ-ხანის უფროსი ძმა და მისი შვილები გამოასალმა სიცოცხლეს, შემდეგ კი თითქმის მთლიანად გაჟლიტა ეს საგვარეულო. თუმცა რამდენიმე მათგანი მაინც გადაურჩა ამ საშინელ რეპრესიებს.<sup>14</sup> ისქანდერ მუნშის სიტყვით, „ალავერდი-ხანის მთელი საგვარეულო, რომელიც ისფაჰანიდან ომანის სანაპირომდე, ერთი თვის სავალ გზაზე ბატონობდა, წყეული დაუდის უღირსი საქციელის გამო, არარაობის ქარს მიეცა“.<sup>15</sup>

<sup>10</sup> მოჰამად იუსუფ, *ხულდ-ე ბარინ*, ბე თასჰიჰ-ე სოჰიელ ხანსარი (თეირანი, 1939), 238 (სპარსულ ენაზე); ისქანდერ მუნში, *აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება*, სპარსულ ტექსტს გამოკვლევა, ქართული თარგმანი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნანა გელაშვილმა (თბილისი, 1981), 57.

<sup>11</sup> ვლადიმერ ფუთურიძე, *სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთ-საცავებში*, წიგნი I, ნაკვ. I (თბილისი, 1961), 48.

<sup>12</sup> მუნში, *აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება*, 58.

<sup>13</sup> ნანა გელაშვილი, „ერთხელ კიდევ როსტომ-ხანის ქართლში გამეფების საკითხისათვის“, *მაცნე, ისტორიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია*, 2 (1993), 28-9.

<sup>14</sup> ნანა გელაშვილი, „უნდილაძეთა საგვარეულო ირანის კულტურულ ასპარეზზე“, *სამეცნიერო პარადიგმები, პროფ. ნათელა ვაჩნაძისადმი მიძღვნილი კრებული* (თბილისი, 2009), 236-7.

<sup>15</sup> მუნში, *აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება*, 59.

დევნილი და შეურაცხყოფილი თეიმურაზი, რომელიც ვერაფრით ეგუებოდა ქართლში როსტომის მეფობას, წლების მანძილზე თავგამოდებით ებრძოდა მას. ამ ბატალიებში მას გვერდს უმაგრებდა იმერეთის მეფე გიორგი III (1605-39). არანაკლებ დრამატულ პროცესებში იყო ჩართული თეიმურაზი ცოტა უფრო ადრე — XVII საუკუნის 20-იანი წლების მინურულს. კერძოდ, როდესაც შაჰ აბას I გარდაიცვალა (1629 წ.) და ოსმალეთმა ომი განაახლა ირანის წინააღმდეგ, თეიმურაზ მეფე შეეცადა შექმნილი ქაოსური სიტუაციით ესარგებლა და ქართლის სამეფო ტახტი მეფე სიმონ II-ისათვის წაერთმია (რომელიც იმხანად ფაქტობრივად, სომხით-საბარათიანოს განაგებდა). საამისოდ ის ყველა ღონეს მიმართავდა და მალე ცნობილი გახდა, რომ სიმონ მეფე მოლაღატურად მოკლა თეიმურაზ მეფის სიძემ — ზურაბ არაგვის ერისთავმა (1630 წ.), რის შემდეგაც ამ უკანასკნელმა თეიმურაზს ქართლის სამეფო ტახტის დაუფლება შესთავაზა. ქართულ საისტორიო წყაროთა ცნობით, თეიმურაზი არ ენდობოდა მოლაღატე ზურაბს, უფრო მეტიც — მის თავიდან მოცილებას ესწრაფოდა და საამისოდ მკვლელიც მიუჩინა, რომელმაც არაგვის ერისთავი სიცოცხლეს გამოასალმა. ამის შემდეგ კი ირანის შაჰისათვის ერთგულების დამტკიცების მიზნით, მოკლული ზურაბის თავი გაუგზავნა და შეუთვალა, რომ ის სიმონ მეფის ლაღატის გამო მოკლა.<sup>16</sup> ფარსადან გორგიჯანიძე გვაუწყებს, რომ შაჰ სეფიმ მას საქციელი მოუწონა და ჯილდოდ „ქართლიცა და კახეთიც ბატონ თეიმურაზს მისცეს და ხალათი და რაყამი გამოუგზავნეს“.<sup>17</sup> აღსანიშნავია, რომ ქართულ წყაროებში აზრთა სხვადასხვაობაა სიმონის მოკვლაში თეიმურაზის მონაწილეობასთან დაკავშირებით. ბერი ეგნატაშვილის, ვახუშტი ბატონიშვილის, მეფე არჩილის „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“ თანახმად, კახეთის მეფე ამაში უდანაშაულო იყო.<sup>18</sup> ფარსადან გორგიჯანიძე, როსტომ მეფე (თავის 1648 წლის სიგელში), ანონიმური „პარიზის ქრონიკა“ (იგივე „ცხოვრება საქართველოსა“) კი თეიმურაზს ზურაბის თანამონაწილედ მიიჩნევენ სიმონის მკვლელობაში.<sup>19</sup>

<sup>16</sup> ბერი ეგნატაშვილი, „ახალი ქართლის ცხოვრება. პირველი ტექსტი“, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II (თბილისი, 1959), 415; ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 437.

<sup>17</sup> გორგიჯანიძე, „ისტორია“, 238.

<sup>18</sup> ბერი ეგნატაშვილი, „ახალი ქართლის ცხოვრება. პირველი ტექსტი“, 413; ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 437; არჩილი, „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“, ჩვენი საუნჯე, ტ. 4 (თბილისი, 1960), 232.

<sup>19</sup> გორგიჯანიძე, „ისტორია“, 236; ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თედო ჟორდანიას მიერ, ნიგნი II (თბილისი, 1897), 461-3; ცხოვრება საქართველოსა (პარიზის ქრონიკა), ტექსტი მოამზადა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო გიული ალასანიამ (თბილისი, 1980), 92.

ფრიად საყურადღებოა ისქანდერ მუნშის მიერ მოწოდებული ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მისი გადმოცემით, თეიმურაზმა სიკვდილით დასაჯა ორგული არაგვის ერისთავი, სიმონის მოკვლის გამო და ამის შესახებ შაჰს აცნობა. „მისმა უდიდებულესობამ ამ სამსახურის საზღაურად, ქართლი, თბილისის ციხის გამოკლებით, მის ვაჟს – გურგენ მირზას<sup>20</sup> უბოძა, რომელსაც მემკვიდრეობის უფლება ჰქონდა დედის მხრიდან“. იქვე ავტორი დასძენს, რომ „თეიმურაზმა სასახლის ზღურბლზე სინამდვილე არასწორად მოახსენა“, შაჰმა კი ეს დაიჯერა<sup>21</sup>. ამრიგად, ნათელია, რომ ისქანდერ მუნშიმ, რომელიც ღრმად იყო ჩახედული სახელმწიფო საქმეებში, როგორც სასახლის კარის ისტორიკოსი, დაზუსტებით იცოდა, რომ თეიმურაზმა შაჰს სიმართლე დაუმალა.

1630 წელს ქართლში დატრიალებულ ტრაგიკულ მოვლენებს ხატოვნად აღწერს იმხანად გორში მყოფი თეათინელი მისიონერი დონ ჯაკომო დი სტეფანო. რომში გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში ის აღნიშნავს, რომ თეიმურაზ მეფემ შაჰს ბოდიში მოუხადა მომხდარის გამო და შეუთვალა, რომ სიმონის სიკვდილში მისი ხელი არ ერია. შემდეგ კი თეიმურაზმა მასთან სტუმრად მოწვეული არაგვის ერისთავი თავის მცველს მოაკვლევინა. ეს ინფორმაცია და თეათინელ მისიონერთა სხვა წერილები იტალიელმა ავტორმა ბართლომეო ფერომ გამოაქვეყნა თავის ნაშრომში „თეათინელ მისიონერთა ისტორია“.<sup>22</sup>

სხვადასხვა წერილობით წყაროთა მონაცემების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე ნათელი ხდება, რომ თეიმურაზ მეფე პირადად არ იყო დაკავშირებული სიმონ მეფის მკვლელობასთან, თუმცა ეს ზედმინწევით ზუსტად მიესადაგებოდა მის ინტერესებს. მართლაც, ზემოხსენებული ტრაგიკული მოვლენების შედეგად, ირანის ხელისუფლების ხელდასხმით, თეიმურაზმა საწადელი აისრულა და ქართლის სამეფო ტახტი მიიღო. ისქანდერ მუნშის სიტყვით, შაჰის წყალობით ამიერიდან თეიმურაზის სამეფო აყვავებისა და აღმავლობის გზას დაადგა.<sup>23</sup> მაგრამ თეიმურაზის კეთილგანწყობა ირანის ხელისუფლების მიმართ მოჩვენებითი აღმოჩნდა, რაც მალევე გამომჟღავნდა. ამის ნათელი დასტურია 1632 წელს დაუდ-ხან უნდილადისა და მის მიერ ორგანიზებული აჯანყება, რის შესახებაც ზემოთ იყო საუბარი.

ამრიგად, განჯა-ყარაბაღის აჯანყების მარცხის შემდგომ ქართლის

<sup>20</sup> აქ, უთუოდ, დავით (დათუნა) ბატონიშვილი უნდა იგულისხმებოდეს.

<sup>21</sup> მუნში, აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება, 54.

<sup>22</sup> Bartolomeo Ferro, *Istoria della Missioni de Chierici Regolari Teatini con le Descricione de Regni, de Quattro Regni della Georgia: Iberia, Odishi, Gurieli, Imereti*, t. I (Roma, 1704), 120; ილია ტაბაღუა, *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში*, ტ. III (თბილისი, 1987), 173.

<sup>23</sup> მუნში, აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება, 54.



სამეფო ტახტი 1633 წელს როსტომმა დაიკავა. მისი ზეობის სხვადასხვა ასპექტები სათანადოდაა გაშუქებული ისტორიოგრაფიაში, ამასთან, არა ცალსახად; მკვლევართა ერთი ნაწილი მის მმართველობას დადებითად აფასებს, გარკვეული ნაწილი კი – უარყოფითად. ჯერ კიდევ აკად. ივ. ჯავახიშვილი ხაზს უსვამდა როსტომის ორბუნებოვან პოლიტიკას, კერძოდ, როგორც ირანული, ისე ქართული პოლიტიკის გამტარებელს.<sup>24</sup> უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ შაჰ სეფის მიერ ხელდასხმული როსტომი ერთგულად და პირნათლად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას, თუმცა იმავდროულად, შეფარვით თუ ღიად, თავისი მშობლიური მხარის საკეთილდღეოდაც იღვწოდა. თავის მხრივ, ირანის ხელისუფლება მის საშინაო პოლიტიკაში თითქმის არ ერეოდა, მათ შორის, არც ქრისტიანობას დევნიდა. აქედან გამომდინარე, ქართლის მეფე ამ კუთხით ლოიალურობას იჩენდა. თავისი მეუღლის – მარიამის მხარდამხარ (რომელიც უაღრესად ღვთისმოსავი და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს დიდი ამაგდარი იყო), როსტომი თითქმის თანაბარ მზრუნველობას ამჟღავნებდა მართლმადიდებლობის, კათოლიკობისა და გრიგორიანელობის მიმართ. ის არა მხოლოდ ეკლესიების აღდგენა-აღმშენებლობაზე ზრუნავდა, არამედ მატერიალურ დახმარებას უწევდა მათ და საქართველოს ფარგლებს მიღმა არსებულ მონასტრებსაც.<sup>25</sup> საამისო მაგალითები მრავლად მოიპოვება განსახილველი პერიოდის ქართულ რეალობაში, რაც საუბრის ცალკე თემას წარმოადგენს. ამ კონტექსტში ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ შაჰ სეფი, როსტომის მიმართ განსაკუთრებულ დამოკიდებულების გამო, ზოგ რამეზე თვალს ხუჭავდა. ამასთან, ამგვარი პოლიტიკა საქართველოს მიმართ შემუშავებული კომპრომისული ურთიერთობის ერთ-ერთ შემადგენელ კომპონენტს წარმოადგენდა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სამწუხაროდ, ამ ახლებური ურთიერთობის დამყარებას თან ახლდა ქართლის სამეფოს სახელისუფლებო სტრუქტურებში ირანული გავლენის გაძლიერება. კერძოდ, ზოგიერთი თანამდებობის ქართული დასახელება სპარსულით შეიცვალა (მაგალითად: ყორჩიბაში, სუფრაჯი, ნაზირი და სხვ.), თუმცა მათი არსი იგივე რჩებოდა.<sup>26</sup> ქართულ სინამდვილეში სპარსულ-მუსლიმურმა ადათ-წესებმა მოიკიდა ფეხი, გარდა ამისა, ქართლში ყიზილბაშთა გარნიზონი

<sup>24</sup> ივანე ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, IV (თბილისი, 1967), 132.

<sup>25</sup> გულქან ჟორჯოლიანი, *საქართველო XVII საუკუნის 30-50-იან წლებში* (თბილისი, 1987), 55-7; Гиви Жордания, Зураб Гамезардашвили, *Римско – католическая миссия и Грузия*, ч. I (Тбилиси, 1994), 529.

<sup>26</sup> ვალერიან გაბაშვილი, *ქართული ფეოდალური წყობილება XVI – XVII საუკუნეებში* (თბილისი, 1958), 270.

იყო ჩაყენებული და თბილისში ფული შაჰის სახელით იჭრებოდა.<sup>27</sup> საქართველოში ისლამისა და მუსლიმური ადათ-წესების გავრცელება არცაა გასაკვირი, მეზობელ მუსლიმურ სახელმწიფოებთან – ირანთან და ოსმალეთთან მისი იმჟამინდელი ურთიერთობის ფორმებიდან გამომდინარე. ამის მიუხედავად, ფაქტია და ისტორიიდან ცალსახად ცნობილია, რომ ქართველი ერი სხვადასხვა საშუალებით შეურიგებელ ბრძოლას უცხადებდა უცხო სარწმუნოების დანერგვას მშობლიურ მინა-წყალზე.<sup>28</sup> როსტომის მთავარ მიზანს წარმოადგენდა შიდა ომებისაგან და გარეშე მტრისაგან დაუძღურებულ ქართლის სამეფოში მშვიდობიანობის დამყარება და სამეურნეო-ეკონომიკური აღორძინების მიღწევა. ამასთან, ეს ყველაფერი ირანის სახელმწიფოებრივ ინტერესთა ჩარჩოს არ უნდა გადასცდენოდა, რასაც ის შესანიშნავად ახერხებდა.

ირანის ხელისუფლებამ მშვიდობიანი დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა აგრეთვე ოდიშის მთავართან – ლევან დადიანთან (1611-57) მას შემდეგ, რაც როსტომ მეფემ ცოლად შეირთო ლევანის და – მარიამი. ხსენებულ ქორწინებას პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა, რამდენადაც ის მეტად ხელსაყრელი იყო როგორც ქართლის მეფისათვის საქართველოში პოზიციების განმტკიცების თვალსაზრისით, ისე ოდიშის მთავრისათვის; კერძოდ, როსტომთან ნათესაური კავშირის შეკვრა მას უადვილებდა ბრძოლას თეიმურაზისა და იმერეთის მეფის წინააღმდეგ, რომლებთანაც, როსტომის მსგავსად, ძველი მტრობა ჰქონდა. ისქანდერ მუნშის მომდევნო ხანის ირანელი მემატიანის მოჰამად იუსუფის ინფორმაციით, ლევანს იმისთვის სურდა როსტომთან დანათესავება, რომ „ამ გზით ქვეყნის საფარველის სასახლის ზღურბლის მონათა რიცხვში მოხვედრილიყო“<sup>29</sup> ანუ ირანის შაჰის კარს დაკავშირებოდა. როსტომ მეფემ, როგორც შაჰ სეფის ხელდასხმულმა, თავისი დაქორწინების საკითხი ჯერ მასთან შეათანხმა. შაჰმა მოიწონა მისი არჩევანი და ძვირფასი საქორწინლო საჩუქრებიც გამოუგზავნა. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ თეიმურაზისა და იმერეთის მეფის, გიორგის ძალისხმევით ქორწინება ცოტათი გაჭიანურდა. საქმე ის იყო, რომ ქორწინების ჩაშლის მიზნით, მათ საომარი ოპერაცია წამოიწყეს. მოჰამად იუსუფის გადმოცემით, როსტომი და ოდიშის მთავარი, რომლებიც

<sup>27</sup> Тинатин Кутелия, *Грузия и Сефевидский Иран (по данным нумизматики)* (Тбилиси, 1994), 25-7.

<sup>28</sup> კარლო კუცია, „სეფიანთა ირანისა და აღმოსავლეთ საქართველოს ურთიერთობის რელიგიური ასპექტი“, *Dedicatio, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი* (თბილისი, 2001), 369; ნანა გელაშვილი, „რელიგიური ასპექტი როსტომ მეფის მმართველობაში (1633-1658)“, *ნოდარ შენგელია 75*, რედ. როინ მეტრეველი (თბილისი, 2008), 121-2.

<sup>29</sup> იუსუფი, *ხელდ-ე ბარინ*, 158.

ინფორმირებულნი იყვნენ მონინალმდეგეთა გეგმის თაობაზე, მათ იმერეთის საზღვართან ჩაუსაფრდნენ და სისხლისმღვრელი შეტაკების შედეგად, მტერი დაამარცხეს. ყოველივე ამის შემდეგ როსტომ მეფემ თავის სამფლობელოში დიდი ზარ-ზეიმით გადაიხადა ქორწილი.<sup>30</sup> ანალოგიურად, მაგრამ უფრო მოკლედ მოგვითხრობენ ამ მოვლენათა შესახებ მოჰამად იუსუფის თანამედროვე მემკვიდრე მოჰამად მა'სუმი<sup>31</sup> და ქართული საისტორიო წყაროები.<sup>32</sup> ევროპელი ავტორებიდან საყურადღებოა იტალიელი მისიონერის დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელის ცნობები, რომელიც განსახილველ პერიოდში სამეგრელოში იმყოფებოდა. მისი გადმოცემით, როსტომმა გადაწყვიტა ოდიშის მთავართან დანათესავება მის დაზე დაქორწინებით. „დადიანმა და როსტომმა გადაწყვიტეს ორივე მხრიდან ომი გაუმართონ იმერეთის მეფეს, რათა მერე შუაზე გაიყონ ეს მხარე იმ საბაბით, რომ იმერეთში გადმოხვენილ თეიმურაზს იმერეთის მეფემ თავშესაფარი მისცა“.<sup>33</sup>

ცხადია, რომ ირანის პოლიტიკური მიზნებისათვის ოდიშის და ქართლის კავშირი ძალზე ხელსაყრელი იყო, უპირველეს ყოვლისა იმ თვალსაზრისით, რომ შაჰის ერთგული პიროვნება – როსტომი საქართველოში პოზიციებს გაიმყარებდა, ამასთანავე ლევან დადიანიც თავისი მომხრე დიდებულებითურთ, ირანის პოზიციების დამცველი ხდებოდა. ეს ყველაფერი კი იმერეთის ნინალმდეგ ერთობლივი წარმატებული ბრძოლის საწინდარს წარმოადგენდა და რაც მთავარია, ირან-ოსმალეთის ომის შემთხვევაში, უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნებოდა. როგორც ჩანს, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ფარსადან გორგიჯანიძის გადმოცემით, „50 000 მარჩილი შაჰ სეფი ყაენს გამოეგზავნა ლევან დადიანისათვის“. მისივე ცნობით, ამას მალე მოჰყვა ოდიშის მთავრის მიერ ირანში ელჩობის გაგზავნა.<sup>34</sup>

ამრიგად, როსტომისა და ოდიშის მთავრის დამოყვრებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობაში, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს მიღმა. განსაკუთრებით მწვავე რეაქცია მოჰყვა მას ოსმალეთის ხელისუფლების მხრიდან. XVII საუკუნის თურქი ისტორიკოსის მუსტაფა ნაიმას გადმოცემით, ოსმალეთის სულტანი ძალზე შეაშფოთა

<sup>30</sup> იქვე, 159.

<sup>31</sup> მოჰამად მა'სუმ, *ხულასათ ას-სიიარ*, პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილება, მიკროფილმი 127, 80ა-80ბ (სპარსულ ენაზე).

<sup>32</sup> ეგნატაშვილი, „ახალი ქართლის ცხოვრება. პირველი ტექსტი“, 419; ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 441, 828; *ცხოვრება საქართველოსა (პარიზის ქრონიკა)*, 51.

<sup>33</sup> დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, *წერილები საქართველოზე, XVII საუკუნე*, იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბეჟან გიორგაძემ (თბილისი, 1964), 34.

<sup>34</sup> გორგიჯანიძე, „ისტორია“, 241-2.

საქართველოდან მიღებულმა ცნობამ როსტომის ქორწინების შესახებ, რადგანაც ამაში ის ხედავდა ოსმალეთის წინააღმდეგ მტრული პოლიტიკური ნაბიჯის გამოვლინებას როგორც ირანის, ისე ოდიშის მთავრის მხრიდან. ამას ზედ დაერთო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ირანის ხელისუფლება, დადიანი, გურიელი და მათთან ერთად „30 ათასამდე საქართველოს ურწმუნო მოსახლეობა“ გაერთიანდნენ და შავი ზღვის სანაპირომდე მიაღწიეს, რითაც საფრთხე შეუქმნეს გონიოსა და ტრაპიზონის საზღვრებს.<sup>35</sup> ანალოგიურია მეორე თურქი ისტორიკოსის, ქათიბ ჩელების მიერ მოწოდებული ცნობაც.<sup>36</sup> ამის შედეგი იყო ის, რომ სულტანმა მურად IV-მ (1623-1640) სასწრაფოდ რადიკალური ღონისძიებების გატარება დაიწყო სასაზღვრო ტერიტორიების გასამაგრებლად. 1634 წელს ოსმალეთის ჯარი სამეგრელოში შეიჭრა და სასტიკად ააოხრა. ამის გამო დადიანი, შემდეგ კი გურიელიც იძულებულნი გახდნენ ოსმალეთის სულტანისათვის მორჩილება გამოეცხადებინათ.<sup>37</sup>

შექმნილი პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, თეიმურაზ მეფემაც იცვალა პოლიტიკური ორიენტაცია (თუმცა დროებითი), როგორც როსტომთან, ისე შაჰ სეფისთან დამოკიდებულებაში. როგორც ჩანს, მან ადეკვატურად შეაფასა იმხანად არსებული ვითარება და კომპრომისზე წასვლა არჩია. კერძოდ, თეიმურაზმა ქართლის მეფეს შერიგება სთხოვა, შაჰ სეფის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად კი განაცხადა, რომ მას თავისი ქალიშვილს – თინათინს გაუგზავნიდა. ფარსადან გორგიჯანიძის გადმოცემით, გულმონყალე როსტომმა თეიმურაზის თხოვნა შეისმინა და ამის შესახებ ირანის შაჰს აცნობა.<sup>38</sup> ირანის ხელისუფლებისათვის თეიმურაზის შემორიგება მეტად დროული და სასურველი იყო, რამდენადაც ქვეყნის საგარეო ვითარება იმხანად საკმაოდ მძიმე იყო; როგორც ზემოთ აღინიშნა, ოსმალეთის საომარ ოპერაციებს ახორციელებდა ამიერკავკასიის რეგიონში, რითაც ახალი ბიძგი მიეცა ირანსა და ოსმალეთს შორის მიმდინარე გაუთავებელ ომს.

რაც შეეხება თეიმურაზის ქალიშვილის ირანში გამგზავრებას და მის შემდგომ ბედ-იღბალს, საისტორიო წყაროებში ამის თაობაზე აზრთა სხვადასხვაობაა. ფარსადან გორგიჯანიძის გადმოცემით, შაჰის სურვილისამებრ

<sup>35</sup> მუსტაფა ნაიმა, *ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ*, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევიითა და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შენგელიამ (თბილისი, 1979), 190.

<sup>36</sup> გიული ალასანია, „საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი ქათიბ ჩელების ცნობათა შუქზე“, *მაცნე, ისტორიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია*, 2 (1973), 236.

<sup>37</sup> მიხეილ სვანიძე, *საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები* (თბილისი, 1990), 237.

<sup>38</sup> გორგიჯანიძე, „ისტორია“, 244.

როსტომმა თინათინი ძვირფასი მზითვით ირანში გაამგზავრა. საპასუხოდ, შაჰ სეფიმ თეიმურაზი კახეთის მეფედ აღადგინა, ჯამაგირი დაუნიშნა და ძვირფასი საჩუქრებიც გამოუგზავნა. თინათინი მან ცოლად შეირთო, მოგვიანებით კი, მისი ბრძანებით, ის მოუხრჩვიათ.<sup>39</sup> რუსი ელჩების ე. მიშეცკისა და ი. კლუჩარევის ინფორმაციის თანახმად, რომლებიც 1640-1643 წწ. თეიმურაზ მეფესთან მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ კახეთში, თინათინი მოკლულ იქნა ირანის მომდევნო შაჰის, აბას II-ის (1642-1666) მიერ.<sup>40</sup> თვალი გავადევნოთ სპარსულ წყაროთა მონაცემებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მოჰამად იუსუფის სიტყვით, „როდესაც თეიმურაზი ამბოხების ღრმა ძილიდან გამოფხიზლდა, დანაშაულის გამოსყიდვის მიზნით, შაჰ სეფის თავისი ქალიშვილი გაუგზავნა“. ამის სამაგიეროდ შაჰმა მას კახეთის სამეფო დაუბრუნა. სწორედ ამ დროს ირანში შეტყობინება მოვიდა იმერეთის მეფის, გიორგის გარდაცვალების შესახებ.<sup>41</sup> აქ ირანელი მემკვიდრე აშკარად ურევს მოვლენების თანამიმდევრობას, რადგანაც შაჰ სეფიმ თეიმურაზი კახეთის მეფედ 1635 წელს აღადგინა, იმერეთის მეფე კი რამდენიმე წლის შემდეგ – 1639 წელს გარდაიცვალა. ანალოგიურია მოჰამად მა'სუმი ნაშრომში დაცული ინფორმაცია იმ განსხვავებით, რომ იქ მითითებულია, თითქოს როსტომმა თავად ჩაიყვანა თეიმურაზის ქალიშვილი ირანში და შაჰ სეფის მიჰგვარა.<sup>42</sup> თინათინის ტრაგიკული აღსასრულის შესახებ კი სპარსულ წყაროებში არაფერია ნათქვამი.

ფრანგი მოგზაურის ჟან ბატისტ ტავერნიეს ცნობის თანახმად, მთვრალმა შაჰ სეფიმ თავისი დედის ნაქეზებით, რომელსაც თინათინი სძულდა, მას ხანჯლით ყელი გამოსჭრა.<sup>43</sup> ადამ ოლეარიუსიც მოგვითხრობს თინათინის ირანში ჩასვლისა და მასზე შაჰ სეფის დაქორწინების შესახებ, მაგრამ მისი შემდგომი ბედის თაობაზე არაფერს ამბობს.<sup>44</sup> ცნობილია, რომ ოლეარიუსი ისფაჰანში 1637 წლის აგვისტოს დასაწყისში ჩავიდა, როდესაც კახეთის მეფის ასული უკვე შაჰ სეფის მეუღლეთა შორის ირიცხებოდა. თეათინელი მისიონერის დონ პიეტრო ავიტაბილეს გადმოცემით, თეიმურაზი 1634 წლის იანვრიდან მოყოლებული შიშით ელოდა ირანიდან ბრძანებას ქალიშვილის გაგზავნის თაობაზე, რომელიც თურმე უკვე 10 წელი ირანის შაჰის ცოლად ითვლებოდა. ამიტომაც მან ქართლის

<sup>39</sup> იქვე.

<sup>40</sup> *Посольство князя Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию 1640-1643 гг.*, Документы издал и введением снабдил М. А. Полиевктов (Тифлис, 1928), 176.

<sup>41</sup> იუსუფი, *ხულდ-ე ბარინ*, 230.

<sup>42</sup> მა'სუმი, *ხულასათ ას-სიიარ*, 164 ბ.

<sup>43</sup> Johann Baptista Tavernier, *Beschreibung der Sechs Reisen in Turkey, Persien und Indien* (Genf, 1681), 285.

<sup>44</sup> *Подробное описание Голишинского посольства в Московию и Персию в 1633, 1636 и 1639 гг.*, 879.

## ნანა გელაშვილი

მეფეს მიაბარა თინათინი და „ახლა ყოველ წუთს უცდიან შაჰის მოსვლას მის წასაყვანად“. <sup>45</sup> 1635 წლის სექტემბერში თეიმურაზის მიერ რუსეთის მეფისადმი გაგზავნილ წერილიდან კი ჩანს, რომ მისი ასული, რომელსაც შაჰი დაჟინებით ითხოვდა, ჯერ კიდევ საქართველოში იმყოფებოდა. <sup>46</sup>

ზემოთ ხსენებულ წყაროებში დაცული მონაცემების და ისტორიული მოვლენების განვითარების ანალიზი ცალსახად გვიჩვენებს, რომ თეიმურაზი ყველანაირად ცდილობდა შაჰისათვის მიცემული პირობის შესრულების გაჭიანურებას. საბოლოოდ, როგორც უკვე აღინიშნა, თინათინი მაინც აღმოჩნდა ირანის სამეფო კარზე, რაც სავარაუდოდ 1635 წლის შემოდგომიდან 1637 წლის აგვისტომდე დროის შუალედში უნდა მომხდარიყო.

საქართველოსთან მიმართებაში ურთიერთობის სასურველად დარეგულირების შემდეგ, შაჰ სეფი ოსმალეთთან მიმდინარე ომის პერიპეტივებზე გადაერთო. თავისი გარემოცვის თავდაჯერებულობით გულმოცემული შაჰ სეფი (რომელიც ნაკლებად ერკვეოდა სახელმწიფო საქმეებში) საომარ ფრონტზე სეფიანთა სახელმწიფოსათვის წარმატებული გარდატეხის მოხდენას იმედოვნებდა, მაგრამ მოვლენები სხვაგვარად წარიმართა; ყიზილბაშებს არ ძალუძდათ ოსმალთა მძლავრ შეირალებულ ძალებთან გამკლავება, რომლებიც სულ უფრო წარმატებულ შეირალებულ ოპერაციებს ახორციელებდნენ ამიერკავკასიის რეგიონში. <sup>47</sup> რამდენადაც ეს საუბრის ცალკე თემას წარმოადგენს, აქ მხოლოდ იმის აღნიშვნით შემოვიფარგლებით, რომ 1639 წელს ირან-ოსმალეთს შორის სამშვიდობო ზავი დაიდო, რომელიც ფაქტობრივად 1555 წლის ამასიის ზავის პირობებს იმეორებდა. კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველო წილად ერგო სეფიანთა სახელმწიფოს, დასავლეთ საქართველო – ოსმალეთს. სიახლე კი ის იყო, რომ სამცხე-საათაბაგო მთლიანად ოსმალეთის მფლობელობაში გადავიდა. <sup>48</sup>

უშუალოდ საქართველო-ირანის ურთიერთობები XVII საუკუნის 40-იანი წლების დამდეგს უწინდებურად მშვიდობიან ხასიათს ატარებდა. ამის განმსაზღვრელ ფაქტორებს წარმოადგენდა ერთი მხრივ, როსტომ მეფის დაბალანსებული მმართველობის ფორმა და მეორე მხრივ, შაჰ სეფის გულთბილი დამოკიდებულება მის მიმართ, რაც მნიშვნელოვანწილად ზურგს უმაგრებდა როსტომს. სწორედ ამის შედეგი იყო, რომ ქართლში

---

<sup>45</sup> დონ პიეტრო ავიტაბილე, *ცნობები საქართველოზე (XVII საუკუნე)*, შესავალი, თარგმანი და კომენტარები ბეჟან გიორგაძის (თბილისი, 1977), 68.

<sup>46</sup> *Материалы по истории грузино-русских взаимоотношений 1615-1640 гг.*, Документы к печати подготовил и предисловием снабдил М. А. Полиевктов (Тбилиси, 1963), 115.

<sup>47</sup> ნაიმა, *ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ*, 75-7; იბრაჰიმ ფეჩევის *ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ*, 91.

<sup>48</sup> მიხეილ სვანიძე, *თურქეთის ისტორია* (თბილისი, 2007), 208-9.

მშვიდობიანობამ დაისადგურა, შიდა ომებიც დროებით მინელდა და რაც მთავარია, შეწყდა გარეშე მტრის თარეში. თუმცა, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ზოგადად საქართველოში სტაბილურობის განმტკიცებას საგრძნობლად ამუხრუჭებდა ქართველ მეფე-მთავრებს შორის არსებული დაპირისპირება. ეს კი თავის მხრივ, ხელს უშლიდა გარე სამყაროსთან ქვეყნისათვის სასარგებლო საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებას.

შაჰ სეფი I მოულოდნელად გარდაიცვალა 1642 წლის მაისში (ის მხოლოდ 31 წლისა იყო), რის შემდეგაც მისმა ვაჟმა სულთან მუჰამად მირზამ დაიკავა სამეფო ტახტი შაჰ აბას II-ის სახელით (1642-66). მართალია, აღნიშნული დროისათვის ირანის ტერიტორიული საზღვრები და გავლენის სფეროები უფრო შემცირებული იყო, ვიდრე შაჰ სეფის გამეფებისას, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორი ის იყო, რომ ქვეყანას არ ემოქრებოდა რაიმე სერიოზული გარეშე საფრთხე, განსაკუთრებით ოსმალეთის მხრიდან. ეს საკმაოდ პოზიტიური გარემოება მიეწერება არა იმდენად შაჰ სეფის, რამდენადაც განსაკუთრებული კომპეტენციის მქონე მაღალჩინოსნებს მის სამეფო კარზე.<sup>49</sup> ამავე დროს, ფაქტია, რომ სწორედ შაჰ სეფის ზეობის ხანის მიწურულს გამოიკვეთა პირველად სუსტი მხარეები სეფიანთა სახელმწიფოს სტრუქტურებში, რამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა მომდევნო ხანებში მმართველი სეფიანთა დინასტიის დაქვეითებასა და საბოლოო დამხობაში.

### ბიბლიოგრაფია

ავიტაბილე დონ პიეტრო. ცნობები საქართველოზე (XVII საუკუნე). შესავალი, თარგმანი და კომენტარები ბეჟან გიორგაძის. თბილისი, 1977

ალასანია გიული. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი ქათიბ ჩელების ცნობათა შუქზე. მაცნე, ისტორიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, 2, 1973

არჩილი. გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა. ჩვენი საუნჯე. ტ. 4. თბილისი, 1960

ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბილისი, 1973

გაბაშვილი ვალერიან. ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში. თბილისი, 1958

გელაშვილი ნანა. ერთხელ კიდევ როსტომ ხანის ქართლში გამეფების

<sup>49</sup> *The Cambridge History of Iran*, 288.

საკითხისათვის. მაცნე, ისტორიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, 2, 1993

გელაშვილი ნანა. მირ თემურ მარაშის ცნობები საქართველოს შესახებ. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 338, 2001

გელაშვილი ნანა. რელიგიური ასპექტი როსტომ მეფის მმართველობაში (1633-1658). ნოდარ შენგელია 75. რედ. როინ მეტრეველი. თბილისი, 2008

გელაშვილი ნანა. შაჰ სეფი I-ის გამეფების საკითხისათვის. დავით კაციტაძე 80. რედ. გიული ალასანია. თბილისი, 2009

გორგიჯანიძე ფარსადან. ისტორია. გამომცემელი სარგის კაკაბაძე. საისტორიო მოამბე, 2, 1925

ეგნატაშვილი ბერი. ახალი ქართლის ცხოვრება. პირველი ტექსტი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959

იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო სერგი ჯიქიამ. თბილისი, 1964

იუსუფ მოჰამად. ხულდ-ე ბარინ. ბე თასჰიჰ-ე სოჰიელ ხანსარი. თეირანი, 1991 (სპარსულ ენაზე)

კუცია კარლო. სეფიანთა ირანისა და აღმოსავლეთ საქართველოს ურთიერთობის რელიგიური ასპექტი. Dedicatio, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი. თბილისი, 2001

მა'სუმ მოჰამად. ხულასათ ას-სიიარ. პეტერბურგის აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილება, მიკროფილმი 127 (სპარსულ ენაზე)

მუნში ისქანდერ. აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება. სპარსულ ტექსტს გამოკვლევა, ქართული თარგმანი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნანა გელაშვილმა. თბილისი, 1981

ნაიმა მუსტაფა. ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევებითა და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შენგელიამ. თბილისი, 1979

ჟორჟოლიანი გულქან. საქართველო XVII საუკუნის 30-50-იან წლებში. თბილისი, 1987

სემნანი მოჰამად აჰმად ფენაჰი. შაჰ აბბას-ე ქაბირ მარდ-ე ჰეზარ ჩაჰრე. თეირანი, 1991 (სპარსულ ენაზე)

სვანიძე მიხეილ. საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები. თბილისი, 1990

ტაბაღუა ილია. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში. ტ. III. თბილისი, 1987



ფალსაფი ნასროლა. ზენდეგანი-ე შაჰ აბბას-ე ავევალ, II. თეირანი, 1954 (სპარსულ ენაზე)

ფუთურიძე ვლადიმერ. სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში. წიგნი I, ნაკვ. I. თბილისი, 1961

ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თედო ჟორდანის მიერ. წიგნი II. თბილისი, 1897

ცხოვრება საქართველოსა (პარიზის ქრონიკა). ტექსტი მოამზადა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო გიული ალასანიამ. თბილისი, 1980

ჯავად მაშქურ მოჰამმად. თარის-ე ირან ზამან აზ რუგზარ-ე ბასთან თა ასრ-ე ზაჰერ. თეირანი, 1977 (სპარსულ ენაზე)

ჯავახიშვილი ივანე. ქართველი ერის ისტორია. ტ. IV. თბილისი, 1967

ჯუდიჩე მილანელი დონ ჯუზეპე. წერილები საქართველოზე, XVII საუკუნე. იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბეჟან გიორგაძემ. თბილისი, 1964

Жордания Гиви, Гамезардашвили Зураб. Римско-католическая миссия и Грузия, ч. I. Тбилиси, 1994

Кутелия Тинатин. Грузия и Сефевидский Иран (по данным нумизматики). Тбилиси, 1994

Материалы по истории грузино-русских взаимоотношений 1615-1640 гг. Документы к печати подготовил и предисловием снабдил М. А. Полиевктов. Тбилиси, 1963

Подробное описание Голштинского посольства в Московию и Персию в 1633, 1636 и 1639 гг., составленное секретарем посольства Адамом Олеарием, перевел с немецкого П. Барсов. Москва, 1870

Посольство князя Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию 1640-1643 гг. Документы издал и введением снабдил М. А. Полиевктов. Тифлис, 1928

The Cambridge History of Iran. vol. 6. The Timurid and Safavid Periods. Edited by Peter Jackson and Laurence Lockhart. Cambridge, 1986

A Chronicle of the Carmelites in Persia and the Papal Mission of the 17<sup>th</sup> and 18<sup>th</sup> Centuries. vol. I. London, 1939

Ferro, Bartolomeo. Istoria della Missioni de Chierici Regolari Teatini con la Descrisione de Regni, de Quattro Regni della Georgia: Iberia, Odishi, Gurieli, Imereti. I. Roma, 1704

Moreen, Vera. B. The Status of Religious Minorities in Safavid Iran 1617-1661. Journal of Near Eastern Studies. vol. 40, 2, 1981

Tavernier, Johann Baptista. Beschreibung der Sechs Reisen in Turkey, Persien und Indien. Genf, 1681

## Iranian-Georgian Relations during the Reign of Shah Safi I

*Nana Gelahsvili*

### Summary

The present paper covers the cardinal moments of relationship between Safavid Iran and Georgia during the reign of Shah Safi I (1629-42), who with reference to Georgia pursued a policy of compromise, inherited from his grandfather Shah Abbas I (1587-1629). At the time relations of the two countries entered a new phase, revealing almost all capacities of political, economic and cultural spheres. The relations found this clearest expression during the reign of Rostom Bagrationi (1633-58) in Eastern Georgia, who ascended the throne on initiative of Shah Safi. Rostom firmly supported the shah's interests, without forgetting the adversity of his native land. On the one hand, he labored to restore Christian churches, launching building activities, while on the other hand it was under Rostom's rule that Iranian traditions and posts were widely spread in Georgia. Despite this, pursuing a moderate and balanced course, Rostom managed to preserve the state's administrative system, the socio-economic structure of the country. In his turn, Shah Safi I, who greatly respected and trusted Rostom, sometimes even ignored some negative aspects and did not interfere in his domestic policy.

All the questions raised are reviewed in the paper on the basis of critical analysis of different (Georgian, Oriental and European) written sources as well as the logical development of the historical facts and phenomena of the period studied.

## IV

### სამელიქო ქვემო ქართლში

შაჰ აბასის მიერ ქვემო ქართლის მიწების მიტაცების მცდელობა

*ალექსანდრე ბოშიშვილი*

XVI საუკუნეში გაძლიერებულმა ოსმალეთმა აღმოსავლეთ ამიერკავკასია დაიკავა. ირანში გატარებული სამხედრო რეფორმების და დიდი მზადების შემდეგ, 1603 წელს შაჰ აბას I-მა (1587-1629) ოსმალეთის წინააღმდეგ დაიწყო ომი. შაჰის უმთავრესი მიზანი ირანის დაკარგული პოზიციების დაბრუნება და აღმოსავლეთ კავკასიიდან ოსმალების საბოლოო განდევნა იყო. ირან-ოსმალეთის ამ ომში ქართლის მეფე გიორგი X (1600-1606) და კახეთის მეფე ალექსანდრე II (1574-1605) იძულებულნი გახდნენ შაჰ აბასის მხარე დაეჭირათ. მანამდე – 1601 წელს, გიორგი X-მ ოსმალთაგან ლორე გაათავისუფლა.<sup>1</sup> ომის დასაწყისში, პირველ ეტაპზე, შაჰ აბასმა ერევნის ციხის აღება გადაწყვიტა, უზარმაზარი არმიით მივიდა და ერევნის ოსმალურ გარნიზონს ალყა შემოარტყა.

1604 წელს შაჰ აბასმა, ქართლის მეფე გიორგი X-მ და კახეთის მეფე ალექსანდრე II-მ სასტიკად დაამარცხეს ოსმალები ერევანთან ომში. ომში მონაწილეობისა და წარმატების გამო შაჰმა ქართველი მეფეები „უხვად“ დააჯილდოვა. გიორგი მეფეს ირანში სოფლები მისცა და 300 თუმანი ჯამაგირი დაუნიშნა. სამაგიეროდ ლორე და მდინარე დებედას ხეობა გამოსთხოვა.<sup>2</sup> „და შეუძნდა ფრიად და რამეთუ არა ეძლო უარი შააბაზისა და დაანება ლორე და დაიპყრა ციხე ლორისა შააბაზ“.<sup>3</sup> ასე შეიქმნა ლორეში სახანო. იოანე ბატონიშვილის ცნობის მიხედვით, როდესაც შაჰმა ლორეში თავისი ჯარი დააყენა, „მუნებური მელიქი მივიდა წინამე შააბაზისა და მიიღო მამადიანობა, რომლისათვის ჯილდოდ შააბაზმან გაათავადა და მისცა გვარად მელიქობა

---

<sup>1</sup> გივი ჯამბურია, „ირან-ოსმალეთის ახალი ომი და ქართლ-კახეთის სამეფოები“, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. III (თბილისი, 1973), 245.

<sup>2</sup> ჯამბურია, „ირან-ოსმალეთის ახალი ომი და ქართლ-კახეთის სამეფოები“, 247.

<sup>3</sup> „ახალი ქართლის ცხოვრება“, მესამე ტექსტი, *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II (თბილისი, 1959), 537.

და მამული ლორის ხეობასა შინა სახასოთაგან მეფისა“.<sup>4</sup> ვახუშტიც ხაზს უსვამს მელიქიშვილთა შაჰ-აბასის პერიოდიდან დანიშნულებას, მათ სომხურ წარმომავლობას და აღნიშნავს, რომ – მელიქიშვილი „არა არის გუარი, არამედ სომეხსა ვისმე პატივსცა შააბაზ გამოჰმადიანებისთვის“.<sup>5</sup> როგორც ჩანს, ლორის მფლობელობა მელიქებმა შაჰისგან სწორედ გამაჰმადიანების გამო მიიღეს.

ლორეს ციხესა და მდ. დებედის მთელი ხეობის დაპატრონებით ირანის მბრძანებელმა საქართველოს სამხრეთი კარის გასაღები ჩაიგდო ხელში. ამიტომაც, რომ ვახუშტი ამ მომენტს გულისხმობს, როცა ხაზგასმით აღნიშნავს იმ ფაქტს, თუ როგორ აიძულა შაჰ-აბასმა ქართლის მეფეს, დაეთმო ლორე. „შეუძნდა ესე ფრიად მეფესა და მიუგო: „ველოდი ჯილდოდ შენგან სხვასაცა ქალაქსა სამსახურისათვის მამისა ჩუენისა და არა მიხუმასა საზღვართა დამტარება ქართლისა... ამისთვის უფროს აიძულებდა, რათა მისცეს ლორე და გამოსვლისათვის ბერდუჯის მდინარისა“.<sup>6</sup>

დღემდე, ქართულ ისტორიოგრაფიაში, შაჰ აბასის მიერ ქვემო ქართლის მიწების ჩამოჭრა და ლორის სახანოს შექმნა ნაკლებად იყო შესწავლილი. ამ ფაქტის შესახებ არსებული მასალებით ნათელი ხდება, რომ შაჰმა ლორეს მხარე სამართავად მისცა ერთ საგვარეულოს, რომელიც დროთა ვითარებაში ორ შტოდ გაიყო, ეს იყო ლორის მელიქი, რომელიც ლორეს ციხეში იჯდა და სომხითის მელიქი, რომელიც ახტალაში იყო.

პროფ. რობერტ ჰიუსენის აზრით, რომელიც, თავის მხრივ, მთლიანად პროფ. კირილ თუმანოვის მოსაზრებას ეყრდნობა,<sup>7</sup> სომხითის მელიქები, ბებუთაშვილების გვარის (თბილისის მელიქ-მამასახლისები XVIII ს.) ავანიანთა შტოს წარმომადგენლები იყვნენ.<sup>8</sup> ამავე აზრისაა ფრანგი მეცნიერი ჟაკ ფერანიც, რომელსაც თავის ნაშრომში ხაჩენის და გარდმანის ფეოდალის, ვასაკის (XIII ს.), მთელი გენეალოგია მოჰყავს. ვასაკის მეცამეტე შთამომავალი ყოფილა ნაზარ-სარუხანი (იგივე მირიმან I), ხოლო მისი ძეები იყვნენ მელიქი დაი (ლორეში) და მელიქი მირიმანი (იგივე სეფიყული-ბეგი) (სომხითში).<sup>9</sup>

<sup>4</sup> იოანე ბატონიშვილი, *შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა* (თბილისი, 1997), 34.

<sup>5</sup> ვახუშტი ბატონიშვილი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV (თბილისი, 1973), 34-5.

<sup>6</sup> ვახუშტი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*, 156.

<sup>7</sup> C. Toumanoff, *Studies in Christian Caucasian History* (Washington 1963), 217, n. 250.

<sup>8</sup> Robert H. Hewsen, *The Meliks of eastern Armenia III*, «Revue des etudes Armenienne» novella serie, Tome XI (Paris, 1975-1976), 298.

<sup>9</sup> Jacques Ferrand, *Familles Princières de Géorgie* (Montreuil, 1983), 127-8.

მელიქების წარმოშობის შესახებ იგივე მოსაზრება უფრო ადრე გამოთქმული აქვს რომან ერმერინს,<sup>10</sup> ამბოლო წლებში ყოველივე ამას იზიარებენ სტანისლავ დუმინი და იური ჩიქოვანიც.<sup>11</sup>



ნელ-ნელა ლორეს მელიქი და სომხითის მელიქი ქვემო ქართლში, მუსლიმური აღმსარებლობის და ერთმანეთის კონკურენტ დინასტიებად იქცნენ.<sup>12</sup> ორივეს წარმატება თავიდანვე ირანის შაჰის ერთგულ სამსახურზე იყო დამოკიდებული. ყველა მელიქი ცდილობდა შაჰისთვის საიმედო დასაყრდენი ყოფილიყო, რათა მეტი წარმატებისთვის მიეღწია. ირანში მათ საგვარეულოთა არაერთი წარმომადგენელი სხვადასხვა მალალ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე იყო დანიშნული. თავდაპირველად უპირატესობას ლორის მელიქი ფლობდა და სწორედ ის იყო „ლორის ხანიც“, მაგრამ სულ მალე, ვითარება შეიცვალა და შაჰთან პირადი ურთიერთობის ხარჯზე, სომხითის მელიქმა უპირატესობა მოიპოვა. ამასთანავე, სავარაუდოდ, ისევ შაჰის ხელშეწყობით, ისიც მოახერხა, რომ ქართულ ფეოდალურ იერარქიაში ლორის მელიქი აზნაურად, ხოლო სომხითის მელიქი, ანუ თვითონ, თავადად აღირიცხა.<sup>13</sup>

<sup>10</sup> R. I. Ermerin, *Annuaire de la Noblesse de Russie, contenant les prince de l'Empire, augmenté d'un grand nombre de notices sur les familles alliées* (Sankt-Peterburg, 1899), 215.

<sup>11</sup> მათ ნაშრომში მოყვანილია მელიქიშვილების გვარის გენეალოგიური ტაბულა, რომელშიც საკმაო უზუსტობებია გაპარული. ამის გამო იგი შემდგომი კვლისათვის სანდო დასაყრდენი ვერ იქნება. იხ. С. Думин, П. Гребельский, *Дворянские роды Российской империи*, т. IV, *Князья Царства Грузинского*, С. Думин и князь Ю. Чиковани, под редакцией С. Думина (Москва, 1998), 174-7.

<sup>12</sup> მათი საგვარეულოს განშტოება იყო თბილისის მელიქების ნაწილიც (მელიქ ასლანის და მელიქ ენალას შთამომავლები, ვრცლად იხ. ალექსანდრე ბოშიშვილი, „თბილისის მელიქის სახელის და ქრონოლოგიის შესახებ“, *თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები*, 3 (2011), 154-64.

<sup>13</sup> სახლის უფროსი აღინიშნებოდა, როგორც ლორის მელიქი, ხოლო სახლიკაცები აზნაურლორის მელიქიშვილებად, ასევე სომხითის მელიქი, ან მელიქი და სახლიკაცები თავადი მელიქიშვილი.

### ლორის მელიქი

ლორის მელიქიშვილები, როგორც აღინიშნა, აზნაურის ტიტულით სარგებლობდნენ და ბოლომდე აზნაურებად დარჩნენ. თუმცა, შაჰთან დაახლოვების გამო, მათ სხვა ქართულ საგვარეულოებთან შედარებით უპირატესობა ჰქონდათ, რადგანაც პირადად შაჰ აბასისგან ჰქონდათ მიღებული მამულის და სახელოს სამკვიდროდ და შეუვალად ფლობის ფირმანი.<sup>14</sup>

ლორის მელიქები, ისევე როგორც სომხითის მელიქები და შაჰის მიერ საქართველოში დანიშნაურებული სხვა პირები, მუსლიმები იყვნენ და სწორედ მუსლიმობის გამო მიენიჭათ მათ ასეთი პრივილეგიები. მოგვიანებით, ლორის მელიქებმა მონოფიზიტური ქრისტიანობა მიიღეს და სამსახური ქართლის სამეფოში ლორეს მხარის ბოქაულის თანამდებობაზე განაგრძეს. ამ დროს გაჩნდა ორმაგი გვარიც, რომელშიც გაერთიანებული იყო თანამდებობა და მოღვაწეობის ადგილი.<sup>15</sup> ლორის მელიქი იყო ლორის ბოქაული და ქალანთარი<sup>16</sup>, ხოლო მისი შვილები და სახლიკაცები ლორის-მელიქიშვილებად მოიხსენიებიან. XIX საუკუნეში რუსული ადმინისტრაციის დამყარების შემდეგ, გვარი ლორის მელიქიშვილი, რუსული ვარიანტით – ლორის-მელიქოვი (Лорис-Меликов), შეიცვალა.

1768 წელს გიორგი ბატონიშვილმა „ლორის ქალანთარს ჰაპას და მელიქს მელიქჯანას“ წყალობის წიგნი უბოძა, „თქვენ მამაპაპით ლორის და ბანბაკის მოკვლენი ყოფილხართ და რუსუბიც გქონიათ და ჰელმწიფეებისგანაც ნაბოძები რაყამები გაქვსთო“. მაგრამ რადგან გლეხები ლორედან აყრილები და აღჯაყალაში შეხიზნულები ყოფილან, ამიტომ ბატონიშვილი ქალანთარს და მელიქს უბრძანებს, რომ კომლზე ცხრა შაურზე მეტი არ აიღონ და როდესაც ლორე და ბანბაკი მოშენდება, შემდეგ ყველა სარგო მიეცემათ“. იქვე, ბატონიშვილი, ქევხებსა და ქეთხუდებს მელიქის და ქალანთარის სასარგებლოდ გადასახადის დროულად გადახდას უბრძანებდა.<sup>17</sup>

<sup>14</sup> П. А. Кузьминов, „М. Т. Лорис-Меликов на Кавказе,“ *Кавказский сборник*, 2 (34) (Москва, 2005), 109; საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა), ფ. 1450, 18/60.

<sup>15</sup> Кузьминов, „М. Т. Лорис-Меликов на Кавказе,“ 110.

<sup>16</sup> ქალანთარი სპარსული სიტყვაა და პოლიციის უფროსი და სამოქალაქო საქმეების გამგეა. სავარაუდოდ ლორის მელიქისშვილის განშტოება უნდა იყოს ქალანთარისშვილიც. ქალანთარისშვილები გეორგიევსკის ტრაქტატში, სამეფო აზნაურების სიაში, ლორის მელიქისშვილების მომდევნო ადგილზე არიან ჩანერილი. ქალანთარობა სწორედ ლორის მელიქისშვილებს ეკავათ მემკვიდრეობით. იოანე ბატონიშვილის მიხედვით, ქალანთარისშვილის (სამეფო აზნაურნი ქართლისანი) „წინაპარნი არიან მოსრულნი განჯიდგან ყაზახსა შინა, რომელნიცა იყვნენ მოხელენი სპარსთა ენისაებრ ქალანთარნი“. იოანე ბატონიშვილი, *შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა*, 67.

<sup>17</sup> სცსა, ფ. 1450-18/57.

1780-იან წლებში მელიქიშვილებს ზაალიშვილებმა დაუწყეს დავა. გაბრიელა ზაალიშვილი ჩიოდა, რომ ჩვენც მელიქების სახლის წევრები ვართ და წილს არ გვაძლევენო. ლორის მელიქიშვილები კი პასუხობდნენ, რომ ეგენი არც ჩვენი სახლიკაცები არიან და არც წილი ერგებათო. 1789 წელს სასამართლოს წარუდგინეს რამდენიმე სიგელი. არცერთ მათგანში არც ეს ზაალიშვილები და არც მათი წინაპრები არ აღმოჩნდნენ ჩანერილები.<sup>18</sup>

ამ საქმემ, როგორც ჩანს, ლორის მელიქიშვილების გვარში მწვავედ დააყენა საკითხი, რომ თავისი საგვარეულოს წარმომავლობის დამადასტურებელი დოკუმენტი აღედგინათ. ლორის მელიქიშვილებს შაჰისგან ნაბოძები ფირმანი 1795 წელს ალა მაჰმად ხანის შემოსევის დროს დაუკარგავთ.<sup>19</sup> ამიტომ, 1798 წელს შეადგინეს საბუთი, რომელშიც ლორისა და ფანბაკის მელიქიშვილი ავთანდილი და მისი ძე, სტეფანე, წერენ, რომ „ჩვენ საქართველოს მეფეთაგან, ერანის მეპატრონეთ სეფებიელთ<sup>20</sup> კელმწიფეთაგან, იმათგან ქართლში წარმოგზავნილის სარდლებისაგან და ქართლში მყოფს ოსმალო სარასკერებისაგან ბოძებული ჩვენის სამკვიდროს მამულებისა სახელოთ მელიქობისა, ნასყიდობისა და საჩივრის განაჩენები ბევრი გვექოდა და ალა მაჰმად ხანმა, რომ ტფილისი ქალაქი წაახდინა ეს მოხსენებული წიგნები ზოგი დაგვეკარგა და ზოგი დაგვენვა, რომელიც როდესმე ეს ჩვენი წიგნები გენახოსთ და ან ჩვენი გვარტომობისა იცოდეთ რამე წინაშე ლთისა ამაზე ქ. ნებით მოწმობის კელი მომინეროეთ, მარტის იგ (13) ქკს უპვ (1798 წ.)“.<sup>21</sup>

საბუთზე ბატონიშვილების, სამეფოს სხვადასხვა მოხელისა და უბრალოდ მოწმეების ხელმოწერები 1801 წლამდე გრძელდებოდა. დოკუმენტის ხელის მომწერებს შორის არიან: მდივანი ერასტი, გიორგი მეფის მოლარე გიორგი შანშიაშვილი, იოანე თურქისტანიშვილი, ზაალ იაგულაშვილი, გიორგი ყორღანაშვილი, ფარსადანი, თომა ისპასშვილი, დავით ბატონიშვილი, იოანე ბატონიშვილი, ბაგრატ ბატონიშვილი, მინბაში სოლომონ არღუთაშვილი, მდივანი სულხანი. მოწმეები ადასტურებენ და აღნიშნავენ, თუ რა იცინ ამ საკითხის შესახებ, სად ან როგორ ნახეს ეს ძველი, დაკარგული, საბუთები.<sup>22</sup>

ლორის ქალანთარის, ავთანდილის, მამა ბარხუდარა იყო, რომელსაც ასევე ლორის მელიქისა და ქალანთარის თანამდებობა ეკავა. ხოლო შვილები იყვნენ – ენალა, სტეფანე, დავითი და ალა (იხ. ცხრილი).


<sup>18</sup> სცსა, ფ. 1450-18/59.

<sup>19</sup> სცსა, ფ. 1450-18/60.

<sup>20</sup> იგულისხმება სეფიანთა დინასტია.


<sup>21</sup> სცსა, ფ. 1450-18/60.

<sup>22</sup> სცსა, ფ. 1450-18/60.



1801 წელს თავლიდარანთ პეტრეშვილების ნასყიდობის წიგნში „ლორელი და ფანბაკისა ბორჩალოს მელიქი ბარხუდარას შვილი, ავთანდილასშვილებს სტეფანეს, ენალას, დავითს და ალას“ პეტრესშვილებმა ქალაქში სახლის ადგილი მიჰყიდეს.<sup>23</sup>

საბუთებში, ასევე ჩანან მელიქიშვილ-ტაინაშვილები – გოგია, ავთანდილი, თამაზა და სტეფანე, მელიქ-ამირხანასშვილები – პაპა, მელიქჯან და ავთანდილი.<sup>24</sup> ესენი ყველანი ლორის მელიქის შვილები არიან. პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს მელიქ დაის სახელის ვარიანტთან, მელიქი დაის სახელიდან უნდა იყოს წარმომდგარი ტაინა. მელიქიშვილ-ტაინაშვილებიც ამით აიხსნება. ამირხანა კი ლორის მელიქი იყო, რომელსაც შვილები პაპა, მელიქჯანა და ავთანდილი ჰყავდა. ამიტომ საბუთებში ამირხანასშვილი მამის სახელს გულისხმობს და აქაც იგივე საგვარეულოსთან (ლორის მელიქიშვილი) გვაქვს საქმე. ამირხანაც დაის/ტაინას შთამომავალი უნდა იყოს. 1768 წლის ერთი საბუთის მიხედვით ცნობილია, რომ ამირხანას უფროსი ძე, პაპა, ლორის ქალანთარი, ხოლო მისი ძმა, მელიქჯანა, ლორის მელიქი იყო.<sup>25</sup>



<sup>23</sup> სცსა, ფ. 1450-18/58.

<sup>24</sup> სცსა, ფ. 1450-18/59.

<sup>25</sup> სცსა, ფ. 1450-18/57.

<sup>26</sup> სცსა, ფ. 1450-18/59.



მოგვიანებით, 1877-78 წლებში ოსმალეთთან ომში თავის გამოჩენის-თვის 1878 წლის 16 აპრილს იმპერატორმა ალექსანდრე II-მ (1855-81) მიხეილ ტარიელის ძე ლორის-მელიქიშვილს გრაფობა და ახალი გერბი უბოძა.<sup>27</sup>

### სომხითის მელიქი

სომხითის მელიქების შესახებ მნიშვნელოვანი დეტალები ირკვევა სპარსული ნარატიული წყაროებიდან. სომხითის მელიქი მირიმანი იყო პირველი მელიქი, მისი ძე ყორხმაზი, აგრეთვე სომხითის მელიქი, შაჰ აბასს ერთგულად ემსახურებოდა. მირიმანის მეორე ვაჟი, თამაზყული ხანი, ერთ-ერთი უპირველესი დიდკაცი (ყულარალასი, უფლისწულის აღმზრდელი) იყო შაჰის კარზე, ხოლო მისი ძმისწული სეფი-ყული ხანი (ყორხმაზის ძე), ჯერ ყოლმარის და ალაშქერის ბეგლარბეგი იყო, შემდეგ – ჰამადანის, ბოლოს, როგორც ბალდადის დამპყრობელი (1623), ერაყის მმართველად იჯდა 1633 წლამდე.<sup>28</sup>

პირველი მელიქის, მირიმანის, სახელის გამო მელიქის სახლის წარმომადგენლები წყაროებში ხშირად მირიმანიძეებად მოხსენიებიან, ხოლო ნაწილი, ძირითადად თბილისში დარჩენილი ასლან ყორხმაზის ძე მირიმანიძის შთამომავლები, მირიმანაშვილებად.

შაჰისადმი განსაკუთრებული ერთგულებით გამოირჩეოდა მელიქ ყორხმაზ I-ის ძე, მელიქი ათაბეგი, იგივე ათაბეგ მირიმანიძე. იგი სომხითის მელიქად 1619-59 წლების საისტორიო საბუთებში მოიხსენიება.<sup>29</sup>

ათაბეგს 1616 წელს ბაგრატ ხანმა (ბაგრატ VII, 1616-19) მეფე ლუარსაბ II-ის (1606-14) მიერ ნაწყალობევი სოფლები, ქარატაკი და გელაქთაგი, ჩამოართვა და სანაცვლოდ ქვემო წერაქვი უწყალობა.<sup>30</sup>

მელიქ ათაბეგი შაჰ აბასის საქართველოზე ლაშქრობების აქტიური მონაწილე იყო. შაჰ აბასის ისტორიკოსის, ისქანდერ მუნშის, მიხედვით, 1616 წელს შაჰი აღმოსავლეთ საქართველოში მოწყობილი ექსპედიციის შემდეგ, თბილისში შემოვიდა, სადაც ბაგრატ ხანი დიდის ამბით დახვდა. თბილისიდან შაჰ აბასი „გაემართა სომხითისაკენ და რამდენიმე დღე ილხენდა მელიქ მირმან სომხითარის შვილიშვილის, ათაბეგის, სამყოფელს, რომელიც [ირანის შაჰის]

<sup>27</sup> Кузьминов, “М. Т. Лорис-Меликов на Кавказе,” 126.

<sup>28</sup> ვალერიან გაბაშვილი, *ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში (შედარებითი შესწავლის ცდა)* (თბილისი, 1958), 294.

<sup>29</sup> პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII სს. ისტორიული საბუთების მიხედვით, მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს ა. ბაქრაძემ, ლ. რატიანმა და გ. ოთხმეზურმა, ტომი შეადგინეს დ. კლდიაშვილმა და მ. სურგულაძემ, ტ. III (თბილისი, 2004), 186.

<sup>30</sup> პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. III, 186; სცსა, ფ. 1448-1024.

წმინდა გვარეულობის ერთგულთა რიცხვს ეკუთვნოდა“.<sup>31</sup> ასეთი ერთგულების სანაცვლოდ მელიქები შაჰისგან დამატებით უფლებებსა და იმუნიტეტს იღებდნენ.

1956-58 წლების ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის დროს ქვემო ქართლში აკად. დავით მუსხელიშვილმა მარნეულის რაიონში, გორულის ნასოფლართან,<sup>32</sup> 1615 წელს სომხურ ენაზე შესრულებულ წარწერას მიაკვლია. მან პირველმა წაიკითხა ეს წარწერა და ივარაუდა, რომ იგი სომხეთის მელიქ ათაბეგს ეკუთვნოდა. წარწერა დაზუსტდა და 2009 წელს ხელმეორედ გამოიცა გიორგი გაგოშიძისა და ნათია ჩანტლაძის მიერ. ახალ გამოცემაში ავტორები რამდენიმე ადგილს აზუსტებენ, მათ შორის, ექვსი ძმის მამის სახელს (მავექოსი) და ერთ-ერთი ძმის, მირიმანის, სახელს (ბალტატ ხანი), თუმცა არც ამჯერად არის დადგენილი წარწერაში მოხსენიებულ პირთა ვინაობა. გამომცემლები აღნიშნავენ, რომ „ასეთი ოჯახის კვალი არათუ წარწერის დღევანდელი მდებარეობის ადგილას, არამედ საერთოდ, სომხეთის ტერიტორიაზეც, არც ამ და არც სხვა პერიოდში არ დასტურდება“. შესაბამისად, ავტორებს ეს წარწერა ნაყალბევად მიაჩნიათ.<sup>33</sup>

დავით მუსხელიშვილის მიხედვით	გიორგი გაგოშიძის და ნათია ჩანტლაძის მიხედვით
<ol style="list-style-type: none"> <li>1. წელსა 1615. მე ბატონმა – ? –</li> <li>2. აღვაშენე წმინდა ეკლესია</li> <li>3. ხსნისათვის სულისა ჩემისა</li> <li>4. მყავდა 6 შვილი: დიდი ბატონი ათ</li> <li>5. აბეკი, რომელიც ამ ქვეყნის მელიქი იყო, მირი</li> <li>6. მანი, ?, ?, ასლანი</li> <li>7. ელიკუმი ? ბატონი მანთაში – ? –<sup>34</sup></li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. წელსა 1064 (1615) მე ბატონმა მავქოსმა</li> <li>2. ავაშენე ეს წმინდა ეკლესია</li> <li>3. ჩემი სულის ხსნისათვის</li> <li>4. მყავდა ექვსი შვილი დიდი ბატონი</li> <li>5. ათაბეკი, რომელიც ამ ქვეყნის მელიქი იყო, მირიმანი</li> <li>6. ბალტატ ხანი იყო, ასლანი</li> <li>7. [...]ლგუმი, ბატონი მანთაში, ქანა[...]</li> <li>8. [...]<sup>35</sup></li> </ol>

<sup>31</sup> ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლადიმერ ფუთურაძემ (თბილისი, 1969), 111.

<sup>32</sup> გორული მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ოფრეთთან, მდ. შულავერის ზემო წელზე მდებარეობს.

<sup>33</sup> გიორგი გაგოშიძე, ნათია ჩანტლაძე, მონოფიზიტური ძეგლები საქართველოში (თბილისი, 2009), 97.


<sup>34</sup> დავით მუსხელიშვილი, „ქვემო ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის საველე სამუშაოთა (1956-1958 წწ.) შედეგები“, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, 1 (1960), 52-3.

<sup>35</sup> გაგოშიძე, ჩანტლაძე, მონოფიზიტური ძეგლები საქართველოში, 96.

ჩემი ვარაუდით, წარწერაში მოხსენიებული პირები ადგილობრივი მფლობელები, მირიმანიძეები, ანუ სომხითის მელიქის შვილები (თავადი მელიქიშვილები) უნდა იყვნენ.<sup>36</sup>

„ათაბეგი, რომელიც ამ ქვეყნის მელიქი იყო“ – ზემოთ ნახსენები სომხითის მელიქი ათაბეგია; „მირიმანი ბაღდატ ხანი“ – მელიქ ათაბეგის ძმა, იგივე სეფიყული ხანია, რომელიც ჯერ ყოლმარის, ალაშქერის და ჰამადანის ბეგლარბეგი, ბოლოს კი – ერაყის მმართველი იყო.<sup>37</sup> „ასლანი“ – თბილისის მელიქის ენალას (1634-72) მამაა, რომელსაც ასევე თბილისის მელიქის სახელო ეკავა.<sup>38</sup> „[.ე]ლიგუმი/ელიკუმი“ – ქართულ საისტორიო საბუთებში ნახსენები ათაბეგის კიდევ ერთი ძმა ზაქუმი უნდა იყოს, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა XVII-XVIII საუკუნეების ზაქუმიშვილების საგვარეულოს.<sup>39</sup> „ბატონი მანთაში“ და კიდევ ერთი ძმის (რომლის სახელიც არ იკითხება) შესახებ ცნობები საისტორიო საბუთებში არ ჩანს.

გორულის წარწერაში მოხსენიებული პირები:



1625 წელს მარტყოფის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ გიორგი სააკაძემ ქართლში დარჩენილ ირანის შაჰის ერთგულებს შეუტია. როგორც ვახუშტი ბაგრატიონი აღმოგვცემს, სწორედ შაჰის ერთგულების გამო მელიქ ათაბეგს და მის ძმას, ზაქუმს, 1625 წელს „მიუჯდა ამათ მოურავი, ხოლო იგინი

<sup>36</sup> ალექსანდრე ბოშიშვილი, „გორულის წარწერაში მოხსენიებულ პირთა ვინაობის საკითხისთვის“, *თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები*, 1 (თბილისი, 2011), 176-83.

<sup>37</sup> გაბაშვილი, *ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში*, 194; ჰიროტაკე მადეა, *ქართველები სეფიანთა ირანში, ლულამთა ოთხი ოჯახის ეთნოსოციალური წარმომავლობა* (თბილისი, 2008), 43.

<sup>38</sup> სცსა, ფ. 1450, 18/78. ქალაქის მელიქ ასლანის და გორულის წარწერაში მოხსენიებულ ასლანის იდენტიურობის შესახებ ვრცლად იხ. ბოშიშვილი, „გორულის წარწერაში მოხსენიებულ პირთა ვინაობის საკითხისთვის“, 180.

<sup>39</sup> პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII სს. *ისტორიული საბუთების მიხედვით*, გამოსაცემად მოამზადეს დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ტ. II (თბილისი, 1993), 218-9; *საქართველოს სიძველენი*, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, ექთაყაიშვილის რედაქტორობით, ტ. III (ტფილისი, 1910), 410.

ივლტოდნენ და წაგუარნა დედანულნი და ქონებანი“.<sup>40</sup> ათაბეგი ძმებთან ერთად ირანში გაიქცა. ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, ირანში გახიზნულმა მელიქ ათაბეგმა და მისმა ძმებმა მხოლოდ XVII საუკუნის 30-იან წლებში როსტომ ხანის (1633-58) დახმარებით მოახერხეს სამშობლოში დაბრუნება.<sup>41</sup> უკან დაბრუნებულმა მელიქ ათაბეგმა მდგომარეობა და სამფლობელოებზე გავლენა მაშინვე აღიდგინა.<sup>42</sup>

ათაბეგის გარდაცვალების შემდეგ, 1637-56 წლებში, მელიქი მისი შვილი, ყორხმაზ მირიმანიძე, იგივე ყორხმაზ II გახდა.<sup>43</sup> ქართლში იმ დროს როსტომ ხანი (1633-58) მეფობდა, როსტომს კი მეფობას თეიმურაზი ეცილებოდა.

1642 წელს ქართლში როსტომის წინააღმდეგ ქართლის და კახეთის თავადების ერთი ჯგუფის მონაწილეობით და თეიმურაზის მეთაურობით დიდი შეთქმულება დაიგეგმა. შეთქმულების მიზანი იმ დროს „ცოტას კაცით ცხირეთს“ მდგომი როსტომის მოკვლა და თეიმურაზ I-ის გამეფება იყო.<sup>44</sup> სპარსელი ისტორიკოსის მოჰამედ თაჰერის ცნობით, ქართველმა თავადებმა „საქმეში მოკავშირედ გაიჩინეს მელიქი ყორხამასი, სომხითის მელიქ ათაბეგის შვილი. რადგანაც ხსენებული მელიქი სახალიფო სასახლის (შაჰის) ერთგულთა რიცხვს ეკუთვნის, ამიტომ მან შეატყობინა როსტომ ხანს იმ ურწმუნოთა ბოროტების შესახებ“.<sup>45</sup> როსტომი გორის ციხეში გამაგრდა, თეიმურაზმა კი, რომელიც უკვე მეტებთან იყო მისული, შეთქმულების გაცემა შეიტყო და უკან, კახეთში, დაბრუნდა. როსტომმა შეთქმულებაში მონაწილეები სასტიკად დასაჯა.<sup>46</sup>

ყორხმაზ II, როგორც მელიქი, აქტიურად იყო ჩართული სამამულე დავების გარჩევაში. მან როსტომ ხანის მეუღლის, მარიამ დედოფლის, ბრძანებით ვინმე ალიხანასა და ოფრეთელებს შორის წარმოქმნილი დავა გაარჩია.<sup>47</sup> ყორხმაზმა

<sup>40</sup> ვახუშტი ბატონიშვილი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*, 434.

<sup>41</sup> ფარსადან გორგიჯანიძე, „ისტორია“, სარგის კაკაბაძის გამოცემა, *საისტორიო მოამბე*, ტ. II (თბილისი, 1925), 32; *ცხოვრება საქართველოსა (პარიზის ქრონიკა)*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გიული ალასანიამ (თბილისი, 1980), 92.

<sup>42</sup> *პირთა ანოტირებული ლექსიკონი*, ტ. III, 186; სცსა, ფ. 1450-8/145.

<sup>43</sup> *პირთა ანოტირებული ლექსიკონი*, ტ. III, 187.

<sup>44</sup> ბერი ეგნატაშვილი, „ახალი ქართლის ცხოვრება“, *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II (თბილისი, 1959), 421; ფარსადან გორგიჯანიძე, „ისტორია“, 250.

<sup>45</sup> *მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ*, ტექსტი, თარგმანი და შენიშვნები ვლადიმერ ფუტურეიძისა (თბილისი, 1954), 381.

<sup>46</sup> ფარსადან გორგიჯანიძე, „ისტორია“, 250; ბერი ეგნატაშვილი, „ახალი ქართლის ცხოვრება“, 422; *მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ*, 381.

<sup>47</sup> *პირთა ანოტირებული ლექსიკონი*, ტ. III, 187; სცსა, ფ. 1450-9/108.

სუფრაჯ ჰამზაბეგისა და მდივან ბირთველ თუმანიშვილის მამულების და ღალის საკითხებზე წარმოქმნილი დავა გაარია.<sup>48</sup> ყორხმაზ II-მ 1640-იან წლებში გორულებს და ხობმელებს, შორის მდებარე, სადავო მიწა აღიხანა იაგულაშვილს უწყალობა.<sup>49</sup>

ყორხმაზი მოწმეა სამების მამასახლისის მიერ პაპია შანშიაშვილისათვის მიცემული ნასოფლარის ნასყიდობის წიგნისა<sup>50</sup> და პაატა ბარათაშვილის მიერ შაჰყულა იაგულაშვილისათვის მიცემული ყმა-მამულის გაცვლის წიგნისა.<sup>51</sup>

ყორხმაზი, სავარაუდოდ, XVII ს. 50-იანი წლების ბოლოს გარდაიცვალა, მის შემდეგ მელიქი მისი შვილი, ქამარბეგი, გახდა. იგი მელიქი ვახტანგ V შაჰნავაზის (1658-75) და გიორგი XI-ის (1675-88; 1703-09) მეფობის დროს იყო.

ქამარბეგმა 1660 წელს როჭიკა შალიკაშვილის კუთვნილი სომხითის სოფელი ვანქი სამელიქო გადასახადისაგან გაათავისუფლა. ვანქის სამელიქო გამოსაღები თავის დროზე მელიქიშვილებს შაჰ აბასისგან ჰქონიათ ნაბოძები.<sup>52</sup>

გიორგი XI შაჰისადმი დიდ ერთგულებას არ იჩენდა. ამავე დროს შაჰ სულეიმანი (1666-94) ქართველების ურთიერთდაპირისპირებას ცდილობდა, რისთვისაც 1679 წელს ქართლში ირანელი სარდალი აჯი-ალი ხანი გამოგზავნა, „რათა გარდააბირნოს ქართველნი გიორგი მეფისაგან“. ხოლო „მელიქი სომხითისა ქამარბეგ ამხილებდა ქმნულსა მეფისასა აჯი-აღიხანს“. მეფის მოწინააღმდეგეები იყვნენ, ასევე, ერეკლე მუხრანბატონი, იესე და ელიზბარ მაჩაბლები.<sup>53</sup> მეფის ბრძანებით 1687 წელს „ჰკრეს თოფი ქამარბეგს ფარულად კოჭორსა ზედა და მოკუდა იგი“, სხვები კი დააპატიმრა და მკაცრად გაუსწორდა.<sup>54</sup> პარიზის ქრონიკის მიხედვით, „სომხითის მელიქი ყენმან კარზედ ითხოვა“, რათა გაერკვია, თუ რა ხდებოდა ქართლში, სადაც თავადები ურჩობდნენ, „ყენი გურგენ ხანსაც“ უწყრებოდა, ამიტომ „კარავში მჯდომს თოფი აკვრევენეს და ქამარ-ბეგ მელიქი მოაკვდინეს“.<sup>55</sup> ეს ამბავი შაჰს დიდად სწყენია.<sup>56</sup> როგორც ჩანს, ქამარბეგი გიორგისთვის სერიოზული მოწინააღმდეგე იყო, ამიტომ მეფეს ხელს არ აძლევდა მისი ირანში გამგზავრება და სასწრაფო ზომები მიიღო.

<sup>48</sup> პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. III, 187; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც), Sd 484.

<sup>49</sup> პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. III, 187; სცსა, ფ. 1450-9/109.

<sup>50</sup> პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. III, 187; სცსა, ფ. 1450-5/35.

<sup>51</sup> პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. III, 187; სცსა, ფ. 1450-9/150.

<sup>52</sup> პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. III, 187; სცსა, ფ. 1450-37/205.

<sup>53</sup> ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 460.

<sup>54</sup> იქვე.

<sup>55</sup> ცხოვრება საქართველოსა (პარიზის ქრონიკა), 121.

<sup>56</sup> იქვე.

მიუხედავად იმისა, რომ მელიქი ქამარბეგი მეფის ხელისუფლებას ეწინააღმდეგებოდა და ამის გამო სიკვდილითაც დასაჯეს, მის შემდეგ მელიქი მაინც მისი შვილი ავთანდილი გახდა.

მელიქი ავთანდილი სხვადასხვა საბუთში მოიხსენიება. 1688 წელს მელიქ ავთანდილმა ბაინდურ გოგიბასშვილს ბოლნისში, თურმანი[ს] ში, „საფარაანთ თელნარის ქვემოთ“ საფარაშვილის, აკოფაშვილის და ყადინაშვილის მიწებამდე, თორმეტი დღის მიწა მიჰყიდა.<sup>57</sup> 1689 წელს ალავერდა ალიხნასშვილს მიჰყიდა მიწები.<sup>58</sup> 1689 წელს, იოანე დიასამიძის კათალიკოსობის დროს, როსტომ მეფის მიერ სვეტიცხოვლისთვის 1645 წელს შეწირული, სოფელი დარბაზი სამელიქო გადასახადისაგან გაათავისუფლა.<sup>59</sup>

მელიქები თანდათან ტოვებენ ისლამს და მართლმადიდებლობას იღებენ. ეს ჩანს როგორც საკუთარი სახელებიდან, ასევე მათ მიერ გაცემული იურიდიული დოკუმენტებიდან.

1697 წელს მელიქ ავთანდილმა გივი თუმანიშვილს შამირზას ნასოფლარი მიჰყიდა. აღნიშნული საბუთიდან ჩანს, რომ მელიქი ავთანდილი იმ დროს უკვე მართლმადიდებელი ყოფილა, რადგან სიგელს წინ უძღვის ვრცელი მართლმადიდებლური ლოცვა წმინდანთა რიგის ჩამოთვლით.<sup>60</sup>

მელიქი ავთანდილი პირველი მელიქი იყო, რომელმაც მუსლიმობა დატოვა და მართლმადიდებელი გახდა. ავთანდილის შემდეგ მელიქიშვილები საბოლოოდ ქრისტიანები ხდებიან და ქართველ თავადთა რიცხვში ითვლებიან.

ავთანდილს წერაქვის სამელიქო გამოსაღების გამო ციციშვილებთან ჰქონდა დავა. ერეკლე I ნაზარალი ხანის დროს (1688-1703) მელიქ ავთანდილმა უთრუთ ციციშვილს წერაქვის სამელიქო გადასახადზე და მელიქის ყმის მიერ ნაყიდ ზვარზე დავა დაუწყო. ეს დავა რამდენიმე ხნის წინ ნაზარალი ხანის დავალებით ბაგრატ თურქისტანიშვილს გაურჩევია. მაგრამ მალე ისევ განახლებული დავა. პაატა შალიკაშვილმა გაარჩია, მელიქის ყმებმა ზვრის ნასყიდობის წიგნი ვერ წარმოადგინეს; წერაქველებმაც დაიფიცეს, რომ სამელიქო გადასახადი მანამდე არ ჰქონდათ. საბოლოოდ დავა უთრუთ ციციშვილის სასარგებლოდ გადაწყდა.<sup>61</sup>

<sup>57</sup> პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. III, 185; სცსა, ფ. 1450-10/18.

<sup>58</sup> პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. III, 185; სცსა, ფ. 1450-9/120.

<sup>59</sup> პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. III, 185; სცსა, ფ. 1449-2365.

<sup>60</sup> საქართველოს სიძველენი, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, ექ. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტ. II (ტფილისი 1909), 115-8; ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ტექსტი დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვლადიმერ ფუთურიძემ (თბილისი, 1955), 381-3.

<sup>61</sup> პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. III, 185; სცსა, ფ. 1450-51/81.

მელიქ ავთანდილს, როგორც ჩანს, ეკონომიკური პრობლემები ჰქონდა. 1710 წელს მან ლუარსაბ სარდლისგან „სამოცდაათხუთმეტი ნალდი თეთრი აილო“ და სანაცვლოდ თავისი „სახასო სამკვიდრო სოფელი დიელცნუტი... თავისის მთითა, ბარითა, წყლითა, წისკვილითა, ველითა, ვენახითა, სახნავითა და უხნავითა, ქალითა და სათიბითა, შესავლითა და ყოვლის ნივთით, მათის გამოსალბითა და ყოვლის მათის სამართლიანის სამძღურითა“ დაუდო.<sup>62</sup>

გიორგი XI-ის შემდეგ ქართლის მეფობა ირანში მყოფმა ქაიხოსრომ (1709-11) მიიღო. იგი ქართლში ჩამოსვლას ვერც მოესწრო, ისე დაიღუპა ავღანელებთან ბრძოლაში. შემდეგ მეფე იესე (1711-16) გამეფდა. 1716 წლიდან ქართლის მეფე ირანში მყოფი, ადრე ჯანიშინად (1703-12) ნამყოფი ვახტანგ VI გახდა. იგი ირანიდან ქართლში 1719 წელს დაბრუნდა, რათა მას ქართლის სამეფოს შიდა საქმეები მოენესრიგებინა და დაღესტნელების თავდასხმები შეეჩერებინა.<sup>63</sup> ვახტანგ VI-ის სამშობლოში დაბრუნებას ქართლის საზოგადოება დიდი სიხარულით შეხვდა. ზოგისთვის მეფის დაბრუნება მათი უფლებების შეზღუდვასთან იგივედებოდა. ამის გამო მას მოწინააღმდეგეებიც მრავლად ჰყავდა. ვახტანგმა ენერგიულად დაიწყო ქვეყნის მართვა-გამგეობა. პირველ რიგში, ირანულ ყაიდაზე შეცვლილი ქართული წესებისა და კანონების აღდგენა დაიწყო. ერთ-ერთი პირველი, რაც გააკეთა, მოწინააღმდეგეები შეიპყრო და სხვადასხვა სასჯელით დასაჯა. სწორედ „მამინ შეიპყრა ძე ქამარ-ბეგისა სომხითის მელიქი (ავთანდილი – ა.ბ.) და დახურიტა თოფით“; ამის გარდა, შეიპყრო ბაგრატი ციციშვილი, ფეშანგი ფალავანდიშვილი, ჯამასპი ხერხეულიძე, რევაზიშვილი პაპუნა და სხვები, მაგრამ „ესენი იქსნა კათალიკოსმან სიკუდილისაგან და განყიდეს ოსეთს თხებთა ზედა“.<sup>64</sup>

ავთანდილის შემდეგ მელიქი მისი ბიძაშვილი, ლევანი, გახდა. ავთანდილმა, როგორც ჩანს, იცოდა, რომ მის შემდეგ მისი შვილი კი არა, შეიძლება მისი სახლიკაცი გამხდარიყო მელიქი, ამიტომ 1710 წელს საბუთის გაცემისას აღნიშნავს, რომ „თუ მე ვარ მელიქი ან დღეის იქით ჩემი ნათესავი ვინმე მელიქად იყოს“, მაინც ვერ მოგიშალს ეს პირობაო.<sup>65</sup> მსგავსი შემთხვევა სხვა საბუთებში არ ფიქსირდება და მელიქობა სტაბილურად მამიდან შვილზე გადადიოდა.

ლევანის დროს ქართლის მეფეებსა და თავად მელიქიშვილებს შორის ურთიერთობა შედარებით დასტაბილურდა. მელიქებმა ირანიდან მხარდაჭერა

<sup>62</sup> ხეც. Sd 13173.

<sup>63</sup> ლოვარდ ტუხაშვილი, „პოლიტიკური ვითარება XVIII ს-ის პირველ ოცწლეულში“, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV (თბილისი, 1973), 408.

<sup>64</sup> ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 497.

<sup>65</sup> ხეც. Sd 13173.

საბოლოოდ დაკარგეს, ამიტომ მელიქისთვისაც ისლამი პრიორიტეტს აღარ წარმოადგენდა. მირიმანიძეთათვის უფრო ხელსაყრელი ქართველი მეფის სამსახური გახდა.

მელიქი ლევანი 1681 წელს შალვა შალიკაშვილსა და მის განაყოფებს კუნეთის მიწებს ედავებოდა. საქმე ბერუკა თურქისტანიშვილმა გაარჩია და ლევანს ბეჟანბეგ შალიკაშვილისგან შეძენილი მამულები არგუნა, ხოლო ალიყულას მამული შალიკაშვილებს დარჩათ. ლევანმა შალიკაშვილებს ამ მიწებზე უდაობის პირობა მისცა.<sup>66</sup> 1688 წელს ლევან მელიქიშვილმა გივი თუმანიშვილს ადრე აღებული ვალი დაუბრუნა და ანგარიში გაუსწორა.<sup>67</sup> 1698 წელს ნაზარალიხანმა ლევანს სოფელი ყათლუ უწყალობა.<sup>68</sup>

1698 წელს ნაზარალი ხანმა მეჰმანდარბაშ<sup>69</sup> ალავერდა იაგულაშვილს შეუთვალა, რომ მელიქის სოფლები: ახტალა, ჭოჭკანი, შადიკნი, ნოფი, ტეფური, გორული, წერაქვი, დელარარას სოფელი, ბირშას სოფელი, ზემო გორული, მათიში, დიდცნუტი, სააბი, შამირზას სოფელი, ქვემო ბოლნისში რაც ჰქონდათ მელიქებს თოხლუქილისა, ყველა ლევან მირიმანიძესთვის გადაებარებინა.<sup>70</sup>

როგორც ვხედავთ, ვიდრე მელიქის სახელოს მიიღებდა, ლევან მირიმანიძე სამელიქოს მამულების დიდ ნაწილს ფლობდა და ქართლის მეფეთა პატივისცემითა და წყალობებითაც სარგებლობდა. ამ ფაქტმა სავარაუდოდ, დიდი გავლენა იქონია იმაზე, რომ ავთანდილის სიკვდილით დასჯის შემდეგ ქართლის მეფეთა არჩევანი სწორედ მასზე შეჩერებულიყო და სომხითის მელიქი ლევან ყეენისეული<sup>71</sup> ათაბეგის ძე გამხდარიყო. ეს ალბათ პირველი შემთხვევა იყო, როდესაც მელიქი ქართლის მეფემ დანიშნა და არა შაჰმა. ლევანი 1721 წლის მენინავე სადროშოს აღწერაშიც მოიხსენიება.<sup>72</sup>

როგორც ცნობილია, 1723 წლიდან ქართლში და კავკასიის დიდ

<sup>66</sup> პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. III, 186; სცსა, ფ. 1450-48/139.

<sup>67</sup> საქართველოს სიძველენი, ტ. III, 568.

<sup>68</sup> პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. III, 186; სცსა, ფ. 1450-9/116.

<sup>69</sup> „მემანდარი“ და „მემანდარბაში“ – გვიანდელ ფეოდალურ პერიოდში მესტუმრისა და მესტუმრეთუხუცესის მნიშვნელობით შემოვიდა. მემანდარები და მემანდარბაში ეპიკალასბაშს ექვემდებარებოდნენ. იხ. ი. სურგულაძე, „მელიქი“, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (ქსე), ტ. VI (თბილისი, 1983), 601.

<sup>70</sup> პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. III, 186-7; სცსა, ფ. 1450-17/73.

<sup>71</sup> „ყეენისეული“ ათაბეგი დიდი ათაბეგის შვილიშვილი და ყორხმაზ II-ის ძე იყო. „ყეენისეული“ – ირანის შაჰის კარზე ყოფნის გამო ერქვა.

<sup>72</sup> „აღწერა მენინავე დროშისა საბარათაშვილოსა და სომხითისა, შედგენილი ვახტანგ მეექვსის ბრძანებით ვახუშტი ბატონიშვილისა და გივი თუმანიშვილის მიერ 1721 წელს“, მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა, ე. თაყაიშვილის გამოცემა (თბილისი, 1907), 262-4.



ნაწილზე ოსმალები გაბატონდნენ. ამავე დროს, რუსეთმა კასპიის ზღვისპირა პროვინციები დაიკავა. ოსმალებმა რუსეთის მიერ კასპიისპირეთის დაპყრობა ცნო, ხოლო პეტრე I-მა (1682-1725) ოსმალების მიერ აღმოსავლეთ საქართველოსა და აღმოსავლეთ სომხეთის დამორჩილება აღიარა. დასუსტებულმა ირანმა კავკასიაში ოსმალების გაბატონებას წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია, არც ქართლის მეფე ვახტანგ VI-ს შესწევდა ამის ძალა.

ქართლში კი ოსმალური ადმინისტრაცია შეიქმნა. დაინყო ე.წ. „ოსმალობა“, რომელიც 1735 წლამდე გაგრძელდა. ოსმალებმა ქართლის სამეფოს თბილისის ვილაიეთი უწოდეს, რომელიც უფრო მცირე ერთეულებად: ნაჰიეებად, ლიეებად და ყაზებად იყოფოდა.<sup>73</sup> შექმნეს საკუთარი ადმინისტრაციული აპარატი. გამგებლად, ანუ თბილისის ვილაიეთის ვალიდ ისაყ ფაშა<sup>74</sup> დანიშნეს. ქვეყანა აღწერეს და თავისი გადასახადები შეაწერეს. სომხეთის მელიქების მდგომარეობა „ოსმალობის“ დროს განსაკუთრებით გართულდა.

ოსმალებმა ქართლის სამეფო 1728 წელს აღწერეს და მოსახლეობა, მათი სოციალური კატეგორიებისა და წარმომავლობის მიუხედავად, თანაბრად დაბეგრეს ოსმალური გადასახადებით. ოსმალობის დროს „თბილისის ვილაიეთში“ ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად შევიდა „სომხეთის ლივის ნაჰიე“.<sup>75</sup> სომხეთის ლივის უფროსი მირიმანიძეთა საგვარეულოს წარმომადგენელი აღარ ჩანს. მისი მამული დაიყო და გივი ამილახორის, ადალლაჰ ბეგ ამილახორ ოღლისა და მეჰმედ ალის ძეს შორის განაწილდა. ნაწილი მამულებისა სახასოდ გამოცხადდა, მაგ. „მელიქაშენი სამეუფეო ხასია, ექვემდებარება სომხეთს“.<sup>76</sup> აღწერაში სოფელ ახტალას, სადაც სომხეთის მელიქების საგვარეულო საძვალე და სასახლე იყო, მიწერილი აქვს „ზიამეთი მეჰმედ ალის ძისა“. ასევე, მეჰმედ ალის ძის ზიამეთებია სოფლები: დვიბი, დიუდი და სხვ.<sup>77</sup>

<sup>73</sup> იხ. 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალით, გამოკვლევითა და ფაქსიმილებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ, ნ. I (თბილისი, 2009), 28-30.

<sup>74</sup> ისაყ ფაშა (1701-1748) წარმოშობით ჯაყელთა ფეოდალური საგვარეულოდან იყო. პირველი გამაჰმადიანებული ათაბაგის საფარ ფაშას შთამომავალი, ახალციხის ფაშა და თბილისის ვალი, „მპყრობელი და განმგებელი ყოვლისა საქართველოსი“, ოსმალების სამთულიანი ვეზირი. ცისანა აბულაძე, ისაყ / ისაყ ფაშა (1701-1748), <http://qim.ge/isak fasha.html>.

<sup>75</sup> ნ. შენგელია, „სომხეთის ნაჰიე 1728 წლის „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით“ (1728 წ. ტ. II), *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*, 5 (თბილისი, 2008), 194-208.

<sup>76</sup> 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალით, გამოკვლევითა და ფაქსიმილებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ, ნ. II (თბილისი, 2010), 262-354.

<sup>77</sup> 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, ნ. II, 306.

„ოსმალთა“ ქართლში 1735 წლამდე გაგრძელდა. 1735 წელს აჯანყებულმა ქართველებმა ყიზილბაშების დახმარებით ოსმალები დაამარცხეს და განდევნეს, მაგრამ ქვეყნისთვის ბევრი არაფერი შეცვლილა. ყიზილბაშებმა თავის რიგზე მოინდომეს ქვეყნის მოწყობა. ოსმალო ფაშა ყიზილბაშმა ხანმა შეცვალა. „ყიზილბაშობა“ 1749 წლამდე გაგრძელდა.

ლევან მელიქის შემდეგ ქართულ საბუთებში სომხითის მელიქად აღარავინ არ მოიხსენიება. მელიქობა, ფაქტობრივად, გაუქმდა, მათი მამული სახასოდ იყო გადაქცეული და ქართველი მეფის საკუთრებას წარმოადგენდა. თუმცა, როგორც ჩანს, ლევანის შთამომავლობა სომხითში და ქვემო ქართლში გარკვეულ მდგომარეობასა და ტერიტორიებს ინარჩუნებდა. ლევანის შვილი იყო იესე, რომელსაც მოღვაწეობა ოსმალთისა და ყიზილბაშობის დროს მოუწია. იესეს შვილი იყო ავთანდილი. ეს ავთანდილი საბუთებში თავისთავს მელიქად მოიხსენიებს. თუმცა მას ოფიციალურად მინბაშის თანამდებობა ეკავა და ამიტომ სამეფო კანცელარიის საბუთებში ყველგან ავთანდილ მინაბაშად ან ავთანდილ მელიქიშვილად მოიხსენიება.

როგორც ცნობილია, 1763 წელს ერეკლე II-მ მელიქიშვილის მამულში და მათ საძვალესთან ახლოს ახტალის ვერცხლსადნობი ქარხანა დააარსა. მელიქიშვილებმა ცენტრალურ ხელისუფლებას წინააღმდეგობა ვეღარ გაუწიეს. მათ საკუთარი მამულების საბოლოოდ დათმობა მოუწიათ, რის სანაცვლოდაც ერეკლემ მელიქიშვილებს ქარხნების ზედამხედველობა და სომხითის მინბაშობა დაავალა და შესაბამისი ხელფასიც დაუნიშნა. პირველი მინბაში სწორედ ავთანდილ მელიქიშვილი<sup>78</sup> იყო. ახტალის ქარხანაში წარმოების მეპატრონედ მეფე ითვლებოდა, რომელიც მეთვალყურეობისათვის მინბაშს, ანუ ათასისთავს ნიშნავდა.<sup>79</sup> მინბაშს უნდა განეწესებინა მინერული გლეხები (100 კაცი) ნახშირის დაწვისათვის, 120-150 კაცი საბერველთა ბერვისა და სხვა საქარხნო სამსახურისათვის, ასევე თვალი ედევნებინა წარმოებაში წესრიგისათვის, რათა ბერძნებს მუშებისათვის საზღაური დროულად ეძლიათ და წარმოებიდან ლითონი არ მიეტაცათ. გარდა ამისა, სურსათისა და წარმოებისათვის საჭირო ყველა მასალის მოტანაც მინბაშს ევალებოდა. მინბაში ანუ თავადი მელიქიშვილები წლიურად მიწისა და ტყისათვის 300 მანეთს იღებდნენ, ქარხნების ზედამხედველობისათვის ხელფასს – 300 მანეთს; 600 მანეთის გარდა, წლიურად ისინი ნატურის სახით ტყვიისა და ვერცხლის ნაწილსაც იღებდნენ.<sup>80</sup>

<sup>78</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, 681; სცსა, ფ. 1450, 18/22.

<sup>79</sup> გულჩინა აკოფაშვილი, „ვაჭრობის, მრეწველობის და საქალაქო ცხოვრების განვითარება“, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV (თბილისი, 1973), 548.

<sup>80</sup> დერმიშა გოგოლაძე, სამთამადნო, სამთო-საქარხნო მრეწველობა საქართველოში

1786 წელს ავთანდილი ბებურ ბებურიშვილს ყმას ედავებოდა. ბებურმა ვახტანგ ბატონიშვილს თხოვნით მიმართა. ეს უკანასკნელი ეუბნება, რომ ავთანდილ მინბაშს ამ კაცზე ჩვენ აღარ ვედავებით და თუ შენ რამე სადავო გაქვს, მეფეს მიმართეთ.<sup>81</sup> მომდევნო წელს ბებურის ძემ, ნინია ბებურიშვილმა, მიმართა დედოფალ დარეჯანს, რომ მელიქიშვილი ავთანდილი „ოცდა-თხუთმეტის წლის ჩამოსულს“ მედავებო. საბოლოოდ, საქმე სასამართლოს გადაეცა. დედოფალმა მელიქიშვილს განუცხადა, „აღდგომამდე დააცალე. თუ სააღდგომოთ მოვიდეს და სამართალში გელაპარაკოს, ის არის; თუ არა, მასუკან შენს კაცს ხელი მოჰკიდე და წამოიყვანე“.<sup>82</sup>

ეს საბუთი საინტერესოა იმით, რომ მიმართვაში ავთანდილი თავს მოიხსენიებს, როგორც „მელიქი ავთანდილი“, ხოლო ვახტანგ ბატონიშვილი ოქმში „მინბაშ ავთანდილ მელიქიშვილად“ წერს.

1793 წელს მელიქისშვილმა ავთანდილმა და მისმა შვილმა, იასემ, შაქარასგან და სტეფანესგან ვალი აიღეს. მსესხებლები, როგორც ჩანს, ახტალის მიდამოებში ცხოვრობდნენ და მადნის წარმოებაში იყვნენ დასაქმებული, რადგან მელიქიშვილები მათ ვალის დაბრუნებას კუთვნილი ჯამაგირიდან სთავაზობენ: „რაც ჩვენი განწესება არის მადნიდამ ჯამაგირი იქიდამ აიღე, ეს ხუთი თუმანიო“, თუ ბატონმა არ მოგცა ჩვენ მოგართმევთ.<sup>83</sup> საბუთში ავთანდილი მინბაშად მოიხსენიება, ხოლო იესე – იუზბაშად.

ავთანდილის შემდეგ ახტალის მადნების ზედამხედველი და მინბაში მისი შვილი, იესე მელიქიშვილი, გახდა. თუმცა იესე მანამდე იყო ჩართული ამ საქმიანობაში. ეს ჩანს 1788 წლის 28 აპრილის ერეკლე II-ის მიერ იულონ ბატონიშვილთან გაგზავნილი წერილიდან. ერეკლემ წერილთან ერთად იასე უზბაში 100 კაცით გააგზავნა და მადნების მიხედვა დაავალა.<sup>84</sup>

**სომხითის მელიქის მამული** ძირითადად ისტორიულ ქვემო ქართლში სომხითს მოიცავდა. XVII-XVIII საუკუნეებში სომხითი სრულიად გარკვეულ ტერიტორიას ერქვა, ეს იყო ბოლნის-შულავერის ხეობები და მათ შორის მცირე ხევებიც. პროფ. დევი ბერძენიშვილი წყაროებზე დაყრდნობით ვარაუდობს, რომ მელიქის მამული „უფრო დებედა-ნოფის ხეობით სევანის ტბისაკენ მიმავალ გზაზე“ უნდა ყოფილიყო. მის მეზობლად კი ლორის ხანის მამულია.<sup>85</sup>

და კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხი (XVIII-XIX სს.) (თბილისი, 1966), 11.

<sup>81</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, 681.

<sup>82</sup> იქვე, 447-8.

<sup>83</sup> სცსა, ფ. 1450, 18/22.

<sup>84</sup> საქართველოს სიძველენი, ტ. III, 45.

<sup>85</sup> დევი ბერძენიშვილი, „ახტალის მონასტერი“, ლიტერატურა და ხელოვნება, 2 (1998), 99; მისივე, ნარკვევები (თბილისი, 2006), 191-211.

მელიქის მამულის სოფლების განსაზღვრისთვის საინტერესო საბუთს წარმოადგენს 1698 წელს ნაზარალი ხანის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელშიც ჩამოთვლილია მელიქის სოფლები: ახტალა, ჭოჭკანი, შადიკნი, ნოფი, ტეფური, გორული, წერაქვი, დელარარას სოფელი, ბირშას სოფელი, ზემო გორული, მათიში, დიდცნუტი, სააბი, შამირზას სოფელი, ქვემო ბოლნისი და თოხლუქილისა.<sup>86</sup> ნოფი რომ მელიქის მამულია, კარგად ჩანს ვახტანგ VI-ის მიერ 1730 წელს რუსეთში გაცემულ წყალობის სიგელშიც. ამ სიგელის მიხედვითაც, „სოფელი სომხითის მელიქისა ნოფა“ ორბელიანებს გირაოდ ეჭირათ და მათვე დაუმტკიცა.<sup>87</sup> მელიქის მამული უნდა იყოს სოფელი მელიქაშენიც.

როგორც მოგვიანო ხანის ისტორიული საბუთებით და იქ აღმოჩენილი საფლავის ქვების წარწერებით დასტურდება, მელიქიშვილთა საძვალე ახტალა (დღევ. სომხეთის რესპუბლიკაში, ლორეს პროვინციაში) იყო. ახტალა ლორეს სიახლოვეს, მდ. დებედის ხეობაში მდებარეობს. ახტალის ძველი სახელი იყო სპილენძის მადანი (სომხურად – პლძაჰანქ). სახელწოდება „ახტალა“ მონღოლებმა შეარქვეს. „აღ-თალა“ „თეთრ ველს“ ნიშნავს,<sup>88</sup> რაც, ალბათ, იქ არსებული მადნების გამო, ბაც, ღია ფერის ნიადაგს უკავშირდება. ახტალის მიდამოები დღესაც გადათეთრებულია.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, მირიმანიძეების საგვარეულოს სამფლობელო, ანუ სომხითის მელიქის მამული, მუსლიმი მელიქით სათავეში, სათავადოს სახით ქართლის სამეფოს შემადგენლობაში XVII საუკუნეში გაჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ქვემო ქართლში მელიქი მუსლიმური აღმოსავლეთის ძალდატანებით დამკვიდრდა, „სამელიქო“ ანუ „მელიქის საულლარი“, „მელიქის მამული“ – იმავე რიგით იყო მოწყობილი, როგორც სხვა ქართული სათავადოები. მისი შინაგანი სტრუქტურა დიდად არ განსხვავდებოდა სხვა სათავადოებისაგან. სათავადოს სახლის უფროსი იყო მელიქი, ხოლო სხვები მელიქიშვილები (შდრ. ამილახვარი – ამილახვრიშვილი; ერისთავი – ერისთავიშვილი). მელიქები ცდილობდნენ, სათავადო ერთიანი შეენარჩუნებინათ. მათ საკმაოდ დიდი მამულები ჰქონდათ მიღებული. მელიქებს ჰყავდათ საკუთარი აზნაურებიც: აბაზაშვილი, არდაშელიშვილი, ყარახანაშვილი, ისუაშვილი, ოდიშელიძე, მაშათაშვილი და სხვ.

მელიქიშვილების აზნაურების ნაწილი გეორგიევსკის ტრაქტატზე დართულ ქართლისა და კახეთის თავადთა და აზნაურთა სიაშიც არიან შეყვანილნი:

<sup>86</sup> პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. III, 186-7; სცსა, ფ. 1450-17/73.

<sup>87</sup> საქართველოს სიძველენი, ტ. II, 357-8.

<sup>88</sup> ბერძენიშვილი, „ახტალის მონასტერი“, 99; მისივე, ნარკვევები, 191.

274. აზნაური აბაზაშვილი,  
 275. აზნაური არდაშელიშვილი,  
 276. აზნაური ყარახანაშვილი,  
 277. აზნაური ისუაშვილი.<sup>89</sup>

მელიქიშვილების აზნაურებად იგივე გვარები აქვს მითითებული იოანე ბაგრატიონს ქართლ-კახეთის თავადთა და აზნაურთა გვარების აღწერილობაშიც.<sup>90</sup> თუმცა ამათ გარდა, 1721 წლის მენინავე სადროშოს აღწერაში სხვა გვარებიც ფიქსირდება, მაგ. ოდიშელიძე ოტია, მაშათაშვილი აბაზყულა, გარდიშა; სოფელ საბაში – ლუარსაბი.<sup>91</sup> 1697 წლის ნასყიდობის ნიგნში, რომლის მიხედვითაც მელიქ ავთანდილმა, მისმა შვილებმა და სახლიკაცებმა თუმანიშვილ ზურაბს მიჰყიდეს შამირზას ნასოფლარი, მოწმედ დასახელებულია „აზნაურშვილი აბაზაშვილი არაზა“.<sup>92</sup>

საბუთთა სიმწირის გამო სამელიქოს მეურნეობის შესწავლა ვერ ხერხდება, თუმცა მელიქის მამულის სათავადოსთან ამდენი მსგავსების მიუხედავად, იგი სხვა ქართული სათავადოებისაგან განსხვავებულ და დიდად უპირატეს მდგომარეობაში იმყოფებოდა. რადგან მთელი ისტორიის მანძილზე მელიქები შაჰისადმი ერთგულებით გამოირჩეოდნენ, ისინი ხშირად ყველაზე სანდო დასაყრდენი ხდებოდნენ ირანისთვის და ცხადია, შაჰიც აფასებდა მათ ერთგულებას და ცდას არ აკლებდა, ეს მხარე ჩამოეშორებინა საქართველოსთვის და დამოუკიდებელ სახანოდ ექცია. „მელიქის საულლარი“ (სპარსულად სეიორღალი – მამული) „დაუნერელი“ იყო. ქართველი მეფე მის მამულს გადასახადებს ვერ აწერდა. ირანის შაჰის მხარდაჭერის პირობებში, მელიქის ქართველი მეფისადმი მორჩილება ნომინალური იყო და დასტურლამალის მიხედვითაც მცირე ვალდებულებები ჰქონდა. უნდა აღინიშნოს, რომ სომხითში არსებული სოფლები, სადაც მემამულეებად სხვა ფეოდალური სახლები (შალიკაშვილი, ციციშვილი და სხვ.)<sup>93</sup> იყვნენ, მელიქის სასარგებლოდ სპეციალურ „სამელიქო გამოსაღებს“ იხდიდნენ. სომხითის სოფლებში, სამელიქო გადასახადი თავის დროზე შაჰ აბასს დაუნესებია.<sup>94</sup>

საინტერესოა „დასტურლამალში“ მოხსენიებული „მელიქის საულლარი“,

<sup>89</sup> ქართული სამართლის ძეგლები, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. II (თბილისი, 1965), 483.

<sup>90</sup> იოანე ბატონიშვილი, შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, 149.

<sup>91</sup> „აღწერა მენინავე დროშისა საბარათაშვილოსა და სომხითისა“, 262-4.

<sup>92</sup> საქართველოს სიძველენი, ტ. II, 117; ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, 385.

<sup>93</sup> პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. III, 187; სცსა, ფ. 1450-37/191.

<sup>94</sup> პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. III, 187; სცსა, ფ. 1450-37/205.

რომელშიც ნაგულისხმევი უნდა იყოს ის ქვეყანა (სამელიქო მთლიანად თუ არა, მისი გარკვეული ნაწილი მაინც), რომლის სრული საგადასახადო ადმინისტრაციული და სასამართლო იმუნიტეტით სარგებლობს. მელიქის ამგვარი შეუვალობა ისტორიულად ირანის შაჰის „წყალობა“ იყო. მხოლოდ ამ თვალსაზრისით გასაგები ხდება, თუ რატომ ეწოდება მელიქის მამულს „საულღარი“. შაჰი ქვემო ქართლში სამელიქოსა და სახანოების შექმნით არამარტო მიწების მიტაცებას, არამედ ქართული მიწისმფლობელობის დარღვევას და ირანული მიწისმფლობელობის შემოღებასაც შეეცადა.

როგორც პროფ. ვალერიან გაბაშვილი აღნიშნავს, შაჰისთვის „საუკეთესო ვარიანტი თიულის შემოღება იქნებოდა, მაგრამ ეს ქართულ საზოგადოებას ირანის წინააღმდეგ დარაზმავდა. სოიურღალად ქცეული ტერიტორია, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ორგანიზაციისაგან მხოლოდ თანდათან გათიშვის შესაძლებლობას იძლეოდა, უფრო კომპრომისული ხასიათის მატარებელი იყო. ამ მხრივ სოიურღალს დაახლოებით ისეთივე როლი უნდა შეესრულებინა, როგორცაც მონღოლთა ბატონობის ხანაში „ხასინჯუს“ ინსტიტუტი ასრულებდა“.<sup>95</sup>

პროფ. ვალერიან გაბაშვილისავე განმარტებით, „სოიურღალი აღმოსავლეთის ქვეყნებისთვის დამახასიათებელი მიწისმფლობელობის წესია, მისი წინა ფორმა არის „იკტა“, რაც არაბულად ნიშნავს ჩამონაჭერს. იკტამ, სანამ სოიურღალად გადაიქცეოდა, განვითარების რამდენიმე ეტაპი გაიარა: „პირველ პერიოდში (IX-X სს.) იკტა გულისხმობდა მისი მფლობელის (არაბ. „მუკტა“, სპარს. „იკტადარი“) წილს მიწის შემოსავალში, მის უფლებას რენტა-ხარკის გადაკვეთილ წილზე; მეორე პერიოდში (XI-XIII სს.) სამხედრო სამსახურის პირობით გაცემულ მიწას, რამაც საჭირო საფუძველი შეუქმნა სამხედრო-ლენური სისტემის ჩამოყალიბებას; მესამე პერიოდში (XIV-XV სს.) იკტა აღწევს განვითარების ახალ, უფრო მაღალ საფეხურს, რის გამოც სამხედრო ლენური სისტემა დასრულებულ სახეს იღებს და, ამასთან, ვითარდება ფეოდალური იმუნიტეტი“.<sup>96</sup> იკტის მფლობელობის დარღვევად ითვლებოდა მიწის დაუმუშავებლობა; მიწაც და გლეხებიც იკტადარებს, როგორც წესი, მიწის დამუშავების პირობით ეძლეოდათ.<sup>97</sup> XV საუკუნეში იკტის განვითარების შედეგი იყო „სოიურღალის“ ინსტიტუტი, რაც მიწის ფეოდალური გასაკუთრების წინა აზიაში არსებულმა საერთო ტენდენციამ გამოიწვია. სოიურღალისთვის დამახასიათებელი ხდება ადმინისტრაციული, საგადასახადო და სასამართლო იმუნიტეტი.<sup>98</sup>

<sup>95</sup> გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში, 295.

<sup>96</sup> იქვე, 164-5.

<sup>97</sup> იქვე, 172.

<sup>98</sup> იქვე, 165.

„სოიურღალი“ მონღოლური წარმოშობის სიტყვაა, მონღოლურად „საურ-ხალ“ ყოველგვარ შეწყალებას ნიშნავს. იგი ქმნიდა მსხვილ ტერიტორიულ ერთეულს, რომლის მფლობელი (ჩვეულებრივ მომთაბარე ტომთა ამირა) ალჭურვილი იყო ადმინისტრაციული, საგადასახადო და სასამართლო იმუნიტეტით, მაგრამ მინის ფეოდალური საკუთრების ამ ფორმის არსებობა არ მოასწავებდა ფეოდალური მეურნეობის წინსვლას, მის განვითარებას.<sup>99</sup>

აკად. ილია პეტრუშევსკიმ, რომელმაც „სოიურღალი“ სომხეთისა და აზერბაიჯანის მინიმფლობელობასთან კავშირში შეისწავლა, ასეთი განსაზღვრება მოგვცა: „სოიურღალისთვის ყველაზე მეტად დამახასიათებელი ნიშნებია – მფლობელობის მემკვიდრეობითი ხასიათი და საგადასახადო იმუნიტეტი“.<sup>100</sup>

პროფ. ვალერიან გაბაშვილის აზრით, ქართული წყაროს ჩვენება, რომელიც „ქართველობის“ დროს სოიურღალის არსებობას აღნიშნავს, ერთადერთია და ამდენადვე მისი განზოგადების საკითხი სავსებით გამორიცხულია. ამასთან, ეტყობა, იგი ყალიბდება გარკვეულ ისტორიულ ვითარებაში და გეოგრაფიულადაც მისი წარმოშობა მოულოდნელი არ არის იქ, სადაც ეს ირანული ფეოდალური ინსტიტუტი წარმოიშვა“.<sup>101</sup>

სომხითის მელიქი განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობდა. იგი, ფაქტობრივად, გათავისუფლებული იყო ვალდებულებისგან. „დასტურ-ლამალში“ ვკითხულობთ: „როდესაც ქართლი ანერილა და ან აინერების, ამ წესით უნდა აინერებოდეს: ყაიყულიდამ შემოყოლებით თათარსა და მელიქის სულღარს გარდა, სომხითს, ტაშირს, ყაიყულს, თრიალეთს და საბარათაშვილოში ამაზედ საბარათაშვილოს სარდალი წავა. ერთი მდივანი წავა, ასწერს და დავთარს დაიჭერს, მეფის მდივანი წავიდოდეს“.<sup>102</sup>

ფეოდალურ საზოგადოებაში ქვეყნის აღწერა სამხედრო და ფისკალური მიზნით წარმოებდა, რათა გაერკვიათ მოლაშქრეების და გადასახადების რაოდენობა. ჩნდება კითხვა, რატომ გამორიცხავს კანონი მელიქის მამულის აღწერას? პასუხი ასეთია: ირანის შაჰისგან მელიქისთვის მინიჭებული განსაკუთრებული პრივილეგიების გამო მისი მამული „დაუნერელია“.

რა თქმა უნდა, არ იქნება სიმართლე იმის თქმა, რომ მელიქი მთლიანად ჩამოშორებულია ქართლის ხელისუფლებას, აქ საუბარია მხოლოდ მის

<sup>99</sup> იქვე, 173.

<sup>100</sup> И. П. Петрушевский, *Очерки по истории феодальных отношений в Азербайджана и Армении в XVI-начале XIX вв.* (Москва, 1949), 75-95.

<sup>101</sup> გაბაშვილი, *ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში*, 296.

<sup>102</sup> *ქართული სამართლის ძეგლები, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული*, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. I (თბილისი, 1963), 272.

განსაკუთრებულ იმუნიტეტზე. მიუხედავად იმისა, რომ „მელიქის მამული დაუნერელი“ იყო, იმავე „დასტურლამალის“ მიხედვით, გარკვეული ვალდებულებები მელიქს მაინც აქვს. ყოველ წელს მელიქს „ჯოგისთვის ერთი აჯილღის შენახვა“<sup>103</sup> და „სანახელზე ტკბილი ჩაფი ოთხი, გუთანზე პური კაპინი ერთი, თავზე ნახევარშაური“<sup>104</sup> ევალებოდა. აქედან ჩანს, რომ სომხითის მელიქი ქართველი მეფის მოხელეა და მეფე მელიქის რამდენიმე სოფლიდან სარგოსაც ღებულობდა.

ვახტანგმა მოახერხა გარკვეული ცვლილებები შეეტანა მელიქებთან დამოკიდებულებაში. მანამდე სრულიად განცალკევების გზაზე მდგარი საფეოდალო, შეიძლება ითქვას, რომ ცენტრალურმა ხელისუფლებამ დაიქვემდებარა და „დაუნერლობის“ მიუხედავად, სამელიქო სოფლების ნაწილი 1721 წლის ვახტანგ VI-ის ბრძანებით ჩატარებულ მენინავე სადროშოს, ანუ ქვემო ქართლი, აღწერაში შეიტანეს. 1721 წლის აღწერაში მელიქი ლევანი, მელიქიშვილები რევაზი, პაპუნა და პაპუნას ძმები მოიხსენიებიან.<sup>105</sup>

სომხითის მელიქ ლევანს ყმები შემდეგ სოფლებში ჰყავდა: პატარა გორუმი,<sup>106</sup> დელარარა-სოფელი და დიდ გორუმი – სულ თერთმეტი კომლი, ერთი ბოგანო და ერთი აზნაური (დიდ გორუმში) ლიმუა.<sup>107</sup>

რევაზ მელიქიშვილს დიდ გორუმში ექვსი კომლი ყმა ჰყავდა.<sup>108</sup>

პაპუნა მელიქიშვილსა და მის ძმებს ყმები ჰყავდათ სოფლებში: მირაშა, დიდი გორუმი, საბა, ფიშუასოფელი – სულ 28 კომლი, ერთი ბოგანო და ხუთი აზნაური: აბაზაშვილი ბაინდურა, ოდიშელიძე ოტია, მაშათაშვილი აბაზყულა, გარდიშა (დიდ გორუმში), ლუარსაბი (საბაში).<sup>109</sup>

1721 წლის მენინავე სადროშოს და საბარათაშვილოს აღწერაში მელიქისა და მელიქიშვილების 45 კომლი, 2 ბოგანო და 6 აზნაურია შეტანილი. აღწერის შესავალში აღნიშნულია, რომ აღწერაში ვერ მოხვდნენ სამხედრო სამსახურის და ბეგარის გამოღების ვერშემძლები კომლები.<sup>110</sup> სომხითის ყველა სოფელი ვერშემძლე ვერ იქნებოდა, მით უმეტეს, რომ ხოჭორნისა და ჭოჭკანის ხევის სოფლები ამ დროს დასახლებულია.<sup>111</sup> კარგად ჩანს, რომ მელიქის სხვა

<sup>103</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, 280.

<sup>104</sup> იქვე, 323.

<sup>105</sup> „აღწერა მენინავე დროშისა საბარათაშვილოსა და სომხითისა“, 262-4.

<sup>106</sup> გორუმი იგივე გორულია.

<sup>107</sup> „აღწერა მენინავე დროშისა საბარათაშვილოსა და სომხითისა“, 262.

<sup>108</sup> იქვე, 262.

<sup>109</sup> იქვე, 263-4.

<sup>110</sup> იქვე, 262-4.

<sup>111</sup> დევი ბერძენიშვილი, „ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან“, ქვემო ქართლი, ნაკვ. I (თბილისი, 1979), 100.



სოფლებს ქართლის მეფე ჯერ კიდევ ვერ ავალდებულებს. თუმცა არც მელიქს აქვს მოპოვებული ბოლომდე „დაუნერელის“ უფლება. მელიქის მამულებზე საბოლოო და სრული კონტროლი XVIII საუკუნის II ნახევარში აღდგა. ამ მიმართულებით განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ის ღონისძიებები, მისი მმართველობის პერიოდში ქართლ-კახეთში სომხთის მელიქის ინსტიტუტი, ფაქტობრივად აღარ არსებობს, იგი თავადი მელიქიშვილია.

ამრიგად, ქვემო ქართლში სამელიქოს შექმნით შაჰმა ქართლს სამხრეთის კედლის მორღვევა სცადა. ქართველები საუკუნეთა მანძილზე თავგამოდებით იცავდნენ ამ მნიშვნელოვან ზღუდეს. შაჰ-აბასმა „მშვიდობიანად“ ჩაიგდო ხელში სტრატეგიულად დიდი მნიშვნელობის მხარე. ამის შემდეგ ქართლის დაცვის კედელი მის სანინაალმდეგო პლაცდარმად იქცა.<sup>112</sup>

XVII საუკუნის დასაწყისში ქვემო ქართლში გაჩნდა, მანამდე სრულიად უცხო, და ქართული სინამდვილისათვის მიუღებელი, შაჰის მოხელე – მელიქი, რომელიც განსაკუთრებული ავტონომიური უფლებით სარგებლობდა და ქართლის მეფის ფორმალურ მორჩილებაში იმყოფებოდა. მელიქი ქვემო ქართლში XVII საუკუნის დამდეგს, ქართლის მეფის ნების გარეშე, გარედან ინიცირებული ძალების დახმარებით და პირადად ირანის შაჰის ბრძანებით გაჩნდა.

მელიქები მამულებს და მელიქის სახელოს მემკვიდრეობით ფლობდნენ. მათი განსაკუთრებული იმუნიტეტი, XVIII საუკუნის დასაწყისში, გარკვეულწილად ვახტანგ VI-ის ღონისძიებებმა შეარყია. ცენტრალურმა ხელისუფლებამ მოახერხა გარკვეული ვალდებულებები დაეკისრებინა მელიქის მამულისთვის და მისი სოფლების ნაწილიც აღინერა. სამელიქომ „ოსმალობის“ და „ყიზილბაშობის“ დროს მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა და იმუნიტეტის და მამულების ნაწილის დათმობა მოუწია. საბოლოოდ მელიქების საკითხი ერეკლე II-მ გადაწყვიტა, როდესაც მათ მამულებში სპილენძის და ვერცხლის მომპოვებელი ქარხნები ააშენა. მელიქიშვილები იძულებულნი გახდნენ საკუთარი მამულები დაეთმოთ, რის სანაცვლოდაც

<sup>112</sup> აღექსანდრე ბოშიშვილი, „ლორე. ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა“, დავით აღმაშენებელი და მისი ეპოქა (თბილისი, 2012), 98. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კახეთის შემთხვევაშიც, შაჰის მხრიდან მიწების მიტაცების მცდელობის მეთოდი თითქმის იგივე იყო. კახეთის აღმოსავლეთით შეიქმნა კაკ-ენისელის (ისტორიული ჰერეთი, დღევანდელი საინგილო) სასულთნო, რომლის მმართველად გამუსლიმებული ქართველი თავადი დაინიშნა. კაკის სასულთნოც, სამელიქოს მსგავსად, უშუალოდ შაჰს ემორჩილებოდა. შაჰ აბასმა კახეთს აღმოსავლეთის კედელი მოურღვია. საბოლოოდ კი ეს მხარე ლეკების შემოსვლებისა თუ ირანის ჯარის სადგომად იქცა. სამელიქოსგან განსხვავებით, საქართველოსთვის ეს მხარე დაიკარგა.

ერეკლემ მელიქიშვილებს ქარხნების ზედამხედველობა და სომხითის მინბა-შობა დაავალა, შესაბამისი ხელფასით; მელიქიშვილების ნაწილი ცენტრალურ ხელისუფლებაშიც დაანინაურა და მაღალი სამოხელეო თანამდებობები (ლაშქარნივისი, მუშრები) უბოძა.

ალა-მაჰმად ხანის შემოსევის დროს აოხრებული ახტალის ქარხნების აღდგენა, მკვეთრად შემცირებული მოცულობით, მაინც მოხერხდა.<sup>113</sup> მოგვიანებით, გიორგი XII-მ (1798-1800) მელიქის ყოფილი მამული, ახტალა, და მისი მიდამოები თავად ბეგთაბეგიშვილს და ვაჭარ ქართველიშვილს იჯარით გადასცა, ყოველწლიურად 12 ათას მანეთად. აქ მოპოვებული ოქრო კვლავ მეფის უნდა ყოფილიყო.<sup>114</sup>

საბოლოოდ, მელიქები რამდენიმე შტოდ დაიყვნენ: მელიქთა შორის ყველაზე წარმატებული იყო სომხითის მელიქი, რომელსაც წყაროებში უფრო ხშირად მირიმანიძედაც (პირველი მელიქის მირიმანის სახელის გამო) მოიხსენიებდნენ. სომხითის მელიქმა XVIII ს-ის მეორე ნახევარში ისლამი დატოვა, მართლმადიდებლობა მიიღო და თავადი მელიქიშვილი გახდა; მეორე შტოს წარმომადგენელი, ლორის მელიქი და ქალანთარი იმავე პერიოდში იღებს სომხურ-გრიგორიანობას (მონოფიზიტურ ქრისტიანობას), იგი ქართლში სამეფო აზნაურის პატივით სარგებლობდა; ცოტა ადრე, სომხითის მელიქის ერთმა შტომ, მელიქ ასლანის და მელიქ ენალას შთამომავლობამ, რომლებიც თბილისის მელიქად დაწინაურდნენ, მართლმადიდებლობა და ნაწილმაც მონოფიზიტობა აღიარა.<sup>115</sup>

<sup>113</sup> აპოლონ თაბუაშვილი, *ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის* (თბილისი, 2010), 79.

<sup>114</sup> გოგოლაძე, *სამთამადნო, სამთო-საქარხნო მრეწველობა საქართველოში*, 20.

<sup>115</sup> აქვე უნდა აღინიშნოს მესხი მელიქიშვილების შესახებ. აკად. ექვთიმე თაყაიშვილი პროფ. პეტრე მელიქიშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ წერილში აღნიშნავს, რომ „მელიქიშვილების გვარი ორი იყო საქართველოში. ერთი საქართველოს სომხითის ხელისუფალთა მელიქისაგან იყო წარმომდგარი. ამ გვარის წევრნი თავადები იყვნენ; მეორე სამცხიდან იყო, ქართველი კათოლიკების გვარი“. ექვთიმე თაყაიშვილი, „დამსახურებული პროფესორის პეტრე მელიქიშვილის გარდაცვალების გამო“, *დაბრუნება, მრავალტომეული გ. შარაძის საერთო რედაქციით*, ტ. I (თბილისი, 1991), 7. პროფ. რამაზ სურმანიძეს მიაჩნია, რომ მესხი მელიქიშვილები, მელიქაძეები, მელიქიძეები ერთი წარმომშობის გვარებია. მეცნიერი ვარაუდობს, რომ ყველა ეს გვარი წარმომშობით აჭარიდან, სოფელ მელიქანმინდიდან (გვიანდელი ჟანივრი, ჭვანის ხეობა) არიან, ხოლო ოსმალების აჭარაში შემოსვლის შემდეგ ისინი იძულებული გახდნენ ახალციხეში გადასულიყვნენ. რამაზ სურმანიძე, *მელიქიშვილები: გრიგოლი, სტეფანე, პეტრე, იოსები, ეკატერინე* (თბილისი, 2003), 5; ს. დუმბაძე, „გვარი, ქვეყნის ისტორიული ნაწილი“, *ლიტერატურული საქართველო*, 14-20 მაისი (2004), 12. ამათ გარდა, შიდა და ქვემო ქართლის, ასევე მცხეთა-მთიანეთის მხარეებში, თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში მელიქიშვილები მრავლად ცხოვრობენ. ისინი წარმომშობით მთიულეთიდან არიან და მათი გვარი საკუთარი სახელი – მელიქაძე – უნდა იყოს ნაწარმოები.

## ბიბლიოგრაფია

1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი. ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალით, გამოკვლევითა და ფაქსიმილევით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ. წ. I-II. თბილისი, 2009-10

აბულაძე ცისანა. ისაყ / ისაკ ფაშა (1701-1748). <http://qim.ge/isak fasha.html>

აკოფაშვილი გულჩინა. ვაჭრობის, მრეწველობის და საქალაქო ცხოვრების განვითარება. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბილისი, 1973

აღწერა მენინავე დროშისა საბარათაშვილოსა და სომხითისა. შედგენილი ვახტანგ მეექვსის ბრძანებით ვახუშტი ბატონიშვილისა და გივი თუმანიშვილის მიერ 1721 წელს. მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა. ექვთიმე თაყაიშვილის გამოცემა. თბილისი, 1907

ახალი ქართლის ცხოვრება. მესამე ტექსტი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959

ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959

ბერძენიშვილი დევი. ახტალის მონასტერი. ლიტერატურა და ხელოვნება, 2, 1998

ბერძენიშვილი დევი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ქვემო ქართლი. ნაკვ. I. თბილისი, 1979

ბერძენიშვილი დევი. ნარკვევები. თბილისი, 2006

ბოშიშვილი ალექსანდრე. გორულის წარწერაში მოხსენიებულ პირთა ვინაობის საკითხისთვის. თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, 1, 2011

ბოშიშვილი ალექსანდრე. თბილისის მელიქის სახელოს და ქრონოლოგიის შესახებ. თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, 3, 2011

ბოშიშვილი ალექსანდრე. ლორე. ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა. თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომების სპეციალური გამოშვება – დავით აღმაშენებელი და მისი ეპოქა. თბილისი, 2012

გაბაშვილი ვალერიან. ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში (შედარებითი შესწავლის ცდა). თბილისი, 1958

გაგოშიძე გიორგი, ჩანტლაძე ნათია. მონოფიზიტური ძეგლები საქართველოში. თბილისი, 2009

გოგოლაძე დერმიშა. სამთამადნო, სამთო-საქარხნო მრეწველობა საქართველოში და კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხი (XVIII-XIX სს.). თბილისი, 1966

დუმბაძე ს. გვარი, ქვეყნის ისტორიული ნაწილი. ლიტერატურული საქართველო, 14-20 მაისი, 2004

ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბილისი, 1973

თაბუაშვილი აპოლონ. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის. თბილისი, 2010

თაყაიშვილი ექვთიმე. დამსახურებული პროფესორის პეტრე მელიქიშვილის გარდაცვალების გამო. დაბრუნება. მრავალტომეული. გურამ შარაძის საერთო რედაქციით. ტ. I. თბილისი, 1991

იოანე ბატონიშვილი. შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა. თბილისი, 1997

ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლადიმერ ფუთურიძემ. თბილისი, 1969

მაედა ჰიროტაკე. ქართველები სეფიანთა ირანში. ღულამთა ოთხი ოჯახის ეთნოსოციალური წარმომავლობა. თბილისი, 2008

მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტი, თარგმანი და შენიშვნები ვლადიმერ ფუთურიძისა. თბილისი, 1954

მუსხელიშვილი დავით. ქვემო ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის საველე სამუშაოთა (1956-1958 წწ.) შედეგები. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, 1, 1960

პირთა ანოტირებული ლექსიკონი. XI-XVII სს. ისტორიული საბუთების მიხედვით, გამოსაცემად მოამზადეს დარეჯან კლდიაშვილმა, მზია სურგულაძემ. ტ. II. თბილისი, 1993

პირთა ანოტირებული ლექსიკონი. XI-XVII სს. ისტორიული საბუთების მიხედვით, მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს ანა ბაქრაძემ, ლევან რატიანმა და გიორგი ოთხმეზურმა, ტომი შეადგინეს დარეჯან კლდიაშვილმა და მზია სურგულაძემ. ტ. III. თბილისი, 2004

საქართველოს სიძველენი. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა. ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით. ტ. II. ტფილისი, 1909

საქართველოს სიძველენი. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა. ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით. ტ. III. ტფილისი, 1910

სურგულაძე ი. მელიქი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (ქსე). ტ. VI. თბილისი, 1983

სურმანიძე რამაზ. მელიქიშვილები: გრიგოლი, სტეფანე, პეტრე, იოსები, ეკატერინე. თბილისი, 2003

ტუხაშვილი ლოვარდ. პოლიტიკური ვითარება XVIII ს-ის პირველ ოცნლეულში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბილისი, 1973

ფარსადან გორგიჯანიძე. ისტორია. სარგის კაკაბაძის გამოცემა. საისტორიო მოამბე, ტ. II. თბილისი, 1925

ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები. ტექსტი დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვლადიმერ ფუთურიძემ. თბილისი, 1955

ქართული სამართლის ძეგლები. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. ტ. I. თბილისი, 1963

ქართული სამართლის ძეგლები. საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ისიდორე დოლიძემ. ტ. II. თბილისი, 1965

ქართული სამართლის ძეგლები, სასამართლო არზა ოქმები. ტექსტები გამოსცა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო პროფ. ისიდორე დოლიძემ. ტ. VII. თბილისი, 1981

შენგელია ნოდარ. სომხითის ნაჰიე 1728 წლის „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით (1728 წ. ტ. II). ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, 5, 2008

ცხოვრება საქართველოსა (პარიზის ქრონიკა). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გიული ალასანიამ. თბილისი, 1980

ჯამბურია გივი. ირან-ოსმალეთის ახალი ომი და ქართლ-კახეთის სამეფოები. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. თბილისი, 1973

Думин Станислав Владимирович, Гребельский Пётр Хаймович. Дворянские роды Российской империи. т. IV. Князья Царства Грузинского. С. Думин и князь Ю. Чиковани. под редакцией С. Думина. Москва, 1998

Кузьминов Петр Абрамович. М. Т. Лорис-Меликов на Кавказе. Кавказский сборник, 2 (34). Москва, 2005

Петрушевский Илья Павлович. Очерки по истории феодальных отношений в Азербайджана и Армении в XVI-начале XIX вв. Москва, 1949

Ermerin, Roman Ivanovich. Annuaire de la Noblesse de Russie. Contenant les prince de l'Empire, augmenté d'un grand nombre de notices sur les familles alliées. Sankt-Peterburg, 1899

Ferrand, Jacques. Familles Princières de Géorgie. Montreuil, 1983

Hewsen, Robert H. The Meliks of eastern Armenia. III. Revue des etudes Armenienne. novella serie. Tome XI. Paris. 1975-1976

Toumanoff, Cyril. Studies in Christian Caucasian History. Washington, 1963

## საარქივო მასალა

საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა.), ფ. 1448-1024.

სცსა, ფ. 1449-2365

სცსა, ფ. 1450-5/35

სცსა, ფ. 1450-8/145

სცსა, ფ. 1450-9/108

სცსა, ფ. 1450-9/109

სცსა, ფ. 1450-9/116

სცსა, ფ. 1450-9/150

სცსა, ფ. 1450-17/73

სცსა, ფ. 1450-18/22

სცსა, ფ. 1450-18/57

სცსა, ფ. 1450-18/58

სცსა, ფ. 1450-18/59

სცსა, ფ. 1450-18/60

სცსა, ფ. 1450-18/78

სცსა, ფ. 1450-37/191

სცსა, ფ. 1450-37/205

სცსა, ფ. 1450-48/139

სცსა, ფ. 1450-51/81

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც.), Sd 484

ხეც, Sd 13173

## Melikdom in Kvemo Kartli

*Alexander Boshishvili*

### Summary

The term “Malik” appeared in the Ancient Middle East and was used to denote a ruler or a king. Later, the term was used in other countries with the same meaning, but taken from the Arabic. Before the spread of Islam, “Malik” was the term for the rulers of Lakhmid and Ghassanid dynasties, also for the South-Eastern and Central Arabian tribes. After the spread of Islam, the term “Malik” was used mainly for non-Muslim rulers. In the 13th-18th centuries in the Caucasus “Melik” was the term for a feudal title, and also for the office. In Azerbaijan and Armenia Meliks were semi-independent rulers. During Mongol domination, Meliks were Christian feudals in these lands, and then Shah Abbas I (1587-1629) – depended on him.

We have Meliks in Georgia, namely, in Kvemo Kartli (district southwards from Tbilisi), Tbilisi and Gori with different authorities.

At the beginning of the 17th century *meliks* appeared in Somkhiti (Kvemo Kartli). In 1604 Shah Abas I ordered the king of Kartli to cede the territories of Lore and Debeda valley in order to appoint his loyal vassal Miriman to his newly created office of *melik*. The first *melik* was Miriman, founder of the dynasty (Mirimanidze), and the success of this feudal house was largely due to the loyal service to the Shah of Iran. In the 17<sup>th</sup> century the fief of *melik* was organized as a Georgian feudal entity – Satavado, a part of the Kingdom of Kartli. But the new melikdom was invariably supported by the shah’s regime and in comparison with other Georgian Satavados held a more privileged position.

The Meliks of Lore were relatives of the Meliks of Somkhiti, and had the rank of *aznauri* in Georgian feudal hierarchy.

The common feature of the Georgian meliks is the fact that those offices were initiated by the Muslim rulers. The meliks of Kvemo Kartli were big landowners, later their holdings were organized as Satavado and they were named as princes Melikishvili, while their subjects, Loris-Melikishvilis, seem to have been small landowners, with the rank of *aznauri*.

გზები და მოგზაურები ბიზანტიაში  
„გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების“ მიხედვით

ვლადიმერ კეკელია

მთელი შუა საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა ქვეყნიდან ბიზანტიის იმპერიასა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მრავალი ადამიანი მოგზაურობდა. ქრისტიანი მოგზაურების ძირითადი მიზანი პილიგრიმოზა იყო. სულიერი აღმავლობის პერიოდში საყოველთაოდ იყო გავრცელებული აზრი, რომ წმინდანები ადამიანებს ღმერთთან აახლოებენ. აქედან გამომდინარე, გაჩნდა მოთხოვნილება, შეენახათ და პატივი მიეგოთ ყველაფრისათვის, რაც წმინდანებთან იყო დაკავშირებული. ასე გაჩნდა წმინდანთა ნაწილებისა და მათთან დაკავშირებული ადგილების თაყვანისცემა-მონახულების სურვილი. განსაკუთრებით სასურველი გახდა „წმინდა მიწის“ მოლოცვა, სადაც იშვა, ცხოვრობდა და ჯვარს ეცვა მაცხოვარი.<sup>1</sup>

ამ პროცესისაგან გამონაკლისი არც ქართველები იყვნენ. მათ ქრისტიანობის მიღების ადრეული ეტაპიდანვე ჰქონდათ ურთიერთობა ჯერ წმინდა მიწასთან, შემდეგ სინას, შავი მთისა და ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერებთან.

სიტყვა „პილიგრიმი“ ლათინური peregrinio-დან მოდის. თავდაპირველად ეს სიტყვა მხოლოდ მოგზაურს აღნიშნავდა. XII საუკუნიდან პილიგრიმი წმინდა ადგილებში მომლოცველის მნიშვნელობით იხმარება. პილიგრიმის მომლოცველის მნიშვნელობით გამოყენების უადრესი მაგალითი სწორედ იერუსალიმთანაა დაკავშირებული.<sup>2</sup> ადრეულ ეტაპზე ძველ ქართულში წმინდა ადგილებში ლოცვისა და მოხილვის მიზნით მოგზაურობის აღსანიშნად „მოლოცვა“, „მოსალოცად წასვლა“ უნდა ხმარებულიყო.<sup>3</sup> XI საუკუნიდან

ნაშრომი წაკითხულია 2009 წელს სამეცნიერო კონფერენციაზე „გიორგი მთაწმიდელი 1000“.

<sup>1</sup> Михаил Поснов, *История Христианской церкви* (Брюссель, 1964), 49.

<sup>2</sup> John Wilkinson, *Jerusalem Pilgrimage, 1099-1185* (London, 1988), 91.

<sup>3</sup> დარეჯან კლდიაშვილი, „გარეჯა და პილიგრიმოზა ადრეულ შუა საუკუნეების ქართულ წყაროებში“, *გარეჯის კვლევის ცენტრი, შრომები*, II (2001), 80.



„ქუეყანითი ქუეყანად მიმოსვლა“ იხმარებოდა;<sup>4</sup> ეს ტერმინი წმ. ილარიონ ქართველისადმი მიძღვნილ საგალობლებში დასტურდება.<sup>5</sup>

ქართველები პილიგრიმული ინტერესების გარდა, საქტიტორო მოღვაწეობასაც ეწეოდნენ, შესაბამისად, ხშირად უწევდათ დიდი სივრცისა და მისი თანმხლები მრავალი სირთულის გადალახვა, მით უმეტეს, რომ აღნიშნულ სივრცეში არცთუ იშვიათი იყო ეთნიკური და პოლიტიკური ცვლილებები.

ბუნებრივია, მგზავრობა ხანგრძლივი და სახიფათო იყო. საინტერესოა, რა პირობებში უხდებოდათ მათ მიმოსვლა, რა საშუალებებით გადაადგილდებოდნენ, რითი იმოსებოდნენ, რითი იკვებებოდნენ და სხვა. ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება ამ პროცესისათვის თვალის გადაცენება და, შეძლებისდაგვარად, საერთო სურათის აღდგენა.

შუა საუკუნეების პილიგრიმობის, როგორც პროცესის, ისტორიის შესასწავლად საინტერესო ინფორმაციას შეიცავს ქართველ წმინდანთა ცხოვრებები. ნაშრომში განვიხილავთ გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში დაცულ ცნობებს იმავე პერიოდის სხვა აგიოგრაფიული ძეგლების ცნობებთან ერთად.

პირველ საკითხად გამოვყავით ის გეოგრაფიული სივრცე და ის სიძნელებები, რომელთა გადალახვაც ყველაზე ხშირად უწევდათ სამოგზაუროდ წასულ ქართველებს. გამოიყოფა ორი ძირითადი მიმართულება:

1. კონსტანტინოპოლი და მთაწმიდა.
2. სირია-პალესტინა – შავი მთა, იერუსალიმი.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველები ამ გეოგრაფიულ სივრცეს XI საუკუნეში უკვე კარგად იცნობდნენ, მაინც ხაზგასმით უცხო ქვეყნად მოიხსენიებენ: „მოუჭდა სურვილი უცხოებისა და თვსთავან განშორებისა და ფარულად ყოველთა მეგობართაგან და მეცნიერთა სივლტოლად იკუმია და წარემართა იერუსალემით კერძო“<sup>6</sup> „რა არს ესე, რომელ ესრეთ ივლტით ჩუენგან და უცხოთა ქუეყანასა წარხუალთ?“<sup>7</sup> „ამის უკუე მიზეზისათვს განიზრახეს, რათა წარვიდენ უცხოთა ქუეყანასა...“<sup>8</sup>

<sup>4</sup> ტერმინებს – „მიმოსვლა“, „მომოვლა“ XI საუკუნეში ეფრემ მცირე წმ. მოციქულების, ანდრია პირველწოდებულისა და ბართლომეს კავკასიაში სამისიონერო მოღვაწეობის აღსანიშნავად იყენებს. ეფრემ მცირე, *უწყებად მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა თუ რომელთა წიგნთა შინა მოიკსენების*, ტექსტი გამოსცა, შესავალი და ლექსიკონ-საძიებლები დაურთო თ. ბრეგაძემ (თბილისი 1959), 45.

<sup>5</sup> მანანა დოლაქიძე, „ილარიონ ქართველის სახელზე დაწერილი საგალობლები“, *მრავალთავი*, I (1971), 182.

<sup>6</sup> გიორგი მცირე, „ცხოვრებად გიორგი მთაწმიდელისა და ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. II (თბილისი 1967), 119.

<sup>7</sup> გიორგი მთაწმიდელი, „ცხოვრებად იოვანესი და ეფთუმესი“, *ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. II (XI-XV სს.)*, (თბილისი 1967), 55.

<sup>8</sup> გიორგი მთაწმიდელი, „ცხოვრებად იოვანესი და ეფთუმესი“, 56.

იმ ხანად ანტიოქიის გზა ყველაზე სახიფათოდ მიიჩნეოდა. გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში ვრცლად არის აღწერილი მარშრუტი ანტიოქიიდან, ვიდრე ქუთაისამდე.

„გამოვედით ანტიოქიით და მოვიწინით ვიდრე დიდად მდინარედ ევფრატად და მუნ გვეუნყა, ვითარმედ მიშუებისათჳს ცოდვათა ჩუენთაჲსა თურქთა დაუპყრიეს ყოველი შუამდინარე და ისაური და საბერძნეთი. ხოლო ჩუენ გუესმა რაჲ ესე, შევიქეცით მიერ და სევასტიით კერძო მივიდოდეთ; გუეგონა, ვითარმედ მათ კერძოთა მშკდობაჲ არს. ხოლო უწინარეს ჩუენსა მისრულიყვნეს თურქნი და აელოქალაქი იგი და დაენუა. და ჩუენ არა აუნყოდეთ და მივიდოდეთ და კინილა-და მცირედ ჴელთა მათთა შთავგარდებოდეთ, უკეთუმცა წყალობასა ღმრთისასა არა აღეპყრა ჴელი...“

ესრეთ შევიქეცით და მათა მივჴმართეთ და დიდითა შრომითა და დღე და ღამე სღვითა კესარიად მოვედით. და მუნით წარმოვედით და ზღუასა მოვჴმართეთ. რამეთუ ჴმელით არღარა ეგებოდა, და ნებითა ღმრთისაჲთა ევხაიტს მოვიწინით... და ესრეთ გამოვედით მიერ და მოვიწინით სამისონს ქალაქსა ზღუას-კიდისასა. და მუნ განვყიდენით საჴედარნი ჩუენნი და ესრეთ ნავითა მივიწინით ფოთს და მიერ საჴედრითა ქუთათისს ჟამსა სთულისასა.“<sup>9</sup>

ამონარიდიდან ნათლად ჩანს, თუ რამდენად რთული და საშიში იყო მოგზაურისათვის მიმოსვლა, მით უმეტეს, რომ აღნიშნული გეოგრაფიული არეალიზმირადქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის საცილობელი იყო. გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში „სარკინოზთა“ მხრიდან საფრთხეზე საუბარი სხვა ადგილებშიც გვხვდება. როდესაც მარიამ დედოფალმა ანტიოქიაზე გავლით იერუსალიმში მოსალოცად წასვლა განიზრახა, მიუხედავად იმისა, რომ ანტიოქიის პატრიარქს იმპერატორისაგან ნაბრძანები ჴქონდა დედოფლის პატივით წარგზავნა, პატრიარქმა და მთავარმა დედოფალი გადაარწმუნეს: „არა კეთილ არს, აღმოსავალისა მეფეთა დედაჲ რაჲითამცა სასარკინოზეთს წარვიდა, ვინაჲთგან ცოდვათა ჩუენთაგან იგინი უფლებენ ქუეყანასა მას“.<sup>10</sup> როგორც ჩანს, ანტიოქიიდან იერუსალიმამდე არსებულ არცთუ ვრცელ მონაკვეთში უსაფრთხოდ დედა დედოფალიც კი ვერ იმგზავრებდა.<sup>11</sup> ამიტომაც

<sup>9</sup> იქვე, 158-9.

<sup>10</sup> იქვე, 144.

<sup>11</sup> ანტიოქიის გზაზე არსებულ საფრთხეებზე საუბარია ილარიონ ქართველის ცხოვრებაშიც: რომ იქ „მკვიდრ იყვნენ ნათესავნი ბარბაროზნი“. წმ. ილარიონს ისინი თავს დასხმიან, მაგრამ წმ. მამის მიერ მოხდენილი სასწაულის შემდეგ მათ მონაზონებზე თავდაუხსმელობის ფიცი მიუციათ. „ცხოვრება და მოქალაქეობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ილარიონ ქართველისაჲ“, *ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, წ. II (თბილისი 1967), 13.

„ცხოვრება“-ში არაერთგზის ვხვდებით სიტყვებს – „ნებითა ღმრთისადათა მშკლობით მოინია“. შუა საუკუნეებში გზის გადალახვის სირთულეზე გაკვირით საუბარია XI-XII საუკუნეებში გადანერილ ერთ-ერთი ხელნაწერის ანდერძშიც: „...ლოცვა ყავთ ღვთისათვის კურთხეულისა ამის მამისა იორდანესთვის, რომელმან ფრიადი შრომათა ვს იღვა და მოვიდა ქართლისა ქუჩყნით საბერძნეთს...“<sup>12</sup>

მოგზაურებს ხშირად, მტრის საფრთხესთან ერთად, სიძნელეებს უამინდობაც უქმნიდა. გიორგი მცირე გიორგი მთაწმიდელის იერუსალიმში ერთ-ერთი მოგზაურობის შესახებ შემდეგს გადმოგვცემს: „ხოლო იტყოდა თვთ წმიდა იგი, ვითარმედ: უდაბნოსა ადგილსა შეგვლამდაო ტყეთა შინა, და იყო ელვა-ქუხილი და ჰაერი ბოროტი და შკდვ ზის დააკუეთა ეშმაკმანო მწუხარე იგი მას ღამესა, და პეროვინ და ილჩქენ და ყვირინ, ხოლო მე ვლოცვედიო“.<sup>13</sup>

ინტერესმოკლებული არ იქნება მოკლედ შევეხოთ პილიგრიმების ჩაცმულობასა და საკვებს.

საუკუნეების მანძილზე მათმა ყოფამ დიდი ცვლილება არ განიცადა. მათი სამოსი და საკვები ერთობ მწირი იყო: გიორგი მთაწმიდელმა „შესამოსელი თვისი ფრიად კეთილი მისცა გლახაკსა ვისმე და მისი იგი დაბებკული შეიმოსა“. სხვა ადგილას ვკითხულობთ: „ძაძა შეემოსა და უკამლოდ და თავლია, უღწნოდ და უწუელოდ ვიდოდა გზასა მას იწროსა“.<sup>14</sup> იოანესა და ექვთიმეს ცხოვრებაში კი წერია: „ნარვიდე და სული ჩემი ვიცხოვრო და გლახაკებით ვიყოფებოდი“.<sup>15</sup> მოგზაურებს საკვებით ხშირად ადგილობრივი მოსახლეობა უმასპინძლდებოდა. წარმოუდგენელია, მაშინდელ პირობებში შორ გზაზე სამყოფი საგზალი მოგზაურს თან ეტარებინა: „და ესრეთ ცარიელი გამოვიდა მონასტრით, რომელ გარე ღმრთის-მოყუარეთა კაცთა მისცეს საგზალი, რამეთუ ორგზის იქმნა სივლტოლაჲ მისი“.<sup>16</sup> მოგზაურებს დაპურება მონასტრებშიც შეეძლოთ. იოვანესა

<sup>12</sup> ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ხელნაწერი H2251, 46r.

<sup>13</sup> გიორგი მცირე, „ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისაჲ“, 120.

<sup>14</sup> იქვე, 120.

<sup>15</sup> გიორგი მთაწმიდელი, „ცხოვრება იოვანესი და ეფთჳმესი“, 55. ჩაცმულობაზე საინტერესო ცნობები ადრეულმა ჰაგიოგრაფიულმა ძეგლებმაც შემოგვინახა. პეტრე იბერის ცხოვრების ასურულ რედაქციაში ვკითხულობთ: „მათი სამოსელი იყო ჭილის ბოჭკოსაგან (მოქსოვილი) მდაბალი და შეურაცხი სამოსელი“. ცხოვრება პეტრე იბერისა, ასურული რედაქცია, გერმანულიდან თარგმნა, გამოკვეთვა, კომენტარები და განმარტებითი საძიებელი დაურთო ი. ლოლაშვილმა (თბილისი 1988), 102. ყურადღებას იპყრობს საქართველოში ჩამოსული ასურელი მამების სამოსი: „მოვიდოდეს წმიდანი იგი მამანი უკამლონი და დაბებკულითა მოსილნი...“ „ცხოვრება და მოქალაქეობა შიოსი და ევაგრესი“, ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ნ. III (თბილისი 1971), 117.

<sup>16</sup> გიორგი მცირე, „ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისაჲ“, 142.

და ეფთჳმეს ცხოვრებაში ხაზგასმით წერია, რომ „სტუმრის-მოყუარებასა ნუ დაივიწყებთ და, რაღ ღმერთსა ებოძოს, გლახაკთა მიუპყრობდით, მსგავსად ძალისა თქვენისა...“<sup>17</sup> მეორე ადგილას ვკითხულობთ: „უკეთუ ესე ადგილისა მრორინენი მონაზონნი მოვიდოდინ, უკეთუ მწუხრსა მოვიდენ, ისერონ და სამხარი ჭამონ და გაუჯმენ... ხოლო უცხონი თუ მოვიდინ, მესამესა დღესა შემდგომად ჭამისა ებრძანა, რაათა მეკარე უჯმნიდეს“.<sup>18</sup> საკვებად ძირითადად იყენებდნენ პურს, ხილს, ბოსტნეულს, თევზს, ზეთისხილს და ზომიერად – ღვინოს. საკვების ეს სახეობები იოვანესა და ეფთჳმეს ცხოვრებაში არაერთგზის არის დასახელებული.<sup>19</sup>

საინტერესოა, რით გადაადგილდებოდნენ მოგზაურები. ყველაზე ხშირად ასეთ საშუალებად სახედარს იყენებდნენ. გიორგი მთანმიდელის ცხოვრებაში ეს ფაქტი არაერთგზის დასტურდება. იყენებდნენ ურემსაც,<sup>20</sup> რამიც, ალბათ, შესაბამისად, ხარები იქნებოდა შებმული. გარდა ამისა, ფეხითაც მიმოდინენ: „ქუეით მომაშურალ იყო, რამეთუ ესე იყო ჩუეულეება მისი“.<sup>21</sup> აქტიურად იყენებდნენ საზღვაო საშუალებებსაც, კერძოდ, ნავს: „ნებითა ღმრთისაათა წარმოვემერთენით ზღუთ მთანმიდას. და ვითარცა მოვინიენით ადგილსა მას, რომელსა ექსამილი ეწოდების, ჳმელით წამოვედით სიშორისათჳს გზისა და შიშისათჳს სარკინოზთადას... ესრეთ გარდავლეთ ექსამილი, კუალად ზღუად შევედით და შეწენითა ღმრთისაათა, ნავითა მყუდროათა და ჳამოათა მთანმიდას მოვინიენით“.<sup>22</sup>

ასეთია XI საუკუნის ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში გზებთან და მოგზაურებთან დაკავშირებით დაცული ცნობები.

ქართული მასალა საინტერესოა არა მხოლოდ ქართველი მოგზაურების, არამედ, ზოგადად, შუა საუკუნეების პილიგრიმოზის ისტორიის შესასწავლად. ნებისმიერ პილიგრიმს განურჩევლად ეთნიკურ-რელიგიური კუთვნილებისა, იქნებოდა ის საერო თუ სასულიერო პირი, ვრცელი მანძილის გავლისას დიდი სირთულეების გადალახვა უწევდა.

<sup>17</sup> გიორგი მთანმიდელი, „ცხოვრება იოვანესი და ეფთჳმესი“, 59.

<sup>18</sup> იქვე, 82-3.

<sup>19</sup> წმ. ილარიონის ცხოვრებაში საკვების სახეობებიდან ძირითადად ფიგურირებს პური, კერატი (მხალი), პაქსიმადი და დამბალი ცერცვი. „ცხოვრება და მოქალაქეობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ილარიონ ქართველისა“, 13, 19.

<sup>20</sup> გიორგი მცირე, „ცხოვრება გიორგი მთანმიდელისა“, 198.

<sup>21</sup> იქვე, 182.

<sup>22</sup> იქვე, 198-9.

## ბიბლიოგრაფია

გიორგი მთაწმიდელი. ცხორება იოვანესი და ეფთჳმესი. ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი II (XI-XV სს.). თბილისი, 1967

გიორგი მცირე. ცხორება გიორგი მთაწმიდელისა. ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი II. თბილისი, 1967

დოლაქიძე მანანა. ილარიონ ქართველის სახელზე დაწერილი საგალობლები. მრავალთავი, I, 1971

ეფრემ მცირე, უწყება მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა თუ რომელთა წიგნთა შინა მოიკსენების. ტექსტი გამოსცა, შესავალი და ლექსიკონ-საძიებლები დაურთო თ. ბრეგაძემ. თბილისი, 1959

კლდიაშვილი დარეჯან. გარეჯა და პილიგრიმოზა ადრეულ შუა საუკუნეების ქართულ წყაროებში. გარეჯის კვლევის ცენტრი. შრომები, III. თბილისი, 2001

ცხორება და მოქალაქეობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ილარიონ ქართველისა. ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი II. თბილისი, 1967

ცხორება და მოქალაქეობა შიოსი და ევაგრესი. ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი III. თბილისი, 1971

ცხოვრება პეტრე იბერისა. ასურული რედაქცია, გერმანულიდან თარგმნა, გამოკვლევა, კომენტარები და განმარტებითი საძიებელი დაურთო ი. ლოლაშვილმა. თბილისი, 1988

Поснов Михаил. История Христианской церкви. Брюссель, 1964

Wilkinson, John. Jerusalem Pilgrimage, 1099-1185. London, 1988

## Roads and Pilgrims According to the "Life of George the Athonite"

*Vladimer Kekelia*

### Summary

During the Middle Ages many people from different countries used to travel to the Byzantine Empire and to Middle Eastern countries. From the early period of the proclamation Christianity as the state religion in Georgia, Georgian pilgrims had close relations with the cultural-educational centres of the Holy Land, later with Mount Sinai, Black Mountain and Mount Athos.

It is clear that pilgrimage lasted for a long time and it was hazardous. It is interesting to know in what conditions pilgrims were traveling, what means of transport means they used, what kind of clothes they were wore and what food they used. For the study the history of pilgrimage in the Middle Ages, "Lives of Georgian Saints" give us a very interesting material. This work discusses events written not only in the life of St George the Athonite, but in some contemporary sources as well.

First dealt with are those geographical areas and obstacles Georgian pilgrims had to overcome. Two directions are identified:

- 1) Constantinople and Mount Athos.
- 2) Mount Sinai, Palestine – Black Mountain, Jerusalem.

In that period the road that led to Antioch was the most dangerous. A detailed description of the road from Antioch to Kutaisi is given and the possible obstacles the pilgrims may have come across. Not only enemy's attack, but also bad weather compounded the obstacles on their way.

The life of pilgrims did not greatly changed over the centuries. Their clothes and food were poor. They were fed on their way by local people or monasteries. Pilgrims basically used donkeys in their travel.

Our sources are important for the study of the history not only of Georgian but medieval pilgrimage as well.

## VI

### გარეჯელი ეროდიაკონი იოსტოს მრევლიშვილი (აღმშენებლობა და მომლოცველობა)

დარეჯან კლდიაშვილი

მარინა მესხიას მონაწილეობით

ეროდიაკონი იოსტოსი იმ გარეჯელ მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნის, რომლის სახელიც დროთა განმავლობაში მივიწყებულ იქნა. ფრაგმენტული ცნობები იოსტოსის შესახებ XIX საუკუნის პირველი ნახევრის მომლოცველთა და სიძველისმოყვარულთა ჩანაწერებმა, აგრეთვე ერთ დროს გარეჯის მრავალმთის კუთვნილი ხელნაწერების ანდერძ-მინაწერებმა შემოინახეს. მათში დაცული მასალის სიმწირის მიუხედავად, მაინც შესაძლებელი ხდება გვიანი ხანის ამ საინტერესო და მრავალმხრივი პიროვნების ბიოგრაფიისა და მოღვაწეობის ცალკეული მხარეების აღდგენა.

იოსტოსის შესახებ ვრცელი ბიოგრაფიული შენიშვნა ჩართულია მისი თანამედროვის, ქვათახევის მონასტრის არქიმანდრიტის, ტარასი ალექსიმესხიშვილის ნარკვევში „უდაბნო ღირსისა მამისა ჩვენისა დავით გარეჯელისა“. არქიმანდრიტ ტარასის ცნობით, იოსტოსი წარმოშობით ყოფილა მცხეთელი, გვარად მრევლიშვილი. იოსტოსი ბავშობიდანვე გარეჯის წმ. დავითის ლავრაში იზრდებოდა, სადაც მას მნიშვნელოვანი სააღმშენებლო სამუშაოები ჩაუტარებია. ტარასი იოსტოსის სახელს უკავშირებდა წმ. დავითის ლავრის სამხრეთ კლდოვან მასივში, წმ. ილარიონ ქართველის ფილიალად სახელდებული კომპლექსის ჩამოსწვრივ, ე.წ. „მესამე“ ნაწილში, 1812 წელს ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის გამოკვეთას.<sup>1</sup> 1831 წელს გრ. გორდეევი ასევე მიუთითებდა, რომ არც თუ დიდი ხნის წინ დავით გარეჯის ლავრაში ადგილობრივმა ეროდიაკონმა იოსტოსმა კლდეში გამოკვეთა ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესია, რომლის ინტერიერიც (სიგრძით – 13,1/4, სიგანით – 7 არშინი) იმ დროისათვის შელესილი და შემკული ყოფილა

---

<sup>1</sup> არქიმანდრიტი ტარასი, „უდაბნო ღირსისა მამისა ჩვენისა დავით გარეჯელისა, მოკლე აღწერა ქართლ-კახეთის მონასტერთა“, საქართველოს სასულიერო მახარებელი (1864), VIII, 39.

გაჯის ჩუქურთმებიანი და გამოსახულებებიანი კანკელით; ამას გარდა, მისივე გადმოცემით, იოსტოსს ეკლესიის მიმდებარედ გამოუკვეთავს სამი (ტარასის თანახმად, ორი) სენაკი და სანიაღვრე ღარები, საიდანაც ხდებოდა მონასტრის უზარმაზარი ცისტერნების ნალექებით შევსება.<sup>2</sup> რამდენადმე მოგვიანოდ, რუსი მოგზაური და მომლოცველი ა. მურავიოვი (რომელიც გარეჯს 1845 წელს სწვევია) წმ. დავითის ლავრაში ჩატარებულ სააღმშენებლო სამუშაოებზე საუბრისას აღნიშნავდა XVIII საუკუნის დამლევს, იეროდიაკონ იუსტინის (იგი იოსტოსს ამგვარად მოიხსენიებს) მიერ ლავრის გალავანს მიღმა, კლდეში, ღმრთისმშობლის მიძინების და წმ. მარინეს სახელობის პატარა ეკლესიების გამოკვეთის თაობაზე.<sup>3</sup>

XIX საუკუნის მეორე ნახევარისათვის იოსტოსის სახელი უკვე მივიწყებული ყოფილა; გარეჯის ლავრაში უკვე აღარ ახსოვდათ მიძინების და წმ. მარინეს ეკლესიის იმ მაშენებლის სახელი, რომელთა აღწერაც მღვდელმონაზონმა კალისტრატემ გარეჯის უდაბნოსადმი მიძღვნილ მცირე წიგნაკში დაგვიტოვა; მისი აღწერით, ლავრაში „...სამხრეთით მესამე ციცაბო კლდეში არის გამოკვეთილი ექვსი სენაკი სხვადასხვა თახჩებში და ორი ეკლესია; ამ ეკლესიებში ერთი არის ღვთისმშობლის მიძინებისა, კამარედად გამოჭრილი, რომელიც არის სიგრძით ოთხი საყენი, განით ორი საყენი და ერთი ჩარეკი, კანკელი არის ამისი გაჯით აშენებული და ჩუქურთმით გამოქნილი; ხატები არიან ტილოსი მშვენიერად თვითოეული ცალ-ცალკე მის ზომის ქვაზედ დაკრულნი; ამბიონი და იატაკი აქვს შესაფერი, გამოკვეთილი. საკურთხევლიდამ ორივე მხარეს აქვს ეკლესიას ჩამოსაჯდომი კლდისაგან გამოკვეთილი; გახვრეტილია კლდე და ეს შეადგენს საკურთხევლის ფანჯარას, რომლისაგანაც ნათლდება. ეკლესია კი ერთი დასავლეთის კარის და მის ზევით ერთი ფანჯრისგან იღებს სინათლეს; ეკლესია საკმაოდ შემკობილია, დღესაც სრულდება მასში წირვა-ლოცვა. ამის ზემოდ არის მეხუთე ეკლესია, მცირე წმინდის ქალწულის მონამის მარინასი, კლდისაგან გამოკვეთილი; სიგრძე აქვს ორი საყენი, განი და სიმაღლე თითო საყენი; მასში არის ძველი მშვენიერი მხატვრობა, მაგრამ არ სრულდება საღმრთო მსახურება. აქ არის ორი სენაკი და სხვანი სიძველის გამო ჩამოქცეულან“.<sup>4</sup>

წმ. დავითის ლავრაში იოსტოსის მოღვაწეობა და მის მიერ იქ ჩატარებული სააღმშენებლო სამუშაოები გარეჯის მრავალმთაში სამონესეო ცხოვრების

<sup>2</sup> Г. Гордеев, “Караязская степь и древние грузинские пустыни св. Иоанна Крестителя и св. Давида Гареджинского”. *Тифлиссские ведомости*, 2 (1832), 34-41.

<sup>3</sup> А. Муравьев, *Грузия и Армения*, I (Санкт-Петербург, 1848), 29.

<sup>4</sup> მღვდელ-მონაზონი კალისტრატე, *წმიდის დავით გარეჯელის უდაბნო* (თბილისი, 1884), 19-20.



ბოლო პერიოდის თანმხვედრი აღმოჩნდა. იოსტოსის მიერ ეკლესიების გამოკაფვა და სანიაღვრე არხების გაყვანა გარკვეულწილად განპირობებული უნდა ყოფილიყო საქართველოს უკანასკნელი მეფეების – ერეკლე II-ის (1762-98) და გიორგი XII-ის (1798-1800) განსაკუთრებული დამოკიდებულებით და ყურადღებით გარეჯისადმი. ამის დადასტურებაა წმ. დავითის ლავრის ზედა ეზოს ჩრდილოეთ ნაწილში გამოკვეთილი გიორგი ბატონიშვილის (შემდგომში მეფე გიორგი XII) სენაკი. ასევე გიორგი XII-ის განგებით იოსტოსს უნდა გამოეკვეთა და გაჯის ჩუქურთმებიანი კანკელით შეემკო ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია.<sup>5</sup> ვარაუდობენ, რომ მიძინების ეკლესია უნდა შეექმნათ 1782 წელს, გიორგი XII-ის თანამეცხედრის, ქიზიყის მოურავ პაპუნა ანდრონიკაშვილის ასულის, ქეთევანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.<sup>6</sup> ეკლესიისათვის კანკელი დაუმზადებია იოსტოსის ერთ-ერთ თანამოღვანე გარეჯელ ბერს, ზოსიმეს, რომელიც, პლ. იოსელიანის გადმოცემით, ყოფილა გამომკვეთელი სენაკისა და კანკელისა.<sup>7</sup> ეს ის ზოსიმე უნდა იყოს, რომელიც ნამყოფი იყო ათონზე – წმინდა მთაზე იმხანად გავრცელებული, მსგავსი ტიპის კანკელები მას გაუკეთებია გარეჯის მრავალმთის წმ. დოდოს მონასტერში და თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში.<sup>8</sup>

წმ. დავითის ლავრაში XVIII საუკუნის მიწურულისათვის ჯერ კიდევ საკმაოდ მრავალრიცხოვანი კრებული მკვიდრობდა. პლ. იოსელიანის ცნობით, 1799 წლისათვის ლავრაში იმყოფებოდა „...სამი გადამდგარი მოხუცებისა გამო ეპისკოპოსნი: დანიილ მანგლელი, ტიმოთე ნეკრესელი და ვონიფანტე მოქველი იმერელი; 6 არქიმანდრიტნი; 23 მღვდელმონაზონი; 14 არქიდიაკონი და

<sup>5</sup> 1921 და 1929 წლებში გარეჯის მრავალმთაში მოწყობილი ექსპედიციების დროს შესრულებულ იქნა გიორგი XII-ის ოთახის და მიძინების ეკლესიის გეგმა, ჭრილი, კანკელის და ორნამენტების სქემები. ანაზომი მასალა, სქემები და ფოტოები გ. ჩუბინაშვილმა გამოაქვეყნა გარეჯისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაზე დართულ საილუსტრაციო მასალაში. *Г. Чубинашвили, Пещерные Монастыри Давид-Гареджи* (Тбилиси, 1948), 112, Таб. 69, 70, 71, 72, 73, 74, 75. ეკლესიის კანკელი ამჟამად, ფაქტობრივად, მთლიანადაა დარღვეული – შემორჩა მისი ქვენა ნაწილი, ისიც დაზიანებული სახით.

<sup>6</sup> გ. ჩუბინაშვილის ვარაუდით, ქეთევანი დაკრძალულ იქნა მიძინების ეკლესიაში. *Чубинашвили, Пещерные Монастыри Давид-Гареджи*, 112. პლ. იოსელიანის ცნობით, ქეთევანი დაუკრძალავთ წმ. იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიაში. პლ. იოსელიანი, *ცხოვრება გიორგი მეცამეტისა* (ტფილისი, 1936), 10. ამ ცნობას იმეორებს ა. მურავიოვი, თუმცა აღნიშნავს, რომ იქ საფლავის არანაირი კვალი არ შეინიშნებოდა. *Муравьев, Грузия и Армения*, 111. პლ. იოსელიანი ამას იმით ხსნის, რომ 1830 წელს ეკლესია „ჩაიქცა და და დიდნი კლდისა და-ნახეთქნი ღორღად აწევს საფლავსა ამას და კახთა მეფისაცა აღექსანდრესა“. იოსელიანი, *ცხოვრება გიორგი მეცამეტისა*, 261, შენ. 4.

<sup>7</sup> იოსელიანი, *ცხოვრება გიორგი მეცამეტისა*, 261.

<sup>8</sup> *Чубинашвили, Пещерные Монастыри Давид-Гареджи*, 118.

60-მდინ მსახურნი; წმიდის დოდოს უდაბნო, თუმცა იყო დროსა ამას ცარიელი, გარნა წირვა-ლოცვა იყო ხოლმე სიახლოსა გამო გარეჯისა ლავრასთან“.<sup>9</sup>

რუსეთის მიერ ქართლ-კახეთში სამეფო ხელისუფლების, ხოლო მოგვიანებით, 1811 წელს, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდგომ, მრავალმთის მონასტრების ქონება სახელმწიფო ხაზინაში გადავიდა და სულ მალე სამონასტრო ცხოვრება გარეჯში რადიკალურად შეიცვალა. პლ. იოსელიანი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა: „1811 წელს დასუსტდა გარეჯა, თუმცა მოღვაწენი ღირსნი არ აკლდა და არცა მწიგნობარნი“.<sup>10</sup> ლავრაში წინამძღვარ ილარიონის (ვაჩნაძე) დროს ჩაუტარებიათ განახლებითი სამუშაოები, მაგრამ ის, ძირითადად, ფერისცვალების ეკლესიის კარიბჭითა და გალავანით შემოიფარგლა.<sup>11</sup>

გამორიცხული არაა, რომ იოსტოსი, სააღმშენებლო საქმიანობის გარდა, ასევე დაკავებული ყოფილიყო წიგნების გადანუსხვით წმ. დავითის ლავრის ბიბლიოთეკისათვის ან სულაც მის მიერ ახლადშექმნილი ეკლესიისათვის შესაწირად. საქმე ისაა, რომ 1808, 1816, 1817, 1822 წლებში ვინმე იერომონახმა იოსტოსმა გადანერა და გარეჯის მონასტერს შესწირა მთელი რიგი ხელნაწერი წიგნებისა, რომელთა ნაწილი მის მიერ წმ. დავითის ლავრისთვის იქნა განწესებული (1816 წ., ხეც, A-181; 1806 წ., ხეც A-1836; 1822 წ., ხეც, A-1838), ნაწილი კი, როგორც ჩანს, ასევე გარეჯში ინახებოდა, რამდენადაც ისინი XX საუკუნის დასაწყისში მრავალმთიდან იქნა ჩამოტანილი (1817 წ., ხეც, A-1396; 1822 წ., A-1836). ამ ხელნაწერების ანდერძებში (ხეც, S-42, 141v; ხეც, S-1191, 204v, 238r; ხეც, H-1657, 87v; ხეც, A-181, 239v; ხეც, A-1336, 62v; ხეც, A-1338, 327v; ხეც, A-1396, 192r) იოსტოსი, გვარის მიუთითებლად, იწოდება *იერომონახად, მისის უწმინდესობის იერომონახად ან მღვდელ-მონაზონად*. სამეცნიერო ლიტერატურაში დასახელებული ხელნაწერების გადამწერად მიჩნეულია ცნობილი მოღვაწე, ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი, 1804 წლის მთიულეთის აჯანყების მონაწილე, ბერი იოსტოს ანდრონიკაშვილი. პლ. იოსელიანის ცნობით, იოსტოს ანდრონიკაშვილი გარდაცვლილა 1815 წლის ახლო ხანებში და დაუკრძალავთ სოფელ ვეჟინის საგვარეულო ღვთაების ეკლესიაში.<sup>12</sup> იოსტოსის სახელთან დაკავშირებული ხელნაწერების მისეული ბოლო ანდერძი 1822 წლით თარიღდება; ამის გათვალისწინებით გამოთქმულ იქნა ვარაუდი იოსტოს ანდრონიკაშვილის არა 1815, არამედ 1823 წელს გარდაცვალების შეს-

<sup>9</sup> იოსელიანი, *ცხოვრება გიორგი მეცამეტისა*, 121, შენ. 32.

<sup>10</sup> იქვე.

<sup>11</sup> Г. Чубинашвили, *Пещерные Монастыри Давид-Гареджи*, 112-8.

<sup>12</sup> Пл. Иоселиани, *Описание древностей города Тифлиса* (Тифлис, 1866), 195.

ახებ.<sup>13</sup> იოსტოსის მიერ წმ. ეფთიმე მთაწმინდელის ნათარგმნ ბასილი დიდის ითიკაზე შესრულებული ანდერძიდან ცნობილი ხდება, რომ ხელნაწერი მას გადაუწერია 1816 წელს და შეუწირავს დავით გარეჯის მონასტრისათვის: „ეს წიგნი, რომელ არს ითიკა ვასილისა, გარდავსწერე მე, ცოდვილმან იერომონაზმან იოსტოს, რაოდენ ძალმედუა ძალისაებრ, და უძღუწ მონასტერსა წმიდისა მრავალმთის დავით გარეჯელისასა, გამომწირველი წყეულ იყავნ. ცოდვლი იოსტოს, წელსა 1816 ჩყვ“ (ხეც, A-181, 239v).<sup>14</sup> ხელნაწერი გადაწერის ჩანს გარეჯში, რამდენადაც სათაურის შემდეგ, 1v-ზე, ტექსტს წინ უძღვის გარეჯელი მორჩილის, სფირიდონის მიერ ფანქრითა და აქვარელის საღებავებით შეფერადებული წმ. ბასილი დიდის გამოსახულება. ცნობილია სფირიდონის მიერ ფანქრითა და აქვარელით შესრულებული სხვა ნახატებიც, რომლებზეც გარეჯელი წმინდა მამები და ლავრის ფონზე გამოსახული წმ. დავითია წარმოდგენილი. ეს თავისთავად იმის მიმანიშნებელი უნდა იყოს, რომ ხელნაწერი გარეჯის ლავრაში იქნა შესრულებული ადგილობრივი იეროდიაკონის იოსტოსის მიერ.

1822 წელს დავით გარეჯის მონასტრისათვის იოსტოსს შეუწირავს მის მიერ გადწერილი კიდევ ორი ხელნაწერი – 1806 წელს გადაწერული თეოფილაქტე ბულარელის მარკოზის თავის განმარტება (ხეც, A-1336)<sup>15</sup> და გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებანი (ხეც, A-1338).<sup>16</sup> 1808 წელს მისივე თხოვნით („მორჩილებით“) იეროდიაკონმა გრიგოლმა გადაწერა და არქიმანდრიტ ნიკიფორეს (ჯორჯაძე, ხირსის წმ. სტეფანეს მონასტრის არქიმანდრიტი) მიართვა კანონიკური კრებული (ხეც, S-1191, 204v; 238r).<sup>17</sup> იოსტოსი საქართველოს უახ-

<sup>13</sup> მ. ბერძნიშვილი, *მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის*, II (თბილისი, 1983), 108; ლ. მენაბდე, *ძველი ქართული მწერლობის კერები*, ნ. I, ნაკ. 1 (თბილისი, 1962), 317-8.

<sup>14</sup> იოსტოსს დედნად გამოუყენებია დავით მეფის ბრძანებით, ქართლიდან ათონის მთაზე ჩასული მამა იორდანეს მიერ გადწერილი ნუსხა (ხეც, A-181, 239v). ხელნაწერი შესრულებულია ცისფერ ქალღმერთზე, ჩასმულია ფიცრის ტყავგადაკრულ ტვიფრულ ყდაში; ტექსტი ნაწერია შავი მელნით, მხედრულით; ნიშანდობლივია, რომ ეს ხელნაწერი საეკლესიო მუზეუმში მოხვდა გარეჯის მონასტრიდან – *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა*, ტ. I, ნაკ. 2, ელ. მეტრეველის რედაქციით (თბილისი, 1976), 291-2.

<sup>15</sup> იქვე, 410-1.

<sup>16</sup> იქვე, 412-7.

<sup>17</sup> *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა*, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, ტ. III (თბილისი, 1967), 468-9; *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა*, ტ. II, ელ. მეტრეველის რედაქციით (თბილისი, 1961), 89-90.

ლესი ისტორიითაც ყოფილა დაინტერესებული. სავარაუდოდ, მას ეკუთვნოდა ომან ხერხეულიძის „ცხოვრება ირაკლი მეფისა“. ამას ადასტურებს პეტრე უმიკაშვილის ნაქონ ხელნაწერზე დართული კოლოფონი, საიდანაც ვიგებთ, რომ ხერხეულიძის თხზულება მას 1879 წელს გადაუწერია რვეულიდან, რომელიც თავის მხრივ გადაწერილი ყოფილა იერომონახ იოსტოსის კუთვნილი ხელნაწერიდან (ხეც, S-1532, 141v-142r).<sup>18</sup> ჰქონდა თუ არა გარეჯელ ბერ იოსტოსს კავშირი წიგნების გადანუსხვასთან გადანყვეტილად ვერ ჩაითვლება და შემდგომ ძიებას მოითხოვს; მიუხედავად ამისა, ყურადღების გამახვილება ამის შესახებ მაინც საჭიროდ ჩავთვალეთ.

გარეჯელი მღვდელმონაზონის იოსტოსის მოღვაწეობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1819-22 წლებში მისი მოგზაურობა ქრისტიანული აღმოსავლეთისა და რუსეთის პილიგრიმულ ადგილებში. გარეჯის წმ. დავითის ლავრაში დიაკვნად კურთხევის შემდგომ, იოსტოსი იერუსალიმისა და წმინდა ადგილების მოსალოცად გაემგზავრა. მწერალი, მთარგნელი და დიპლომატი გიორგი ავალიშვილი, რომელმაც 1819-20 წლებში იმოგზაურა თურქეთში, ეგვიპტესა და პალესტინაში, იოსტოსს მოგზაურობისას რამდენჯერმე შეხვედრია. დღიურების სახით დაწერილ სამოგზაურო წიგნში „მგზავრობა“ ცნობილი მოგზაური წმ. დავითის ლავრის დიაკონს, მცხეთელ იოსტოსს რამდენჯერმე იხსენიებს.<sup>19</sup> გიორგი ავალიშვილის სამოგზაურო წიგნიდან ირკვევა, რომ ავალიშვილი საქართველოდან იერუსალიმში გამგზავრებას აპირებდა იოსტოსის თანმხლებ პირთან, იერუსალიმის პატრიარქის ვექილთან, ჯვარის მამა და არქიმანდრიტ-ყოფილთან, ბერძენ ბენედიქტესთან ერთად.<sup>20</sup> გზად მი-

<sup>18</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, ტ. III, შედგენილი და დასაბეჭდად დამზადებული: თ. ენუქიძის, ე. მეტრეველის, მ. ქავთარიას, ლ. ქუთათელაძის, მ. შანიძის და ქრ. შარაშიძის მიერ (თბილისი, 1963), 11.

<sup>19</sup> გიორგი ავალიშვილი, *მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა (თბილისი, 1967), 56, 59, 203, 258.

<sup>20</sup> ბენედიქტე უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი იმ ბერძენ სასულიერო პირთაგანი, რომლის საქართველოდან გაძევებასაც, შეუფერებელი საქციელის საბაბით, ითხოვდა საქართველოს ეგზარქოსი თეოფილაქტე. ამაზე მიუთითებს კავკასიის მთავარმართებლის ერმოლოვის შეტყობინება იმპერატორისადმი, სადაც ის უკმაყოფილებას გამოთქვამს ბერძენი სასულიერო პირების მხრიდან მამულების მართვის საქმეში რუსეთის ხელისუფლების ჩაურევლობის შესახებ. 1818 წელს, ბენედიქტეს ჯვარის მამობის დასრულების შემდგომ, საქართველოში მრავალ ადგილას დაწყებულია ბერძენი არქიმანდრიტის მიერ გაცემული სესხების და სავაჭრო ოპერაციების გამო სასამართლო პროცესები. ნ. ხუციშვილი, *იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მინათმფლობელობა საქართველოში* (თბილისი, 2006), 109-11. ვფიქრობთ, ყოფილი პატრიარქის ვექილისა და ჯვარის მამის ბენედიქტეს 1819 წელს საქართველოდან გამგზავრების მიზანი უნდა ყოფილიყო საქართველოში არსებული ეკლესია-

მავალი გიორგი ბენედიქტეს წმ. საფლავის მეტოქი დირბის ჯვრის ამალღების მონასტერში 1819 წლის 12 ივლისს შეხვედრია. მათ მოულაპარაკებიათ კიდევ ერთად გამგზავრების თაობაზე, მაგრამ ბანძაში ფალავებთან გაჩერებული გიორგი ავალიშვილი ორი დღის ამაო ლოდინის შემდეგ ბენედიქტეს აღარ დალოდებია და რედუთ-კალადან (ყულევი ფოთთან ახლოს)<sup>21</sup> გემით გამგზავრებულა ყირიმისაკენ. ბენედიქტე, გარეჯელ ბერ იოსტოსთან ერთად, რამდენიმე დღის დაგვიანებით გამგზავრებულა.<sup>22</sup> მათ საქართველოდან კონსტანტინოპოლამდე დაახლოებით იგივე მარშრუტი გაუვლიათ ზღვით, რომელიც გაიარა გიორგი ავალიშვილმა: რედუთ-კალა – სოხუმ-კალა – ფეოდოსია (შავი ზღვის პორტი ყირიმის ნახევარკუნძულზე) – იენიქო (სტამბოლთან).<sup>23</sup>

1819 წლის სექტემბერში, იენიქოში<sup>24</sup> დიდმოწამე წმ. გიორგის მონასტერში, საქართველოს ჯვარის მამად-ყოფილთან, არქიმანდრიტ ათანასესთან (შემდგომში იერუსალიმის პატრიარქი)<sup>25</sup> მისული გიორგი ავალიშვილი კვლავ შეხვედრია ჯვარისმამა-ყოფილ, არქიმანდრიტ ბენედიქტეს და წმ. დავით გარეჯის ლავრის ბერს, დიაკონ იოსტოსს, რომლებიც მონასტერში საცხოვრებლად

მონასტრების მამულების მართვის საკითხების მოსაგვარებლად იერუსალიმის და კონსტანტინოპოლის პატრიარქებთან შეხვედრა.

<sup>21</sup> „რედუთ-კალა არს ციხე როსსიის მკვედრობისა პირსა ზედა შავი ზღუსა და ხორგა მდინარესა კიდურისა თანა, რომელსაცა შინა იპოვნებთან რაოდენნიმე დუქანნი. ადგილი ესე არს თუ ითქვიმს მომნამღველ-მომაკვინებელი აქ უკრძალველად მცხოვრებთა, ვინათგან მდინარეა ხორგა არს დამპალ, ჰაერი ფრიად ცხელ-ხორშაკ, გარდა დილა-სალამოთა, რომელსაცა დროს ცივა საგრძნობელად. მიწა ანუ ჭაობიანი და ჰავაიცა ზღუსა უფრო ყოველთა მათ მვენებელ-წინააღმდეგი კაცთა სიმრთელესა“; მდებარეობს 150 ვერსტის დაშორებით სოხუმ-კალიდან. ავალიშვილი, *მგ ზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე*, 24, შენ. ; 28. რედუთ-კალას შესახებ დაწვრილებით იხ. ჟაკ ფრანსუა გამბა, *მოგ ზაურობა ამიერკავკასიაში*, ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა (თბილისი, 1987), 97-100.

<sup>22</sup> ავალიშვილი, *მგ ზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე*, 12, 14.

<sup>23</sup> გიორგი ავალიშვილმა კონსტანტინოპოლამდე ზღვით განვლო შემდეგი პუნქტები: რედუთ-კალა – სოხუმ-კალა – სევასტოპოლი – ბახჩასარაი – სიმფეროპოლი – ევპატორია – კონსტანტინოპოლი. იგი დაწვრილებით აღწერს ქართთა და გრიგალით გამონვეულ მგ ზავრობის სიძნელეებზე, კარანტინზე, ციებაზე (მალარიაზე), რომელიც მას რედუთ-კალაში უნდა შეყროდა. ავალიშვილი, *მგ ზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე*, 24-36.

<sup>24</sup> იენიქო – კონსტანტინოპოლთან „ახალი დაბა ანუ სოფელი შავი ზღვის კიდურსა ზედა“. ავალიშვილი, *მგ ზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე*, 55-6.

<sup>25</sup> საქართველოში პატრიარქის რწმუნებული და საიერუსალიმო მამულების ყოფილი გამგებელი, ჯვარის მამა ათანასე სტამბოლის მახლობლად იენიქოში წმ. გიორგის მონასტრისა წინამძღვარი გახდა 1804 წლიდან, მოგვიანებით, 1827-1845 წლებში, ის უკვე იერუსალიმის პატრიარქია. საქართველოში მოღვაწეობის პერიოდში ათანასე ცნობილი იყო, როგორც რუსეთის მფლობელობაში საქართველოს შესვლის მოწინააღმდეგე. ხუციშვილი, *იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიწათმფლობელობა საქართველოში*, 108-9.

ყოფილან გაჩერებულები. როგორც ირკვევა, მათ ფეოდოსიიდან იენიქომდე მგზავრობა საკმაოდ მძიმედ გადაუტანიათ. ავალიშვილის გადმოცემით, მგზავრობით განამებული იოსტოსი „მსგავსებდა უფროს აჩრდილსა ცხოველისა კაცისასა, ვიდრეღა ცოცხალსა“. მისივე მონაყოლით, ცხრამეტი წლის უნახავი ჯვარის მამად-ყოფილი ათანასე მონასტერში სტუმრად მყოფთ, ტრადიციისამებრ, მურაბით, წყაროს წყლით, ყავითა და ჩიბუხით გამასპინძლება. საუბრის დასასრულს გიორგი ავალიშვილს არქიმანდრიტ ბენედიქტესათვის გადაუცია დავით გარეჯის არქიმანდრიტ ილარიონისაგან თბილისიდან გატანებული წერილი (ეს წერილი, როგორც ქვემოთ გავარკვევთ, ეხებოდა რუსეთის სახელმწიფო ხაზინის მმართველობაში საეკლესიო მამულების გადასვლასთან დაკავშირებით შექმნილ პრობლემებს). ავალიშვილი ორივე არქიმანდრიტისაგან კურთხევის მიღების შემდგომ კონსტანტინოპოლში გამგზავრებულა.<sup>26</sup> კონსტანტინოპოლში ავალიშვილი კიდევ ერთხელ შეხვედრია ბენედიქტესა და იოსტოსს. კონსტანტინოპოლის ერთ-ერთ უბანში, გალათაში<sup>27</sup> გაჩერებულ გიორგი ავალიშვილთან 13 სექტემბერს იენიქოდან ჩასულა ბერძენი არქიმანდრიტი ბენედიქტე და იოსტოსი. ამ შეხვედრის დროს მათ დანვრილებით მოუყოლიათ იმ განსაცდელის შესახებ, რომელიც შეემთხვათ უამინდობის გამო ზღვით მგზავრობისას „რედუთ კალათ ფეოდოსია ქალაქადმდე“. მიპატიჟების მიუხედავად, ისინი უკან გაბრუნებულან იენიქოში, სადაც სადილადად ყოფილან მიწვეულნი არქიმანდრიტ ათანასესთან.<sup>28</sup> გიორგი ავალიშვილთან მათი ვიზიტის მიზანი, სავარაუდოდ, უნდა ყოფილყო იოსტოსისათვის იერუსალიმში გასამგზავრებელი პასპორტისა და ფირმანის მიღება.<sup>29</sup> ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მუსლიმურ ფონდში ინახება 1819 წლის სექტემბერ-ოქტომბრით დათარიღებული იეროდიაკონ იუსტის (sic) სახელზე გაცემული *ჟოლ ჰუქმი* (სამგზავრო ბრძანებულება), რომელიც მას მიუღია რუსეთის საგანგებო ელჩის ბარონ სტროგანოვის შუამდგომლობით. ბრძანებულება ავალდებულებდა ყადიებს და ნაიბებს, რათა იერუსალიმისაკენ მიმავალ პილიგრიმს გზაში არ შეხვედროდა დაბრკოლება. საბუთის verso-ზე მხედრულით მიწერილია: „ესე წიგნი ის არის იოსტოსი კახეთელი იერუსა-

<sup>26</sup> ავალიშვილი, *მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე*, 55-6.

<sup>27</sup> „გალათა – ხრისტიანენი უწოდებენ ესრეთ, ხოლო მაჰმადიანნი – კალათა“. ავალიშვილი, *მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე*, 57.

<sup>28</sup> იქვე, 59.

<sup>29</sup> კონსტანტინოპოლში გიორგი ავალიშვილმა მიიღო ეგვიპტეში და იერუსალიმში გასამგზავრებელი ფირმანი სულთან მაჰმუდისაგან, რაც დაუჯდა 26 ყურუში; ამას გარდა, მას ჰქონია ორი პასპორტი – უცხო ქვეყანათა სახელმწიფო კოლეგიისაგან თბილისიდან გამოგზავნილი და სტამბოლში რუსეთის ელჩის ბარონ გრიგოლ სტროგანოვისაგან მიღებული. ავალიშვილი, *მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე*, 65.

ლიმს რომ წავიდა, ხვანთქრისტის ფარვანი გამეერთვა, ქართული ბელეთი“.<sup>30</sup>

რამდენადაც, XVII საუკუნის ბოლო მეოთხედიდან მოკიდებული, იერუსალიმში ვალების გადაუხდელობის გამო მითვისებულ-გაყიდული ქართული ეკლესია-მონასტრების და საქართველოში არსებული იერუსალიმური მამულების ძირითად მესაკუთრეს და გამგებელს ბერძნული საპატრიარქო წარმოადგენდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ შეხვედრისას განსჯის ძირითად საგანს ასევე წარმოადგენდა კონსტანტინოპოლში მყოფ იერუსალიმის პატრიარქთან იმ საკითხების მოგვარება, რაც საქართველოს იერუსალიმური მამულების მართვას და ამასთან დაკავშირებით ბერძენ სასულიერო პირებთან გამწვავებულ ურთიერთობის მოგვარებას უკავშირდებოდა.<sup>31</sup> როგორც ირკვევა, იოსტოსი კონსტანტინოპოლში აღარ გაჩერებულა, იგი 1819 წლის სექტემბერშივე უნდა გამგზავრებულიყო იენიქოდან იერუსალიმში.

1819 წლის ოქტომბერში გიორგი ავალიშვილს, კონსტანტინოპოლის პატრიარქთან სტუმრად მყოფ იერუსალიმის პატრიარქ პოლიკარპეს და საქართველოში პატრიარქის ვექილისა და არქიმანდრიტის, ბენედიქტეს შორის შემდგარი საუბრიდან ირკვევა, რომ იერუსალიმის პატრიარქი დიდად ყოფილა შეშფოთებული რუსეთის განათლების მინისტრის ა. გოლიცინის წერილის გამო, საიდანაც შეუტყვია რუსეთის იმპერატორის ბრძანების და საქართველოს ეგზარქოსის თეოფილაქტეს მიერ წმ. საფლავის ყმა-მამულის და საქართველოს მეფე-მთავართაგან მიღებული შეწირულებისა და შემოსავლის სახელმწიფო ხაზინისთვის გადაცემის ამბავი.<sup>32</sup> ვფიქრობთ, ამავე

<sup>30</sup> ხეც, Tur d-82; იოსტოსის სახელზე გაცემული ამ ჰუქმის თაობაზე ცნობა მოგვანოდა ქალბატონმა ცისანა აბულაძემ, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ.

<sup>31</sup> რუსული მმართველობის ხანაში შეწირულებათა გზით შექმნილ უძრავ-მოძრავ ქონებას იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო შემდგომ ხანებშიც ფლობდა, საიდანაც მიღებულ შემოსავალს სრულად და შეუფერხებლად იბარებდა. 1885 წელს ბერძნულმა საპატრიარქომ იერუსალიმის ქართული მონასტრებისათვის საქართველოში შეწირული ყმა-მამული დაყიდა, რის შედეგადაც დასრულდა საქართველოში იერუსალიმური უძრავ-მოძრავი ქონების მფლობელობა. იმავდროულად, ამ ღონისძიებით, ფაქტობრივად, საფუძველი გამოეცალა საქართველოს კანონიერ პრეტენზიებს იერუსალიმის კუთვნილ სავანეებზე. ნ. მშვიდობაძე, „საქართველოს ურთიერთობა იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქოსთან პატრიარქ თეოფანე III (1608-1644) დროს ქართული საისტორიო საბუთების მიხედვით“, *მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია*, 1-4 (1999), 177-91.

<sup>32</sup> ავალიშვილი, *მგ ზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე*, 81. როგორც ჩანს, ამის გამო ბერძნების დამოკიდებულება იერუსალიმში ჩასული რუსი პილიგრიმების მიმართ არცთუ კეთილგანწყობილი გახდა. ამის მინიშნებად შეიძლება ჩაითვალოს ფსკოველი ნადეჟდა ივანოვნა ჩეხაჩოვას ჩივილი იერუსალიმში ცუდი მოპყრობისა და უწმინდესის სინოდის კრებულის მიერ მისი გაძევების თაობაზე. ამის გამო მას თხოვნიდა კი მიუმართავს გიორგი ავალიშვილისათვის, რათა დახმარებოდა კონსტანტინოპოლში დროულად გამგზავრებაში. გ. ავალიშვილი, *მგ ზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე*, 258.

საკითხებს ეხებოდა დავით გარეჯის ლავრის არქიმანდრიტის ილარიონის მიერ გიორგი ავალიშვილისათვის ჯვარისმამა-ყოფილი ბერძენი ბენედიქტესათვის გატანებული წერილიც. საქმე ეხებოდა 1819 წელს საქართველოს ეგზარქოსის თეოფილაქტეს მიერ წამოჭრილ იმ საკითხებს, რაც უკავშირდებოდა საქართველოში საზღვარგარეთის მონასტრებისათვის შენირული ყმა-მამულის მართვის სახელმწიფო სალაროს უფლებამოსილებაში გადასვლას და ბერძენი არქიმანდრიტების უღირსი საქციელის საბაბით საქართველოდან გაძევებას. ამ მიზნით 1819 წელს ჩატარდა საქართველოში ბერძნული საპატრიარქოს მმართველობაში არსებული ყმა-მამულების აღწერა, რამაც, ბუნებრივია, ბერძენი სასულიერო პირების უკმაყოფილება გამოიწვია. რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა, ბერძნებთან ურთიერთობის გამწვავების თავიდან ასარიდებლად, მთავარსარდალ ა. ერმოლოვს დაავალა იერუსალიმის და კონსტანტინოპოლის პატრიარქებთან საკითხის მოგვარება.<sup>33</sup> ამ გარემოებების გათვალისწინება, ვფიქრობთ, სხვა კუთხით წარმოაჩინს რუსეთის სახელმწიფოს ნამდვილი მრჩევლის, გიორგი ავალიშვილისა და დირბის ბერძენი არქიმანდრიტ-ყოფილის, ბენედიქტეს, მათთან ერთად კი გარეჯელი იოსტოსის მოგზაურობის რეალურ მიზანს. როგორც ქვემოთ გავარკვევთ, გიორგი ავალიშვილის ქრისტიანულ აღმოსავლეთში 1819-20 წლებში მოგზაურობის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი დასახელებული პრობლემების მოგვარება უნდა ყოფილიყო და არა მის მიერ დასახელებული ოფიციალური მოტივი წმინდა ადგილების მოხილვის და სამემკვიდრეო საქმეების მოგვარების შესახებ.

რაც შეეხება წმინდა მიწას, იქ რუსეთმა 1810-იანი წლების მიწურულიდან აქტიურად დაიწყო მოქმედება პოზიციების გასამყარებლად – ეს ეხებოდა როგორც იქ არსებულ ქრისტიანულ სინმინდეებს, ასევე ქრისტიანულ თემებს შორის არსებული იმ წინააღმდეგობების მოგვარებას, რაც წმინდა ადგილების ფლობასთან და თაყვანისცემაზე კონტროლთან იყო დაკავშირებული. ამ საკითხების მოგვარებისას, რუსეთი, ბუნებრივია, შეეცდებოდა წმინდა მიწაზე იმ მრავალსაუკუნოვანი მფლობელობის უფლებისა და ადგილის გამოყენებას, რომელიც ქართველებს ისტორიულად ჰქონდათ მოპოვებული. რუსეთი ასევე დაინტერესებული ყოფილა იმ დოკუმენტაციის მოძიებით, რაც ამ მფლობელობას უკავშირდებოდა, თუმცა ამ უფლებების შესახებ ოფიციალური დოკუმენტური მასალა იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკაში უკვე აღარ ინახებოდა. ეს დოკუმენტაცია უკვე დიდი ხნის წინ იყო გაგზავნილი კონსტანტინოპოლში.

ჩვენთვის საინტერესო საკითხების გასარკვევად განსაკუთრებით საინ-

<sup>33</sup> ხუციშვილი, *იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიწათმფლობელობა საქართველოში*, 77-8.



ტერესო ინფორმაციის შემცველი აღმოჩნდა 1817-22 წლებში სტამბოლში ლევანტის საკითხებში დიპლომატიური მრჩევლის, დიმიტრი დაშკოვის დღიურები. დაშკოვი რუსეთის ელჩის, ბარონ გრიგოლ სტროგანოვის (1770-1857) დავალებით, ინპექტირებას უწევდა საკონსულოებს ლევანტში.<sup>34</sup> იგი პალესტინაში იძიებდა საკითხებს, რომელიც ეხებოდა აღმოსავლეთ ორთოდოქსებს (მართლმადიდებლებს), კათოლიკებს და სხვა ქრისტიან თემებს შორის დავას იერუსალიმის წმინდა ადგილებზე, მათ შორის აღდგომის ეკლესიაზე ანუ უფლის საფლავზე, სადაც 1818 წლის დეკემბრის მემორანდუმით ღმრთისმსახურებაზე სამეურვეო სტატუსი ორთოდოქს ქრისტიანებს ჰქონდათ მოპოვებული. 1820 წლის აგვისტო-სექტემბერში იერუსალიმში სამი კვირის განმავლობაში ინსპექტირების მიზნით მოგზაურობისას დაშკოვმა დეტალურად აღწერა პალესტინის წმინდა ადგილები, აგრეთვე შეისწავლა იქ არსებული მდგომარეობა. მისი გადმოცემით, აღდგომის ეკლესიაში ღმრთისმსახურების ყველა ადგილს ფლობდნენ ბერძნები, კათოლიკები და მონოფიზიტი სომხები, მაშინ როცა კოპტებს ეკავათ მხოლოდ ერთი საკურთხეველი სალხინებლის მიმდებარედ; რაც შეეხება სირიელ ნესტორიანებს, ქართველებს, აბისინიელებს და მარონიტებს, ისინი იქიდან იძულებით იყვნენ გაძევებულნი. მისივე ცნობით, უფლის საფლავის სალხინებლის გარშემო კოლონები, ასევე ზედა და ქვედა გალერეები განაწილებული იყო სხვადასხვა ქრისტიანულ თემებს შორის – სამხრეთი ეპყრათ კათოლიკებს, ხოლო ბერძნებს ეკავათ ქართველებისაგან მიიღებული ჩრდილოეთი ნაწილი, იქ, სადაც ჯვარი იყო აღმართული. რაც შეეხება ჯვრის აღმოჩენის ადგილს, ის სადაო ყოფილა იმ რელიგიურ ჯგუფებს შორის, რომლებსაც იძულებით ან თავისი ნებით ჰქონდათ დათმობილი ეს უფლებები და კათოლიკები არ ანებებდნენ კანდელების დაკიდებას. იერუსალიმის სხვადასხვა ქრისტიანული თემების უფლებების გადაწყვეტა კანდელის და ხატების დაკიდებაზე, ასევე ღმრთისმსახურებაზე, თურქების ხელში იყო და მათზე იყო დამოკიდებული.<sup>35</sup> დაშკოვი ასევე გვანვდის საინტერესო ცნობებს (მათ შორის, სტატისტიკურს) პილიგრიმობის თაობაზეც. XIX საუკუნის პირველ მეოთხედში იერუსალიმში ჩასულ პილიგრიმთა შორის, რომელთა ნაწილი ოჯახებით წლობით იქ რჩებოდა, მნიშვნელოვნად ჭარბობდნენ ბერძნები და სომხები. 1821 წლამდე მონაცემებით, იერუსალიმში ჩასული პილიგრიმების რაოდენობა სამი ათასს აღწევდა, მათგან რუსი მხოლოდ ორასამდე იყო. მლოცველები ოდესიდან მიემგზავრებოდნენ ზღვით (უმეტესწილად ადრე აგვისტოს) კონსტანტინოპოლისაკენ, სადაც პასპორტის გარდა, იღებდნენ ფირმანს (სულთ-

<sup>34</sup> T. C. Prousis, "The Holy Places: A Russian Travel Perspective," *St. Vladimir's Theological Quarterly*, 3 (2005), 271-96.

<sup>35</sup> Prousis, "The Holy Places: A Russian Travel Perspective," 284, 286.

ნის ედიქტს), რითაც ეძლეოდათ წმინდა ადგილების და აღდგომის ეკლესიის (ამ უკანასკნელში მხოლოდ შესვლისათვის დანარჩენი ქრისტიანები იხდიდნენ 24 ლევს) მოსალოცი უფლება. იაფაში რუსი მლოცველები სტუმრად ჩერდებოდნენ ბერძნულ მეტოქში, სადაც წინამძღვარს აძლევდნენ მცირე შეწირულებას. რაც შეეხება იერუსალიმს, მლოცველები იქ ბინავდებოდნენ ბერძნულ საპატრიარქოში და პირველ ხანებში სალაროში იხდიდნენ გარკვეულ გადასახადს. ამას გარდა, მოსახსენებელ წიგნში თავის და ახლობლების სახელზე მოსახსენებლების შესატანად ცალკე უნდა გადაეხადათ სულზე 50 ლევი ან მეტი. მოსალოც ადგილებში შედიოდა ბეთლემი, ბეთანია, ნაზარეთი და სხვა ადგილები (მათ შორის – სიონის მთა, ღაზა, იერიქო, მდ. იორდანის ნაპირები).<sup>36</sup> დაშკოვის ცნობით, ქართველები, უმეტესწილად, აღმოსავლეთის საზღვრებიდან მისულ სომხებთან, აზიელ ბერძნებთან და მათთან ერთად მყოფ ყარამანიელებთან, სირიელებთან და ეგვიპტელებთან ერთად დადიოდნენ მოსალოცად. დაშკოვის გამოანგარიშებით რუსეთიდან ჩასულ მლოცველს პალესტინის წმინდა ადგილების მოლოცვა დაახლოებით ხუთასი რუბლი უჯდებოდა. ამის გამო, მლოცველთა ნაწილი საერთოდ უსახსროდ რჩებოდა და იძულებული იყო ბერებისაგან საკვების მისაღებად შემწეობისათვის საპატრიარქო კარისთვის მიეკითხა. მათზე დახმარებისა და მეთვალყურეობის განხორციელების მიზნით რუსეთის საელჩოს ვიცე-კონსულის რანგში იაფაში საგანგებო მოხელეც კი მიუვლენია. 1821 წელს განვითარებულმა მოვლენებმა (საბერძნეთის დამოუკიდებლობისათვის ომის დაწყებას და ვაჭრობის შეფერხებას შავ ზღვასა და ლევანტში მოჰყვა რუსეთ-ოსმალეთის დიპლომატიური ურთიერთობების დაძაბვა) ეს დახმარება დააბრკოლა და შეზღუდა რუსი პილიგრიმების შესვლა აღდგომის ეკლესიაში.<sup>37</sup>

რუსეთი, შექმნილ ვითარებაში, ბუნებრივია, დაინტერესებული იყო იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქოსთან იმ საკითხების მოგვარებით, რაც წმინდა მიწის ეკლესია-მონასტრებისათვის საქართველოში შეწირული უძრავ-მოძრავი ქონების და იქიდან მიღებული შემოსავლების საკითხს უკავშირდებოდა. აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ გარკვეულ მიზანს ემსახურებოდა რუსეთის სამსახურში მყოფი გიორგი ავალიშვილის, ჯვარისმამა-ყოფილ არქიმანდრიტის ბენედიქტეს და გარეჯელი ბერის იოსტოსის 1819 წელს საქართველოდან კონსტანტინოპოლსა და პალესტინაში გამგზავრებაც და ის კონტაქტები და შეხვედრები, რომელიც მათ ჰქონდათ ამ მოგზაურობის დროს.<sup>38</sup> ვფიქროთ, ასევე

<sup>36</sup> იქვე, 292-3.

<sup>37</sup> იქვე, 294.

<sup>38</sup> 1820 წლის 13-16 თებერვალს გიორგი ავალიშვილი კაიროში რამდენჯერმე შეხვდა სტატსკი სოვეტნიკს დიმიტრი დაშკოვს. ავალიშვილი, *მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე*, 154-5, 169.

რუსეთის ინტერესებს ემსახურებოდა გ. ავალიშვილის მიერ მოგზაურობისას შესრულებული ის დეტალური და დოკუმენტირებული აღწერებიც, რომელიც იქ არსებულ ქართული სიძველეებს (მათ შორის ჯვრის მონასტრისას), დროის უქონლობის გამო, თითქმის არ შეხებია. ამაზევე მიუთითებს ავალიშვილის მჭიდრო ურთიერთობა საქართველოს ჯვარის მამა-ყოფილთან, არქიმანდრიტ ათანასესთან, იერუსალიმის პატრიარქ პოლიკარპესთან, სტამბოლში რუსეთის ელჩ გრიგოლ სტროგანოვთან, სტატსკი სოვეტნიკ დიმიტრი დაშკოვთან და იქ აკრედიტირებულ ევროპის კონსულებთან და მმართველ წრეებთან.<sup>39</sup> იგივე შეიძლება ითქვას გარეჯელი ბერის იოსტოსის და რუსი იერომონახის პაისის მიერ აღდგომის ეკლესიაში საზეიმო წირვის ქართულ და რუსულ ენებზე ჩატარების თაობაზეც, რომლის შესახებ ავალიშვილი საგანგებოდ ვრცლად გვიყვება.

ეგვიპტიდან დაბრუნებული გიორგი ავალიშვილისა და გარეჯელი დიაკონის იოსტოსის გზები 1820 წლის გაზაფხულზე იერუსალიმში გადაიკვეთა. იერუსალიმში ყოფნისას იოსტოსი, ბუნებრივია, ჯვრის მონასტერსაც მოიხილავდა და იქ გარკვეული დროის განმავლობაში გაჩერდებოდა. იოსტოსმა, 1820 წლის 27-28 მარტს, როგორც მწირველმა, მონაწილეობა მიიღო აღდგომის ბრწყინვალე ლიტურგიაში. გიორგი ავალიშვილის გადმოცემით, „შესღვულთა ლოდისა გადმოგორებულისა თანა, მე, იერომონახოხმან ანტიმოს კამერასმან და ერთმან ჩემმან უცნობმან ბერძენმან მოვისმინეთ წირვაჲ შემწირულისა, იერომონახისისა თანა იყვნენ მწირულად ერთი მთავარდიაკონი და ქართულელი იოსტოს დიაკონი. იყო ესრეთჲ თვისთჳსთა დროთა საღმრთოჲსა მსხუშრ-პლშემწირველისა იერომონოხოხისა და მთავარდიაკონისა მიერ მოკსენება თავადისა გიორგი ავალოვისა, თანასწორ ვითარ დიდსაცა ტაძარსა და წმიდასა გოლგოთასა“. ყოვლად ბრწყინვალე პასექის დღესასწაულზე საპატრიარქოში საცხოვრებლად გაჩერებულ გიორგი ავალიშვილთან სტუმრად მისულა „იერომონახოხი პაისიი და ქართუელი დიაკონი იოსტოს, რომელთაცა წარეკითხათ დიდსა ტაძარსა შინა აღდგომისასა წმინდა სახარება შემდგომად ბერძნულისა და არაბულისა; პირუჭლსა – როსსიისა, ხოლო მეორესა – ქართულსა ენათა ზედა“.<sup>40</sup> აღდგომის ლიტურგიისას უფლის საფლავზე წირვის ქართულად ჩატარების საკითხი ჯერ კიდევ კონსტანტინოპოლში უნდა გადანყვეტილიყო, რაზედაც უფლება იოსტოსს იქ მყოფი იერუსალიმის პატრიარქის პოლიკარპეს უშუალო შუამდგომლობითა და ნებართვით უნდა მიეღო. იერუსალიმში ყოფნისას იოსტოსი დაახლოებია რიაზანელ იერომონახოხს პაისის და მასთან ერთად ათონის მოსალოცად წასვლა გადაუწყვეტია. იაფაში ინგლისის კონსულის

<sup>39</sup> იქვე, 020, 65-6, 154-5, 169 და ა.შ.

<sup>40</sup> იქვე, 203.

ანტონია დამიანეს სახლში გაჩერებულ გიორგი ავალიშვილთან 15 აპრილს მისულმა იოსტოს ბერ-მონაზონმა მას გზის ფული სთხოვა, რათა რიაზანელ პაისისთან ერთად ათონის მთაზე გამგზავრებულიყო.<sup>41</sup> გიორგი ავალიშვილი არაფერს ამბობს იმის თაობაზე, მოახერხა თუ არა იოსტოსმა ათონის მთაზე წასვლა. ცნობილია მხოლოდ, რომ უკანა გზაზე, კონსტანტინოპოლში მყოფი იოსტოსი აიასოფიას მოსალოცად წავიდა. იმ დროისათვის აიასოფიას მიმდებარე ტერიტორია იქ მისული უცხოელი მლოცველებისა და მოგზაურებისათვის განსაკუთრებით საშიშ ადგილად ითვლებოდა, განსაკუთრებით იმ დღეებში, როცა იქ ხდებოდა სიკვდილით დასჯა და თავს იყრიდა საკმაოდ ჭრელი ხალხის ბრბო. 1819 წლის ოქტომბერში აიასოფიას მოსახილავად მისული გიორგი ავალიშვილი, რომელიც შეესწრო სულთანის ყოფილი ფავორიტის დუზ-ოღლისა და მისი ძმების თავის მოკვებას, აღნიშნავდა, რომ ამგვარი თავშეყრის დროს „ხშირად ინარმოების მოულოდნელი შემთხვევა აღკრუჰსხმელისა ერისა ამის მიერ, განსჯისამებრ, უცხო ქუცყნელთასა“.<sup>42</sup> მართლაც, აიასოფიასთან მისულ იოსტოსს თურქები დასხმიან თავს, რომელთაც სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიუყენებიათ მისთვის.<sup>43</sup> ამის შემდგომ იოსტოსმა მოგზაურობა გააგრძელა და ზღვით „დიდ როსიად“ ოდესაში ჩავიდა, საიდანაც რუსეთის ეკლესია-მონასტრების მოსალოცად გაემგზავრა. იგი რუსეთში გიორგი ავალიშვილისა და რიაზანელი ბერის პაისის რჩევით უნდა გამგზავრებულიყო. მას მოულოცია მოსკოვის მონასტრები და თავყვანი უცნაო იქაური წმინდა ნაწილებისთვის. 1821 წელს იოსტოსი სანკტ-პეტერბურგში ჩავიდა და 13 დეკემბერს ორი დღით გაჩერდა არქიმანდრიტ ტარასი ალექსი-მესხიშვილთან.<sup>44</sup> პეტერბურგში

<sup>41</sup> იქვე, 258.

<sup>42</sup> იქვე, 67-9.

<sup>43</sup> არქიმანდრიტ ტარასი, „უდაბნო ღირსისა მამისა ჩვენისა დავით გარეჯელისა“, 39.

<sup>44</sup> ტარასი ალექსი-მესხიშვილს (1797-1874), რომელიც ცნობილი იყო როგორც მწერალი, მთარგმნელი, კალიგრაფი და ბიბლიოფილი, საკმაოდ ახლო ურთიერთობა ჰქონია გარეჯელ ბერ იოსტოსთან და გარეჯის საძმოსთან. ტარასი პეტერბურგში იმყოფებოდა 1817-24, 1825-30 წლებში, სადაც გაჰყოლია საქართველოს პირველ ეგზარქოსს, მიტროპოლიტ ვარლამს (ერისთავი). მოსკოვში ყოფნისას მის ხელში გაუვლია გ. ავალიშვილის მიერ იერუსალიმის ჯვრის მონასტრიდან წამოღებულ შვიდივე ხელნაწერს, საიდანაც ამოუნერია ანდერძ-მინაწერები. ი. გაჩეჩილაძე, *ქართულ ხელნაწერთა ამაგდარნი* (თბილისი, 2011), 94. სამშობლოში დაბრუნებული, 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის, ის პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ თბილისში იმყოფებოდა. მიუხედავად ამისა, ტარასი აგრძელებდა ინტენსიურ კავშირს გარეჯის საძმოსთან, სარგებლობდა რა მონასტრის მდიდარი ბიბლიოთეკით. მოღწეულია 1835 წლით დათარიღებული მისი მინაწერი წმ. დავითის ლავრის ბიბლიოთეკაში დაცულ XVIII საუკუნის ასკეტიკურ კრებულზე: „ნიგნი ესე ეკუთვნის წმიდის დავით გარეჯელის უდაბნოს, რომელიც მაქუნდა მე ნათხოვრად და ნაცულად აქუსთ კელმონერილი ბარათი ჩემი მისვე უდაბნოთა ძმათა. ან უკანავე მომიქცევია ნიგნი ესე, ამა უდაბნოს ნაიბის მღუდელ-მონაზონის თეოფანესათეს, რომელითაცა გაუქმდების

ყოფნისას იოსტოსმა ალექსანდრე ნეველის ლავრაში თაყვანისცა ნმინდანის სამარხოს.<sup>45</sup> პეტერბურგში იგი ასევე უნდა შეხვედროდა იონა ხელაშვილს, რომელიც ალექსანდრე ნეველის აკადემიაში ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების უმაღლესი კურსის დაუფლების შემდგომ იერომონახის ხარისხში აყვანილი ქართული კოლონიის მოძღვრად და მწირველად ითვლებოდა. ამაზე მიანიშნებს იონა ხელაშვილის მიერ სვიმონ ტაბიძისათვის პეტერბურგის ქართული კოლონიის „მოსახსენებელ წიგნში“ ჩასანერად გადაცემული პირების ნუსხა, სადაც შეტანილია მღვდელმონაზონი იოსტოსის სახელიც. მოსახსენებელ პირთა სინოდიკონში მისი ხსენება ჩანერილია რუსეთისა და საქართველოს სამეფო ოჯახების ნევრებთან და იმ დროის ქართველ სასულიერო და საერო მოღვაწეებთან ერთად ნაკვეთში – „მონყალენი ჩემნი და კეთილისმყოფელნი“.<sup>46</sup>

1822 წლის გაზაფხულზე იოსტოსი ჯერ კიდევ რუსეთში, მოსკოვში, იმყოფებოდა. 12 მარტს გარეჯში მის მიერ გამოკაფული ეკლესიის მძიმე მდგომარეობით შენუხებული იოსტოსი მოსკოვიდან წერდა პეტერბურგში მყოფ მღვდელ იონა ხელაშვილს: „ჩემს ვითარებას იუნყებთ, გახლავარ ორთა არხიერთა შორის, მოსკოვი რა დასაყუდებელია მერე ჩემთვის, მაგრამ გზა არა კეთილი შეიქმნა, ვგონებ რომ ცხოველს კვირამდინ აქ დავრჩე, უდაბნოდან (გარეჯადან) წიგნი მომივიდა, და ასე მწერენ, შე ცოფო ბერო, ქალაქებში რად რონინები, და კაპილონთა განსცხრებო, შენი ეკლესია ცრემლისო, მალე შეეშველე, თორემ საჭიროდ გაგიხდების. ეს ჳმა დიალ ჩემი შემანუხებელი არს, იერუსალიმსაც რომ შემეტყო, იქიდამაც გამომიყვანდა ეს არა კეთილი ჳმა, თორემ მოსკოვს რა საქმე მიძს, მარამ ცალიერი რომ მივიდე, ჳელს ხომ ვერ დავაფარებ ლირფნი უნდა ძმანი ჳერთა შინა სახმარ არიან“.<sup>47</sup>

სამშობლოში, გარეჯის მრავალმთაში დაბრუნებული იოსტოსი, იმავე, 1822 წელს გარდაიცვალა. იოსტოსი დაუსაფლავებიათ წმ. დავითის ლავრაში, მის მიერ გამოკვეთილი მიძინების ეკლესიის კარს გარეთ.<sup>48</sup>

ბარათი ჩემი, და თუ დაიკარგების სადმე ეს წიგნი, მე ნუ მომეკითხების, წელსა 1835, მაისის 19. მღდელ-მონაზონი ტარასი“, ხეც, A-154, 366r – ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტ. I, ნაკ. 2, 219. ლავრაში ტარასის არაერთხელ უნდა მოენახულებინა იოსტოსის საფლავი.

<sup>45</sup> ხეც, A-1532, ფ. 141-142; არქიმანდრიტი ტარასი, „უდაბნო ღირსისა მამისა ჩვენისა დავით გარეჯელისა“, 18.

<sup>46</sup> ვარლამ დონდუა, „პეტერბურგის ქართული კოლონიის საისტორიო სამწიგნობრო მემკვიდრეობა. იონა ხელაშვილის „მოსახსენებელი წიგნი“, საისტორიო ძიებანი, III (თბილისი, 1985), 173.

<sup>47</sup> იონა ხელაშვილის ეპისტოლური არქივი (1809-1835წწ.), შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო გულნარა დედაბრიშვილმა (თბილისი, 2000), 23.

<sup>48</sup> ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, 108.

## ბიბლიოგრაფია

ავალიშვილი გიორგი. მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა. თბილისი, 1967

არქიმანდრიტი ტარასი. უდაბნო ღირსისა მამისა ჩვენისა დავით გარეჯელისა, მოკლე აღნუსხვა ქართლ-კახეთის მონასტერთა. საქართუელოს სასულიერო მახარებელი, VIII, 1864

ბერძნიშვილი მაქსიმე. მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის. II. თბილისი, 1983

გამბა ჟაკ ფრანსუა. მოგზაურობა ამიერკავკასიაში. ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა. თბილისი, 1987

გაჩეჩილაძე ია. ქართულ ხელნაწერთა ამაგდარნი. თბილისი, 2011

დონდუა ვარლამ. პეტერბურგის ქართული კოლონიის საისტორიო სამწიგნობრო მემკვიდრეობა. იონა ხელაშვილის „მოსახსენებელი წიგნი“. საისტორიო ძიებანი, III. თბილისი, 1985

იონა ხელაშვილის ეპისტოლური არქივი (1809-1835 წწ.). შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო გულნარა დედაბრიშვილმა. თბილისი, 2000

იოსელიანი პლატონ. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. ტფილისი, 1936

კალისტრატე მღვდელ-მონაზონი. წმიდის დავით გარესჯელის უდაბნო. თბილისი, 1884

მენაბდე ლევან. ძველი ქართული მწერლობის კერები. ნ. I, ნაკ. 1. თბილისი, 1962

მშვიდობაძე ნანა. საქართველოს ურთიერთობა იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქოსთან პატრიარქ თეოფანე III (1608-1644) დროს ქართული საისტორიო საბუთების მიხედვით. მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1-4, 1999

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა. ტ. I. ნაკ. 2. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, ც. კახაბრიშვილმა, თ. მგალობლიშვილმა, მ. ქავთარიამ, ლ. ქუთათელაძემ, და ც. ჯღამაიამ, ელ. მეტრეველის რედაქციით. თბილისი, 1976

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა. ტ. II. ელ. მეტრეველის რედაქციით. თბილისი, 1961.

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა. ტ. III. შედგენილი და დასაბეჭდად დამზადებული თ. ენუქიძის, ე. მეტრეველის, მ. ქავთარიას, ლ. ქუთათელაძის, მ. შანიძის და ქრ. შარაშიძის მიერ. თბილისი, 1963

ხუციშვილი ნიკო. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მინათმფლობელობა საქართველოში. თბილისი, 2006

Гордеев Григорий. Караязская степь и древние грузинские пустыни св. Иоанна Крестителя и св. Давида Гареджиинского. Тифлиские ведомости, 1 (1832), 2 (1832)

Иоселиани Платон. Описание древностей города Тифлиса. Тифлис, 1866

Муравьев Алексей. Грузия и Армения, I. Санкт-Петербург, 1848

Чубинашвили Георгий. Пещерные Монастыри Давид-Гареджи. Тбилиси, 1948

Prousis, T. C. The Holy Places: A Russian Travel Perspective. St. Vladimir's Theological Quarterly, 3, 2005

## Hierodeacon of Gareja Iostos Mrevlishvili (The Builder and the Pilgrim)

*Darejan Kldiashvili*

*In collaboration with Marina Meskhia*

### Summary

Hierodeacon Iostos (in lay life Mrevlishvili, hailed from Mtskheta) belongs to those unknown monks of David Gareja whose activity was consigned to oblivion in the course of time. Fragmentary evidence on the versatile activity of Iostos has been preserved in the records of pilgrims and lovers of antiquities (Archimandrite Tarasi (Aleksi-Meskishvili), Hieromonk Kalistrat, Gr. Gordeev, A. Muraviev, G. Avalishvili) and the colophons of manuscripts belonging to the David Gareja monastery.

Iostos was hewing the small churches of the Dormition and of the St. Marina, three cells and the numerous floodwater ditches by means of which the huge cisterns of the monastery were filled with rain water at the end of the 18<sup>th</sup> century in St. Hilarion the Georgian's so-called "third" part of the Lavra of St. David. Besides, he was engaged in copying books and augmenting the monastic library. Evidence on this is preserved in colophons of manuscripts of the Gareja monastic library (NCM, Ms. A-181; NCM, Ms. S-1191; NCM, Ms. S-1532).

Iostos's activity was not confined only to construction and copying of manuscripts. In 1819- 1822 he set out on the pilgrimage of Christian East (Jerusalem, Mount Athos, Constantinople) and Russia (Moscow, St. Petersburg). Returning to the Gareja desert, he died in 1822 and was buried in the Lavra of St. David, on the side of the door of the church of Dormition.

1



2



3



სურ. 1 წმ. დავითის ლავრის სამხრეთ კლდოვანი მასივი. დ. ერმაკოვის ფოტო, 1880-იანი წლები.

სურ. 2 წმ. დავითის ლავრა. ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესია. ინტერიერი. ხედი აღმოსავლეთით. თ. კიუნეს ფოტო, 1913 წ.

სურ. 3 წმ. დავითის ლავრა. ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესია. კარი. თ. კიუნეს ფოტო. 1913 წ.



## VII

### შუა საუკუნეების ქართული პოლიორკეტიკა

#### მამუკა წურნუშია

პოლიორკეტიკა სააღმოსავლეთო ხელოვნებაა, უფრო ზუსტად კი – სიმაგრეთა ალღობისა და მათი დაცვის ხელოვნება.<sup>1</sup> მრავალრიცხოვან ციხე-სიმაგრეთა არსებობის გამო, შუა საუკუნეებისათვის მეტად დამახასიათებელი იყო სააღმოსავლეთო მოქმედებები.<sup>2</sup> ფილიპ კონტამინის თანახმად, „ომი შუა საუკუნეებში წარმოადგენდა უწყვეტ ალყებს, რომელთაც თან ახლდა შეტაკებები და რბევა, დიდი ბრძოლები კი იშვიათად ხდებოდა“.<sup>3</sup> ამის გამო, შუა საუკუნეების სამხედრო საქმისათვის დამახასიათებელი იყო ერთგვარი „სააღმოსავლეთო ტაქტიკა“.<sup>4</sup> მართლაც, ამ დროის სამხედრო ხელოვნებაში ციხე-სიმაგრეთა დაუფლებას უმნიშვნელოვანესი ადგილი ეჭირა და ალყა ბევრად უფრო ხშირი იყო, ვიდრე სავლეთ ბრძოლები.<sup>5</sup> ეს ბუნებრივიცაა, რადგან შუა საუკუნეებში მიწის დაუფლებისათვის იბრძოდნენ, მიწა კი ციხის საშუალებით კონტროლდებოდა.<sup>6</sup>

შუა საუკუნეებში, როდესაც ბრძოლა მკლავის მანძილზე ან მოკლე დისტანციაზე წარმოებდა, მას, ვინც ფლობდა სიმაღლეში უპირატესობას

---

<sup>1</sup> ქართულ ისტორიოგრაფიაში სააღმოსავლეთო ხელოვნება განხილული აქვთ ს. მარგიშვილს და ჯ. სამუშიას. სოსო მარგიშვილი, *შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორია IX-XV საუკუნეებში* (თბილისი, 2008), 208-19; ჯაბა სამუშია, „ციხე-სიმაგრეების ალღობის ხელოვნება XI-XII საუკუნეების საქართველოში“, *საისტორიო ძიებანი*, ტ. X-XI (2008), 87-100. თავისი ნაშრომის ფურცლებზე ს. მარგიშვილი აგვიჩვენებს შუა საუკუნეების სააღმოსავლეთო მოქმედებების წარმოების პრინციპებს, ჯ. სამუშია კი სააღმოსავლეთო ხელოვნებას საქართველოსთან მიმართებაში განიხილავს.

<sup>2</sup> ანტიკურ ხანაში ძირითადად ქალაქებს გარემოიცვამდნენ, შუა საუკუნეებში კი უფრო ხშირია ციხეთა ალყა. Jim Bradbury, *The Medieval Siege* (Woodbridge, 1992), 1.

<sup>3</sup> Philippe Contamine, *War in the Middle Ages* (Oxford, 1984), 101.

<sup>4</sup> იქვე, 219.

<sup>5</sup> Christopher Gravett, *Medieval Siege Warfare* (Oxford, 1990), 3; Kelly DeVries, *Medieval Military Technology* (Peterborough, 1992), 125; Bradbury, *The Medieval Siege*, 71.

<sup>6</sup> Sean McGlynn, “Siege Warfare: Tactics and Technology,” *The Oxford Encyclopedia of Medieval Warfare and Military Technology*, vol. 3 (New York, 2010), 265.

და შედარებით დაცული იყო კედლების უკან, დიდი უპირატესობა ჰქონდა.<sup>7</sup> ამიტომაც, ციხე-სიმაგრის ალება რთული და შრომატევადი ღონისძიება იყო. იგი მოითხოვდა მრავალი ადამიანის (ჯარისკაცებისა და სხვადასხვა სპეციალისტის) მონაწილეობას და მრავალფეროვანი მასალის (ხე, რკინა, ტყავი, თოკები ბანაკისა და სააღყო მანქანებისათვის, ქვა ფილაკავანებისათვის) ხარჯს. მოაღყეს მრავალი ფაქტორი უნდა გაეთვალისწინებინა: მას ბანაკი სწორად უნდა დაეცა, უზრუნველყო საკვებ-სასმელით მომარაგება, დაეცვა ელემენტარული სანიტარული ნორმები ეპიდემიის თავიდან ასაცილებლად, უნდა აღეკვეთა გარნიზონის გამოხდომები, მოეგერიებინა გარედან ციხის დამხმარეთა შემოტევები და სხვ.

იმ სიძნელების გარდა, რომლებიც საერთოდ თან ახლდა საბრძოლო მოქმედებებს, ალყის წარმოება სპეციფიკური ამოცანების წინაშე აყენებდა გარემომცველს. რთული სააღყო მოქმედებების ჩასატარებლად აუცილებელი იყო გარკვეული მათემატიკური გათვლები და თეოდოლიტის ტიპის ხელსაწყო გამოყენება. ბიზანტიელი ანონიმი, რომელსაც პირობითად ჰერონ ბიზანტიელს უწოდებენ და რომელმაც X საუკუნეში უაღრესად მნიშვნელოვანი ნაშრომები დაწერა პოლიორკეტიკაში (*Parangelmata Poliorcetica* და *Geodesia*), მიიჩნევს, რომ მოაღყეს უნდა სცოდნოდა და შორიდან სწორად გამოეთვალა გალავნის სიმაღლე, რადგანაც შეცდომა გამოიწვევდა საჭიროზე დიდი ან პატარა მონყობილობების (კიბის, კოშკის და სხვ.) გამოყენებას, რასაც უცილობლად მოყვებოდა მსხვერპლი.<sup>8</sup>

ციხისა და ქალაქის ალების ხერხები არ განსხვავდებოდა, მაგრამ გარკვეული თავისებურებებით ხასიათდებოდა. როგორც წესი, ციხე უფრო მიუვალ ადგილზე იყო აღმართული და მისი ფორტიფიკაციები უფრო ძლიერი იყო, სამაგიეროდ ქალაქის ალებისას დამატებით სირთულეს მისი მოსახლეობა განაპირობებდა. იერიშისას ქალაქს იცავდა არამარტო გარნიზონი, არამედ ქალაქის მილიცია და მოსახლეობის ის ნაწილიც, რომელიც ჩვეულებრივ არ იბრძოდა. მეტიც, ქალაქების დაცვაში ქალებიც კი მონაწილეობდნენ. ქალაქის მოსახლეობა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა დაზიანებათა შეკეთებასა და მეზობლთა მომარაგებაში, ის მონაწილეობას იღებდა გალავნის დაცვაშიც. ამ

<sup>7</sup> John France, “Crusading Warfare and its Adaptation to Eastern Conditions in the Twelfth Century,” *Mediterranean Historical Review*, 15 (2000), 53.

<sup>8</sup> Heron of Byzantium, “Geodesia,” ed. Denis F. Sullivan, in *Siegecraft: Two Tenth-Century Instructional Manuals by “Heron of Byzantium”* (Washington, 2000), 115. IV-V საუკუნეების მიჯნაზე, ვეგეციუსი კედლების სიმაღლის გაზომვის ორ მეთოდს ასახელებს: ისარზე გამობმული ბანრის საშუალებით და მზისგან დაცემული ჩრდილის მეშვეობით. *Vegetius: Epitome of Military Science*, translated with notes and introduction by N. P. Milner, 2nd ed. (Liverpool, 1996), IV.30.

თვალსაზრისით, ქალაქების დაცვა ძველი დროის „ტოტალური ომის“ ნიმუშს წარმოადგენდა.

კარგად გამაგრებული ქალაქის აღება საკმაოდ რთული იყო და ამისათვის ყოველ ხელსაყრელ შემთხვევას იყენებდნენ, მინისძვრის ჩათვლითაც კი. ასე მოიქცა 1287 წელს ეგვიპტის მამლუქი სულთანი კალაფუნი, როდესაც მან მინისძვრით დაზიანებული ლატაკია აიღო.<sup>9</sup> დ. ნიკოლის შეფასებით, „ეს ისეთი კარგი შესაძლებლობა იყო, რომლის ხელიდან გაშვებაც არ შეიძლებოდა“.<sup>10</sup> ასე გამოიყენეს 1139 წლის მინისძვრაც ქართველებმა, როდესაც დემეტრე I-ს მეფობაში, ივანე აბულეთის ძის სარდლობით თავს დაესხნენ მინისძვრით დანგრეულ განძას და მრავალი ტყვე და სიმდიდრე იგდეს ხელთ.<sup>11</sup>

გამოყოფენ ციხე-სიმაგრის აღების რამდენიმე ძირითად ხერხს, როგორცაა ციხის გალავანზე გადასვლა იერიშით, გალავნის შენგრევა, კედლების ქვეშ მინისქვეშა გვირაბის გაყვანა და ალყის შედეგად გარნიზონის დაუძღურება.<sup>12</sup> ეს ჩამონათვალი არ მოიცავს სიმაგრეთა აღებას სამხედრო ცბიერებით, გარნიზონის მოსყიდვით ან მუქარით, მოულოდნელობის ეფექტის ან საბრძოლო ვითარების გამოყენებით (როდესაც ციხის კარიბჭის დახურვას ვერ ახერხებენ) და სხვ. ასეთი შემთხვევები უფრო საბრძოლო მოქმედებათა წარმოების ზოგად სფეროს განეკუთვნება და კლასიკური პოლიორკეტიკის საგნად ნაკლებად განიხილება.<sup>13</sup>

ზოგადად, ციხე-სიმაგრეთა აღების ყველა ხერხი შეიძლება გავაერთიანოთ ორ ძირითად მეთოდში: ციხეთა აღება იერიშით ან ალყის საშუალებით. იერი-

<sup>9</sup> მუსლიმთა საალყო მანქანებმა მინისძვრით დანგრეულ ქალაქის კედლებს დამატებითი ზიანი მიაყენა და აიძულა ქრისტიანები დანებებულებიყვნენ. Christopher Marshall, *Warfare in the Latin East, 1192-1291* (Cambridge, 1992), 232.

<sup>10</sup> David Nicolle, *Acre 1291: Bloody Sunset of the Crusader States* (Oxford, 2005), 15.

<sup>11</sup> გოჩა ჯაფარიძე, *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში* (თბილისი, 1995), 92-3.

<sup>12</sup> Terence Wise, *Medieval Warfare* (New York, 1976), 164.

<sup>13</sup> ჯ. სამუშიას ცალკე კატეგორიად, მისეულ კლასიფიკაციაში მეხუთე ხერხად, აქვს გამოყოფილი ციხე-სიმაგრის აღება „ალპინისტების გამოყენებით ანდა გალავნის ქვეშ გვირაბის გაყვანით“. სამუშია, „ციხე-სიმაგრეების აღების ხელოვნება XI-XII საუკუნეების საქართველოში“, 90. აქერთმანეთშია აღრეული მეთოდი (იერიში) და მისი განხორციელების საშუალებები (გვირაბით ან კლდეზე მცოცავებით). ციხეში შეღწევა გვირაბით ან კლდეზე მცოცავებით იერიშის განხორციელების ხერხია და არა რაიმე განსხვავებული ქმედება. არა აქვს მნიშვნელობა, კედელზე კიბის საშუალებით გადავალთ თუ მცოცავების შემწეობით; ასევე, იერიშის ხერხია ციხეში გვირაბით შეღწევა. ორივე ეს ხერხი სიმაგრის იერიშით აღების კატეგორიას განეკუთვნება და მათი ცალკე გამოყოფა არასწორად მიგვაჩნია. როგორც ჯ. ჰინდლი წერს, კედელზე, კედლისქვეშ თუ კედლის გავლით სიმაგრეში შეღწევა, ყველა იერიშის სახეობას წარმოადგენს. Geoffrey Hindley, *Medieval Sieges and Siegecraft* (New York, 2009), 82.

შიც და ალყაც სხვადასხვა ხერხით შეიძლება განხორციელდეს; ხშირია მათი ერთობლივი გამოყენებაც.

ციხე-სიმაგრის ალების მრავალფეროვან მეთოდებს ქართველები რომ იცნობდნენ, ეს X საუკუნის ერთ ხელნაწერშიც ჩანს; „ცხოვრება იაკობ ნისიბელისა“ მოგვითხრობს: „დააგოს მას ზედა ფილაკვანთა სიმრავლე სასროლად ქალაქისა და კუალად ქმნა ურმები მანქანებითა რა ზღუდესა მოადგენ და გამოუღონ საფუძველი მისი“. <sup>14</sup> როგორც ვხედავთ, აქ აღწერილია ქალაქის იერიში ლოდსატყორცნი არტილერიით და ციხის გალავნის ძირის გამოთხრა მოძრავი საფრის ქვეშ. მაგრამ ერთია ხელნაწერში მოხსენიებული მეთოდი და მეორე, ამ ცოდნის პრაქტიკული გამოყენება საბრძოლო მოქმედებების დროს. ამიტომ, შუა საუკუნეების ქართულ პოლიორკეტიკაზე მსჯელობას საალყო ტექნიკის განხილვით დავიწყებთ, რადგანაც ამ ტექნიკის განვითარების დონე ნათლად წარმოაჩინეს ქართული არმიის საალყო შესაძლებლობებს.

### საალყო ტექნიკა

საალყო ტექნიკის დასამზადებლად უმთავრესად სამი რამ იყო საჭირო: ხის მასალა, რკინის დეტალები და თოკები მათ შესაკავშირებლად, და, რა თქმა უნდა, განსწავლული ინჟინრები და ოსტატები. <sup>15</sup>

ჰერონ ბიზანტიელი ჩამოთვლის მრავალფეროვან ტექნიკას, რომელსაც მოალყეები იყენებდნენ. ესენია: სხვადასხვა ტიპის კუ, რომელთა საფარქვეშ მოიერიშეები ავსებდნენ თხრილებს და ანგრევდნენ კედლებს; მთლიანი ხის ან ანკობილი ურნალი; მოძრავი ხის კოშკები; სხვადასხვანაირი კიბეები, მათ შორის ასანყობი, მსუბუქი და ციხის დასაზვერი; კედლის სანგრევი სხვადასხვა ხელსაწყოები; თხრილებზე გასადები ხიდები და სხვ. <sup>16</sup> თუკი ამ სიას დავუმატებთ შუა საუკუნეების არტილერიას, მივიღებთ ძირითადი საბრძოლო მანქანების ჩამონათვალს: ურნალი, ტესტუდო ანუ კუ, საალყო კოშკი, საიერიშო კიბეები, ქვის სატყორცნი და ისრის სასროლი მანქანები, აგრეთვე სხვადასხვაგვარი პიროტექნიკული საშუალებები. <sup>17</sup>

სხვადასხვა მონაცემების გათვალისწინებით, შუა საუკუნეებში ციხე-სიმაგრეთა ასაღებად ქართველები იყენებდნენ შემდეგ ტექნიკურ

<sup>14</sup> დომენტი მშვენიერაძე, *ტექნიკის ლექსიკური მასალები ქართულ წერილობით ძეგლებში* (თბილისი, 1961), 65.

<sup>15</sup> Randall Rogers, *Latin Siege Warfare in the Twelfth Century* (Oxford, 1992), 21.

<sup>16</sup> Heron of Byzantium, “Parangelmata Poliorcetica,” ed. Denis F. Sullivan, in *Siegecraft: Two Tenth-Century Instructional Manuals by “Heron of Byzantium”* (Washington, 2000), 29.

<sup>17</sup> Ada Bruhn Hoffmeyer, “Military Equipment in the Byzantine Manuscript of Scylitzes,” *Gladius*, 5 (1966), 128.

საშუალებებს: საიერიშო კიბეებს, ურნალს და კედლის შესანგრევ სხვა ტექნიკას, ბალისტას, ლოდსატყორცნ მანქანებს და მიწისქვეშა გვირაბებს.

სამწუხაროდ, დღემდე ამ საიერიშო საშუალებების არათუ ნაშთს, არამედ რაიმე საფუძვლიან აღწერას ან წესიერ გამოსახულებასაც კი არ მოუღწევია. ეს მით უფრო დასანანიია, რომ ჟაკ ფრანსუა გამბას ცნობით, XIX საუკუნის ოციან წლებში საქართველოში ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი ძველი სააღყო ტექნიკის ნიმუშები: „ილორში, არის კიდევ ერთი უძველესი ეკლესია, სადაც სულ რამდენიმე წლის წინათ იდგა კატაპულტები, ურნალები და სხვა ძველი საომარი იარაღი, რომელსაც თოფის წამლის გამოგონებამდე იყენებდნენ“.<sup>18</sup>

### ლოდსატყორცნი არტილერია

ციხე-სიმაგრეთა წინააღმდეგ, მისი გალავნის, საბრძოლო გალერეების და ქონგურების დასანგრევად, გარნიზონისათვის მაქსიმალური ზიანის მისაყენებლად მოაღყეები იყენებდნენ ბალისტკურ (ლოდსატყორცნ და ისრის სასროლ) მანქანებს.<sup>19</sup> შუა საუკუნეებში ახალი ტიპის ლოდსატყორცნმა მანქანამ – ტრეზუმეტმა ჩაანაცვლა ანტიკური ხანის კატაპულტები.<sup>20</sup>

<sup>18</sup> ჟაკ ფრანსუა გამბა, *მოგზაურობა ამიერკავკასიაში*, ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, ტ. I (თბილისი, 1987), 88.

<sup>19</sup> ანტიკურობიდან მოყოლებული, ლოდსატყორცნი მანქანების დამზადება რთული ამოცანა გახლდათ და ყველას არ ხელენიფებოდა. გ. ლორთქიფანიძე მიუთითებს, რომ ასეთი მანქანებს მხოლოდ ისინი ამზადებდნენ, ვისაც შეეძლო რთული მათემატიკური გამოთვლების ჩატარება და გააჩნდა შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მაღალკვალიფიციური ოსტატები და ზუსტი ტექნოლოგია. გ. ლორთქიფანიძე, „საბრძოლო და სამეურნეო იარაღი“, *ვანი II: არქეოლოგიური გათხრები*, რედ. ოთარ ლორთქიფანიძე (თბილისი, 1976), 173.

<sup>20</sup> ტრეზუმეტი ლოდსატყორცნი მანქანების გვიანდელი, ფრანგული სახელწოდებაა, რომელსაც ტერმინოლოგიის სიმარტივისა და კლასიფიკაციის გასაადვილებლად იყენებენ. VII საუკუნეში არაბი ისტორიკოსები ახალი ლოდსატყორცნი მანქანების აღსანერად იყენებენ სიტყვას *manjaniq*, რომელიც ბიზანტიური *manganikon*-იდან მომდინარეობს, ის კი, თავის მხრივ, მოდის ბერძნული სიტყვიდან *manganon*, რომელიც ამწის მაგვარ მანქანას აღნიშნავდა. Stephen McCotter, “Byzantines, Avars and the Introduction of the Trebuchet,” [http://www.deremilitari.org/resources/articles/mccotter1.htm]. The Queen’s University of Belfast, 2003. დ. ნიკოლი მიიჩნევს, რომ ლოდსატყორცნი მანქანების ბიზანტიური (*manganon*, *manganikon*, *magganika*) თუ მათგან ნაწარმოები არაბულ-სპარსულ-თურქული (*manjaniq*) სახელწოდებების ძირი ბერძნულ სიტყვაში *mangano* უნდა ვეძებოთ, რომელიც ნგრევას ნიშნავს. David Nicolle, *Medieval Siege Weapons: Byzantium, the Islamic World and India AD 476-1526* (Oxford, 2003), 10. პ. ჩევედენის აზრით კი, სიტყვა *manganon* ნიშნავს ხიზლს, ჯადოს და მიუთითებს ტრეზუმეტზე, ახალი ტიპის მანქანაზე, რომლის ძლიერებაც ყველას აჯადოებდა. Paul E. Chevedden, “The Hybrid Trebuchet: The Halfway Step to the Counterweight Trebuchet,” in *On the Social Origins of Medieval Institutions. Essays in Honor of Joseph F. O’Callaghan*, ed. by Donald J. Kagay and Theresa M. Vann (Leiden, 1998), 199.

ტრეზუმეტის მოქმედების პრინციპი განსხვავდებოდა ბერძნულ-რომაული ტორსიული მანქანებისაგან, რომლებიც გრეხილი მყესების (თოკების) ენერგიას იყენებდნენ. არსებობს ორი ტიპის – ტრაქციული და საპირწონიანი ტრეზუმეტი. ტრაქციული ტრეზუმეტი, რომელიც ადამიანის ძალით მოქმედებდა, უფრო ადრინდელი მანქანაა, საპირწონიანი ტრეზუმეტი კი მოგვიანებით გამოიგონეს.

ტრაქციული ტრეზუმეტი ჩინური გამოგონებაა და, შესაძლოა, პირველად მოიხსენიება ძვ. წ. V-III საუკუნეების სამხედრო ტრაქტატში.<sup>21</sup> VI საუკუნის ბოლოს იგი ცენტრალური აზიიდან ხმელთაშუა ზღვის რეგიონში შემოდის. ტრაქციული ტრეზუმეტი ავარებმა გააცნეს ბიზანტიელებს და მეშვიდე საუკუნეში იგი უკვე ბიზანტიური არმიის სტანდარტულ შეიარაღებას წარმოადგენს.<sup>22</sup>

ტრაქციული ტრეზუმეტი ადამიანის ძალით მოქმედი ქვის სატყორცნი მანქანაა, რომლის დამზადება, აწყობა, ტრანსპორტირება და გამოყენება უფრო ადვილი იყო, ვიდრე მანამდე არსებული ბერძნულ-რომაული ტორსიული მანქანებისა.<sup>23</sup> გარდა ამისა, ანტიკურ არტილერიასთან შედარებით, ტრაქციული ტრეზუმეტი უფრო მძლავრი მანქანა იყო.<sup>24</sup> ის იყო ბევრად უფრო უსაფრთხოც და ოპერატორის შეცდომის მიმართ უფრო „მოთმენი“, ვიდრე

<sup>21</sup> Carroll Gillmor, “The Introduction of the Traction Trebuchet into the Latin West,” *Viator*, 12 (1981), 1; Chevedden, “The Hybrid Trebuchet,” 179.

<sup>22</sup> McCotter, “Byzantines, Avars and the Introduction of the Trebuchet,” 2003; Timothy Dawson, *Byzantine Infantryman: Eastern Roman Empire c.900-1204* (Oxford, 2007), 11.

ს. მარგიშვილი მიიჩნევს, რომ ტრეზუმეტი „გავრცელდა ჩინეთიდან, საიდანაც მცირე აზიურ სამყაროში სელჯუკებმა შემოიტანეს, რომელთაგანაც XI ს. მეორე ნახევარში შევიდა ბიზანტიაში, ხოლო პირველი ჯვაროსნული ლაშქრობების დროს გავრცელდა ევროპულ არმიებში“. მარგიშვილი, *შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორია*, 98. მოვლენების ასეთ ინტერპრეტაციას ვერ გავიზიარებთ. ტრაქციული ტრეზუმეტი მართლაც ჩინეთიდან გავრცელდა, მაგრამ ხმელთაშუა ზღვის რეგიონში იგი ავარებმა შეიტანეს XI საუკუნეზე ბევრად ადრე, VI საუკუნის ბოლოს; თურქ-სელჩუკების გამოჩენამდე, ჯერ კიდევ VII საუკუნეში არაბები უკვე იცნობდნენ ტრეზუმეტს; ევროპაში ტრეზუმეტის გამოყენების ფაქტებს ვხვდებით IX საუკუნეში, ჯვაროსნული ომების დაწყებამდე. Gillmor, “The Introduction of the Traction Trebuchet,” 2-3, 6. ამ შეცდომაზე უთითებს ჯ. სამუშიაც. იხ. მისი, „ბაგრატ III-ის ლაშქრობა განძის საამიროს წინააღმდეგ“, *თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები*, 4 (2011), 112, შენ. 29.

<sup>23</sup> David Nicolle, *The Crusades* (Oxford, 1988), 45; *Attila and the Nomad Hordes* (Oxford, 1990), 18.

<sup>24</sup> Paul E. Chevedden, “Artillery in Late Antiquity: Prelude to the Middle Ages,” in *The Medieval City Under Siege*, ed. by Ivy A. Corfis and Michael Wolfe (Woodbridge, 1995), 164; Gillmor, “The Introduction of the Traction Trebuchet,” 4.

ანტიკური ტორსიული მანქანები.<sup>25</sup> ონაგრი, რომელიც საუკეთესო რომაული ლოდსატყორცნი იყო, ტრეზუმეტზე ბევრად ძვირი, რთული და სახიფათო მანქანა იყო.<sup>26</sup>

ტრაქციული ტრეზუმეტი ჩარჩოზე დამაგრებულ ხის გრძელ ძელს წარმოადგენდა. მის მოკლე ბოლოზე თოკები იყო დამაგრებული, გრძელზე კი გიგანტური შურდული. თოკებს ადამიანები ექაჩებოდნენ და შემდეგ ერთბაშად ხელს უშვებდნენ; ეს მამოძრავებელ ძალას ანიჭებდა გრძელ მხარს, რომელიც შურდულს რკალისებურად ზემოთ გატყორცნიდა, რაც კიდევ უფრო აგრძელებდა მხარს და ქვას დიდი ძალით ისროდა.<sup>27</sup> ტრაქციული ტრეზუმეტის ძალა და სიზუსტე დიდწილად იყო დამოკიდებული მისი ოპერატორების განვრთნილობაზე. რაც უფრო კარგად იყო გუნდი განვრთნილი და მისი ქმედება შეთანხმებული, მით უფრო ეფექტური იყო ტრეზუმეტი.<sup>28</sup> დიდი როლი ენიჭებოდა ე.წ. „მსროლელს“, რომელიც შურდულში ჩადებულ ჭურვს ექაჩებოდა და მხოლოდ საჭირო მომენტში უშვებდა ხელს.<sup>29</sup> სალაჰ ად-დინისათვის დაწერილ სამხედრო-თეორიულ ტრაქტატში ატ-ტარსუსი იძლევა რჩევას, თუ როგორ უნდა ისროლონ სწორად ტრაქციული ტრეზუმეტიდან და როგორ უნდა არეგულიროს მანძილი შურდულის მემიზნემ. მისი მოწმობით, ასეთი მანქანა ქვას 80-120 მეტრზე ისროდა. ტრაქციული ტრეზუმეტის ძელი მოქნილი უნდა ყოფილიყო და მისთვის საუკეთესოდ ალუბლის ხე ითვლებოდა.<sup>30</sup>

ყველაზე დიდ ჩინურ ტრაქციულ ტრეზუმეტს 250 კაციანი გუნდი მართავდა და ის 56 კგ ქვას 77 მეტრზე ისროდა.<sup>31</sup> არისტაკეს ლასტივერტეცის თანახმად, 1054 წელს მანასკერტის ალყისას სელჩუკთა სულთანი თოღრულ-ბეგი იმხელა ტრეზუმეტს იყენებდა, რომ მის თოკებს 400

<sup>25</sup> W. T. S. Tarver, “The Traction Trebuchet: A Reconstruction of an Early Medieval Siege Engine.” *Technology and Culture*, Vol. 36, No. 1 (1995), 141.

<sup>26</sup> Tarver, “The Traction Trebuchet,” 165. ტრეზუმეტთან შედარებით ონაგრი უფრო მძიმე იყო და მძლავრი უკუცემა ჰქონდა, მისი სროლის ტემპი გაცილებით ნელი იყო და მრავალფეროვან მარაგ-ნაწილებს საჭიროებდა. Peter Purton, *A History of the Early Medieval Siege, c.450-1220* (Woodbridge, 2009), 9.

<sup>27</sup> Bradbury, *The Medieval Siege*, 262.

<sup>28</sup> DeVries, *Medieval Military Technology*, 137.

<sup>29</sup> Hill, “Trebuchets,” 103.

<sup>30</sup> Tarver, “The Traction Trebuchet,” 148-9; Hill, “Trebuchets,” 103.

<sup>31</sup> მაშინ როდესაც საპირწონიანი ტრეზუმეტი 50-300 კგ ქვას ისროდა. Paul E. Chevedden, “Fortifications and the Development of Defensive Planning in the Latin East,” in *The Circle of War in the Middle Ages: Essays on Medieval Military and Naval History*, ed. by D. J. Kagay and L. J. Andrew Villalon (Woodbridge, 1999), 37-8; “The Hybrid Trebuchet,” 183.

ადამიანი ეზიდებოდა.<sup>32</sup> მაგრამ ასეთი მანქანები დიდი იშვიათობა იყო. ტრაქციული ტრეზუმეტების უმეტესობა უფრო მომცრო და მარტივ მანქანას წარმოადგენდა. 1044 წელს დანერილი ჩინური სამხედრო ტრაქტატის მიხედვით, ტრაქციული ტრეზუმეტების უმრავლესობა 15 კგ-მდე ქვებს მაქსიმუმ 92 მეტრზე ისროდა.<sup>33</sup> ტრაქციული ტრეზუმეტები ისრის სასროლ მანძილზე მოქმედებდნენ და მათი მომსახურე პერსონალი მეციხოვნეთა ნასროლისაგან უნდა დაეცვათ. მაგალითად, ზემოთ აღწერილი მანასკერტის ალყის დროს, თურქ-სელჩუკებმა, თავიანთი ლოდსატყორცის გუნდის დასაცავად, ქსოვილის კედელი აღმართეს.<sup>34</sup>

უფრო მძლავრ საპირწონიან ტრეზუმეტთან შედარებით ტრაქციული ტრეზუმეტიბევრადადვილად ასაგები და სწრაფმსროლი იყო.<sup>35</sup> იგი, უპირველესად, ცოცხალი ძალის სანინალმდეგო იარაღი იყო, რომელიც შედარებით სუსტ ქონგურებს ანგრევდა და მცველებს კედლებზე გაჩერების საშუალებას არ აძლევდა.<sup>36</sup> 1147 წელს, ლისაბონის ალყის დროს, 100 ადამიანმა 2 მანქანით 10 საათის განმავლობაში 5,000 შედარებით მცირე ზომის ქვის სროლა მოახერხა.<sup>37</sup> ეს ტრაქციული ტრეზუმეტის სწრაფსროლის საუკეთესო ილუსტრაციაა. 1032 წელს სირიაში ლაშქრობისას ბიზანტიელთა ლაშქარმა, სანამ მუსლიმთა სიმაგრეს აიღებდა, ის ტრეზუმეტებით დაბომბა. სიმაგრეში შესულმა ბიზანტიელებმა ამ დაბომბვის შედეგად მოკლული 200 (!) მეციხოვნე ნახეს.<sup>38</sup>

გამუდმებულმა ომებმა ბიზანტიასა და ისლამურ სამყაროს შორის ხელი შეუწყო ისეთი მძლავრი საალყო მანქანის გამოგონებას, როგორც იყო საპირწონიანი ტრეზუმეტი.<sup>39</sup> ცეცხლსასროლი იარაღის გამოგონებამდე, საპირწონიანი ტრეზუმეტი ყველაზე ძლიერი საბრძოლო მანქანა იყო.<sup>40</sup> იგი

<sup>32</sup> არისტაკეს ლასტივერტეცი, *ისტორია*, ქართული თარგმანი გამოკვლევით, კომენტარებითა და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა (თბილისი, 1974), 93. მათეოს ურჰაეცის ცნობით, ეს მანქანა თავის დროზე იმპერატორ ბასილი II-ს აუგია. *The Chronicle of Matthew of Edessa*, translated from the Original Armenian with a commentary and introduction by Ara Edmond Dostourian (Lanham, 1993), 87.

<sup>33</sup> Chevedden, "The Hybrid Trebuchet," 213.

<sup>34</sup> არისტაკეს ლასტივერტეცი, *ისტორია*, 93.

<sup>35</sup> Gillmor, "The Introduction of the Traction Trebuchet," 2.

<sup>36</sup> უფრო ძლიერი საპირწონიანი ტრეზუმეტების სროლის გაძლება კი მხოლოდ უძლიერეს სიმაგრეს შეეძლო. David Nicolle, *Medieval Siege Weapons: Western Europe AD 585-1385* (Oxford, 2002), 6.

<sup>37</sup> Rogers, *Latin Siege Warfare*, 185.

<sup>38</sup> Nicolle, *Medieval Siege Weapons: Byzantium, the Islamic World and India*, 11-2.

<sup>39</sup> Rogers, *Latin Siege Warfare*, 247.

<sup>40</sup> ცეცხლსასროლ იარაღსაც საუკუნე დასჭირდა, რომ საპირწონიანი ტრეზუმეტის სიმძლავრისათვის მიეღწია. David Nicolle, *Crusader Warfare: Muslims, Mongols and the Struggle against the Crusades 1050-1300 AD*, vol. II (London, 2007), 226.



შუა საუკუნეების ტექნიკური აზრის შედეგია, რომლითაც მეფეებიც კი ამაცობდნენ და დიდ მანქანებს საკუთარ სახელებს არქმევდნენ.<sup>41</sup> საპირნონიანი ტრეზუშეტი XII საუკუნეში ჩნდება.<sup>42</sup> მისი წარმოშობის ზუსტი დრო და ადგილი ცნობილი არ არის. დ. ნიკოლი თვლის, რომ საპირნონიანი ტრეზუშეტი ისლამურ ახლო აღმოსავლეთშია შექმნილი, თუმცა ბიზანტიელების შესაძლო ავტორობასაც არ გამორიცხავს.<sup>43</sup> ალბათ, უპირატესობა მაინც ბიზანტიელებს უნდა მივანიჭოთ.<sup>44</sup> პ. ჩევედენის აზრით, საპირნონიანი ტრეზუშეტი შექმნეს ბიზანტიაში XII საუკუნის დასაწყისში, და შესაძლოა, ცოტათი ადრეც. მას მოჰყავს დამაჯერებელი არგუმენტები იმის საილუსტრაციოდ, რომ საპირნონიანი ტრეზუშეტი ბიზანტიური გამოგონებაა.<sup>45</sup>

საპირნონიანი ტრეზუშეტი იგივე პრინციპით მოქმედებდა, რაც ტრაქციული, იმ განსხვავებით, რომ ადამიანის ძალის ნაცვლად, მძიმე საპირნონე ყუთს იყენებდნენ. მას უფრო გრძელი შურდული ჰქონდა, რაც ზრდიდა მხრის სიგრძეს და განაპირობებდა უფრო მძიმე ჭურვის ტყორცნას მეტი აჩქარებით.<sup>46</sup> საპირნონიანი ტრეზუშეტის ძელი მძლავრი უნდა ყოფილიყო, რათა მძიმე საპირნონისაგან გამოწვეული დიდი დატვირთვებისათვის გაეძლო.<sup>47</sup> საპირნონე რამდენიმე ტონას იწონიდა და მისი სიმძიმე ტრეზუშეტის სიმძლავრის პირდაპირპროპორციული იყო. საპირნონიანი ტრეზუშეტი წინამორბედებზე უფრო ძლიერი და ზუსტიც იყო, რადგან საპირნონის ან ღერძის სიგრძის რეგულირებით შეიძლებოდა სროლის მანძილის ცვლა.<sup>48</sup> ამ საკმაოდ ზუსტ ლოდსატყორცნ მანქანას შედარებით მცირე გუნდი მართავდა.<sup>49</sup>

<sup>41</sup> საპირნონიანი ტრეზუშეტების გავრცელებას მოჰყვა ცვლილებები ფორტიფიკაციაში: მან განაპირობა უფრო დიდი ზომისა და მკვიდრი კოშკების მშენებლობა, რომელთაც ასეთი მძლავრი მანქანების ზემოქმედებისათვის უნდა გაეძლოთ. Chevedden, "Fortifications and the Development of Defensive Planning," 35; Nicolle, *Medieval Siege Weapons: Western Europe*, 24.

<sup>42</sup> Donald R. Hill, "Trebuchets," *Viator*, 4 (1973), 103-4.

<sup>43</sup> Nicolle, *Medieval Siege Weapons: Byzantium, the Islamic World and India*, 4-5. საპირნონიანი ტრეზუშეტი მუსლიმურ გამოგონებად მიაჩნია პ. პარტონსაც. Purton, *A History of the Early Medieval Siege*, 300.

<sup>44</sup> George T. Dennis, "Byzantine Heavy Artillery: The Helepolis," *Greek, Roman and Byzantine Studies*, 39, (1998), 110-3.

<sup>45</sup> Paul E. Chevedden, "The Invention of the Counterweight Trebuchet: A Study in Cultural Diffusion," *Dumbarton Oaks Papers*, vol. 54 (2000), 76-87, 102-11.

<sup>46</sup> Paul E. Chevedden et al., "The Trebuchet," 1995, 69; Tarver, "The Traction Trebuchet," 164.

<sup>47</sup> Hill, "Trebuchets," 109.

<sup>48</sup> Richard L. C. Jones, "Fortifications and Sieges in Western Europe, c.800-1450," in *Medieval Warfare: A History*, ed. by Maurice Keen (Oxford, 1999), 174.

<sup>49</sup> Nicolle, *The Crusades*, 31. მაშინ როდესაც ტრაქციული ტრეზუშეტის ეკიპაჟი, ჩინური წყაროების ცნობით, 40-დან 250-მდე კაცს მოითვლიდა. Gravett, *Medieval Siege Warfare*, 49.

საპირნონიან ტრეზუმეტს შეედლო მძიმე ქვების 200 მეტრზე მეტ მანძილზე სროლა,<sup>50</sup> რაც იმას ნიშნავს, რომ ის მოქმედებდა მეციხოვნეთა ისრებისათვის მიუწვდომელი მანძილიდან, რადგან ისრის ეფექტური მანძილი 140 მეტრამდება.<sup>51</sup> ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არტილერიისტთა უსაფრთხოებისათვის. 1138 წელს, როდესაც ბიზანტიელებმა მისი მშობლიური ქალაქის შეიზარის კედლები დაანგრეეს, უსამა იბნ მუნკიზმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ მოალყეთა არტილერია იმაზე უფრო შორიდან ისროდა ქვებს, ვიდრე ქალაქის მცველთა ისარი აღწევდა.<sup>52</sup>

ლოდსატყორცნი მანქანების დამზადება საკმაოდ ძვირი ჯდება (განსაკუთრებით საპირნონიანი ტრეზუმეტის) და მათთვის აუცილებელი იყო ხის მასალა (გრძელი კოჭები), თოკები, ტყავი შურდულისთვის, რკინის დეტალები (რკინის კაუჭი შურდულისათვის, რკინის მანჭვლები და რკინის ლერძი). ლოდსატყორცნი მანქანებიდან ზუსტი სროლისათვის სტანდარტული წონისა და ფორმის საგანგებოდ გათლილ ქვებს იყენებდნენ. ასევე არჩევდნენ სპეციალური, უფრო მტკიცე ჯიშის ქვას ჭურვებისათვის.<sup>53</sup>

ქართულ ენაში ლოდსატყორცნი მანქანის აღსანიშნავად ფილაკავანი გამოიყენებოდა. სულხან-საბა ასე განმარტავს ფილაკავანს (ფილაკვანს): „უამთა პირველთა ციხის მეზრძოლნი სასხლეტსა რასმე მომართევდენ დიდის ლოდის სასროლად ციხის შესამუსრავად“.<sup>54</sup> პ. ჩევედენმა დაადგინა, რომ ეს ტერმინი სპარსული ენიდან მომდინარეობს და განმარტა მისი მნიშვნელობა. სომხური ფილიკვანის მსგავსად, „ქართული ტერმინი ფილაკავანი მოდის სპარსული

<sup>50</sup> Purton, *A History of the Early Medieval Siege*, 384.

<sup>51</sup> Peter Edbury, “Warfare in the Latin East,” in *Medieval Warfare: A History*, ed. by Maurice Keen (Oxford, 1999), 109.

<sup>52</sup> Usamah Ibn-Munqidh, *An Arab-Syrian Gentleman and Warrior in the Period of the Crusades. Memoirs of Usamah Ibn-Munqidh (Kitab al-I’Tibar)*, translated from the Original Manuscript by Philip K. Hitti (New York, 2000), 143.

<sup>53</sup> Nicolle, *Medieval Siege Weapons: Western Europe*, 16. მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს, რიჩარდ ლომგულმა განსაკუთრებით მაგარი ქვის ჭურვები სიცილიიდან ჩაიტანა პალესტინაში და აკრას ალყის დროს გამოიყენა. Helen Nicholson, *Medieval Warfare: Theory and Practice of War in Europe 300-1500* (New York, 2004), 93. ერთმა ასეთმა ლოდმა 12 კაცი მოკლა; გაცეხულმა მუსლიმებმა ის სალაჰ ად-დინსაც კი აჩვენეს. Hindley, *Medieval Sieges and Siegecraft*, 43. გვაქვს ცნობა, რომ 1244 წელს ნორთუმბერლენდთან, ვინმე ჟერარი ერთნაირი ყალიბით კვეთდა ლოდსატყორცნის ქვებს. Hill, “Trebuchets,” 104. 1304 წელს სტირლინგს შემონყობილ ინგლისელებს საგანგებოდ გათლილი 784 ლოდი ჰქონდათ მომარაგებული. Hindley, *Medieval Sieges and Siegecraft*, 97.

<sup>54</sup> სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით* მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, ტ. II (თბილისი, 1993), 192.

სიტყვიდან *pilvar-afkan* ან მისი შემოკლებული ფორმიდან – *pol(o)kan*. სპარსული ტერმინი ნიშნავს „სპილოსხელა საგნების მსროლელს“.<sup>55</sup> ეს უნდა ყოფილიყო მეექვსე საუკუნეში ირანში გავრცელებული ტრაქციული ტრებუშეტის ორიგინალური სახელწოდება. არაბების მიერ ირანის დაპყრობის შემდეგ ორიგინალური სპარსული ტერმინი შეიცვალა არაბული *მანჯანიკით*, თუმცა იგი შემორჩა სომხურ და ქართულ ენებში.<sup>56</sup>

უნდა ითქვას, რომ უმრავლეს შემთხვევაში, ქართული წყაროები არ გვანებივრებენ ლოდსატყორცნი არტილერიის გამოყენების აღწერით, რომ ალარაფერი ვთქვათ მათ კონსტრუქციულ თუ სხვა თავისებურებებზე. ხშირად, მემატრიანე მხოლოდ აღნიშნავს რაიმე სიმაგრის ალყას და არც კი ახსენებს ამდროს გამოყენებულ საბრძოლო ტექნიკას. ამ ტექნიკის მოქმედების კვალი მხოლოდ არქეოლოგებს შეუძლიათ დაადგინონ. მაგალითად, „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს ბრძოლებზე, როდესაც უფლისციხეზე ბატონობას ერთმანეთს ეცილებოდნენ აფხაზეთის, კახეთის, ტაოსა თუ სომხეთის მეფეები. ამასთან, არც ერთხელ არ არის ნახსენები ფილაკავანები თუ სხვა სააღყო ტექნიკა, მაშინ როდესაც, უფლისციხესთან ლოდსატყორცნი მანქანების გამოყენება არქეოლოგიურადაა დადასტურებული. დ. მინდორაშვილი, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა უფლისციხის ნაქალაქარი, წერს: „ქვის საბრძოლო იარაღებიდან კლდეში ნაკვეთი კომპლექსის შუა საუკუნეების კულტურულ ფენებში მრავლადაა აღმოჩენილი საგანგებოდ გათლილ-დამუშავებული შურდულის ქვები და შედარებით მოზრდილი „ჭურვები“. უკანასკნელი განკუთვნილი იყო სატყორცნი მანქანებისათვის – ფილაკავანებისათვის. მათი უმრავლესობა ქვიშაქვისაა, რითაც ასე მდიდარია უფლისციხის მიდამოები. მასალიდან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ „ჭურვების“ უმრავლესობა უფლისციხელებს ეკუთვნოდათ. ვინაიდან, საბრძოლო მოქმედებების დროს მტერს არ ექნებოდა საშუალება ისინი ასე საგანგებოდ და გულდასმით ემზადებინათ. თუმცა, რა თქმა უნდა, გამორიცხული არაა, რომ მათი ნაწილი მტრის ნატყორცნიც იყოს“.<sup>57</sup> შესაძლოა, ეს ჭურვები IX-X საუკუნისაა, როდესაც უფლისციხის დაუფლებისათვის ინტენსიური საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობდა. „შედარებით მოზრდილი „ჭურვები“ ადამიანთა სანი-ნაალმდეგოდაა გამიზნული და ტრაქციულ ტრებუშეტზე მიუთითებს.“<sup>58</sup>

<sup>55</sup> Paul E. Chevedden, “The Hybrid Trebuchet: The Halfway Step to the Counterweight Trebuchet,” in *On the Social Origins of Medieval Institutions. Essays in Honor of Joseph F. O’Callaghan*, ed. by Donald J. Kagay and Theresa M. Vann (Leiden, 1998), 202-3.

<sup>56</sup> იქვე, 203.

<sup>57</sup> დავით მინდორაშვილი, *უფლისციხე შუა საუკუნეებში* (თბილისი, 2008), 80.

<sup>58</sup> ს. მარგიშვილი მიიჩნევს, რომ დავით აღმაშენებლის ეპოქაში გავრცელებული იყო

თავად ტერმინი ფილაკავანი გვიჩვენებს, რომ საქართველოში ტრაქციული ტრეზუმეტი სასაზღვრო ირანიდანაა შემოსული, VI საუკუნის ბოლოს ან VII-ს დასაწყისში. ტრაქციული ტრეზუმეტის გამოყენების პირველი მონიშნება კი 627 წელს, ჰერაკლე კეისრის და ხაზართა მიერ თბილისის გარემოცვისას გვაქვს. მოვსეს კალანკატუაცი მოგვითხრობს, რომ მოაღყეებს „თან ჰქონდათ ოთხთვლიანი მანქანები და ჰრომაელ ოსტატთა ხელით გაკეთებული სხვა ნაირნაირი საშუალებები, რომლებიდანაც ზუსტად ისროდნენ და უზარმაზარი ქვებით კედლებს ანგრევდნენ“.<sup>59</sup> ამ დროისათვის ბიზანტიელები, სულ ცოტა, 30 წელი მაინც, იცნობენ ტრაქციულ ტრეზუმეტს, რომელიც ადრინდელ სააღყო ტექნიკასთან (ონაგრთან) შედარებით, უფრო დიდი ზომის ლოდებს ისროდა, რაც, გაზვიადებულად, აისახა კიდევაც მემატინის მონათხრობში („უზარმაზარი ქვებით კედლებს ანგრევდნენ“).<sup>60</sup>

შემდგომი ცნობა ლოდსატყორცნი არტილერიის შესახებ მხოლოდ XI საუკუნის დასაწყისში გვაქვს. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ ხნის განმავლობაში ასეთ მანქანებს საქართველოში არ იყენებდნენ. ქვემოთმოყვანილი ცნობის ანალიზი დაგვარწმუნებს, რომ საქმე გვაქვს

ფილაკავანის ორი ტიპი: „ქვის სატყორცნი ონაგრები (კატაპულტები) და ტრეზუმეტები“. მისი აზრით, „შეუძლებელია ფილაკავანის ზოგადი ტიპის განსაზღვრა. ჩვენთვის უცნობი რჩება თუ სააღყო მანქანების რომელ ტიპს (ონაგრს, რომელიც მცირე ზომის ქვებს ისროდა თუ ტრეზუმეტს, რომელიც უფრო „მსხვილკალიბრიანი“ იარაღი იყო) მიეკუთვნებოდა ქართული ფილაკავანი“. სოსო მარგიშვილი, *მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ: ომი სელჯუკთა სამყაროს წინააღმდეგ* (თბილისი, 2006), 333. ასევე, ჯ. სამუშიაც, რომელიც მართებულად მიიჩნევს, რომ ქართული ფილაკავანი ტრეზუმეტია, ამავე დროს, ადარებს მას ონაგრს და თვლის, რომ ამ ტიპის მანქანა XI საუკუნემდე გამოიყენებოდა. სამუშია, „ბაგრატ III-ის ლაშქრობა განძის საამიროს წინააღმდეგ“, 110-2. საკითხის ასე დასმა მართებული არ არის. რომაული ონაგრი XI-XII საუკუნეებში, და უფრო ადრეც, უკვე აღარ არსებობდა. რ. როჯერსის აზრით, არ არსებობს რაიმე მტკიცებულება, შუა საუკუნეებში რომაული ტორსიული მანქანების (ონაგრის) არსებობაში რომ დაგვარწმუნოს. Rogers, *Latin Siege Warfare*, 265. პ. ჩევედენი თვლის, რომ ონაგრი VI საუკუნის შემდეგ აღარ გვხვდება. Chevedden, “Artillery in Late Antiquity,” 164. ამ აზრს იზიარებს ვ. ტარვერიც. Tarver, “The Traction Trebuchet,” 143n37, 145. პ. პარტონი საერთოდ მითს უწოდებს ონაგრის არსებობას შუა საუკუნეებში. Peter Purton, “The Myth of the Mangonel: Torsion Artillery in the Middle Ages,” *Arms and Armour*, vol. 3, no. 1 (2006), 80-5. ქართული ფილაკავანის ტიპის განსაზღვრისას, არჩევანი უნდა გავაკეთოთ არა ონაგრსა და ზოგადად ტრეზუმეტს შორის, არამედ ტრაქციულ და საპირნონიან ტრეზუმეტს შორის.

<sup>59</sup> მოვსეს კალანკატუაცი, *ალვანთა ქვეყნის ისტორია*, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლიანა დავლიანიძე-ტატიშვილმა (თბილისი, 1985), 71.

<sup>60</sup> ბიზანტიური სამხედრო საქმის ცნობილ მკვლევარს ჯ. დენისს ეჭვი არ ეპარება, რომ თავის სამხედრო კამპანიებში ჰერაკლე კეისარი ტრაქციულ ტრეზუმეტებს იყენებდა. Dennis, “Byzantine Heavy Artillery,” 104.

უკვე კარგად განვითარებულ დარგთან, რომელიც ცარიელ ადგილზე ვერ წარმოიშობოდა. სააღყო ტექნიკის განვითარებისათვის განსაკუთრებული სტიმული იქნებოდა ახალი ქართული სამეფოების წარმოქმნა და გამუდმებული ომები მეზობლებთან IX-X საუკუნეებში, როცა ციხე-სიმაგრეების აღებას უპირველესი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

„მატიანე ქართლისას“ ანონიმ ავტორთან არის დაცული მეტად საინტერესო ცნობა ქართული ლოდსატყორცნი არტილერიის გამოყენების შესახებ. 1011/12 წელს ბაგრატ III-მ სომეხ მოკავშირეებთან ერთად დალაშქრა განძის ამირა ფადლონის (ფადლ იბნ მუჰამედის) სამფლობელოები და შამქორს შემოეწყო: „მეფემან ბაგრატ წარმოტყუენა ქუეყანა რანისა, მოადგა ქალაქსა შანქორსა, დაუდგნა ფილაკავანნი, და მცირედთა დღეთა დალენენს ზღუდენი შანქორისანი. ხვალისა დღე ეგულეზოდა შემუსრვად და წარტყუენვად ქალაქისა მის. მას ღამესა მოუვლინა მოციქული ფადლონ, ითხოვა შენდობა; აღუთქუა დღეთა შინა სიცოცხლისა მისისათა მსახურება, გაუკუეთა ხარაჯა და დაუნერა თავის-თავითა ლაშქრობა მტერთა მისთა ზედა“.<sup>61</sup> როგორც ვხედავთ, საკმაოდ მძლავრი ბალისტიკური მანქანების ქმედებაა აღწერილი, რომელთაც მცირე დროში დაანგრიეს („დალენენს“) შამქორის გალავანი. ცნობილია, რომ ტრეზუშეტებს მეტი ეფექტი ჰქონდათ ჯგუფურად გამოყენების დროს, როდესაც სიმაგრის ერთ მონაკვეთზე მათი კონცენტრირება ხდებოდა. საყურადღებოა, რომ ბაგრატიც რამდენიმე ტრეზუშეტს იყენებს შამქორის იერიშისას. მიუხედავად ამისა, გალავნის ისეთი ნგრევა, რამაც მოწინააღმდეგის კაპიტულაცია გამოიწვია, ბევრ კითხვას ბადებს. XI საუკუნის დასაწყისის ლოდსატყორცნი არტილერიას (ტრაქციულ ტრეზუშეტს) ძლიერი კედლების დანგრევა არ შეეძლო.<sup>62</sup> როგორც ზემოთ ითქვა, რომ სხვადასხვა ეპოქისა და სხვადასხვა კონსტრუქციის ლოდსატყორცნებს განსხვავებული შესაძლებლობა ჰქონდათ. შუა საუკუნეებში მძლავრი ციხე-სიმაგრის კედლების დანგრევა შეეძლო მხოლოდ საპირწონიან ტრეზუშეტს, რომელიც, წინამორბედებისაგან განსხვავებით, დიდი წონის ქურევებს შორ

<sup>61</sup> *მატიანე ქართლისა*, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I (თბილისი, 1955), 280.

<sup>62</sup> X-XI საუკუნეების ოთხი სამხედრო ტრაქტატის (ჰერონის და ანონიმის პოლიორკეტიკები, ნიკიფორე ურანოსის „ტაქტიკა“ და კეკავემნოსის „სტრატეგიკონი“) შესწავლის საფუძველზე ე. მაკგირი ასკვნის, რომ XII საუკუნემდე ბიზანტიელთა ყველაზე საყვარელი სააღყო ხერხი მინისქვეშა გვირაბების გაყვანა იყო. ეს კი მიუთითებს ბიზანტიური, და საერთოდ, თანადროული არტილერიის შედარებით სისუსტეზე და მის ნაკლებ ეფექტურობაზე ფორტიფიკაციების მიმართ. Eric McGeer, “Byzantine Siege Warfare in Theory and Practice,” in *The Medieval City Under Siege*, ed. by Ivy A. Corfis and Michael Wolfe (Woodbridge, 1995), 123-9.

მანძილზე ისროდა. XI საუკუნის დასაწყისში კი საპირწონიანი ტრეზუმეტი ჯერ არ იყო გამოგონებული, იგი მხოლოდ XII საუკუნეში გავრცელდა. ძნელია, ამ ძუნწი ცნობის მიხედვით იმსჯელო საბრძოლო იარაღის ნაირსახეობაზე და ზედმეტად თამამი იქნებოდა იმის ვარაუდი, რომ ასე ადრეულ ხანაში ქართველები საპირწონიან ტრეზუმეტს იყენებდნენ.<sup>63</sup> ამავე დროს, საეჭვოა, რომ მცირე დროის განმავლობაში ქალაქის კედლები ჩვეულებრივ ტრაქციულ ტრეზუმეტს დაენგრია. მით უმეტეს, რომ შამქორს უმნიშვნელო ფორტიფიკაციები არ ჰქონდა და მოკლე დროში მათი განადგურება საკმაოდ საცნაურია.<sup>64</sup> უნდა ვივარაუდოთ, რომ შამქორთან ქართველებმა გამოიყენეს გარდამავალი ტიპის ან დიდი ზომის ლოდსატყორცნები, რომელთაც ჩვეულებრივ ტრაქციულ ტრეზუმეტზე მეტი ძალა ჰქონდა. თანამედროვე მკვლევრები ჯერ ვერ თანხმდებიან, თუ როგორი კონსტრუქციის იყო ასეთი არტილერია.<sup>65</sup> არც ჩვენ ვფლობთ იმ სახის ინფორმაციას, რომ კონსტრუქციულ დეტალებზე ვიმსჯელოთ. თუმცა, ცხადია, რომ ბაგრატ III-ის არმიამ იმყოფებოდნენ ისეთი გამოცდილი არტილერიის ტიპები, რომელთაც შეეძლოთ მძიმე საბრძოლო მანქანების კონსტრუირება და მართვა. ეს მანქანები ისეთ მძიმე ქვებს ისროდა, რომ მათ გალავნის დანგრევა შეეძლოთ. ეს კი, XI საუკუნის დასაწყისში ქართული ლოდსატყორცნი არტილერიის უაღრესად დანინაურებულ მდგომარეობაზე მეტყველებს.

<sup>63</sup> რადგანაც სიმაგრის კედლების ნგრევა მხოლოდ საპირწონიან ტრეზუმეტს შეუძლია, ზოგიერთი ისტორიკოსი ცდილობს ასეთი ცნობა საპირწონიანი მანქანების არსებობის დასამტკიცებლად გამოიყენოს. მათგან განსხვავებით, ჯ. ბრედბერი წინააღმდეგია ირწმუნოს საპირწონიანი ტრეზუმეტების ადრეული არსებობა მხოლოდ იმ ცნობების საფუძველზე, რომლებიც ლოდსატყორცნი მანქანების მიერ კედლების დანგრევაზე მოგვითხრობს. Bradbury, *The Medieval Siege*, 264. ბრედბერის ამ მოსაზრებას მეც ვიზიარებ.

<sup>64</sup> იაკუთის მიხედვით, შამქორი ძველი, „ყოველთვის დასახლებული და აყვავებული“ ქალაქი იყო, რომელიც 854 წელს განაახლა და აღადგინა ბულა თურქმა. *იაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ*, არაბული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავალით გამოსცა ეთერ სიხარულიძემ, ნაკვ. 1 (თბილისი, 1964), 67.

<sup>65</sup> პ. ჩევედენის აზრით, ის *ჰიბრიდულ ტრეზუმეტს* წარმოადგენდა. მის ძელზე თოკების გარდა ტვირთიც იყო დამაგრებული და ადამიანის ძალასთან ერთად სიმძიმის ძალასაც იყენებდა, რაც მის გაზრდილ სიმძლავრეს განაპირობებდა. Chevedden, “The Hybrid Trebuchet,” 180-1. მ. ბასისტა კი ასეთ მანქანას *განონასწორებულ ტრეზუმეტს* უწოდებს. მისი მოკლე მხარი, სადაც თოკები ემაგრებოდა, დამძიმებული იყო, რაც ონინარის სიმძიმის ცენტრს აწონასწორებდა და ქვის სატყორცნად ნაკლებ ენერგიას საჭიროებდა. ეს კი შედარებით მძიმე ქვის ტყორცნის შესაძლებლობას იძლეოდა. Michael Basista, “Hybrid or Counterpoise? A Study of Transitional Trebuchets,” *JMMH*, vol. V (2007), 47-55. ყველაზე უფრო მარტივია და, ალბათ, სწორ ახსნას პ. პარტონი გვთავაზობს, რომელიც თვლის, რომ ასეთი ძლიერი მანქანები დიდი ზომის და, შესაბამისად, მძლავრ ტრაქციულ ტრეზუმეტებს წარმოადგენდნენ. Purton, *A History of the Early Medieval Siege*, 381.

XI საუკუნის შუა ხანების ქართული საარტილერიო პარკის მრავალრიცხოვნებაზე და შემდგომ განვითარებაზე სხვა ცნობებიც მიუთითებენ. 1045 წელს, ერთი საბრძოლო სეზონის განმავლობაში ბაგრატ IV ლოდსატყორცნებით ებრძვის ბიზანტიელებს ანაკოფიის („მოაყენა ანაკოფიას გარე ქუაბულელ ჭაჭას ძე ოთალო აფხაზეთისა ლაშქრითა“)<sup>66</sup> და ხუფათის ციხეებთან („გურიელნი აზნაურნი და ლომსიანნი მოიყვანნა ხუფათსა, დაუდგნეს ფილაკავანნი და ბრძოდეს“),<sup>67</sup> და თბილისის მოქალაქეებს ისნის ასაღებად („დაუდგნეს ფილაკავანნი, და ბრძოდეს ისნსა, და ესროდეს ისარსა“).<sup>68</sup> ეს იმას ნიშნავს, რომ ქართულ ლაშქარს კარგად ჰქონდა ათვისებული საომარი მანქანების აგების ტექნოლოგია და შეეძლო გეოგრაფიულად დაშორებულ სამ პუნქტში (ანაკოფია, ხუფათი და თბილისი) ებრძოლა ლოდსატყორცნებით. ცხადია, რომ სააღყო მანქანების აგება და შემდგომი ექსპლუატაცია ხელწინფებოდათ არა მარტო ცალკეულ ინჟინრებს, არამედ ასეთები მრავლად იყვნენ. ბაგრატ IV-ის დროინდელ საქართველოს სამხედრო ორგანიზაციაში ჩვენ ვხედავთ სპეციალისტთა გუნდს, რომლებიც სააღყო მოქმედებებს წარმართავენ და მრავალრიცხოვან ბალისტიკურ მანქანებს ემსახურებიან. ასეთ სპეციალისტებს ეპოქის „ტექნოლოგიურ ელიტას“ უწოდებენ.<sup>69</sup>

რაც შეეხება საპირწონიან ტრეზუშეტს, არ არის გამორიცხული, რომ ქარ-

<sup>66</sup> მატიაზე ქართლისა, 299. მემატიაზე არაფერს ამბობს ანაკოფიასთან ფილაკავანების გამოყენების შესახებ, მაგრამ ბერძნული სამშენებლო წარწერების საფუძველზე თ. ყაუხჩიშვილი თვლის, რომ ქართველთა საომარმა მოქმედებებმა ციხის ნაგებობები დააზიანა. თინათინ ყაუხჩიშვილი, *ბერძნული წარწერები საქართველოში* (თბილისი, 1951), 26-8. ამ აზრს იზიარებს ჯ. სამუშია, რომელიც დასაშვებად მიიჩნევს ალყის დროს ქვის სასროლი მანქანების გამოყენებას. სამუშია, „ციხე-სიმაგრეების აღების ხელოვნება XI-XIII საუკუნეების საქართველოში“, 96. ამ მოსაზრებას მეც ვეთანხმები, დანგრეული შენობა-ნაგებობები, მართლაც, ქართველთა მხრიდან ლოდსატყორცნი არტილერიის გამოყენებაზე უნდა მიუთითებდეს. ა. ვინოგრადოვი, რომელმაც 1046 წლის თებერვალსა და მარტში ანაკოფიაში გაკეთებული ორი წარწერა შეისწავლა, თვლის, რომ ბიზანტიამ სარემონტო სამუშაოებისათვის და წყლის ცისტერნის შესაკეთებლად ციხეში სასწრაფოდ მიავლინა პროტოსპათარიოსი ევგენი დესპოტი და გარნიზონის გასაძლიერებლად მცირე აზიიდან გაგზავნა კასის ტურმა ტაქსიარქ თეოდორე ბალანტის მეთაურობით. А.Ю. Виноградов, „Эпиграфика надписи с Анакопийской горы,“ *Искусство Абхазского царства VIII-XI веков* (Санкт-Петербург, 2011), 214-8. ცხადია, რომ სარემონტო სამუშაოების ჩატარება ქართველთა წარუმატებელი ალყის შემდეგ გახდებოდა საჭირო. საინტერესოა, რომ ბიზანტიელების მიერ აღდგენილი წყლის ცისტერნა ანაკოფიის ციტადელში მდებარეობს, რომლის დაზიანებაც გარემომცველებს მხოლოდ ლოდსატყორცნი არტილერიით შეეძლოთ. როგორც ჩანს, ბაგრატის ლაშქარმა პირველი ზღუდე – ანაკოფიის ციხის გარე კედელი გადალახა და ფილაკავანები მთის წვერზე მდებარე შიდა ციხეს მიუმარჯვა.

<sup>67</sup> მატიაზე ქართლისა, 299.

<sup>68</sup> იქვე, 300.

<sup>69</sup> Nicolle, *Crusader Warfare: Muslims, Mongols and the Struggle against the Crusades*, 241.

თველები მას ჯერ კიდევ დავით IV-ის მეფობაში (1089-1125) გაცნობოდნენ. მემატიანე გვატყობინებს, რომ დიდგორის ომში გამარჯვებულმა ქართველებმა ხელთ იგდეს „სხვთა უცხოთა ჭურჭლებითა საბრძოლელთა თვით-სახეთათა, ქოსთა და ფილაკავანთათა“.<sup>70</sup> ნიშანდობლივია, რომ მეფის ისტორიკოსი, რომელსაც ნაკლებად აინტერესებს სამხედრო საქმე და ჩვეულებრივ, თავს არ იწუხებს ასეთი დეტალების გადმოცემით,<sup>71</sup> ხაზგასმით აღნიშნავს უცხო სახის ფილაკავანთა ხელში ჩაგდებას. 1121 წელს, ქართველთათვის უცხო სახის ფილაკავანი მხოლოდ საპირწონიანი ტრეზუშეტი შეიძლება ყოფილიყო, სხვა სახის ტრეზუშეტს ისინი უკვე იცნობდნენ. ილ-ლაზის ლაშქარი მართლაც შეიძლება ყოფილიყო აღჭურვილი ასეთი მონინავე არტილერიით. ალექო, ილ-ლაზის საგამგებლო ქალაქი, განთქმული იყო თავისი ინჟინრებითა და ალყის ოსტატებით.<sup>72</sup> 1119 წელს, სისხლიან ველზე როჯერ ანტიოქელის განადგურების შემდეგ, ილ-ლაზიმ აიღო ათარიბი და ზარდანა. ორივე ქალაქი მძიმე ბომბარდირების შემდეგ დაეცა. ანტიოქიის კანცლერი გოტიე მიუთითებს, რომ ათარიბთან წარმატების შემდეგ, იგივე ლოდსატყორცნი ილ-ლაზიმ ზარდანასთანაც გამოიყენა, ორივეგან სამოთხჯერ დღის განმავლობაში.<sup>73</sup> სროლის ასეთი დაბალი ტემპი საპირწონიანი ტრეზუშეტზე უნდა მიანიშნებდეს, რომლის სასროლად მომართვას საკმაო ხანი სჭირდებოდა. პ. პარტონიც აღნიშნავს, რომ ილ-ლაზის არტილერია უჩვეულოდ ეფექტურია.<sup>74</sup> ამას გარდა, ვიცით, რომ ართუკიანის მოკავშირე ნამდვილად ფლობდა ასეთ არტილერიას. 1125 წელს მოსულის გამგებელმა აყ-სონყურ ალ-ბურსუქმა და დამასკოს ათაბაგმა ტულ-თეგინმა აზაზის კედლების დასანგრევად გამოიყენეს საპირწონიანი ტრეზუშეტები, რომელთაც წყაროებში მოიხსენიებენ, როგორც დიდ მანჯანიკებს (*manganiqe rawrbe*).<sup>75</sup> ტულ-თეგინი ილ-ლაზის სიმამრი იყო და მას ყოველმხრივ უჭერდა

<sup>70</sup> დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, *ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი*, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I (თბილისი, 1955), 341.

<sup>71</sup> ამის თაობაზე თ. ჟორდანიას ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ჩიოდა. *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული* თ. ჟორდანიას მიერ, ტ. I (ტფილისი, 1892), XLIII.

<sup>72</sup> David Nicolle, *Hattin 1187: Saladin's Greatest Victory* (Oxford, 1993), 25; Id., *Crusader Warfare: Muslims, Mongols and the Struggle against the Crusades*, 231, 241.

<sup>73</sup> Walter the Chancellor's *The Antiochene Wars*, trans. Thomas S. Asbridge and Susan B. Edgington (Aldershot, 1999), 145-6, 149.

<sup>74</sup> თუმცა მათ ახალი ტიპის იარაღად არ მიიჩნევს. Purton, *A History of the Early Medieval Siege*, 223-4.

<sup>75</sup> Chevedden, "The Invention of the Counterweight Trebuchet," 92.



მხარს. დავითის ისტორიკოსი მიუთითებს დამასკოელთა ყოფნას ილ-ლაზის კოალიციურ არმიაში,<sup>76</sup> რომელშიც შედიოდნენ მოლაშქრენი „დამასკოთ და ჰალაბითგან ამოღმართ, ყოველსა მკედრობად შემძლებელსა“.<sup>77</sup> ამდენად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საქართველოსაკენ დაძრულ ილ-ლაზის აღალ-ში დაშლილი საპირწონიანი ტრეზუშეტები (ან მისი უმთავრესი დეტალები) და მისი მოსამსახურე პერსონალიც იქნებოდა.

შემდგომში, ცნობები ქართული ლოდსატყორცნი არტილერიის შესახებ უფრო კანტი-კუნტი ხდება და საერთოდ ქრება.<sup>78</sup> გამონაკლისს წარმოადგენს გიორგი III-ის ეპოქა, როდესაც კიდევ შეიძლება გარკვეული ინფორმაციის მოძიება.

1163 წელს ანისში მყოფმა დამუსლიმთა კოალიციური ლაშქრის შემოტევის მომლოდინე თორელმა „განამზადნა საბრძოლველნი და მანქანანი“.<sup>79</sup> უნდა ვიგულისხმოთ, რომ ქართულმა გარნიზონმა მოამზადა ლოდსატყორცნი მანქანები და ბალისტები, რომლებიც ციხეში და მის კოშკებზე იყო განლაგებული და მზად იყო მუსლიმთა მანჯანიკთა წინააღმდეგ კონტრბატერიული ცეცხლი ეწარმოებინა. შედარებით პატარა ზომის გამო, ტრაქციული ტრეზუშეტების განთავსება ციხე-სიმაგრის კოშკებზე განსაკუთრებით მოსახერხებელი იყო. საპირწონიანი ტრეზუშეტის დატევა და მისი მძიმე საპირწონის ქმედების გაძლება კი მხოლოდ დიდი ბაქანის მქონე და განსაკუთრებით მკვიდრ კოშკს შეეძლო. ამ მხრივ უპირატესობა მოაღყეებს ჰქონდათ, რომელთაც კოშკის ზომა არ ზღუდავდა და უფრო დიდი ზომის და მძლავრი მანქანების აგება შეეძლოთ. ამიტომ, მეციხოვნეები ლოდსატყორცნებს ციხის კოშკებზე ათავსებდნენ, რაც მათ სიმაღლეში და, შესაბამისად, მანძილში უპირატესობას აძლევდა, რადგანაც მალლიდან ნასროლი უფრო შორს მიდიოდა.<sup>80</sup>

<sup>76</sup> თუნდაც ეს მცირერიცხოვანი, სპეციალისტთა რაზმი ყოფილიყო.

<sup>77</sup> დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, *ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი*, 340. გ. ჯაფარიძეც თვლის, რომ ილ-ლაზის ლაშქარში იმყოფებოდნენ „ერთგული მოკავშირის თოლ-თეგინის ქვეშევრდომები დამასკოდან“. გოჩა ჯაფარიძე, „ნაჯმ ად-დინ ილ-ლაზი“, *დავით აღმაშენებელი*, რედ. რ. მეტრეველი (თბილისი, 1990), 219.

<sup>78</sup> რაც არ ნიშნავს იმას, რომ ქართველებმა მათ გამოყენებაზე ხელი აიღეს. მიზეზი წყაროების სიმცირე და მათი სიტყვაძუნწობა უნდა იყოს. სააღყო მეთოდების მიმართ ქართული წყაროების უყურადღებობის მაგალითად დავით აღმაშენებლის ეპოქაც გამოდგება, როდესაც მეფის მემატთანე დუმს მრავალრიცხოვან ციხე-ქალაქთა ალების მეთოდებზე. თუმცა, თავად მათი ალების ფაქტიც საკმარისია პ. პარტონისათვის, რომ დავით IV (ისევე როგორც, ბაგრატ IV) სააღყო ხელოვნების მცოდნედ მიიჩნოს. Purton, *A History of the Early Medieval Siege*, 183.

<sup>79</sup> *ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი*, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II (თბილისი, 1959), 13.

<sup>80</sup> Chevedden, “Fortifications and the Development of Defensive Planning,” 38.

1177 წელს გიორგი III-მ აგარაკის ციხეში შემოარტყა ალყა აჯანყებულებს. სომხური ანდერძ-მინანერის ცნობით, „გარემოცვა ორთვენახევარს გაგრძელდა. მანქანების მეშვეობით მეფე ჩქარობდა ზღუდეებისა და მათ შიგნით მდებარე პალატა დანგრევას“.<sup>81</sup> ეს მანქანები საპირწონიანი ტრეზუშეტები უნდა იყოს, რადგანაც გალავნის შიგნით პალატებს მხოლოდ მძლავრი ლოდსატყორცნი თუ მიწვედებოდა და დაანგრევდა.

ერთადერთი ქართული გამოსახულება, სადაც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ტრეზუშეტია გამოსახული, ჯრუჭის II ოთხთავის მინიატურაა. სურათზე ქალაქის იერიშია გამოსახული, მის ცენტრალურ ნაწილში ჩანს ოწინარის ტიპის მონყობილობა, რომლის თოკებს ორი ადამიანი ექაჩება. მიუხედავად იმისა, რომ ძნელია ამ გამოსახულებაში ტრეზუშეტი დავინახოთ, ძირითადი კონსტრუქციული პრინციპი ტრაქციული ტრეზუშეტისა მაინც არის წარმოდგენილი: ძელი, რომელიც სადგამზე დამაგრებული და მასზე ჩამოკიდებული თოკები, რომელთაც პერსონალი ემსახურება (ექაჩება). შესაძლოა, მხატვარს, რომელიც იკონოგრაფიაში იყო განაფული, მხოლოდ მოუთხრეს ტრაქციული ტრეზუშეტის შესახებ; მანაც, მონათხრობისა და საკუთარი წარმოდგენის კვალობაზე დახატა ეს სააღყო მანქანა (სურ. 1).

### ბალისტა

ბალისტა იყო ხის სადგარზე ჰორიზონტალურად დამაგრებული დიდი მშვილდი, რომელიც დიდი ზომის ისარს ისროდა. ცნობილია, რომ ანტიკურ ხანაში გავრცელებული დიდი, არბალეტის ტიპის ისრის სასროლი მონყობილობების (გასტრაფეტი, პალინტონა და სხვ.) ანალოგები ბიზანტიელების მიერ შუა საუკუნეებშიც გამოიყენებოდა.<sup>82</sup> შუა საუკუნეების ბალისტა ისარს დიდი სანყისი სიჩქარით და შედარებით სწორი ტრაექტორიით ისროდა.<sup>83</sup> ეს კი მიზანში ზუსტად მოხვედრას განაპირობებდა, რისთვისაც მას მტრის ცოცხალი ძალის გასანადგურებლად იყენებდნენ. ბალისტიდან ნასროლ ისარს ერთდროულად რამდენიმე ადამიანის მოკვლა შეეძლო.<sup>84</sup> მას ცეცხლგამჩენი ისრების სასროლადაც იყენებდნენ.

ბალისტის აგება საკმაოდ ძვირი ჯდება,<sup>85</sup> თუმცა, უფრო ნაკლები,

<sup>81</sup> ალექსანდრე აბლაძე, *სომხურ ხელნაწერთა X-XIII საუკუნეების ანდერძ-მინანერების ცნობები საქართველოს შესახებ* (თბილისი, 2005), 38.

<sup>82</sup> Hoffmeyer, "Military Equipment in the Byzantine Manuscript of Scylitzes," 137.

<sup>83</sup> Rogers, *Latin Siege Warfare*, 264.

<sup>84</sup> 885-6 წლების პარიზის ალყისას, მეციხოვნეთა ბალისტიდან ნასროლმა ერთმა ისარმა 7 ვიკინგი განგმირა. Bradbury, *The Medieval Siege*, 252.

<sup>85</sup> Purton, "The Myth of the Mangonel," 86.

ვიდრე მძლავრი ტრეზუშეტისა. ამავე დროს, ლოდსატყორცნ მანქანებთან შედარებით, ბალისტის ტრანსპორტირება ბევრად ადვილი იყო.<sup>86</sup> გადატენის სირთულის გამო, ბალისტა საკმაოდ ნელა ისროდა. ამის გამო, ის არ იყო ეფექტური ბრძოლის ველზე. სამაგიეროდ, ბალისტას ინტენსიურად იყენებდნენ ციხე-სიმაგრეთა დასაცავად (და სანინააღმდეგოდაც), რადგანაც ალყისას სროლის ნელი ტემპი პრინციპულად ხელისშემშლელ გარემოებას არ წარმოადგენდა. როგორც ზემოთ ვახსენეთ, ანისთან თორელის მიერ გამზადებულ „საბრძოლველში და მანქანებში“ საგულვებელია ბალისტებიც, რომლებიც იმდროინდელი სიმაგრეების დაცვაში აქტიურად გამოიყენებოდა.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულია დიდი ზომის ისრისპირი, რომლის გასროლა ჩვეულებრივი მშვილდიდან წარმოუდგენელია. ამ ისრისპირს თავის დროზე ყურადღება მიაქცია ს. მარგიშვილმა, რომლის ვარაუდით იგი „გიგანტური არბალეტის“ ისარს უნდა წარმოადგენდეს.<sup>87</sup> მკვლევრის ეს მოსაზრება მართებული ჩანს.

მე მომეცა საშუალება, შემესწავლა მუზეუმში დაცული ისრისპირი.<sup>88</sup> ის კიდევ უფრო დიდი ზომის აღმოჩნდა, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანდა. თავიდანვე ყურადღება მიიპყრო მისმა უცნაურად ბლავგმა თავმა. ახლოდან დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ ისრის წვერი გადატეხილი იყო და მისი ნახევარი ზედვე იყო უკნიდან მიკრული. ისრისპირის სიგრძე ყუნნიდან გადატეხის წერტილში 10.5 სმ-ია; წვერმოტეხილი უკანა ნაწილის სიგრძე – 11.4 სმ; (რეკონსტრუირებული) სიგანე – დაახლ. 9 სმ; ყუნნის სიგრძე კი 6 სმ. ისარი ისეა კოროზირებული, რომ ანონას აზრი არ აქვს და ასეთ შემთხვევაში, ამას არც მიმართავენ.<sup>89</sup> ისრისპირის საერთო ზომა დაახლ. 22 სმ-ია. ცხადია, რომ ასეთი დიდი ისრისპირის გასანონასნორებლად საკმაოდ გრძელი ისრის ტანი (ზრო) იქნებოდა საჭირო. ასეთი სიდიდის ისარი უჩვეულოა ბალისტისათვისაც კი და მას დიდი ზომის მონყობილობა დასჭირდებოდა სამოქმედოდ (სურ. 2).<sup>90</sup>

ეს ისრისპირი ადრეფეოდალურ ხანას (სავარაუდოდ VI საუკუნის დამდეგს) მიეკუთვნება და ურბნისშია ნაპოვნი. იქვეა ნაპოვნი დაზიანებული და ფორმადაკარგული იარაღის ნაშთი, რასაც ლ. ჭილაშვილი „რომელიდაც

<sup>86</sup> Nicolle, *Medieval Siege Weapons: Western Europe*, 34.

<sup>87</sup> მარგიშვილი, *მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ*, 333.

<sup>88</sup> მადლობას ვუხდის საქართველოს ეროვნული მუზეუმის ურბნისის ფონდის მცველს ქალბატონ გულნარა კიკნაძეს, რომელიც ყველანაირად გვეხმარებოდა მუშაობის პროცესში.

<sup>89</sup> Simon James, *Excavations at Dura-Europos 1928-1937. Final Report VII: The Arms and Armour and other Military Equipment* (Oxford, 2010), 209, 214.

<sup>90</sup> შედარებისათვის, ითვლება, რომ დურა-ევროპოსში ნაპოვნი 10.2 სმ სიგრძის ყუნნიანი ისრისპირი (No. 783) დიდი ზომისაა. James, *Excavations at Dura-Europos*, 220.

ღეროვანი საბრძოლო იარაღის ნატეხებად“ თვლის.<sup>91</sup> ჩემი აზრით, ეს ნატეხეები სხვა არაფერია, თუ არა ისრის ტანი. საინტერესოა, რომ ეს ისარი მომხდურებს არ გამოუყენებიათ; იგი ოთახში ინახებოდა და ურბნისის მეციხოვნეებს ეკუთვნოდა.

### გალავანზე ასვლა

საიერიშო კიბეებით ციხეზე შეტევა ტექნიკურად ყველაზე იოლი, მაგრამ ყველაზე სახიფათო გზა იყო. კიბეებს ძირითადად ხისგან ამზადებდნენ, ხანდახან რკინის კაუჭით თავზე.<sup>92</sup> კიბეების გარდა, გალავანზე ასასვლელად იყენებდნენ კაუჭიან ბადეებს და თოკებს. ეს იყო ყველაზე სისხლიანი მეთოდი, რომლის დროსაც ყველაზე მეტი ადამიანი იღუპებოდა.<sup>93</sup> ჩვეულებრივ, მოიერიშე ამის უფლებას თავს მხოლოდ დიდი რიცხოვრივი უპირატესობის დროს აძლევდა.

1289 წელს ირანის ილხანს დარუბანდელეები აუჯანყდნენ. ჟამთააღმწერელი ასე აგვიწერს მოვლენათა მსვლელობას: „მაშინ განუდგეს ყაენს დარუბანდელნი და წარვიდა ყაენი დარუბანდს, მოუწოდა მეფესა დიმიტრის, და წარჰყვა და შევიდეს დარუბანდს და ვერ წინააღუდგეს დარუბანდელნი, და ივლტოდეს სიმაგრესა ციხისასა, რომელსა ანიყად უწოდდეს, და გარემოადგეს, და ვერა ავნეს რა. მაშინ ყაენმან არღუნ უბრძანა მეფესა, რათა ებრძოლოს, რამეთუ იყო ფრიად მაგარი. აღიჭურა მეფე და სპა მისი, და გარეშეხვუნეს და შეუჭდეს ციხესა, რამეთუ ბეგას შვილი რატი უპირველეს ყოველთა გავიდა, და წარუღეს ციხე“.<sup>94</sup> გასაკვირი არაა, რომ არღუნ ყაენმა იერიშის ყველაზე სახიფათო ნაწილი – ციხის კედლებზე ასვლა, ქართველებს (და არა მონღოლებს) დაავალა. ციხის კედლების ეს იერიში, რომელიც უაღრესად სისხლისმღვრელი იქნებოდა, წარმატებით დასრულდა და რატი სურამელი პირველი ავიდა გალავანზე.

განსხვავებულ ტაქტიკას მიმართა სვიმონ მეფემ 1599 წელს. თურქების ხელთ მყოფი გორის ციხის აღებას ისიც საიერიშო კიბეებით აპირებდა, მაგრამ კარგად ესმოდა თუ რა მსხვერპლთან იქნებოდა ეს დაკავშირებული. ამიტომ მეფემ ფარსადან ციციშვილს და სულხან თურმანიძეს „მალვით მრავალნი

<sup>91</sup> ლევან ჭილაშვილი, *ნაქალაქარი ურბნისი* (თბილისი, 1964), 94, სურ. 41. დიდი ზომის გამო, მან ბალისტის ისრისპირი მახვილის ნატეხად მიიჩნია. იქვე, 94.

<sup>92</sup> Gravett, *Medieval Siege Warfare*, 30.

<sup>93</sup> ვეგეციუსი აღნიშნავს, რომ კედლების იერიში მეტად სისხლისმღვრელი იყო მოიერიშეთათვის. *Vegetius: Epitome of Military Science*, IV.12.

<sup>94</sup> ჟამთააღმწერელი, *ასწლოვანი მატიანე*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რევაზ კიკნაძემ (თბილისი, 1987), 177.

კიბეები“ დაამზადებინა და ღამეული იერიშით, კიბეების გამოყენებით აიღო გორის ციხე.<sup>95</sup>

თუმცა, რიგ შემთხვევებში, როდესაც სიმაგრის კედლები ან გარნიზონი ამის საშუალებას იძლეოდა, მოალყე მხარე პირდაპირ იწყებდა იერიშს საგანგებო მომზადების ანუ მძიმე საალყო ტექნიკის გამართვის გარეშე. ამ დროს მოიერიშეები კიბეებით ცდილობდნენ ციხის კედელზე ასვლას, რაშიც მათ მხარს უჭერდნენ ისრის ინტენსიური სროლით, რაც გარნიზონს თავის გამოყოფის საშუალებას არ აძლევდა.<sup>96</sup> ასეთი სწრაფი იერიშის დროს უმთავრესი შემტევი საშუალება კიბე იყო.<sup>97</sup> თუკი ასეთი რისკიანი შეტევა გაამართლებდა, მოიერიშე მხარე, თავდაპირველი დანაკარგის ფასად, თავიდან აიცილებდა ხანგრძლივ ალყას მისთვის დამახასიათებელი სირთულეებით, რომელიც, საბოლოოდ, უფრო მძიმე და სისხლიანი შეიძლება ყოფილიყო.<sup>98</sup> ეჭვი არ არის, რომ ასეთ ტაქტიკას ქართველებიც ფლობდნენ. XII საუკუნის ჯრუჭის მეორე ოთხთავის 186v მინიატურაზე ასახულია ქართველების მიერ ამ ტექნიკის გამოყენებით სიმაგრის აღება. სურათზე ვხედავთ ალყაშემორტყმულ ქალაქს, მშვილდოსნები მოიერიშეთა დაფარვას და მეციხოვნეთა დათრგუნვას ცდილობენ, მეზრძოლთა ნაწილს კი გალავანზე კიბე აქვს მიდგმული და ფარების საფარქვეშ ზევით მიიწევს (სურ. 3).

ციხის გალავანის გადალახვა ხანდახან იმპროვიზებული საშუალებებითაც ხდებოდა. IX-X საუკუნეების მიჯნაზე, როდესაც აფხაზთა და სომეხთა მეფეები ქართლისათვის იბრძოდნენ, „გამოვიდა კონსტანტი, აფხაზთა მეფე, დაიპყრა ქართლი, და ემტერა სომეხთა მეფე სუმბატ ტიეზერაკალი; გამოილაშქრა სპითა დიდითა, და მოადგა უფლისციხესა, და მოიღეს პალან-კურდანი, აღმოაგეს ზემო-კერძო და წარიღეს ციხე ჳერკითა“.<sup>99</sup> პალან-კურდანი

<sup>95</sup> ფარსადან გორგიჯანიძე, *ისტორია* (ტფილისი, 1926), 12-3. მსხვერპლის შესამცირებლად ღამის იერიშით, კიბეების გამოყენებით აიღო პერტი რობერტ ბრიუსმა 1312 წელს. Sean McGlynn, *By Sword and Fire: Cruelty and Atrocity in Medieval Warfare* (London, 2009), 145.

<sup>96</sup> Denis Sullivan, “Tenth Century Byzantine Offensive Siege Warfare: Instructional Prescriptions and Historical Practice,” in *Byzantium at War (9th-12th Century)* (Athens, 1997), 200. ლეონ დიაკანის მონუმბით, 964 წლის კამპანიის დროს ნიკიფორე II ფოკამ ამ ხერხით 20-ზე მეტი სიმაგრე წაართვა მუსლიმებს. *The History of Leo the Deacon: Byzantine Military Expansion in the Tenth Century*, introduction, translation, and annotations by Alice-Mary Talbot and Denis F. Sullivan with the assistance of George T. Dennis and Stamatina McGrath (Washington, 2005), 101-2.

<sup>97</sup> ვეგეციუსი შენიშნავს, რომ თუკი დამცველები შეუშინდებოდნენ ისრის სეტყვას, მოიერიშეებს კიბეების საშუალებით სწრაფად შეეძლოთ კედლების დაკავება. *Vegetius: Epitome of Military Science*, IV.6.

<sup>98</sup> McGlynn, “Siege Warfare: Tactics and Technology,” 266.

<sup>99</sup> *მატიანე ქართლისა*, 262.

საბარგო პირუტყვითა (ჯორის, ცხენის, აქლემის) უნაგირია.<sup>100</sup> როგორც ჩანს, სომხებმა უფლისციხის კედლებთან ისინი ერთმანეთზე დააღაგეს, ზედ აძვრნენ და ამგვარად გადავიდნენ ზღუდეზე. გ. ანჩაბაძეს ეჭვი შეაქვს ციხის ასეთი ხერხით აღებაში. მას ვერ წარმოუდგენია ციხის იერიში ერთმანეთზე დანყობილი საბარგო პირუტყვების უნაგირებით და თვლის, რომ ტექსტი გადამწერელთა მიერ არის დამახინჯებული, მემატიანის „პალან-კურდანი“ კი „გარდანის“ ტიპის ქვისმტყორცნელს გულისხმობს.<sup>101</sup> თუ ასეა, მამ რად აღნიშნავს ხაზგასმით მემატიანე, რომ ციხე ხერხით აიღეს? გ. ანჩაბაძეს ვერც იმაში დავეთანხმებით, რომ ასეთი რამ „სამხედრო თვალსაზრისით ძნელად წარმოსადგენია“.<sup>102</sup> ზუსტად ასეთი ფაქტი მოხდა 896 წელს რომის იერიშის დროს, როდესაც გერმანელებმა ბარგი დააგროვეს კედელთან და ასე აძვრნენ მასზე.<sup>103</sup> ასე მოხდებოდა უფლისციხესთანაც, მოაღყეებმა ალბათ მოულოდნელობით ისარგებლეს, შედარებით დაბალ კედელთან სწრაფად დაახროვეს უნაგირები ბარგითურთ და გაღავანზე გადავიდნენ.

### გალავნის შენგრევა (შეხვრეტა)

ციხე-სიმაგრის კედლის შენგრევა (ან შეხვრეტა) საიერიშო ურნალის ან ბურღის საშუალებით ხდებოდა. ურნალი (ვერძი, ტარანი) მასიური ხე იყო, რომელსაც ბოლოში რკინის თავი ჰქონდა. ბურღი წარმოადგენდა წვეტიანი რკინით დაბოლოებულ ხეს, რომელსაც სახელურების მეშვეობით აბრუნებდნენ. ურნალს ათეულობით ადამიანი ემსახურებოდა, ბურღს კი რამდენიმეც ჰყოფნიდა. ჩვეულებრივ, ურნალიც და ბურღიც, ხის ფარდულის ქვეშ იყო შეფარებული.<sup>104</sup> ციხის კედლებს ანგრევდნენ წერაქვით და ძალაყინითაც, რომელთაც საფარს შეფარებული მოაღყეები იყენებდნენ.

1122 წელს, დავით აღმაშენებელმა თბილისი გალავნის შენგრევის შემდეგ აიღო. დიდგორთან გამარჯვების შემდეგ, მან ალყა შემოარტყა თბილისს და ბოლოს იერიშით აიღო იგი: „გაემართა მეფე აფხაზთა ნადავლითა და ტყვეებით, დაბანაკდა თბილისთან და ერთხანს ალყაში ჰყავდა. შემდეგ გაანგრია მისი კედელი დასავლეთის მხრიდან, შევიდა ქალაქში მახვილით, გადანვა იგი და

<sup>100</sup> სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ*, ტ. I (თბილისი, 1991), 399, 613.

<sup>101</sup> Г.З. Анчабадзе, *Источниковедческие Проблемы Военной Истории Грузии (Исследование Грузинских Исторических Сочинений)* (Тбилиси, 1990), 65.

<sup>102</sup> იქვე, 65.

<sup>103</sup> Gravett, *Medieval Siege Warfare*, 31.

<sup>104</sup> Gravett, *Medieval Siege Warfare*, 47; Bradbury, *The Medieval Siege*, 274.

გაძარცვა“.<sup>105</sup> ალ-ფარიკის მიხედვით, ქართველებმა თბილისის დასავლეთის კედელი შეანგრიეს, რაც, ალბათ, ურნალის გამოყენებით მოხდა.

1209 წელს, ირანში ლაშქრობისას, ზენჯანის აღება გვიჩვენებს, თუ რა მრავალფეროვან ტექნიკას ფლობდა იმდროინდელი ქართული არმია: „მიიწინეს მცირესა ქალაქსა ზანგანს, ალიზის ზღუდით განმაგრებულსა. ხოლო ქალაქი ძლიერად გაამაგრეს და იწყეს ფიცხლა ბრძოლა. ვითარ გაგრძელდა ომი, განყვეს თემთა და თემთა ზღუდე ქალაქისა, რათა შესთხარონ. და იწყეს თხრად ზღუდეთა: უნინარეს მარჯუენასა მკარსა მესხთა შეკურიტეს ზღუდე – ალიზით იყო –, და უნინ შევიდეს ქალაქსა შინა და იწყეს ჯოცად და სრვად ვინცა მეომარი იყო“.<sup>106</sup> მემატთანის გადმოცემით, ქართველებმა შეხვრიტეს გამოუწვავი აგურით (ალიზით) აგებული ქალაქის კედელი. გამოუწვავი აგურით აგებული კედელი უკეთ უძლებს ქვის ჭურვებს, ვიდრე ქვით ნაგები: ქვა იმსხვრევა, მაშინ როდესაც უფრო რბილი ალიზი ნაწილობრივ შთანთქავს დარტყმის ძალას.<sup>107</sup> ასევე კარგად უძლებს აგურის კედელი ურნალის დარტყმებს.<sup>108</sup> ფაქტია, რომ ქართველებმა მოცემულ ვითარებაში ყველაზე ეფექტური ტაქტიკა აირჩიეს და კედლების ხვრეტას შეუდგნენ.<sup>109</sup> კედლის შეხვრეტის ასეთი მასშტაბური, ერთდროულად რამდენიმე მონაკვეთზე, ოპერაცია ჩატარდებოდა მრავალრიცხოვანი ხის ან მონწული საფრების თანხლებით, რომელთა ქვეშ მოიერიშენი შედარებით უხიფათოდ იგრძნობდნენ თავს.<sup>110</sup>

საინტერესოა, რომ ზენჯანის ალყის დროს ქართველთა ქმედება, თითქოსდა, ბიზანტიური სამხედრო ტრაქტატის ინსტრუქციების მიხედვით მიმდინარეობს, რაც ამ სახის ლიტერატურის ცოდნას მონშობს. ჰერონ ბიზანტიელის მიხედვით, თუ მოიერიშეს აგურის კედლების სწრაფად დანგრევა

<sup>105</sup> ე. სიხარულიძე, „ალ-ფარიკი საქართველოში“, *სემიტოლოგიური ძიებანი*, ტ. II (თბილისი, 1985), 89.

<sup>106</sup> *ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი*, 106.

<sup>107</sup> Dennis, “Byzantine Heavy Artillery,” 104.

<sup>108</sup> Heron of Byzantium, *Parangelmata Poliorcetica*, 57, 63.

<sup>109</sup> ს. მარგიშვილი მიიჩნევს, რომ ზენჯანი მიწისქვეშა გვირაბის გამოყენებით აიღეს. იგი წერს: „აქ აშკარად საუბარია ციხის კედლების ქვეშ გაყვანილ გვირაბზე, რამაც მათი ჩამოქცევა გამოიწვია“. მარგიშვილი, *მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ*, 333; შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორია, 214. ეს დასკვნა სიმართლეს არ შეესაბამება, რადგანაც ზენჯანი კედლების შეხვრეტით აიღეს.

<sup>110</sup> მოიერიშეთა, განსაკუთრებით კედლების მხვრეტელთა და გვირაბების გამყვანთა დაცვას ხელოვნური საფარით დიდი ყურადღება ექცეოდა ბიზანტიურ სამხედრო ტრაქტატებში. Eric McGeer, “Tradition and Reality in the “Taktika” of Nikephoros Ouranos,” *Dumbarton Oaks Papers*, vol. 45 (1991), 135-8.

სურს, ამისათვის მან ბურლით კედლის შეხვრეტა უნდა სცადოს. ასეთი ბურლების სიგრძე 1.5 მეტრია და მათი სწორი გამოყენება მოალყეთა მხრიდან პოლიორკეტიკის საკმაო ცოდნას მოითხოვს. მბურღავებს უნდა დაეცვათ ნახვრეტებს შორის დისტანცია და თანმიმდევრულობა, მიეცათ ნახვრეტებისათვის სათანადო ფორმა და მიმართულება და თან გაემაგრებინათ, რომ კედელი დროზე ადრე არ ჩამოქცეულიყო.<sup>111</sup> ეჭვს გარეშეა, რომ ქართულ ლაშქარს ეს ცოდნა ჰქონდა, რაზეც, ბურლების მასობრივი გამოყენების გარდა, ზენჯანის სწრაფი აღებაც მეტყველებს.

### მინისქვეშა გვირაბები

გალავნის ქვეშ მინის გამოთხრა ციხის ალების ერთ-ერთი ყველაზე ძველი ხერხი იყო.<sup>112</sup> იქ სადაც ნიადაგი ამის საშუალებას იძლეოდა, მინისქვეშა გვირაბი ციხე-სიმაგრეთა სანინალმდეგო მძლავრი იარაღი იყო. ჩვეულებრივ, ხვრელის თხრას ციხის კედლისაგან მოშორებით შენიღბულად იწყებდნენ და ცდილობდნენ გარნიზონს ამის შესახებ არაფერი გაეგო. გვირაბის გაყვანისას მის კედლებს და ჭერს ხით ამაგრებდნენ. როდესაც გვირაბი გალავნის ფუნდამენტს მიაღწევდა, მას აფართოვებდნენ, აალებადი მასალით ავსებდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ, რის შედეგადაც კედლის ნაწილი ძირს ჩამოიშლებოდა. ხანდახან გვირაბს ციხეში შესაღწევადაც იყენებდნენ,<sup>113</sup> როგორც ეს ბაღდადის იერიშისას მოიმოქმედეს ქართველებმა.<sup>114</sup>

მინისქვეშა გვირაბებს უფრო ხშირად მიმართავდნენ კოშკების სანინალმდეგოდ; ჩანს, კოშკის კუთხეების ჩამოშლა უფრო ადვილი იყო, ვიდრე კედლის გრძივი მონაკვეთის.<sup>115</sup> გვირაბი რაც შეიძლება ღრმად უნდა გაეყვანათ, მონინალმდეგეს რომ ვერ აღმოეჩინა და შემხვედრი გვირაბი არ გაეთხარა, საიდანაც შეეძლო კვამლით ან წყლით დაეხოცა მოიერიშეები.<sup>116</sup>

ნიკიფორე ურანოსი, X-XI საუკუნეების წარმატებული ბიზანტიელი სარდალი და სამხედრო თეორეტიკოსი, მინისქვეშა გვირაბებს სიმაგრეთა

<sup>111</sup> Heron of Byzantium, *Parangelmata Poliorcetica*, 51-7.

<sup>112</sup> მინისქვეშა გვირაბის საშუალებით ციხის იერიშის უძველესი სურათი გამოსახულია ასურეთის მეფის ასურნასირფალ II-ის (ძვ. წ. 883-859) სასახლეში ნიმრუდში. Kenneth Wiggins, *Siege Mines and Underground Warfare* (Buckinghamshire, 2003), 9.

<sup>113</sup> გვირაბის საშუალებით კედლების ჩამონგრევასთან შედარებით, ასეთი შემთხვევები ძალიან იშვიათი იყო. Peter Purton, *A History of the Late Medieval Siege, 1200-1500* (Woodbridge, 2010), 25.

<sup>114</sup> პ. პარტონი რატომღაც თვლის, რომ ბაღდადის აღყისას ქართველებმა გვირაბით კედლები ჩამოშალეს. Purton, *A History of the Late Medieval Siege*, 20.

<sup>115</sup> Nicolle, *Crusader Warfare: Muslims, Mongols and the Struggle against the Crusades*, 239.

<sup>116</sup> Heron of Byzantium, *Parangelmata Poliorcetica*, 43-5.



აღების ყველაზე ეფექტურ საშუალებად თვლიდა. თავის ნაშრომში ის წერდა: „ძველთაგანვე, ალყის დროს მრავალ მანქანას აგებდნენ, როგორცაა ურნალი, ხის კოშკები, საიერიშო კიბეები, ასევე კუ და მრავალი სხვა, რომლებიც ჩვენს თაობას არც უნახია. ამავე დროს, ყველა მათგანის გამოცდის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ყველაზე უფრო ეფექტური, რასაც მტერი ვერ უმკლავდება, არის კედლებისათვის ძირის გამოთხრა“.<sup>117</sup> თუმცა, მთელ რიგ შემთხვევებში, გვირაბის გაყვანა უბრალოდ შეუძლებელი იყო: კლდოვანი ნიადაგი, ღრმა და რამდენიმე წელით სავსე თხრილის (ფლისკინის)<sup>118</sup> არსებობა გვირაბისათვის გადაუღებელი წინააღმდეგობას წარმოადგენდა.

უმეტეს შემთხვევაში საშუალებებისაგან განსხვავებით, გვირაბის გათხრისას მოალყენი დაცულნი იყვნენ გარნიზონის სასროლი და ცეცხლგამჩენი იარაღისაგან.<sup>119</sup> ამავე დროს, გვირაბების გაყვანა მძიმე, ხანგრძლივი და სახიფათო სამუშაო იყო, რომელსაც სპეციფიკური ტექნიკური ცოდნა და შეთანხმებული მუშაობა ესაჭიროებოდა.<sup>120</sup> 1099 წელს სირიის ერთი ქალაქის ალყისას ჯვაროსნებმა წარუმატებლად სცადეს მინისქვეშა გვირაბების გამოყენება; ალბერტ აახენელი აღნიშნავს, რომ არმიას არაქათი გამოეცალა თხრისას.<sup>121</sup> მიუხედავად ამისა, ქართველებს მინისქვეშა გვირაბების გათხრა და გაყვანა არ უნდა გაძნელებოდათ. მათ ჰქონდათ საამისო ცოდნა და ჰყავდათ ტექნიკური პერსონალიც (ინჟინრები, მთხრელები). არქეოლოგიური კვლევებით ირკვევა, რომ შუა საუკუნეებში რკინის მადნის მოსაპოვებლად ქართველებს ღრმა მალაროების თხრა უხდებოდათ, მაგალითად, ფოლადაურის რკინის მადნის შახტები 80 მეტრის სიღრმის იყო.<sup>122</sup> ქართველმა მალაროელებმა

<sup>117</sup> Nicephoros Ouranos, *Taktika*, ed. Eric McGeer, in *Sowing the Dragon's Teeth: Byzantine Warfare in the Tenth Century* (Washington, 1995), 161. ე. მაკგერის მიხედვით, მეთორმეტე საუკუნემდე ბიზანტიელების ციხე-სიმაგრეთა ასაღებად ყველაზე ხშირად მინისქვეშა გვირაბებს იყენებდნენ. McGeer, “Byzantine Siege Warfare in Theory and Practice,” 123-9.

<sup>118</sup> ფლისკინა საბას მიხედვით სიმაგრეთა დასაცავი თხრილია: „ციხესა და ქალაქსა გარემომო აღუშენებენ სიმაგრისათვის, რომელიმე წყალთა შეაყენებენ, რათა მტერთა ბრძოლით ადვილად ვერ აიღონ“. სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 195.

<sup>119</sup> David Ayalon, “Hisar: The Mamluk Sultanate,” *Encyclopaedia of Islam*, 2nd ed., vol. III (1971), 474.

<sup>120</sup> ცნობილი მედიევისტი ბ. ბექრეჟი შუა საუკუნეების მესანგრეებს წყალქვეშა ნავის ეკიპაჟსაც კი ადარებს. Bernard S. Bachrach, “Medieval Siege Warfare: A Reconnaissance,” *Journal of Military History*, 58 (1994), 132-3.

<sup>121</sup> Albert of Aachen, *Historia Ierosolimitana: History of the Journey to Jerusalem*, Edited and Translated by Susan B. Edgington (Oxford, 2007), 379, 385; John France, *Victory in the East: A Military History of the First Crusade* (Cambridge, 1994), 321.

<sup>122</sup> ი. გძელიშვილი, „სამთო საქმე და რკინის მეტალურგია შუაფეოდალურ ხანაში (საქართველო და ევრაზიის სხვა ქვეყნები)“, *ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები*, I (1969), 92.

კარგად იცოდნენ შახტების „ჭერის მართვის“ ხელოვნება, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უსაფრთხოებისათვის, ვენტილაცია კი ისეთი კარგი იყო, რომ მძლავრი ცეცხლის დანთებაც იყო შესაძლებელი.<sup>123</sup> ამ ცოდნას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც გვირაბის გაყვანის პროცესში, ასევე ბოლო ეტაპზე, როდესაც კოშკის ან ზღუდის ჩამოსაშლელად მას ქვემოდან ცეცხლს უნთებდნენ.

ქართველთა მიერ საბრძოლო მოქმედებებში მინისქვეშა გვირაბების გამოყენების მაგალითებს წყაროებშიც ვპოულობთ. 1258 წელს ქართველთა ლაშქარი თან ახლდა მონღოლებს ბაღდადის გარემოცვის დროს. ჟამთა-აღმწერელის ვერსიით, ქართველებმა საკმაოდ სწრაფად გათხარეს მინისქვეშა გვირაბი<sup>124</sup> ქალაქის გალავნის ქვეშ, შეაღწიეს ბაღდადში და ქალაქის კარები გააღეს: „მეფემან დავით უბრძანა ლაშქართა მისთა, რათა შეთხარონ ზღუდეთა ქუეშე. და შეთხარეს, ზღუდესა შიგან შევიდეს ქართველნი და იქმნა ძლიერი ბრძოლა, და მოსრვიდეს სპათა ბაღდადელთა და შიში ფრიადი აქუნდა ბაღდადელთა. და ესრეთ განუხუნეს კარნი ქალაქისანი ქართველთა და თათარნი შევიდეს“.<sup>125</sup> შესაძლოა, მემატთანე აზვიადებდეს ქართველთა როლს ბაღდადის აღების საქმეში, მაგრამ გვირაბის გაყვანის ეპიზოდი გარკვეულწილად სიმართლეს უნდა შეესაბამებოდეს.

1281 წელს ეგვიპტელ მამლუქთა წინააღმდეგ დაძრულ მონღოლთა ლაშქარს სამცხის მთავარი ბექაც ახლავს. სირიაში სააღყო მოქმედებების დროს ქართველებმა კვლავ გამოიყენეს მინისქვეშა გვირაბი: „და ესრეთ წარვიდეს მისრეთს, და ვლეს მრავალი დღე და მიინივნეს ერთსა ქალაქსა, რომელსა ერქუა დარბუზაკი. გამოვიდეს მოქალაქენი კარით და იქმნა ომი, სადა-იგი ბექამან და მისთა მყოლთა მესხთა ძლიერად ილუანეს, უფროს სხუათა. თათართა და ქართველთა შიგან ქალაქსა შესთხინეს, და მესხნი უპირატეს მიეტყვნეს“.<sup>126</sup>

### სააღყო კოშკი

სააღყო კოშკი, ციხის კედლებზე და კოშკებზე უფრო მაღალი,<sup>127</sup> რამდენიმე სართულიანი, ცეცხლისაგან თავდასაცავად ნედლი ტყავით დაფარული

<sup>123</sup> ი. გძელიშვილი, „სამთო წარმოება და რკინის მეტალურგია XII საუკუნის საქართველოში“, *მეცნიერება და ტექნიკა*, 4 (1964), 31.

<sup>124</sup> რისთვისაც თორმეტი დღეც საკმარისი აღმოჩნდა: „და ბრძოდეს ძლიერად არა მრავალთა დღეთა, არამედ ათორმეტ დღე, აღიდეს ბაღდადი“. *ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატთანე*, 113.

<sup>125</sup> იქვე, 113.

<sup>126</sup> იქვე, 169-70.

<sup>127</sup> 1099 წელს, იერუსალიმის იერიშისას, ქალაქის კედლების სიმაღლე 12-15 მ იყო, ჯვაროსანთა სააღყო კოშკის კი – 15-17 მეტრი. *France, Victory in the East*, 350.

ხის კონსტრუქცია იყო, რომელიც მოაღებდა მალლიდან სროლის და ციხის კედელზე გადასვლის საშუალებას აძლევდა. მას მალლიდან უნდა ემბრძანებლა დამცველებზე და მოაღებდა თავის სხვადასხვა სახის შეტევით ოპერაციების წარმოების საშუალება მიეცა.<sup>128</sup> სააღმოსავლეთო კომპი წარმოადგენდა საბრძოლო პლატფორმას, რომლის სიმაღლიდანაც ისროდნენ ისრებს თუ სხვა იარაღს და ზედ ათავსებდნენ ბალისტიკურ მანქანებს. მისი დამზადება ძალიან რთული იყო, გამოყენებისას კი მთავარ პრობლემას გადაადგილება და მონინალმდეგის ცეცხლის ქვეშ ციხის კედლებთან მიტანა წარმოადგენდა.<sup>129</sup>

დ. ბერძენიშვილის აზრით, „გვიანი შუა საუკუნეების ქართულ წყაროებში, შეტევისათვის დამზადებულ ხის კომპებს მონგოლური სიტყვით, „სიბა“-დ იხსენიებდნენ“. თავდაპირველად სიბა თავდაცვით ნაგებობას, – ლობით გამაგრებულ თხრილს, – ეწოდებოდა. „მოგვიანებით საქართველოში სიბამ გადასატანი, შემტევი კომპის მნიშვნელობა მიიღო“.<sup>130</sup> მკვლევარი საილუსტრაციოდ იმონმებს „ახალ ქართლის ცხოვრებას“, სადაც 1556 წელს შაჰ-თამაზის მიერ ატენის ციხის გარემოცვაა აღწერილი: „ციხის აღება გაძნელდა, ამისათვის რომე არც სიბა მიიტანებოდა, და არც შეეთხრებოდა“.<sup>131</sup>

<sup>128</sup> იქვე, 352-3.

<sup>129</sup> აქვე ერთ გავრცელებულ შეცდომაზე გვინდა მივუთითოთ: შუა საუკუნეების ბრძოლების აღწერისას, სააღმოსავლეთო კომპებს ხშირად ჰელეპოლისის სახელით მოიხსენიებენ, რაც ანაქრონიზმია. იხ. მარგინი, *შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორია*, 99, 213. ანტიკურ ხანაში, როდესაც დაიწყო სააღმოსავლეთო კომპების გამოყენება, მათ მართლაც *ჰელეპოლისი* (ბერძნულად „ქალაქების ამლეზი“) ერქვათ. დროთა განმავლობაში ამ ტერმინმა მნიშვნელობა იცვალა და შუა საუკუნეებში ჰელეპოლისი სააღმოსავლეთო კომპს აღარ ნიშნავდა. ბიზანტიელები ამ ტერმინით ლოდსატყორცს და სხვა საიერიშო მანქანებს მოიხსენიებდნენ. ჰელეპოლისი ეწოდებოდა თავისი დროის ყველაზე ძლიერ საიერიშო საშუალებას, რომელიც ხან სააღმოსავლეთო კომპი იყო, ხან ურნალი, ხან კი ლოდსატყორცნი მანქანა. Dennis, „Byzantine Heavy Artillery: The Helepolis,“ 101-4; Chevedden, „The Invention of the Counterweight Trebuchet,“ 78-9; Purton, *A History of the Early Medieval Siege*, 116.

<sup>130</sup> დევი ბერძენიშვილი, „ძველი საქართველოს ციხესიმაგრეთა ზოგიერთი სახეობა წერილობითი წყაროების მიხედვით“, *ანალები*, 1 (2007), 182. სიბა სააღმოსავლეთო კომპად მიაჩნია პ. ზაქარაიას. პარმენ ზაქარაია, *ქართულ ციხესიმაგრეთა ისტორია უძველესი დროიდან XVIII ს. ბოლომდე* (თბილისი, 2002), 231-2. ლ. ჭილაშვილიც თვლის, რომ ტერმინის მნიშვნელობამ მოგვიანებით აზრი შეიცვალა, მაგრამ მიაჩნია, რომ სიბა „აღმოსავლეთის საფარის და მაღალი ლობის მოწყობასაც აღნიშნავდა“. ლევან ჭილაშვილი, *ტოპონომიკური შენიშვნები* (თბილისი, 2001), 76. შესაძლოა, სიბას საფარის მნიშვნელობაც ჰქონდა, მაგრამ ძნელია დავეთანხმოთ მოსაზრებას, რომ ის მაღალი ლობეც იყო. გვიანდელ წყაროებში გარკვევითაა აღნიშნული, რომ სიბა მაღალიც იყო და მისი ციხის კედლებთან „მიტანაც“ შეიძლებოდა. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა – სააღმოსავლეთო კომპი.

<sup>131</sup> *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II (თბილისი, 1959), 506.

შეიძლება დავამატოთ, რომ ფარსადან გორგიჯანიძეც ასეთივე კონტექსტში მოიხსენიებს სიბას: „ყაენი ყანდაჰრზედ წავიდა და მრავლის ბრძოლითა და ომითა და ლაშქრის ამონყვევითა და სიბის მიტანითა და შეთხრა ციხეში შესვლით უწინ ყალაი ბისტი აიღეს“; „ინდოეთის ხემწიფის შვილი დიდის ლაშქრით ყანდარს შემოადგა და ყოველგნით სიბები წინ წაიღეს და შიგნიდამენ და გარედამენ ბანაკს ისროდეს და სიბები ხანდაგს მიანია და ზოგი კიდეც გასცილდა“. <sup>132</sup> იგივე გორგიჯანიძე მიუთითებს, რომ სიბა მაღალი უნდა ყოფილიყო: „თემურ ხემწიფე იმ ციხეს შემოადგა და ყველგნით მაღალი სიბები გაუკეთეს“. <sup>133</sup> წყაროებიდან ჩანს, რომ ქართველები იცნობდნენ სიბას, თვლიდნენ მას ციხის აღების ერთ-ერთ ძირითად საშუალებად, <sup>134</sup> მაგრამ უშუალოდ ქართველთა მიერ მათ გამოყენება არ დასტურდება. ეს არცაა გასაკვირი, ადგილმდებარეობის ხასიათის გამო საალყო კომპების გამოყენება საქართველოში საკმაოდ შეზღუდული იქნებოდა. <sup>135</sup>

### ალყა

ალყის საშუალებით ციხის ბლოკირება ყველაზე უსისხლო მეთოდი იყო, სამაგიეროდ, ხანგრძლივი დროის განმავლობაში აბანდებდა არმიას ციხის გარშემო და ეკონომიკურად ძალიან არახელსაყრელი იყო. ალყის წარმოება საკმაოდ ძვირი ჯდება, რადგანაც გარემომცველი არმია სრულფასოვან უზრუნველყოფას საჭიროებდა.

შუა საუკუნეების ქართულ არმიას შეეძლო ხანგრძლივი საალყო მოქმედებები ეწარმოებინა, რაც მისი ორგანიზებისა და დისციპლინის მაღალ დონეზე მიუთითებს. ამას გარდა, ხანგრძლივი (რამდენიმეწლიანი) ალყისათვის უზარმაზარი რესურსები იყო საჭირო. სამწუხაროდ, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემები არ იძლევა ასეთი ალყის, თუნდაც მიახლოებითი, ღირებულების დადგენის საშუალებას. გარკვეული წარმოდგენის მისაღებად შედარებითი მეთოდის გამოყენებალა გვრჩება. ცნობილია, რომ 1173 წელს ლუი VII-მ, ვერნიულის ალყის დასაწყებად, თავის სამფლობელოში დამატებითი გადასახადი შემოიღო; 1224 წელს ბედფორდის ალყის საწარმოებლად ჰენრი III-მ ეკლესიას დაადო დამატებითი გადასახადი; 1215 წელს კი როჩესტერის

<sup>132</sup> ფარსადან გორგიჯანიძე, *ისტორია*, 51.

<sup>133</sup> იქვე, 95.

<sup>134</sup> *ქართლის ცხოვრება*, 506.

<sup>135</sup> საალყო კომპს თავისთავად ბევრი ნაკლიც ჰქონდა: მის აგებას ხანგრძლივი დრო და დიდი რაოდენობით ხის მასალა სჭირდებოდა, ამავე დროს, ძნელი გადასაადგილებელი და ადვილი დასაწვავი იყო. Purton, *A History of the Early Medieval Siege*, 248.

ორთვიანი ალყა 60,000 გირვანქა სტერლინგი დაჯდა.<sup>136</sup> 1346-47 წლებში კალეს თერთმეტოვანი ალყა ინგლისის მეფე ედუარდ III-ს 150,000 გირვანქა სტერლინგი დაუჯდა, მაშინ როდესაც მეფის წლიური შემოსავალი 80,000-ს მცირედ თუ აღემატებოდა.<sup>137</sup> ეს მაგალითები ნათლად გვიჩვენებს, თუ რა ძალისხმევა სჭირდებოდა ხანგრძლივ ალყას და რა დატვირთვას განიცდიდა ამ დროს სახელმწიფო აპარატი. ამავე დროს, ცხადია, რომ ხანგრძლივი საალყო მოქმედებების წარმოების უნარი, რომელიც იმდროინდელ ქართულ არმიებს გააჩნდათ, მიუთითებს კარგად აწყობილ სამხედრო და სახელმწიფო სტრუქტურაზე, რომელსაც ხანგრძლივი ომი ხელეწიფებოდა. XI საუკუნიდან დაწყებული, ქართული სამეფოები ასეთ ალყებს უკვე თავისუფლად აწარმოებენ.

XI საუკუნის დასაწყისში ბაგრატ III-ის არმია ერთი წლის გარემოცვის შემდეგ იღებს ციხეს კახეთში: „შეაწყუდია კვრიკე ბოჭორმას, და დაუყენნა ციხესა გარეშემო მცველნი წელიწდამდი, წარილო ბოჭორმაცა“.<sup>138</sup> 1037/8 წელს, კახელ მოკავშირეებთან ერთად, ბაგრატ IV-მ თბილისს ალყა შემოარტყა, რომელიც ორი წლის განმავლობაში გრძელდებოდა: „და ბრძოდეს ორ წელ ტფილისსა“.<sup>139</sup> შიმშილისაგან და ალყისაგან დაუძლურებულმა („ვერღარა დაუდგმიდეს შიმშილთა და ბრძოლათა ძლიერთა“) თბილისელებმა „განიზრახეს მოცემა ტფილისისა“.<sup>140</sup> კიდევ უფრო ხანგრძლივი იყო კარის (ყარსის) ალყა, რომელიც 1202 წელს დაიწყო, როდესაც ქალაქის აღების შემდეგ ქართველებმა ალყა შემოარტყეს კარის ციტადელს. ციტადელის ალყა 5 წელზე მეტ ხანს გაგრძელდა და გარნიზონი მხოლოდ 1206-7 წლების მიჯნაზე დანებდა.<sup>141</sup>

ალყაშემორტყმული გარნიზონისათვის უპირველეს მნიშვნელობას წყლით მომარაგება იძენდა. ციხისათვის წყლის მიწოდების შეწყვეტა მის სწრაფ კაპიტულაციას იწვევდა. ბასილი ეზოსმოძღვრის მიხედვით, კარის მრავალწლიანი ალყა მხოლოდ მაშინ დასრულდა, როდესაც გარემომცველმა ქართულმა ლაშქარმა მუსლიმურ გარნიზონს წყლის მიწოდება გადაუჭრა: „ებრძოლეს უკუე შეკრულსა მას ღობესა წყლისათჳს და მრავალთა შინა

<sup>136</sup> Matthew Strickland, *War and Chivalry: The Conduct and Perception of War in England and Normandy, 1066-1217* (Cambridge, 1996), 207.

<sup>137</sup> Hindley, *Medieval Sieges and Siegecraft*, 143.

<sup>138</sup> მატეიანე ქართლისა, 279.

<sup>139</sup> იქვე, 297.

<sup>140</sup> იქვე, 297.

<sup>141</sup> ვრცლად კარის ალყის შესახებ იხ. ჯაფარიძე, *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო*, 121-2, 161-2.

დღეთა განტეხეს ადგილი იგი. და გამოიცალა წყალი და მის თანა უმრავლესნი მოქალაქენიცა“.<sup>142</sup>

წყლის მომარაგების გადაჭრის გამო დანებდა გიორგი III-ს აგარაკის ციხეს შეფარებული აჯანყებულებიც: „ციხეში მყოფნი, კაცნი ბრძოლებში სახელმოხვეჭილნი, შეწუხდნენ ადამიანებისა და პირუტყვების გვამთა სიმყარალის სუნით და წყურვილით, რადგან წყალიც გადაუკეტეს მათ“.<sup>143</sup>

ხშირად მრავალთვიანი ალყა, გარნიზონის გამოფიტვის და შესუსტების შემდეგ, წარმატებით გვირგვინდებოდა იერიშით. ასე, იერიშით აიღო დავით აღმაშენებელმა თბილისი ექვსთვიანი ალყის შემდეგ, რომლის დროსაც თბილისის გარნიზონს და ქალაქის კედლებს ბალისტიკური არტილერიით და სხვა საშუალებებით დაასუსტებდნენ.

### შურის ციხე

როდესაც, რიგი მიზეზების გამო, ციხის ალება არ ხერხდებოდა და სრული ალყა არ იყო შესაძლებელი ან მიზანშეწონილი, მის სიახლოვეს აგებდნენ საფორტიფიკაციო ნაგებობას, ციხე-კოშკს, რომელსაც *შურის ციხე* ეწოდებოდა. მას ალყაშემოტყმული სიმაგრის კარიბჭესთან ახლოს აღმართავდნენ, რათა ყველანაირი მიმოსვლა აღეკვეთათ.<sup>144</sup> ი. შაიშმელაშვილის მიხედვით, შურის ციხეს სულ ცოტა, სამი ფუნქცია მაინც ჰქონდა: გარემოცული ციხის ბლოკირება (რომ არავის გამოეღწია ან შეეღწია მასში), გარნიზონის გამოხდომების აღკვეთა და ხელსაყრელ სასროლ პლატფორმად გამოყენება.<sup>145</sup> რალა თქმა უნდა, მასვე იყენებდნენ ალყაშემორტყმული ციხის სათვალთვალოდაც. სრული ბლოკადისაგან განსხვავებით, შურის ციხე შედარებით პატარა რაზმს საჭიროებდა და მოალყეთა ძირითად ძალებს თავისუფალს ტოვებდა. საალყო ციხით სიმაგრის ბლოკირების მეთოდი ფართოდ იყო გავრცელებული XI საუკუნის ევროპაში.<sup>146</sup> ამ მეთოდს იცნობდნენ და იყენებდნენ საქართველოშიც.

X საუკუნეში აფხაზეთის მეფეს გიორგი II-ს კახეთში არ დანებდა ლონობნის ციხე, რომლის წინააღმდეგაც მან შურის ციხე ააგო და მოახდინა მისი ბლოკირება: „ლონობანნი ჰქონდეს ივანე არშის ძესა, და გამაგრდა შიგან...

<sup>142</sup> ბასილი ეზოსმოდღუარი, *ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი*, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II (თბილისი, 1959), 143.

<sup>143</sup> აბდალაძე, *სომხურ ხელნაწერთა X-XIII საუკუნეების ანდერძ-მინაწერების ცნობები*, 38.

<sup>144</sup> Gravett, *Medieval Siege Warfare*, 23-4.

<sup>145</sup> ივანე შაიშმელაშვილი, *ჩაუქრობელი დიდების ქალაქი* (თბილისი, 1987), 46.

<sup>146</sup> Rogers, *Latin Siege Warfare*, 39; Purton, *A History of the Early Medieval Siege*, 162.

აუგეს შურის-ციხე და დააყენნეს შიგან ლაშქარნი“.<sup>147</sup> როდესაც კვირიკე ქორეპისკოპოსმა ძალა მოიცა და ხელახლა დაეუფლა კახეთს, იძულებული გახდა შურის ციხესთან ერთად ლონობანიც დაენგრო: „დაუნყეს ბრძოლად ციხეთა, და მცირედთა დღეთა წარიხუნეს ციხენი ყოველნი; დაარღვნეს შურის-ციხე და ლონობანთა“.<sup>148</sup>

საჭიროების შემთხვევაში, რამდენიმე შურის ციხესაც კი იყენებდნენ.<sup>149</sup> ბერი ეგნატაშვილის ცნობით, ბირთვისის ციხის ბლოკირებისათვის თემურ-ლენგმა სამი შურის ციხე ააგო: „ბრძანა ორისავე კუთხის ციხის აგება. და თვთ მიადგა კარსა ციხისასა და მუნცა ბრძანა აგება ციხისა“.<sup>150</sup>

წინამდებარე წერილში არ განვიხილავთ ციხე-სიმაგრეების აღების ისეთ მეთოდებს, როგორცაა მოტყუებით ციხეში შეღწევა თუ უეცრად შევარდნა ან უკუტყუელი გარნიზონის კვალდაკვალ სიმაგრეში შეჭრა, რადგანაც ეს მეთოდები პოლიორკეტიკის სფეროს ირიბად თუ მიეკუთვნებიან. თუმცაღა, შუა საუკუნეებში მათ ხშირად იყენებდნენ ციხეთა დასაუფლებლად.

სიმაგრეებს ხშირად იგდებდნენ ხელში ფსიქოლოგიური ზენოლის მეთოდებითაც, როდესაც ერთმანეთს უხამებდნენ სისასტიკეს და მუქარას და ლმობიერებას კაპიტულაციის შემთხვევაში.<sup>151</sup> ისინიც, სიმაგრეთა აღების ირიბ მეთოდს წარმოადგენენ.<sup>152</sup>

ასეთივე მეთოდს მიეკუთვნება ციხის გარნიზონის დაშინება მისივე მფლობელის სიცოცხლის ხელყოფით, რომელსაც, უმრავლეს შემთხვევებში, შედეგად მეციხოვნეთა კაპიტულაცია მოსდევდა. კლოდ კაენი, სავსებით მართებულად, მას არც კი აკუთვნებს „ნამდვილ“ სამხედრო ოპერაციებს.<sup>153</sup> თუმცა, ჩვენი წარსულის გათვალისწინებით, ამ ხერხზე მაინც ღირს ყურადღების შეჩერება.

შუა საუკუნეებში მეტად იყო გავრცელებული ტყვედ ჩავარდნილი მფლობელის (ან ციხისთავის) სიცოცხლის ხელყოფის მუქარით მისდამი დაქვემდებარებული სიმაგრის ხელში ჩაგდება. ამ მეთოდით ძვირადღირებული და პრობლემური ალყის გარეშე ხელში იგდებდნენ მნიშვნელოვან

<sup>147</sup> *მატიანე ქართლისა*, 268.

<sup>148</sup> იქვე, 269.

<sup>149</sup> 1097-8 წლებში ანტიოქიის ალყისას ჯვაროსნებმა სამი შურის ციხე გამოიყენეს. Rogers, *Latin Siege Warfare*, 25-39.

<sup>150</sup> *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II (თბილისი, 1959), 337.

<sup>151</sup> Contamine, *War in the Middle Ages*, 101-2.

<sup>152</sup> იქვე, 102.

<sup>153</sup> Claude Cahen, "Hisar: General Remarks," *Encyclopaedia of Islam*, 2nd ed., vol. III (1971), 470.

ციხეებს.<sup>154</sup> ასეთი შემთხვევები განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი იყო ფეოდალური შინაომების დროს.

თვალი რომ გადავაგვლოთ მეთიუ სტრიკლენდის მიერ თავმოყრილ მსგავს შემთხვევებს XI-XII საუკუნეების ინგლისისა და ნორმანდიის ისტორიიდან, დავრწმუნდებით, რომ ასეთი რამ მართლაც ხშირად ხდებოდა. მაგალითად, 1143 წელს რობერტ გლოჩესტერმა დატყვევებულ გიომ მარტელს სასტიკი მოპყრობით შერბურნის ციხე დაათმობინა.<sup>155</sup> ამ ხერხით გამორჩეულად სარგებლობდა ინგლისის მეფე სტივენი: 1143 წელს მან ხელში ჩაიგდო 3 ციხე (მათ შორის ლონდონის ტაუერი) ჟოფრეი დე მანდევლის ჩამოხრჩობის მუქარით. მანვე, უფრო ადრე, ხელთ იგდო ლინკოლნი, ნიუარკი, სალსბერი, მალმსბერი და კიდევ მრავალი ციხე, სალსბერის და ლინკოლნის ეპისკოპოსების დამშვეით და როჯერ სალსბერის შვილის ჩამოხრჩობის მუქარით.<sup>156</sup> ხანდახან, ასეთი პრაქტიკა გამოსასყიდის სახეს იღებდა: 1044 წელს ანჟუს გრაფმა ჟოფრეი მარტელმა ბრძოლაში დაატყვევა თეობალდ დე ბლუა და, თავისუფლების სანაცვლოდ, აიძულა დაეთმო ქალაქი ტური.<sup>157</sup> იშვიათად, ამ მეთოდს შედეგი არ მოჰქონდა: 1146 წელს როჯერ დე ბერკლი ხელში ჩაუვარდა საკუთარ ძმას, ვალტერს, რომელმაც სამჯერ ჩამოჰკიდა ის ბერკლის ციხის წინ. მიუხედავად ამისა, გარნიზონი არ დანებდა და ნახევრადმკვდარი როჯერი ისევ დილეგში დააბრუნეს.<sup>158</sup>

ციხე-სიმაგრეთა ალების ასეთი ხერხი ქართულ ისტორიოგრაფიაში ვრცლად ჯ. სამუშიამ განიხილა.<sup>159</sup> მასვე მოხმობილი აქვს რამდენიმე ფაქტი XI საუკუნის საქართველოს ისტორიიდან: 1046 წელს ლიპარიტ ბაღვაშმა დატყვევებულ გრიგოლ აბუსერის ძეს „სიკუდილისა ქადებითა“ არტანუჯი დაათმობინა; 1055 წელს ბაგრატ IV-მ ლიპარიტი და მისი ვაჟი ივანე გასვა ძელზე და ასე აიღო კლდეკარი; ასე დანებდა ბაგრატ IV-ს სამშვილდეც, როდესაც

<sup>154</sup> Matthew Strickland, *War and Chivalry: The Conduct and Perception of War in England and Normandy, 1066-1217* (Cambridge, 1996), 198.

<sup>155</sup> იქვე, 199.

<sup>156</sup> იქვე, 199.

<sup>157</sup> იქვე, 198.

<sup>158</sup> იქვე, 198. ასე გაუძალიანდა ლიპარიტს კალმახის ერისთავი სულა, რომელსაც „მრავლითა ტანჯვითა და ძელსა გასუმითა სთხოვეს კალმახი, და არა მისცა“. *მატიანე ქართლისა*, 302.

<sup>159</sup> სამუშია, „ციხე-სიმაგრეების ალების ხელოვნება XI-XII საუკუნეების საქართველოში“, 90, 98. მანამდე, ეს ხერხი, ბაგრატ IV-ის მაგალითზე, ნახსენები აქვს ს. მარგიშვილსაც. იხ. მისი, შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორია, 202.



მან სომეხთა მეფე კვირიკე გასვა ძელზე.<sup>160</sup> ჯ. სამუშიას აზრით, ამ ხერხს სათანადო ყურადღება იმიტომ არ ექცევა, რომ „ამ მეთოდით გამაგრებული ადგილების დაკავების ერთეული შემთხვევებია“.<sup>161</sup> ამ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სიმაგრეთა აღება მფლობელის სიცოცხლის ხელყოფის მუქარით საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკა იყო შუა საუკუნეებში. ამასვე მოწმობს როგორც ჯ. სამუშიას მიერ ჩამოთვლილი, აგრეთვე სხვა მაგალითებიც საქართველოს ისტორიიდან.

914 წელს აბულ კასიმის შემოსევისას, არაბებმა იგივე მეთოდი გამოიყენეს ციხის ხელში ჩასაგდებად: „მოვიდა და მოადგა ციხესა კაპოეტისასა; და ციხოვანთა დედა-წული რომელი პოვა გარეგნით, დაიპყრა ჳელთა. ამისათვის გამოსცეს ციხე“.<sup>162</sup> 1032 წელს ქართველებმა ბირთვისი თბილისის ამირა ჯაფარის თავისუფლების სანაცვლოდ ჩაიგდეს ხელთ: „ლიპარიტ ლიპარიტის ძემან და ივანე აბაზას-ძემან, ქართლის ერისთავმან, მუხათგუერდსა გამოიტყუეს ტფილელი ამირა ჯაფარ, და შეიპყრეს, და დიდი ხანი დაყვეს პატიმრობასა შინა, და წარუღეს ბირთჳსი“.<sup>163</sup> XI საუკუნის 30-იან წლებში ბაგრატ IV კახეთის დაპყრობას ცდილობდა. „გაილაშქრა აფხაზთა მეფემან კახეთს, შეება და შეუჳდა მთასა ზედა მიქელ-გაბრიელთასა. და წყობასა შინა შეიპყრნა: სტეფანოზ ვარჯანის-ძე, პანკისისა ერისთავი; და ვაჩე, ძე გურგენ ბერისა, ხორნაბუჯის ერისთავი; და ჯედი, დისწული გოდერძისა, შტორის ერისთავი და მაჭელისა... და ესე ერისთავნი ქენებით აძლევდეს ციხეთა მათთა; და ვერლარა ჩავიდეს კახეთს და შემოიქცა, რამეთუ ლიპარიტ იწყო საურავთა გუერდექეულთა“.<sup>164</sup> როგორც ვხედავთ, დატყვევებული ერისთავები უკვე მზად იყვნენ საკუთარი ციხეები ჩაებარებინათ ბაგრატიანთა (რასაკვირველია, სათანადო ზემოქმედების შედეგად), რომელსაც ლიპარიტის განდგომამ ხელი შეუშალა წარმატების რეალიზაციაში.

განსაკუთრებით თვალსაჩინოა ამ მხრივ განძის ამირას მაგალითი. 1068 წელს განძის ამირა ფადლონ II (ფადლ იბნ შავური) ხელთ ჩაუვარდა აღსართან კახთა მეფეს, რომელიც მისი „შემწეობით“ ხორნაბუჯს და არადეთს დაეუფლა: „მიუპყრეს ხორნაბუჯს ფადლონ, და მისცა ხორნაბუჯი. წარიყვანეს არა-

<sup>160</sup> სამუშია, „ციხე-სიმაგრეების აღების ხელოვნება XI-XII საუკუნეების საქართველოში“, 98; *მატიანე ქართლისა*, 302, 305, 307.

<sup>161</sup> სამუშია, „ციხე-სიმაგრეების აღების ხელოვნება XI-XII საუკუნეების საქართველოში“, 90.

<sup>162</sup> *მატიანე ქართლისა*, 264.

<sup>163</sup> იქვე, 296-7.

<sup>164</sup> იქვე, 298. ამ ბრძოლის კონტექსტისათვის და ერისთავთა სახელების დაზუსტებისათვის იხ. დავით მუსხელიშვილი, „შინაკლასობრივი ბრძოლის ერთი მომენტის ისტორიულ-გეოგრაფიული საფუძველი“, *ძეგლის მეგობარი*, 21 (1970), 23-33.

დეთად და მისცა არადეთი აღსართანსე“.<sup>165</sup> აქ უნდა იგულისხმებოდეს ფადლონის ძელზე გასმა ციხის კარიბჭის წინ, მისი ერთგვარი „მიპყრობა“ ციხეზე, რომელიც შემდგომ ნებდება. ფადლონი შემდგომში აღსართანმა ბაგრატ IV-ს გადასცა ბოჭორმისა და უჯარმის ნაცვლად; სამაგიეროდ ბაგრატ IV-მ ფადლონის საშუალებით თბილისი აიღო: „გასუეს ძელსა და მიუპყრეს ტფილისსა; და აიღეს ჭირვეულად ტფილისი“.<sup>166</sup>

ციხე-სიმაგრეთა დაუფლების ეს მეთოდი ნათლად მეტყველებს მოალყეთა სურვილზე ბრძოლისა და ალყის გარეშე ხელთ იგდონ სიმაგრე და ამით თავიდან აეცილონ მსხვერპლიც და ხარჯიც, რომ აღარაფერი ვთქვათ შესაძლო წარუმატებლობაზე.

### ანტიპოლიორკეტიკა

ციხის აღებასთან შედარებით, ქართულ წყაროებში კიდევ უფრო ნაკლებად გვხვდება მონაცემები მისი თავდაცვის თავისებურებების შესახებ. ამ მონაცემების შეფასებისათვის იმდროინდელი სინამდვილეა გასათვალისწინებელი. ბერძნულ-ბიზანტიურ სამყაროში არსებობდა მრავალრიცხოვანი თეორიული ნაშრომები, რომლებშიც განხილულია სიმაგრეთა დაცვის საშუალებები. ასეთ ნაშრომს ხანდახან ანტიპოლიორკეტიკასაც უწოდებდნენ. X საუკუნის პირველი ნახევრის ბიზანტიური *De obsidione toleranda* არის ალყაშემორტყმული სიმაგრის მეთაურისათვის დაწერილი სახელმძღვანელო, რომელიც მრავალგვარ და დეტალურ ინსტრუქციებს შეიცავს.<sup>167</sup>

*De obsidione toleranda*-ს მიხედვით, ციხისთავმა, რომლის სიმაგრესაც გარემოცვა ემუქრება, უნდა მოიმარაგოს სულ ცოტა 6 თვის ან ერთი წლის სამყოფი სურსათ-სანოვაგე და აავსოს წყლით ყველა რეზერვუარი და ჭურჭელი;<sup>168</sup> უნდა ჰყავდეს მზად მეიარაღეები, ინჟინრები, საბრძოლო მანქანათა ოპერატორები, ექიმები, თოკის მკეთებლები, ქვის მკვეთელები, მშენებლები, არქიტექტორები და სხვადასხვა ხელოსნები; უნდა მოიმარაგოს და დაამზადოს ფარები, ისრები, ხმლები, მუზარადები და სხვა იარაღი;<sup>169</sup>

<sup>165</sup> *მატიანე ქართლისა*, 312.

<sup>166</sup> იქვე, 312.

<sup>167</sup> *De obsidione toleranda* აგრძელებს იმ ტრადიციას, რომელიც ჯერ კიდევ ენას ტაქტიკოსმა ჩაუყარა საფუძველი ძვ. წ. IV საუკუნის ნაშრომით – როგორ გადაეურჩეთ ალყას. *A Byzantine Instructional Manual on Siege Defense: The De obsidione toleranda*, introduction, English translation and annotations by Denis F. Sullivan, in *Byzantine Authors: Literary Activities and Preoccupations. Texts and Translations Dedicated to the Memory of Nicolas Oikonomides*, ed. by John W. Nesbitt (Leiden, 2003), 140, 144.

<sup>168</sup> *De obsidione toleranda*, 151-3, 159.

<sup>169</sup> იქვე, 155.

შეაკეთოს გალავანი და ზედ განალაგოს საბრძოლო მანქანები.<sup>170</sup> თუკი შესაძლებელია, სიმაგრეს უნდა შემოავლოს ღრმა თხრილი (ან თხრილები) და წყლით აავსოს ისინი; ამასთანავე, უნდა ჰქონდეს თხრილზე გასადები საიმედო ხიდი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება მოულოდნელი გამოხდომები.<sup>171</sup> აუცილებელია მეციხოვნეთა კარგად განვრთვა, რომ მომხდურისათვის ისრის ზუსტად სროლა და ქვის ხელით დაშენა შეეძლოთ; მომარაგებული უნდა ჰქონდეთ პატარა, ხელით სასროლი და უფრო მძიმე, დასაგორებელი ქვებიც.<sup>172</sup> სასურველია, რაც შეიძლება მრავალრიცხოვანი გარნიზონის და ბევრი საბრძოლო მანქანის ყოლა.<sup>173</sup> დასასრულ, თუკი მოიერიშე კედელს მაინც შემოანგრევს, უნდა აშენდეს ახალი კედელი, რომელიც სიმაგრეში არ შეუშვებს მტერს.<sup>174</sup>

ახლა, ამ თეორიული წიაღსვლის შემდეგ, ფრაგმენტული ცნობების ანალიზის საფუძველზეც კი, ჩვენ შეგვიძლია გავარკვიოთ, თუ როგორ იცავდნენ შუა საუკუნეების საქართველოში სიმაგრეებს და რას აქცევდნენ განსაკუთრებულ ყურადღებას.

„მატიანე ქართლისას“ ერთი მონაკვეთიდან ჩანს, რომ იმ დროში კარგად ესმოდათ ძლიერი გარნიზონით ციხე-სიმაგრის გამაგრების აუცილებლობა. 927 წელს გიორგი II აფხაზთა მეფე ტაოელი და კახელი მოკავშირეებით „მოადგეს უფლისციხეს. და ბრძოდეს მრავალთა დღეთა და ვერარას ავნებდეს ციხესა, რომელ მრავლად დგეს შიგნით“.<sup>175</sup> სწორედ მეციხოვნეთა სიმრავლემ („მრავლად დგეს შიგნით“) განაპირობა უფლისციხის შეუვალობა („ვერარას ავნებდეს ციხესა“).<sup>176</sup>

ქართველები სათანადო ყურადღებას აქცევდნენ ციხე-სიმაგრის აღჭურვას ბალისტიკური არტილერიით და სხვა ტექნიკური საშუალებებით. ამის მაგალითად ზემოთ ნახსენები შემთხვევა გამოდგება, როდესაც მტრის მომლოდინე თორელმა საბრძოლო საშუალებები და მანქანები მოიმარაგა ანისში („განამზადნა საბრძოლველნი და მანქანანი“).

წერილობით წყაროებში ვერ ვხვდებით ცნობებს ციხის დაცვისას ზემოდან ნასროლი ქვების შესახებ. სამაგიეროდ, თავდაცვის ეს ხერხი ხშირადაა

<sup>170</sup> იქვე, 161.

<sup>171</sup> იქვე, 163-5.

<sup>172</sup> იქვე, 171-3.

<sup>173</sup> იქვე, 257.

<sup>174</sup> იქვე, 197.

<sup>175</sup> *მატიანე ქართლისა*, 267.

<sup>176</sup> მარგიშვილი, *შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორია*, 217.

ასახული ქართულ მინიატურებში. ჯრუჭის მეორე ოთხთავის და H1665 დავითნის მინიატურებზე მშვილდოსნების გარდა, ყოველთვის გამოსახულია ციხის მცველებიც, რომლებიც ქვას თავზე აყრიან მომხდურს. საყურადღებოა, რომ ჯრუჭის 111r მინიატურაზე მეციხოვნე ფარს იფარებს და ისე იხვრის ქვას, რაც ქვის სროლის გარკვეულ ხერხზე მიუთითებს (სურ. 4). ასევე, საინტერესოა, რომ მინიატურებზე მეციხოვნეებს ყოველთვის საგანგებოდ დამუშავებული, მრგვალი ფორმის ქვები უჭირავთ, რაც შემთხვევითი არ უნდა იყოს (სურ. 5).<sup>177</sup> მართალია, მძიმე ლოდის გამოყენების ილუსტრაცია არ მოგვეპოვება, მაგრამ ვიცით, რომ მძიმე დასაგორებელ ლოდს საგორავი ეწოდებოდა.<sup>178</sup>

ქართველებს ესმოდათ ციხე-სიმაგრეთა მისადგომების გამაგრებისა და წინაღობების შექმნის მნიშვნელობაც; იქ სადაც ადგილის რელიეფი ამის საშუალებას იძლეოდა, თხრილსაც თხრიდნენ და წყლითაც ავსებდნენ. XI საუკუნეში ახალქალაქს ძალიან ღრმა, წყლით სავსე თხრილი იცავდა. მასზე გადებული ხიდი 1064 წელს სელჩუკების შეტევის დროს აიღო გარნიზონმა.<sup>179</sup> ჯავახეთის განძის ციხეს გარს ერტყა ხელოვნური თხრილი, რომელშიც წყალი მტკვრიდან იყო გადმოყვანილი.<sup>180</sup> მდინარეებიდან გადმოყვანილი წყლით ივსებოდა რუსთავისა და ურბნისის ციხეების დამცავი თხრილებიც.<sup>181</sup> სამი მხრიდან ბუნებრივი წინააღობებით დაცულ მელიორის ციხეს ადვილად მისადგომი მხრიდან ორი ღრმა თხრილი იცავდა.<sup>182</sup> ორი თხრილით იყო გამაგრებული დმანისის ციხეც.<sup>183</sup>

1235 წელს მონღოლებმა ალყა შემოარტყეს შამქორს, რომელიც მაშინ ვარამ გაგელის სამფლობელოს წარმოადგენდა. მოიერიშეებმა შეცდომა

<sup>177</sup> ვეგეციუსი საგანგებოდ მიუთითებს, რომ ციხის მცველებს მდინარეთა კალაპოტიდან წყლის მიერ მომრგვალებული ქვები უნდა მოემარაგებინათ, მათი სიმძიმისა და კარგი ბალისტიკური თვისებების გამო. *Vegetius: Epitome of Military Science*, IV.8.

<sup>178</sup> სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 23.

<sup>179</sup> Садр ад-Дин Али ал-Хусайни, *Ахбар ад-დაулат ас-сельджукийя. Сообщения о Сельджуцком государстве. Сливки летописей, сообщающих о сельджуцких эмирах и государях*, издание текста, перевод, введение, примечания и приложения З.М. Буниятова (Москва, 1980), 50.

<sup>180</sup> ნიკო ბერძენიშვილი, „ჯავახეთის 1933 წლის ექსპედიციის დღიური“, *საქართველოს ისტორიის საკითხები*, წ. I (თბილისი, 1964), 89.

<sup>181</sup> გ. ლომთათიძე, „საქართველოს ნაცისვართა არქეოლოგიისათვის“, *ძეგლის მეგობარი*, 14 (1968), 38; მისივე, „ქალაქი რუსთავი არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით“, *რუსთავი: არქეოლოგიური გათხრები 1946-1965* (თბილისი, 1988), 27-8.

<sup>182</sup> თ. ბერაძე, „ვანის რაიონის ისტორიული გეოგრაფიიდან“, *ვანი III: არქეოლოგიური გათხრები*, რედ. ოთარ ლორთქიფანიძე (თბილისი, 1977), 30.

<sup>183</sup> ლევან ჭილაშვილი, *ქალაქები ფეოდალურ საქართველოში*, ტ. II (თბილისი, 1970), 112.

სიმაგრეთა გასამაგრებლად თხრილებს უფრო გვიანაც იყენებდნენ. 1702 წელს იმერეთში შემოსული ოსმალების დასახვედრად აბაშიძემ ქალაქის სამი კოშკი თხრილებით გაამაგრა. ვახუშტი ბატონიშვილი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა* (თბილისი, 1973), 864.

დაუშვეს და ხის მასალით ამოავსეს ქალაქის თხრილი. მცველებმა ეს გარემოება მაშინვე გამოიყენეს და ღამით, ცეცხლის გამოყენებით დაწვეს ყველაფერი, რაც თხრილში იყო. ქალაქის ასაღებად მონღოლებს მოუწიათ განმეორებით, უკვე მინით ამოევსოთ თხრილი.<sup>184</sup>

გარნიზონის სურვილს, ბოლომდე გააგრძელოს ბრძოლა და არ დანებდეს პირველი წარუმატებლობისთანავე, დიდი როლი ენიჭებოდა ციხის დაცვისას. ასეთ დროს წინააღმდეგობას აგრძელებდნენ სიმაგრის კედლის დანგრევის შემდეგაც. ამის მაგალითია 1485 წელს იაყუბ ყაენის შეტევისას ახალციხის კედლის დანგრევა და მისი აღდგენა მეციხოვნეთა მიერ. ფადლალაჰ იბნ რუზ-ბეჰანის მიხედვით, ახალციხის იერიშისას თეთრბატკნიანთა არტილერიამ გალავანი დააზიანა, რომლის შეკეთება, განუწყვეტელი ცეცხლის მიუხედავად, ქართველებმა მაინც მოახერხეს: „არტილერია შეუჩერებლად უშენდა კედლებს, მაგრამ ჩამონგრევამდე ურწმუნოებმა რკინით და სხვა მასალით შეაკეთეს დაზიანებული ადგილები“.<sup>185</sup>

აღყის მიმდინარეობის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა გარნიზონის აქტიურობას, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი ეკავა მოულოდნელ შეტევას და გამობდომებს მოაღყეთა წინააღმდეგ. კარგად დაგეგმილ გამობდომას, მცირე ძალითაც კი, შეეძლო არევ-დარევა გამოეწვია მტრის ბანაკში.<sup>186</sup> მეციხოვნეთა აქტივობა და გამობდომები, უპირველეს ყოვლისა, მათ მაღალ მორალურ და საბრძოლო განწყობაზე მიუთითებს, რაც აუცილებელი პირობა იყო აღყის წარმატებით გაძლებისათვის.

ჯვაროსნული ომების მკვლევართა ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ჯვაროსანთა გარნიზონები ხშირად ტოვებდნენ სიმაგრეს და კონტრშეტევით პასუხობდნენ მუსლიმთა იერიშს. თუ გავითვალისწინებთ მუსლიმთა ჭარბ რიცხოვრებულ უპირატესობას, გასაოცარია, რომ ქრისტიანული გარნიზონები ხშირად უარს ამბობდნენ სიმაგრის კედლების უსაფრთხოებაზე და გარეთ ხვდებოდნენ მუსლიმურ არმიას.<sup>187</sup> როგორც ქ. მარშალი წერს, „ქრისტიანთა თავდაცვის აგრესიული მხარე გამოიხატებოდა მათ მზადყოფნაში შეხვედროდნენ მტერს ციხის კედლებს გარეთ და მოეწყობათ გამობდომები“.<sup>188</sup>

<sup>184</sup> Киракос Гандзакечи, *История Армении*, перевод с древнеармянского, предисловие и комментарий Л.А.Ханларян (Москва, 1976), 157.

<sup>185</sup> V. Minorsky, *Persia in A.D. 1478-1490: An Abridged Translation of Fadlullah b. Ruzbihan Khunji's Tarikh-i 'Alam-ara-yi Amini* (London, 1957), 51.

<sup>186</sup> Christopher Marshall, *Warfare in the Latin East, 1192-1291* (Cambridge, 1992), 237.

<sup>187</sup> იქვე, 236.

<sup>188</sup> იქვე, 236.

საინტერესოა, რომ ასეთ ეპიზოდებს, მრავალრიცხოვანი მოაღყის წინააღმდეგ მეციხოვნეთა თამამ გამოხდომებს, მრავლად ვიპოვით შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიაშიც. ძნელია ერთმნიშვნელოვანი ახსნა მოუძებნო ქართველთა ასეთ განწყობას, თუმცა, თავის როლს ითამაშებდა ჯვაროსანთა და ქართველთა მსგავსი რაინდული ფსიქოლოგია. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჯვაროსნებს და ქართველებს მუდმივ გარემოცვაში და მრავალრიცხოვანი მტრის წინააღმდეგ ბრძოლა უწევდათ, რაც ჯვაროსანთა მსგავსად, ალბათ ქართველებსაც კარნახობდა ბრძოლის აგრესიულსტილს, რომელსაც მოწინააღმდეგე ყოველთვის უნდა უფრთხოდეს.

1064 წელს ალფ-არსლანის შემოსევის დროს, ქართველთა გარნიზონმა ზღუდე გაუსრულებელ ახალქალაქში თავდაცვას, მტერთან ღია ბრძოლა ამჯობინა: „მესხნი აზნაურნი და ზემოსა კერძისანი ძლიერად დგეს ახალქალაქს, და ბრძოდეს სამ დღე, რამეთუ არა ზღუდითა მტკიცითა განსრულებულ იყო ახალქალაქი. ვერლარა დაუდგმიდეს ბრძოლათა ძლიერთა, აღიჭურნეს მყოფნი ქალაქისანი, და განახუნეს კარნი, და შეებნეს ძლიერად“.<sup>189</sup> მუსლიმთა მსხვერპლს და ქართველთა გამობდომას იბნ ალ-ასირიც მოწმობს.<sup>190</sup> სადრ ად-დინ ალ-ჰუსაინის მიხედვით, მხოლოდ სულთნის ჩარევამ იხსნა სელჩუკები, რომლებიც უკან იხევდნენ ქართველთა შეტევის შედეგად.<sup>191</sup>

ამასთანავე, ქართველი მეციხოვნეები სულაც არ მიმართავდნენ გამობდომებს მხოლოდ გაუმართავი ფორტიფიკაციების პირობებში. 1226 წელს ჯალალ ად-დინის თბილისზე შეტევის დროს „მცველნი ქალაქისანი აღიჭურნეს, და იქმნა ძლიერი ბრძოლა. და ბრწყინვალე ძლევა აჩუენეს ქართველთა“.<sup>192</sup> ქალაქის მცველთა გამობდომას ან-ნასავიც აღნიშნავს.<sup>193</sup>

1386 წელს უკვე თემურ-ლენგმა შემოარტყა ალყა თბილისს. ბაგრატ V-მ მობილიზაციის ჩატარება ვერ მოასწრო, მას თან მხოლოდ საკუთარი პირადი რაზმი ახლდა. მიუხედავად ამისა, ქართველები სიმაგრეში ყრუდ არ

<sup>189</sup> მატეიანე ქართლისა, 306.

<sup>190</sup> *The Annals of the Saljuq Turks: Selections from al-Kamil fi'l-Ta'rikh of 'Izz al-Din Ibn al-Athir*, translated and annotated by D. S. Richards (London, 2002), 154.

<sup>191</sup> ал-Хусайни, *Ахбар ад-даулат ас-сельджукийа*, 50. ასეთი მაგალითი ჯვაროსნებთანაც შეგვიძლია ვიპოვოთ. 1278 წელს ანტიოქიის მმართველმა ბოემუნდმა ალყა შემოარტყა გიბელეტს (ბიბლოსი). ქალაქის ფორტიფიკაციები წესრიგში არ იყო და ემბრიაკომ პასიურ თავის დაცვას ციხის კედლებს გარეთ ბრძოლა ამჯობინა. Marshall, *Warfare in the Latin East*, 138.

<sup>192</sup> ჟამთააღმწერელი, *ასწლოვანი მატეიანე*, 59.

<sup>193</sup> Шихаб ад-Дин Мухаммад ан-Насави, *Сират ас-султан Джалал ад-Дин Манкбурны (Жизнеописание султана Джалал ад-Дина Макбурны)*, издание критического текста, перевод с арабского, предисловие, комментарий, примечания и указатели З.М. Бунятова (Москва, 1996), 162.

ჩაკეტილან და მტერს აგრესიული ტაქტიკა დაუპირისპირეს: „მეიტვენეს ბანაკსა მათსა მეფე ბაგრატ და სპანი ქართველთანი... და იქმნა ბრძოლა ძლიერი იმიერ და ამიერ, და მოისრა ორ-კერძოვე სიმრავლენი სპათანი, და უფროსლა უმრავლესნი მოსწყდეს სპანი ლანგ-თემურისანი“.<sup>194</sup>

1403 წელს, ბირთვისის ალყისას, ქართველნი მეციხოვნენი ისევ გამოუხდნენ თემურის ლაშქარს: „მაშინ მიადგეს მას ციხესა სიმრავლენი სპათანი, და გამოვიდეს ციხოსანნიცა იგი ჭაბუკნი რჩეულნი, მეიტვენეს და... მრავალნი სულნი მოსრეს პირითა მახკლისათა“.<sup>195</sup> ბირთვისის გარნიზონის გამობდომებს ციხის კარიბჭიდან მუინ ად-დინ ნათანზიც ადასტურებს.<sup>196</sup>

როგორც ვხედავთ, მიუხედავად მასალის სიმწირისა და იმ უყურადღებობისა, რასაც ჩვენი მატრიანეები იჩენენ ციხე-სიმაგრეთა ალებისა და დაცვის მიმართ, ზოგადი სურათის წარმოჩენა მაინც შესაძლებელია. არსებული მონაცემებით არ ჩანს, რომ ქართველები ყველა იმ ხერხს ან იარაღს იყენებდნენ, რასაც შუა საუკუნეების სამყარო იცნობდა, მაგრამ იმის თქმა კი გადაჭრით შეუძლებელია, რომ ქართველები იცნობდნენ და წარმატებით იყენებდნენ პოლიორკეტიკის ძირითად მეთოდებს.

### ბიბლიოგრაფია

აბდალაძე ალექსანდრე. სომხურ ხელნაწერთა X-XIII საუკუნეების ანდერძ-მინაწერების ცნობები საქართველოს შესახებ. თბილისი, 2005

არისტაკეს ლასტივერტეცი. ისტორია. ქართული თარგმანი გამოკვლევით, კომენტარებითა და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა. თბილისი, 1974

ბასილი ეზოსმოდღუარი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959

ბერაძე თ. ვანის რაიონის ისტორიული გეოგრაფიიდან. ვანი III: არქეოლოგიური გათხრები. რედ. ოთარ ლორთქიფანიძე. თბილისი, 1977

ბერძენიშვილი დევი. ძველი საქართველოს ციხესიმაგრეთა ზოგიერთი სახეობა წერილობითი წყაროების მიხედვით. ანალები, 1, 2007

ბერძენიშვილი ნიკო. ჯავახეთის 1933 წლის ექსპედიციის დღიური. საქართველოს ისტორიის საკითხები. ნ. I. თბილისი, 1964

<sup>194</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II (თბილისი, 1959), 450.

<sup>195</sup> იქვე, 470.

<sup>196</sup> დავით კაციტაძე, საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე (სპარსული და სპარსულენოვანი წყაროების მიხედვით) (თბილისი, 1975), 156.

ჟაკ ფრანსუა გამბა. მოგზაურობა ამიერკავკასიაში. ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა. ტ. I. თბილისი, 1987  
 გძელიშვილი ი. სამთო წარმოება და რკინის მეტალურგია XII საუკუნის საქართველოში. მეცნიერება და ტექნიკა, 4, 1964

გძელიშვილი ი. სამთო საქმე და რკინის მეტალურგია შუაფეოდალურ ხანაში (საქართველო და ევრაზიის სხვა ქვეყნები). ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, I, 1969

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბილისი, 1955

ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი, 1973

ზაქარაია პარმენ. ქართულ ციხესიმაგრეთა ისტორია უძველესი დროიდან XVIII ს. ბოლომდე. თბილისი, 2002

იაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. არაბული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავალით გამოსცა ეთერ სიხარულიძემ. ნაკვ. 1. თბილისი, 1964

ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959

კაციტაძე დავით. საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე (სპარსული და სპარსულენოვანი წყაროების მიხედვით). თბილისი, 1975

ლომთათიძე გ. საქართველოს ნაციხვართა არქეოლოგიისათვის. ძეგლის მეგობარი, 14, 1968

ლომთათიძე გ. ქალაქი რუსთავი არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით. რუსთავი: არქეოლოგიური გათხრები 1946-1965. თბილისი, 1988

ლორთქიფანიძე გ. საბრძოლო და სამეურნეო იარაღი. ვანი II: არქეოლოგიური გათხრები. რედ. ოთარ ლორთქიფანიძე. თბილისი, 1976

მატიანე ქართლისა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბილისი, 1955

მარგიშვილი სოსო. მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ: ომი სელჯუკთა სამყაროს წინააღმდეგ. თბილისი, 2006

მარგიშვილი სოსო. შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორია IX-XV საუკუნეებში. ნაწ. I. თბილისი, 2008

მინდორაშვილი დავით. უფლისციხე შუა საუკუნეებში. თბილისი, 2008

მოვსეს კალანკატუაცი. აღვანთა ქვეყნის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლიანა დავლიანიძე-ტატიშვილმა. თბილისი, 1985



მუსხელიშვილი დავით. შინაკლასობრივი ბრძოლის ერთი მომენტის ისტორიულ-გეოგრაფიული საფუძველი. ძეგლის მეგობარი, 21, 1970

მშვენიერაძე დომენტი. ტექნიკის ლექსიკური მასალები ქართულ წერილობით ძეგლებში. თბილისი, 1961

ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატყანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რევაზ კიკნაძემ. თბილისი, 1987

ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ. ტ. I. ტფილისი, 1892

სამუშია ჯაბა. ციხე-სიმაგრეების აღების ხელოვნება XI-XII საუკუნეების საქართველოში. საისტორიო ძიებანი, ტ. X-XI, 2008

სამუშია ჯაბა. ბაგრატ III-ის ლაშქრობა განძის საამიროს წინააღმდეგ. თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, 4, 2011

სიხარულიძე, ე. ალ-ფარიკი საქართველოში. სემიტოლოგიური ძიებანი. ტ. II. თბილისი, 1985

სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ. ტ. I-II. თბილისი, 1991-3

ფარსადან გორგიჯანიძე. ისტორია. ამონაბეჭდი „საისტორიო მოამბიდან“, ნ. II, 1925. ტფილისი, 1926

ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959

ყაუხჩიშვილი თინათინ. ბერძნული წარწერები საქართველოში. თბილისი, 1951

შაიშმელაშვილი ივანე. ჩაუქრობელი დიდების ქალაქი. თბილისი, 1987

ჭილაშვილი ლევან. ნაქალაქარი ურბნისი. თბილისი, 1964

ჭილაშვილი ლევან. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. ტ. II. თბილისი, 1970

ჭილაშვილი ლევან. ტოპონომიკური შენიშვნები. თბილისი, 2001

ჯაფარიძე გოჩა. ნაჯმ ად-დინ ილ-ლაზი. კრ. დავით აღმაშენებელი. თბილისი, 1990

ჯაფარიძე გოჩა. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში. თბილისი, 1995

Анчабадзе Г.З. Источниковедческие Проблемы Военной Истории Грузии (Исследование Грузинских Исторических Сочинений). Тбилиси, 1990

Виноградов А.Ю. Эпиграфика надписи с Анакопийской горы. Искусство Абхазского царства VIII-XI веков. Санкт-Петербург, 2011

Киракос Гандзакечи. История Армении. Перевод с древнеармянского, предисловие и комментарий Л.А.Ханларян. Москва, 1976

Шихаб ад-Дин Мухаммад ан-Насави. Сират ас-султан Джалал ад-Дин Манкбурны (Жизнеописание султана Джалал ад-Дина Макбурны). Издание критического текста, перевод с арабского, предисловие, комментарий, примечания и указатели З.М. Буниятова. Москва, 1996

Садр ад-Дин Али ал-Хусайни. Ахбар ад-даулат ас-сельджукийя. Сообщения о Сельджукском государстве. Сливки летописей, сообщающих о сельджукских эмирах и государях. Издание текста, перевод, введение, примечания и приложения З.М. Буниятова. Москва, 1980

Albert of Aachen. *Historia Ierosolimitana: History of the Journey to Jerusalem*. Edited and Translated by Susan B. Edgington. Oxford, 2007

The Annals of the Saljuq Turks: Selections from al-Kamil fil-Tarikh of Izz al-Din Ibn Al-Athir. Translated and Annotated by D. S. Richards. London, 2002

Ayalon, David. Hisar: The Mamluk Sultanate. Encyclopaedia of Islam. 2nd Ed. Vol. III. 1971

Bachrach, Bernard S. Medieval Siege Warfare: A Reconnaissance. *Journal of Military History*, 58, 1994

Basista, Michael. Hybrid or Counterpoise? A Study of Transitional Trebuchets. *Journal of Medieval Military History*, vol. V, 2007

Bradbury, Jim. *The Medieval Siege*. Woodbridge, 1992

A Byzantine Instructional Manual on Siege Defense: The *De obsidione toleranda*. Introduction, English Translation and Annotations by Denis F. Sullivan. In *Byzantine Authors: Literary Activities and Preoccupations. Texts and Translations Dedicated to the Memory of Nicolas Oikonomides*. Ed. by John W. Nesbitt. Leiden, 2003

Cahen, Claude. Hisar: General Remarks. Encyclopaedia of Islam. 2nd Ed. Vol. III. 1971

The Chronicle of Matthew of Edessa. Translated from the Original Armenian with a Commentary and Introduction by Ara Edmond Dostourian. Lanham, 1993

Chevedden, Paul E., Les Eigenbrod, Vernard Foley, and Werner Soedel. The Trebuchet. *Scientific American*, July 1995

Chevedden, Paul E. Artillery in Late Antiquity: Prelude to the Middle Ages. In *The Medieval City Under Siege*. Ed. by Ivy A. Corfis and Michael Wolfe. Woodbridge, 1995

Chevedden, Paul E. The Hybrid Trebuchet: The Halfway Step to the Counterweight Trebuchet. In *On the Social Origins of Medieval Institutions. Essays in Honor of Joseph F. O'Callaghan*. Ed. by Donald J. Kagay and Theresa M. Vann. Leiden, 1998

Chevedden, Paul E. Fortifications and the Development of Defensive Planning in the Latin East. In *The Circle of War in the Middle Ages: Essays on Medieval Military and Naval History*. Ed. by D. J. Kagay and L. J. Andrew Villalon. Woodbridge, 1999

Chevedden, Paul E. The Invention of the Counterweight Trebuchet: A Study in Cultural Diffusion. *Dumbarton Oaks Papers*, vol. 54, 2000

Contamine, Philippe. *War in the Middle Ages*. Oxford, 1984

Dawson, Timothy. *Byzantine Infantryman: Eastern Roman Empire c.900-1204*. Oxford, 2007

Dennis, George T. *Byzantine Heavy Artillery: The Helepolis*. *Greek, Roman and Byzantine Studies*, 39, 1998

DeVries, Kelly. *Medieval Military Technology*. Peterborough, 1992

Edbury, Peter. *Warfare in the Latin East*. In *Medieval Warfare: A History*. Ed. by Maurice Keen. Oxford, 1999

France, John. *Victory in the East: A Military History of the First Crusade*. Cambridge, 1994

France, John. *Crusading Warfare and its Adaptation to Eastern Conditions in the Twelfth Century*. *Mediterranean Historical Review*, 15, 2000

Gillmor, Carroll. *The Introduction of the Traction Trebuchet into the Latin West*. *Viator*, 12, 1981

Gravett, Christopher. *Medieval Siege Warfare*. Oxford, 1990

Heron of Byzantium. *Parangelmata Poliorcetica*. Ed. Denis F. Sullivan, *Siegecraft: Two Tenth-Century Instructional Manuals by "Heron of Byzantium"*. Washington, 2000

Heron of Byzantium. *Geodesia*. Ed. Denis F. Sullivan, *Siegecraft: Two Tenth-Century Instructional Manuals by "Heron of Byzantium"*. Washington, 2000

Hill, Donald R. *Trebuchets*. *Viator*, 4, 1973

Hindley, Geoffrey. *Medieval Sieges and Siegecraft*. New York, 2009

*The History of Leo the Deacon: Byzantine Military Expansion in the Tenth Century*. Introduction, translation, and annotations by Alice-Mary Talbot and Denis F. Sullivan with the assistance of George T. Dennis and Stamatina McGrath. Washington, 2005

Hoffmeyer, Ada Bruhn. *Military Equipment in the Byzantine Manuscript of Skylitzes*. *Gladius*, V, 1966

James, Simon. *Excavations at Dura-Europos 1928-1937. Final Report VII: The Arms and Armour and other Military Equipment*. Oxford, 2010

Jones, Richard L. C. *Fortifications and Sieges in Western Europe, c.800-1450*. In *Medieval Warfare: A History*. Ed. by Maurice Keen. Oxford, 1999

Marshall, Christopher. *Warfare in the Latin East, 1192-1291*. Cambridge, 1992

McCotter, Stephen. *Byzantines, Avars and the Introduction of the Trebuchet*. [<http://www.deremilitari.org/resources/articles/mccotter1.htm>]. The Queen's University of Belfast, 2003

McGeer, Eric. *Tradition and Reality in the "Taktika" of Nikephoros Ouranos*. *Dumbarton Oaks Papers*, vol. 45, 1991

McGeer, Eric. *Byzantine Siege Warfare in Theory and Practice*. In *The Medieval City Under Siege*. Ed. by Ivy A. Corfis and Michael Wolfe. Woodbridge, 1995

McGlynn, Sean. *By Sword and Fire: Cruelty and Atrocity in Medieval Warfare*. London, 2009

McGlynn, Sean. *Siege Warfare: Tactics and Technology*. *The Oxford Encyclopedia of Medieval Warfare and Military Technology*. Vol. 3. New York, 2010

- Minorsky, V. *Persia in A.D. 1478-1490: An Abridged Translation of Fadlullah b. Ruzbihan Khunji's Tarikh-i 'Alam-ara-yi Amini*. London, 1957
- Nicephoros Ouranos. *Taktika*. Ed. Eric McGeer. In *Sowing the Dragon's Teeth: Byzantine Warfare in the Tenth Century*. Washington, 1995
- Nicholson, Helen. *Medieval Warfare: Theory and Practice of War in Europe 300-1500*. New York, 2004
- Nicolle, David. *The Crusades*. Oxford, 1988
- Nicolle, David. *Attila and the Nomad Hordes*. Oxford, 1990
- Nicolle, David. *Hattin 1187: Saladin's Greatest Victory*. Oxford, 1993
- Nicolle, David. *Medieval Siege Weapons: Western Europe AD 585-1385*. Oxford, 2002
- Nicolle, David. *Medieval Siege Weapons: Byzantium, the Islamic World and India AD 476-1526*. Oxford, 2003
- Nicolle, David. *Acre 1291: Bloody Sunset of the Crusader States*. Oxford, 2005
- Nicolle, David. *Crusader Warfare: Muslims, Mongols and the Struggle against the Crusades 1050-1300 AD*. Vol. II. London, 2007
- Purton, Peter. *The Myth of the Mangonel: Torsion Artillery in the Middle Ages*. *Arms and Armour*, vol. 3, no. 1, 2006
- Purton, Peter. *A History of the Early Medieval Siege, c.450-1220*. Woodbridge, 2009
- Purton, Peter. *A History of the Late Medieval Siege, 1200-1500*. Woodbridge, 2010
- Rogers, Randall. *Latin Siege Warfare in the Twelfth Century*. Oxford, 1992
- Strickland, Matthew. *War and Chivalry: The Conduct and Perception of War in England and Normandy, 1066-1217*. Cambridge, 1996
- Sullivan, Denis. *Tenth Century Byzantine Offensive Siege Warfare: Instructional Prescriptions and Historical Practice*. In *Byzantium at War (9th-12th Century)*. Athens, 1997
- Tarver, W. T. S. *The Traction Trebuchet: A Reconstruction of an Early Medieval Siege Engine*. *Technology and Culture*, Vol. 36, No. 1, 1995
- Usamah Ibn-Munqidh. *An Arab-Syrian Gentleman and Warrior in the Period of the Crusades*. *Memoirs of Usamah Ibn-Munqidh (Kitab al-I'Tibar)*. Translated from the Original Manuscript by Philip K. Hitti. New York, 2000
- Vegetius: *Epitome of Military Science*. Translated with Notes and Introduction by N. P. Milner. 2nd ed. Liverpool, 1996
- Walter the Chancellor. *The Antiochene Wars. A Translation and Commentary* by Thomas S. Asbridge and Susan B. Edgington. Aldershot, 1999
- Wiggins, Kenneth. *Siege Mines and Underground Warfare*. Buckinghamshire, 2003
- Wise, Terence. *Medieval Warfare*. New York, 1976



1



2

სურ. 1 მინიატურის ცენტრში (სავარაუდოდ) მოუხეშავად გამოსახული ტრაქციული ტრეზუშეტიკა. ჯრუჭის მეორე ოთხთავი (ხელნაწერი H1667), გვ. 111r, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

სურ. 2 ბალისტის ისარი: ა) წინა და ბ) უკანა მხარე, გ) ისრის ტანი.



3

4



სურ. 3 მშვილდოსანთა საფარქვეშ კიბეებით შეტევა ციხეზე. ჯრუჭის მეორე ოთხთავი, გვ. 186v-ს ფრაგმენტი, ხელნაერთა ეროვნული ცენტრი.

სურ. 4 ქვის სროლა ფარის საფარქვეშ. ჯრუჭის II ოთხთავი, გვ. 111r-ის ფრაგმენტი, ხელნაერთა ეროვნული ცენტრი.



5

სურ. 5 მეციხოვნე საგანგებოდ მომრგვალებულ ქვას ესვრის მოიერიშეებს. H1665 დავითნი, გვ. 212v-ს ფრაგმენტი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

## Medieval Georgian Poliorcetics

*Mamuka Tsurtsunia*

### Summary

In the medieval art of war siege constituted one of the principal forms of fight. Several basic techniques were used in taking a stronghold, such as assaulting the walls of the fortress, breaching the wall, digging a subterranean tunnel under the wall and enfeeblement of the garrison by lengthy siege.

Bearing in mind various data, in the Middle Ages Georgians used the following technical means to capture fortresses: assault ladders, battering rams and other engines for breaching walls, ballistas, stone throwing engines and subterranean tunnels. Against the background of a discussion of medieval siege engineering, light is shed in the article on the siege potentialities of the Georgian army of the period. Extensively discussed are the Georgian army's stone throwing artillery, various types of stone hurling engines and the time of their spread in Georgia; the origin and the meaning of the Georgian term *pilakavani* is determined. The term itself shows that traction trebuchets came from Sassanian Iran towards the close of the 6th or early 7th century. The first evidence on the use of traction trebuchet occurs in the siege of Tbilisi in 627 by the Emperor Heraclius and the Khazars. As to a counterweight trebuchet, it must have become known in Georgia in the reign of David IV (1089-1125). In the Didgori battle the victorious Georgians seized new types of trebuchets; these were, conjecturally, counterweight trebuchets in Il-Ghazi's siege train.

The large-sized arrowhead – probably a ballista arrow – preserved in the National Museum of Georgia is described in the paper.

Various techniques of capturing fortresses, applied by the Georgians are described. These include mounting the walls with ladder or various improvised means. The hazardous technique of directly assaulting the fortress without preliminary preparation or bringing up heavy siege engines is shown. The attackers tried to mount the wall by ladders, being supported by intensive shooting of arrows, which prevented the garrison from counterattacking. If such a risky assault proved successful, the attacking side – at the cost of original losses – would avoid a long siege with its attending difficulties. A 12th century miniature is presented depicting the taking of a stronghold by the Georgians using this technique.



The capturing of fortresses by means of underground tunnels is discussed separately. Building tunnels was heavy, long and hazardous labour, requiring specific training in engineering and coordinated work. The Georgians had engineers and knowledge of building tunnels. Archaeological studies show that Georgian miners were well-versed in the art of management of the ceilings of mines, which was of major importance for safety. Ventilation was so good that a strong fire could be built in the tunnel. This knowledge was of major importance both in the process of building a tunnel and at the last stage when a fire was lit under a tower or wall in order to demolish it.

Blocking a fortress through siege was a bloodless method but it tied down the army for a long period of time around the fortress and economically was highly disadvantageous. Siege was a rather costly undertaking, for the besieging army needed full-valued supplies. Medieval Georgian army was capable of carrying on long-term siege, pointing to the high level of its organization and discipline. Besides, long-term siege required enormous resources; and the capacity of carrying on a long siege points to well-organized military and state structure. Beginning with the 11th century, Georgian armies conducted such sieges fairly often.

Some space is devoted in the article to the capture of fortresses by indirect methods, e.g. intimidating the garrison by encroaching on the life of its master which was widely practised in Georgia.

Theoretical premises of defending fortresses and relevant practical measures are discussed separately.

By the available evidence it is not apparent that Georgians made use of all the siege techniques known in the medieval world; however, it can be said that they were familiar with and used successfully the basic methods of poliorcetic.

## VIII

### ქობერის I და II სამეცნიერო ექსპედიციის პირველადი შედეგები (საინფორმაციო მიმოხილვა)

გიორგი კალანდია  
ქეთევან ასათიანი

ქართულ ეპიგრაფიკულ წყაროებს შორის გამორჩეული ადგილი უკავია თანამედროვე სომხეთის ტერიტორიაზე განთავსებული ქობერის მონასტრის წარწერებს. ეს ეპიგრაფიკული ძეგლები ქართველ და სომეხ მეცნიერთა დიდი ყურადღების საგანი ყოველთვის იყო, თუმცა ერთი მხრივ ისტორიული ძეგლის განთავსების გეოგრაფიული არეალი და მეორე მხრივ ტაძრის ტერიტორიაზე ჩამოყრილი სამშენებლო ქვები თუ ლოდები ართულებდა საფლავების უცნობი ქართული ეპიტაფიების გამოვლენას.

მიმდინარე წლის 9 და 17 ივლისს ტურისტული კომპანია Good Travel-ის დახმარებით 2 სამეცნიერო ექსპედიცია მოეწყო. ჩატარებულმა სამუშაომ მოლოდინი გაამართლა. ამ ეტაპზე გადაღებულია 19 საფლავის ქვა, გაკეთებულია თითოეული მათგანის პალეოგრაფიული ასლი და გაშიფრულია დღემდე უცნობი უაღრესად საინტერესო 9 ეპიტაფია.

სანამ უშუალოდ ექსპედიციის შედეგებზე ვისუბრებთ, მოკლედ მიმოვიხილავთ ქობერის ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლის ისტორიას. ნამონასტრალის ქართული წარწერები მართალია ფრაგმენტულად, მაგრამ ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გამოსცა აკადემიკოსმა მარი ბროსემ.<sup>1</sup> იგივე წარწერები, შეძლებისდაგვარად აღდგენილი სახით გამოაქვეყნა თედო ჟორდანიამ.<sup>2</sup> 1926 წელს ლეონ მელიქსეთ-ბეგმა ქობერსა და მის სომხურ-ქართულ წარწერებს საგანგებო ნაშრომი მიუძღვნა, თუმცა პუბლიკაციაში მხოლოდ ორი ქართული ეპიტაფია შეიტანა.<sup>3</sup> მნიშვნელოვანი წვლილი დასდო ქობერის შესწავლას

<sup>1</sup> M. Brosset, Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, Livr. 3 (St-Pétersbourg, 1851), VI rapp., Appendice, 40-2.

<sup>2</sup> თედო ჟორდანიამ, ქრონიკები, წ. II (ტფილისი, 1897), 168.

<sup>3</sup> ლეონ მელიქსეთ-ბეგი, „ქობერი და მისი სომხური და ქართული წარწერები“, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VIII (1926), 60-73.

პროფესორმა პარუირ მურადიანმა, მის მიერ სომხურ ენაზე გამოქვეყნებულ ნიგნში „სომხეთის ქართული წარწერები. წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა“ წარწერების გაშიფვრასთან ერთად მეცნიერმა მოხსენიებულ ისტორიულ პირთა იდენტიფიკაცია მოახდინა, მაგრამ ნაშრომში მხოლოდ 11 ეპიტაფია შევიდა და ისიც პალეოგრაფიული ასლების გარეშე.<sup>4</sup>

ქობერის საფლავის წარწერებს საყურადღებო ნაშრომი უძღვნა პროფესორმა ვალერი სილოგავამ,<sup>5</sup> მან საინტერესო ანალიზითა და პალეოგრაფიული ასლების თანხლებით ორი წარწერის გამოქვეყნება შეძლო, თუმცა იქვე დასძინა: „ქობერის მონასტრის ეზოში, ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ეს წარწერები აღმოჩნდა, კიდევ არის მოსალოდნელი სხვა დღემდე უცნობი საფლავის ქვების ქართული წარწერების გამოვლენა“.<sup>6</sup>

ჩვენს მიერ მიკვლეული და გადმოღებული წარწერებიდან პირველ რიგში იმ ეპიტაფიებს შემოგთავაზებთ რომლებიც დღემდე უცნობი იყო და XIII-XIV საუკუნეების საქართველოს ხელისუფლებისა თუ მაღალი სამხედრო არისტოკრატის წარმომადგენლებს ეკუთვნის.

მამ ასე, კომპლექსის აღმოსავლეთით მდგარი პატარა სამლოცველოს მარჯვენა მხარეს, ხელოვნურად მოვაკებულ ტერასის შუაში მოთავსებულია ერთი სამარის ლოდი, ზომით 126X77 სმ. მასზე წარმოდგენილია სამსტრიქონიანი ლამაზი ხელით შესრულებული შემდეგი შინაარსის ასომთავრული წარწერა:

**ესე სფლავი შნშეს მწიგნ  
ბთუხცესისა: მათესი და მ  
ისისა: მეღლესი: თნისი: შნ ღნ**

სე სფლავი შნშეს მწიგნ  
ბთუხცესისა: მათესი და მ  
ისისა: მეღლესი: თნისი: შნ ღნ

გაშიფვრის შემდეგ წარწერა ასეთ სახეს მიიღებს

**ესე საფლავი შანშეს მწიგნ-  
ობართუხუცესისა მათესი და მისისა  
მეუღლისა თეონასი. შეუნდვენ ღმერთმან**


ასოების ზომა დაახლოებით 6 სანტიმეტრია. შესრულებულია ლამაზი,

<sup>4</sup> პარუირ მურადიანი, *სომხეთის ქართული წარწერები. წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა*, სომხურ ენაზე (ერევანი, 1977), 160-89.  
<sup>5</sup> ვალერი სილოგავა, „სომხეთის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების გამოცემის შესახებ“, *მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია*, 2 (1980), 142-75.  
<sup>6</sup> ვალერი სილოგავა, „ზოგიერთი ახალი მასალა ქობერის ქართული ეპიტაფიების შესახებ“, *ეპიგრაფიკული ეტიუდები და შენიშვნები*, 4 (1990), 111-7.

კალიგრაფიული, კარგად გამოკვეთილი ასომთავრულით. ასოებს შორის პროპორციები მკაცრად არის დაცული. ტექსტს უჭირავს საფლავის ქვის მხოლოდ ზედა ნაწილი. ხშირად ტექსტის ნაწილი ლიგატურებითაა წარმოდგენილი. აქვს გამყოფი წერტილები. პალეოგრაფიული მონაცემებით საფლავის ქვა XIV საუკუნეს არ აღემატება.

მთავარი ეკლესიის ჩრდილოეთ კედელთან ან უკვე დანგრეულ ეკვდერში მოთავსებულია საშუალო ზომის (96X60 სმ) ლამაზად გაფორმებული საფლავის ქვა 6 სტრიქონიანი ლამაზი ასომთავრული წარწერით:

**ესე საფლავი: ჩემ ცოდვილი  
სა ივანე მნდატურთხუც  
ესისა ძისა და ათაბაქისა: შ  
ანშეს ძმისა ბერისა პიმე  
ნიფსი ლოცვსა: მმ  
იხსენებდეთ**



გაშიფვრის შემდეგ წარწერა ასე წაიკითხება:

**ესე საფლავი: ჩემ ცოდვილისა  
ივანე მანდატურთხუცესისა  
ძისა და ათაბაქისა  
შანშეს ძმისა ბერისა  
პიმენიფსი ლოცვასა მომიხსენებდეთ**

ექსპედიციის წევრებმა ქობერის ეკვდერებისა და სხვა ნაგებობების ეპიტაფიების გადაღების შემდეგ, მიმდებარე ტერიტორიის შესწავლა დაიწყეთ, სწორედ ამ დროს ხევის პირას ჩვენი ჯგუფის წევრმა – ნოე ელიზბარაშვილმა სრულიად შემთხვევით საფლავის ქვის დიდ ფრაგმენტს მიაგნო, (54X43) რომელზეც შემდეგი სახის სამ სტრიქონიანი ასომთავრული წარწერა იყო შესრულებული:

**ფლვი დდ ათ  
ისა შენშეს: ძეს  
ამისპლ შლ**



ამ თითქოს ძალიან ფრაგმენტული წარწერიდან შემდეგი შინაარსის აღდგენა შეიძლება:

**[ესე სა]ფლავი დიდისა  
[ათაბაქისა] შენშეს ძეს  
ამირსპასალარს შალვას  
[შეუნდოს ღმერთმან]**

მკითხველისთვის ცხადია, რომ ეს ყველა უცნობი წარწერა მანდატურთუხუცეს ივანეს და მისი ძის შანშეს ახლო გარემოცვის წევრებს ეკუთვნით. ვეცდებით შეძლებისდაგვარად წარმოვადგინოთ მათი იდენტიფიკაცია.

სურათის სიცხადისთვის აქვე წარმოვადგენთ იმ ორ ეპიტაფიასაც რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე ცნობილი იყო და ზემოხსენებულ ივანესა და შანშეს უკავშირდება.

პირველი მათგანი შვიდ სტრიქონიანია და ასე იკითხება:

**ესე საფლ(ა)ვი ივ(ა)ნე  
მ(ა)ნდატურთუც(უ)ცესისა  
ძისა და ათ(ა)ბ(ა)გისა  
შ(ა)ნშ(ეს) ძმისა ათ(ა)ბ(ა)-  
გისა ვ(ა)ჰ-  
რ(ა)მისი. შ(ე)უნდვენ  
ღ(მ)ერთმან.<sup>7</sup>**

ესე საფლავი ივანე  
მანდატურთუცესისა  
ძისა და ათაბაგისა  
შანშეს ძმისა ათაბ-  
გისა ვაჰ-  
რამისი. შეუნდვენ  
ღმერთმან

საფლავის ქვის ზომაა 201X85. ნაწილობრივ მინაშია ჩათხრილი და დანესტიანებული. ბოლო ნაწილი – გადატეხილი. ქვა საკმაოდ დიდი ზომისაა. ასოების საშუალო ზომაა 10 სმ. საოცრად კოხტად შესრულებული ასომთავრული წარწერა საგანგებო, ორნამენტირებულ ჩარჩოშია ჩასმული.

მეორე ცნობილი წარწერა ოთხი სტრიქონისაგან შედგება:

**ესე ს(ა)ფლ(ა)ვი ივ(ა)ნე მ(ა)ნდ-  
ატ(უ)რთ(უ)ხ(უ)ც(ე)სისა ას(უ)ლისა და გურკენე-  
ლისა ს(უ)ლას მეუღლისა  
თამ(ა)რისი. შ(ე)უნდვენ ღ(მ)ერთმან.<sup>8</sup>**

ესე საფლავი ივანე  
მანდატურთუცესისა  
ასლისა და გურკენე-  
ლისა სულას  
მეუღლისა  
თამარისი. შეუნდვენ  
ღმერთმან

ეს საფლავი ვაჰრამის საფლავის გვერდზეა. ქვის მთლიანი ზომაა 183X76.


<sup>7</sup> მურადიანი, სომხეთის ქართული წარწერები, 178.

<sup>8</sup> იქვე, 178.

ისიც არის მიწაში ნაწილობრივ ჩაფლული და დანესტიანებული. ასოების აშუალო ზომა 8 სმ-ს წარმოადგენს. წარწერა, რომელიც ასომთავრულითაა შესრულებული აქაც ორნამენტირებულ ჩარჩოშია ჩასმული.

ყველა წარწერაში სადაც ივანე იხსენიება, საგანგებოდ ხაზგასმულია რომ იგი მანდატურთუხუცესია. ერთადერთი ივანე, ვისაც ეს სახელო XIII საუკუნეში ეკავა ზაქარია მხარგრძელის შვილიშვილი და შანშე მანდატურთუხუცესის (+1261) ვაჟია.<sup>9</sup>

ჩვენს მიერ გამოვლენილი ეპიტაფიები ფასდაუდებელ ინფორმაციას გვაძლევენ მანდატურთუხუცეს ივანე II-ის ოჯახის შესახებ. კერძოდ, დღემდე ცნობილი იყო რომ დემეტრე II-ის სახელგანთქმულ თანამებრძოლს ხუთი ვაჟი: შაჰანშე II, ვაჰრამი, არტაშირი, ალბულა და ზაზა ჰყავდა.<sup>10</sup> საფლავის ქვების წარწერები კი მხარგრძელის კიდევ ერთი ვაჟს ბერ პიმენს და ასულს, სულა გურკნელის მეუღლეს თამარ მხარგრძელს ასახელებენ. ახლადმიკვლეული ეპიტაფიით ივანეს შვილიშვილის, შანშე მეორის ვაჟის შალვას ვინაობას ვგებულობთ, აქვე ისიც ცხადი ხდება რომ შალვა ამირსპასალარი ყოფილა. ამდენად ივანე II მხარგრძელის გენეალოგია იცვლება და შემდეგ სახეს მიიღებს:



განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საფლავის ქვის ორ წარწერაში მოხსენიებულ პირთა წარმომავლობის ფორმულირება. მაგალითისათვის ბერი პიმენი მოიხსენიებულია არა როგორც ივანე მანდატურთუხუცესის შვილი, არამედ ივანეს ძის შანშეს ძმა, იგივენიარად იხსენიება ათაბაგი ვაჰრამიც, არადა ორივე შემთხვევაში წარმოდგენილი ფორმულირება ივანე მანდატურთუხუცესის ძეობას ნიშნავს, რადგან თუ შანშე ივანეს შვილია, შანშეს ძმებიც ივანეს მემკვიდრეები იქნებიან. ასეთივე გარემოებასა აქვს ადგილი კოშის ეკლესიის წარწერაში, სადაც ნათქვამია: „სახელითა ღმრთისაჲთა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისშობლისაჲთა, ჩუენ მანდატურთუხუცესმან ივანე შაჰანშეს და მისთა ძმათა დედამან ხოშამან“.<sup>11</sup>

<sup>9</sup> სილოგავა, „სომხეთის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების გამოცემის შესახებ“, 159.

<sup>10</sup> სილოგავა, „ზოგიერთი ახალი მასალა ქობერის ქართული ეპიტაფიების შესახებ“, 117.

<sup>11</sup> სილოგავა, „სომხეთის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების გამოცემის შესახებ“, 159.

ასეთმა უცნაურმა ფორმულირებამ აკაკი შანიძეს, შოთა მესხიასა და პარუიერ მურადიანს აფიქრებინა, რომ ადგილი გვექონდა pluralis majestatis-თან ანუ „მისთა ძმათა“ „მისისა ძმისას“ მნიშვნელობით გაგებასთან, მაგრამ რატომ იხსენიებიან ივანეს სხვა ძეები როგორც შანშეს ძმები და არა როგორც მანდატურთუხუცესის შვილები? მაშინ, როცა სულა გურკნელის მეუღლე რუსუდანზე პირდაპირ ნათქვამია, რომ იგი ივანე მანდატურთუხუცესის ასულია. ვალერი სილოგავას აზრით ასეთი შემთხვევა კომის ნარწერის გარდა არც ქართულ და არც სომხურ ეპიგრაფიკაში მანამდე ცნობილი არ იყო.<sup>12</sup>

რამდენიმე სიტყვით გვინდა შევჩერდეთ ეპიტაფიებში მოხსენიებული ივანეს უფროსი ვაჟის სახელის ფორმაზე. ერთგან იგი შანშედ, მეორე შემთხვევაში კი შენშედ მოიხსენიება.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ როცა თამარ მეფემ ანისი მაჰმადიან შედადიდებს წაართვა, ისტორიკოსი საგანგებოდ აღნიშნავს: „ნარულო სპარსთა მრავალჟამ მათგან ქონებული „შანშეობისა თანა“.<sup>13</sup>

ამდენად ცხადია რომ ანისის მფლობელებს, ქალაქთან ერთად, მიკუთვნებული ჰქონდათ ძველი სპარსული ტიტული „შაჰანშისა“, რაც ქართულ წყაროებში „შაჰან-შად“, „შაჰანშედ“, „შანშად“ ან „შანშედ“ ითარგმნებოდა. მოგვიანებით ეს თანამდებობა, როგორც ჩანს, მხარგრძელებში საგვარეულო სახელად იქცა. ქობერის საფლავის ეპიტაფიების შემთხვევაში კი შანშეობა მხოლოდ საკუთარ სახელს წარმოადგენდა თუ ანისის მფლობელობასაც ნიშნავდა, მომავალმა კვლევა-ძიებამ უნდა განმარტოს.

ვფიქრობთ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დღემდე გამოუქვეყნებელ და ჩვენს მიერ მიკვლეულ იმ ნარწერას, სადაც შანშეს მნიგნობართუხუცესი მათე და მისი მეუღლე თეონა მოიხსენიებიან. ამ ნარწერით მნიგნობართუხუცესის სახელოს არსებობა პირველად ფიქსირდება მხარგრძელთა ფეოდალურ სამფლობელოში.

მხარგრძელებს, როგორც საქართველოს სხვა მსხვილ დიდებულებს, ჰყავდათ თავიანთი მოხელეები. მხარგრძელთა კარზე ყოფილა „უფროსი მნიგნობრის“ თანამდებობა, რომელიც სტეფანოს ორბელიანის მიერ არის დადასტურებული. მისი ცნობით, ივანე მხარგრძელმა „უბრძანა თავის სამდივნოს უფროს მნიგნობარს სახელად ონოფრეს წასულიყო უფალ სარგისთან და მიეცა მისთვის ჯვარი ჰდანძაჰანქის სავანეს“.<sup>14</sup> ამდენად, ცხადია, რომ ივანეს

<sup>12</sup> იქვე, 159.

<sup>13</sup> ბასილი ეზოსმოდვარი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“, *ქართლის ცხოვრება*, რედ. სიმონ ყაუხჩიშვილი, ტ. II (თბილისი, 1959), 10.

<sup>14</sup> შოთა მესხია, *საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში* (თბილისი, 1979), 206.

ჰქონია სამდივნო, რომელსაც სათავეში ედგა „უფროსი მნიგნობარი“. ისიც უდაოა, რომ „მნიგნობარი“ ქართული ტერმინითაა აღნიშნული, რაც აშკარად მიუთითებს ამ ინსტიტუტის ქართულობაზე. ჩვენი ეპიტაფიის შინაარსიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მოგვიანებით მხარგრძელთა ფეოდალურ სამფლობელოში „უფროსი მნიგნობარი“ ასევე ქართული გავლენით „მნიგნობართუხუცესად“ იქცა.

თუმცა განსაკუთრებით ხაზგასმის ღირსია ის გარემოება, რომ ეს თანამდებობა აღნიშნულია არა როგორც რომელიმე რეგიონის, სამფლობელოს ან მხარის სახელო, არამედ როგორც ერთი ფეოდალის, ამ შემთხვევაში „შანშეს“ პირადი მნიგნობართუხუცესობა. ამასთანავე შანშეს მნიგნობართუხუცესის საკუთარი სახელიდან (მათე) (იგივე შეიძლება ითქვას მეუღლის „თონას“ სახელზე) ჩანს, რომ მისი სამნიგნობროს სათავეში ქართველი მოხელე იდგა, და, ამდენად საქმის წარმოებაც ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. ამასვე ცალსახად ადასტურებს ეპიტაფიის ენობრივი კუთვნილება.

ყოველივე ზემოთქმული კიდევ ერთხელ ამყარებს შოთა მესხიას შემდეგ მოსაზრებას: „საფეოდალო სახლის სამოხელეო აპარატის მონყობა საქართველოს სამეფო კარის აპარატის ანალოგიურად ჩვეულებრივი მოვლენა იყო ფეოდალური საქართველოს სხვა მსხვილი ფეოდალური საგვარეულოებისათვის და ერთხელ კიდევ უსვამს ხაზს, რომ მხარგრძელთა ფეოდალური სახლი თავისი ორგანიზაციით არაფრით განსხვავდებოდა სხვა ქართული საგვარეულო სახლებისაგან“.<sup>15</sup>

საქართველოს სამეფო კარის მსგავსად მხარგრძელთა სამოხელეო აპარატის მონყობაზე მიუთითებს კიდევ რამდენიმე უცნობი ეპიტაფია.

ერთ-ერთ ქვაზე სამი სტრიქონია შემორჩენილი:

ესე სფლავი მსხროთხ  
სსა ო შნ  
ლნ

ჩ შ სჟუ კჟიძი  
სსოიხ ოი ჟნ  
ნი

წარწერა გაშიფვრის შემდეგ ასეთ სახეს მიიღებს:

ესე საფლავი მსახურთუხუცესსა  
ო შეუნდოს ღმერთმან

მართალია წარწერა სულ სამი სტრიქონისაგან შედგებოდა და სამივე

<sup>15</sup> იქვე.



მთლიანადაა შემორჩენილი, მაგრამ განსაკუთრებითაა შერყვნილი სწორედ ის ადგილი, სადაც მსახურთუხუცესის სახელი უნდა ყოფილიყო მინიშნებული. ასომთავრული, რომელიც ნაკლებად დახვეწილია, ვიდრე სხვა ქვებისა, ძნელად იკითხება იმის გამო, რომ ქვა ძლიერ არის დაზიანებული, თითქმის მთლიანად მიწაშია ჩამარხული და მხოლოდ წარწერის ნაწილი ჩანს. ამის გამო მთლიანი ქვის ზომის აღება შეუძლებელი იყო. ასოების ზომა კი საშუალოდ 6 სმ-ია.

მიუხედავად იმისა, რომ სრული ამოკითხვა ამ ეტაპზე შეუძლებელია მთავარი რამ ცხადია, რომ ქობერში მხარგრძელთა ქართული სამოხელეო აპარატის კიდევ ერთი წარმომადგენელი მსახურთუხუცესი ყოფილა დაკრძალული.

ამ სახელოს არსებობა მხარგრძელთა სასახლეში სხვა ცნობებითაც დასტურდება. კერძოდ ბაგნაირის ბიბლიის 1243 წლის მონაცემებით ვგებულობთ, რომ იშხანი, პატრონი ხავრასი ზაქარიასა და ივანეს წინაშე ერთგული მსახურებისათვის გამხდარა ღირსი პატივისა „ქართულად მსახურთუხუცესად წოდებულისა, ჩვენებურად „იშხანთა თავისა“.<sup>16</sup>

ამდენად როგორც წარწერიდან ჩანს, ეს თანამდებობა ქართული სამოხელეო წყობიდან ყოფილა აღებული და მისი ზუსტი შესატყვისი სომხურში არც არსებულა: „იშხანთა თავი“, ცხადია, არ შესატყვისება მსახურთუხუცესის შინაარსს.<sup>17</sup>

სამოხელეო აპარატის მოწყობის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა შემდეგი ეპიგრაფია:

ესე სფლვი მელ  
 ვნთუხცესა  
 ივს: მუღლსა გრჯ  
 იხთნისი შნ ღნ

ⴒⴓⴑⴓⴒⴓ ⴓⴓ  
 ⴒⴓⴑⴓⴒⴓ  
 ⴒⴓⴑⴓⴒⴓⴑⴓⴒⴓ  
 ⴒⴓⴑⴓⴒⴓ ⴑⴓⴒⴓ

წარწერა შემდეგნაირად გაიშიფრება:

ესე საფლავი მელწნეთუხუცესისა  
 ივანეს: მეუღლისა გურჯი ხათუნისი  
 შეუნდვენ ღმერთმან

საფლავის ქვის საერთო ზომებია 174X74. ასოების საშუალო ზომა

<sup>16</sup> Леон Бабаян, *История Армении* (Москва, 1969), 32.

<sup>17</sup> მესხია, *საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში*, 205.

დაახლოები 12 სმ-ს წარმოადგენს. ქვა ტაძრის შესასვლელთან შედარებით გარე ნაწილშია მოთავსებული. ასომთავრულით შესრულებული ასოების სიმეტრია ოდნავ დარღვეულია. ასოები – წაგრძელებული. ქვა მცირედაა დაზიანებული. ეპიტაფია – ძალიან კარგად შემორჩენილი. სიტყვა „მეუღლისა“ ორივე მხრიდან ორწერტილით არის გამოყოფილი.

წარწერაში ნახსენები მეღვინეთუხუცესობაც ცხადია რომ ქართული სახელოა. საღვინის უწყების მეთაური – მეღვინეთუხუცესი, მართალია არ ეკუთვნოდა სასახლის მოხელეთა უმაღლეს ფენას, მაგრამ საკმაოდ საპატიო ხელის მფლობელი იყო. როგორც კარის მოხელე და წარჩინებული, იგი ზოგჯერ ასრულებდა სამხედრო ფუნქციებს და დავალებებსაც.<sup>18</sup> ცხადია რომ, ეს სახელო მხარგრძელთა საგვარეულო სახლმა, ისევე, როგორც წინა შემთხვევებში, პირდაპირ საქართველოს უწყებრივი სტრუქტურიდან გადმოიღო და თავის საფეოდალო აპარატში დანერგა.

ცალკე განხილვის საკითხია ეპიტაფიაში მოხსენიებული ისტორიული პირები. ამ მხრივ ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს მეღვინეთუხუცეს ივანეს მეუღლის ვინაობა ინვეს. ვინ უნდა იყოს „გურჯი ხათუნი“? როგორც ცნობილია ქალბატონი ამ სახელით საქართველოსა და სელჩუკეთის პოლიტიკურ არენაზე XIII საუკუნის II ნახევარში გამოჩნდა. ეს იყო თამარ მეფის შვილიშვილი და რუსუდან დედოფლის ქალიშვილი თამარი, რომელიც 1237 წლისათვის სელჩუკ სულთან ყიას ად-დინ ქეიჰუსრევ II (1236-1246) მიათხოვეს.<sup>19</sup>

ქეიჰუსრევ II-ს თამარის მიმართ განსაკუთრებულად ფაქიზი გრძნობა ჰქონია და სხვა ცოლებს შორის გამორჩეულად ჰყვარებია. ახალგაზრდა სულთანი თამარს გურჯი-ხათუნს ეძახდა.<sup>20</sup>

მცირე თამარის, იგივე გურჯი-ხათუნის მოღვაწეობიდან გამომდინარე.<sup>21</sup> როგორც ჩანს, ეს სახელი საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში პოპულარული გახდა. თვით სულთანმა ქეიჰუსრევ II-მ თავის ერთ-ერთ ქალიშვილსაც გურჯი-ხათუნი შეარქვა თამარის გავლენით.<sup>22</sup>

<sup>18</sup> ილია ანთელავა, *საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII სს* (თბილისი, 1983), 96.

<sup>19</sup> ნოდარ შენგელია, *მცირე აზიის სელჩუკები და საქართველო (XI საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი - XIII საუკუნე)* (თბილისი, 2003), 225.

<sup>20</sup> ლადო მირიანაშვილი, „ქართველთა საქტიტორო მოღვაწეობა კაპადოკიაში“, *Academia*, 1 (2010), 120.

<sup>21</sup> აკაკი განერელია, „დედოფალი თამარი („გურჯი-ხათუნი“) და პოეტი ჯელალ ედ-დინ რუმი“, *ლიტერატურული გაზეთი*, 41-42 (1960), 3-4; ელიზბარ ჯაველიძე, „გურჯი ხათუნის (დედოფალი თამარის) და ჯელალედ-დინ რუმის ურთიერთობის ისტორიიდან“, *ცისკარი*, 1 (1970), 106-17.

<sup>22</sup> შენგელია, *მცირე აზიის სელჩუკები და საქართველო*, 225.

მოგვიანებით, ეს სახელი არაქართველებშიც გავრცელებულა. გ. ბერაძის ცნობით, XIV საუკუნის შუა ხანებში გურჯი-ხათუნი დასავლეთ ანატოლიაში აიდინის ცნობილი საგვარეულოს წარმომადგენლის, უმარ ბეის ქალიშვილსაც რქმევია.<sup>23</sup>

თუ ზემოთქმულ გარემოებებს გავითვალისწინებთ, ადვილი შესაძლებელია გვეფიქრა, რომ ჩვენს შემთხვევაშიც იმავე მოვლენას ჰქონდა ადგილი, ანუ XIII საუკუნის II ნახევრიდან პოპულარულად ქცეული სახელი „გურჯი-ხათუნი“ მხარგრძელთა ქართული სამოხელეო აპარატის წარმომადგენლის, მეღვინეთუხუცესის ოჯახის წევრს ერქვა.

ვფიქრობთ, XIII-XIV საუკუნეებში ქობერის ტაძარი საქართველოს მანდატურთუხუცესთა სახელოსთან მჭიდრო კონტაქტში იყო (განურჩევლად იმისა თუ რომელი საგვარეულო ფლობდა ამ სახელოს). ამაზე მიუთითებს ქობერში დღემდე შემორჩენილი კიდევ ერთი უცნობი საფლავის ეპიტაფია. წარწერაში ნათქვამია:

რდლისა ჯყლისა ა  
სულსა რსდნს: შნ  
ღნ

ტყს-რყუნ  
დუნს-რსდნს  
ღნ

გამიფვრის შემდეგ წარწერა შემდეგნაირად შეგვიძლია აღვადგინოთ:

[სა]რდლისა ჯყყლისა  
ასულსა რუსუდანს შეუნდოს  
ღმერთმან

სანამ მოხსენიებული ისტორიული პირის იდენტიფიცირებას შევეცდებით, ხაზგასასმელია შემდეგი გარემოება: XIII საუკუნის უკანასკნელ მესამედსა და XIV საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესობა, მანდატურთუხუცესობა, ათაბაგობა და სამცხის სპასალარობა ჯყყელთა ფეოდალური საგვარეულოს ხელთ აღმოჩნდა.<sup>24</sup> სწორედ ამ ფაქტორით ხომ არ არის გამონვეული, რომ ჯყყელის ასული ქობერში იკრძალება? ანუ ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ტაძარი მოცემულ პერიოდში საქართველოს

<sup>23</sup> გოჩა ჯაფარიძე, „ქართველებისა და საქართველოს არაბული სახელწოდებები“, საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია (თბილისი, 1993), 142.

<sup>24</sup> მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში, 54.

მანდატურთუხუცესთა საძვალე იყო? ჯერ მხარგრძელებისა, შემდეგ კი ჯაყელების (ჯაყელების შემთხვევაში შესაძლოა ეს ტრადიცია მხოლოდ ინერციით გაგრძელდა და ისიც მხოლოდ XIII საუკუნის II ნახევარში, სწორედ მაშინ, როცა ბექა I ჯაყელმა საქართველოს მანდატურთუხუცესობა მიიღო. რადგან მოგვიანებით, კერძოდ კი XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე იგივე ბექა I-მა, ჯაყელთა რეზიდენციად და საძვალედ საფარის ეკლესია აქცია.<sup>25</sup>

ქობერში სარდალ ჯაყელის ასულის რუსუდანის საფლავის არსებობა არც იმას გამორიცხავს, რომ იგი მხარგრძელთა საგვარეულოს რომელიმე წარმომადგენლის ოჯახის წევრი იყო. თუმცა რომელი ჯაყელის ასულთან გვაქვს საქმე, ეს ჯერ ძალიან პირობითი ვარაუდის საგანი შეიძლება იყოს.

ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში მოღვაწობდა სარგის ჯაყელი (-1285). თავიდან იგი სამცხის მმართველი და სპასალარი იყო. მოგვიანებით კი მეჭურჭლეთუხუცესობა მიიღო. ჟამთაღმწერლის სიტყვით, სარგის ჯაყელმა და მისმა ძემ ბექამ „დაიპყრა ქვეყანა ტასისკართგან კარნუ ქალაქამდის, სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი და უმრავლესი ტაო, ვაშლოვანი, ნიგალის ხევი, არტანუჯი, ათორმეტნი უდაბნონი, კოლა, კარნიფორი და ორნივე არტაანი და მრავალნი სოფელნი ჯავახეთს“.<sup>26</sup> დავით VII-მ (1247-1270) სარგისი მონღოლთა ლაშქრის წინააღმდეგ მებრძოლი ქართული ჯარის სარდალად დანიშნა, ის წარმატებით იბრძოდა ოქროს ურდოს ყაენის ბერქას წინააღმდეგ და ა.შ. ამდენად, ადვილი მოსალოდნელია, ჩვენს მიერ მიკვლეულ წარწერაში მოხსენიებული „სარდლის“ ქვეშ, სარგის I ჯაყელი იგულისხმებოდეს.

დიდია ცდუნება, რომ ეპიტაფიაში ნახსენები „სარდალი“ ბექა I სარგისის ძედ (1285-1306) ჩავთვალოთ. ცნობილია, რომ მისი ასულებიდან ერთი დიმიტრი თავდადებულის მეუღლე იყო, მეორე კი „ბერძენთა მეფეს კირ მიხაილს“ ჰყავდა თანამეცხედრედ. სამცხის მთავარს არაერთი ბრძოლა გადახდა, მათ შორის ყაზან ყაენთან და ბაყათართან. მისი ფეოდალური სახლის კავშირი ქობერის მონასტერთან მოულოდნელი არ უნდა იყოს, „რამეთუ იყო ბექა მონასტერთა და ეკლესიათა მაშენებელი, და მონაზონთა და ხუცესთა და მოწესეთა კაცთა პატივისმცემელი, და არა დააკლდის ეკლესიასა მისსა წესი ლოცვისა ცისკრად, სამხრ და მიმწუხრი. და ლაშქარნი მისნი ვერ დააკლდებოდინ სამსა ამას ლოცვასა. და ამისთვის უმარჯუებდა ღმერთი“.<sup>27</sup> საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ჟამთაღმწერელი ბექა I ჯაყელს სომხითის მფლობელადაც ასახელებს.<sup>28</sup>

<sup>25</sup> ვახტანგ ბერიძე, *სამცხის ხუროთმოძღვრება* (თბილისი, 1957), 21-2.

<sup>26</sup> ჟამთაღმწერელი, *ქართლის ცხოვრება*, რედ. სიმონ ყაუხჩიშვილი, ტ. II (თბილისი, 1959), 273.

<sup>27</sup> იქვე, 315.

<sup>28</sup> იქვე, 322.

არც ისაა გამორიცხული, რომ წარწერაში მოხსენიებულ სარდალ ჯაყელად სარგის II ბექას ძე (1306-1334) მივიჩნიოთ. ის აბჯრისმტვირთველად იყო აღზრდილი და თურქების წინააღმდეგ ბრძოლებშიც მონაწილეობდა.<sup>29</sup>

ჩვენს მიერ ამ ეტაპზე მიკვლეული რამდენიმე უცნობი ეპიტაფია თვალნათლივ მიუთითებს იმას, რომ ქობერის წარწერების კომპლექსური შესწავლა და კვლევა მომავალში ბევრ საინტერესო ფაქტსა თუ მოვლენას მოჰფენს ნათელს. აქვე მიზანშეწონილად მიგვაჩნია სურათის სიცხადისათვის გამოვაქვეყნოთ ტაძრის ეზოში დაცული ყველა იმ ქართული წარწერის შინაარსი და პალეოგრაფიული ასლები, რომელთა ამოკითხვა და გადმოლება ჩვენი ექსპედიციის წევრებმა შესძლეს:

**ესე სფლვი სა  
წნოისძისა მღ  
დელმონაზონისა  
გგისი შნ ლნ**

სსწზუნ  
ნნტქსპი  
თმდნდ  
ლსკრ

წარწერა გაშიფვრის შემდეგ ასეთ სახეს მიიღებს:

**ესე საფლავი  
სანანოისძისა მღვდელმონაზონისა გიორგისი  
შეუნდოს ღმერთმან**

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ქობერში დაკრძალული მღვდელ-მონაზონი გიორგი იმ საგვარეულოს მიეკუთვნება, რომელმაც X საუკუნის II ნახევარში საქართველოს დიდი ჰიმნოგრაფი მისცა. სტეფანე სანანოისძე მიქაელ მოდრეკილის ცნობილ კრებულსა და რუის-ურბნისის კრების დადგენილებაში მოიხსენიება. მას ორიგინალური ჰიმნები შეუთხზავს: დაუნერია ნათლისღების, აბო თბილელის და სტეფანე პირველმონამის დასდებლები.<sup>30</sup> სტეფანე სანანოისძე ჭყონდიდის ეპარქიაში მოღვაწეობდა და ამ კათედრის მეთაურიც იყო, მღვდელმონაზონი გიორგი კი, როგორც ჩანს, XIII საუკუნეში მხარგრძელთა საგვარეულო სახლთან დაახლოებული პირი იყო.

ქართული საგვარეულოს კიდევ ერთ წევრს მოიხსენიებს ეკლესიის ეზოში დღემდე შემორჩენილი სამსტრიქონიანი წარწერა:

<sup>29</sup> იქვე, 314-5.

<sup>30</sup> ლევან მენაბდე, *ძველი ქართული მწერლობის კერები*, ტ. I, ნაკ. II (თბილისი, 1962), 551-2.

ქ ესე საფლავი ჩანა  
შვილისა ივანესი შნ  
ლნ

ჩუქი  
ქუჩა  
წ

ეპიტაფია გაშიფვრის შემდეგ ასეთ სახეს მიიღებს:

**ქ. ესე საფლავი ჩანაშვილისა ივანესი  
შეუნდვენ ღმერთმან**

აღნიშნული წარწერა პირველად 1926 წელს ლეონ მელიქსეთ-ბეგმა გამოაქვეყნა.<sup>31</sup> თუმცა, მეცნიერმა ივანეს სახელი არა „ჩანაშვილად“, არამედ „ჩაჩაშვილად“ წაიკითხა. იგივე აზრისაა პროფესორი პარუირ მურადიანი,<sup>32</sup> თუმცა წაკითხვის ეს ფორმა არასწორია, რადგან, როგორც ადგილზე დაკვირვებისას, ისე ჩვენს მიერ გადმოღებულ პალეოგრაფიულ ასლში კარგად ჩანს, რომ ეპიტაფიის I სტრიქონის მე-12 ასოზე გადმოცემულია ზემოთ აწეული ორი რკალი, რაც აშკარად მიუთითებს რომ აქ არა „ჩ“, არამედ „წ“ წერია.

მიუხედავად იმისა, რომ საფლავის ქვის ზედაპირი დაზიანებულია, წარწერა კარგადაა შემონახული. ქვის ზომაა 176X72. ასოების საშუალო ზომა კი დაახლოებით 8 სმ. კარგად გაირჩევა თითოეული ასო. ასოებს შორის თანაბრად არის დაცული მანძილი. პალეოგრაფიული თვალსაზრისით ეს წარწერა ორგანულად ჯდება არსებული პანთეონის წარწერების ქრონოლოგიურ ჩარჩოში. განსხვავებას უჩვენებს მხოლოდ ქვის მცირედი გაფორმების საშუალება ორნამენტის სახით, რომელშიც ჩართულია ბოლო სიტყვა „ღმერთმან“.

შემდეგი ჩვენთვის საინტერესო წარწერა თითქმის განადგურებულია, მის ფრაგმენტს, უფრო სწორად საფლავის ქვის მარცხენა ზედა კუთხეს უწესრიგოდ დაყრილ ლოდებს შორის შემთხვევით მივაკვლიეთ. აქ შემდეგი სახის წარწერაა შემორჩენილი:

ქ ეს[ე]: სა  
ჩჩა[ს]

ჩუქი  
ჩჩა

ამ ფრაგმენტის (ფრაგმენტის ზომაა 57X29, ასოების საშუალო ზომა 8 სმ) მიხედვით შინაარსის ამოკითხვა თითქმის შეუძლებელია, თუმცა მის

<sup>31</sup> მელიქსეთ-ბეგი, „ქობერი და მისი სომხური და ქართული წარწერები“, 72.

<sup>32</sup> მურადიანი, *სომხეთის ქართული წარწერები*, 181.

ნაწილობრივ გახსნაში ჩვენს მიერ მიკვლეული შემდეგი წარწერა გვეხმარება. ოთხსტრიქონიან ასომთავრულ ეპიტაფიაში წერია:

ქ: ესე: საფლავი:  
ჩაჩალაშვილსა  
პიტასი შნ: ღნ  
ამნ

ქ:ს:ს:ს:ს:ს:ს:ს:  
ქ:ს:ს:ს:ს:ს:ს:ს:  
ს:ს:ს:ს:ს:ს:ს:  
ს:ს:ს:ს:ს:ს:ს:

თუ წარწერას გავშიფრავთ, შემდეგ ტექსტს მივიღებთ:

ქრისტე ესე საფლავი  
ჩაჩალაშვილ[ი]სა პიტასი  
შეუნდვენ ღმერთმან. ამინ

ამდენად ვფიქრობთ, რომ წინა შემორჩენილი ფრაგმენტიც ჩაჩალაშვილთა საგვარეულოს ჩვენთვის უცნობ წარმომადგენელს ეკუთვნოდა (მთლიანი საფლავის ზომაა 148X64). ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ პალეოგრაფიული ნიშნებისა და ტექნიკური შესრულების ზოგიერთი მონაცემი ერთმანეთს ემთხვევა, ზოგიერთი კი განსხვავდება. მაგალითად ორივე წარწერაში სიტყვა „ესე“ ერთი მანერითაა დაწერილი: „ე“-ს ქვედა ღერძი „ს“-ს უერთდება, ორივე შემთხვევაში გადაბმულია ასოების ზედა ნაწილი, თითქმის ერთნაირადაა დაწერილი გვარის პირველი ბგერები „ჩჩ“, თუმცა პირველ შემთხვევაში გამოყენებულია ქარაგმის ნიშანი, „ა“-ს ზემოთ, მეორეგან კი არა. ორივეგან გვხვდება განკვეთილობის ნიშანი „:“. ასე რომ რადგან ეს წარწერები სხვადასხვა ადამიანების ეპიტაფიებია, ლოგიკურია, რომ ისინი სხვადასხვა ადამიანების მიერაა შესრულებული. მაგრამ ისიც სავარაუდოა, რომ ეპიტაფიები ქრონოლოგიურად ერთმანეთისაგან დიდად დაშორებული არც იყოს. აღვნიშნავთ იმასაც, რომ აქამდე ჩვენს მიერ მოტანილ ეპიტაფიათაგან ეს პირველია, რომელსაც ბოლოში ახლავს სიტყვა „ამინ“. საფლავის ერთგვარ თავისებურებას ისიც წარმოადგენს, რომ ეპიტაფია მკვეთრად ქვის ქვედა ნაწილშია ამოკვეთილი. პალეოგრაფიული თვალსაზრისითაც ნაკლებად კალიგრაფიულია. ასოები ოდნავ კუთხოვანებისკენ არის მიდრეკილი. ჩანს როგორც ქარაგმის, ისე გამყოფი ნიშნები. ასოები სხვადასხვა ზომითაა მოტანილი.

შემდეგი წარწერა ამჟამად დანგრეული სამრეკლოს ქვემოთ განთავსებული მცირე სამლოცველოს შიგნითაა შემორჩენილი. სამლოცველო, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა დღესაც მოსალოცად იყენებს საოცრად ბნელია და იშვიათად ნათდება, ისიც მხოლოდ სანთლის შუქით. აქ ჩრდილოეთ კედელთან

არის დიდი საფლავის ლოდი, რომელზეც ეპიტაფიის ფრაგმენტი იკითხება:

მმლოდო

ითა: მ[ო]

მედეო

გუგბა  
70: 3

გუხო

ამ წარწერის ამოკითხვა ფაქტიურად შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა პარუირ მურადიანის გამოკვლევა სომხეთის ქართული წარწერების შესახებ.<sup>33</sup> როგორც ჩანს 1977 წელს მეცნიერმა ეპიტაფია მართალია ფრაგმენტულად შემორჩენილი, მაგრამ მაინც უკეთესად გარჩევადი იხილა.

... ცცა მ(ო)მ(ე)ლოდეო

... ძე ქვითა მო-

მ(ე)ლოდეო<sup>34</sup>

ვფიქრობთ ეს ეპიტაფია შაირით, ე.ი. თექვსმეტმარცვლიანი სტრიქონებით გამართული უნდა ყოფილიყო. ეს მოვლენა ქობერის მონასტრისათვის მოულოდნელი არაა, უფრო მეტიც პროფესორ ვალერი სილოგავას აზრით „ვეფხისტყაოსნის“ ეპოქის წერილობით ძეგლებში შაირით გამართული პოეტური ფორმების დადასტურება თუ ჩვეულებრივ მოვლენად არა, განსაკუთრებულ გამონაკლისად არ ითვლება.<sup>35</sup> ქობერის მონასტერში XX საუკუნის 70-იან წლებში ქართველ მეცნიერთა ჯგუფმა (ზ. ალექსიძე, გ. გაფრინდაშვილი, ი. გაგოშიძე) ივანე II მანდატურთუხუცესის მეუღლის ხუაშას საუცხოო ეპიტაფიას მიაკვლიეს, რომელიც სრულად 1977 წელს პარუირ მურადიანმა გამოაქვეყნა.<sup>36</sup> ეპიტაფიის ტექსტი ასეთნაირად იკითხება:

გ(ა)მოვ(ე)დით სოფლის(ა)გ(ა)ნ ცუდ-ქმნ(ი)ლნი და

გამ(ო)მკრთ(ა)ლნი;/

გულსა ც(ე)ცხლი მ(ო)მდებიან,/ ამ(ო)მდიან პირით აღნი;/

დიდთა ჩ(ე)მთა შუებათ(ა)გ(ა)ნ დამ/რჩეს ცოხის ნაფერთ(ა)ლნი

და კ(უ)რთხ(ე)ულ ხ(ა)რ, ქრის(ტ)ე ლ(მერ)თო, შ(ე)ნ და შ(ე)ნ/ნი

სამართალნი/

[...]და ხუაშ(ა)სა / შ(ე)უნდვენ ლ(მერთმან)ნი!<sup>37</sup>

<sup>33</sup> იქვე, 182.

<sup>34</sup> იქვე.

<sup>35</sup> სილოგავა, „ზოგიერთი ახალი მასალა ქობერის ქართული ეპიტაფიების შესახებ“, 115.

<sup>36</sup> მურადიანი, *სომხეთის ქართული წარწერები*, 180.

<sup>37</sup> სილოგავა, „სომხეთის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების გამოცემის შესახებ“, 169.



სამწუხაროდ, არც ერთ მეცნიერს არა აქვს მითითებული აღნიშნული ეპიტაფიის განთავსების ადგილი. რამდენიმე საათიანი ძიების მიუხედავად ჩვენი ექსპედიციის წევრებმა მისი პოვნა და შესაბამისი პალეოგრაფიული ასლის გაკეთება ვერ შეძლეს. ფრიად სამწუხარო იქნება, რომ დღეს ეს საუცხოო ეპიგრაფიკული ძეგლი დაკარგული ან დაზიანებული აღმოჩნდეს.

შემდეგი, ჩვენთვის საინტერესო ეპიტაფია მთავარი ეკლესიის აღმოსავლეთით, ზედ კლდის ქანობზეა მოთავსებული. 4 სტრიქონიანი ლამაზად შესრულებული ასომთავრული წარწერა შემდეგი სახითაა წარმოდგენილი:

**ქ ესე სამარხოი ჩმ  
ცოდვლისა მწირი  
სა ინესი ლცვსა  
მმჰსნეთ**

ქ ესე სამარხოი ჩმ  
ცოდვლისა მწირი  
სა ინესი ლცვსა  
მმჰსნეთ

ანუ

**ქრისტე ესე სამარხოი ჩემი  
ცოდვლისა მწირი/სა  
იოანესი ლოცვასა  
მომიჰსენეთ**

ქვა ნაწილობრივ დაზიანებულია, თუმცა წარწერამ უნაკლოდ მოაღწია ჩვენამდე. ერთიანი ზომა არის 104X52. ასოები საკმაოდ დიდია. საშუალო ზომა 11 სმ. განსაკუთრებით ლამაზი კალიგრაფიული ასომთავრული შესრულებული ეპიტაფია განსაკუთრებული სიკობტავითა და სიმეტრიულობით გამოირჩევა. კარგად განირჩევა ყველაზე ჩახლართული ლიგატურებიც კი. გამოყენებულია ქარაგმები ტეხილი ხაზების სახით და გამყოფი წერტილები.

ამ ეპიტაფიაში ყურადღებას იქცევს იოანეს სტატუსი – „მწირი“. ეს ტერმინი სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში შემდეგნაირადაა განმარტებული: „ესე არს უცხო ვინმე უცხოთა ადგილთა იყოფებოდეს და გამოიზარდებოდეს, გინა სულსა ზრდიდეს და წმიდათა ადგილსა მოილოცევდეს“.<sup>38</sup>


ამდენად ცხადია, რომ იოანესათვის ქობერი უცხო, ანუ მისი სამკვიდროდან შორეული ადგილი იყო, მისი მწირობა ხომ სწორედ ამას ითვალისწინებდა. ეს

<sup>38</sup> სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, რედ. ილია აბულაძე (თბილისი, 1991), 546.

კი კარგად მიუთითებს ერთ გარემოებაზე, XIII საუკუნის II ნახევარიდან ქობერი თავისებურ სულიერ-კულტურულ ცენტრად იქცა როგორც ადგილობრივი ქალკედონიტი სომხებისათვის, ისე ფეოდალური საქართველოს დანარჩენი მოსახლეობისათვის. ამაზე „ცოდვილი იოანეს“ ეპიტაფიის გარდა, აშკარად მეტყველებს ნამონასტრალის ტერიტორიაზე სანანოისძეთა, ჩანაშვილთა და ჯაყელთა საფლავების არსებობა.

მდიდრულადაა გაფორმებული საფლავის ქვა, რომელიც მთავარი ეკლესიის შესასვლელის მარჯვნივაა მოთავსებული. ეპიტაფია კედლიდან ჩამოცვენილი ქვებითა და სამშენებლო ნაგვით იყო დაფარული, მის განმენდას დიდი ხანი მოვანდომეთ. როგორც ჩანს ეპიტაფია უკვე 1977 წელს დაზიანებული იყო, პარუირ მურადიანმა მისი პირველი სტრიქონი ვერ ამოიკითხა, ამჯერად კი მეორე და მესამე სტრიქონის წაკითხვა სულ უფრო ჭირს. II სტრიქონში მხოლოდ ასოები „ტურ“ მოჩანს, მესამე სტრიქონში კი ბოლო ნაწილია წაშლილი. მიუხედავად ამისა ტექსტის შინაარსის ამოკითხვა ადვილადაა შესაძლებელი

[ც(ო)დვ(ი)ლისა შ(ა)ჰნ-]  
[შა მ(ა)ნდ]ტურ[თ(უ)ხ(უ)ც-]  
[ესისა ძ]ის[ა] ბერი[სა]  
[გიორგისა ღ]მრთ(ი)ს(ა)თ(ვ)ს ლ(ო)ცვ-  
[ა]სა მ(ო)მიხ-  
სენეთ<sup>39</sup>



ბერი გიორგი არაერთხელ იხსენიება ქობერის წარწერებში, შანშე მანდატურთუხუცესის ძეს დიდი აღმშენებლობა ჩაუტარებია ქართულ მონასტერში და ამას გარდა „უცხო თესლისაგან“ „მიმძლავრებით წანაღები ზუარი“ თავისი მეზვრითურთ, ისევ ქობერის ტაძრისათვის „მოუხენებია“.<sup>40</sup>

კიდევ ერთი ეპიტაფია მოთავსებულია მთავარი ეკლესიის შესასვლელში, ოღონდ ამჯერად ეზოში. მასზე წერია

ქესე საფლვ  
[ი]ლოკელისა  
დავთსი შნ  
ღნ  
ქ Ⴇ ს სტ Ⴇ ს  
~ ხმ Ⴇ Ⴇ ს  
ტ Ⴇ Ⴇ ს Ⴇ  
ღ Ⴇ

<sup>39</sup> წარწერა აღდგენილია პ. მურადიანის პუბლიკაციის მიხედვით: მურადიანი, *სომხეთის ქართული წარწერები*, 179.

<sup>40</sup> მესხია, *საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში*, 270.

ანუ

**ქრისტე ესე საფლავი  
ლოკელისა  
დავითისი შეუნდვენ  
ღმერთმან<sup>41</sup>**

ქვა 187X67 სმ-ია. ასოების საშუალო სიგრძე 8 სმ-ია. პალეოგრაფიული თვალსაზრისით, ეს ეპიტაფია სხვებისგან არ გამოირჩევა. წარწერა მთლიანად არის მოთვასებული ქვის მხოლოდ ზედა ნაწილზე.

წარწერაში მითითებული „ლოკელი“ ამ შემთხვევაში განსვენებულის გვარია თუ გეოგრაფიული წარმომავლობის აღმნიშვნელი ზედწოდება ძნელი სათქმელია. თუმცა დაახლოებით მსგავსი შემთხვევებია ტბეთის XIV-XV საუკუნეების სულთა მატთანში. მაგალითად აქ „ელ-ზე“ დაბოლოებული ისეთი გვარები გვხვდება როგორებიცაა: აკრიელი, აფხაზელი, ერგელი, კიბელი, სინდაელი, ქუაბელი, ჩრდილაელი და სხვა. როგორც მოცემული მაგალითებიდან ჩანს აქ გვარები ხან გეოგრაფიული ტერმინიდან (აკრიელი), ხან კი წარმომავლობის (აფხაზელი), მიხედვითაა ნაწარმოები. ამ შემთხვევაში კი „ლოკელი“-ს განმარტება ჩვენთვის საკმაოდ რთული აღმოჩნდა და ვფიქრობთ, საკითხი მომავალ კვლევა ძიებას მოითხოვს.

დავით ლოკელის საფლავის გვერდითაა მოთავსებული შემდეგი ეპიტაფია, სადაც აღნიშნულია:

ქ ესე სა  
ფლვი მ[ი]  
რი[ა]ნის ა  
[ს]ულისა  
ეგან[თ]  
... [სი]. [შ]...  
  
... ე ...

ქ უს ე  
ფ უს უ კ  
ქ ი ჩ ს ს  
[ ა ბ ]  
ქ ა ნ  
ს ა  
ქ

წარწერის დაკარგული ნაწილების აღდგენა პარიურ მურადიანისეული პუბლიკაციის მიხედვით შემდეგნაირად მოხდება:

<sup>41</sup> მურადიანი, სომხეთის ქართული წარწერები, 178.

ქ ე ს ე ს ა  
ფ ლ ვ ი მ [ი]  
რ ი [ა] ნ ის ა  
[ს] უ ლ ის ა  
ე გ ა ნ [თ]  
[ასი] [შ(ეუნდვენ)  
[ლ(მერთმა)ნ]<sup>42</sup>

საფლავის ქვა შედარებით ვიწრო ზომისაა 160X49, ასოები 6-8 სმ. წარწერა დაზიანებულია და ძალიან ძნელი ამოსაკითხი.

ვინ არის მირიანი და მისი ასული ეგანთა, ძნელი სათქმელია. ერთი ცხადია, დაკრძალული პირი მხარგრძელთა საგვარეულოსთან ან ქობერის მონასტერთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული.

ასევე უცნობია შემდეგი საფლავის ეპიტაფიაში მოხსენიებული ისტორიული პირები, აქ წერია:

ქ. ე ს ე ს ფ ლ ვ ი  
შ ა ლ ვ ა ს შ ვ  
ი ლ ს ა დ თ ის ი  
შ ნ .: ლ ნ

ქ ე ს ე ს ფ ლ ვ ი  
შ ა ლ ვ ა ს შ ვ  
ი ლ ს ა დ თ ის ი  
შ ნ .: ლ ნ

ანუ

ქ რ ის ტ ე ე ს ე ს ა ფ ლ ა ვ ი  
შ ა ლ ვ ა ს შ ვ ი ლ ის ა  
და ვ ი თ ის ი  
შ ე უ ნ დ ვ ე ნ ლ მ ე რ თ მ ა ნ

იქიდან გამომდინარე, რომ ქობერის ეპიტაფიები ხშირად მხარგრძელთა საგვარეულო სახლის წარმომადგენლებს უკავშირდება, დიდი იყო ალბათობა იმისა, რომ წარწერაში მოხსენიებული დავითის მამა შალვა, ივანე II მანდატურთუხუცესის შვილიშვილად (შაჰანშე II-ის ძედ) შალვა მხარგრძელად მიგვეჩნია. ის რომ დავითი ყოველგვარი ტიტულის გარეშეა მოხსენიებული გასაკვირი არ უნდა იყოს, რადგან XIII საუკუნის მიწურულს მხარგრძელთა სახლს მხოლოდ მანდატურთუხუცესობა შემორჩა და მანაც მალე ჯაყელთა

<sup>42</sup> იქვე, 179.

საგვარეულოში გადაინაცვლა. ერთი სიტყვით XIII საუკუნის 80-იანი წლებიდან საქართველოს სამეფო კარზე მხარგრძელთა მოხელეობა არსებითად მხოლოდ ამ საგვარეულოს სამკაულად იქცა.<sup>43</sup> ამდენად შალვას უტიტულობა მოულოდნელი არაა, თუმცა ამ ვერსიის ხელაღებით მტკიცება საკმაოდ ძნელია, თუნდაც იმიტომ, რომ დანამდვილებით ცნობილია დავითის მამის შალვას ამირსპასალარობა (იხ. ზემოთ შალვა ამირსპასალარის წარწერა) და აქედან გამომდინარე, ცხადია, ჩვენთვის საინტერესო ეპიტაფიაში ეს გარემოება ასახული უნდა ყოფილიყო.

ამ საფლავის ქვის სრული ზომების აღება შეუძლებელი იყო, ასოების ზომა კი 9 სმ იყო. ბოლო წარწერა, რომელიც ქობერში გადმოვიღეთ შემდეგნაირად იკითხება:

**ქესე სფლვი  
ეგეგომელისა  
შალვასი: შნ  
ღნ**

ქ უს სფუწი  
უუუ ყღბუხს  
უსუღსუ ყწ  
ღნ

ანუ

**ქრისტე ესე საფლავი  
ეგეგომელისა  
შალვასი: შეუნდვენ  
ღმერთმან<sup>44</sup>**

ვინ არის შალვა ეგეგომელი ჩვენთვის უცნობია, თუმცა არაა გამორიცხული, რომ წინა ეპიტაფიაში მოხსენიებული დავითი სწორედ ამ „შალვა ეგეგომელის“ ვაჟი იყო, ამაზე მიუთითებს როგორც ეპიტაფიების წერის მანერა და ტექნიკა ისე მათი ადგილმდებარეობა, თუმცა, ისევე როგორც წინა შემთხვევაში, მოსაზრების დაჟინებით მტკიცება საფუძველს მოკლებული იქნება.

წარმოდგენილ პუბლიკაციაში ჩვენ არ შეგვიტანია ქობერის მონასტრის რამდენიმე გამოქვეყნებული წარწერა (გამონაკლისი მხოლოდ ხუაშას ეპიტაფიაა მისი ლიტერატურული მნიშვნელობიდან გამომდინარე), მათ შორის მაკარისა და მისი შვილის გრიგოლის, მონასტრის იკონომოსის პეტრეს და

<sup>43</sup> მესხია, *საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში*, 317-9.

<sup>44</sup> იქვე, 180.

მანეოს გორგაისძის ეპიტაფიები, ეს გარემოება განპირობებულია იმით, რომ აღნიშნულ საფლავის ქვებს ჩვენ ვერ მივაკვლიეთ და შესაბამისად ვერც სათანადო პალეოგრაფიული ასლები დავამზადეთ.

აღნიშნული პრობლემა და წარმოდგენილი მასალის ისტორიული ღირებულება კარგად ცხადყოფს იმას, რომ ქობერის მონასტრის საფუძვლიანი კვლევა ქართველ მეცნიერთაგან მეტ ყურადღებას მოითხოვს.

### ბიბლიოგრაფია

ანთელავა, ილია. საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII სს. თბილისი, 1983

ბასილი ეზოსმოდღვარი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი. ქართლის ცხოვრება. რედ. სიმონ ყაუხჩიშვილი. ტომი II. თბილისი, 1959

ბერიძე, ვახტანგ. სამცხის ხუროთმოძღვრება. თბილისი, 1957

განერელია, აკაკი. დედოფალი თამარი („გურჯი-ხათუნი“) და პოეტი ჯელალ ედ-დინ რუმი. ლიტერატურული გაზეთი, 41-42, 1960

მელიქსეთ-ბეგი. ლეონ. ქობერი და მისი სომხური და ქართული წარწერები. ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VIII, 1926

მენაბდე, ლევან. ძველი ქართული მწერლობის კერები. ტ. I, ნაკვეთი II. თბილისი, 1962

მესხია, შოთა. საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში. თბილისი, 1979

მირიანაშვილი, ლადო. ქართველთა საქტიტორო მოღვაწეობა კაპადოკიაში. Academia, 1, 2010

მურადიანი, პარუირ. სომხეთის ქართული წარწერები. წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა, სომხურ ენაზე. ერევანი, 1977

ორბელიანი, სულხან-საბა. ლექსიკონი ქართული. რედ. ილია აბულაძე. თბილისი, 1991

ჟამთააღმწერელი. ქართლის ცხოვრება. რედ. სიმონ ყაუხჩიშვილი. ტომი II. (თბილისი, 1959

ჟორდანია, თედო. ქრონიკები. ნიგნი II. ტფილისი, 1897

სილოგავა, ვალერი. სომხეთის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების გამოცემის შესახებ. მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 2, 1980

სილოგავა, ვალერი. ზოგიერთი ახალი მასალა ქობერის ქართული ეპიტაფიების შესახებ. ეპიგრაფიკული ეტიუდები და შენიშვნები, 4, 1990

შენგელია, ნოდარ. მცირე აზიის სელჩუკები და საქართველო (XI საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი - XIII საუკუნე. თბილისი, 2003

ჯაფარიძე, გონა. ქართველებისა და საქართველოს არაბული სახელ-  
წოდებები. საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და  
ქართული ტერმინოლოგია. თბილისი, 1993

ჯაველიძე, ელიზბარ. გურჯი ხათუნის (დედოფალი თამარის) და  
ჯელალედ-დინ რუმის ურთიერთობის ისტორიიდან. ცისკარი, 1, 1970

Бабаян, Леон. История Армении. Москва, 1969

Brosset, M. Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie.  
Livr. 3, St-Petersbourg, 1851

## Preliminary Results of First and Second Expedition in Koberi

*George Kalandia*

*Ketevan Asatiani*

### Summary

In Georgian epigraphic sources one of the most important place is held by the inscriptions of Koberi monastery, which is located on the territory of modern Armenia. Georgian and Armenian scholars always gave considerable attention to these epigraphic monuments, but on the one hand the geographic area of the monument and on the other building stones and boulders scattered on the ground of the church's territory, complicated the identification of unknown epitaphs of Georgian graves.

On 9 and 17 July 2012, two scholarly expeditions were organized, with the help of the travel company "Good Travel". The work carried out, justified our expectations. At this stage, we recorded 19 gravestones and made paleographic copies of all of them. Also we decoded interesting unknown 9 epitaphs.

These epitaphs decoded by us contain invaluable information about the family of the minister at court Ivane II. Until now, it was known that the companion-in-arms of Demetre II had 5 children: Shahanshe II, Vahram, Artashir, Aghbugha and Zaza. But the graves give information about one more son of Ivane II, Monk Pimen and the daughter Tamar Mkhargrdzeli, wife of Sula Gurkneli. We also ascertained the personality of Shalva, grandson of Ivane and son of Shanshe II. Shalva was a Commander-in-chief.

## IX

### Arm 23-ის ანდერძ-მინაწერის ცნობა თმოგვის ალების შესახებ

*დალი ჩიტუნაშვილი*

XVI საუკუნის დასაწყისში ამიერკავკასია ირანისა და ოსმალეთის ბრძოლების ავანსცენას წარმოადგენდა. ქართველი დიდებულები ხშირად სარგებლობდნენ ამ დაპირისპირებითა და საკუთარი პრობლემების გადასაჭრელად ან ერთი და ან მეორე მხარის დახმარებას იღებდნენ.

სწორედ ასე მოხდა სამცხე-საათაბაგოში, როდესაც 1515 წელს ყვარყვარე III-ს აუჯანყდა მისივე ბიძა მანუჩარი. ეს უკანასკნელი, ძმისშვილისაგან განსხვავებით, რომელიც სეფიანთა კეთილგანწყობით სარგებლობდა, აშკარად ოსმალური ორიენტაციისა იყო. მანუჩარმა გაიმარჯვა, სამცხიდან გაძევებული ყვარყვარე კი თავრიზში ჩავიდა და დახმარება შაჰ-ისმაილ I-ს (1501-1524) თხოვა. შაჰ ისმაილმა, ყვარყვარეს დასახმარებლად, 1516 წელს ჯარი გაგზავნა დივ-სულთან რუმლუს მეთაურობით, რომელმაც დაამარცხა მანუჩარი და მმართველობა ყვარყვარეს დაუბრუნა.<sup>1</sup>

ცნობა ირანელთა ამ ლაშქრობის შესახებ მხოლოდ ჰასან რუმლუს „ჰასან ათ-თავარიხშია“ დაცული. რუმლუ მოგვითხრობს:

„ამ წელს ბრძოლა მოხდა ყვარყვარესა და მანუჩარს შორის საქართველოში. ყვარყვარე გაიქცა და თავრიზში გაბედნიერდა ხელმწიფესთან ხლებით... დიდებულმა მზემ წყალობის სხივები მოჰფინა ყვარყვარეს და ბრძანება გასცა, რომ დივ-სულთან რუმლუ, ჩარქინა ჰასან თაქალუ... ნასულიყენენ და ეცადნათ, ეგებ ღვთის დახმარებით საქართველოს არე გაინმინდოს იმ უნმინდურთაგანო... მანუჩარი გაიქცა და რუმს ნავიდა... ამირები თმოგვის ციხის მიდამოებში დადგნენ. 14 დღე გრძელდებოდა ბრძოლა ცუდმაქცევარ ქართველთა და ლაზიებს

---

<sup>1</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე (თბილისი, 1973), 96-7; ლიტერატურისათვის იხ. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს), ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა (თბილისი, 1961); ნანა გელაშვილი, ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (თბილისი, 1995).



შორის. ბოლოს ისლამის ლაშქარმა გახვრიტა ციხის წყალსაცავები და ურწმუნოებს ძალა წაართვა. მათ მიმართეს დივ-სულთანს და არბარნირი, რომელიც მანუჩარის რწმუნებული იყო, შესაფერისი საჩუქრებით ციხიდან გამოვიდა. დივ-სულთანმა საქართველოს გამგებლობა ყვარყვარეს მისცა და დაბრუნდა“.<sup>2</sup>

ჰასან რუმლუს ცნობების გამომცემლის მითითებით ცნობა ამ ლაშქრობის შესახებ პირველად იყო გამოყენებული ჩვენს ისტორიოგრაფიაში და სხვა დამატებითი წყაროები ამ ცნობის დასაზუსტებლად აქამდე ქართული ისტორიოგრაფიისათვის უცნობი იყო.<sup>3</sup>

სულ ახლახან, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სომხურ ხელნაწერთა ფონდის N23 ხელნაწერის შესწავლისას გამოვლინდა ანდერძ-მინანერი, რომელიც ადასტურებს და გარკვეულწილად აზუსტებს ინფორმაციას ამ ლაშქრობის შესახებ. სომხური ხელნაწერი სახარებაა, რომელიც 1423 წელს თომა ბერის მიერაა გადაწერილი ალთამარში. სახარებას, გადამწერისეული ანდერძის გარდა, კიდევ ერთი კოლოფონი ახლავს, რომელიც ხელნაწერის შექმნიდან თითქმის 100 წლის შემდეგაა შესრულებული და მის ერთ-ერთ უკანასკნელ მფლობელს ეკუთვნის. მოგვაქვს ანდერძი და მისი ქართული თარგმანი:

Եւ **Շաժաղես** վերստին ստացող սուրբ աւետարանի գնեցի Ճ թակայ իմ հոգւս համար թողի իմ յի[..] ինձ ծնողաց իմոց հաւրն իմ **Սարգսի քահանային** և մար **Նարիխաթունին** և կեանսցին իմոյ Աստուածատուրին և Էդբայրն իմ Տիրայտուր քահանային և զավակսզն իմոց **Ղաբարին** և **Միրիանին** և **Միրիչանին**: Որ ստացայ զայիդ ժ[..] նեղ ժամանակիս որ եկև **Դեսայ Ալին** և Էտ **զԹուք** և շատքն ի սուր մատեցաւ և շատք զերեցայն և շատք աւերեած Սամցիայ: Ի նեղ ժամանակի գնեցի զաստուածաշունչ աւետարանս ու որ կարդայք կամ արինսկէք կենդանեաք կեանք և խաղաղութիւն խնդրէք և ննջեցեւեացն հանգիստ և ողորմութիւն ի Քրիստոսէ և յիշելոցն և յիշողացն առհասարակ ողորմեսցի Քրիստոս իւր միւս անգամ զալստեան իւրոյ: Ով որ կարդայք մէկ բերան ողորմի պարուն **Շաժաղին** և իւր ծնողացն ի թվականին հայոց **ԶԿՆ** գրեցաւ յիշատակարանս: Ամէն, ամէն, ամէն

<sup>2</sup> ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვლადიმერ ფუთურაძემ, შენიშვნები დაურთო რ. კიკნაძემ (თბილისი, 1966), 20.

<sup>3</sup> ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, 53.

„მე, შაჟადესმა<sup>4</sup>, უკანასკნელმა მფლობელმა ამ ნმიდა სახარებისა, ვიყიდე 100 თაკად,<sup>5</sup> ჩემი სულისათვის დავიტოვე, მოსახსენებლად [სულისა ჩემისა] და მშობელთა ჩემთა: მამისა ჩემისა სარგის მღვდლისა და დედისა ჩემისა ნარიხათუნისა და მეუღლისა ჩემისა ასტუანატურისა და ძმისა ჩემისა ტირადტურ მღვდლისა, შვილებისა ჩემთა ლაბარისა და მირიანისა და მირიჯანისა, რომ შევიძინე ეს [ძნელბედობის] და გაჭირვების დროს, როდესაც მოვიდა დევამ ალი და აილო თმოგვი და მრავალი ამონყვიტა ხმლით და მრავალი ტყვედ ჩაიგდო და მრავალი ააოხრა სამცხეში. ამ გაჭირვების დროს შევისყიდე ღვთიური სახარება, ვინც წაიკითხოთ ან გადანეროთ ცოცხალთათვის [ცხონება] და [მშვიდობა] ითხოვეთ, ხოლო გარდაცვალებულთათვის განსვენება და შეწყალება ქრისტესგან. და მომხსენებელიც და მოსახსენებელიც ერთად შეწყალებულ იქნას ქრისტეს მიერ ჟამსა მეორედ მოსვლისა მისისა. ვინც წაიკითხოთ ერთხმად წყალობა თქვით უფალი **შაჟადისა** და მშობელთა მისთათვის. სომხური წელთაღრიცხვის **ԶԿԸ/ՋԿԵ** წელს დაინერა მოსახსენებელი. ამენ, ამენ, ამენ!“

როგორც ვხედავთ, ხელნაწერის კოლოფონი ადასტურებს დივ სულთანის (სომხურად დევამ ალი) ლაშქრობას, ამასთანავე აკონკრეტებს, რომ ირანელებს თმოგვი აუღიათ (ჰასან რუმელუსთან მის ჩაბარებაზეა ლაპარაკი), მრავალი დაუბოცავთ და დაუტყვევებიათ და მთლიანად მოუოხრებიათ მთელი სამცხე. რაც შეეხება ლაშქრობის თარიღს, სომხური წელთაღრიცხვის **ԶԿԸ/ՋԿԵ** წელი (965 + 551/2 = 1516/7) 1516/17 წლებს ემთხვევა და ამით არ ეწინააღმდეგება რუმელუს ცნობას.

ინტერესმოკლებული არ არის ის ფაქტი, რომ ჩვენთვის საინტერესო კოლოფონს ბოლოში კიდევ ერთი მინაწერი აქვს. მინაწერი, რომელიც თავისი შინაარსით პირველს ემთხვევა (შეცვლილია მხოლოდ ანდერძის წყობა და დამახინჯებით არის მოტანილი ხელნაწერის მომგებლის საკუთარი სახელი), შესრულებულია ლურჯი მეღვინით და პალეოგრაფიულად უფრო გვიან პერიოდის არის. მინაწერი შემდეგი სახისაა:

Թ՛վին **ԶԿԸ** Էր Էს **Դსայ** **Ալին** և **Էათ** **գԹմոք** շատք սուրն մահեցան և շատք գերեցան և շատք ավիիեցան աստուածայուչ (!) ասևտարանս գերեցաւ

<sup>4</sup> საკუთარი სახელი „შაჟადესი“ (და მისი ვარიანტ შაჟადი) არ გვხვდება ჰ. აჭარიანის მიერ სომხური საისტორიო წყაროების მონაცემთა საფუძველზე შედგენილ საკუთარ სახელთა ლექსიკონში, ამდენად ამ პიროვნების იდენტიფიკაცია დღესღებობით შეუძლებლად მიგვაჩნია.

<sup>5</sup> თაკა, თანკა (ტანგა) – ოსმალური ფულის ერთეული, ვერცხლის მონეტა იხ. Մտ. Մալխաս-Էանց, Հայերենի Բացատրական բառարան, Կ. II, Երևան, 1944, გვ. 82.

სა ტაქაჟუა გნეჟი Ⴀ Ⴀანსჟაჟ სოჟი Ⴀმ ჰოჟოა Ⴀამაჟ Ⴀოჟოჟი Ⴀოჟოგნ  
სნსჟანსოჟის Ⴀსჟოჟესჟ Ⴀ Ⴀოჟიჟოთო

„ნელი **Ⴀჟ** /**Ⴀ** **კ** **დ** (964 + 551/2 = 1515/6) იჟო, მოვიდა დეჟაჟ ალი  
და აილო თმოგვი და მრავალი ხმლით მოსრა და მრავალი დაატყვეჟა და  
მრავალი ააოხრა. ღვთიური ეს სახარება დატყვეჟებულ იჟნა. მე შაჟადმა<sup>6</sup>  
შევიძინე, 100 თანკა მივეცი, სულისა ჩემისათვის დავტოვე და ჩემი  
ვაჟებისათვის ცხოვნება ითხოვეთ ქრისტესგან“.

მიუხედაჟად იმისა, რომ გვიანდელი მინანერი ცვლის ძირითად ანდერძში  
მოტანილ თარიღს – მინანერის მიხედვით თმოგვის ალება 1515/16 წლებში  
მომხდარა (964+551/2 = 1515/6), რაც ერთი წლით განსხჟავდება ჰასან  
რუმლუსა და პირველი კოლოფონის ჩვენებისაგან, ვფიქრობთ, ის ხელნანერის  
რომელიმე გვიანდელი მფლობელის მიერ არის შედგენილი პირველი  
კოლოფონის საფუძველზე და დამოუკიდებელი ღირებულება არ გააჩნია.

ამგჟარად, ხელნანერთა ეროვნული ცენტრის სომხურ ხელნანერებში  
დაცული Arm 23-ის ანდერძი კიდევ ერთი დამატებითი წყაროა სამცხეში დივ  
სულთანის ლაშქრობის შესახებ.

### ბიბლიოგრაჟია

გელაშვილი ნ. საქართველოში ყიზილბაშთა პირველი ლაშქრობის  
საკითხისათვის. კრ. *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*. თბილისი, 1991

გელაშვილი ნ. ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან.  
თბილისი, 1995

კაციტაძე დ. ირანის ისტორია, III-XVIII სს. თბილისი, 2003

სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს). ტექსტების  
პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა. თბილისი, 1961

საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. საქართველო XVI საუკუნის  
დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე. თბილისი, 1973

ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი  
თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვლადიმერ ფუთურიძემ, შენიშვნები  
დაურთო რ. კიკნაძემ. თბილისი, 1966

შაჟაასჟანგ შო. ჯაჟენსჟი ჩაგათჟასჟან Ⴀათაჟასჟან, Ⴀ. II. სრესჟან, 1944

<sup>6</sup> ხელნანერის მომგებლის სახელი „შაჟადი“ კოლოფონის „შაჟდის“ დამახინჯებული  
ფორმაა.

## The Colophon of Ms. Armenian 23 on the Capturing of Tmogvi Fortress

*Dali Chitunashvili*

### Summary

National Centre of Manuscripts in Tbilisi boasts an Armenian manuscript 23 dating to the 15th century; but the colophon of this manuscript was written in the 16th century. The colophon refers the conquering of Samtskhe region in Georgia and capturing Tmogvi fortress by Div Sultan Rumlu in 1516. The colophon along with the history of Hasan Rumlu is a primary source for the question related to Div Sultan Rumlu's invasions of Georgia.

## X

### აბასიანთა დირჰემების ქართული მინაბაძები და ბაგრატ III-ის ვერცხლის მონეტის ხელახალი ატრიბუცია

*გონა ჯაფარიძე*

#### აბასიანთა დირჰემების ქართული მინაბაძები

ქართულ ნუმისმატიკაში უაღრესად საინტერესო და საყურადღებოა არაბული დირჰემების ქართული მინაბაძების პრობლემა. მინაბაძები გარეგნულად აბასიანთა ხანის დირჰემების მსგავსია, ატარებენ მათთვის დამახასიათებელ არაბულ, მაგრამ დამახინჯებულ ზედწერილებს. მათ ადგილობრივ წარმომავლობაზე, მკვლევართა აზრით, მეტყველებს ის, რომ მინაბაძები აღმოჩენილია მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე. გარდა ამისა, ისინი ზოგიერთ მონეტაზე შესაძლებლად მიიჩნევენ დაინახონ ქართული ასოებიც (ასომთავრულით). მიუხედავად იმისა, რომ მინაბაძების გარშემო უკვე საკმაო ლიტერატურა არსებობს, გვაქვს საფუძველი ერთხელ კიდევ დავუბრუნდეთ მათ და წარმოვადგინოთ ზოგიერთი დაკვირვება, რაც, ვფიქრობ, ხელს შეუწყობს ამ მონეტების შემდგომ შესწავლას.

მინაბაძებს პირველად 1910 წ. შეეხო ე. პახომოვი. მან გამოაქვეყნა ორი ასეთი მონეტის ფოტო და აღწერა ერთი მათგანი.<sup>1</sup> მის შუბლზე, ცენტრალური ზედწერილის (მუსლიმური რწმენის სიმბოლოს პირველი ნაწილი) პირველი სტრიქონის თავზე და მესამე სტრიქონის ქვემოთ, მოთავსებულია დამახინჯებული, სრულიად გაურკვეველი სიტყვები, ხოლო ირგვლივ – ასევე დამახინჯებული მუსლიმური ლეგენდა, გარშემორტყმული ორმაგი წერტილოვანი ანდა ხაზოვანი რკალით. ზურგზე, სამსტრიქონიანი ცენტრალური ზედწერილის (მუსლიმური რწმენის სიმბოლოს მეორე ნაწილი) გარშემო, წერტილოვანი რკალის გარეთ, დამახინჯებული ზედწერილია და კვლავ რკალი.

ე. პახომოვი აღნიშნავდა, რომ მინაბაძებზე მუსლიმური (resp. არაბული – გ.ჯ.)

---

<sup>1</sup> Е.А. Пахомов, *Монеты Грузии*, ч. 1 (С-П., 1910); Е.А. Пахомов, *Монеты Грузии*, т. 1-2 (Тбилиси, 1970), 56-7, таб. III, №38-39.

წერა-კითხვის უცოდინარი ხელოსნების მიერ ამოკვეთილ წარწერებში გვხვდება მრავალი ნიშანი, რომლებიც მათ გადააკეთეს ქართულ ასოებად (წ, ყ, ი და სხვ.), რასაც ხელოსანთა ეროვნების მაჩვენებლად თვლიდა.<sup>2</sup>

მინაბაძების ქართული წარმომავლობის სხვა დამამტკიცებელ საბუთად პახომოვს მიაჩნდა ის, რომ მათი დიდი ნაწილი აღმოჩნდა საქართველოში. მისი აზრით, მინაბაძების გაჩენა განაპირობა X ს-ის ბოლოს მუსლიმური დირჰემების ძლიერმა დინებამ ჩრდილოეთში ამიერკავკასიიდან, სადაც ისინი უმნიშვნელო რაოდენობით გვხვდება. მიმოქცევაში ფულის ნიშნების ნაკლებობამ გამოიწვია საქართველოში მუსლიმური მონეტების მინაბაძების მოჭრა<sup>3</sup>. ჩანს, პახომოვი მინაბაძებს X ს-ით ათარიღებდა.

პახომოვმა აღნიშნა, რომ ეს არაბული მინაბაძები დაცული იყო სანკტ-პეტერბურგში – საიმპერატორო ერმიტაჟსა და ს. ა. ჩუმაკოვის კოლექციებში, აგრეთვე მოსკოვში – პ. მ. ზუბოვის კოლექციაში,<sup>4</sup> მაგრამ არ დაუკონკრეტებია, თუ სად ინახებოდა მის მიერ გამოქვეყნებული მინაბაძები.

1955 წ. დ. ლენგმა გამოსცა ამერიკის ნუმისმატთა საზოგადოების მუზეუმის (შემდეგ: ანს) კოლექციაში დაცული სამი მინაბაძიდან ორის ფოტო და აღწერა ერთი მათგანი, რომლის ზურგზე, ცენტრალური ზედწერილის ქვემოთ, წაიკითხა „თიფლის“ (თბილისი).<sup>5</sup> მონეტა, რომელიც ატარებდა თბილისის ზარაფხანის დამახინჯებულ სახელს ზურგის ცენტრალური ზედწერილის ქვემოთ, იყო უნიკალური<sup>6</sup> ლენგისთვის. იმ დროს უცნობი დარჩა, რომ მსგავსი ეგზემპლარი ინახებოდა პეტერბურგის ერმიტაჟშიც (იხ. ქვემოთ).

ლენგმა ეს მონეტა მიაკუთვნა ბაგრატ III-ს. მან, ცხადია, იცოდა, რომ ბაგრატ III არ ახორციელებდა კონტროლს თბილისზე. მეორე მხრივ, თუ მინაბაძები მოჭრეს ჯაფარიანმა ამირებმა, მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო მათ წარწერებში წიგნიერების (არაბულის ცოდნის) უფრო მაღალი დონე. მკვლევარს მხედველობაში ჰქონდა შეცდომები მონეტის ზედწერილებში.

<sup>2</sup> Пахомов, *Монеты Грузии* (1970), 57.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> D. M. Lang, *Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia* (New York, 1955), 18-19, pl. I, 11-12. მათ დ. ლენგმა უწოდა „უბრალო მონური ქართული იმიტაციები აბასიანთა დირჰემისა“, რომელიც იშვიათი გახდა ამიერკავკასიაში ახლო აღმოსავლეთიდან რუსეთსა და სკანდინავიაში ვერცხლის მონეტის დინების გამო. ამ შემთხვევაში ლენგის თვალსაზრისი პახომოვის მსგავსია.

<sup>6</sup> იქვე, 19.

საბოლოოდ, ლენგი მაინც თვლიდა, რომ მინაბაძეები საქართველოში მიმოქცევაში იყო უეჭველად ბაგრატ III-ის დროს, რომლის მმართველობისთვის მათი მიკუთვნება ყველაზე შესაფერისად მიაჩნდა.<sup>7</sup>

ლენგის პუბლიკაციას გამოეხმაურა შ. მესხია. ის თვლიდა, რომ მინაბაძეები მოიჭრა თბილისში ჯაფარიანთა ხელისუფლების გადაშენებისა და აქ დამოუკიდებელი საქალაქო თვითმმართველობის დამყარების შემდეგ, XI ს-ის 80-იანი წლებიდან – XII ს. 20-იან წლებამდე. მისი აზრით, ამ დროს მონეტის მოჭრა შეეძლო არა რომელიმე ამირას, ან სხვა მმართველს, არამედ მხოლოდ საქალაქო საბჭოს, ქალაქის კომუნალურ მმართველობას.<sup>8</sup>

მინაბაძეებს რამდენჯერმე შეეხო დ. კაპანაძე. ის წერდა, რომ თავიანთი გარეგნული სახით და წარწერების განლაგებით, მინაბაძეები ძალზე მოგვაგონებენ საყოველთაოდ ცნობილ არაბულ დირჰემებს, მაგრამ, ყურადღებით შესწავლის შემდეგ, ისინი ამჟღავნებდნენ თავიანთ აშკარა ქართულ წარმომავლობას<sup>9</sup>. ის იზიარებდა პახომოვისა და ლენგის თვალსაზრისს და თვლიდა, რომ არაბული „გაუხეშებელი ზედწერილების ზოგიერთი ნიშანი შეცვლილია ქართული ასომთავრულით“.<sup>10</sup> კაპანაძეს საეჭვოდ მიაჩნდა, რომ ისინი იჭრებოდა თბილისში და ფიქრობდა, რომ ეს ხდებოდა სადღაც, სხვა ქართულ სამფლობელოებში.<sup>11</sup> კაპანაძე ასევე გამოეხმაურა ლენგის პუბლიკაციას და მესხიას ზემოხსენებულ მოსაზრებას, რომელსაც არ დაეთანხმა. მინაბაძეების დაბალი წონის ანალოგიას ის ხედავდა XI ს-ის მცირეწონიან ქართულ მონეტებში;<sup>12</sup> რაც შეეხება სინჯადობას, კაპანაძე წერდა, რომ „სადავო მონეტები ... ჯერ შედარებით მაღალი ხარისხის ვერცხლისა“<sup>13</sup> (X ს-ის მიწურულის ალი იბნ ჯაფარის დირჰემების მსგავსად).

კაპანაძის არგუმენტებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ „კომუნისდამაგვარი ნყობილების“ დროინდელ თბილისში მუსლიმური მოსახლეობა ქარბობდა და აქ მოჭრილი მონეტების ზედწერილებს, განსაკუთრებით კი ალაჰისა და მაჰმადის სახელებს, რა თქმა უნდა, არ

<sup>7</sup> Lang, *Studies*, 19.

<sup>8</sup> შ. მესხია, *საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში* (თბილისი, 1962), 77-9.

<sup>9</sup> Д. Капанадзе, *Грузинская нумизматика* (Москва, 1955), 51.

<sup>10</sup> დ. კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა* (თბილისი, 1969), 58.

<sup>11</sup> Капанадзе, *Грузинская нумизматика*, 51.

<sup>12</sup> კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, 58.

<sup>13</sup> იქვე.

დამახინჯებდნენ“;<sup>14</sup> კაპანაძე, ლენგის მსგავსად, ანს-ის მინაბაძს X-XI სს-ის მიჯნით (ე.ი. ბაგრატ III-ის ეპოქით – გ.ჯ.) ათარიღებდა.<sup>15</sup>

კაპანაძის მოსაზრებას არ დაეთანხმა ი. ჯალალანია, რომელმაც, მესხიას კვალდაკვალ, მინაბაძების მოჭრის თარიღად მიიჩნია XI ს-ის 80-იანი – XII ს-ის 20-იანი წლები, დავით IV-ის მიერ თბილისის აღებამდე.<sup>16</sup> მოგვიანებით, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მან დათარიღებაში კორექტივი შეიტანა.

მინაბაძების შესწავლისათვის მნიშვნელოვანი გახდა 1977 წელს აფხაზეთის ტერიტორიაზე – წებელდაში აღმოჩენილი არაბული დირჰემების ქართული მინაბაძების დიდი განძი, რომელიც შევიდა სოხუმის სახელმწიფო მუზეუმში და ის 1982 წ. გამოსცეს ირ. ჯალალანიამ, ო. ბლაჟბამ და ი. ვორონოვმა.<sup>17</sup> განძში (სულ 106 მონეტა), მინაბაძებთან ერთად, იყო 163/779-80 წ. ხალიფა ალ-მაჰდის ნამდვილი დირჰემიც. ამან საფუძველი მისცა ავტორებს, საექვოდ მიეჩნიათ „მინაბაძების გამოშვების თარიღის გადატანა XI ს-ის ბოლოსა და XII ს-ის პირველ მეოთხედში“. მათი აზრით, მინაბაძები მოიჭრა X-XI სს-ის მიჯნაზე.<sup>18</sup> ეს დათარიღება 1992 წ. საექვოდ ჩათვალა თ. დუნდუამ. იმის გამო, რომ განძში არის ხალიფა ალ-მაჰდის ხსენებული დირჰემი, მისი აზრით, „ეს საშუალებას იძლევა ქართული მინაბაძების უფრო ადრეული ეპოქით დათარიღებისა“.<sup>19</sup> 2006 წ. თ. დუნდუა, იმავე დირჰემის საფუძველზე, უკვე თვლიდა, რომ ალ-მაჰდის დირჰემი „ასე თუ ისე ათარიღებს განძის დაფლობას... ეს შეიძლება მომხდარიყო ბაგრატ III-ის ეპოქაზე ადრე, IX საუკუნის მეორე და X საუკუნის პირველ ნახევარში“.<sup>20</sup>

უკანასკნელად, გ. დუნდუას და ი. ჯალალანიას ავტორობით გამოცემულ ქართულ ნუმისმატიკურ ლექსიკონში აღნიშნულია, რომ „სავარაუდოდ განძი IX-X საუკუნეების მიჯნას შეიძლება მიეკუთვნოს“.<sup>21</sup>

<sup>14</sup> კაპანაძე, *ქართული ნუმისმატიკა*, 58.

<sup>15</sup> იქვე.

<sup>16</sup> И.Л. Джалагания, *Иноземная монета в денежном обращении Грузии V- XIII вв.* (Тбилиси, 1979), 69-70.

<sup>17</sup> И.Л. Джалагания, О.Х. Бгажба, Ю. Воронов, “Клад подражаний арабским дирхемам из Цебельды,” *Археологические исследования в Цебельде (результаты раскопок 1977 г.)* (Тбилиси, 1983), 10-26, таб. 1-106.

<sup>18</sup> იქვე, 25; ავტორებმა დასვეს კითხვა: „ხომ არ იყო ეს მინაბაძები პროდუქტი არაოფიციალური, არასახელმწიფოებრივი ემისიისა, რომელიც წინ უსწრებდა მონეტების გამოშვებას ქართველი მეფის ბაგრატ III-ის სახელით?“ იქვე, 26.

<sup>19</sup> თ. დუნდუა, „X-XII სს. ქართული მონეტები და საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი“, *თბილისის უნივერსიტეტის შრომები*, ტ. 310 (1992), 22-3.

<sup>20</sup> თ. დუნდუა, გ. დუნდუა, *ქართული ნუმისმატიკა*, ნაწ. I (თბილისი, 2006), 180.

<sup>21</sup> გ. დუნდუა, ი. ჯალალანია, *ქართული ნუმისმატიკური ლექსიკონი* (თბილისი, 2009), 177.



მიუხედავად მოტანილი მოსაზრებებისა, განძის დაგროვებისა და დაფვლის დრო დაზუსტებას საჭიროებს. განძის ყველაზე ადრეული მონეტა გვაძლევს განძის დაგროვების მხოლოდ საწყის თარიღს, ხოლო დაფვლის მიახლოებითი თარიღი განისაზღვრება განძის ყველაზე გვიანდელი მონეტით.

ალ-მაჰდის დირჰემი წებელდის განძში გვიჩვენებს მხოლოდ იმას, რომ მისი დაგროვება დაიწყო არაუადრეს 163/779-80 წლისა, მაგრამ არა იმას, თუ როდის მოხდა, დაახლოებით მაინც, მისი დაფვლა. ამის გასარკვევად საჭიროა მინაბაძთა პროტოტიპების, მათი ზარაფხანების, მოჭრის თარიღისა და სხვა მახასიათებლების შესწავლა, რაც არ ჩატარებულა და რის გაკეთებასაც ქვემოთ შევეცდები.

ამ ისტორიოგრაფიული შესავლის შემდეგ დავუბრუნდები უშუალოდ მინაბაძებს. 1986 წელს ლენინგრადში ერმიტაჟში მივლინების დროს საშუალება მომეცა გავცნობოდი ერმიტაჟის ნუმიზმატიკის განყოფილებაში დაცულ არაბული დირჰემების მინაბაძებს. ისინი სულ 11 ცალია: 1364, 11614, 11615, 11616, 14210, 14211, 14212, 14213, 14214, 14215 და 14216. შვიდ მათგანს იხსენიებს ი. ჯალაღანია.<sup>22</sup> ერმიტაჟის მინაბაძებს, რომელთა მსგავსი მონეტები გვხვდება წებელდის განძშიც, ასევე შევხები ქვემოთ. პირველად ქვეყნდება მათი ფოტოებიც (იხ. ტაბულები).

როგორც ზემოთ ითქვა, ე. პახომოვმა არ მიუთითა, თუ სად იყო დაცული მის მიერ გამოცემული ორი მინაბაძი. ფოტოების მიხედვით შეიძლება ვთქვა, რომ ისინი არ არის ერმიტაჟის ეგზემპლარები, ვინაიდან მათგან განსხვავებული სიქით არიან მოჭრილნი.<sup>23</sup>

წებელდის განძის წყალობით, მინაბაძთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ერმიტაჟში დაცულ მინაბაძებთან ერთად შეიქმნა უკეთესი პირობები მათი სათანადო შესწავლისათვის. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ მოხდა.

წებელდის განძის გამოცემაში არაბული ზედწერილები არცთუ იშვიათად შეცდომითაა წაკითხული. არ იქნა ამოკითხული ზოგიერთი პროტოტიპის ზარაფხანა და მოჭრის წელი. არ იქნა გათვალისწინებული ადრეული არაბული დირჰემების მახასიათებლები, რომლებიც, მიახლოებით მაინც, იძლეოდა განძის დაფვლის დათარიღების საშუალებას და, საერთოდ, გაუგებარია, რა არგუმენტების საფუძველზე მოხდა განძის დათარიღება X-XI სს-ის მიჯნით.

წებელდის განძის ფოტო-ტაბულები წარმოდგენას გვიქმნის მინაბაძთა

<sup>22</sup> ეხენია: 14210, 14211, 14212, 14213, 14214, 14215 და 14216. Джалагания, *Иноземная монета*, 70.

<sup>23</sup> იხ. Пахомов, *Монеты Грузии* (1970), таб. III, №38-39.

თავისებურებებზე, მაგრამ ისინი დაბალი ხარისხისაა. მათი საშუალებით შესაძლებელია ვიმსჯელოთ მხოლოდ განძის მონეტების ნაწილზე.

ნებელდის განძის პუბლიკაციის (1982წ.) დროს მეხანგრძლივ მივლინებაში ვიყავი საზღვარგარეთ და მას გავეცანი მხოლოდ მოგვიანებით, 1986 წელს. ამ დროს სოხუმში ვითარება საკმაოდ დაძაბული იყო. აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა უპასუხოდ დატოვა ჩემი წერილი, რომელშიც ვთხოვდი, მოეცა განძის ხელახალი შესწავლის შესაძლებლობა.<sup>24</sup>

უშედეგო აღმოჩნდა ჩემი ცდა, მომეპოვებინა განძის მონეტების ფოტოების ნეგატივები, ანდა უკეთესი ფოტორეპროდუქციები თბილისში. ისინი არ აღმოაჩნდა არც ფოტოგრაფ ნ. არჩვაძეს, რომელმაც გადაიღო ეს მონეტები და არც ორ ავტორს სამიდან, რომლებმაც გამოსცეს განძი – ი. ჯალაღანიასა და ი. ვორონოვს.

იმის მოლოდინმა, რომ რაიმე ახალი აღმოჩენა საშუალებას მომცემდა უფრო გულდასმით შემესწავლა მინაბაძები, მათზე მუშაობა საკმაოდ გამიხანგრძლივა და ახლა, საკმაოდ მოგვიანებით, მინდა წარმოვადგინო მინაბაძების კვლევის ზოგიერთი შედეგი. იმედია, რომ მათ საფუძველზე და მათი გათვალისწინებით, მომავალში ახალი მინაბაძების აღმოჩენის შემთხვევაში, სხვა მკვლევრებს საშუალება მიეცემათ, მეტი სინათლე მოჰფინონ მათი ემისიისა და მიმოქცევის პრობლემებს.

**მინაბაძთა არაბული ზედწერილებისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი შეცდომა.** მინაბაძებზე არაბული ზედწერილების დიდი ნაწილი დამახინჯებულია, ნაკლებია და შეცდომებითაა. არაბულ سوا (მოციქული) ხშირად წერია ბოლო ასოს "კ"-ს („ლამ“-ის) გარეშე: سوا (ნებელდის განძი, №№ 3-9, 11-12, 14-17, 28-29, 44, 85 და ერმიტაჟი, №№ 11616, 14210, 14211 და 14215 ტაბ.). სიტყვაში كرسپيرველ ასოს „შინ“-ს (თავზე სამი წერტილის გარეშე, რასაც განაპირობებს ქუფური შრიფტის თავისებურება), სამი ფეხის ნაცვლად, ხშირად აქვს ორი (№№ 30, 35, 39 40, ....), ანდა დაკარგულია ასოები “კ” („რა“) და “ჟ” („ღ“).

მინაბაძების ნაწილის შუბლზე ზედწერილები ამოკვეთილია უკუღმა, სარკისებურად (ნებელდის განძი, №№ 36, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 70, ერმიტაჟი, №14216, ტაბ.). იშვიათად ეს ორივე მხარეზეა (ნებელდის განძი, №№ 46, 47; ერმიტაჟი, №14214 ტაბ.). ასევე იშვიათად, შუბლისა და ზურგის ცენტრალური ზედწერილები ერთი და იგივეა (ნებელდის განძი, №34, სადაც შუბლის ზედწერილი უკუღმაა და №79).

<sup>24</sup> აფხაზეთში მომხდარი ცნობილი მოვლენების შემდეგ, ამ განძის ბედი ჩემთვის უცნობია.

**ქართული ასოები მინაბადებზე?** როგორც აღინიშნა, ზოგიერთ მინაბადზე მკვლევრები (პახომოვი, ლენგი, ჯალალანია) ხედავენ ქართულ ასოებს. თუ ასეა, ქართული ასოები, საბოლოო ჯამში, რაღაც სიტყვას, ან სიტყვის ფრაგმენტს მაინც უნდა გვაძლევდეს, მაგრამ ასე არ არის და, ვფიქრობ, რომ საქმე გვაქვს არა ქართულ, არამედ დამახინჯებულ არაბულ ასოებთან, ქუფური შრიფტით. ფაქტობრივად, მინაბადების ქართული წარმომავლობის ერთადერთი და გადამწყვეტი საბუთია მათი აღმოჩენები საქართველოს ტერიტორიაზე. ანალოგიური მინაბადები მე არ მეგულება რუსეთისა და აღმ. ევროპის ტერიტორიებზე, სადაც, საერთოდ, იშვიათი არ არის არაბული დირჰემების მინაბადთა აღმოჩენები.

**მინაბადების მეტროლოგია.** დღემდე ცნობილი 120 მინაბადის (ანს-ის, ერმიტაჟის, ნებელდის განძისა და ჭერემის ეგზემპლარები) მონეტის წონითი მაჩვენებლები მერყეობს 1.2-დან – 2.31 გრამებს შორის. გამონაკლისია ჭერემში აღმოჩენილი ეგზემპლარი – 2.78 გ.<sup>25</sup> ძირითადი მასივის ერთი ჯგუფი მოდის 1.41-1.50 (20 ეგზ.) და 1.51-1.60 (19 ეგზ.) გრამებზე; მეორე ჯგუფი – 1.61-1.70 (15 ეგზ.) და 1.71-1.80 (17 ეგზ.) გრამებზე.

სრულწონიანი დირჰემები (2.97 გ) განძში არ არის. თვით ხალიფა აღ-მაჰდის აღნიშნული დირჰემის წონაა 2.25 გ. მინაბადების წონით მაჩვენებლებს საერთოდ არა აქვთ XI ს. დაბალწონიან ქართულ მონეტებთან. განძის ნაწილი მაინც, ფაქტობრივად, ნახევარდირჰემიანი მონეტებია. მაგრამ, საერთოდ, ფიქსირებული წონითი სტანდარტი მათ არა აქვთ. ამ მინაბადებს, ჩანს, იღებდნენ წონით და არა ცალკობით.

**სინჯადობა.** მიუხედავად იმისა, რომ კაპანაძე აღნიშნავდა მინაბადების მაღალ სინჯადობას, ეს იყო ზეპირი განცხადება და მათი ანალიზი არც მას და არც სხვას არ ჩაუტარებია.

პირველად, 1987 წ., ერმიტაჟის მინაბადთა სინჯადობა რენტგენულ-ფლუორესცენტული მეთოდით, ჩემი თხოვნით, ჩემი მეგობრისა და კოლეგის, ან განსვენებული იგორ დობროვოლსკის დახმარებით, გამოიკვლიეს ერმიტაჟის ფიზიკურ ლაბორატორიაში და მრავალი წლის დაგვიანებით მხოლოდ ახლა ქვეყნდება:<sup>26</sup>

<sup>25</sup> ჭერემში ნაპოვნი ეს მონეტა (დ. 25-26 მმ), ექვთიმე თაყაიშვილის მიერ პარიზიდან დაბრუნებული საგანძურიდანაა. ის შემონიშნული ყოფილა ივ. ახმეტელაშვილის მიერ. ინფორმაცია მომანოდა მაია პატარიძემ.

<sup>26</sup> ამ მეთოდის შესახებ იხ. Г. Джапаридзе, “О некоторых методах и итогах анализа пробы восточных монет,” сб. *Восточное источниковедение и специальные исторические дисциплины*, вып. I (Москва, 1989), 223-4.

№№	ერმიტაჟის მინაბაძების ლითონის შემადგენლობა											
	Cr	Mn	Fe	Co	Ni	Cu	Zn	Au	As	Pb	Ag	Sb
1364	0.00	0.00	0.04	0.00	0.01	1.77	0.00	0.17	0.00	0.24	97.72	0.04
11614	0.01	0.00	0.02	0.00	0.01	9.23	0.00	0.09	0.00	0.46	90.19	0.00
11615	0.00	0.00	0.05	0.00	0.00	22.03	0.00	0.10	0.07	0.22	77.54	0.00
11616	0.00	0.01	0.01	0.00	0.00	4.06	0.00	0.04	0.09	0.24	95.53	0.02
14210	0.01	0.00	0.03	0.00	0.01	5.50	0.00	0.00	0.00	0.53	93.87	0.03
14211	0.00	0.00	0.03	0.00	0.03	15.26	0.00	0.00	0.00	0.16	84.52	0.00
14212	0.00	0.00	0.12	0.00	0.02	4.11	0.00	0.18	0.00	0.41	95.16	0.00
14213	0.00	0.03	0.08	0.00	0.01	2.54	0.00	0.00	0.00	0.49	96.82	0.03
14214	0.00	0.00	0.06	0.00	0.00	5.48	0.00	0.02	0.00	0.20	94.25	0.00
14215	0.00	0.00	0.07	0.00	0.00	6.26	0.00	0.04	0.02	0.07	93.55	0.00
14216	0.00	0.00	0.03	0.00	0.00	4.33	0.00	0.00	0.00	0.13	95.50	0.00

მოტანილი ცხრილიდან ჩანს, რომ ვერცხლის შემცველობა მონეტებში მაღალია. 11 მინაბაძიდან მხოლოდ ორის სინჯადობაა 90-ზე ნაკლები: 11615 – 77.54 და 14211 – 84.52. ამ მონაცემებით ვერ ვიტყვი, რომ ისინი მოიჭრა ვერცხლის კრიზისის დროს, X–XI სს. მიჯნაზე.

**ზარაფხანები და მოჭრის თარიღი მინაბაძთა პროტოტიპებზე.** ნებელდის განძის 106 მონეტიდან, როგორც აღნიშნავდნენ განძის გამომცემლები, მხოლოდ ერთია ნამდვილი არაბული დირჰემი – ხალიფა ალ-მაჰდისა. ამასთან, განძის მინაბაძების რამდენიმე ცალზე: 44, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53 და 54, ლენგის მიერ გამოცემული ბნს-ის მინაბაძის ანალოგიით,<sup>28</sup> მათ მოჭრის ადგილად წაიკითხეს თბილისი:



<sup>27</sup> Cr – ქრომი, Mn – მარგანეცი, Fe – რკინა, Co – კობალტი, Ni – ნიკელი, Cu – სპილენძი, Zn – თუთია, Au – ოქრო, As – დარიშხანი, Pb – ტყვია, Ag – ვერცხლი, Sb – სურმა.

<sup>28</sup> Lang, *Studies*, pl. I, 12.

ნებელდის განძის და ანს-ის დასახელებული ეგზემპლარების მსგავსია ერმიტაჟის მინაბაძები 11616, 14214 და 14216 (ტაბ.).

ლენგს არ აღუნიშნავს, რომ ანს-ის მინაბაძის ზურგის ცენტრალური ზედწერილის თავზე იყო კიდევე ერთი წარწერა, რომელიც გაუშიფრავი დარჩა. იგივე წარწერა გვხვდება ერმიტაჟისა და ნებელდის განძის ზემოდასახელებულ მინაბაძებზე:



როგორც ამერიკის ნუმიზმატთა საზოგადოების მუზეუმის, ისე ერმიტაჟის სხენებულ ეგზემპლარებზე, წარწერა, რომელსაც თბილისად მიიჩნევენ, სარკისებურად, უკუღმაა ამოკვეთილი. სწორი იქნება:



ეს სიტყვა ამგვარად და, ზოგჯერ, ბოლო ასოს მოხაზულობის მცირე ცვლილებით, სწორადაა ამოკვეთილი ერმიტაჟის №№ 11614, 11615 ტაბ. და ნებელდის განძის №№ 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 63, 64, 65, 68, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76, 77, 78, 79, 80-81, 82, 83, 84, 85, 86, 87, 88, 89, 90, 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 98, 99, 100, 101, 102, 103, 104, 105, 106 მინაბაძებზე.

ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ ამ ტიპის (მხედველობაში გვაქვს მონეტები სწორად ამოკვეთილი წარწერით) მინაბაძის მცირე სახესხვაობას წარმოადგენენ ერმიტაჟის №1364 (ტაბ.) და ნებელდის განძის №№ 66, 67 და 69 ეგზემპლარები. ეს სიტყვა უკეთ ჩანს ზურგის სამსტრიქონიანი ზედწერილის ქვემოთ:



ასევე, უკეთ ჩანს წარწერაც ზურგის ცენტრალური ზედწერილის თავზეც:



მსგავსი მინაბაძები არის ნებელდის განძშიც (№№ 66, 67, 69).

ლენგის წაკითხვას, რომელიც გაიზიარეს სხვა ნუმიზმატებმაც (კაპანაძე, ჯალალანია), ვერ დავეთანხმები. აბასიანთა დირჰემებზე ზარაფხანა მოთავსებულია მხოლოდ შუბლის ცენტრალურ ზედწერილში და მინაბაძები

არსებითად იმეორებენ პროტოტიპებს. ერმიტაჟის № 1364 (ტაბ.), და ნებელდის განძის №№ 66, 67 და 69 ეგზემპლარებზე (რომელთა ზურგზე ცდილობენ წაიკითხონ თიფლის/თბილისი), შუბლის წრიულ ზედწერილში აშკარად იკითხება მოჭრის ადგილი მაღინათ ას-სალამი (ბაღდადი) და მოჭრის თარიღიც – 157/773-74 წ. აბასიანთა ადრეული დირჰემების ზურგის ცენტრალური ზედწერილის თავზე და ბოლოში, ჩვეულებრივ, თავსდება მმართველის – პროვინციის გამგებლის სახელები. სამწუხაროდ, მაღინათ ას-სალამის აღნიშნულ და მომდევნო წლების დირჰემებზე, როგორც სხვადასხვა სამონეტო კატალოგის გაცნობამ მიჩვენა, მსგავსი სახელი არ გვხვდება.

მან, ვინც მოჭრა ეს მინაბადი, მართალია, პროტოტიპად აიღო სახალიფოს სატახტო ქალაქში მოჭრილი დირჰემები, მაგრამ მასზე დაამატა ისეთი სახელიც, რომელიც არა გვხვდება მაღინათ ას-სალამის ზარაფხანის არცერთ ვერცხლის მონეტაზე.

მინაბადზე ცენტრალური ზედწერილის ბოლო სტრიქონში თითქოს პირველი ორი ასოა კ – „ბნ“/ძე. თუ ასეა, მაშინ ეს პიროვნება არის ძე ცენტრალური ზედწერილის პირველ სტრიქონში დასახელებული პირისა. მაგრამ, მთლიანობაში, წარწერის წაკითხვა, მიუხედავად ეგვიპტის, სირიისა და დასავლეთის ნუმიზმატებთან არაერთი კონსულტაციისა, არ მოხერხდა.<sup>29</sup> იმედი მაქვს, რომ ამას შეძლებენ სხვები, თუნდაც ახალგაზრდა ქართველი არაბისტები.<sup>30</sup>

როგორც ზემოთ ითქვა, კაპანადის თანახმად, ლენგის მიერ გამოცემული მინაბადი „ტიპოლოგიური, სტილისტური და ფაქტურული ნიშნებით ... ენათესავება X ს. მიწურულის არაბულ დირჰემებს“. ეს თვალსაზრისი არ შეესაბამება სინამდვილეს. როგორც დ. ლენგის მიერ გამოცემული, ისე ყველა სხვა ცნობილი მინაბადი, თავიანთი მახასიათებლებით შორს დგანან X ს-ის არაბული ვერცხლის მონეტებისგან.

ჯალალანია აღნიშნავდა, რომ მინაბადების მოჭრის დათარიღების დროს „გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის, რა თქმა უნდა, მინაბადის დათარიღებულ ეგზემპლარს“.<sup>31</sup>

დათარიღებული მინაბადის გამოვლენა არარეალურია. ვინც ჭრიდა

<sup>29</sup> 1999 წ. 6 აგვისტოს ცნობილმა ამერიკელმა ნუმიზმატმა, ამერიკის ნუმიზმატთა საზოგადოების ისლამური მონეტების კურატორმა მ. ბეიტსმა პირად წერილში მომწერა: „ცენტრალური ზედწერილის თავზე წარწერა შეიძლება იყოს „ალ-ჰასან“, ან „ალ-...“ რაც შეეხება ბოლო სტრიქონს, რომელსაც მიიჩნევდნენ თბილისად, „მე ვეკითხები საკუთარ თავს, ხომ არ არის ის „იბნ ისჰაკი“?

<sup>30</sup> ლენგის მიერ გამოცემული მეორე მინაბადი (ტაბ. I, 11), ფოტოების მიხედვით, შესაძლოა, პახომოვის მიერ გამოცემული მინაბადის (ტაბ. III, 39) მსგავსია. ის არ არის ერმიტაჟის მინაბადთა შორის. ერმიტაჟის №1364 ეგზემპლარზე იგივე ზედწერილი რამდენადმე განსხვავებული სახით არის დაწერილი.

<sup>31</sup> Джалаганиа, *Иноземная монета*, 70.

მინაბაძს, არ ფიქრობდა აღენიშნა მოჭრის ახალი თარიღი. სხვა საქმეა, რომ მინაბაძზე ის მექანიკურად იმეორებდა როგორც მოჭრის თარიღს, ისე – ზარაფხანას. სწორედ პროტოტიპის თარიღი და სხვა მახასიათებლები, მიახლოებით მაინც, განსაზღვრავენ მინაბაძების მოჭრის დროს.

ნებელდის განძის გამომცემლები წერენ, რომ ეს მონეტები ქუფური დირჰემების მინაბაძებია<sup>32</sup> – დაკონკრეტების გარეშე. ქუფური შეიძლება იყოს როგორც ომაიანთა, ისე აბასიანთა მონეტებიც. ნებელდის განძის, ანს-ის და ერმიტაჟის აბსოლუტურად ყველა მინაბაძის ზურგის ცენტრალური სამსტრიქონიანი ზედწერილი (الله/سوار/محمد – მუჰამადი/მოციქულია/ალაჰისა) მონეტებზე პირველად შემოიტანეს აბასიანებმა. ამდენად, ნებელდის განძის მინაბაძების პროტოტიპები უეჭველად **აბასიანთა დირჰემებია**.

აბასიანთა ადრეული მონეტები 750 წლიდან აგრძელებდნენ წმინდა აღწერილობითი ტიპის ომაიანთა მონეტების ტრადიციას, ყურანის აიებით და ხალიფას, ანდა მმართველის სახელის მოუხსენიებლად. ეს პრაქტიკა გრძელდებოდა ხალიფა ალ-მანსურის (754-775) დრომდე. ალ-მანსურმა პირველად შემოიტანა დირჰემების ზურგზე თავისი ვაჟისა და მემკვიდრის – ალ-მაჰდის სახელი აღმოსავლურ პროვინციებში, სადაც ის მმართველად დაინიშნა. მოგვიანებით, ალ-მაჰდი იყო პირველი, რომელიც დირჰემებზე (ბასრა და არ-რაი/ მუჰამადია) იხსენიება ხალიფად.

როდის დაიწყო ნებელდის განძის შეგროვება? განძის ერთადერთი ნამდვილი მონეტის, 163/779-80 წლის ხალიფა ალ-მაჰდის (775-785) დირჰემის მიხედვით, ეს შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ 779-80 წლის შემდეგ, მაგრამ შეიძლება ამ თარიღის რამდენადმე დაზუსტება.

განძის №24-ე მინაბაძზე, რომელზედაც თარიღს ვერ ვკითხულობ, შუბლის ცენტრალურ ზედწერილში აღნიშნულია, რომ მინაბაძის პროტოტიპი მოიჭრა **მართლმორწმუნეთა ამირას** (ხალიფას) **ვაჟის, ალ-მაჰდის** ბრძანებით (*მიმმა ამარა ბიჰი ალ-მაჰდი მუჰამად იბნ ამირ ალ-მუ'მინინ*). ეს მოხდა ამ უკანასკნელის გახალიფებამდე (775 წ.). ცნობილია, რომ მან ალ-მაჰდის ტიტული (*ლაკაბ*) მიიღო მას შემდეგ, რაც მამამ, ხალიფა ალ-მანსურმა დანიშნა ხორასნის გამგებლად 141/758-59 წ., მაგრამ ამ ტიტულით ის პირველად იხსენიება მხოლოდ 145/762 წლიდან, არ-რაის ზარაფხანაში მოჭრილ დირჰემებზე, 155/771-72 წლამდე.<sup>33</sup> ამრიგად, ნებელდის განძის №24 მინაბაძის ყველაზე ადრეული პროტოტიპის გათვალისწინებით, განძის შეგროვება შეიძლება დაეწყოს **არა უადრეს 762 წლისა და მომდევნო ხანებში**.

<sup>32</sup> Джалагания, Бгажба, Воронов, “Клад,” 10.

<sup>33</sup> Michael L. Bates, “Khurāsānī Revolutionaries and al-Mahdī’s Title,” in *Culture and Memory in Medieval Islam: Essays in Honour on Wilfred Madelung*, ed. by Farhad Dafrary and Josef W. Meri (London, 2003), 219-73, 286-92.

უხარისხო ფოტორეპროდუქციებმაც კი საშუალება მოგვცა, წაგვეკითხა ზარაფხანა და მოჭრის თარიღი ნებელდის განძის 10 მონეტაზე. ესენია: **მადინათ ას-სალამის** 157/773-74 წ. შვიდი (№№ 21-22, 65-69), **ბასრას** (№23) და **ვასიტის** 156/772-73 წ. (№17) დირჰემების თითო-თითომინაბადი. ამავე წლისა და მადინათ ას-სალამის ზარაფხანისაა ერმიტაჟის კოლექციის №1364 მინაბადიც. დასახელებულ მინაბადებზე წაკითხული თარიღები საშუალებას იძლევა დავასკვნა, რომ **მათი პროტოტიპები იყო VIII ს-ის 70-იანი წლების აბასიანთა დირჰემები.**

ნებელდის განძში მე ვერ ვნახე ვერცერთი მინაბადი, რომლის პროტოტიპიც დათარიღებული იქნებოდა VIII საუკუნის ბოლო წლებით, ან IX ს. დამდეგით. შესაძლოა ამის მიზეზი ისაა, რომ მინაბადების უმრავლესობაზე ზარაფხანები, და, რაც მთავარია, წლები იმდენადაა დამახინჯებული, რომ შეუძლებელია მათი პროტოტიპების იდენტიფიკაცია. მაგრამ გვაქვს აბასიანთა ადრეული დირჰემების მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი მახასიათებლები: **წრიული ზედწერილების რაოდენობა მონეტების შუბლზე და პალეოგრაფიული თავისებურებები,** რომლებიც მიახლოებით დათარიღების საშუალებას იძლევა.

ცნობილია, რომ ხალიფა ალ-მამუნის ზეობის (813–833) დროს, 206/821-22 წლისთვის სახალიფოში განხორციელდა სამონეტო რეფორმა, როცა შეიცვალა ვერცხლისა და ოქროს მონეტების გარეგნული სახე.<sup>34</sup>

1. რეფორმის შედეგად მოხდა დირჰემებისა და დინარების ზედწერილების უნიფიცირება. ამ მონეტებზე ერთნაირად დალაგდა ზედწერილები.

აბასიანთა ადრეული დირჰემების (და დინარების) შუბლის ცენტრალური ზედწერილის (მუსლიმური რწმენის სიმბოლოს პირველი ნაწილის) გარშემო იყო ერთი წრიული ზედწერილი, რომელშიც აღინიშნებოდა მოჭრის ადგილი და წელი. 198/813 წ., მას შემდეგ, რაც ალ-ამინთან ტახტისთვის ბრძოლაში გამარჯვებული ალ-მამუნი ხალიფად გამოცხადდა, ქ. მერვში, სადაც იყო მისი რეზიდენცია, პირველად მოიჭრა დირჰემები, რომელთა შუბლზე ამ ერთი წრიული წარწერის გარშემო გაჩნდა მეორე ზედწერილი ყურანიდან (XXX, <sup>3(4)-4(5)</sup>):

لله الامر من قبل و من بعد و يومئذ يفرح المؤمنون بنصر الله  
ალაჰისაა ბრძანება ამაზე უწინ და ამის შემდგომაც  
და იმ დღეს იხარებენ მორწმუნენი ალლაჰის შეწევნით

ამ ზედწერილმა, რომელსაც გამარჯვების აიას უწოდებენ და რომელსაც უწინადა უკვდავეყო ალ-ამინზე ალ-მამუნის გამარჯვება, შეცვალა აბდ ალ-მალიქის (685–705) რეფორმის შემდეგ ისლამური მონეტებისთვის დამახასიათებელი

<sup>34</sup> Tayeb El-Hibri, "Coinage Reform Under the Abbasid Chaliph al-Ma'mun," *Journal of the Economic and Social History of the Orient*, vol. XXXVI (1993), 59-83.



ნერტილოვანი რკალები ცენტრალური ზედწერილის გარშემო. ამიერიდან, ეს მეორე ზედწერილი აბასიანთა მონეტების დირჰემებისა და დინარების შუბლზე აღინიშნებოდა მონღოლთა მიერ ბალდადის აღებამდე (1258 წ.).<sup>35</sup>

მეორე წრიული ზედწერილი ჩნდება 201/816-17 წ. ისფაჰანის, 203/818-19 წ. სამარკანდის, 208/823-24 წ. ჰერათის და 210/825-26 წ. ზარანჯის მონეტების შუბლზე.<sup>36</sup> ბალდადში მონეტები მეორე წრიული წარწერით მოიჭრა 204/819-20 წ. სატახტო ქალაქში ალ-მამუნის დაბრუნებისას.<sup>37</sup> იგივე გაიმეორეს ბასრას და ქუფას, ხოლო შემდეგ, თანდათან, სხვა პროვინციულმა ზარაფხანებმაც.<sup>38</sup> სამხრეთ კავკასიაში მაღინათ არრანის ზარაფხანაში მოჭრილი ამ ტიპის ცნობილი მონეტა, რამდენადმე გვიან, 217/832 წლით თარიღდება.<sup>39</sup>

დირჰემების ზურგზე, ცენტრში უცვლელად დარჩა რწმენის სიმბოლოს მეორე ნაწილი (მუჰამადი/მოციქულია/ალაჰისა), რომლის თავზე აღინიშნება ხოლმე სიტყვა **الله** – ალლაჰს. გარშემო ასევე დარჩა **ერთი** წრიული ზედწერილი (ყურანი IX<sub>33</sub>), რომელიც გარშემოვლებულია ხაზოვანი და არა ნერტილოვანი რკალით.

2. ეგვიპტიდან შუა აზიამდე აბსოლუტურად ერთფეროვანი გახდა ახალი მონეტების ეპიგრაფიკული სტილიც. 206/821-22 წ. კუთხოვანი ქუფური შრიფტი მონეტების შუბლზე და ზურგზე ამ წელს მოულოდნელად შეცვალა უფრო მოხდენილმა მრუდხაზოვანმა არაბულმა შრიფტმა.<sup>40</sup>

ამგვარად, თუ IX ს-ის 20-იან წლებამდე აბასიანთა დირჰემების შუბლზე გვქონდა **მხოლოდ ერთი წრიული** ზედწერილი, ამიერიდან მათზე ჩნდება **მეორე წრიული** ზედწერილიც. ნებელდის განძის, ანს-ის და ერმიტაჟის ნუმიზმატიკური კოლექციის ყველა მინაბაძის შუბლზე არის მხოლოდ **ერთი წრიული ზედწერილი**. ეს კი იმას ნიშნავს, **რომ მათი პროტოტიპები, მიუხედავად იმისა, იკითხება თუ არა მინაბაძზე მოჭრის წელი, იყო აბასიანთა ადრეული დირჰემები VIII ს-ის ბოლო ოთხი ათწლეულისა და არა უგვიანეს IX ს-ის 20-იანი წლებისა**. საყურადღებოა ისიც, რომ პალეოგრაფიულად ზედწერილები იმ მინაბაძებისა, რომლებმაც შემოგვინახეს პროტოტიპების მოჭრის წლები, იმ პერიოდისაა, რომელიც წინ უსწრებდა ალ-მამუნის სამონეტო რეფორმას.

**მინაბაძთა მოჭრის და მიმოქცევის დრო და ადგილი**. ნებელდის განძის

<sup>35</sup> იქვე, 65.

<sup>36</sup> იქვე.

<sup>37</sup> იქვე.

<sup>38</sup> იქვე.

<sup>39</sup> Aram R. Vardanyan, *Islamic Coins Struck in Historic Armenia, I, Early 'Abbasid Period (142–277/759–891)* (Yerevan, 2011), 82, №178-179.

<sup>40</sup> Tayeb El-Hibri, "Coinage Reform," 62.

მინაბაძების ემისია IX-X სს-ების მიჯნაზე ახლოსაა რეალობასთან, მაგრამ არ იყო სათანადოდ დასაბუთებული, ხოლო X-XI სს-ის მიჯნა მიუღებელია. ამ დროისთვის მათი მომჭრელებისთვის უფრო მოსახერხებელი და ადვილი იყო გამოყენებინათ არა აბასიანთა ადრეული დირჰემები, არამედ სხვა, მოგვიანო ხანის პროტოტიპები, თუნდაც თბილისში მოჭრილი დირჰემები. და თუ ეს არ მოხდა, მხოლოდ იმ მიზეზის გამო, რომ **მინაბაძების ერთი ნაწილის ემისია, არაბული პროტოტიპებისა და, შესაბამისად, მინაბაძების მახასიათებლების მიხედვით, ძირითადად განხორციელდა გაცილებით ადრე, სახელდობრ, უწინარეს IX ს-ის 20-იანი წლებისა.**

მომდევნო ხანებში, IX ს-ის მანძილზე, საფიქრებელია, მიმდინარეობდა **მინაბაძთა მინაბაძების** ემისიაც. მათზე დამახინჯებულია პროტოტიპების ზარაფხანების სახელები და მოჭრის თარიღი, ხოლო ცენტრალური ზედწერილის თავზე, ანდა ბოლოში, გვხვდება ამოუკითხავი სიტყვები, ალბათ, პირთა სახელები. მაგრამ, საერთოდ, ზუსტად რამდენ ხანს გრძელდებოდა მათი გამოშვება, ამის თქმა შეუძლებელია. უფრო მოსალოდნელია, რომ ის გრძელდებოდა IX ს-ში და ნებელდის **განძი დაფლეს არა უგვიანეს ამ საუკუნისა.**

ნებელდის განძი მაძლევს უფლებას ვიფიქრო, რომ მინაბაძების ემისია, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი აღმოჩენილია აღმოსავლეთ საქართველოშიც (ჭერემში), ხორციელდებოდა **აფხაზთა სამეფოში.** მინაბაძები მოწოდებული იყო, დაეკმაყოფილებინათ მოთხოვნები ვერცხლის მონეტაზე, განსაკუთრებით – დასავლეთ საქართველოში, სადაც ამ მხრივ, განძების მონაცემებით, ამ საფასის ნაკლებობა შეინიშნება.

### **არაბული დირჰემების მინაბაძები და ბაგრატ III-ის ვერცხლის საფასის ხელახალი აჭრიბუცია (საკითხის დასმის წესით)**

ბაგრატ III-ის ვერცხლის მონეტა (დრამა? დირჰემი?), არაბული და ქართული ზედწერილებით, დიდი ხანია ცნობილია მკვლევართათვის. ის 1863 წ. აღმოჩნდა თბილისში და ერმიტაჟისთვის შეიძინა გენერალმა ბართოლომეიმ. მონეტა 1864 წ. აღწერა ვ. ლანგლუამ.<sup>41</sup> შემდეგ ის არაერთ ნუმიზმატიკურ ნაშრომში შევიდა.

მონეტის (ერმიტაჟის ნუმიზმატიკის განყოფილება, № 14209, დ. 23 მმ, მასა – 1.78 გ) გარეგნული სახე ასეთია:

<sup>41</sup> Victor Langlois, “Lettre à M.R.Chalon sur une monnaie d’argent inédite de Bagrat III, Roi des Apxhazes,” *Revue de numismatique Belge*, 4-e série, t. II (Bruxelles, 1864), 202-5. ერმიტაჟში დაცული ბაგრატ III-ის მონეტა დიდი ხნის მანძილზე უნიკუმად ითვლებოდა. ბოლო ხანებში აღმოჩნდა მისი სხვა ეგზემპლარი, რომელსაც გამოსაცემად ამზადებს გერმანელი ნუმიზმატი სტ. ჰეიდემანი.

შუბლი. ცენტრში სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილია, მუსლიმური რწმენის სიმბოლოს პირველი ნაწილი:

لا اله الا الله – არა არს ღვთაება  
 الله واحد – გარდა ალლაჰისა ერთისა,  
 لا شريك له – არა ჰყავს მას მონაწილე

ზედწერილის მესამე სტრიქონის სიტყვა شريك (მონაწილე, მოზიარე) დამახინჯებულია. პირველ ასოს – არაბ „შინ“-ს (ش) აქვს ორი და არა სამი ფეხი. დაკარგულია „რა“/“კ“ და „ა“/“ყ“. წრიულ ზედწერილში შეიძლება ნავიკითხვით მხოლოდ الله [س]– [სახელი]თა ალლაჰისა. მას უნდა მოსდევდეს არაბული დირჰემებისთვის დამახასიათებელი მოჭრის ადგილი და წელი. მათ ნაცვლად გვაქვს დამახინჯებული არაბული ასოები ქუფურის შრიფტით და არა ქართული ასომთავრულით.

გარშემო ორი რკალია, შიდა – წერტილოვანი და გარე – ხაზოვანი.

ზურგი. ცენტრში სამსტრიქონიან არაბულ ზედწერილში იკითხება რწმენის სიმბოლოს მეორე ნაწილი:

محمد – მუჰამადი  
 [س] – მოციქულ[ია]  
 الله – ალაჰისა

ზურგის მეორე სტრიქონის სიტყვას س (მოციქული) – აკლია ბოლო ასო „ლამ“/„ს“.

ორ წრიულ ხაზს შორის მოთავსებულია დაქარაგმებული ზედწერილი (ასომთავრულით):

ქრისტე, ადიდე ბაგრატ, აფხაზთა მეფე.



ნუმიზმატიკები აღნიშნავდნენ სიახლოვეს არაბულ დირჰემებს, მინაბაძებსა და ბაგრატის მონეტას შორის.

პახომოვის აზრით, ბაგრატი III-ის სამონეტო ტიპი ალბათ, ერთბაშად არ იქნა შემუშავებული. გარდამავალ საფეხურს წმინდა მუსლიმური დირჰემებიდან წარმოადგენდა არაბული დირჰემების ქართული მინაბაძები.<sup>42</sup>

ლენგს ბაგრატის ეს მონეტა მიაჩნდა აბასიანთა ადრეული დირჰემების მონურ იმიტაციად.<sup>43</sup>

კაპანაძე თვლიდა, რომ ბაგრატის მონეტა იყო არსებითად, ან ერთგვარად, ლენგის მიერ გამოქვეყნებული მინაბაძის სახესხვაობა.<sup>44</sup> ამავე დროს, ეს მინაბაძი „ტიპოლოგიური, სტილისტური და ფაქტურული ნიშნებით“ „ენათესავეა X ს-ის მინურულის არაბულ დირჰემებს“ და „რაც მთავარია, ბაგრატი III მონეტის თითქმის სრული ასლია“.<sup>45</sup>

თ. დუნდუას თანახმადაც, ბაგრატის ეს მონეტა „არსებითად არაბული დირჰემების ქართული მინაბაძების სახესხვაობაა“.<sup>46</sup>

ლანგლუა წერდა, რომ ბართოლომეიმ, რომელმაც შეამოწმა ბაგრატის მონეტა, ის მიაკუთვნა აშოტ კურაპალატის ძეს, ადარნასეს ძმას ბაგრატი I-ს (826-876).<sup>47</sup> მაგრამ ბაგრატი I-ს არასდროს ეჭირა აფხაზთა სამეფოს ტახტი. ლანგლუა არ დაეთანხმა ბართოლომეის და მონეტაზე დასახელებული ბაგრატი მიიჩნია ბაგრატი III-დ (975–1014).<sup>48</sup>

ლანგლუას ატრიბუცია მართებულად ჩათვალა პახომომმა.<sup>49</sup> მისი არგუმენტები იყო შემდეგი: რამდენიმე მეფიდან ბაგრატის სახელით ბაგრატი IV გამოირიცხა, რადგანაც მისი მონეტები იყო სრულიად სხვა ტიპის, ზომისა და წონის. ბაგრატი II რეგვენს არ შეეძლო პრეტენზია ჰქონოდა აფხაზთა მეფის ტიტულზე, ხოლო ბაგრატი I აფხაზთა მეფე (887–906), თუ ის გადანყვეტდა მოეჭრა მონეტა, ნიმუშად აიღებდა არა მუსლიმურ დირჰემს, არამედ ბიზანტიურ ტიპს.

კაპანაძის აზრით, მონეტა „ბაგრატის მეფობის სულ უკანასკნელ პერიოდს ეკუთვნის; ე.ი. ეს მონეტა უკვე XI საუკუნის დასაწყისში უნდა მოჭრილიყო,

<sup>42</sup> Пахомов, *Монеты Грузии* (1970), 56.

<sup>43</sup> Lang, *Studies*, 18.

<sup>44</sup> Капанадзе, *Грузинская нумизматика*, 51; კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, 58.

<sup>45</sup> კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, 58.

<sup>46</sup> დუნდუა, *დუნდუა, ქართული ნუმიზმატიკა*, 181.

<sup>47</sup> Langlois, “Lettre à M.R.Chalon,” 203-4. ლანგლუა არ დასახელებს და ჩემთვისაც უცნობია, დაბეჭდა თუ არა ბართოლომეიმ თავისი მოსაზრება.

<sup>48</sup> Langlois, “Lettre à M.R.Chalon,” 204-5.

<sup>49</sup> Пахомов, *Монеты Грузии* (1970), 56.

როდესაც... ვერცხლის ქართული მონეტის წონამ კატასტროფულად დაიკლო“. <sup>50</sup> თ. დუნდუამ არ გაიზიარა ეს თვალსაზრისი: „ბაგრატი მონეტაზე მხოლოდ „აფხაზთა მეფის“ ტიტულითაა მოხსენიებული. მისი დათარიღება XI ს-ით შეუძლებელია, რადგან ამ ხანებში იგი უკვე „აფხაზთა“, „ქართველთა“, „კახთა“ და „რანთა“ მეფეცაა“. მკვლევარი თვლის, რომ მონეტის ემისია მოხდა მას შემდეგ, რაც ბაგრატი ქართლში გამეფდა (978 წ.), მერე დასავლეთ საქართველოში გადავიდა და ბოლოს იარაღის ძალით მოუხდა ქართლში თავისი უფლებების აღდგენა. <sup>51</sup> მონეტის მოჭრის სავარაუდო ლოკალიზაცია დ. კაპანაძისა და თ. დუნდუას აზრით, არის უფლისციხე. <sup>52</sup>

ამრიგად, ქართული ნუმიზმატიკის მკვლევართა ეჭვს არ ინვევს, რომ ჩვენთვის საინტერესო მონეტაზე აღნიშნული „აფხაზთა მეფე“ არის ბაგრატ III. თვალსაზრისთა გარკვეული განსხვავებაა იმის თაობაზე, თუ რას წარმოადგენდა ბაგრატის ვერცხლის საფასე: აბასიანთა დირჰემების მინაბაძს (მათ შორის „მონურ მინაბაძს“), თუ არაბული დირჰემების ქართული მინაბაძების სახესხვაობას.

ჩემი აზრით, ბაგრატის ვერცხლის მონეტის ატრიბუცია უნდა მოხდეს ზემოგანხილული **არაბული მინაბაძების შუქზე**. ბაგრატის მონეტა ბაძავს არაბულ დირჰემებს, მაგრამ არ შეიძლება ჩაითვალოს მათ უბრალო სახესხვაობად, იმ მიზეზით, რომ მის ზურგზე არის წრიული ქართული ზედწერილიც. ბაგრატის მონეტის პროტოტიპი, ცხადია, ზოგადად იყო აბასიანთა დირჰემები. მაგრამ აბასიანთა დირჰემების გარეგნული სახე დროთა მანძილზე იცვლებოდა ახალი ზედწერილების დამატებით. როგორც ზემოთ აღინიშნა, IX ს. 20-იანი წლებიდან მათთვის დამახასიათებელია მეორე წრიული ზედწერილი შუბლზე. სწორედერთი, მაგრამ დამახინჯებული წრიული არაბული ზედწერილია ბაგრატის მონეტის შუბლზეც. ბაგრატის **მონეტის პროტოტიპები აშკარად იყო ზემოგანხილული არაბული მინაბაძები და ამ მინაბაძების მინაბაძებიც, რომლებიც იჭრებოდა და მიმოქცევაში იყო IX ს-ის მანძილზე**.

ბაგრატის მონეტა არის არა უბრალოდ აბასიანთა ადრეული დირჰემების მინაბაძი. ის არაბული დირჰემების ქართული მინაბაძების ჯგუფს მიეკუთვნება და შემიძლია დავეთანხმო თ. დუნდუას, რომ მათი სახესხვაობაა. **მაგრამ ვინ არის ეს ბაგრატი?**

თუ მონეტა ბაგრატ III-ს ეკუთვნის, მაშინ ჩნდება კითხვა, რატომ იქნა აღებული მის პროტოტიპად X-XI სს-ის მიჯნაზე მაინცადამაინც აბასიანთა ადრეული დირჰემები. ამის ახსნა ადვილი არ არის. უფრო მეტიც, შეუძლებელია.

ბაგრატის მონეტის არაბულ ზედწერილებში ქართული მინაბაძების

<sup>50</sup> კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, 59.

<sup>51</sup> დუნდუა, „X-XII სს. ქართული მონეტები“, 21.

<sup>52</sup> იქვე.

ანალოგიური შეცდომებია. კერძოდ, ეს ეხება სიტყვებს كرس (მონანილე) და سوس (მოციქული) მონეტის შუბლზე და ზურგზე, რაც ზემოთ უკვე აღინიშნა. **პალეოგრაფიული** თვალსაზრისით, ბაგრატის მონეტების არაბული წარწერები საკმაოდ **ახლოსაა** იმ არაბულ მინაბაძებთან, რომლებიც ზემოთ იყო განხილული.

მსგავსებაა **მეტროლოგიაში**. ბაგრატის მონეტის წონა (1.78 გ) არაბული მონეტების ქართული მინაბაძების წონითი მაჩვენებლების ჯგუფში ჯდება. რაც შეეხება **სინჯს**, ერმიტაჟის ფიზიკურ ლაბორატორიაში ჩატარებული ანალიზით, ის 97.18-ია, ხოლო სხვა ლითონების შემადგენლობა ამ მონეტაში ასეთი სახისაა:

№	Cr	Mn	Fe	Co	Ni	Cu	Zn	Au	As	Pb	Ag	Sb
14209	0.01	0.01	0.01	0.01	0.01	2.04	0.17	0.06	0.00	0.50	97.18	0.01

ბაგრატის მონეტისა და ერმიტაჟის მინაბაძების ლითონის შემადგენლის **უაღრესი სიახლოვე და იდენტურობაც კი, ეჭვს არ იწვევს**. ამის გამო, მათი მოჭრის თარიღებს შორის შეუძლებელია არსებობდეს ორსაუკუნოვანი შუალედი.

ყოველივე ზემოთქმულის გამო, არაბული მინაბაძების საფუძველზე მოჭრილი ბაგრატის მონეტის გადატანა ბაგრატ III-ის ეპოქაში ჩემს დიდ ეჭვს იწვევს. საკითხის დასმის წესით, მე დასაშვებად მიმაჩნია, რომ ეს „მეფე აფხაზთა“ IX საუკუნეში ვეძიოთ. ასეთია **ბაგრატ I – აფხაზთა მეფე**, რომლის ზეობის წლები, წყაროთა განსხვავებული მონაცემების გამო, სხვადასხვაგვარად არის განსაზღვრული: 887-906 წწ. (მ. ბროსე),<sup>53</sup> 861-873 წწ. (ე. თაყაიშვილი),<sup>54</sup> 887-899 წწ. (კ. თუმანოვი),<sup>55</sup> 881-893 წწ. (პ. ინგოროყვა),<sup>56</sup> მ. ლორთქიფანიძე,<sup>57</sup> ა. ბოგვერაძე<sup>58</sup> და სხვ.), 80-იანი წლების ბოლო – 893 წწ. (ზ. ანჩაბაძე)<sup>59</sup>.

ამგვარ შესაძლებლობას გამოორიცხავდა პახომოვი. ის, როგორც აღინიშნა,

<sup>53</sup> M. Brosset, *Additions et éclaircissements a l'histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'en 1469 de J.-G.* (St.-Pét., 1851), 175.

<sup>54</sup> ე. თაყაიშვილი, *ძველი საქართველო*, II (თბილისი, 1911), 53.

<sup>55</sup> C. Toumanoff, "Chronology of the Kings of Abazgia and other Problems," *Le Museon*, LXIX, 1-2, (1956), 82.

<sup>56</sup> პ. ინგოროყვა, *გიორგი მერჩულე* (თბილისი, 1954), 193.

<sup>57</sup> მ. ლორთქიფანიძე, „ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა (ეგრის-აფხაზეთი)“, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. II (საქართველო IV-X საუკუნეებში), (თბილისი, 1973), 429-31; М. Лордкипанидзе, "Возникновение новых феодальных государств, Абхазское царство (Егрис-Абхазети)," *Очерки истории Грузии*, т. II (Грузия в IV-X веках), (Тбилиси, 1988), 293-4.

<sup>58</sup> ა. ბოგვერაძე, „ბაგრატ I, აფხაზთა სამეფოს მეფე“, *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*, II, (თბილისი, 1977), 128.

<sup>59</sup> З. Анчабадзе, *Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.)* (Сухуми, 1959), 123.

წერდა, რომ „ბაგრატ I აფხაზთა მეფე (887-906), თუ ის გადაწყვეტდა მოეჭრა მონეტა, ნიმუშად აიღებდა არა მუსლიმურ დირჰემს, არამედ ბიზანტიურ ტიპს“.<sup>60</sup> პახომოვი ალბათ ითვალისწინებდა ბაგრატ I-ის კავშირს ბიზანტიასთან, სადაც ის ერთხანს თავს აფარებდა კიდეც. მაგრამ საქართველოში დაბრუნებული ბაგრატი, როგორც მეფე, უკვე სხვა პოლიტიკურ რეალობაში ცხოვრობდა. იმ პერიოდის საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი ჩართული იყო არაბული ვერცხლის მონეტის მიმოქცევის სფეროში და აფხაზთა სამეფოში ვერცხლის საფასის ნაკლებობა, ჩანს, უზიძვებდა მეფეს, მის სამფლობელოში მიმოქცევაში არსებული არაბული მონეტების მინაბადების საფუძველზე, მოეჭრა ახალი საფასე, როგორც იმ დროს მიღებული არაბული (მაგრამ დამახინჯებული), ისე – ქართული წარწერებით, იმ ენაზე, რომელზედაც ის მეტყველებდა, წერდა და რომელიც იყო ოფიციალური სამწერლობო ენა მის სამფლობელოში.<sup>61</sup>

ტაბულები

ერმიტაჟის მინაბადები

შუბლი

ზურგი



№1364



№11614

<sup>60</sup> Пахомов, *Монеты Грузии* (1970), 56.

<sup>61</sup> თუ ჩემი თვალსაზრისი სწორია, მაშინ ბაგრატ I და არა ბაგრატ III, იქნება პირველი მეფე, რომელიც ატარებდა ტიტულს „მეფე აფხაზთა“. ჩვეულებრივ, ლ. ახალაძის დაკვირვებით, ბაგრატ III-მდე აფხაზთა მეფეები მხოლოდ „მეფის“ ტიტულს ატარებდნენ. ლია ახალაძე, *აფხაზეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო*, I (თბილისი, 2005), 149-53.

№11615



№11616



№14210



№14211





№14212



№14213



№14214



№14215



№14216



## ბიბლიოგრაფია

ბოგვერაძე ა. ბაგრატ I, აფხაზთა სამეფოს მეფე. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. II. თბილისი, 1977

დუნდუა თ. X-XII სს. ქართული მონეტები და საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი. თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 310, 1992

დუნდუა გ., დუნდუა თ. ქართული ნუმისმატიკა. თბილისი, 2006

თაყაიშვილი ე. ძველი საქართველო. II. თბილისი, 1911

კაპანაძე დ. ქართული ნუმისმატიკა. თბილისი, 1969

ინგოროყვა პ. გიორგი მერჩულე. თბილისი, 1954

ლორთქიფანიძე მ. ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა (ეგრის-აფხაზეთი). საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II (საქართველო IV-X საუკუნეებში). თბილისი, 1973

მესხია შ. საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში. თბილისი, 1962

Анчабадзе З. Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.). Сухуми, 1959

Джалагания И. Иноземная монета в денежном обращении Грузии V- XIII вв. Тбилиси, 1979

Джалагания И., Бгажба О.Х., Воронов Ю. Клад подражаний арабским дирхемам из Цебельды. Археологические исследования в Цебельде (результаты раскопок 1977 г.). Тбилиси, 1983

Джапаридзе Г. О некоторых методах и итогах анализа пробы восточных монет. Сб. Восточное источниковедение и специальные исторические дисциплины. Вып. I. Москва, 1989

Капанაძე Д. Грузинская нумизматика. Москва, 1955

Лордкипანიძე М. Возникновение новых феодальных государств, Абхазское царство (Егрис-Абхазети). Очерки истории Грузии. Т. II (Грузия в IV-X веках). Тбилиси, 1988

Пахомов Е.А. Монеты Грузии. Ч. 1. С-П., 1910

Пахомов Е.А. Монеты Грузии. Т. 1-2. Тбилиси, 1970

Brosset M. Additions et éclaircissements à l'histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'en 1469 de J.-G., St.-Pét., 1851

El-Hibri, Tayeb. Coinage Reform Under the Abbasid Chaliph al-Ma'mun. Journal of the Economic and Social History of the Orient, vol. XXXVI, 1993

Lang D. M. Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia. New York, 1955

Langlois, Victor. Lettre à M.R.Chalon sur une monnaie d'argent inédite de Bagrat III, Roi des Apkhazes. Revue de numismatique Belge, 4-e série, t. II. Bruxelles, 1864

Toumanoff C. Chronology of the Kings of Abazgia and other Problems. Le Museon, LXIX, 1-2, 1956

## Georgian Imitations of Abbasid Dirhams and Reattribution of the Silver Coin of Bagrat III

*Gotcha Djaparidze*

### Summary

The present paper consists of two parts. The first “The Georgian imitations of Arabic dirhams” considers the local imitations of Abbasid dirhams about whose minting, belonging and the time of circulation various views have been expressed by researchers (E. Pakhomov, D. Kapanadze, D. Lang, Sh. Meskhia, I. Jalaghania, D. Dundua, T. Dundua and others). The Tsebelda hoard of imitations (I. Djalaghania, O. Kh. Bghazhba, Yu. Voronov, ‘A hoard of imitations of Arabic dirhams from Tsebelda’, *Archaeological Studies in Tsebelda (results of the excavations in 1977)* (Tbilisi, 1983, 10-26), pls. 1-106 and the 11 imitations preserved at the Numismatic Department of the Hermitage (Nos. 1364, 11614-11616, 14210-14216) have been studied and analyzed, on the basis of which the author concludes that their prototypes were minted in the last four decades of the 8th c. and in the first two decades of the 9th c., earlier than the AH/821-22AD monetary reform, carried out by the caliph Al-Mamun. The imitations were in circulation throughout the 9th c.

The second part of the paper “The imitations of Abbasid dirhams and the reattribution of Bagrat III’s silver coin” discusses the so-called Bagrat III (978-1014) silver coin. Its obverse bears the first part of the symbol of Islamic faith in Arabic – with spelling errors, and round it an illiterately written, illegible legend in Arabic. In the centre of the reverse is the second part of the symbol of Islamic faith, in three lines, in faulty Arabic; around it runs a legend in Georgian asomtavruli: “O Christ, exalt Bagrat, king of the Abkhazians. According to D.Lang, this coin is simply a slavish imitation of early Abbasid dirhams. Actually it is a variety of Georgian imitations of Abbasid dirhams. A resemblance was found between the paleography of the Arabic legends of Bagrat’s coin and the imitations, and the same mistakes (e. g. Arabic “*rasu*” (messenger) on the reverse, instead of “*rasul*”).

The analysis of metal composition of Bagrat’s coin made it clear that its silver content is high (97.18), which is not characteristic of dirhams of the late 10th or the early 11th c. when there was a silver famine in the vast region of the Middle East. On the other hand, similarity is observable between it and some Hermitage imitations (94.25% – 97.54%). The author points out that the period of Bagrat III is sufficiently removed from the time of minting imitations, which raises doubts about the coin belonging to Bagrat III. By way of posing the problem, he suggests that the Bagrat under discussion is Bagrat I, Abkhazian king, who presumably reigned in the last decades of the 9th c. and even till the beginning of the 10th c.

## XI

### სპილენძის ღირებულება ქართლ-კახეთის სამეფოში XVIII საუკუნის მიწურულს ისტორიული საბუთების მიხედვით (თანადროული სპილენძის საფასის თვითღირებულების საკითხისთვის)

ირაკლი ფალავა

#### შესავალი

გაერთიანებული ქართლ-კახეთის სამეფოს (1744-1801) სპილენძის საფასე საკმაოდ კარგად არის შესწავლილი – იმდენად, რამდენადაც ეს მონეტების ტიპოლოგიასა და მეტროლოგიას ეხება.<sup>1</sup> ამასთანავე, სულ ბოლო დრომდე გაურკვეველი რჩებოდა ხსენებული ქართული მონეტების საკრედიტო ბუნების ზოგიერთი ასპექტი, კერძოდ კი – მონეტის თვითღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის სხვაობის მასშტაბი; ანუ, რა მოგების მომტანი იყო სახელმწიფოსთვის, სპილენძის საფასის გამოშვების სახით, სამონეტო რეგალიის განხორციელება. ჩვენ უკვე შევეხეთ ამ საკითხს 2008 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში, რომელიც ძირითადად ქართლ-კახეთში ქართული თუ უცხოური, იმდროინდელი თუ უფრო ძველი მონეტების დადამღვას ეხებოდა.<sup>2</sup> ამ მიმართულებით კვლევა შემდეგაც გავაგრძელებთ; მიღებული შედეგების საფუძველზე ამჟამად შესაძლებლად მივიჩნევთ ერთგვარად შევავსოთ ზემოაღნიშნულ სტატიაში ამ საკითხის ირგვლივ გამოთქმული მოსაზრებები.

#### მიზანი

წინამდებარე ნაშრომის ამოცანაა ახალი მონაცემების საფუძველზე განვიხილოთ ქართლ-კახეთის სპილენძის საფასის თვითღირებულების შემადგენელი ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტის – თავად ლითონის ღირებულება; შევისწავ-

---

<sup>1</sup> Евгений Пахомов, *Монеты Грузии* (Тбилиси, 1970), 256-76; Его же, *Вес и достоинство медной монеты Тифлиса XVII-XVIII вв.* (Отдельный оттиск из т. III “Востоковедения” изд. вост. факультета Аз. Гос. Университета), (Баку, 1928).

<sup>2</sup> Irakli Paghava, Giorgi Lobzhanidze, Severiane Turkia, “Countermarking of Copper Coins in Late 18<sup>th</sup> Century Georgia,” *Caucasian Numismatics, Papers on the Coinage of Kartl-Kakheti (Eastern Georgia), 1744-1801. Supplement to Journal of Oriental Numismatic Society*, 197 (2008), 38-46.

ლოთ ამ ეპოქაში საკრედიტო სპილენძის ფულის გამოშვების მომგებიანობა; დავადგინოთ თანაფარდობა სხვადასხვა სამონეტო ლითონის ღირებულებას შორის; შევხებით ამ საკითხების მნიშვნელობას ეპოქისა და რეგიონის ნუმიზმატიკური, ისევე როგორც, საზოგადოდ, ეკონომიკური ისტორიის შესასწავლად.

### მასალები

დასახული მიზნის მისაღწევად შევისწავლეთ ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის ბოლო წლების დროინდელი წერილობითი პირველწყაროები; კერძოდ, შემდეგი ორი ოფიციალური საბუთი:

1. 1799 წ. სპილენძის ხარჯის ნუსხა;<sup>3</sup>

2. 1800 წ. „მაისის გასვლამდინ“ სპილენძის მადნის შემოსავლისა და ხარჯის ნუსხა.<sup>4</sup>

ორივე ცნობა ნ. ბერძენიშვილმა ჯერ კიდევ 1955 წელს გამოსცა, მაგრამ მათი ნუმიზმატიკური მნიშვნელობა, როგორც ჩანს, შეუფასებელი რჩებოდა<sup>5</sup>.

გარდა ამისა, ჩვენთვის ხელმისაწვდომია აგრეთვე ნ. ბერძენიშვილის მიერ 1938 წელს გამოქვეყნებული ერთი,

3. 1800 წლის ახლო დროით დათარიღებული საბუთი (№3723),<sup>6</sup> რომელიც, საფიქრებელია, კერძო პირის ხარჯებს ასახავს. ის შემდეგნაირად იწყება – „ჩემს ქვისლს, იოვანე მდივანს ჩემის ანგარიშის ნუსხა რომ გამოეგზავნა, ეს იმისი პირია გარდმოღებული“.<sup>7</sup> საბუთი 1800 წლის შემდგომი პერიოდით ქალაქის ჭვირნიშნის მიხედვით თარიღდება, რომლის მხოლოდ ორი უკანასკნელი ციფრია შემონახული („00“);<sup>8</sup> მაგრამ, ვინაიდან საუბარი ანგარიშის ნუსხის პირზეა, არ არის გამორიცხული, რომ საბუთის დედანი 1800 წლამდეც (დავუშვათ, 1790-იანი წლების ბოლოს?) დანერლიყო.

<sup>3</sup> მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის: აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება, მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა, წ. III (თბილისი, 1955), 130-1.

<sup>4</sup> იქვე, 132-4.

<sup>5</sup> თუმცა კი, ეს ცნობები გამოყენებულია ქართული მეტროლოგიის შესწავლისას, შეად. გოჩა ჯაფარიძე, ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან (თბილისი, 1973), 69, შენ. 204; 74, შენ. 237. საზოგადოდ, ნ. ბერძენიშვილის მიერ გამოცემულ საბუთებს ქართველი ნუმიზმატიკიკი იყენებდნენ. ამ მხრივ აღსანიშნავია მ. ანთაძის ნაშრომი, საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით (თბილისი, 1982), 128, 130-1, 136.

<sup>6</sup> მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის: ხელფასი, ქირა, ფასები, მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა, წ. I (თბილისი, 1938), 172-3.

<sup>7</sup> იქვე, 172.

<sup>8</sup> იქვე.

სამივე პირველწყაროს ტექსტი შეიცავს ისეთ ფრაგმენტებს, სადაც სპილენძის გარკვეული ოდენობა კონკრეტულ თანხასთან (ან ოქროს, ანდა ვერცხლის ოსმალური მონეტების გარკვეულ რაოდენობასთან) არის შეფარდებული. აქედან გამომდინარე, შესაძლებელი ხდება სპილენძის ღირებულების გამოთვლა.

მოვიყვანოთ ამ ცნობებს. ზოგჯერ, სახელმწიფო ხასიათის ორივე საბუთის ფრაგმენტები ერთსა და იმავე ინფორმაციას შეიცავს; ერთი და იგივე ინფორმაცია მოცემულია კერძო საბუთშიც; ასეთ შემთხვევებში მიზანშეწონილად ჩავთვალეთ გამეორებული ცნობების შეჯერება – მეტ-ნაკლებად ერთნაირი შინაარსის ფრაგმენტები ერთად არის მოყვანილი.

სახელმწიფო საბუთები შეიცავს შემდეგ ცნობებს:

**ცნობა 1.** „ქ. კათათვის გ. ამას წინა თვეებში ლეკის ჯარების მისაცემათ მადნიდამ ცქ თილანი ბათმანი სპილენძი ქალაქს მოუტანიათ. ამის ქირაში ბოძებიათ ი<sup>2</sup> ვ (16 თუმანი). იქნება ამის სპილენძი<sup>2</sup> ნზ, ჰოყა ა.

<sup>2</sup> – აქ გამოტოვებულია: „ბათმანი“.<sup>9</sup>

**ცნობა 2.** „ქ. ლა. ბატონს ბეგთაბეგიშვილი იოვანე მდივნისაგან ო<sup>6</sup> ნ (50 თუმანი) ამდენი დაუხარჯავს. ამაში უბოძებია სპილენძი ბათმანი რპ“.<sup>10</sup>

„ქ. ბატონს მდივნის იოვანე ბექთაბეგის-შვილისაგან ო<sup>6</sup> ნ (ორმოცდაათი თუმანი) ამდენი დაუხარჯავს. ამისთვის უბოძებია სპილენძი ბათმანი რპ“.<sup>11</sup>

**ცნობა 3.** „ქ. მარიამობის ია. ბატონის ოქმით მადნის ათი ყარაულისათვის ე ყარაული მომატებია. ამ იე ყარაულს მისცემია ნახევარი ჯამაგირი მადანჯი ბერძნებიდან და ნახევარი სარქრიდამ. ე თვეში გავლილი თვეებით იქნა ი<sup>2</sup> ბ ც (12 თუმანი და 2 მინალთუნი). იქნება ამის სპილენძი ბათმანი მბ, ჰოყა ბ“.<sup>12</sup>

**ცნობა 4.** „ქ. ენკენისთვის ე. ბერძენ იოვაკიმ დელი-ბალთას ბოძებია აზრუმიდან ქარხანაჯის მოყვანის ფეხის ქირათ ყურუში ლე. ერთი იქნება.<sup>13</sup> ამაში მისცემია ბათმანი ვ<sup>0</sup>“.<sup>14</sup>

„ქ. ბერძენ იოვაკიმ დელი-ბალთას აზრუმიდან ქარხანაჯის მოყვანის ფეხის ქირათ ბოძებია ყურუში ლე. ამის სპილენძი იქნება ბათმანი ვ<sup>0</sup>“.<sup>15</sup>

<sup>9</sup> 1799 წ. სპილენძის ხარჯის ნუსხა. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წ. III, 130.

<sup>10</sup> იქვე.

<sup>11</sup> 1800 წ. „მაისის გასვლამდინ“ სპილენძის მადნის შემოსავლისა და ხარჯის ნუსხა. იქვე, 133.

<sup>12</sup> 1799 წ. სპილენძის ხარჯის ნუსხა. იქვე, 130.

<sup>13</sup> ამ ორსიტყვიანი ჩანართის მნიშვნელობა ჩვენთვის გაუგებარია. საფიქრებელია, რომ რალაც სიტყვა/სიტყვები გამოტოვებულია.

<sup>14</sup> იქვე.

<sup>15</sup> 1800 წ. „მაისის გასვლამდინ“ სპილენძის მადნის შემოსავლისა და ხარჯის ნუსხა. იქვე, 133.

**ცნობა 5.** „ქ. ზ თვის ხარჯი პურისა და ხორაგისა არის დღეში ქ (3 აბაზი), იქნება ი<sup>-</sup>ბ ჯუ (12 თუმანი, 8 მინალთუნი და 2 აბაზი), იქნება ბათმანი მგ“.<sup>16</sup>

**ცნობა 6.** „ქ. ლეკებისათვის ფარჩაზე მისაცემათ ერევნელებისაგან ას ორი თუმნის ბამბა სყიდულა, ამაში ბარათი ბოძებიათ სნე ამდენი სპილენძისა. ამაში ზოგი არლუთაშვილი სოლომონ მინბაშის ამან(ა)თქრობის ხუმსიდან მიბარებიათ და დანარჩომი იორიდამ მისცემიათ, ბათმანი რიბ“.<sup>17</sup>

„ქ. ერევნელ ვაჭრებს ბატონის ბარათი ჰქონიათ. იმ ბარათში ზოგი სოლომონ მინბაშს მიუცია და იმის ანგარიშ(ში) სწერია, და აქედამაც მიუცემინებია სპილენძი ბათმანი რიბ“.<sup>18</sup>

**ცნობა 7.** „ქ. ბაზაზებს ფარჩის თანხათ ასორმოცი თუმნის სპილენძის ბარათი ბოძებიათ. ამაში მიბარებია დავითა კვეზერელს ბათმანი ო“.<sup>19</sup>

**ცნობა 8.** „ქ. კავალერინცკს მისცემია კ<sup>-</sup>ა (ოცდაერთი თუმანი) ამდენი. ამის სპილენძი მოსულა და ქირაში მისცემია ხ (ექვსი მინალთუნი). ამის სპილენძი იქნება, ბათმანი ჩვიდმეტ აბაზობაზე, ბათმანი ფგ, ჰოყა ე“.<sup>20</sup>

**ცნობა 9.** „ქ. ბატონს მირთმევია, სოლომან მინბაშისა და დავითა კვეზერელის ხელით, ბაჯალლის ფლური ჟ, ამისთვის გასყიდულა ბათმანი ჟ“.<sup>21</sup>

ქვემოთ მოყვანილი ცნობები ამოღებულია კერძო ხასიათის საბუთიდან:

**ცნობა 10.** „ნ (ოთხი მინალთუნი) ქ. ა: ბათმანი სპილენძი“.<sup>22</sup>

„ნ (ოთხი მინალთუნი) ქ. ა: ბათმანი სპილენძი“.<sup>23</sup>

**ცნობა 11.** „ჯ (რვა მინალთუნი) ქ. ბ: ბათმანი სპილენძი“.<sup>24</sup>

**ცნობა 12.** „ბ ჯ (ორი თუმანი და რვა მინალთუნი) ქ. ბ: ბათმანი სპილენძი“.<sup>25</sup>

როგორც ვხედავთ, ამ სამ საბუთში მოიპოვება 12 ცნობა, რომელშიც სპილენძის გარკვეული ოდენობა, გარკვეული ფულადი თანხით არის გამოხატული.

### ფულადი სისტემა

ფულადი თანხები, ძირითადად, მოცემულია იმ დროის ქართლ-კახეთში

<sup>16</sup> 1799 წ. სპილენძის ხარჯის ნუსხა. იქვე, 131.

<sup>17</sup> 1800 წ. „მაისის გასვლამდინ“ სპილენძის მადნის შემოსავლისა და ხარჯის ნუსხა. იქვე, 133.

<sup>18</sup> 1799 წ. სპილენძის ხარჯის ნუსხა. იქვე, 131.

<sup>19</sup> 1800 წ. „მაისის გასვლამდინ“ სპილენძის მადნის შემოსავლისა და ხარჯის ნუსხა. იქვე, 133.

<sup>20</sup> იქვე, 134.

<sup>21</sup> იქვე.

<sup>22</sup> საბუთი No3723. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წ. III, 172.

<sup>23</sup> იქვე, 173.

<sup>24</sup> იქვე, 172.

<sup>25</sup> იქვე, 173.

მიღებული ფულადი სისტემის მიხედვით. ამ დროს, სახელმწიფოში, პრაქტიკულად, ვერცხლის მონომეტალიზმი იყო გაბატონებული. შესაბამისად, როდესაც თანხები მონეტის სახეობის მიუთითებლად არის მოყვანილი, იგულისხმება ქართლ-კახეთის ე.წ. ვერცხლის სირმა-აბაზები.

აუცილებელია მიღებული ფულადი სისტემის მოკლედ განმარტება: გავრცელებული იყო შემდეგი საანგარიშო<sup>26</sup> ფულადი ერთეულები: *თუმანი* (მაქსიმალური ფულადი ერთეული) და *მინალთუნი*; და მონეტარული ფულადი ერთეული *აბაზი* (ე.წ. სირმა აბაზი, ნომინალურად 3.07 გრამი წონის მაღალი სინჯის/სუფთა ვერცხლის მონეტა – გვიანდელი ქართლ-კახეთის ვერცხლის ემისიების ყველაზე გავრცელებული ნომინალი). უკნინესი ფულადი ერთეული იყო *დინარი/ალთუნი*, რომელსაც აგრეთვე არ გააჩნდა მონეტარული შესატყვისი – ყველაზე მცირე რეალურ ნომინალებს შეადგენდა *ფული* და *ნახევარი ფული* (იჭრებოდა სპილენძში; სპილენძის უფრო ხშირი ნომინალები იყო *ბისტი* და *ნახევარი ბისტი* – იგივე *ორი ფული*). თანაფარდობა მათ შორის მოგვყავს ცხრილის სახით:

	მინალთუნი	აბაზი	ბისტი	1/2 ბისტი	ფული	ნახევარი ფული	დინარი
თუმანი	10	50	500	1,000	2,000	4,000	10,000
მინალთუნი		5	50	100	200	400	1,000
აბაზი			10	20	40	80	200
ბისტი				2	4	8	20
1/2 ბისტი					2	4	10
ფული						2	5
ნახევარი ფული							2.5

გარდა ამისა, ერთ-ერთ ცნობაში (9) გვხვდება კიდევ ერთი ქართული სამონეტო ტერმინი *ფლური*. სიტყვა „ფლური“ ფლორენციის ოქროს მონეტის ფლორინის სახელწოდებიდან მოდის, მაგრამ საქართველოში, როგორც ჩანს, ვენეციურ დუკატს აღნიშნავდა; მოგვიანებით ტერმინმა დაკარგა თავისი სპეციფიკური მნიშვნელობა და მხოლოდ მეტროლოგიური (წონითი) შინაარსი შეინარჩუნა.<sup>27</sup> თუ ფლურს დაახლოებით 3.5-გრამიან მაღალი სინჯის („სუფთა“) ოქროს მონეტად მივიჩნევთ, ხოლო ოქროსა და ვერცხლის ღირებულების შეფარდებად ავიღებთ 1:15-თან,<sup>28</sup> მაშინ გამოვა რომ 3.5 გრამი

<sup>26</sup> რომელსაც არ ქონდა შესატყვისი რეალურად არსებული მონეტის სახით.

<sup>27</sup> რევაზ ქებულაძე, *ვეროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში* (თბილისი, 1971), 13-7.

<sup>28</sup> ირაკლი ფალავა, იოსებ ბიჭიკაშვილი, რაულ ჩაგანავა, „ქართლ-კახეთის სამეფოში ოქროს მონეტის (მაურის) გამოშვება (ისტორიული საბუთებისა და ფაქტობრივი მასალის მიხედვით)“, *ხელნაწერი*.



ოქროს შემცველი ფლურის ღირებულება იყო 17.1 სირმა აბაზის (3.07 გრამი მაღალი სინჯის, ე.წ. „სუფთა“ ვერცხლი) ტოლი<sup>29</sup> ( $3.5 \times 15 \times 3.07 = 17.10$ ).

გარდა ქართული (უფრო სწორედ, გაქართულებული – ნატურალიზებული) ფულადი ტერმინოლოგიისა, ზემოთ მოყვანილ ერთ-ერთ ცნობაში (4) ნახმარია ოსმალური ფულადი ერთეულიც – *ყურუში*. სამწუხაროდ, შეუძლებელია იმის თქმა, თუ რა ყურუშზეა საუბარი – XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ოსმალთა სულთნების (ოსმან III, მუსტაფა III, აბდულ-ჰამიდ I, სელიმ III) ყურუშის ნომინალის მონეტების წონა მუდმივად იცვლებოდა (მცირდებოდა);<sup>30</sup> მერყეობდა, როგორც ჩანს, ამ მონეტების სინჯიც. ასე, მაგალითად, აბდულ-ჰამიდ I-ის ყურუშის წონა 18.20 გრამს შეადგენდა, მაშინ როდესაც შემდეგი სულთნის, სელიმ III-ის ყურუში უკვე მხოლოდ 12.44 გრამს იწონიდა.<sup>31</sup> მოსალოდნელია, რომ ქართლ-კახეთში მიმოიქცეოდა არა მარტო განხილული სამი დოკუმენტის შედგენის თანამედროვეის – სელიმ III-ის ყურუშები,<sup>32</sup> არამედ წინამორბედი სულთნის (აბდულ-ჰამიდ I-ის)<sup>33</sup> იგივე ნომინალის საფასეც.

### წონის ერთეულები

სპილენძის ოდენობის გადმოსაცემად ორ სახელმწიფო საბუთში ნახმარია ტერმინები *თილანი ბათმანი*, *ბათმანი*, *ჰოყა*, *სტილი*, *ლიტრა*. ესენი წონის ერთეულებია და XVIII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოში მათ შემდეგი მნიშვნელობა ქონდა:<sup>34</sup>

*თილანი ბათმანი* (შემოკლებით *თილანი*) = 6 ოყას = 48 თუხტს (= 7.34 კგ)

*ოყა* (იგივე *ჰოყა* ან *ოკა*) = 8 თუხტს (სტილს) (= 1.224 კგ)

*ლიტრა* = 20 სტილს

<sup>29</sup> XVIII საუკუნეში საქართველოში ფლურისა და აბაზის კურსის მერყეობისთვის იხ. ქებულაძე, *ვეროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში*, 35-9. მოყვანილი ცნობები კრიტიკულ განხილვას საჭიროებს.

<sup>30</sup> Anton Schaendlinger, *Osmanische Numismatik* (Braunschweig, 1973), 73-4.

<sup>31</sup> იქვე, 74.

<sup>32</sup> თუმცა მათი აღმოსავლეთ საქართველოში პოვნის ფაქტები ჩვენთვის ცნობილი არ არის.

<sup>33</sup> ამ ოსმალთა სულთნის ყურუშები ნაპოვნია უწინდელი ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე: მანგლისსა (ანთაძე, *საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმისმატიკური მასალის მიხედვით*, 81, №41) და კასპში (იქვე, 121, №4); გორის რაიონის სოფ. ტყვიავში ნაპოვნია აბდულ-ჰამიდ I-ის კიდევ ერთი 21.6 გრამი წონის მონეტა (ყურუში?) (იქვე, 78, №18; Евгений Пахомов, *Монетныеклады Азербайджана и других республик, края и областей Кавказа*, вып. IV (Баку, 1949), 78, №1213).

<sup>34</sup> ჯაფარიძე, *ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან*, 68-9, 73-4.

ოყის წონითი მნიშვნელობა, როგორც ჩანს, არსებით ცვლილებას არ განიცდიდა, და იგივენაირი იყო როგორც XVII-XVIII, ასევე XIX საუკუნეების მონაცემებით,<sup>35</sup> როდესაც საქართველოს უმეტესი ნაწილი უკვე რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ-ანექსირებული იყო. აქედან გამომდინარე, ოყით გამოხატული წონითი ერთეულის აბსოლუტური მნიშვნელობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

მაგრამ, აუცილებელია განისაზღვროს, თუ როგორი ბათმანი იგულისხმება (თილანი, დიდი თუ მცირე) იმ შემთხვევებში, როდესაც ტექსტში მითითებულია არა „თილანი ბათმანი“, არამედ უბრალოდ „ბათმანი“ – ეს „ბათმანი“ იგივე თილანი ბათმანია (6-ოყიანი), დიდი ბათმანია (8-ოყიანი), თუ მცირე ბათმანია (2-ოყიანი).<sup>36</sup> საბედნიეროდ, ამის დადგენა ხერხდება თავად საბუთებში მოყვანილი შეფარდებების საფუძველზე; მოვიყვანო შესაბამის ცნობებს:

**ცნობა 13.** „ქ. ქრისტეშობის კ. ბატონიშვილ ბაგრატს მირთმევია სპილენძი ლიტრა მ. იქნება ბათმანი ივო, ჰოყა ა“.<sup>37</sup> ე.ი. 40 ლიტრა = 16.5 ბათმანსა და 1 ოყას;

„ქ. ბატონიშვილ ბაგრატს მირთმევია სპილენძი ლიტრა მ, იქნება ბათმანი ივ, ჰოყა დ“.<sup>38</sup> ე.ი. 40 ლიტრა = 16 ბათმანსა და 4 ოყას;

**ცნობა 14.** „ქ. ჩოლოყაშვილ გიორგის ბოძებია ლიტრა მ, იქნება ბათმანი ივ, ჰოყა დ“.<sup>39</sup> ე.ი. 40 ლიტრა = 16 ბათმანსა და 4 ოყას;

**ცნობა 15.** „ქ. ერთი სიით ანუხელ ლეკებს ბოძებია ლიტრა იზ, იქნება ბათმანი ზ, სტილი დ“.<sup>40</sup> ე.ი. 17 ლიტრა = 7 ბათმანსა და 4 სტილს (0.5 ოყას);

**ცნობა 16.** „ქ. ანუხელ ქერანაშვილს გ ცხენისათვის ლიტრა იზ, იქნება ბათმანი ე“.<sup>41</sup> ე.ი. 12 ლიტრა = 5 ბათმანს.

ცნობა 13 ფაქტობრივად, ორჯერ მეორდება 1799 და 1800 წწ. დოკუმენტებში. ორივე შემთხვევაში საუბარია ბატონიშვილ ბაგრატისადმი სპილენძის მირთმევაზე, 40 ლიტრას ოდენობით. ოღონდ ბათმანის სისტემაში ეს 40 ლიტრა სხვადასხვანაირად არის გადაყვანილი. ერთ შემთხვევაში ის გატოლებულია 16.5 ბათმანსა და 1 ოყასთან, მეორეში კი – 16 ბათმანსა და 4 ოყასთან. გასაგებია, რომ ნახევარი ბათმანი გატოლებულია 3 ოყასთან, ანუ საუბარია 6-ოყიან ბათმანზე.

<sup>35</sup> იქვე, 74.

<sup>36</sup> იქვე, 69.

<sup>37</sup> 1799 წ. სპილენძის ხარჯის ნუსხა. მასალების საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წ. III, 131.

<sup>38</sup> 1800 წ. „მაისის გასვლამდინ“ სპილენძის მადნის შემოსავლისა და ხარჯის ნუსხა. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წ. III, 133.

<sup>39</sup> იქვე.

<sup>40</sup> იქვე.

<sup>41</sup> იქვე, 134.

ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ისიც, რომ ცნობა 13-სა და 14-ში 8-ოციანი ბათმანი რომ ეგულისხმათ, ალბათ უფრო მიუთითებდნენ 16.5 ბათმანს, და არა 16 ბათმანსა და 4 ოყას. ამავე ცნობებში მცირე, 2-ოციანი ბათმანი რომ ეგულისხმათ, საბუთებში მითითებული იქნებოდა არა 16 ბათმანი და 4 ოყა, არამედ 18 ბათმანი.

ამ ორი ცნობიდან (13 და 14) ისიც გამომდინარეობს, რომ ერთი ოყა უდრის 0.4 ლიტრას, ერთი 6-ოციანი ბათმანი კი 2.4 ლიტრას.

იგივე თანაფარდობა დასტურდება ცნობებში 15 (17 ლიტრა = 7 ბათმანსა და 0.5 ოყას) და 16 (12 ლიტრა = 5 ბათმანს); ასე რომ, ამ ცნობებშიც იგულისხმება 6-ოციანი ანუ თილანი ბათმანი.

მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ ორ საბუთში ბათმანის ხსენებისას ყოველთვის იგულისხმება 6-ოციანი თილანი ბათმანი – საბუთის სხვადასხვა ფრაგმენტში გამოყენებული ტერმინის („ბათმანის“) მნიშვნელობა არ იცვლება, რაც ბუნებრივიცაა.

ჩვენი აზრით, 6-ოციანი თილანი ბათმანს უნდა გულისხმობდეს პრაქტიკულად იგივე დროის კერძო საბუთში ნახმარი ტერმინიც „ბათმანი“.

### სპილენძის ღირებულება – განხილვა

განვიხილოთ ცნობები ამა თუ იმ ოდენობის სპილენძის ღირებულების შესახებ:

**ცნობა 1-ის თანახმად** 57 თილანი ბათმანი და 1 ოყა = 800 აბაზს; ანუ, 1 თილანი ბათმანი = 13.99 აბაზს;

**ცნობა 2-ის თანახმად** 180 [თილანი] ბათმანი = 2500 აბაზს; 1 [თილანი] ბათმანი = 13.89 აბაზს;

**ცნობა 3-ის თანახმად** 42.5 [თილანი] ბათმანი და 2 ოყა = 610 აბაზს; 1 [თილანი] ბათმანი = 14.24 აბაზს;

**ცნობა 5-ის თანახმად** 46 [თილანი] ბათმანი = 642 აბაზს; 1 [თილანი] ბათმანი = 13.96 აბაზს;

**ცნობა 6-ის თანახმად** 255 [თილანი] ბათმანი = 5100 აბაზს; 1 [თილანი] ბათმანი = 20 აბაზს. წინა ცნობებთან შედარებით ბათმანი სპილენძის ამგვარი გაძვირება ყურადღებას იპყრობს. შესაძლებლად მიგვაჩნია – ამას სამი სხვადასხვანაირი განმარტება მოეძებნოს (შესაძლოა, მიზეზი სამივე, ან ერთზე მეტი გარემოება მაინც ყოფილიყო, ან ამას კიდევ რაიმე სხვა მიზეზი ქონოდა):

1. საქმე გვაქვს ბარტერულ გაცვლასთან – სპილენძი მიებარათ ბარათის მიხედვით, ბამბის სანაცვლოდ; ნალდი ანგარიშსწორებისგან განსხვავებით, ბარტერული გაცვლისას საქონლისთვის შეიძლება უფრო მაღალი ფასი დაენესებინათ;

2. სპილენძი ამ შემთხვევაში საექსპორტოდ (ერევენლებისთვის) იყო განკუთვნილი – ანუ, ისეთი ბაზრისთვის (ერევნის სახანო?) სადაც სპილენძის ქართლ-კახეთთან (თბილისთან?) შედარებით იქნებ უფრო ძვირად გაყიდვა იყო შესაძლებელი;

3. მოხდა სპილენძის ძალდატანებით გასაღება არა-ეკონომიკური წესით, არა-საბაზრო ფასად, სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან ძალდატანების შედეგად – ერევენელი ვაჭრების მიერ სპილენძის ამ ფასად მიღება მათი მთლად ნებაყოფლობითი გადანყვეტილება არ იყო.

**ცნობა 8-ის** ტექსტში ნახსენებია „კავალერინცკს“ (თუ კავალერინცკისთვის?)<sup>42</sup> მიცემული 1050 აბაზი და, როგორც ჩანს, დამატებით „მიცემული“ 30 აბაზი; რაც „სპილენძი იქნება“ 63 ბათმანი და 5 ოყა. ამასთანავე, ცნობა შეიცავს პირდაპირ მითითებას ბათმანის ღირებულებაზე: „ბათმანი ჩვიდმეტ აბაზობაზე“; 1 [თილანი] ბათმანი = 17 აბაზს. [თილანი] ბათმანის ღირებულება ამ შემთხვევაში საგრძნობლად აღემატება სხვა ცნობების უმრავლესობის (1-3 და 5) მიხედვით გამოთვლილ ღირებულებას (იქნებ სწორედ ამის გამო ეს მაღალი ღირებულება დოკუმენტის ტექსტში საგანგებოდ მიუთითეს). „ჩვიდმეტ აბაზობაზე“ გათვლილი 63 ბათმანი და 5 ოყა სპილენძი იძლევა 1085.17 აბაზს, რაც 5.17 აბაზით აღემატება ცნობის ტექსტში მითითებული თანხების ჯამს (სავარაუდოდ, გათვლებში შეცდომა არის დაშვებული).

**ცნობა 7-ის თანახმად** 70 [თილანი] ბათმანი = 7000 აბაზი; თითქოსდა, გამოდის, რომ 1 ბათმანი = 100 აბაზს; სპილენძის ასეთი სიძვირე (მით უფრო იმავე დოკუმენტების სხვა ცნობების გათვალისწინებით) ყოველად წარმოუდგენელია. ცნობის ტექსტი („ბაზაზებს ფარჩის თანხათ ასორმოცი თუმნის სპილენძის ბარათი ბოძებიათ. ამაში მიბარებია დავითა კვეზერელს ბათმანი ო“) არ გამორიცხავს იმას, რომ დავითა კვეზერელისთვის მიბარებული სპილენძის რაოდენობა გამიზნული იყო ამ ლითონში ნომინირებული ვალის მხოლოდ ნაწილობრივ გასასტუმრებლად.

**ცნობა 4-ის მიხედვით** 6.5 [თილანი] ბათმანი = 35 ყურუშს; 1 [თილანი] ბათმანი = 5.38 ყურუშს. სამწუხაროდ, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ამ ეტაპზე ვერ ხერხდება იმის თქმა, თუ რომელ და რა ღირებულების ყურუშზეა საუბარი. აქედან გამომდინარე ეს ცნობა ჩვენთვის გამოუსადეგარია.

**ცნობა 9-ს მიხედვით** 90 [თილანი] ბათმანი = 90 ფლურს; 1 [თილანი] ბათმანი = 1 ფლურს. ზემოთ მოყვანილი გამოთვლების მიხედვით 1 ფლური = 17.1 აბაზს, ე.ი. 1 [თილანი] ბათმანი = 17.1 აბაზს. აღსანიშნავია თითქმის სრული შესაბამისობა ცნობა 8-სთან.

<sup>42</sup> ამ სიტყვის მნიშვნელობა ჩვენთვის გაუგებარია.

რაც შეეხება კერძო საბუთს,

**ცნობა 10-ის მიხედვით 1** [თილანი] ბათმანი = 20 აბაზს;

**ცნობა 11-ის მიხედვით 2** [თილანი] ბათმანი = 40 აბაზს; 1 [თილანი] ბათმანი = 20 აბაზს;

**ცნობა 12-ის მიხედვით 2** [თილანი] ბათმანი = 140 აბაზს; თითქოსდა, გამოდის, რომ 1 [თილანი] ბათმანი = 70 აბაზს; ეს ღირებულება აშკარად გადაჭარბებული გამოდის და რეალობას არ უნდა შეესაბამებოდეს. სავარაუდოდ, ან საბუთის შემდეგენელს („იოვანე მდივანს“) ან მის გამომცემელს რაღაც შეცდომა აქვს დაშვებული; საბუთიც გარკვეულწილად გაუგებარია; აღსანიშნავია, რომ ფურცლის მეორე მხარეს მოთავსებული ინფორმაცია მეტწილად იმეორებს წინა მხარეს მოყვანილ მონაცემებს – იქნებ უბრალოდ შეცდომაა დაშვებული და მეორე მხარეს 2 სპილენძის ბათმანის ღირებულებად უნდა იყოს მითითებული „ჯ“, როგორც წინა მხარეს, და არა „ზ ჯ“? მაშინ ცნობა 12 ცნობა 11-ის იდენტური იქნებოდა (ცნობა 10-შიც ხომ რეალურად ორი იდენტური ცნობაა გაერთიანებული).

### სპილენძის ღირებულება – შედეგები

ხსენებული საბუთების შესწავლის შედეგად დგინდება ქართლ-კახეთის მთავრობის განკარგულებაში მყოფი და შემდეგ გასხვისებული, და სპილენძის ამ გასხვისების პროცესში გამოვლენილი ღირებულება.

1799-1800 წწ. ორი სახელმწიფო საბუთის მიხედვით 1 [თილანი] ბათმანი (7.34 კგ) სპილენძის ღირებულება მერყეობდა 13.89-14.24 აბაზის ფარგლებში (ცნობები 1-3, 5) და ზოგიერთ, ჩვენი აზრით უფრო ალბათ განსაკუთრებულ შემთხვევაში დაახლოებით 17 (ცნობები 8-9) და 20 აბაზსაც კი აღწევდა (ცნობა 6). მესამე (კერძო) საბუთის მიხედვით, სპილენძში იგივე თანხის (20 აბაზი თილან ბათმანში) გადახდა მოუწია კერძო პირსაც (ცნობები 10-12).

თუ [თილან] ბათმანს გრამებში (= 7,340 გ) გადავიყვანთ, აბაზს კი დინარებში<sup>43</sup> (1 აბაზი = 200 დინარს), გამოვა რომ 1 გრამი სპილენძის ღირებულება ხშირად შეადგენდა 0.38-0.39 დინარს (ცნობები 1-3, 5) და ზოგჯერ 0.46 (ცნობა 8) და 0.54 დინარსაც (ცნობები 6, 10-11) კი აღწევდა.

ზემოთ განხილული ორი დოკუმენტი (1799 წ. სპილენძის ხარჯის ნუსხა; 1800 წ. „მაისის გასვლამდინ“ სპილენძის მადნის შემოსავლისა და ხარჯის ნუსხა) სახელმწიფო საბუთს წარმოადგენდა, ქართლ-კახეთის სახელმწიფო/მეფე კი უშუალოდ იყო ჩართული აღმოსავლეთ საქართველოში დამბლულის,

<sup>43</sup> „დინარში“ ჩვენ ე.წ. ქართულ დინარს ვგულისხმობთ, ვინაიდან ამიერკავკასიის სხვა სახელმწიფოებში (სახანოებში) ვერცხლის აბაზის (ანუ 200 დინარის) ნონა მუდმივად მერყეობდა.

ალავერდისა და შამბლულის სპილენძის მადნების (ფისკალურ) ექსპლუატაციაში – მაგალითად ალავერდის ქარხნიდან ის იღებდა გამოდნობილი სპილენძის 10-12%-ს;<sup>44</sup> ამასთანავე, ეს ციფრი აშკარად მიუთითებს, რომ ხელისუფლება არ წარმოადგენდა მონოპოლისტს სპილენძის ბაზარზე. ეს გარემოება კი, ჩვენი აზრით, მეტყველებს იმაზე, რომ ოფიციალურ დოკუმენტებში ასახული ციფრები მეტ-ნაკლები სიზუსტით ასახავს სპილენძის იმდროინდელ საბაზრო ღირებულებას – ხელისუფლებას გაუჭირდებოდა თავისი სპილენძის მთელი მარაგის გადაჭარბებულ ფასში გასაღება (იმაზე უკვე აღარაფერს ვამბობთ, რომ სპილენძის ნაწილი მაინც – მეტი ნაწილი? – ხმარდებოდა ისეთი პროდუქციის წარმოებას, როგორც იყო ზარბაზნები, ყუმბარები, ჭურჭელი);<sup>45</sup> პირიქით, საზოგადოდ, სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატისთვის დამახასიათებელი მოუქნელობის გათვალისწინებით, არ არის გამორიცხული, რომ სპილენძის გასხვისებას იგივე მემადნე ხელოსნები უფრო მაღალ ფასადაც ასხერხებდნენ. ამ მხრივ აღსანიშნავია სპილენძის მაღალი ღირებულება მესამე დოკუმენტში, რომელიც უკვე კერძო პირის ანგარიშის ნუსხას წარმოადგენს (იხ. ქვევით). ჩვენი აზრით, მიღებული დასკვნები სარწმუნოა.

### სპილენძის თანაფარდობა ვერცხლსა და ოქროსთან

სპილენძისა და ვერცხლის ღირებულებათა თანაფარდობის დასადგენად, ჯერ აბაზის წონა (3.07 გ) მასში დინარების რაოდენობაზე (200) უნდა გავყოთ; გამოანგარიშება ცხადყოფს, რომ ვერცხლის 1 დინარი შეესაბამება 0.015 გ ვერცხლს. 1 გრამი სპილენძის ღირებულება კი შესაბამისად მერყეობდა 0.006-0.008 გ ვერცხლის ფარგლებში. თანაფარდობა ვერცხლსა და სპილენძს შორის ჩვენი მასალის თანახმად მერყეობდა შემდეგ ფარგლებში – 1:125-167.

რაც შეეხება სპილენძისა და ოქროს ღირებულებათა თანაფარდობას, **ცნობა 9**-ში პირდაპირ არის მითითებული: „ბაჯალის ფლური ჟ, ამისთვის გასყიდულა ბათმანი ჟ“. ე.ი., ამ შემთხვევაში, [თილანი] ბათმანის, ანუ 7.340 გ სპილენძის ღირებულება უტოლდებოდა 3.50 გრამი [მეტ-ნაკლებად სუფთა] ოქროს; შესაბამისად, თანაფარდობა ოქროსა და სპილენძს შორის გამოდის შემდეგი: 1:2097. გარდა ამისა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ოქროსთან ვერცხლის თანაფარდობა საკვლევ ეპოქაში შეიძლება მივიჩნიოთ დაახლოებით შემდეგის ტოლად – 1:15 (ბუნებრივია, ოქროს ღირებულება დროდადრო მერყეობდა კიდევაც). წინა გამოთლის შედეგსაც თუ გავითვალისწინებთ, გამოდის რომ ოქროს თანაფარდობა სპილენძთან მერყეობდა შემდეგ ფარგლებში: 1:1875-2505.

<sup>44</sup> დერმიშა გოგოლაძე, *სამთამადნო, სამთო-საქარხნო მრეწველობა საქართველოში და კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხი (XVIII-XIX სს)* (თბილისი, 1966), 11.

<sup>45</sup> იქვე, 18.

### ქართლ-კახეთის სპილენძის საფასის თვითღირებულება

გარდა ზოგადი ისტორიულ-ეკონომიკური მნიშვნელობისა, სპილენძის ღირებულების დადგენას აქვს ფრიად საგულისხმო ნუმიზმატიკური მნიშვნელობაც – სპილენძი გაერთიანებული ქართლ-კახეთის სახელმწიფოს ერთ-ერთ წამყვან სამონეტო ლითონს წარმოადგენდა. ქართლ-კახეთის სპილენძის საფასის წონითი სტანდარტი დროდადრო იცვლებოდა,<sup>46</sup> ამიტომ, საუკუნის დასასრულის დროინდელი საბუთების მიხედვით გამოთვლილი სპილენძის ღირებულება კორექტული იქნებოდა შეგვეფარდა, პირველ ყოვლისა, სწორედ თანადროულ სპილენძის საფასესთან.

1799 და 1800 წლებით, ისევე როგორც 1800 წლის ახლო დროით დათარიღებულ დოკუმენტებთან ქრონოლოგიურად ყველაზე ახლოს დგას ქართლ-კახეთის ის საფასე, რომელიც გიორგი XII-სა და დავით ბატონიშვილის მიერ იჭრებოდა: გიორგი XII-ის ყველა სპილენძის მონეტა ჰ. 1213 წლით (1798/9) არის დათარიღებული,<sup>47</sup> ხოლო, დავით ბატონიშვილის მმართველობის პერიოდში გამოშვებულ უნიკალურ მონეტაზე კი თარიღად მითითებულია ჰ. 1215 წ. (1800/1).<sup>48</sup> ამ უკანასკნელის წონით სტანდარტზე ვერ ვიმსჯელებთ, ვინაიდან ცნობაში მოყვანილია ერთადერთი ცალი (წონით 14.98 გ),<sup>49</sup> და შეუძლებელია იმის თქმა, თუ რამდენად დამახასიათებელია ის მიღებული წონითი სტანდარტისთვის. გიორგი XII-ის სპილენძის საფასე კი სამ ნომინალად არის ცნობილი: ბისტი (20 დინარი), ნახევარი-ბისტი (10 დინარი) და ფული (5 დინარი);<sup>50</sup> ნომინალების წონები ერთმანეთს უნდა შეეფარდებოდეს როგორც 4:2:1;<sup>51</sup> პახომოვისთვის ხელმისაწვდომი ეგზემპლარების მიხედვით (რომელთაგან ზოგი, სავარაუდოდ, მეტ-ნაკლებად გაცვეთილი იქნებოდა)<sup>52</sup> ამ ნომინალების საშუალო წონა შეადგენდა 18.44, 9.23 და 4.12 გრამს, ამასთანავე, ზემოთ მოყვანილი შეფარდება საკმაოდ მკაცრად არის დაცული.<sup>53</sup>

<sup>46</sup> Пахомов, *Вес и достоинство медной монеты Тифлиса XVII-XVIII вв.*, 101, 104, 107.

<sup>47</sup> Пахомов, *Монеты Грузии*, 268.

<sup>48</sup> იქვე, 269; Михаил Баратаев, *Нумизматические факты грузинского царства* (СПБ, 1844), Раздел IV, стр. 3-4, таблица II, №13.

<sup>49</sup> ინფორმაცია ამ უნიკალური მონეტის წონის შესახებ მიღებულია ბერლინიდან: *Staatliche Museen zu Berlin, Münzkabinett*.

<sup>50</sup> Пахомов, *Вес и достоинство медной монеты Тифлиса XVII-XVIII вв.*, 104, 107-9.

<sup>51</sup> იქვე, 104.

<sup>52</sup> საზოგადოდ, ქართლ-კახეთის სპილენძის საფასის თითქმის ყველა ნიმუში საკმაოდ გაცვეთილი სახით არის შემონახული.

<sup>53</sup> რამდენადაც ეს საშუალო მაჩვენებლებს ეხება. ცალკეულ ინდივიდუალურ შემთხვევებში ბუნებრივია, საშუალოსგან საკმაოდ გამოხატული გადახრები აღინიშნება (იქვე, 104, 109), რაც არა მარტო მონეტების სხვადასხვანაირი ხარისხით

მაშასადამე, დაეუშვათ, ქართლ-კახეთის საშუალოდ 9.23-გრამიანი ნახევარ-ბისტრიანი მონეტა (ჩვენი დაკვირვებებით, გიორგი XII-ის ყველაზე მასობრივი სპილენძის ნომინალი)<sup>54</sup> შეიცავდა საშუალოდ 3.51-3.60 (იხ. ცნობები 1-3, 5), ანდა 4.25 (იხ. ცნობა 8) თუ 4.98 დინარის (იხ. ცნობები 6, 10-12) ლირებულების სპილენძს, მაგრამ ჰქონდა ნომინალური ლირებულება 10 დინარი. მაშასადამე, სპილენძის თვითღირებულება შეადგენდა სპილენძის საფასის ლირებულების შესაბამისად 35.1-36.0 (იხ. ცნობები 1-3, 5), ანდა 42.5 (იხ. ცნობა 8) თუ 49.8% (იხ. ცნობები 6, 10-12). ნინა პერიოდის, ერეკლე II-ის ზეობის დროინდელი სპილენძის ნომინალების ნონები რამდენადმე განსხვავებულია (და ცვალებადიცაა),<sup>55</sup> მაგრამ სამონეტო ლითონის თვითღირებულების ხვედრითი წილი დიდად განსხვავებული არ იქნებოდა, ყოველ შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც ამუშავდა დამბლულის, ალავერდისა და შამბლულის სპილენძსადნობი სანარმოები.

მითითებულიდან თუ რომელი ციფრია რეალობასთან ყველაზე ახლოს, ძნელი სათქმელია. აღსანიშნავია, რომ თბილისის ზარაფხანა იჯარით გაიციმოდა.<sup>56</sup> ჩვენ არ გავგაჩნია პირდაპირი დოკუმენტური ცნობები იმაზე, თუ რა ფასად, და, რაც მთავარია, რა წესით – რამდენად შეღავათიანად შეეძლო სამონეტო ლითონის შექმნა ზარაფხანის de facto ადმინისტრაციას გიორგი XII-ის ზეობაში. არ არის გამორიცხული, რომ სახელმწიფო დამატებითი მოგების მიზნით მოიჯარადრეებს ავალდებულებდა ხელისუფლებისგან სპილენძი გაზრდილ ფასად ჩაებარებინათ. მეორეს მხრივ კი, გაურკვეველია, წარმოადგენდა თუ არა ზარაფხანა პირწმინდა კომერციულ სანარმოს დამატებითი სახელმწიფო სუბსიდირების გარეშე, რომელსაც სპილენძი მოსაჭრელად საბაზრო ფასად უნდა შეეძინა (დაეუშვათ, ერევენელებსავით – 20 აბაზად ბათმანი, ანუ 0.54 დინარად გრამი?). არ არის გამორიცხული, რომ ზარაფხანის სანარმოს სახელმწიფოსგან/მეფისგან იჯარით აღება იმასაც გულისხმობდა, რომ მოიჯარადრეებს პირიქით, სპილენძი შეიძლება შეღავათიან ფასად მიეღოთ. იქიდან გამომდინარე, რომ მეფის ხელში გადადიოდა მოპოვებული სპილენძის მხოლოდ 10-12%,<sup>57</sup> დანარჩენს კი მადანჩები დამოუკიდებლად ყიდიდნენ, ბაზარზე სპილენძი იშვიათობას არ

გაცვეთით, არამედ მოჭრის შედარებით მდარე ტექნიკითაც უნდა აიხსნებოდეს.

<sup>54</sup> საყურადღებოა, რომ ჩვენი გამოცდილებით, მისი წინამორბედის – ერეკლე II-ის ბოლო დროის სპილენძის საფასედან (რუსული არწივის გამოსახულებით) უფრო ხშირად ბისტრის ნომინალის მონეტები გვხვდება.

<sup>55</sup> Пахомов, *Монеты Грузии*, 273-4, 276.

<sup>56</sup> ნიკოლოზ ქოიავა, *ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში* (თბილისი, 1963), 39-40.

<sup>57</sup> გოგოლაძე, *სამთამადნო, სამთო-საქარხნო მრეწველობა საქართველოში და კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხი (XVIII-XIX სს)*, 11.



ნარმოადგენდა (ეს ლითონი ქართლ-კახეთიდან ხომ მრავალ მეზობელ სახელმწიფოშიც გაქონდათ).<sup>58</sup>

ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, არ იქნება შეცდომა ვიფიქროთ, რომ ზარაფხანისთვისაც სპილენძის ღირებულება ზემოთ მოყვანილ ფარგლებში მერყეობდა, ანუ, ლითონის თვითღირებულება შეადგენდა სპილენძის საფასის ნომინალური ღირებულების დაახლოებით 35-50%-ს. ამასთანავე, საფიქრებელია რომ ეს მაჩვენებელი არ იყო სტაბილური, და სპილენძის თვითღირებულებასთან ერთად მერყეობას განიცდიდა, თუმცა, საფიქრებელია, არცთუ ფართო ფარგლებში.

აღსანიშნავია, რომ ჩვენს წინა ნაშრომში სხვა პირველწყაროების მონაცემებით გამოთვლილმა სპილენძის თვითღირებულებამ შეადგინა სპილენძის საფასის ნომინალური ღირებულების დაახლოებით 53%;<sup>59</sup> ჩვენ მაშინვე გამოვთქვით ვარაუდი, რომ სპილენძის საფასის ნომინალურ ღირებულებას განზრახ აორმაგებდნენ მის შემადგენლობაში შემავალი ლითონის საბაზრო ღირებულებასთან შედარებით.<sup>60</sup> ახლა უკვე შეგვიძლია დავაზუსტოთ, რომ ნომინალურ ღირებულებას შესაძლოა არათუ აორმაგებდნენ, იქნებ თითქმის ასამმაგებდნენ კიდევაც.

რასაკვირველია, როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ,<sup>61</sup> საფასის თვითღირებულებაში შედიოდა არა მარტო სამონეტო ლითონის ღირებულება; მას ემატებოდა ადმინისტრაციის, მუშა-ხელის, ხელსაწყოების ხარჯებიც. ამასთანავე, ჩვენი აზრით, წამყვანი ხარჯი მაინც ლითონისა იყო. ხელით ნაჭედი მონეტების (ე.წ. hammered coins) გამოსაშვებად საჭირო ხელსაწყოები საკმაოდ პრიმიტიული იყო,<sup>62</sup> ადმინისტრაციული აპარატი კი – მინიმალური;<sup>63</sup> რაც შეეხება მუშა-ხელის ანაზღაურებას, საინტერესო იქნებოდა (ალტერნატიული, ზუსტი მონაცემების არარსებობის პირობებში), გაგვევლო პარალელი ბუხარის სახანოსთან, სადაც მოჭრილი 576 მონეტიდან მუშები გასამრჯელოს სახით იღებდნენ მხოლოდ

<sup>58</sup> Paghava, Lobzhanidze, Turkia, "Countermarking of Copper Coins in Late 18<sup>th</sup> Century Georgia", 41.

<sup>59</sup> იქვე, 41-2.

<sup>60</sup> იქვე, 42.

<sup>61</sup> იქვე.

<sup>62</sup> ირაკლი ფაღავა, „თბილისური მონეტების წონითი სტანდარტი, ნომინალთა სისტემა და მოჭრის ტექნიკა (ავშარიანთა დინასტიის პერიოდი)“, *ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები*, No1(7) (2010), 520-6.

<sup>63</sup> შეად. მდგომარეობას ბუხარის ზარაფხანაში, რომელიც XIX საუკუნეში მონეტას აგრეთვე, ასე ვთქვათ, კუსტარული მეთოდებით უშვებდა. Райхан Бурнашева, "Организация производства и техника чеканки монет в Бухарском ханстве со второй половины XVIII до начала XX в.," *Нумизматика и Эпиграфика*, VI (1966), 260-2.

4-ს, ანუ საერთო რიცხვის 0.69%-ს;<sup>64</sup> ამასთანავე, ამ შემთხვევაში ეს 4 მონეტა ვერცხლის იყო, ანუ, სპილენძთან შედარებით მაინც, გარკვეულ ფასეულობას წარმოადგენდა. მეორეს მხრივ, ხელით ჭედვაც კი, ზოგიერთი მკვლევრის აზრით, იძლეოდა ნუთში 6 მონეტამდე დამზადების საშუალებას;<sup>65</sup> შესაბამისად, სამუშაო დღის განმავლობაში (10 სთ?) 2-3 კაცისგან შემდგარ გუნდს შეეძლო 3600 მონეტამდე მოეჭრა. ამგვარი წარმადობის შეემთხვევაში, მუშა-ხელზე დანახარჯები პროცენტულად შედარებით მცირე იქნებოდა. არ არის გამორიცხული, რომ რუსი დამკვირვებლის 1893 წლით დათარიღებული შეენიშვნა ბუხარის ზარაფხანაში მიღებულ ტექნიკურ მეთოდებთან დაკავშირებით იქნებ XVIII საუკუნის ბოლოს ქართლ-კახეთსაც უდგებოდეს – „ეს ყველაფერი ძალიან დიდ დროსა და შრომას მოითხოვს. მაგრამ ბუხარაში პირველი არაფრად ფასობს, მეორე კი არც ისე ძვირია“.<sup>66</sup> ამ საკითხის, ანუ ზარაფხანის მუშაკთა ანაზღაურების მიახლოებით მაინც გასარკვევად, დამატებითი კვლევა საჭირო.<sup>67</sup>

### მონაცემების რეტროსპექტული და გეოგრაფიული განზოგადება

ჩვენი აზრით, დასაშვებია, გარკვეული სიფრთხილით, განვაზოგადოთ მიღებული შედეგები.

ვგულისხმობთ, პირველ რიგში, რეტროსპექტულ განზოგადებას. ჩვენ არ გვაქვს მონაცემები წინა ათწლეულებში ქართლ-კახეთში (და, საზოგადოდ, ამიერკავკასიაში) სპილენძის ღირებულების მერყეობის ფარგლების შესახებ. მაგრამ 1763-70 წწ. სპილენძის რეგიონალურ ბაზარზე ამ ლითონის მეტად მსხვილი და ახალი მიმწოდებლის – დამბლულის, ალავერდისა და შამბლულის სპილენძსადნობი „ქარხნების“ გაჩენის<sup>68</sup> შემდეგ იგივე მნიშვნელობის ფაქტორის ამოქმედება, რომელიც სპილენძის ფასზე მოახდენდა ზეგავლენას – ჩვენთვის უცნობია; იბადება აზრი, რომ 1763-70 წწ. ცვლილების შემდეგ სპილენძის ღირებულება მეტ-ნაკლებად სტაბილური დარჩებოდა.

აქვე მოკლედ შევეხებით de facto და შემდეგ უკვე de jure გაერთიანებული ქართლ-კახეთის არსებობის პერიოდში ამ სახელმწიფოს სპილენძის საფასის წონითი სტანდარტის ცვალებადობის<sup>69</sup> მოკლე ისტორიას. ეს ცვლილებე-

<sup>64</sup> იქვე, 261, 273.

<sup>65</sup> Всеволод Потин, “Введение в нумизматику”, в сб. *Труды государственного ордена Ленина Эрмитажа XXVI, Нумизматика 6*, под редакцией Всеволода Потина (Ленинград, 1986), 105.

<sup>66</sup> იქვე, 271.

<sup>67</sup> დაგეგმილია ამ მიმართულებით ჩვენი მუშაობის შედეგების ცალკე ნაშრომის სახით გამოქვეყნება.

<sup>68</sup> გოგოლაძე, *სამთამადნო, სამთო-საქარხნო მრეწველობა საქართველოში და კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხი (XVIII-XIX სს)*, 10.

<sup>69</sup> Пахомов, *Монеты Грузии, 273-4, 276.*

ბი, ჩვენი აზრით, უშუალო კავშირში იყო მონეტების შემადგენელი ლითონის – სპილენძის, თუნდაც უცვლელ ღირებულებასთან. თითოეულ შემთხვევაში წონითი სტანდარტის შეცვლას შეიძლება ორგვარი ახსნა მოეძებნოს – ფისკალური დატვირთვის გაზრდა (ნომინალის უცვლელად უფრო მსუბუქი მონეტების გამოშვებისას; ეს მოვლენა, თეორიულად, სპილენძის გაძვირებასაც შეეძლო გამოენჯია, მაგრამ ქართლ-კახეთში სპილენძის წარმოების განვითარების გათვალისწინებით ეს ნაკლებ მოსალოდნელია); ან, პირიქით, თეორიულად მაინც, სპილენძის წარმოების ამუშავების შედეგად ბაზარზე სპილენძის დიდი რაოდენობით გამოჩენის შემდეგ მასზე ფასების კლების შემდეგ – ნომინალის შეუცვლელად მონეტების წონის გაზრდა, რომ სპილენძის საფასე ნაკლებად საკრედიტო გამხდარიყო (მასში შემავალი ლითონის თვითღირებულება ნაკლებად ჩამორჩენოდა მონეტაზე სახელმწიფოს მიერ დაწესებულ იძულებით ფასს – მონეტის ნომინალს). თუ გადავხედავთ ქართლ-კახეთის სპილენძის საფასის წონითი სტანდარტის ცვლილებებს, შესაძლებელი ხდება შემდეგი ეტაპების გამოყოფა (სიმარტივისთვის ერთმანეთს ვადარებთ ძირითადად ნახევარბისტიანი ნომინალის წონას, რომელიც ყველა პერიოდში იჭრებოდა):

- ჰ. 1190 წელს (1776/7) უფრო ადრე, ჰ. 1179 წელს (1765/6) გამოშვებული ნახევარბისტიანის (8.0-8.75), ფულისა (4.0-4.15) და ნახევარი ფულის (2.0-2.25) ჩანაცვლება<sup>70</sup> უჩვეულო წონის მქონე, შესაბამისად 11.0-12.5, 5.5-6.25 და დაახლოებით 3 გ-იანი ნომინალებით. ამ შემთხვევაში, როგორც ეს უკვე ე. პახომოვმა აღნიშნა,<sup>71</sup> არ გვაქვს საფუძველი ვამტკიცოთ, ზემოთ მოყვანილი ორი ვარიანტიდან რომელს მიმართა ხელისუფლებამ ამ შემთხვევაში;

- ამასთანავე, უკვე ჰ. 1201 წლისთვის (1786/7) თუ 1781 წლისთვის მიზანშეწონილად ჩაითვალა წონითი სტანდარტის ხელახალი შეცვლა – ნახევარბისტიანის წონა ისევ გაუტოლდა 8.5-9.0 გ-ს;<sup>72</sup>

- წონითი სტანდარტის შემდგომი ცვლილება – წონითი სტანდარტის გაზრდა 10-12%-ით მოხდა 1796 წელს (ნახევარბისტიანის წონა გაიზარდა 10.5-11.5 გ-მდე);<sup>73</sup> თბილისის 1795 წელს აოხრების შემდგომ მოსალოდნელი

<sup>70</sup> ჩვენი აზრით, ადგილი ქონდა სწორედ რომ წინა პერიოდის მონეტების ჩანაცვლებას და არა სხვადასხვა წონითი სტანდარტის მქონე მონეტების თანადროულ ტრიალს. მართალია ჩვენ არ გავაჩნია გაერთიანებული ქართლ-კახეთის სპილენძის ფულების განძები, რომელსაც შეეძლო დაედასტურებინა ეს მოსაზრება, მაგრამ ერთდროულად სხვადასხვა წონის მქონე მონეტების პარალელური ბრუნვა, თეორიულად, უფრო მძიმე ცალების ბრუნვიდან ამოღებისა და გადადნობის მიზეზი იქნებოდა (კოპერნიკ-გრემის კანონი), და, ამგვარად, ნაკლებად მოსალოდნელი უნდა იყოს.

<sup>71</sup> იქვე, 274.

<sup>72</sup> იქვე, 276.

<sup>73</sup> იქვე.

იყო ხელისუფლების მიერ, საკუთარი ფისკალური ინტერესების გათვალისწინებით, მონეტის წონის შემცირება,<sup>74</sup> მაგრამ ის, როგორც ამას მონეტარული ფაქტები ადასტურებს, პირიქით, გაიზარდა;

- და ბოლოს, წონითი სტანდარტის კიდევ ერთხელ შეცვლა უკვე დავით ბატონიშვილის მიერ – მისი უნიკალური მონეტა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 14.98 გ-ს იწონის, რაც არ შეესაბამება აქამდე მიღებული ნომინალების წონით სტანდარტს.

ამას ისიც უნდა დავამატო, რომ, ჩვენი აზრით, ჰ. 1179 წელს (1765/6) წინანდელი 2 ნომინალის (ნახევარი ბისტი და ფული) მაგიერ ერთბაშად 5 ნომინალის გამოშვება (შაური, ბისტი, ნახევარი ბისტი, ფული, ნახევარი ფული), სწორედ 1763 წელს დამბლულის სპილენძსადნობი საწარმოს ამუშავებას<sup>75</sup> უნდა დავუკავშიროთ. უფრო მეტიც, ისეთი ამკარად საკრედიტო მონეტის გამოშვება, როგორც იყო *სპილენძის შაური* (წონით 45 გ-მდე), და პირველად ქართულ ნუმიზმატიკურ ისტორიაში ნახევარბისტიაზე უფრო მძიმე ბისტი (წონა უცნობია)<sup>76</sup>, საფიქრებელია, სწორედ ნედლი ლითონის სიუხვის პირობებში ხაზინის მოგების მაქსიმალურად გაზრდის სურვილით უნდა ყოფილიყო გამონვეული – რაც უფრო მსხვილი საკრედიტო ნომინალი მოიჭრებოდა, მით უფრო მაღალი იქნებოდა ხაზინის მოგება. ამასთანავე, მსხვილი ნომინალების უკიდურესი იშვიათობა (ცნობილია შაურის 2 ეგ ზემპლარი და ბისტის 1 ეგ ზემპლარი) იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ხელისუფლებამ ან ბოლოს მაინც ვერ გაბედა ესოდენ მკვეთრად გამოხატული საკრედიტო ბუნების მქონე საფასის გამოშვება (და ჩვენამდე მოღწეული ცალეხი იქნებ მართლაც საცდელია, როგორც ეს პახომოვმა ივარაუდა),<sup>77</sup> ან ისინი მაინც გავიდა მიმოქცევაში, უფრო მცირე ნომინალებთან ერთად, მაგრამ ბაზარმა არ მიიღო და მათი გამოშვება მალევე შეწყდა (ამ მხრივ საყურადღებოა, რომ დ. კაპანაძის მიერ გამოქვეყნებულ უნიკალურ ბისტს<sup>78</sup> თითქოსდა მიმოქცევის ცვეთის კვალი ეტყობა).

<sup>74</sup> ცნობილია, რომ 1795 წ. ალა-მაჰმად ხანმა თბილისთან ერთად ალავერდის ქარხანაც მოაოხრა, მაგრამ ძნელი სათქმელია, ამ წლის მოვლენები გაზრდიდა სპილენძის ღირებულებას (მისი წარმოების მოშლისა და ბაზარზე მისი გაიშვიათების გამო), თუ გაიაფებდა მას (თბილისის აოხრების გამო მასზე მოთხოვნილების შემცირების შედეგად), ანდა სულაც უცვლელად დატოვებდა (ამ ორი ფაქტორის მიერ ერთმანეთის დაბალანსების შედეგად).

<sup>75</sup> გოგოლაძე, *სამთამადნო, სამთო-საქარხნო მრეწველობა საქართველოში და კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხი (XVIII-XIX სს)*, 10.

<sup>76</sup> Пахомов, *Монеты Грузии*, 261; Давид Капанაძე, *Комментарии*, в Евгений Пахомов, *Монеты Грузии* (Тбилиси, 1970), 344; დავით კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა* (თბილისი, 1969), 152.

<sup>77</sup> Пахомов, *Монеты Грузии*, 262.

<sup>78</sup> კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, ფოტოტაბულა XVII, №212.

ჩვენი აზრით, დასაშვებია მიღებული მონაცემების გეოგრაფიული განზოგადებაც. ჩვენთვის უცნობია ქართლ-კახეთში მდებარე დამბლულის, შამბლულისა და ალავერდის ქარხნების გარდა სპილენძის სხვა მიმწოდებელი, რომელიც ამიერკავკასიის ბაზარზე კონკურენციას გაუწევდა აღნიშნულ საწარმებში მიღებულ შედარებით იაფ ქართულ სპილენძს. შესაბამისად, ქართლ-კახეთის მეზობელი მაჰმადიანური სახანოების სპილენძის საფასისთვის<sup>79</sup> ნედლეული სწორედ ქართლ-კახეთიდან შედიოდა. შესაბამისად, სახანოების სპილენძის მონეტებში შემავალი ლითონის თვითღირებულების დადგენისას ამოსავალ წერტილად სწორედ აღმოსავლეთ საქართველოში (ვერცხლში გამოსახული) სპილენძის ღირებულება უნდა ავილოთ. სახანოებში სპილენძი, ბუნებრივია რამდენადმე უფრო ძვირი იქნებოდა, ტრანსპორტირების ხარჯებისა და სავაჭრო ზედნადების გათვალისწინებით (შეად. ზემოთ მოყვანილ ერევნის სახანოსთვის განკუთვნილი სპილენძის ღირებულებას). მაგრამ სპილენძის ღირებულების დაზუსტება, მაინც, საფიქრებელია, დაგვეხმარება სახანოების სპილენძის საფასის წონითი სტანდარტის, ნომინალთა სისტემისა და ღირებულების გარკვევაში.

### დასკვნები

XVIII საუკუნის დასასრულის დოკუმენტური წყაროების (2 სახელმწიფო დანიშნულებისა და 1 კერძო საბუთის) განხილვის შედეგად დადგინდა, რომ ამ დროისთვის ქართლ-კახეთში სპილენძის ღირებულება შეადგენდა დაახლოებით 13.89-14.24-დან 20 (თბილისის ზარაფხანის ე.წ. სირმა) აბაზამდე 1 (თილან) ბათმან (7.34 კგ) ლითონში, ანუ 0.38-0.39-დან 0.54 დინარამდე 1 გრამ სპილენძში.

აქედან გამომდინარე, მონეტაში შემავალი ლითონის – სპილენძის თვითღირებულება წარმოადგენდა სპილენძის საფასის ნომინალური ღირებულების 35.1-36.0-დან 49.8%-მდე, ანუ, მიახლოებით, მესამედიდან ნახევრამდე.

მიღებული მონაცემები აზუსტებს, თუ რამდენად მომგებიანი იყო ხაზინისთვის სამონეტო რეგალიის განხორციელება სპილენძის საფასის გამომშვების სახით.

სპილენძის ღირებულება ძვირფას ლითონებშიც გამოვსახეთ – 1 გრამი სპილენძის ღირებულება მერყეობდა 0.006-0.008 გ ვერცხლის ფარგლებში; ე.ი თანაფარდობა ვერცხლსა და სპილენძს შორის შეადგენდა 1:125-167. თანაფარდობამ ოქროსა და სპილენძს შორის კი შეადგინა 1:2097; ვერცხლთან ოქროს თანაფარდობის (1:15) გათვალისწინებით კი ის მერყეობდა შემდეგ ფარგლებში: 1:1875-2505.

<sup>79</sup> რომელთა შესწავლის საქმე დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში ნამდვილად არ იმყოფება.

მიღებული მონაცემების განზოგადება შესაძლებელია რეტროსპექტულად: 1763-70 წწ. დამბლულის, ალავერდისა და შამბლულის ქარხნების ამუშავების შემდეგ ამ რეგიონში სპილენძის საბაზრო ღირებულება, ჩვენი აზრით, არსებით ცვლილებებს აღარ განიცდიდა. შესაბამისად, შესაძლებელია განვზოგადოთ მიღებული მონაცემები წინა ათწლეულებზედაც. შესაძლებელია მიღებული მონაცემების გეოგრაფიული განზოგადებაც – ქართლ-კახეთის მეზობელ მაჰმადიანურ სახანოებზე, რომელთა სპილენძის საფასეც ქართული სპილენძიდან იჭრებოდა; შესაბამისად, ამ უკანასკნელის ღირებულების ცოდნამ შეიძლება არსებითი დახმარება გაგვიწიოს სახანოების სპილენძის ნომინალების, წონითი სტანდარტისა და საკრედიტო ბუნების კვლევაში.

შედარებით ვიწრო ნუმისმატიკური მნიშვნელობის გარდა, სპილენძის ღირებულებისა და ოქრო-ვერცხლთან სპილენძთან შეფარდების დადგენა არ უნდა იყოს ინტერესს მოკლებული როგორც XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოს, ასევე მთელი რეგიონის ეკონომიკური ისტორიის შესწავლის კუთხითაც.

### ბიბლიოგრაფია

ანთაძე მერი. საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმისმატიკური მასალის მიხედვით. თბილისი, 1982

გოგოლაძე დერმიშა. სამთამადნო, სამთო-საქარხნო მრეწველობა საქართველოში და კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხი (XVIII-XIX სს). თბილისი, 1966

კაპანაძე დავით. ქართული ნუმისმატიკა. თბილისი, 1969

მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის: ხელფასი, ქირა, ფასები. მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა. წიგნი I. თბილისი, 1938

მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის: აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება. მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა. წიგნი III. თბილისი, 1955

ფალავა ირაკლი, ბიჭიკაშვილი იოსები, ჩაგანავა რაული. ქართლ-კახეთის სამეფოში ოქროს მონეტის (შაურის) გამოშვება (ისტორიული საბუთებისა და ფაქტობრივი მასალის მიხედვით). ხელნაწერი.

ფალავა ირაკლი. თბილისური მონეტების წონითი სტანდარტი, ნომინალ-

თა სისტემა და მოჭრის ტექნიკა (აემარიანთა დინასტიის პერიოდი). ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1 (7), 2010

ქებულაძე რევაზ. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში. თბილისი, 1971

ქოიავა ნიკოლოზ. ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში. თბილისი, 1963

ჯაფარიძე გონა. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან. თბილისი, 1973

Баратаев Михаил. Нумизматические факты грузинского царства. СПб, 1844

Бурнашева Райхан. Организация производства и техника чеканки монет в Бухарском ханстве со второй половины XVIII до начала XX в. Нумизматика и Эпиграфика, VI, 1966

Капанадзе Давид. Комментарии. В Пахомов Евгений. *Монеты Грузии*. Тбилиси, 1970

Пахомов Евгений. Вес и достоинство медной монеты Тифлиса XVII-XVIII вв. (Отдельный оттиск из т. III “Востоковедения” изд. вост. факультета Аз. Гос. Университета). Баку, 1928

Пахомов Евгений. Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа. Выпуск IV. Баку, 1949

Пахомов Евгений. Монеты Грузии. Тбилиси, 1970

Потин Всеволод. Введение в нумизматику. В сб. *Труды государственного ордена Ленина Эрмитажа XXVI, Нумизматика б*, под редакцией Всеволода Потина. Ленинград, 1986

Paghava Irakli, Lobzhanidze Giorgi, Turkia Severiane. Countermarking of Copper Coins in Late 18<sup>th</sup> Century Georgia. *Caucasian Numismatics, Papers on the Coinage of Kartl-Kakheti (Eastern Georgia), 1744-1801. Supplement to Journal of Oriental Numismatic Society*, 197, 2008

Schaendlinger Anton. *Osmanische Numismatik*. Braunschweig, 1973

**Copper Price in the Kingdom of Kartl-Kakheti by the End  
of the 18<sup>th</sup> C. According to Historical Documents**  
(On the Issue of the Self-Cost of the Contemporary Copper Currency)

*Irakli Paghava*

Summary

The typology and metrology of the copper currency issued by united Kingdom of Kartl-Kakheti (1744-1801) has thoroughly been researched. However, certain aspects of the token nature of the aforesaid money have not been clarified sufficiently before.

By means of this work we aspired to research one of the primary constituents of the contemporary copper currency self-cost, namely the value of the coin metal employed, i.e. the copper. We also attempted to establish the silver-copper and gold-copper ratios in this epoch, as well as analyze the historical implications of the attained results.

Our research was based on the analysis of the contemporary written sources: Two official and one private documents, namely the following:

1. 1799 record of copper expenditure;
  2. 1800 (through may) record of the copper mine receipts and expenditure;
- also,
3. Private document dating back to about 1800 (No3723).

All three sources comprise the fragments (12 in total) confronting certain amount of copper (in *6-oqa tilani batmanis*) with certain sums (presumably in contemporary Georgian silver abazis) or certain number of gold coins or Ottoman silver money.

According to the documents, the price of 1 *tilani batmani* (7.34 kg) was equal to 13.89-14.24 abazis, in some rare cases being as high as 17 or 20 abazis. Substituting [Georgian] *dinars* for abazis (1 abazi = 200 *dinars*) and grams for *tilani batmanis*, we arrive to the ratio of 0.38-0.39 or 0.46 or 0.54 dinars to one gram of copper.

Since the value of 1 *dinar* constituted 0.015 g of silver (1/200 of 3.07 g silver abazi), the value of 1 gram of copper was equal to roughly 0.006-0.008 g of silver, *the silver-copper ratio* constituted 1:125-167. According to one of the sources, the price of 1 *tilani batmani* (7,340 g) was equal to that of 1 *pluri* (3.50 g gold coin), hence *the gold-copper ratio* was 1:2097; taking into account the general contemporary gold-silver ration of 1:15, the



alternatively calculated *gold-copper ratio* varied within the following range: 1:1745-2505.

Confronting the established price for 1 g of copper with the contemporary Georgian currency (AH 1213 / 1798/9 coins of Giorgi XII), we arrived to a conclusion that for instance the copper content of the 10-*dinari* copper coin (*half-bisti*, with the average weight of 9.23 g) could be valued at as 3.51-3.60, 4.25 or 4.98 *dinaris*. That means that the metal self-cost constituted correspondingly 35.1-36.0, 42.5 or 49.8% of the face value of the contemporary Georgian copper currency (roughly 35-50%).

Certainly, the expenditures on labour force, fuel and instruments increased the self-cost further on, but we consider these extra expenses as relatively insignificant. In our opinion, the issue of the copper currency was quite profitable for the fisc due to the almost two- to three-fold increase in copper value after minting it into coinage.

We consider that despite the supposedly permanent fluctuations in copper price, the latter should have been insignificant enough after 1763-70, when the Georgian mines and copper smelteries of Shamblughi, Damblughi and Alaverdi entered the South Caucasus market.

Correspondingly there is some ground for *retrospective* generalization of our results with regard to the earlier Georgian copper issues (since 1763-70 time period and till 1800). The weight standard for the latter used to be shifted from time to time, and the awareness of the copper self-cost favours our understanding of these alterations.

Moreover, since the Georgian copper dominated the local market, we may generalize our results *geographically* as well: We may attempt to derive the metal self-cost of the copper issues of the contemporary Muslim Khanates of the South Caucasus from the copper value established for Kartl-Kakheti. Our data would help to clarify the token nature, weight standards and denomination systems of the contemporary copper coinage of these political entities.

In addition to the numismatic implications, the ascertainment of the gold-copper and silver-copper ratio may facilitate the research of the general contemporary economical history of Georgia and the region.

## XII

### მეფე გიორგის ხუთჯვრიანი ბეჭდის (1160-1346) ანაბეჭდები ვენის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული 1160 წლის გარეჯული ხელნაწერი ქრებულის (Ven.4) არშიებიდან

#### თემო ჯოჯუა

ავსტრიაში, ვენის ეროვნული ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერი წიგნების კოლექციაში მე-4 ნომრით მხატვარ-კალიგრაფის ნიკოლოზ ნიკრაის მიერ 1160 წელს, გარეჯის მრავალმთაში გადაწერილი დიდი ზომის ხელნაწერი ქრებული „სანატრელი“, იგივე Ven.4-ია დაცული.<sup>1</sup> ამ ხელნაწერის ცალკეულ ფურცლებსა და არშიებზე XII-XIX საუკუნეების ასზე მეტი ანდერძ-მინაწერია (კოლოფონი) შესრულებული, რომელთა ერთი ნაწილი 2002-10 წლებში ისტორიულ-წყართმცოდნეობითი თვალსაზრისით შევისწავლე და აკადემიური სახით

---

<sup>1</sup> გარეჯული ქრებულის შავ-თეთრი ფოტოპირი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფოტოპირების კოლექციაში ინახება (RT XXV-3, I-II). ვენის ეროვნული ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერი წიგნების კოლექციის შესახებ იხ. Gregor Peradze, „Über die georgischen Handschriften in Österreich“, *Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes*, XLVII, Band 3 und 4, Heft (Wien, 1940); ვახტანგ იმნაიშვილი, *სინას მთიდან გრაცამდის (გრაცის ხელნაწერების ისტორია)* (თბილისი, 2001), 24; მისივე, *უძველესი ქართული ხელნაწერები ავსტრიაში. ხანმეტი ლექციონარი, ფსალმუნი, სვიმეონ სილოსის ცხოვრება, იოვანე ოქროპირისა და იაკობ მოციქულის ჟამისწირვები...* (თბილისი, 2004), 22; მისივე, „უძველესი ქართული ხელნაწერები უცხოეთის წიგნთსაცავებში“, *შოთა რუსთაველის სახელობის სტიპენდიანტთა შრომები*, I (თბილისი, 2008), გვ. 10-2; გრიგოლ ფერაძე, „ქართული ხელნაწერების შესახებ ავსტრიაში“, წერილი გერმანულიდან თარგმნა ცის-ია კილაძემ, თარგმანის რედაქტორი – პროფ. დიმიტრი თუმანიშვილი, გამოსაცემად მოამზადა და კომენტარები დაურთო თემო ჯოჯუამ, *მწიგნობარი*, 04 (თბილისი, 2004), 160-81. Ven.4-ისა და მასში წარმოდგენილი სხვადასხვა ჟანრის თორმეტი ტექსტის შესახებ იხ. Peradze, „Über die georgischen Handschriften“, 220, 222, 226-32; *ძველი აღთქმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, წიგნი ძუელისა აღთქუმისანი, 1, შესაქმისა, გამოსლვათა, ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ბაქარ გიგინეიშვილმა და ცოტნე კიკვიძემ, გამოკვლევა ბაქარ გიგინეიშვილისა (თბილისი, 1989), 593; თემო ჯოჯუა, „წმიდა მღვდელმონაშე გრიგოლ ფერაძე და 1160 წელს გარეჯში გადაწერილი ერთი უცნობი ხელნაწერი“, *ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები*, V, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში ჩატარებული ინსტიტუტის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი ახალგაზრდა მეცნიერთა და ასპირანტთა დარგთაშორისი კონფერენციის მასალები (თბილისი, 2002), 91-147, 379-82; ფერაძე, „ქართული ხელნაწერების შესახებ ავსტრიაში“, 160-1, 164-9, 172-4, 176-81; იმნაიშვილი, „უძველესი ქართული ხელნაწერები უცხოეთის“, 10-2; და სხვ.

გამოვაქვეყნე.<sup>2</sup> ხსენებული კოლოფონების გარდა, გარეჯული კრებულის ფურცლებზე, უფრო ზუსტად კი, 56r-სა და 105r-ს არშიებზე, ხუთ ადგილას დასმული მრგვალი ბეჭდის ანაბეჭდებიც არის წარმოდგენილი, რომელთა შესახებაც ქართულმა ისტორიოგრაფიამ ძალზედ ცოტა რამ იცის.

სამეცნიერო საზოგადოებას Ven.4-ის არშიებზე დასმული ბეჭდის ანაბეჭდების შესახებ პირველი ცნობა ემიგრაციაში მოღვაწე ქართველმა მნიგნობარმა, არქიმანდრიტმა გრიგოლ ფერაძემ მიაწოდა. მკვლევარმა 1940 წელს ავსტრიაში გამომავალი სამეცნიერო კრებულის “Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes” XLVII ტომის მე-3-4 ნაკვეთში ვენის ეროვნული ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერი წიგნების კოლექციისადმი მიძღვნილი გერმანულენოვანი ნაშრომი “Über die georgischen Handschriften in Österreich” გამოაქვეყნა და ამ ნაშრომის 228-ე გვერდზე გაკვრით აღნიშნა, რომ გარეჯული

<sup>2</sup> ჯოჯუა, „წმიდა მღვდელმონაშე გრიგოლ ფერაძე“, 91-147, 379-82; მისივე, „საქართველოს მეფის გიორგი III-ის აღსაყდრების თარიღი 1160 წელს გადაწერილი ხელნაწერის (Ven.4-ის) ანდერძის მიხედვით“, *ოჩხარი*, ჯულიეტა რუხაძისადმი მიძღვნილი ეთნოლოგიური, ისტორიული და ფილოლოგიური ძიებანი (თბილისი, 2002), 508-21; მისივე, „XII საუკუნის გარეჯული კრებულის (Ven.4-ის) ერთი მინაწერი და აფხაზეთის უცნობი კათოლიკოსი ბართლომე (დაახლ. 1488-1519 წწ.)“, *საქართველოს სიძველენი*, 1, (2002), 117-32; მისივე, „მოქვის უცნობი ეპისკოპოსის ლუკა ოძრხელი (1360-იანი წწ.) და მისი ხუთი მინაწერი XII საუკუნის გარეჯული კრებულის (Ven.4-ის) აშიებიდან“, *ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები*, VI, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში 2002 წლის 24-26 სექტემბერს ჩატარებული მარი ბროსეს დაბადებიდან 200 წლისთავისადმი მიძღვნილი ახალგაზრდა მეცნიერთა და ასპირანტთა კონფერენციის მასალები (2003), 33-52; მისივე, „რამდენიმე ახალი ცნობა მოქველი ეპისკოპოსის ლუკა ოძრხელის (1360-იანი წწ.) ბიოგრაფიისათვის“, *ახალგაზრდა მეცნიერთა ასოციაციის II რესპუბლიკური კონფერენციის შრომების კრებული*, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2004 წელი, 8-10 ოქტომბერი (თბილისი, 2004), 260-4; ფერაძე, „ქართული ხელნაწერების შესახებ ავსტრიაში“, 164-9, 176-81; თემო ჯოჯუა, „არტანუჯელი პილიგრიმის გიორგი ლომას-ძის სავედრებელი (XV ს.) იერუსალიმში გადატანილი 1160 წლის გარეჯული კრებულის (Ven.4-ის) აშიებიდან“, *ქართული წყაროთმცოდნეობა*, XI, ეძღვნება ისტორიის მეცნიერებათა დოქტორებს მამისა ბერძნიშვილს და ლიანა დავლიანიძეს (2006), 121-34; მისივე, „გელათელი მონაზონის – ლევან IV დადიანის ცოლყოფილის ნინო ბაგრატიონისა და მონაზონ ფებრონია ხევარიძის სავედრებლები (XVIII ს-ის I ნახ.) იერუსალიმში გადატანილი ერთი გარეჯული ხელნაწერის (Ven.4-ის) აშიებიდან“, *ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები*, VIII, ეძღვნება გელათის მონასტრის დაარსების 900 წლისთავს (2008), 153-73; მისივე, „მღვდელმონაზონი იოანე მუნჯის ბიბლიოგრაფიული მინაწერი (1772 წ.) იერუსალიმში გადატანილი XII საუკუნის გარეჯული კრებულის (Ven.4-ის) აშიებიდან“, *საქართველოს ისტორიის პრობლემური საკითხები*, II, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, II რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის შრომები (ქუთაისი, 2009), 201-12; მისივე, „გურიის ერისთვისშვილის, მონაზონ ქრისტეფორე შარვაშიძის სავედრებელი მინაწერი (1760-იანი წწ.) იერუსალიმში გადატანილი XII საუკუნის გარეჯული კრებულის (Ven.4-ის) აშიებიდან“, *ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები*, IX (2009), 148-94; მისივე, „უცნობი ურბნელი ეპისკოპოსის სვიმონ ჩხეიძის სამი მინაწერი (1700 წ.) იერუსალიმში გადატანილი XII საუკუნის გარეჯული კრებულის (Ven.4-ის) აშიებიდან“, *Academia*, 1 (2010), 131-48.

კრებულის 56r-სა და 105r-ზე იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის ბეჭედი დასმული: „ხელნაწერში გვხვდება რამდენიმე გრაფიკული ჩანახატი... აგრეთვე, 56r და 105r – ჯვრის მონასტრის ბეჭედი“.<sup>3</sup>

გრიგოლ ფერაძის ნაშრომის გამოქვეყნებიდან ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ, 2002-03 წლებში, საშუალება მომეცა, საერთაშორისო ორგანიზაცია INTAS-ის სამეცნიერო სტიპენდიის დახმარებით, ავსტრიაში რამდენიმე თვით ჩავსულიყავი და ვენის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული გარეჯული კრებული ადგილზე შემესწავლა. Ven.4-ზე მუშაობის დროს, პირველ რიგში, გრიგოლ ფერაძის მიერ გარეჯული კრებულის შესახებ გამოთქმული მოსაზრებების გადამონშება ვცადე და შესაბამისად, ხელნაწერის 56r-სა და 105r-ზე დასმული ბეჭდის ანაბეჭდებსაც მივაქციე ყურადღება. ანაბეჭდებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ გრიგოლ ფერაძის მიერ მოწოდებული ცნობა მართებული არ იყო და Ven.4-ის არშიებზე დასმული ბეჭდის ლეგენდაში არა იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტერი, არამედ ვინმე „მეფეთა მეფე გიორგი“ იხსენიებოდა. ავსტრიიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგ აღმანახის „მნიგნობარის“ 2004 წლის ნომერში გრიგოლ ფერაძის ზემოთ ნახსენები გერმანულენოვანი ნაშრომის კომენტარებული ქართული თარგმანი გამოვაქვეყნე. ნაშრომი გერმანულიდან ხელოვნებათმცოდნე ცისია კილაძემ თარგმნა, თარგმანის რედაქტირება პროფესორმა დიმიტრი თუმანიშვილმა იტვირთა, კომენტარები კი პუბლიკაციას მე დავურთე. ამ კომენტარებიდან ერთ-ერთ, რიგით ოცდამეერთე კომენტარში სწორედ გარეჯული კრებულის 56r-სა და 105r-ზე დასმული ბეჭდის ანაბეჭდების საკითხს შევეხე და გრიგოლ ფერაძის მიერ მოწოდებული შესაბამისი ცნობა შემდეგი სახით დავაზუსტე: „წრიული ფორმის ბეჭედი 56r-ზე დასმულია ორგზის, 105r-ზე კი – სამგზის. მასზე ამოტვიფრულია ასომთავრული ლეგენდა, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ იგი არა ჯვრის მონასტერს, არამედ – მეფეთ-მეფე გიორგის ეკუთვნოდა: „მონაჲ ლ{მრ}თისაჲ მეფეთა-მეფე გ{იორგ}ი“.<sup>4</sup>

ეს არის და ეს. გრიგოლ ფერაძის ნაშრომის ქართული თარგმანის გამოქვეყნების შემდეგ, ანუ 2004 წლიდან დღემდე, Ven.4-ის 56r-სა და 105r-ზე დასმული ბეჭდის ანაბეჭდებით არც ერთი სხვა მკვლევარი არ დაინტერესებულა და შესაბამისად, არც ამ ანაბეჭდებთან დაკავშირებული საკითხები გამხდარა სამეცნიერო შესწავლის საგანი.

წინამდებარე ნაშრომში საგანგებოდ ვუბრუნდები ამ უაღრესად საინტერესო ბეჭედს და დანვრილებით განვიხილავ მის ანაბეჭდებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებს.

თავდაპირველად მოვიტან ანაბეჭდების დეტალურ აღწერილობას,

<sup>3</sup> ფერაძე, „ქართული ხელნაწერების შესახებ ავსტრიაში“, 165-166. შდრ. Peradze, „Über die georgischen Handschriften“, 228.

<sup>4</sup> ფერაძე, „ქართული ხელნაწერების შესახებ ავსტრიაში“, 177.

ბეჭდის წარწერისა და ლეგენდის გადმონაწერებს დედნის შრიფტის დაცვით, ამ წარწერისა და ლეგენდის ტექსტების ჩემუელ წაკითხვებს, ორი ანაბეჭდის გრაფიკულ მონახაზსა და ხუთივე ანაბეჭდის შავ-თეთრ ფოტოებს.

გარეჯული კრებულის არშიებზე განსახილველი ბეჭდის სულ ხუთი ანაბეჭდი განიხილვა: I ანაბეჭდი – 56r-ს მარჯვენა არშიის ქვედა ნახევარზე, II ანაბეჭდი – 56r-ს მარჯვენა არშიის ქვედა კიდესთან, III ანაბეჭდი – 105r-ს მარჯვენა არშიის ზედა ნახევარზე, IV ანაბეჭდი – 105r-ს მარჯვენა არშიის ქვედა ნახევარზე, ხოლო V ანაბეჭდი – 105r-ს მარჯვენა არშიის ქვედა კიდესთან (სურ. 1 და სურ. 2). I და III ანაბეჭდები ზომიერად მკვეთრია და მეტნაკლებად კარგად განიხილვა. II ანაბეჭდი საკმაოდ მკრთალი, IV ანაბეჭდი კი საკმაოდ მუქია, რაც მათ გარჩევას ძალზე ართულებს. V ანაბეჭდი მეტისმეტად მკრთალია და თითქმის არ განიხილვა. ანაბეჭდებზე დაკვირვება აჩვენებს, რომ ისინი გარეჯული კრებულის არშიებზე ერთი და იმავე ბეჭდის რამდენიმეგზის დასმის შედეგად არის მიღებული. გარდა ამისა, ანაბეჭდების მელნის სიმკვეთრეზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ განსახილველი ბეჭედი გარეჯული კრებულის არშიებზე შემდეგი თანამიმდევრობით იყო დასმული: 56r – ჯერ I, ხოლო შემდეგ II ანაბეჭდი; 105r – ჯერ II, შემდეგ I, ხოლო ბოლოს III ანაბეჭდი.

გარეჯული კრებულის არშიებზე წარმოდგენილი ანაბეჭდები მრგვალია. მათი დიამეტრი 3.6 სმ-ია. ანაბეჭდების გარე წრეწირის შიგნით, მისგან 0.1 სმ-ის დაშორებით, მეორე წრეწირია. ამ წრეწირის შიგნით კი, მისგან 0.5 სმ-ის დაშორებით, მესამე წრეწირია. ამ, კონცენტრულად განლაგებულ მეორე და მესამე წრეწირებს შორის ასომთავრულით შესრულებული ლეგენდის ხუთსიტყვიანი ტექსტია, რომელიც ანაბეჭდებს გარშემო შემოუყვება. ლეგენდის გრაფიკათა სიმაღლე, საშუალოდ, 0.4 სმ-ია. ანაბეჭდის შიდა, მესამე წრის დიამეტრი 2.2 სმ-ია. ამ შიდა, მესამე წრეში ტოლმკლავა ჯვარია გამოსახული. ჯვრის მკლავები ბოლოებისაკენ თანდათანობით განიერდება. მკლავების ბოლოები კუთხეებში გამოყვანილი ორ-ორი პატარა ბურთულითაა გამშვენებული. ჯვრის თითოეული მკლავის ბოლოსაკენ გაგანიერებულ არეზე თითო პატარა ტოლმკლავა ჯვარია გამოსახული. ამ პატარა ჯვრების მკლავებიც ბოლოებისაკენ თანდათანობით განიერდება. პატარა ჯვრების სიმაღლე, საშუალოდ, 0.2 სმ-ია. დიდი ჯვრის მკლავთაშორის არეებში ასომთავრულით შესრულებული ოთხი ორგრაფიმიანი დაქარგმებული სიტყვაა ჩანერილი. ამ ასომთავრულ გრაფიკათა სიმაღლე, საშუალოდ, 0.6 სმ-ია.

### I ანაბეჭდი (სურ. 3 და 8).

ა) ჯვრის თანმხლები წარწერა:

ⴗ[-] || [-]  
ⴗ'ⴗ' || 'ⴗ'ⴗ'

„*ჯ[უარი] // [ქ(რისტეს)ი]. | ჯ(უარი) // [ქ(რისტეს)ი]“.*

ბ) ბექდის ლეგენდა:

**ჰQ<sup>h</sup>C<sup>h</sup>ღ [-]ღ<sup>h</sup>[-]ღ 'ჰ'[-]ღ<sup>h</sup>[-] ჰ<sup>h</sup>ფ[-] ლღ:**

„*მონად [ღ(მრ)თისა]ღ, [მ]ეფეთა] მეფე] გ(იორ)გი“.*

II ანაბექდი (სურ. 4).

ა) ჯვრის თანმხლები წარწერა:

[-] || [-]  
[-] || [-]

„*[ჯ(უარი) // [ქ(რისტეს)ი]. | [ჯ(უარი) // [ქ(რისტეს)ი]“.*

ბ) ბექდის ლეგენდა:

**ჰQ<sup>h</sup>[-] [—] [-]ფ[-] [-]ფ[-] [-]**

„*მონ[ად] [ღ(მრ)თისა]ღ, [მ]ეფეთა] [მ]ეფე] [გ(იორ)გი]“.*

III ანაბექდი (სურ. 5 და 9).

ა) ჯვრის თანმხლები წარწერა:

X<sup>h</sup> || [-]  
ღ<sup>h</sup>ღ<sup>h</sup> || [-] [-]

„*ჯ[უარი]ი // [ქ(რისტეს)ი]ი. | ჯ(უარი)ი // [ქ(რისტეს)ი]ი“.*

ბ) ბექდის ლეგენდა:

**ჰQ<sup>h</sup>ღ<sup>h</sup>C<sup>h</sup>ღ ი[-]ღ<sup>h</sup>[-] [-] ჰ<sup>h</sup>ღ<sup>h</sup>ფ<sup>h</sup> [-]ღ<sup>h</sup>[-]**

„*მონად ღ(მრ)თისა]ღ, [მეფეთა] მეფე [გ(იორ)გი]ი“.*

IV ანაბექდი (სურ. 6).

ა) ჯვრის თანმხლები წარწერა:

[-] || [-]  
[-] || [-]

„[**ჯ(უარი) || ქ(რისტესი) | ჯ(უარი) || ქ(რისტესი)**]“.

ბ) ბეჭდის ლეგენდა:

**ႠႡႠႠ[-] Ⴀ[---] [---] [---] ႡႡ[-]**

„**მონა[ა] ლ(მრ)თისაჲ, [მეფეთა] [მეფე] გ(იორ)გ(ი)**“.

**V ანაბეჭედი** (სურ. 7).

ა) ჯვრის თანმხლები წარწერა:

[-] || [-]  
[-] || [-]

„[**ჯ(უარი) || ქ(რისტესი) | ჯ(უარი) || ქ(რისტესი)**]“.

ბ) ბეჭდის ლეგენდა:

**[---] [---] [---] ႡႡ[-] [---]**

„**[მონა] ლ(მრ)თისაჲ, [მეფეთა] მე[ფე] გ(იორ)გ(ი)**“.

განვიხილოთ ამ ანაბეჭედებთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები.

თავდაპირველად ხაზგასმით აღვნიშნავ იმ ფაქტს, რომ განსახილველი ანაბეჭედების შუაში დიდი ზომის ტოლმკლავა ჯვარია გამოსახული, რომლის მკლავთაშორის არეებშიც ასომთავრულით შესრულებული ოთხი დაქარაგმებული სიტყვა: „**ჯუარი ქრისტესი. ჯუარი ქრისტესი**“ არის ჩანერილი. ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, განსახილველ ანაბეჭედებზე ე. წ. ხუთჯვრიანი კომპოზიციის მეტად ორიგინალური ვარიანტია წარმოდგენილი, რომელშიც დიდი ჯვრის მკლავთაშორის არეებზე გამოსახული ტრადიციული სიმბოლოები – პატარა ჯვრები ამავე არეებში ჩანერილი შესაბამისი მნიშვნელობის მქონე სიტყვებით არის ჩანაცვლებული. სხვათა შორის, ხსენებული ოთხი სიტყვის ჯვრებად გააზრებას, ამ სიტყვების შინაარსის გარდა, მათი ასომთავრული გრაფემების მოხაზულობაც უწყობს ხელს:

ამ ოთხი, ორ-ორგრაფემიანი დაქარაგმებული სიტყვის დანერილობაში, გამომსახველობითი თვალსაზრისით, წამყვან, დომინანტურ როლს, პირველი გრაფემები – X (ჯ) და † (ქ) ასრულებს, რომლებიც, თავის მხრივ, სწორედ ჯვართან მიახლოებული მოხაზულობითაა გადმოცემული. ამ თავისებურების გამო, მნახველის მიერ ეს სიტყვები, ვიზუალურადაც კი, მათი წაკითხვის გარეშე, დიდი ჯვრის მკლავთაშორის არეებზე გამოსახულ ჯვრებად აღიქმება. დიდი ჯვარი და მისი თანმხლები ოთხი სიტყვა, ანაბეჭდების შავ ფონზე, თეთრი ფერის ლაქებად გამოიყოფა, რაც ცალსახად მიგვიითითებს იმაზე, რომ ჯვარი და სიტყვები ბეჭედის ზედაპირში ჩაკვეთით იყო ამოტვიფრული.

დიდი ჯვრის ბოლოებისაკენ გაგანიერებულ მკლავებზე ოთხი პატარა ტოლმკლავა ჯვარია გამოსახული (თითო მკლავზე – თითო ჯვარი), რომლებიც, სავარაუდოდ, გოლგოთის ჯვრის ოთხი სამსჭვალის სიმბოლურ გამოსახულებებს წარმოადგენს. ეს ჯვრები დიდი ჯვრის მკლავების თეთრ ფონზე შავი ფერის ლაქებად გამოიყოფა. შესაბამისად, ირკვევა, რომ პატარა ჯვრები დიდი ჯვრის მკლავების ჩაკვეთით დადაბლებული არეებიდან ბეჭდის ზედაპირის დონემდე იყო ამოზიდული. მიუხედავად იმისა, რომ ეს პატარა, შავი ფერის ჯვრები ანაბეჭდების საერთო ფონზე ვიზუალურად საკმაოდ აქცენტირებულია, ისინი ამ ანაბეჭდებზე წარმოდგენილი ხუთჯვრიანი კომპოზიციის ფორმირებაში, დიდ ჯვარსა და ჯვრის თანმხლებ სიტყვებთან შედარებით, უმნიშვნელო როლს ასრულებს და უფრო მორთულობის ელემენტებად აღიქმება (იხ. ანაბეჭდის რეკონსტრუქცია, სურ. 10).

ამრიგად, გარეჯული კრებულის არშიებზე წარმოდგენილ ანაბეჭდებზე დაკვირვება აჩვენებს, რომ განსახილველ ხელნაწერზე ხუთჯვრიანი ბეჭედი იყო დასმული.

გარეჯული კრებულის არშიებზე წარმოდგენილ ანაბეჭდებზე ხუთჯვრიანი კომპოზიციის გარდა, ასომთავრულით შესრულებული ლეგენდის ტექსტიც განიჩრევა. თავად ლეგენდის გრაფემები, ანაბეჭდების შავ ფონზე, თეთრი ფერის ლაქებად გამოიყოფა, საიდანაც ვიგებთ, რომ ლეგენდის ტექსტი ბეჭედის ზედაპირში ჩაკვეთით იყო ამოტვიფრული. ლეგენდის ტექსტი პირდაპირ გვაუწყებს, რომ ხუთჯვრიანი ბეჭდის მფლობელი ვინმე მეფე („მეფეთმეფე“) გიორგი იყო: „*მონაა ღმრთისაჲ, მეფეთა მეფე გიორგი*“. შესაბამისად, დგინდება ისიც, რომ გარეჯული კრებულის არშიებზე დასმული ხუთჯვრიანი ბეჭედი არა რომელიმე რიგითი ფეოდალისა თუ საეკლესიო იერარქის ბეჭედს, არამედ შუა საუკუნეების ქართული სახელმწიფოს პირველი პირის – მეფის ბეჭედს, უფრო ზუსტად კი, ვინმე მეფე გიორგის კუთვნილ სამეფო ბეჭედს წარმოადგენდა.

დღეისათვის ქართულ ისტორიოგრაფიას შუა საუკუნეების ქართული სამეფო ბეჭდებთან დაკავშირებული საკითხების შესასწავლად, ძირითადად, სამი სახის წერილობითი და ნივთიერი მასალა მოეპოვება. ეს მასალაა: 1. წერილობით ძეგლებში დაცული ცნობები ქართული სამეფო ბეჭდების შესახებ;



2. XX საუკუნემდე მოღწეული ქართული სამეფო ბეჭდები; და 3. ისტორიულ დოკუმენტებსა და ოფიციალურ წერილებზე დასმული ქართული სამეფო ბეჭდების ანაბეჭდები. შესაბამისად, იმისათვის, რათა გარეჯული კრებულის არშეიბზე დასმულ მეფე გიორგის ხუთჯვრიან ბეჭედთან დაკავშირებული საკითხები მაქსიმალური სიღრმითა და სისრულით გავაანალიზოთ, საჭიროა შუა საუკუნეების ქართულ სამეფო ბეჭდებთან დაკავშირებული სამივე სახის წერილობითი და ნივთიერი მასალა მიმოვიხილოთ.

ჩვენამდე მოღწეულ წერილობით ძეგლებს შორის ქართული სამეფო ბეჭდების შესახებ უძველეს ცნობას 1290-იან წლებში შედგენილი „ხელმწიფის კარის გარიგება“ გვანვდის.<sup>5</sup> ამ მეტად საინტერესო წერილობითი ძეგლის მე-14

<sup>5</sup> „ხელმწიფის კარის გარიგების“ ტექსტმა ჩვენამდე ერთადერთი ხელნაწერის სახით მოაღწია. ამჟამად ეს ერთადერთი ნუსხა, რომელიც, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, XVII საუკუნეშია გადაწერილი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართული ხელნაწერი ნიგნების H კოლექციაში 3094-ე ნომრით არის დაცული. ექვთიმე თაყაიშვილი, *ჯელმწიფის კარის გარიგება* (ტფილისი, 1920), I-III; *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), VI, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული ნადია კასრაძის, ელენე მეტრეველის, ლუბა მეფარიშვილის, ლილი ქუთათელაძისა და ქრისტინე შარაშიძის მიერ, *ალექსანდრე ბარამიძის რედაქციით* (თბილისი, 1953), 380-1. დღეისათვის „ხელმწიფის კარის გარიგება“, უშუალოდ ხელნაწერზე დაყრდნობით, სამჯერ არის გამოცემული: პირველად – 1920 წელს, ექვთიმე თაყაიშვილის მიერ. თაყაიშვილი, *ჯელმწიფის კარის გარიგება*, 1-20; მეორედ – 1965 წელს, ისიდორე დოლიძის მიერ. *ქართული სამართლის ძეგლები*, ტ. II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX საუკუნეები), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ (თბილისი, 1965), 80-97; ხოლო, მესამედ – 1970 წელს, ივანე სურგულაძის მიერ. *ქართული სამართლის ძეგლები*, 1, *ჯელმწიფის კარის გარიგება*, 2, დასტურლამალი, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ივანე სურგულაძემ (თბილისი, 1970), 32-50. გარდა ამისა, არსებობს „ხელმწიფის კარის გარიგების“ კიდევ ერთი, 1953 წლის პუბლიკაცია, რომელიც, ნაწილობრივ, ექვთიმე თაყაიშვილის 1920 წლის პუბლიკაციაზე, ნაწილობრივ კი, უშუალოდ ხელნაწერზეა დამყარებული. აქ მხედველობაში მახვს „ხელმწიფის კარის გარიგების“ ის ტექსტი, რომელსაც ივანე ჯავახიშვილი ამზადებდა გამოსაცემად. მასზე მუშაობის დასრულება მკვლევარმა ველარ მოასწრო და ის მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა. ივანე ჯავახიშვილი, „ხელმწიფის კარის განრიგება“, *ქართველი ერის ისტორია*, წიგნი მეხუთე (თბილისი, 1953), 204-24. აღსანიშნავია, რომ „ხელმწიფის კარის გარიგება“ ქართული ენიდან უცხო ენებზეც არის ნათარგმნი და გამოცემული: პირველად – 1970 წელს, ექვთიმე თაყაიშვილის მიერ შესრულებული და ნიკო მარის მიერ რედაქტირებული რუსული თარგმანის სახით. *ქართული სამართლის ძეგლები*, 1, 51-80; მეორედ – იმავე 1970 წელს, ივანე სურგულაძის მიერ შესრულებული რუსული თარგმანის სახით. იქვე, 51-80. შდრ. *ხელმწიფის კარის გარიგება*, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, ინგლისურად თარგმნა, წინასიტყვაობა, ლექსიკონი, შენიშვნები და კომენტარები დაურთო ქეთევან სურგულაძემ (თბილისი, 1993), 45-66; ხოლო, მესამედ – 1993 წელს, ქეთევან სურგულაძის მიერ შესრულებული ინგლისური თარგმანის სახით. იქვე, 79-103. „ხელმწიფის კარის გარიგების“ ტექსტში მისი შედგენის თარიღი მითითებული არ არის. მისმა აღმომჩენმა და პირველმკვლევარმა ექვთიმე თაყაიშვილმა 1920 წლის გამოცემაში ძეგლი, მასში ასახული ისტორიული რეალების გათვალისწინებით, საქართველოს მეფის

პარაგრაფში ვკითხულობთ: „ან ეთქვათ, მსახურთუხუცესი ვეზირია და მისი კელისა არის: სალარო, სანოლი, მესანოლეთუხუცესი, მოლარეთუხუცესი, ფარეთუხუცესი, ციცხვთუხუცესი, მეხილეთუხუცესი. სანოლისა და სალაროს, მეფის შეკმაზმამდის, ამათი[ა] საურავი და ზღვენი – მსახურთუხუცესისა, მესანოლეთუხუცესისა, მოლარეთუხუცესისა. რა ითაყვანოს [მსახურთუხუცესი] ბეჭედი მართებს, რომ უბოძოს მეფემან, თვალები. და ზედამდგომელი მესანოლეთუხუცესსაც მართებს. ბეჭედი ესრეთ სხენნ: **დიდი ბეჭედი ს[ა]სიგლე**, საგასახსნითე რომ ბეჭედი არის, მით დაბეჭდულა: და მისი თასი ოქროსა გვერდსა უთქს და ტუირითა დაბეჭდული მოლარეთუხუცესსა კელთაცვია; მოლარეთუხუცესი [...] მეგოდრეს, სალაროს მოლარე აიხვამს და მოლარეთუხუცესი გახსნის, თასსა შიგან წყალს შთაახვამს; ჯორის ნალი უჭვრეტელი ორნი აქ, უნდა, რომ ქვე დასხნეს. და რა დაბეჭდვენ, სალაროს მოლარეს – დუკატი ორი, მეგოდრეს – დუკატი ერთი; ეს მისცეს, ვისიც სიგელი იყოს. და დაბეჭდავს მნიგნობარი, თან გამოიტანს და წამოვა. და მიცემა სიგლისა ზემოთ დამინერია“ (ხაზგასმა აქაც და შემდგომშიც ჩემია – თ. ჯ.).<sup>6</sup>

„ხელმწიფის კარის გარიგების“ ციტირებული მე-14 პარაგრაფი ექვთიმე თაყაიშვილის, ივანე ჯავახიშვილის, სარა ბარნაველის, ისიდორე დოლიძის, ივანე სურგულაძისა და ილია ანთელავას მიერ საფუძვლიანად არის შესწავლილი. დასახელებულ მკვლევართა მიერ დადგენილია, რომ ძეგლში „დიდი სასიგლე ბეჭდის“ სახელით დიდი სამეფო ბეჭედია მოხსენიებული. ამავე მკვლევართა დაკვირვებით, „დიდი სასიგლე ბეჭედი“ საგანგებოდ მისათვის განკუთვნილ ოქროს თასში იყო ჩადებული და სამეფო კართან არსებულ სპეციალურ დანესებულებაში – სალაროში ინახებოდა, თავად სალარო კი ქვეყნის ერთ-ერთ დიდმოხელეს, სამეფო კარის რანგით მეხუთე ვაზირს – მსახურთუხუცესს ექვემდებარებოდა. დიდი სამეფო ბეჭდის შესანახი ოქროს თასი, ბეჭდის გამოყენებამდე და გამოყენების შემდეგ, შესაბამისი ბეჭდით იყო დაბეჭდილი. ოქროს თასის დასაბეჭდ ბეჭედს „საგახსნითე ბეჭედი“ ეწოდებოდა და ის მსახურთუხუცესის უწყების მაღალი რანგის მოხელეს, სალაროს გამგეს – მოლარეთუხუცესს თითზე გაკეთებული ან კიდევ ხელზე დაკიდებუ-

გიორგი V ბრწყინვალის (1299, 1318-46) მმართველობის დროით დაათარიდა. თაყაიშვილი, *კელმწიფის კარის გარიგება*, III-IX. აღნიშნული თარიღი ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი ხნის განმავლობაში უპირობოდ იყო გაზიარებული. მოგვიანებით ილია ანთელავამ 1982 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში არგუმენტირებულად დაასაბუთა, რომ ძეგლი, მასში ასახული ისტორიული რეალიების გათვალისწინებით, არა XIV საუკუნის I ნახევრით, არამედ შედარებით უფრო ადრეული პერიოდით, დასავლეთ საქართველის მეფის დავით VI ნარინის (1259-93) სიცოცხლის ბოლო წლებითა და მისი ვაჟის, დასავლეთ საქართველოს მეფის კონსტანტინეს (1293-1327) მმართველობის პირველი ხანებით ანუ, დაახლოებით, 1290-იანი წლებით თარიღდება. ილია ანთელავა, „ხელმწიფის კარის გარიგების“ დათარიღებისა და ავტორის შესახებ“, *მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*, 4 (1982), 184-9.

<sup>6</sup> ქართული სამართლის ძეგლები, 1, 36-7.

ლი ჰქონდა. დიდი სამეფო ბეჭდის გამოყენების წესი შემდეგი სახისა იყო: მეფის სახელით გაცემული კონკრეტული დოკუმენტის (სიგელის) დამწერი მნიგნობარი ამ დოკუმენტს დიდი სამეფო ბეჭდის ანუ „დიდი სასიგელე ბეჭდის“ დასასმელად სალაროში შეიტანდა. მოლარეთუხუცესი „საგახსნითე ბეჭდით“ დაბეჭდილ ოქროს თასს გახსნიდა და იქიდან დიდ სამეფო ბეჭედს ამოიღებდა. დასაბეჭდ დოკუმენტზე დიდი სამეფო ბეჭედის დასმის შემდეგ მოლარეთუხუცესი ბეჭედს ისევ ოქროს თასში ჩადებდა და თასს „საგახსნითე ბეჭდით“ დაბეჭდავდა. მნიგნობარი სალაროდან გარეთ გამოვიდოდა და დაბეჭდილ დოკუმენტს მის მიმღებს გადასცემდა. დოკუმენტის დაბეჭდვის ცერემონიაში, მოლარეთუხუცესისა და დოკუმენტის დამწერი მნიგნობარის გარდა, სალაროს მოლარე და მეგოდრეც იღებდნენ მონაწილეობას. ამ ორი მოხელიდან ერთ-ერთი მოხელე – სალაროს მოლარე მოლარეთუხუცესს დოკუმენტის დაბეჭდვაში ეხმარებოდა, მეორე მოხელე – მეგოდრე კი სალაროში დაბეჭდილი დოკუმენტის პირს გოდორში დებდა და მას სამეფო არქივისათვის ინახავდა. სალაროს მოლარესა და მეგოდრეს დოკუმენტის დაბეჭდვაში მონაწილეობის საზღაურს დოკუმენტის მიმღები უზდიდა. იგი მოლარეს ორ დუკატს, ხოლო მეგოდრეს ერთ დუკატს აძლევდა.<sup>7</sup>

„ხელმწიფის კარის გარიგების“ შემდეგ ქართული სამეფო ბეჭდების შესახებ 1650-70-იანი წლების ცხრა წერილობითი ძეგლი გვანჯდის ცნობებს. ეს ძეგლებია: 1. რუსეთის მეფის ალექსი მიხეილის ძის მიერ (1645-76) იმერეთის სამეფოში გამოგზავნილი 1650-52 წლების ელჩობის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, სუფრაჯ (стольник) ნიკიფორე ტოლოჩანოვის მიერ შედგენილი “Статейный список о пребывании в Имеретии и о переговорах с царем Александром. 1651 г. 10 июня - 1651 г. 10 ноября” („მუხლობრივი აღწერილობა იმერეთში ყოფნისა და მეფე ალექსანდრე III-სთან მოლაპარაკებისა. 1651 წ. 10 ივნისი – 1651 წ. 30 ნოემბერი“). 2. რუსეთის მეფის ალექსი მიხეილის ძის მიერ იმერეთის სამეფოში გამოგზავნილი 1650-52 წლების ელჩობის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, მდივან (диак) ალექსი იევლევის მიერ შედგენილი “Статейный список о пребывании посольства в Имеретии. 1650 г. 22 мая - 1651 г. 26 июля” („მუხლობრივი აღწერილობა ელჩების იმერეთში ყოფნისა. 1650 წ.

<sup>7</sup> ქართული სამართლის ძეგლები, 1, 36-7, 57-8, 97-100, 115-6; ილია ანთელავა, საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII საუკუნეებში (თბილისი, 1983), 35-8. შდრ.: თაყაიშვილი, კელმწიფის კარის გარიგება, გვ. XXXVII, 6; ივანე ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა, III, ნაკვეთი მეორე, ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა (ტფილისი, 1926), 69-76; ივანე ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი პირველი (ტფილისი, 1928), 183-5; ჯავახიშვილი, „ხელმწიფის კარის განრიგება“, 209; სარა ბარნაველი, საქართველოს საბეჭდავები და სხვა გლიპტიკური მასალები (ნარკვევები) (თბილისი, 1965), 74; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 84; ქართული სამართლის ძეგლები, 1, 36-7, 57-8, 97-100, 115-6; ხელმწიფის კარის გარიგება, 18, 36, 49-50, 70, 85, 107; და სხვ.

22 მაისი – 1651 წ. 26 ივლისი“). 3. იმერეთის მეფის ალექსანდრე III-ის (1639-60) მიერ რუსეთის მეფის ალექსი მიხეილის ძისათვის გაგზავნილი 1651 წლის წერილის რუსულენოვანი ამონაწერი.<sup>8</sup> 4. რუსეთის მეფის ალექსი მიხეილის ძის მიერ იმერეთის მეფე ალექსანდრე III-სათვის გამოგზავნილი 1652 წლის 19 მაისის წყალობის წიგნი.<sup>9</sup> 5. იმერეთის მეფის ბაგრატ IV-ის (1660, 1663-67, 1668-78, 1679-81)<sup>10</sup> მიერ რუსეთის მეფე ალექსი მიხეილის ძისათვის გაგზავნილი 1667 წლის წერილის რუსულენოვანი ამონაწერის (?) თამარ ტივაძისეული ქართული თარგმანი.<sup>11</sup> 6. იმერეთის მეფის ბაგრატ IV-ის მიერ რუსეთის მეფის

<sup>8</sup> „ამონაწერი“ წერილის შედგენის თარიღი მითითებული არ არის. მიუხედავად ამისა, მისი დათარიღება საკმაოდ იოლია. როგორც ცნობილია, მეფე ალექსანდრე III-ის მიერ რუსეთის სამეფო კარზე გაგზავნილი 1651-53 წლების ელჩობა (ხელმძღვანელები: მოლარეთუხუცესი ლომკაც ჯაფარიძე და არქიმანდრიტი ევდემონი), რომელმაც აღნიშნული წერილი რუსეთის სამეფო კარზე ჩაიტანა, მეფე ალექსი მიხეილის ძის მიერ იმერეთის სამეფო კარზე გამოგზავნილ 1650-52 წლების ელჩობასთან ერთად, იმერეთის სამეფოს სატახტო ქალაქ ქუთაისიდან 1651 წლის 10 ოქტომბერს გაემგზავრა. *სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი იველევის ელჩობა იმერეთში, 1650-1652*, საბუთები გამოსცა და შესავალი დაურთო მიხეილ პოლიევქტოვმა (ტფილისი, 1926), 104, 188. შესაბამისად, სრულებით ცხადია ისიც, მეფე ალექსანდრე III-ის განსახილველი წერილი იმერეთის მეფის 1650-52 წლების ელჩობის ქუთაისიდან გამგზავრების წინარე ხანებში ანუ იმავე 1651 წლის ოქტომბერში იყო შედგენილი.

<sup>9</sup> წყალობის წიგნი თარიღიანია: „Писан в государствии нашего дворе в царствующем граде Москве лета от создания миру 7161-го (7161-5508=1653 წ. – თ. ჯ.) мая 19 дня.“ გიორგი პაიჭაძე, „მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1652-1658)“, *საისტორიო მოამბე*, 19-20 (1965), 442. დოკუმენტი საქართველოში მეფე ალექსანდრე III-ის მიერ რუსეთის სამეფო კარზე გაგზავნილმა 1651-53 წლების ელჩობამ 1653 წლის ბოლოს ჩამოიტანა.

<sup>10</sup> დღეისათვის ქართულ ისტორიოგრაფიაში მეფე ბაგრატ IV-ის მმართველობის ქრონოლოგია 1660-61, 1663-68, 1669-78, 1679-81 წლებით არის განსაზღვრული. ქველი ჩხატარაიშვილი, „ბაგრატ IV“, *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*, ტ. 2 (თბილისი, 1977), 129; ქველი ჩხატარაიშვილი, „ბაგრატ IV“, *საქართველო, ენციკლოპედია*, ტ. 1 (თბილისი, 1997), 317; კახა ბუაჩიძე, „იმერეთის მეფეები“, *საქართველოს მეფეები* (თბილისი, 2007), 246-8; და სხვ. საკითხის შესწავლა აჩვენებს, რომ აღნიშნული ქრონოლოგია ბოლომდე მართებული არ არის და მეფე ბაგრატ IV იმერეთის სამეფო ტახტს, რეალურად, 1660, 1663-67, 1668-78, 1679-81 წლებში ფლობდა.

<sup>11</sup> წერილს შედგენის თარიღი არ უზის. მიუხედავად ამისა, მისი დათარიღება შესაძლებელია. დღეისათვის დადგენილია, რომ მეფე ბაგრატ IV-ის მიერ რუსეთის სამეფო კარზე გაგზავნილი I, 1667-68 წლების ელჩობა (ხელმძღვანელი: თავადი დემეტრე ეზეკიელი არიშიძე), რომელმაც განსახილველი წერილი ქალაქ მოსკოვში 1667 წლის ოქტომბერში ჩაიტანა (წერილი მეფე ალექსი მიხეილის ძეს 1667 წლის 30 ოქტომბერს გადაეცა), რუსეთის სამეფოს სასაზღვრო ციხე-ქალაქ თერგში 1667 წლის 13 მარტს ჩავიდა. თამარ ტივაძე, „იმერეთის სამეფოს რუსეთთან ურთიერთობის ისტორიიდან (XVII ს-ის 60-იანი წწ.)“, *ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული* (თბილისი, 1976), 363-4, 366. აქედან, ირკვევა, რომ მეფე ბაგრატ IV-ის მიერ მეფე ალექსი მიხეილის ძესთან გაგზავნილი I ელჩობა იმერეთის სამეფოდან 1667 წლის თებერვალში ან მარტის დასაწყისში გაემგზავრა, შესაბამისად კი, საბოლოოდ დგინდება ისიც, რომ ამ ელჩობის მიერ რუსეთის სამეფო კარზე ჩატანილი განსახილველი წერილი ელჩობის იმერეთის სამეფოდან გამგზავრების წინარე ხანებში ანუ 1667 წლის თებერვალ-მარტში იყო შედგენილი. რაც შეეხება მეფე ბაგრატ IV-ის მიერ მეფე ალექსი მიხეილის ძესთან გაგზავნილი I ელჩობის უკან

ალექსი მიხეილის ძისათვის გაგზავნილი 1668 წლის წერილი.<sup>12</sup> 7. იმერეთის მეფის ბაგრატ IV-ის მიერ რუსეთის სამეფო კარზე გაგზავნილი მეორე, 1668-72 წლების ელჩობის<sup>13</sup> საქმიანობის ამსახველი საარქივო მასალის ამონაწერი.

დაბრუნების თარიღს, ამასთან დაკავშირებით, ორი გარემოებაა გასათვალისწინებელი: 1. მეფე ალექსი მიხეილის ძემ ამ ელჩობის ხელმძღვანელს დემეტრე არიშიძეს მეფე ბაგრატ IV-ისათვის განკუთვნილი წერილი 1668 წლის 10 მარტს გადასცა (თავად წერილი 1668 წლის 22 თებერვალს იყო შედგენილი). იქვე, 364; და 2. ხსენებული დემეტრე არიშიძე, მიტროპოლიტი ევდემონთან ერთად, მეფე ბაგრატ IV-ის მიერ მეფე ალექსი მიხეილის ძესთან გაგზავნილ II ელჩობას ედგა სათავეში, რომელიც იმერეთის სამეფოდან 1668 წლის ოქტომბერში გაემგზავრა. მაშასადამე, აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ირკვევა, რომ მეფე ბაგრატ IV-ის მიერ რუსეთის სამეფო კარზე გაგზავნილი I ელჩობა ქალაქ მოსკოვიდან 1668 წლის 10 მარტის შემდეგ, სავარაუდოდ, მარტის შუა რიცხვებში გამობრუნდა, მგზავრობას, მაქსიმუმ, რვა თვე მოანდომა და იმერეთის სამეფოში, სულ გვიან, 1668 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში ჩამოვიდა.

<sup>12</sup> წერილს შედგენის თარიღი არ უზის, თუმცა ამ საკითხის გარკვევა რთული არ არის. დღისათვის დადგენილია, რომ მეფე ბაგრატ IV-ის მიერ მეფე ალექსი მიხეილის ძესთან გაგზავნილი II ელჩობამ (ხელმძღვანელები: სამეფო კარის წინამძღვარი („კარისა წინამდგომი“), მიტროპოლიტი ევდემონი და დემეტრე არიშიძე), რომელმაც განსახილველი წერილი ქალაქ მოსკოვში 1669 წლის 23 ნოემბერს ჩაიტანა (წერილი მეფე ალექსი მიხეილის ძეს 1669 წლის 6 დეკემბერს გადაეცა), იმერეთიდან რუსეთის სამეფოს სატახტო ქალაქამდე მგზავრობას ცამეტი თვე მოანდომა. გიორგი პაიჭაძე, „მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1660-1685 წწ.)“, *საისტორიო მოამბე*, 23-4 (თბილისი, 1970), 161. აქედან ირკვევა, რომ მეფე ბაგრატ IV-ის მიერ მეფე ალექსი მიხეილის ძესთან გაგზავნილი II ელჩობა იმერეთის სამეფოდან 1668 წლის ოქტომბერში გაემგზავრა, შესაბამისად კი, საბოლოოდ დგინდება ისიც, რომ ამ ელჩობის მიერ რუსეთის სამეფო კარზე ჩატანილი განსახილველი წერილი ელჩობის იმერეთის სამეფოდან გამგზავრების წინარე ხანებში ანუ იმავე 1668 წლის ოქტომბერში იყო შედგენილი. აქვე, აღვნიშნავ, რომ მეფე ბაგრატ IV-ის მიერ მეფე ალექსი მიხეილის ძისათვის გაგზავნილი განსახილველი წერილის 1668 წლის ოქტომბრით დათარიღებას იმერეთის სამეფოს 1660-იანი წლების ისტორიაში გარკვეული ქრონოლოგიური კორექტივი შეაქვს. დღეისათვის ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ მეფე ბაგრატ IV-ის სამეფო ტახტიდან მეორედ ჩამოგდებასა და მის ნაცვლად, სამეფო ტახტზე დედოფალ ნესტან-დარეჯანისა და მისი თანამეცხედრის, უსინათლო ვახტანგ ბაგრატიონის (ჭუჭუნაისშვილის) მეორედ ასვლას 1668 წელს ჰქონდა ადგილი. ჩხატარაიშვილი, „ბაგრატ IV“, *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*, 129; რევიამ-ვილი, *იმერეთის სამეფო (1462-1810 წწ.)*, 128-9; ჩხატარაიშვილი, „ბაგრატ IV“, *საქართველო, ენციკლოპედია*, 317; ბუაჩიძე, „იმერეთის მეფეები“, 246-8; და სხვ. მეფე ბაგრატ IV-ის მიერ რუსეთის მეფის ალექსი მიხეილის ძისათვის გაგზავნილი წერილის 1668 წლის ოქტომბრით დათარიღება, აგრეთვე, რამდენიმე ისეთი ცნობის ანალიზი, რომლებიც აღნიშნული საკითხის შესწავლისას აქამდე გამოყენებული არ ყოფილა, აჩვენებს, რომ ზემოთ ნახსენებ ისტორიულ ამბებს არა 1668 წელს, არამედ, ერთი წლით ადრე, 1667 წელს ჰქონდა ადგილი (ამ საკითხის შესახებ დანვრილებით ჩემს სხვა ნაშრომში მექნება საუბარი).

<sup>13</sup> მეფე ბაგრატ IV-ის მიერ რუსეთის სამეფო კარზე გაგზავნილი II ელჩობის დიპლომატიური საქმიანობის ქრონოლოგიური ჩარჩოების 1668-72 წლებით განსაზღვრისას ორ ძირითად არგუმენტს ვემყარები: 1. იმერეთის მეფის II ელჩობა საქართველოდან 1668 წლის ოქტომბერში გაემგზავრა (იხ. ზემოთ); და 2. მეფე ბაგრატ IV-ის ეს ელჩობა რეალურ საქმიანობას მხოლოდ 1672 წლამდე ახორციელებდა, ამ წლის მაისში კი, მან, როგორც დიპლო-

8. იმერეთის მეფის ბაგრატ IV-ის მიერ მეფე ალექსი მიხეილის ძისათვის გაგზავნილი 1676 წლის წერილი.<sup>14</sup> 9. იმერეთის მეფის ბაგრატ IV-ის მიერ რუსეთის სამეფო კარის მოხელის – „დუმნას“, იგივე „ДУМНИЙ ДЬЯК“-ისა (მდივანმწიგნობართუხუცესის) თუ „მესტუმრისათვის“ (посольский пристав) გაგზავნილი 1676 წლის წერილი.<sup>15</sup>

მატიურმა მისიამ, არსებობა, ფაქტობრივად შეწყვიტა: რუსეთის სამეფო კარმა, მეფე თეიმურაზ I-ის შვილიშვილის, იმხანად რუსეთში მყოფი ბატონიშვილი ერეკლეს, შემდგომში ქართლის მეფის ერეკლე I ნაზარ-ალი-ხანის (1688-1703) 1670 წლის საჩივრის წიგნის საფუძველზე, ელჩობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი – მიტროპოლიტი ევდემონი 1672 წლის 15 მაისს, ბატონიშვილი ერეკლეს მამიდის, დედოფალ ნესტან-დარეჯანის მკვლელობაში მონაწილეობის ბრალდებით, დააპატიმრა და კირილო-ბელოზერის მონასტერში გადაასახლა (მიტროპოლიტი ევდემონი პატიმრობიდან სამი წლის შემდეგ გაათავისუფლეს. 1675 წლის 24 ივლისს იგი ქალაქ მოსკოვში ჩავიდა, ამავე წლის სექტემბერში კი სამშობლოში გამოემგზავრა), ხოლო მეორე ხელმძღვანელი – დემეტრე არიშიძე, სავარაუდოდ, იმავე 1672 წლის მაისში მისი ძველი პატრონის – ბატონიშვილი ერეკლეს ლალატი ბრალდებით შეიპყრეს და იმავე ბატონიშვილ ერეკლეს გადასცეს (დემეტრე არიშიძე მომდევნო ორი წლის განმავლობაში მოსკოვში იმყოფებოდა, 1674 წელს კი, ბატონიშვილ ერეკლესთან ერთად, რუსეთის სამეფოს სატახტო ქალაქი დატოვა). პიჭაძე, „მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1660-1685 წწ.)“, 165. შდრ. Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями от 1659 года по 1770 году. Его превосходительству, господину тайному советнику и статс-секретарю Владимиру Петровичу Буткову с глубочайшим почтением посвящает Мари Броссе (Санкт-Петербург, 1861), LXV-LXVI; ტივაძე, „იმერეთის სამეფოს რუსეთთან ურთიერთობის“, 368.

<sup>14</sup> წერილს შედგენის თარიღი არ უზის, თუმცა ამ საკითხის გარკვევა შესაძლებელია. წერილისა და მისი რუსული თარგმანის გამომცემლის მარი ბროსეს ცნობით, წერილი რუსეთის სამეფო კარზე (?) 1677 წლის 25 ივნისს მიიღეს. Переписка на иностранных языках, 94. როგორც ზემოთ აღინიშნა, მეფე ბაგრატ IV-ის მიერ მეფე ალექსი მიხეილის ძესთან გაგზავნილი I, 1667-68 წლების ელჩობას რუსეთის სამეფოს სატახტო ქალაქ მოსკოვიდან იმერეთის სამეფოში დასაბრუნებლად, მაქსიმუმ, რვა თვე (1668 წლის თებერვალი-მარტი – 1668 წლის ოქტომბერი), ხოლო იმავე მეფე ბაგრატ IV-ის მიერ რუსეთის სამეფო კარზე გაგზავნილი II, 1668-72 წლების ელჩობას იმერეთის სამეფოდან ქალაქ მოსკოვში ჩასასვლელად ცამეტი თვე (1668 წლის ოქტომბერი – 1669 წლის 23 ნოემბერი) დასჭირდა. აქედან ირკვევა, რომ მეფე ბაგრატ IV-ის მიერ მეფე ალექსი მიხეილის ძესთან გაგზავნილი III ელჩობა (ხელმძღვანელი: თავადი დავით მალაქიას ძე წერეთელი (?), რომელმაც რუსეთის მეფისათვის გაგზავნილი წერილი ქალაქ მოსკოვში 1677 წლის 25 ივნისს ჩაიტანა, იმერეთის სამეფოდან, დაახლოებით, რვა-ცამეტი თვით ადრე ანუ 1676 წელს გაემგზავრა, შესაბამისად კი, საბოლოოდ დგინდება ისიც, რომ ამ ელჩობის მიერ რუსეთის სამეფო კარზე ჩატანილი, ქვემოთ ციტირებული წერილი ელჩობის იმერეთის სამეფოდან გამგზავრების წინარე ხანებში ანუ 1676 წელს იყო შედგენილი. აქვე, ხაზგასმით აღვნიშნავ იმ ფაქტს, რომ მეფე ბაგრატ IV-ის წერილის ადრესატი მეფე ალექსი მიხეილის ძე რომანოვი (1645-76) 1676 წლის 29 იანვარს გარდაიცვალა, სამეფო ტახტი კი მისმა ვაჟმა, თეოდორე ალექსის ძე რომანოვმა (1676-82) დაიკავა. შესაბამისად, ირკვევა, რომ მეფე ბაგრატ IV-ის წერილის შედგენის დროს (1676) მეფე ალექსი მიხეილის ძე რამდენიმე თვის გარდაცვლილი იყო, იმერეთის სამეფოში კი ამ ამბის შესახებ არაფერი იცოდნენ და ამიტომ რუსეთის მეფისათვის გასაგზავნ წერილს არა მეფე თეოდორე ალექსის ძის, არამედ გარდაცვლილი მეფის ალექსი მიხეილის ძის სახელზე ადგენდნენ.

<sup>15</sup> წერილს შედგენის თარიღი არ უზის. მისი დათარიღების საკითხს პირველად მარი ბროსე

ჩამოთვლილი წერილობითი ძეგლები, შუა საუკუნეების ქართული სამეფო ბეჭდების ისტორიის თვალსაზრისით, აქამდე შესწავლილი არ ყოფილა. წინამდებარე ნაშრომზე მუშაობისას ეს ძეგლები საგანგებოდ შევისწავლე და შედეგებს სამეცნიერო ნაშრომის სახით უახლოეს ხანებში გამოვაქვეყნებ, ამჯერად კი მხოლოდ ძირითადი დასკვნების მოტანით შემოვიფარგლები.

იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ეს სამი ბეჭედი ჰქონდა:

1. ნუშისებური ბეჭედი (3X2 სმ), შუაში ჯვრის გამოსახულებით, გარშემო მხედრული ლეგენდით: „მეფე ალექსანდრე“. ბეჭედი მეფე ალექსანდრე III-ის აღსაყდრებისთანავე, 1639 წელს იყო დამზადებული. ამ ბეჭდით მეფე ალექსანდრე III მის მიერ გაცემულ დოკუმენტებსა და ზოგიერთ, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე შენობა-ნაგებობას ბეჭდავდა.<sup>16</sup>

2. ოვალური ოქროს ბეჭედი (სიგრძე – 4.4/4.5 სმ), შუაში ორი ჯვრის გამო-

შეხობ და წერილის ქრონოლოგია, რაიმე არგუმენტაციის გარეშე, „1677 (?)“ წლით განსაზღვრა. Переписка на иностранных языках, 96. ამ საკითხის თაობაზე ოდნავ განსხვავებული მოსაზრება მაქვს. ჩემი დაკვირვებით, მეფე ბაგრატ IV-ის მიერ რუსეთის სამეფო კარის „დუმნასათვის“ გაგზავნილი წერილი და ამავე მეფე ბაგრატ IV-ის მიერ რუსეთის მეფის ალექსი მიხეილის ძისათვის გაგზავნილი 1676 წლის, ზემოთ ციტირებული წერილი უეჭველად თანადროულად იყო შედგენილი და რუსეთში გაგზავნილი. ამგვარი დასკვნისაკენ ორი ძირითადი გარემოება გვიბიძგებს: 1. ორივე წერილში იმერეთის სამეფოში მომხდარი, პრაქტიკულად, ერთი და იგივე ამბებია აღწერილი; და 2. ორივე წერილი ქალაქ მოსკოვში ერთი და იმავე პირმა – იმერეთის მეფის მიერ მეფე ალექსი მიხეილის ძესთან გაგზავნილი III, 1676-78(?) წლების ელჩობის ხელმძღვანელმა, დავით მალაქიას ძე წერეთელმა (?) ჩაიტანა. იქვე, 94-8. შესაბამისად, თუ ეს დაკვირვება სწორია, მაშინ მეფე ბაგრატ IV-ის მიერ რუსეთის სამეფო კარის „დუმნასათვის“ გაგზავნილი წერილი არა „1677 (?)“ წლით, არამედ 1676 წლით უნდა დათარიღდეს. აქვე, შევნიშნავ, რომ ციტირებული წერილი შუა საუკუნეების ქართულ სამეფო ბეჭდებთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობისას, ქართველ მკვლევართა შორის, პირველად სარა ბარნაველმა გამოიყენა, თუმცა მკვლევარს წერილში დაცული ცნობები არ განუხილავს და მხოლოდ მისი ერთი ფრაგმენტის ციტირებით შემოიფარგლა. ბარნაველი, *საქართველოს საბეჭდავები*, 73-4.

<sup>16</sup> მეფე ალექსანდრე III-ის მიერ ნუშისებური ბეჭდით დამტკიცებული დოკუმენტებიდან ჩვენამდე მხოლოდ ერთმა საბუთმა მოაღწია. ეს არის მეფე ალექსანდრე III-ის მიერ ბუჟან წერეთლისათვის მიცემული 1639 წლის წყალობის წიგნი, რომელიც ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართული ხელნაწერი დოკუმენტების Sd კოლექციაში 519-ე ნომრით არის დაცული. ხეც Sd-519; ანა ბაქრაძე, *მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის*, კატალოგი, I (თბილისი, 1978), 46, ტაბ. VI, სურ. 3. მეფე ალექსანდრე III-ის მიერ დაბეჭდილი შენობებიდან დღეისათვის მხოლოდ სამი ასეთი ნაგებობაა ცნობილი: 1. ქუთაისის ციხეში განათავსებული სამეფო რეზიდენციის ფარგლებში მოქცეული წმ. გიორგის ტაძარი, რომელიც, მისი ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, უეჭველად სამეფო კარის ეკლესიას წარმოადგენდა; 2. ქუთაისის ციხის გალავნის ერთ-ერთი კიდურა, მდინარე რიონის ხეობისაკენ მომხიარალი, დაახლოებით, 20-25 მეტრი სიმაღლის კოშკი, საიდანაც წელიწადში ერთხელ, მეფის უშუალო ზედამხედველობით, სამას ორმოცდახუთი ჩაფი ბუნებრივად დალექილი გვარჯილა გამოჰქონდათ; დაბოლოს, 3. ამავე კოშკის თავზე დამუშავებული ოთკუთხა დარბაზი, რომელშიც იმერეთის სამეფო ხაზინა ინახებოდა. *სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი იველევის*, 80, 156-7.

სახულებით, გარშემო ორმაგ წრედ შემოყოლებული მხედრული ლეგენდით: „ჩ. მონა ღთისა, მეფე ალექსანდრე გიორგის შვილი, ყმა დიდის მოსკოვის [კ] ელმწიფის მიხეილის შვილის“ (ნაკითხვა ჩემია – თ. ჯ.). ბეჭედი 1651 წლის 14-23 სექტემბრიდან 7-8 ოქტომბრამდე, საგანგებოდ მეფე ალექსანდრე III-ის მიერ მეფე ალექსი მიხეილის ძისათვის მიცემული 1651 წლის „ფიცის წიგნზე“ დასასმელად, რუსეთის მეფის ელჩების – ნიკიფორე ტოლოჩანოვისა და ალექსი იველევის მოთხოვნის შესაბამისად იყო დამზადებული.<sup>17</sup> ჩემს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, მეფე ალექსანდრე III-ეს ოვალური ბეჭედი „ფიცის წიგნის“ დამტკიცების შემდეგ აღარასოდეს გამოუყენებია.<sup>18</sup>

3. ოქროს ბეჭედი ორთავიანი არწივის გამოსახულებით. ბეჭედი 1652-53 წლებში რუსეთის სამეფოში, მეფე ალექსი მიხეილის ძის ბრძანებით, საგანგებოდ მეფე ალექსანდრე III-ისათვის გამოსაგზავნად იყო დამზადებული. 1653-60 წლებში იმერეთის მეფე ამ ბეჭდით მეზობელი ქვეყნების მმართველებთან გაგზავნილ წერილებს ბეჭდავდა, რითაც მათ აუწყებდა, რომ იმერეთის სამეფო რუსეთის ძლიერი სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა და ამით, საკუთარი ქვეყნის საგარეო საფრთხეებისაგან დაცვას ცდილობდა.<sup>19</sup>

იმერეთის მეფე ბაგრატ IV-ეს, მამის, მეფე ალექსანდრე III-ისაგან განსხვავებით, ორი ბეჭედი ჰქონდა.

1. ნუშისებური ბეჭედი (3.2X2 სმ), შუაში ჯვრის გამოსახულებით, გარშემო მხედრული ლეგენდით: „მონა ღთისა მეფე ბაგრატ“. ბეჭედი მეფე ბაგრატ IV-ის აღსაყდრებისთანავე, 1660 წელს ან მისი სამეფო ტახტზე მეორედ ასვლის დროს, 1663 წელს იყო დამზადებული. ამ ბეჭდით იმერეთის მეფე მის მიერ გაცემულ დოკუმენტებსა და უცხო ქვეყნის მმართველებისათვის გაგზავნილ წერილებს ამტკიცებდა.<sup>20</sup>

<sup>17</sup> Михаил Полиевктов, “Крестоцеловальная запись имеретинского царя Александра III, 9 октября 1651 г.”, *საისტორიო მოამბე*, I (ტფილისი, 1925), 157, 160; *სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი იველევის*, 09, 101-4, 180-1.

<sup>18</sup> რაც შეეხება თავად „ფიცის წიგნს“, მისი დედანი (არსებული ორი ეგზემპლარიდან ერთ-ერთი ცალი) ამჟამად ქალაქ მოსკოვის ყოფილი საგარეო საქმეთა სამინისტროს მთავარი არქივის ქართული დოკუმენტების განყოფილებაში მე-7 ნომრითაა დაცული. Полиевктов, “Крестоцеловальная запись имеретинского царя”, 157, 160; *სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი იველევის*, 09.

<sup>19</sup> პაიჭაძე, „მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1652-1658)“, 442; პაიჭაძე, „მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1660-1685 წწ.)“, 162.

<sup>20</sup> მეფე ბაგრატ IV-ის მიერ ნუშისებური ბეჭდით დამტკიცებული დოკუმენტებიდან ჩვენამდე მხოლოდ ორმა საბუთმა მოაღწია. ესენია: 1. მეფე ბაგრატ IV-ის მიერ ქაიხოსრო წერეთლისათვის მიცემული 1666 წლის წყალობის წიგნი; და 2. მეფე ბაგრატ IV-ის მიერ იმავე ქაიხოსრო წერეთლისათვის მიცემული 1680 წლის წყალობის წიგნი. ამჟამად ორივე დოკუმენტი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული: 1660 წლის წყალობის წიგნი – ქართული ხელნაწერი დოკუმენტების Hd კოლექციაში 2246-ე ნომრით (ხეც Hd-2246), ხოლო 1680 წლის საბუთი – ქართული ხელნაწერი დოკუმენტების Sd კოლექციაში 509-ე ნომრით (ხეც



2. ექვსკუთხა ბეჭედი (3.2X2 სმ-ზე დიდი ზომის), შუაში ჯვრის გამოსახულებით, ჯვრის ირგვლივ მხედრული წარწერით: „ვადიდებ ხელმწიფობასა ალექსის“, გარშემო მხედრული ლეგენდით: „მონა ღვთისა და მოსავი ჯვარისა მეფე ბაგრატ“. ბეჭედი 1668 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, საგანგებოდ მეფე ბაგრატ IV-ის მიერ მეფე ალექსი მიხეილის ძისათვის გაგზავნილ 1668 წლის ოქტომბრის წერილზე დასასმელად იყო დამზადებული.<sup>21</sup> ჩემს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, იმერეთის მეფეს ექვსკუთხა ბეჭედი 1668 წლის წერილის დამტკიცების შემდეგ აღარასოდეს გამოუყენებია.

შუა საუკუნეების ქართული სამეფო ბეჭდები, XIII საუკუნის მიწურულის და XVII საუკუნის II ნახევრის ქართული და რუსული წერილობითი ძეგლების გარდა, XVIII საუკუნის ოთხ ქართულ წერილობით ძეგლშიც არის მოხსენიებული. ეს ძეგლებია: 1. ქართლის ჯანიშინის ვახტანგის (1703-14), შემდგომში, ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის (1716-24) მიერ 1707-09 წლებში შედგენილი სახელმწიფო სამართლის ძეგლი „სამეფო დასტურლამალი“. 2. იმერეთის მეფის სოლომონ I-ის (1752-84) მიერ ხონის საეპისკოპოსო სადრისათვის მიცემული 1782 წლის შეწირულების წიგნი. 3. ამავე მეფე სოლომონ I-ის მიერ გელათის მონასტრის სოხასტრის ეკლესიისათვის მიცემული 1783 წლის შეწირულების წიგნი. 4. ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის (1762-98) მიერ ამბროსასშვილებისათვის მიცემული 1785 წლის შეწირულების წიგნი.<sup>22</sup> მოვიტან ამ ძეგლების შესაბამის ფრაგმენტებს.

Sd-509). ბაქრაძე, *მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის*, 47, ტაბ. VI, სურ. 8. რაც შეეხება მეფე ბაგრატ IV-ის ნუშისებური ბეჭდით დამტკიცებულ, უცხოეთში გაგზავნილ წერილებს, ჩვენამდე მხოლოდ ორმა ასეთმა წერილმა მოაღწია. ესენია: 1. მეფე ბაგრატ IV-ის მიერ მეფე ალექსი მიხეილის ძისათვის გაგზავნილი 1676 წლის წერილი; და 2. მეფე ბაგრატ IV-ის მიერ რუსეთის სამეფო კარის „დუმნასათვის“ გაგზავნილი, იმავე 1676 წლის წერილი. ამჟამად ორივე ეს დოკუმენტი ქალაქ მოსკოვში, ყოფილი საგარეო საქმეთა სამინისტროს მთავარ არქივშია დაცული. *Переписка на иностранных языках*, 94-8. ბეჭედი 1666-80 წლების ორ დოკუმენტსა და 1678 წლის ორ წერილზე დასმული (ხეც Hd-2256; ხეც Sd-509; ქალაქ მოსკოვის ყოფილი საგარეო საქმეთა სამინისტროს მთავარი არქივი). ბაქრაძე, *მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის*, 47; *Переписка на иностранных языках*, 96, 98.

<sup>21</sup> მეფე ბაგრატ IV, ერთი მხრივ, თავისი 1668 წლის წერილით მეფე ალექსი მიხეილის ძეს მფარველობაში მიღებას სთხოვდა, ხოლო, მეორე მხრივ, ამავე წერილს ისეთი ბეჭდით ამტკიცებდა, რომლის ლეგენდაშიც საკუთარ თავს „ალექსის ხელმწიფობის მმადიდებლად“ ანუ მეფე ალექსი მიხეილის ძის ქვეშევრდომად მოიხსენიებდა. ვფიქრობ, სრულებით აშკარაა, რომ მეფე ბაგრატ IV-ის მიერ 1668 წლის წერილზე მაინცადაამინც ასეთი ლეგენდის მქონე ბეჭდის დასმა ერთგვარი დიპლომატიური ხერხი იყო, რომლის დახმარებითაც იმერეთის მეფე რუსეთის მეფის კეთილგანწყობის მოპოვებას ისახავდა მიზნად. 1668 წლის წერილი ამჟამად ქალაქ მოსკოვის ყოფილი საგარეო საქმეთა სამინისტროს მთავარ არქივშია დაცული. *Переписка на иностранных языках*, 86.

<sup>22</sup> დასახელებული ოთხი წერილობითი ძეგლი შუა საუკუნეების ქართულ სამეფო ბეჭდებთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობისას, ქართველ მკვლევართა შორის, პირველად სარა ბარნაველია გამოიყენა. ბარნაველი, *საქართველოს საბეჭდავები*, 73-4.

1. მეფე ვახტანგ VI-ის „სამეფო დასტურლამალის“ მე-40 კარის §130: „რაც ან **ბატონის ბეჭდით** ან **მდივანბეგის ბეჭდით** გარიგდეს, მესამედი სამეფოს კაცისა, – მეფის მდივანსა და სადედოფლოსი – დედოფლის მდივანსა“.<sup>23</sup>

2. მეფე სოლომონ I-ის 1782 წლის შენირულების წიგნი: „ესენიც ხელშეუალად მოგვიძღვნია და დავბეჭდე **სამეფოთა ბეჭდითა**“.<sup>24</sup>

3. მეფე სოლომონ I-ის 1783 წლის შენირულების წიგნი: „და სიგელი მამისა ჩემისა დავბეჭდე **სამეფოთა ბეჭდითა**“.<sup>25</sup>

4. მეფე ერეკლე II-ის 1785 წლის შენირულების წიგნი: „დაბეჭდულ **სამეფოთა ბეჭდითა ჩუწნითა**“.<sup>26</sup>

როგორც ვხედავთ, ციტირებული XVIII საუკუნის წერილობითი ძეგლები ამ პერიოდის ქართული სამეფო ბეჭდის რაობასა თუ შენახვა-გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ რაიმე საყურადღებო ცნობებს არ გვაწვდის და მხოლოდ იმას გვაუწყებს, რომ XVIII საუკუნეში ქართველ მეფეთა კუთვნილი ბეჭდები „ბატონის ბეჭდის“ ან „სამეფო ბეჭდის“ სახელით იყო ცნობილი.

ამით შუა საუკუნეების ქართული სამეფო ბეჭდების შესახებ წერილობით ძეგლებში დაცული ცნობების მიმოხილვის ვასრულებ. თუმცა, მანამდე ქართულ სამეფო ბეჭდებთან დაკავშირებულ კიდევ ერთ საკითხზე გავამახვილებ ყურადღებას. ივანე ჯავახიშვილმა სამ ნაკვეთად ჩაფიქრებული წიგნის „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა“ 1926 წელს გამოქვეყნებულ მეორე ნაკვეთში „ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა“, „ხელმწიფის კარის გარიგებაზე“ დაყრდნობით, გამოთქვა მოსაზრება, რომ ვინაიდან შუა საუკუნეების საქართველოში ნამდვილად არსებობდა დიდი სამეფო ბეჭედი („დიდი სასიგელე ბეჭედი“), მაშინ, მის პარალელურად, აუცილებლად იარსებებდა პატარა სამეფო ბეჭედიც („მცირე სამეფო ბეჭედი“), რომელიც, დიდი სამეფო ბეჭდისაგან განსხვავებით, „სანიადაგოდ“ ანუ ყოველდღიურ ყოფაში უნდა ყოფილიყო გამოყენებული.<sup>27</sup>

მოგვიანებით სარა ბარნაველმა ივანე ჯავახიშვილის ამ მოსაზრების გამყარება კონკრეტულ წერილობით ძეგლზე დაყრდნობით სცადა და 1965 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „საქართველოს საბეჭდავები და სხვა გლიპტიკური მასალები“ მოგვიანო ხანის ერთი წერილობითი ძეგლი – 1804 წლით დათარიღებული წერილი მოიხმო, რომელშიც ტერმინი „პატარა ბეჭედი“ დოკუმენტურად არის დადასტურებული.<sup>28</sup> წერილში, რომელიც რუსეთის საიმპერიო ხელისუ-

<sup>23</sup> ქართული სამართლის ძეგლები, 1, 638.

<sup>24</sup> სარგის კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, II (ტფილისი, 1921), 75.

<sup>25</sup> იქვე, 78.

<sup>26</sup> ანა ბაქრაძე, „ქართული ბეჭდები, 1 სამეფო ბეჭდები“, პალეოგრაფიული ძიებანი, II (1969), 9.

<sup>27</sup> ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები, 72.

<sup>28</sup> წერილს თარიღი არ უზის. მისი ტექსტი კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში

ფლების წინააღმდეგ აჯანყებული ქართველი (?) მთიელების – ვინმე ბარამისა (?) და გედევანის (?) მიერ რუსეთის საიმპერიო ხელისუფლების სამსახურში მდგომი მირმანოზ ქსნის ერისთავისათვის არის გაგზავნილი, ვკითხულობთ: „რა ვქნა ჩემო ჯელმნიფევ, თუ ფარნაოზ დაიჭირეს, – ალექსანდრე, თეიმურაზ და ლევან<sup>29</sup> ხომ ისევ არიან და თუ ფარნაოზ ამ განსაცდელს შემთხვევია, ჩვენთვის სიკვდილი სანატრელია. ჩვენ მოგახსენებთ პირ აქეთ გარდმოხედოთ, სულ აგრე არ იქნება, შენ ნუ მომიკვდები. ვითხოვთ არ უგულუბელ გვყოთ და თუ მართალია, ბატონის-შვილის<sup>30</sup> ნაწერი ბარათი გვებოძოს თავისის **პატარა ბეჭდით** დაბეჭდილი: ნამოდითო, ქალაქს ვიმყოფებით და ჩვენც ყელზედ ხმალს დავიკიდებთ და ისე შენ გიახლებით, თუნდა შენ დაგვხოცე და თუნდა ციციანოვმა, – ნება თქვენი ასრულდეს და ამ ხეობასაც შემოგირიგებთ, როგორც თქვენი ნება არის“.<sup>31</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ციტირებულ წერილში მოხსენიებული პატარა ბეჭედი, ამავე წერილის თანხმად, ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის ერთ-ერთ ვაჟს – ბატონიშვილ ფარნაოზს ეკუთვნოდა, ვფიქრობ, ივანე ჯავახიშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრება მართებულია და შუა საუკუნეების საქართველოში პატარა ბეჭედი, უფლისწულებისა თუ ბატონიშვილების გარდა, საკუთრივ მეფეებსაც ექნებოდათ.

სამწუხაროდ, პატარა სამეფო ბეჭდის რაობასა და მის შენახვა-გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ რაიმე დეტალური ხასიათის ცნობები, ჯერჯერობით, არ მოგვეპოვება, ამიტომ ამ მნიშვნელოვანი

ირანის შაჰის ფათ-ალის (1797-1834) 1804 წლის ფირმანის შემდეგ და საქართველოს მთავარმართებლის პავლე ციციანოვის 1805 წლის 28 თებერვლის რაპორტის წინ არის წარმოდგენილი, რითაც, დოკუმენტი, ირიბად, 1804-05 წლებით არის დათარიღებული. *Акты собранные Кавказскою Археографическою Коммиссиею, II, Издан под редакцию председателя комиссии Адолфа Берже (Тифлис, 1868), 145*; ბარნაველი, *საქართველოს საბეჭდავები*, 74. აღნიშნული თარიღი, არსებითად, მისაღებია. თუმცა კი, ვფიქრობ, რომ ამ თარიღის კიდევ უფრო დაზუსტებაც შეიძლება. განსახილველი წერილიდან ირკვევა, რომ მისი შედგენის დროს ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის ვაჟი, რუსეთის საიმპერიო ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებული ბატონიშვილი ფარნაოზი რუსეთის საიმპერიო ხელისუფლების მიერ სულ ახალი დაპატიმრებული იყო. იმავდროულად, ცნობილია, რომ ბატონიშვილი ფარნაოზი რუსი გენერლის პავლე ციციანოვის ბრძანებით, 1804 წლის 30 ოქტომბერს დააპატიმრეს. *Акты собранные Кавказскою Археографическою, 142-3*. შესაბამისად, საბოლოოდ ირკვევა ისიც, რომ განსახილველი წერილი ბატონიშვილი ფარნაოზის დაპატიმრებიდან სულ მცირე ხნის შემდეგ ანუ 1804 წლის ნოემბერ-დეკემბერში იყო შედგენილი.

<sup>29</sup> აქ დასახელებული არიან რუსეთის საიმპერიო ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებული ქართველი ბატონიშვილები: ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის (1762-98) ვაჟი, ბატონიშვილი ფარნაოზი; ამ უკანასკნელის ძმა, ბატონიშვილი ალექსანდრე; ქართლ-კახეთის მეფის გიორგი XII-ის (1798-1800) ვაჟი, ბატონიშვილი თეიმურაზი; დაბოლოს, ბატონიშვილი ფარნაოზის ძმისწული, ბატონიშვილი ლევან იულონის ძე.

<sup>30</sup> იგულისხმება ბატონიშვილი ფარნაოზი.

<sup>31</sup> იქვე, 145; ბარნაველი, *საქართველოს საბეჭდავები*, 74.

საკითხების თაობაზე, პრობლემის შესწავლის ამ ეტაპზე, ვერაფერს ვიტყვი.

ქართული სამეფო ბეჭდების შესახებ წერილობით ძეგლებში დაცული ცნობების მიმოხილვის შემდეგ ჩვენამდე მოღწეული სამეფო ბეჭდების მიმოხილვაზე გადავიდეთ.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, ქართული სამეფო ბეჭდებიდან XX საუკუნემდე მხოლოდ სამად სამმა ბეჭედმა მოაღწია. განვიხილოთ სამივე ბეჭედი ცალ-ცალკე.

XX საუკუნემდე მოღწეული პირველი ბეჭედი 1820-42 წლებიდან გელათის მონასტრის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის შობის მთავარ ეკლესიაში იყო დაცული.<sup>32</sup> ეს ბეჭედი უცხოელმა და ქართველმა სიძველეთმცოდნეებმა – ანდრეი მურავიოვმა, მარი ბროსემ, ნიკოდიმე კონდაკოვმა, დიმიტრი ბაქრაძემ, გიორგი წერეთელმა, ფოტოგრაფმა დიმიტრი ერმაკოვმა, მხატვარმა ვასილევმა და დეკანოზმა დავით ღამბაშიძემ საკუთარი თვალთა ნახვით, აღწერეს, ფოტოზე აღბეჭდეს, ჩაიხატეს და შეისწავლეს.<sup>33</sup> სამწუხაროდ, 1904 წლის 19 ივლისს ათამდე პირისაგან შემდგარმა ყაჩაღთა რაზმმა გელათის მონასტერი გაძარცვა და სხვა სიძველეებთან ერთად, ხსენებული

<sup>32</sup> 1842 წლის 15 იანვარს შედგენილ გელათის მონასტრის საეკლესიო ნივთების „აღწერაში“ განსახილველი ბეჭედი იმ საეკლესიო ნივთების ჩამონათვალშია შეტანილი, რომლებიც გელათის მონასტრის საკუთრებაში 1820 წლის შემდეგ აღმოჩნდა: „ამ ზემო აღწერილს სიებს გარდა ჩქპ-ის წლის (1820 წ.) შემდგომად შემატეულნი და შეწირულნი ქრისტიანეთა კაცთა მიერ ნივთნი... 15. დავით აღმაშენებლის საცერე ოქროსი, რომელსა ზედა არის წ-დის გიორგის სახე“ (ბეჭედი XIX-XXI საუკუნეების წერილობით ძეგლებსა და პუბლიკაციებში „დავით აღმაშენებლის საცერე ბეჭდის“ სახელით არის ცნობილი (ამის შესახებ ვრცლად იხ. ქვემოთ) – თ. ჯ.). მერაბ კეზევაძე, *გელათის მონასტერი ეგ ზარქოსობის დროს* (ქუთაისი, 2006), 239. სამწუხაროდ, 1842 წლის „აღწერაში“ დაკონკრეტებული არ არის, თუ როგორ მოხვდა ბეჭედი გელათის მონასტრში ან სად ინახებოდა ის გელათის მონასტერში მოხვედრამდე.

<sup>33</sup> [Андрей Муравьев], *Грузия и Армения*, III (Санкт-Петербург, 1848), 198-9; *Rapports sur un Voyage Archeologique dans la Georgie et dans l'Arménie*, Exécute en 1847-1848, par Marie-Felicite Brosset, membre de l'Academie Imperiale des Sciences, Avec un Atlas de 45 planches lithographiées (Sankt-Petersbourg, 1851), Onzieme rapport, 14; Георгий Церетели, “О некоторых древностях в Гелатском монастыре”, Пятый археологический съезд в Тифлисе, Протоколы Подготовительнаго Комитета, изданные под редакциею секретаря Комитета И. Мансветова, Продолжение, Приложение к I выпуску IX тома “Древностей” (Москва, 1882), 431, табл. XXV, 2; “La bijouterie au Caucase”, *Le Caucase illustre*, №1, Aout (Tiflis, 1889), 13; გიორგი წერეთელი, „გელათის მონასტერი“, *ჯეჯილი*, V (ტფილისი, 1890), 56; Описание памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, Составленная по Высочайшему повелению профессором Санкт-Петербургскаго Университета Никодимом Кондаковым, Грузинския надписи прочтены и истолкованы Димитрием Бакрадзе (Санкт-Петербург, 1890), 41, фот. 30-31; Георгий Церетели, “Полное собрание надписей на стенах и камнях и приписок к рукописям Гелатскаго Монастыря”, Древности Восточныя, Том первый, Вып. II (Москва, 1891), 236-7; Гаенатский монастырь и жизнеописание благовернаго царя Давида III Возобновителя, Составил Протоиерей Давид В. Гамбашидзе (Квириლა, 1909), 6, 11; Георгий Чубинашвили, Грузинское чеканное искусство (Тбилиси, 1959), 621.

ბეჭედიც გაიტაცა.<sup>34</sup> ბეჭდის ამჟამინდელი ადგილმდებარეობა უცნობია.<sup>35</sup>

<sup>34</sup> „ახალი ამბავი“, ცნობის ფურცელი, №2563, 24 ივლისი (ტფილისი, 1904), 3; რ. კ.-ი., „გელათის მონასტრის გაძარცვა“, ივერია, №172, 27 ივლისი (ტფილისი, 1904), 2; კ. დ., „გელათის მონასტრის გაძარცვის გამო“, ცნობის ფურცელი, №2568, 29 ივლისი (ტფილისი, 1904), 3; „გელათის მონასტრის გაძარცვის გამო“, ცნობის ფურცელი“, სურათებიანი დამატება, №240, 29 ივლისი (ტფილისი, 1904), 1; ს. კ.-ე. [სარგის კაკაბაძე], „გელათის მონასტერში“, ივერია, №174, 29 ივლისი (ტფილისი, 1904), 2-3; „ახალი ამბავი“, ცნობის ფურცელი, №2569, 30 ივლისი (ტფილისი, 1904), 3; „საქართველოს ამბები“, ივერია, №176, 31 ივლისი (ტფილისი, 1904), 2; ეპისკოპოსი იმერეთისა ლეონიდე [ლეონიდე ოქროპირიძე], „წერილი რედაქციის მიმართ“, ივერია, №179, 4 აგვისტო (ტფილისი, 1904), 2-3; აკაკი [აკაკი ნერეთელი], „სამძიმარი“, ივერია, №182, 8 აგვისტო (ტფილისი, 1904), 2; ჯიბილა [რაფიელ ჯიბილაძე], „იმერელის წერილები, წერილი მეხუთე“, ცნობის ფურცელი, №2593, 25 აგვისტო (ტფილისი, 1904), 2; „ახალი ამბავი“, ცნობის ფურცელი, №2618, 22 სექტემბერი (ტფილისი, 1904), 2-3; ივერია, №219, 23 სექტემბერი (ტფილისი, 1904), 2; ანი, „სამტრედია (იმერეთი)“, ცნობის ფურცელი, №2649, 24 ოქტემბერი (ტფილისი, 1904), 3; კეზევაძე, გელათის მონასტერი ეგზარქოსობის დროს, 195-203. ბეჭდის გატაცების ფაქტი, 1904 წლის ქართული პერიოდული გამოცემების – „ცნობის ფურცლის“, „ცნობის ფურცლის“ სურათებიანი დამატებისა და „ივერიის“ გარდა, გელათის მონასტრის არქიმანდრიტის სერაპიონ ახვლედიანის (1875-1904) მიერ იმერეთის ეპისკოპოს ლეონიდე ოქროპირიძისათვის (1900-08) გაგზავნილ 1904 წლის 19 ივლისის პატაკსა და 1906 წლის 27 დეკემბერს შედგენილი გელათის მონასტრის საეკლესიო ნივთების „აღწერისათვის“ დართულ ერთ-ერთ შენიშვნაშიც არის აღნიშნული: არქიმანდრიტ სერაპიონის პატაკი: „დღეს, მწუხრის ლოცვის დროს, ექვს საათზედ, როცა ვლოცულობთ, მონასტერს დაეცენ შვიდი შეიარაღებული ავაზაკი, რომლებმაც წაიღეს **დავით აღმაშენებლის ბეჭედი**, ერთი ოქროს ბარძიმი, ორი ვერცხლის ბარძიმი და ფულიც“. იქვე, 293; 1906 წლის „აღწერის“ შენიშვნა: „აღწერილნი სიაშიდ ანერილის კომისიიდან 1878 წელსა 16 აგვისტოსა ნაჩვენები ქვეშე 44, 52, 102, 108 და 130. ბარძიმი, ფეშხუმი, კამარა, კოვზი, ვერცხლისა ორი წყვილი, სამღვდელმთავრო პანალია, სამღვდელმთავრო სარტყელი, ოქროს ბარძიმი და **დავით აღმაშენებლის ოქროს ბეჭედი** იქნენ გატაცებულნი ავაზაკებისაგან მონასტერზედ თავდასხმის დროს 19 ივლისს 1904 წელსა“. იქვე, 293. აქვე, შევნიშნავ, რომ ბეჭდის გატაცებიდან არცთუ დიდი ხნის შემდეგ, 1909 წელს გამოქვეყნდა დეკანოზ დავით ლამბაშიძის წიგნი „Гаснатский монастырь и жизнеописание благоверного царя Давида III Возобновителя“, რომელშიც ავტორი ბეჭდის გატაცების ფაქტს საერთოდ არ ახსენებს და საპირისპიროდ ამისა, აღნიშნავს, რომ ბეჭედი გელათის მონასტერშია დაცული. Гаснатский монастырь и жизнеописание, 6, 11. დეკანოზ დავით ლამბაშიძის ეს ცნობა ამჟამად მცდარია. როგორც ჩანს, მის მიერ 1909 წელს გამოცემული წიგნი ბევრად უფრო ადრე, 1904 წლის წინარე ხანებშია შედგენილი და შესაბამისად, 1904 წლამდე არსებულ ვითარებას ასახავს. მართლაც, მერაბ კეზევაძის მიერ არგუმენტირებულად არის დადგენილი, რომ გელათის მონასტრიდან 1904 წელს გატაცებული სიძველეები დღემდე უკვალოდაა დაკარგული. მკვლევრის დაკვირვებით, მართალია, იმავე 1904 წელს პოლიციამ გატაცებაში ეჭვმიტანილი ოთხი პირი: ვინმე ბალანჩივაძე, ალექსი ჩხეიძე, სილიბისტრო სვანიძე და გიორგი კანდელაკი დააკავა, მაგრამ მათი სასამართლო არ შედგა და შესაბამისად, ვერც გატაცებული ნივთების ადგილმდებარეობის დადგენა მოხერხდა. კეზევაძე, გელათის მონასტერი ეგზარქოსობის დროს, 200-3. მდრ. ირაკლი იაკობაშვილი, „გელათში 100 წლის წინ. სამარცხვინო ყაჩაღობის ქრონიკები“, 24 საათი, 170 (719), 20 ივლისი (2004), B3.

<sup>35</sup> 1904 წელს გელათის მონასტრიდან გატაცებული ბეჭედი მოგვიანებით რუსეთში გამოჩნდა. 1916 წლის მარტში იაკობ კოსტავამ ქალაქ ყაზანის კავკასიის პედაგოგიური მუზეუმის დიდ დარბაზში, კედელზე დაკიდულ მოგრძო ჩარჩოში ჩასმულ თეთრ ტილოზე მიმაგრებული დიდი ზომის ოქროს ბეჭედი ნახა, რომელსაც შემდეგი წარწერა ჰქონდა:

დღეისათვის, დასახელებულ ავტორთა პუბლიკაციებზე, ფოტოებსა და ჩანახატებზე დაყრდნობით, დადგენილია, რომ განსახილველი ბეჭდის დიამეტრი „3/4 ვერშოკი“ ანუ 3.3 სანტიმეტრი იყო და მის რგოლში ჩვეულებრივი ადამიანის ორი თითი თავისუფლად ჩადიოდა. ბეჭედი მთლიანად ოქროსაგან იყო დამზადებული და სხვადასხვა სახის ორნამენტული მოტივებით იყო შემკული. ბეჭედი ორი ნაწილისაგან – ღეროსა (რგოლის) და ბუდისაგან შედგებოდა. ღერო შიგნიდან ბრტყელი, გარედან კი ამობურცული იყო. მისი ქვედა, ბუდის მოპირდაპირე ფრაგმენტი ორად იყო გაყოფილი (აქ ღეროს გვერდითა ფრაგმენტები ერთმანეთს ცერად ებჯინებოდა). ღერო ქვემოდან ზემოთ თანდათანობით განივრდებოდა, შემდეგ კი ერთბაშად ფართოვდებოდა და ბუდესთან თითქმის სწორკუთხა მოყვანილობის მხრებს იკეთებდა. ბეჭდის ბუდეს, გეგმაში, ოვალური მოყვანილობა ჰქონდა. ბუდე საკმაოდ მაღალი იყო. მასში მცირე ზომის სანაწილე იყო მოწყობილი, რომელიც წმიდა ნაწილების ჩასაბრძანებლად გამოიყენებოდა. ბუდის ზედა, დოკუმენტზე დასასმელი ოვალური მოყვანილობის ზედაპირის სიგრძე, ბეჭდის რგოლის დიამეტრის გათვალისწინებით, დაახლოებით, 3,3 სანტიმეტრი იყო. ამ, დოკუმენტზე დასასმელ ზედაპირს თანაბრად ამობურცული ფარისებური მოყვანილობა ჰქონდა და სანაწილეს სარქველივით ეხურებოდა. ამობურცულ ფარისებურ ზედაპირზე რომელი დიდებულის სამოსში გამოწყობილი ფეხზე მდგომი წმ. გიორგის სარკისებურად შებრუნებული გამოსახულება იყო ჩაკვეთილი. წმიდანს ერთი ხელით გრძელი შუბი ეყყრა, მეორე ხელით კი მინაზე დაბჯენილ ფარს ეყრდნობოდა. წმიდანის შარავანდიანი თავის ორსავე მხარეს სარკისებურად შებრუნებული განმარტებითი ასომთავრული წარწერა იყო ჩაკვეთილი: „წ(მიდა)ი | გ(იორგ)ი“<sup>1</sup>. ბუდის მაღალ კედელს ირგვლივ სევადით შესრულებული, ოთხ ნაწილად გაყოფილი, მოგრძო, სწორკუთხა ჩარჩოებში ჩასმული ასომთავრული წარწერა შემოუყვებოდა:

“Кольцо царя Давида Возобновителя Грузии, приобретенное на Нижегородской ярмарке в 1914 году”. იაკობ კოსტავა მაშინვე მიხვდა, რომ ყაზანის პედაგოგიური მუზეუმის მიერ ქალაქ ნიჟეგოროდის ბაზრობაზე შექენილი „მეფე დავით აღმაშენებლის ბეჭედი“ იგივე 1904 წელს გელათის მონასტრიდან გატაცებული ბეჭედი იყო და მისი გამოსყიდვა განიზრახა, თუმცა საჭირო რაოდენობის თანხის მოძიება ვერ შეძლო და ბეჭედი ველარ გამოისყიდა. ბარნაველი, *საქართველოს საბეჭდავები*, 48. ამ ამბიდან დიდი ხნის შემდეგ, 1958 წელს, ბაბილანა ლომინაძემ ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტს იაკობ კოსტავას მიერ გამოგზავნილი წერილი გადასცა, რომელშიც ავტორი ბეჭდის ნახვის ამბავს დანვრილებით აღწერდა. იაკობ კოსტავას წერილის მიღებისთანავე ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტმა თათრეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის (დედაქალაქი – ყაზანი) მუზეუმს წერილი გაუგზავნა და სთხოვა, რომ ხსენებული ბეჭედი მოეძებნა. წერილის გაგზავნიდან რამდენიმე თვის შემდეგ თათრეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუზეუმმა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტს საპასუხო წერილი გამოუგზავნა და აცნობა, რომ აღნიშნული ბეჭედი მუზეუმის ფონდებში არ აღმოჩნდა. იქვე.

„ნ(მიდა)ო გ(იორგი)ი, მ(მო)ს(ა)ვ(ი) | შ(ე)ნი გ(იორგი)ი d(ა)ლ(ი)თ(ა) | შქენი}თა ვდლ{ე}ვ | მტ{ე}რთა ჩქემ}თა“.<sup>36</sup>

განსახილველი ბეჭედი ძველი ზეპირი ტრადიციის თანახმად, რომელიც წერილობითი სახით პირველად XIX საუკუნის შუახანებში იქნა ფიქსირებული, საქართველოს მეფის დავით IV აღმაშენებლის (1089-1125) საკუთრებას წარმოადგენდა.<sup>37</sup> ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით, ბეჭედი მეფე დავით IV აღმაშენებელს ცერა თითზე ეკეთა და მას ბრძოლებში ყოველთვის თან ატარებდა.<sup>38</sup> სხვა გადმოცემის თანახმად, გელათის მონასტრის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის შობის მთავარი ეკლესიის ჩრდილოეთ კედელზე გამოსახულ მეფე დავით IV აღმაშენებელს მარჯვენა ხელის ცერა თითზე სწორედ ეს ბეჭედი უკეთია. ამავე გადმოცემის მიხედვით, მეფე ბეჭედს სახელმწიფო ბეჭდის (საბეჭდავის) დანიშნულებით იყენებდა. ამასთან, იგი რომელიმე დოკუმენტის ხელმოწერისა თუ რაიმე საქმის გადაწყვეტის წინ ბეჭედში მოწყობილ სანაწილეს ხსნიდა და იქ დაბრძანებულ წმიდა ნაწილებს მართებული გადაწყვეტილების მისაღებად დახმარებას შესთხოვდა.<sup>39</sup> დასასრულ, აღვნიშნავ იმასაც, რომ XIX-XXI საუკუნეების ზოგიერთ ავტორს ბეჭედი, მეფე დავით IV აღმაშენებლის მიერ მისი ცერა თითზე ტარების გამო, „დავით აღმაშენებლის საცერე ბეჭდისა“ თუ „დავით აღმაშენებლის ცერის ბეჭდის“ სახელით აქვს მოხსენიებული.<sup>40</sup>

<sup>36</sup> იქვე, 39-48.

<sup>37</sup> ეს ზეპირი ტრადიცია წერილობითი სახით პირველად 1842 წლის 15 იანვარს შედგენილ გელათის მონასტრის საეკლესიო ნივთების „აღწერაში“, ანდრეი მურავიოვის მიერ 1848 წელს გამოცემული წიგნის „Грузия и Армения“ III ნაკვეთსა და მარი ბროსეს მიერ 1851 წელს გამოქვეყნებულ წიგნში “Rapports sur un Voyage Archeologique dans la Georgie et dans l’Armenie” არის დაფიქსირებული. კეზევაძე, *გელათის მონასტერი ეგ ზარქოსობის დროს*, 239; [Муравьев], *Грузия и Армения*, 198-9; *Rapports sur un Voyage Archeologique, Onzieme rapport*, 14. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ზეპირი ტრადიცია ბეჭდის ლეგენდასთან აშკარა წინააღმდეგობაში მოდის (ტექსტში არა სახელი „დავითი“, არამედ სახელი „გიორგი“ იხსენიება), XIX-XXI საუკუნეების ცალკეული ავტორები – გელათის მონასტრის საეკლესიო ნივთების 1878 წლის 16 აგვისტოს „აღწერის“ შემდგენლები, გელათის მონასტრის არქიმანდრიტი სერაპიონ ახვლედიანი, იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდე ოქროპირიძე, სარგის კაკაბაძე, აკაკი წერეთელი, დეკანოზი დავით ღამბაშიძე, მერაბ კეზევაძე და სხვ. მაინც ამ ზეპირ ტრადიციას უცხადებენ ნდობა და შესაბამის წერილობით ძეგლებსა თუ პუბლიკაციებში უყოყმანოდ აღნიშნავენ, რომ ბეჭედი მეფე დავით IV აღმაშენებელს ეკუთვნოდა. „ახალი ამბავი“, *ცნობის ფურცელი*, №2563, 3; რ. კ-ი, „გელათის მონასტრის გაძარცვა“, 2; ს. კ-ძე, „გელათის მონასტერში“, 3; კ. დ., „გელათის მონასტრის გაძარცვის გამო“, 3; „გელათის მონასტრის გაძარცვის გამო“, 1; „ახალი ამბავი“, *ცნობის ფურცელი*, №2569, 3; „საქართველოს ამბები“, 2; აკაკი, „სამძიმარი“, 2; Гаенатский монастырь и жизнеописание, 6, 11; კეზევაძე, *გელათის მონასტერი ეგ ზარქოსობის დროს*, 157, 198, 200, 293.

<sup>38</sup> *Rapports sur un Voyage Archeologique*, 14.

<sup>39</sup> Гаенатский монастырь и жизнеописание, 6, 11. შდრ. [Муравьев], *Грузия и Армения*, 198-9.

<sup>40</sup> წერეთელი, „გელათის მონასტერი“, 56; კეზევაძე, *გელათის მონასტერი ეგ ზარქოსობის დროს*, 157, 239.

განხილული ზეპირი ტრადიციისა და მისი სხვადასხვა ვარიაციების მართებულობის საკითხი კრიტიკული კუთხით პირველად გიორგი წერეთელმა განიხილა. მკვლევარმა 1882 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში “О некоторых древностях в Гелатском монастыре” ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ბექდის ლეგენდაში არა სახელი „დავით“, არამედ სახელი „გიორგი“ იყო მოხსენიებული და დაასკვნა, რომ ბექედი არა მეფე დავით IV აღმაშენებელს, არამედ „მეფე გიორგის“ ეკუთვნოდა.<sup>41</sup>

XIX საუკუნის ბოლო მეხუთედის მკვლევართა უმრავლესობამ გიორგი წერეთლის ეს დასკვნა არამხოლოდ გაიზიარა, არამედ ამ დასკვნაზე დაყრდნობით, ბექდის მფლობელი „მეფე გიორგის“ ვინაობის შესახებ ორი განსხვავებული მოსაზრებაც გამოთქვა: ვინმე ანონიმმა ავტორმა ჟურნალის “Le Caucase Illustre” 1889 წელს გამოქვეყნებულ პირველ ნომერში დაბეჭდილ სტატიაში “La bijouterie au Caucase” რაიმე არგუმენტაციის გარეშე დაასკვნა, რომ ბექედი მეფე დავით IV აღმაშენებლის მამის, საქართველოს მეფის გიორგი II-ის (1072-89) საკუთრებას წარმოადგენდა,<sup>42</sup> ხოლო ნიკოდიმე კონდაკოვმა და დიმიტრი ბაქრაძემ 1890 წელს გამოცემულ წიგნში “Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии”, აგრეთვე, რაიმე დასაბუთების გარეშე, გამოთქვეს მოსაზრება, რომ ბექედი საქართველოს მეფის თამარის (1184-1207/1210/1212) მამას, საქართველოს მეფეს გიორგი III-ეს (1157-84) ეკუთვნოდა.<sup>43</sup>

ანონიმი ავტორისა და ნიკოდიმე კონდაკოვი – დიმიტრი ბაქრაძის დასახელებული ნაშრომების გამოქვეყნების შემდეგ მათ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს თავისი მომხრეები და მოწინააღმდეგეები გამოუჩნდა. ასე, მაგალითად, ზემოთ უკვე ნახსენებმა გიორგი წერეთელმა 1890 წელს, ჟურნალ „ჯეჯილის“ მეხუთე ნომერში გამოაქვეყნა სტატია „გელათის მონასტერი“, რომელშიც, ანონიმი ავტორის მსგავსად, დაასკვნა, რომ ბექდის ლეგენდაში მოხსენიებული „გიორგი“ იგივე მეფე გიორგი II იყო და იქვე, დამატებით, დასძინა ისიც, რომ ბექედი მეფე დავით IV აღმაშენებელს მამისაგან მემკვიდრეობით ჰქონდა მიღებული.<sup>44</sup> ივანე ჯავახიშვილმა და გიორგი ჩუბინაშვილ-

<sup>41</sup> Церетели, “О некоторых древностях в Гелатском монастыре”, 431, табл. XXV, 2.

<sup>42</sup> “La bijouterie au Caucase”, 13.

<sup>43</sup> Опись памятников древности в некоторых, 41.

<sup>44</sup> წერეთელი, „გელათის მონასტერი“, 56. სხვათა შორის, არ არის გამორიცხული, რომ ჟურნალის “Le Caucase illustre” პირველ ნომერში გამოქვეყნებული სტატიის ანონიმი ავტორი თავად გიორგი წერეთელი იყო. თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ გამოდის, რომ გიორგი წერეთელმა თავის 1882 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში “О некоторых древностях в Гелатском монастыре” ბექდის მფლობელის ვინაობასთან დაკავშირებით დაწყებული მსჯელობა ჟურნალის “Le Caucase illustre” პირველ ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში განაგრძო და ბექდის ლეგენდაში მოხსენიებული „გიორგიც“ მეფე გიორგი II-სთან პირველად სწორედ მან და არა ვინმე „ანონიმმა ავტორმა“ გააიგივა.



მა კი, 1926-59 წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომებში, ნიკოდიმე კონდაკოვისა და დიმიტრი ბაქრაძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას მისცეს უპირატესობა და ბეჭდის ლეგენდაში მოხსენიებული „გიორგი“ მეფე გიორგი III-დ მიიჩნიეს.<sup>45</sup>

გელათის მონასტრიდან 1904 წელს დაკარგული ბეჭდის მფლობელის ვინაობასთან დაკავშირებულ საკითხებს სულ ბოლოს სარა ბარნაველი შეეხო. მკვლევარმა საფუძვლიანად შეისწავლა ბეჭედი და არამხოლოდ მთლიანად გაიზიარა ნიკოდიმე კონდაკოვისა და დიმიტრი ბაქრაძის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ ბეჭედი მეფე გიორგი III-ის საკუთრებას წარმოადგენდა, არამედ ამ მოსაზრების შესამაგრებლად რამდენიმე კონკრეტული არგუმენტი და დაკვირვებაც მოიტანა: ა) ბეჭედი, თავისი „აღნაგობით“, დმანისის არქეოლოგიური გათხრების დროს გამოვლენილი XII-XIII საუკუნეების ბრინჯაოსა და ცისფერი ფაიანსის ბეჭდებთან და ამავე XII-XIII საუკუნეების ირანულ ბეჭდებთან ავლენს მსგავსებას; ბ) ბეჭდის ბუდის სიმაღლე XII-XIII საუკუნეების ირანული ბეჭდების ბუდეების სიმაღლეს შეესატყვისება; გ) ბეჭდის ორნამენტულ სახეებს XII-XIII საუკუნის ქედური ნიმუშების – ტბეთის ოთხთავის ყდის, წყაროსთავის ოთხთავის ყდისა და გელათის მონასტრის მაცხოვრის ხატის ორნამენტულ სახეებთან ეძებნება პარალელი; დ) ბეჭდის ლეგენდის გრაფემათა მოხაზულობა XII საუკუნისათვისაა დამახასიათებელი, ამ გრაფემების „შიგნით ნერტილებით შემკობა“ საორბისის ეკლესიის 1152 წლის წარწერას მოგვაგონებს, ხოლო ლეგენდის სწორკუთხა ჩარჩოებში მოქცევა – ბერთის ოთხთავის ყდის შესაბამის ფრაგმენტებს; ე) ბეჭდის ბუდის ზედა, ამობურცული ფარისებური არის მარცვლისებური ორნამენტით შემკობის ტრადიცია საქართველოში განსაკუთრებით XII-XIII საუკუნეებშია გავრცელებული; ვ) ბეჭდის ბუდის ზედა, ამობურცულ ფარისებურ არეზე წარმოდგენილი წმ. გიორგის გამოსახულება ჯუმათის წმ. გიორგის ხატსა და XII საუკუნის სხვა ქედურ ხატებზე წარმოდგენილი წმ. გიორგის გამოსახულებათა მსგავსია; ზ) ბეჭედი, მხატვრული თვალსაზრისით, XII საუკუნის ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშს წარმოადგენს, რომელსაც მისი მდიდრული მორთულობა განსაკუთრებულ საზეიმო ხასიათს ანიჭებს; თ) მართალია, ბეჭდის ლეგენდაში მეფე მოხსენიებული არ არის, მაგრამ ლეგენდის ტექსტიდან და ბეჭდის განსაკუთრებულ საზეიმო ხასიათიდან აშკარად ჩანს, რომ ბეჭედი მეფე-სარდალს ეკუთვნოდა და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა; ი) იმ დასკვნის სასარგებლოდ, რომ ბეჭედი ნამდვილად სამეფო ბეჭედი იყო, ისიც მტყველებს, რომ მასზე წმ. გიორგია გამოსახული: ვახუშტის ბაგრატიონის მიერ შედგენილ ერთ-ერთ რუკაზე დატანილ საქართველოს სახელმწიფო გერბსა და ქართლ-

<sup>45</sup> ჯავახიშვილი, *ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები*, 69; ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ისტორია*, 211-2; გიორგი ჩუბინაშვილი, *ქართული ოქრომჭედლობა VIII-XVIII საუკუნეებისა*, ალბომი, ისტორიული მიმოხილვა და ანოტაციები (თბილისი, 1957), 22, ტაბ. 57b; Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, 619, 621.

კახეთის მეფის გიორგი XII-ის ერთ-ერთ ბეჭედზე სწორედ წმ. გიორგის გამო-სახულებაა წარმოდგენილი.<sup>46</sup>

ნიკოლომე კონდაკოვისა და დიმიტრი ბაქრაძის მიერ გამოთქმული და სარა ბარნაველის მიერ არგუმენტირებული მოსაზრება, რომ გელათის მონასტრი-დან 1904 წელს დაკარგული ბეჭედი მეფე გიორგი III-ის კუთვნილებას წარ-მოადგენდა, დღეისათვის ქართულ ისტორიოგრაფიაში სრულად არის გაზი-არებული. განსახილველი საკითხისადმი მე განსხვავებული დამოკიდებულება მაქვს და ვფიქრობ, რომ არსებობს ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც განსახილველი ბეჭდის არათუ მეფე გიორგი III-სადმი მიკუთვნების, არამედ მისი სამეფო ბეჭდად მიჩნევის შესაძლებლობასაც კი საფუძვლიანი ეჭვის ქვეშ აყენებს.

სარა ბარნაველმა ბეჭედზე საუბრისას ხაზგასმით აღნიშნა ის ფაქტი, რომ ბეჭდის ლეგენდაში მოხსენიებული „გიორგი“ ტექსტში „მეფედ“ არ იწოდებოდა. მე კიდევ უფრო განვავრცობ ამ აზრს და ვიტყვი, რომ ბეჭდის ეტრატსა თუ ქალაღზე დასმის შედეგად მიღებულ ანაბეჭდზე არათუ „გიორგის“ ტიტული, რომელიც ტექსტში ისედაც არ იყო მითითებული, არამედ თავად სახელი „გიორგიც“ კი არ გამოჩნდებოდა. მართლაც, ჩვენ უკვე ვნახეთ ზემოთ, რომ ბეჭდის ვრცელი ლეგენდა, რომლის ტექსტშიც მისი მფლობელის სახელი „გიორგი“ იყო მითითებული, ბეჭდის ბუდის ზედა, ფარისებურ არეზე კი არ იყო წარმოდგენილი, რომელიც ბეჭდის დასმის შემდეგ ეტრატსა თუ ქალაღზე აღიბეჭდებოდა, არამედ ბუდის მაღალი კედლის შემოყოლებაზე იყო შესრულებული, რომელიც ბეჭდის დასმის დროს ეტრატისა თუ ქალაღის ზედაპირს უბრალოდ არ ეხებოდა.

აქ, თეორიულად, შეიძლება გაჩნდეს აზრი, რომ განსახილველ ბეჭედს არა ეტრატსა თუ ქალაღზე, არამედ გამდნარ ცვილსა თუ ლითონზე დასასმელად გამოიყენებოდა: ამ დროს გამდნარ მასაში არამხოლოდ ბეჭდის ბუდის ზედა ნაწილი ანუ ფარისებურად ამობურცული არე, არამედ მთელი ბუდე ჩადიოდა და ამ გზით, ცვილსა თუ ლითონზე, მათი გაციების შემდეგ, დაბალი სიღრმის ცილინდრული მოყვანილობის ანაბეჭდი რჩებოდა, რომლის ვერტიკალურ კედლებზეც ბეჭდის ლეგენდის ტექსტი და ამ ტექსტში მოხსენიებული სახელი „გიორგი“ იკითხებოდა. საკითხის შესწავლა აჩვენებს, რომ ამ თეორიული დაშვების გაზიარება, ორი დეტალის გათვალისწინებით, შეუძლებელია: ა) ბეჭდის ბუდეში სანაწილე იყო მოწყობილი, რომელშიც უეჭველად წმიდა ნაწილები, სავარაუდოდ კი, საკუთრივ წმ. გიორგის ძვლის, თმისა თუ შესამოსლის ფრაგმენტი იყო ჩაბრძანებული. შესაბამისად, ბეჭდის ბუდის გამდნარ ცვილსა თუ, მით უფრო, ლითონში მთლიანად ჩაშვების შემთხვევაში, ეს წმიდა ნაწილი, მაღალი ტემპერატურის არეში მოხვედრის გამო, უსათუოდ განადგურდებოდა, ამას კი ბეჭდის მფლობელი, არც შუა საუკუნეებში და რომელიმე სხვა

<sup>46</sup> ბარნაველი, *საქართველოს საბეჭდავები*, 41-7.

დროს, ცხადია, არ დაუშვებდა; და ბ) ჩვენამდე მოაღწია განსახილველი ბეჭდის ორად ორმა ფოტომ, რომლებიც დიმიტრი ერმაკოვის მიერაა გადაღებული. ამ ფოტოებზე აშკარად ჩანს, რომ ბეჭდის ვრცელი ლეგენდის ტექსტი, ამავე ბეჭედზე ამოკვეთილი, უკუღმა, სარკისებურად შებრუნებული ნმ. გიორგის გამოსახულებისა და მისი განმარტებითი წარწერისაგან განსხვავებით, წაღმა შემობრუნებული სახით იყო შესრულებული და ჩვეულებრივად იკითხებოდა. შესაბამისად, თუ ჩვენ მართებულად მივიჩნევთ იმ ვარაუდს, რომ ბეჭდის გამდნარ ცვილსა თუ ლითონზე დასმის შემდეგ ანაბეჭდზე არამხოლოდ ნმ. გიორგის გამოსახულება და მისი განმარტებითი წარწერა, არამედ ვრცელი ლეგენდის ტექსტის გამოჩნდებოდა, მაშინ ავტომატურად მივალთ იმ დასკვნამდეც, რომ ამ ანაბეჭდზე ნმ. გიორგის გამოსახულების განმარტებითი წარწერა წაღმა შემობრუნებული, ხოლო ვრცელი ლეგენდის ტექსტი უკუღმა შებრუნებული სახით იქნებოდა წარმოდგენილი, რისი დაშვებაც, ცხადია, ნაკლებად დამაჯერებელია.

მაშასადამე, ირკვევა, რომ განსახილველი ბეჭედი მხოლოდ ეტრატსა თუ ქალაღზე დასასმელად გამოიყენებოდა და მისი დასმის შემდეგ ამავე ეტრატსა თუ ქალაღზე დარჩენილ ანაბეჭდზე მხოლოდ ნმ. გიორგის გამოსახულება და ამ გამოსახულების განმარტებითი წარწერა განირჩეოდა.

მიღებული დასკვნის შემდეგ ბუნებრივად იზადება კითხვა – რამდენად სარწმუნოა ნიკოდიმე კონდაკოვის, დიმიტრი ბაქრაძისა და სარა ბარნაველის განსახილველი მოსაზრება, რომლის გაზიარების შემთხვევაშიც ავტომატურად მივალთ იმ დასკვნამდე, რომ შუა საუკუნეების ქართული სახელმწიფოს პირველი პირი, ამ შემთხვევაში, საქართველოს მეფე გიორგი III, მის მიერ გაცემულ დოკუმენტს, სიმტიციის ნიშნად, ისეთ ბეჭედს უსვამდა, რომლის ანაბეჭდზეც არათუ მისი სამეფო ტიტულატურა, არამედ მისი სახელიც კი არ იყო მითითებული?

ჩემი დაკვირვებით, ეს დასკვნა, შესაბამისად კი, ნიკოდიმე კონდაკოვის, დიმიტრი ბაქრაძისა და სარა ბარნაველის მოსაზრება, სარწმუნო არ არის და ამაზე, პირველ რიგში, ქართული სამეფო ბეჭდების ჩვენამდე მოღწეული ანაბეჭდები მიუთითებს, რომელთა ლეგენდებშიც შესაბამისი მეფის ტიტული და სახელი ან, უკიდურეს შემთხვევაში, მხოლოდ სახელი მაინც არის მითითებული (ამ ნაბეჭდების შესახებ იხ. ქვემოთ).

მაშასადამე, საკითხის დეტალური შესწავლა აჩვენებს, რომ გელათის მონასტრიდან 1904 წელს დაკარგული იმ ოქროს ბეჭდის მფლობელის ვინაობა, რომელსაც XIX-XXI საუკუნეების ავტორები საქართველოს მეფეებს – გიორგი II-ს, დავით IV აღმაშენებელს ან გიორგი III-ს მიაკუთვნებდნენ, ჯერჯერობით, დაუდგენელია. უფრო მეტიც, ჩვენი ცოდნის ამ ეტაპზე, დაბეჯითებით იმის თქმაც კი შეუძლებელია, ბეჭედი ნამდვილად სამეფო ბეჭედს წარმოადგენდა თუ არა.

ზემოთ განხილული ბეჭდისაგან განსხვავებით, ჩვენამდე მოღწეულ და-

ნარჩენ ორ ბეჭედთან დაკავშირებით არანაირი ეჭვი არ არსებობს: ორივე ბეჭედი ქართლ-კახეთის მეფეს გიორგი XII-ეს ეკუთვნოდა და შესაბამისად, ორივე ბეჭედი ნამდვილად სამეფო ბეჭედი იყო.

ამ ორი ბეჭედიდან ერთ-ერთი – მეფე გიორგი XII-ის ორზედაპირიანი საგერბო ბეჭედი სარა ბარნაველის მიერ არის შესწავლილი. მკვლევრის თანახმად, ბეჭდის კორპუსის ძირითად, შუა ნაწილს ცილინდრული ფორმის სახელური ქმნის, რომელიც მომწვანო ფერის ნეფრიტისაგანაა დამზადებული და ოქროთი შესრულებული მცენარეული მოტივებითაა გამშვენებული. ცილინდრის ერთ-ერთ კიდეზე, რომელსაც ირგვლივ ოქროს სალტე შემოუყვება, ოთხკუთხა ბეჭედი დამაგრებული. ბეჭდის ზედაპირზე ერთსტრიქონიანი მხედრული ლეგენდაა ამოტვიფრული: „გიორგი“. ცილინდრის მეორე კიდეც, რომელსაც, პირველი კიდის მსგავსად, ირგვლივ ოქროს სალტე შემოუყვება, ორკაპა, წვერით ცილინდრისაკენ მიმართული ღერო აგრძელებს, რომელზეც მრგვალი ბეჭედი დამაგრებული. ამ ბეჭდის ზედაპირზე ქართლ-კახეთის სახემწიფო გერბია წარმოდგენილი. სარა ბარნაველის დაკვირვებით, მეფე გიორგი XII-ის ბეჭედი „ევროპულ ყაიდაზე შექმნილ, ტლანქ და პრიმიტიულ ხელოსნურ ნაწარმოებს წარმოადგენს“.<sup>47</sup>

მეფე გიორგი XII-ის ჩვენამდე მოღწეული მეორე სამეფო ბეჭედი ამჟამად საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის გლიპტიკის ფონდში 683-ე ნომრითაა დაცული და პრაქტიკულად, შეუსწავლელია. ანა ბაქრაძის ცნობით, ეს ბეჭედი, რომლითაც მეფე გიორგი XII, ძირითადად, ოქმებსა და ბრძანებებს ამტკიცებდა, 1799-1800 წლების ორ დოკუმენტზეა დასმული<sup>48</sup>. ამ დოკუმენტებზე შემორჩენილი ანაბეჭდების მიხედვით, ბეჭდის ზედაპირი რვაკუთხა ფორმისა და 2.1X1.8 სმ ზომისაა. ბეჭედზე ქანწილით დაწყებული ორსტრიქონიანი მხედრული ლეგენდაა ამოტვიფრული: „ქ. მეფე / გიორგი“.<sup>49</sup>

ქართულ სამეფო ბეჭედებთან დაკავშირებული, ზემოთ განხილული წერილობითი და ნივთიერი მასალის გარდა, ჩვენამდე XV-XVIII საუკუნეების რამდენიმე ათეულმა ისტორიულმა დოკუმენტმა და ოფიციალურმა წერილმა მოაღწია, რომლებზეც შესაბამის პერიოდში მოღვაწე ოცდარვა ქართველი მეფის ორმოცდაჩვიდმეტი სამეფო ბეჭედი დასმული.<sup>50</sup> სწორედ ამ ისტორიულ

<sup>47</sup> იქვე, 82-3, 95, ტაბ. XVI, სურ. 1, 2, 3 და 4. აქვე, აღვნიშნავ, რომ ისეთი დოკუმენტი, რომელზეც მეფე გიორგი XII-ის საგერბო ბეჭდის ანაბეჭედი წარმოდგენილი, ჯერჯერობით, ცნობილი არ არის. ბაქრაძე, „ქართული ბეჭდები“, 16-31; მისივე, *მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის*, 35-46.

<sup>48</sup> ხეც Ad-190; ხეც Hd-588; ბაქრაძე, *მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის*, 37.

<sup>49</sup> ბაქრაძე, *მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის*, 25, 37, ტაბ. II, სურ. 7.

<sup>50</sup> აქ მხოლოდ და მხოლოდ ის დოკუმენტები და წერილები მაქვს მხედველობაში, რომლებზეც დასმული ბეჭდების ლეგენდებშიც ბეჭდის მფლობელი პირი მეფის ტიტულით არის

დოკუმენტებსა და ოფიციალურ წერილებზე დასმული ბეჭდების ანაბეჭდებისა და ისტორიული-წყაროთმცოდნეობითი ბაზა, რომელზე დაყრდნობითაც შეგვიძლია, მეტნაკლებად არგუმენტირებულად ვიმსჯელოთ XV-XVIII საუკუნეების ქართულ სამეფო ბეჭდებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებზე.

ქართულ ისტორიულ დოკუმენტებზე ანაბეჭდების სახით შემორჩენილი სამეფო ბეჭდების ყველაზე უფრო ადრეული ჯგუფი XV-XVI საუკუნეებით თარიღდება (კიდევ უფრო ადრეული პერიოდის სამეფო ბეჭდების ანაბეჭდები ისტორიულ დოკუმენტებზე არ გვხვდება). ამ ადრეულ ჯგუფში მხოლოდ ორი ბეჭედი ერთიანდება. ესენია: 1. ქართლ-იმერეთის მეფის ბაგრატ VI-ის (1466-78) ოთხკუთხა ბეჭედი (1.3X1.3 სმ),<sup>51</sup> ორსტრიქონიანი მხედრული ლეგენდით: „ბაგრატ“;<sup>52</sup> და 2. კახეთის მეფეების – ალექსანდრე I-ის (1476-1511) ან ალექსანდრე II-ის (1574-1605) ოთხკუთხა ბეჭედი (2X1.7 სმ), ზემო ნაწილში გვირგვინის გამოსახულებით, ქვემო ნაწილში ორსტრიქონიანი მხედრული ლეგენდით: „მონა ღთისა ალექსანდრე“.<sup>53</sup>

XVII საუკუნეში ქართულ ისტორიულ დოკუმენტებსა და ოფიციალურ წერილებზე დასმული სამეფო ბეჭდების ანაბეჭდების რაოდენობა მნიშვნელოვნად იზრდება. ამ დროის სამეფო ბეჭდებში, პირობითად, სამი ჯგუფი გამოიყოფა.

XVII საუკუნის ქართული სამეფო ბეჭდების პირველ ჯგუფში შვიდი ბეჭედი შედის, რომლებიც იმერეთის მეფეებს ეკუთვნოდა. ეს ბეჭდებია: 1. იმერეთის მეფის გიორგი III-ის (1604-39) ნუშისებური ბეჭედი (5X3 სმ) შუაში თურქული ტექსტით, გარშემო მხედრული ლეგენდით: „მონა ღთისა, ყმა

მოხსენიებული ან მეფის ტიტულით არ არის მოხსენიებული, თუმცა სხვა წერილობითი ძეგლებიდან დანამდვილებითაა ცნობილია, რომ დოკუმენტის შედგენისა და მისი ბეჭდით დამტკიცების დროს იგი სამეფო ტახტს ნამდვილად ფლობდა. აქვე, ხაზგასმით აღვნიშნავ იმ ფაქტს, რომ შუა საუკუნეების ქართული სამეფო ბეჭდების ჩვენამდე მოღწეულ ანაბეჭდებზე მსჯელობისას, ძირითადად, ანა ბაქრაძის მიერ შედგენილ შუა საუკუნეების ქართული სამეფო ბეჭდების „კატალოგს“ ვემყარები, რომელიც, თავის მხრივ, მკვლევრის მიერ 1978 წელს გამოცემული წიგნის „მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის“ I ნაწილშია შეტანილი. დასასრულ, ვიტყვი იმასაც, რომ შუა საუკუნეების იმ ქართული სამეფო ბეჭდების რაოდენობა (ორმოცდაჩვიდმეტი ერთეული), რომელთა ანაბეჭდებმაც ჩვენამდე მოაღწია, მომავალში, აქამდე უცნობი წერილობითი ძეგლების გამოვლენისა და დღეისათვის ცნობილი წერილობითი ძეგლების უკეთ შესწავლის შედეგად, უსათუოდ გაიზრდება.

<sup>51</sup> აქვე, შევნიშნავ, რომ ქართულ ისტორიულ დოკუმენტებზე დასმული სამეფო ბეჭდების მოყვანილობასა და ზომებზე საუბრისას არა თავად ამ ბეჭდების, არამედ მათი ანაბეჭდების მოყვანილობა და ზომები მექნება მოტანილი.

<sup>52</sup> ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, 36, ტაბ. I, სურ. 17. ბეჭედი 1470 წლის დოკუმენტზეა დასმული (ხეც Hd-1352).

<sup>53</sup> ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, 17-8, 35, ტაბ. I, სურ. 2. ბეჭედი 1419, 1479, 1501, 1559, 1562 და 1579 წლების ექვს დოკუმენტზეა დასმული (ხეც Ad-6, Ad-614, Ad-1572, Ad-1839; ხეც Sd-464; ხეც Qd-6995).

ხონთქრისა, მეფე გიორგი“;<sup>54</sup> 2. იმერეთის მეფის ალექსანდრე III-ის (1639-60) ნუსხისებური ბეჭედი (3X2 სმ), შუაში ჯვრის გამოსახულებით, გარშემო მხედრული ლეგენდით: „მეფე ალექსანდრე“;<sup>55</sup> 3. მეფის ალექსანდრე III-ის ოვალური ბეჭედი (სიგრძე – 4.4/4.5 სმ), შუაში ორი ჯვრის გამოსახულებით, გარშემო ორმაგ წრედ შემოყოლებული მხედრული ლეგენდით: „*წ. მონა ღთისა, მეფე ალქესანდრე გიორგის შვილი, ყმა დიდის მოსკოვის [ვ] ელმნიფის მიხეჩილის შვილის*“ (წაკითხვა ჩემია – თ. ჯ.);<sup>56</sup> 4. იმერეთის მეფის ბაგრატ IV-ის (1660, 1663-67, 1668-78, 1679-81) ნუსხისებური ბეჭედი (3.2X2 სმ), შუაში ჯვრის გამოსახულებით, გარშემო მხედრული ლეგენდით: „*მონა ღთისა მეფე ბაგრატ*“;<sup>57</sup> 5. მეფე ბაგრატ IV-ის II, ექვსკუთხა ბეჭედი (3.2X2 სმ-ზე დიდი ზომის), შუაში ჯვრის გამოსახულებით, ჯვრის ირგვლივ მხედრული წარწერით: „*ვადიდებ ხელმნიფობასა ალექსის*“, გარშემო მხედრული ლეგენდით: „*მონა ღთისა და მოსავი ჯვარისა მეფე ბაგრატ*“;<sup>58</sup> 6. იმერეთის მეფის არჩილ II-ის (1661-63, 1678-79, 1690-91, 1695-96, 1698) ნუსხისებური ბეჭედი (3.2X2.3 სმ), შუაში ჯვრის გამოსახულებით, გარშემო მხედრული ლეგენდით: „*შენეწნითა ღთ(ი)ს(ა)თ(ა) მეფე არჩილ ვამტკიცებ*“;<sup>59</sup> დაბოლოს, 7. იმერეთის მეფის მამუკას ნუსხისებური ბეჭედი (3.2X2 სმ.) შუაში დაზიანებული

<sup>54</sup> ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, 47, ტაბ. VI, სურ. 15. ბეჭედი სამ დოკუმენტზეა დასმული (ხეც Hd-11465 და Hd-15014; ხეც Qd-1488). მართალია, ანა ბაქრაძეს არც ამ სამი დოკუმენტის თარიღი აქვს მითითებული და არც ამ დოკუმენტებზე დასმული ბეჭდის ლეგენდაში მოხსენიებული „მეფე გიორგის“ ვინაობა აქვს დაკონკრეტებული, თუმცა სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ განსახილველი დოკუმენტები იმერეთის მეფის გიორგი III-ის მიერ იყო გაცემული. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდისის სამთავროებისა (1466-1777 წწ.), I, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო შოთა ბურჯანაძემ (თბილისი, 1958), 21, 24-5. შესაბამისად, დიდი ალბათობით შეიძლება ითქვას ისიც, რომ ამ დოკუმენტებზე დასმული ბეჭედი, აგრეთვე, მეფე გიორგი III-ეს ეკუთვნოდა. შდრ. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII საუკუნეების ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, I (თბილისი, 1991), 252-3.

<sup>55</sup> ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, 46, ტაბ. VI, სურ. 3. ბეჭედი 1639 წლის დოკუმენტზეა დასმული (ხეც Sd-519).

<sup>56</sup> Полиевктов, “Крестоцеловальная запись имеретинского царя”, 157, 160; სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი იველევის, 09. ბეჭედი 1651 წლის „ფიცის წიგნზეა“ დასმული (ქალაქ მოსკოვის ყოფილი საგარეო საქმეთა სამინისტროს მთავარი არქივის ქართული დოკუმენტების განყოფილება, დოკუმენტი №7). Полиевктов, “Крестоцеловальная запись имеретинского царя”, 157, 160; სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი იველევის, 09.

<sup>57</sup> ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, 47, ტაბ. VI, სურ. 8; Переписка на иностранных языках, 96, 98. ბეჭედი 1666-80 წლების ორ დოკუმენტსა და 1678 წლის ორ წერილზეა დასმული (ხეც Hd-2256; ხეც Sd-509; ქალაქ მოსკოვის ყოფილი საგარეო საქმეთა სამინისტროს მთავარი არქივი).

<sup>58</sup> Переписка на иностранных языках, 86. ბეჭედი 1668 წლის წერილზეა დასმული (ქალაქ მოსკოვის ყოფილი საგარეო საქმეთა სამინისტროს მთავარი არქივი).

<sup>59</sup> ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, 47, ტაბ. VI, სურ. 11. ბეჭედი 1691 წლის დოკუმენტზეა დასმული (ხეც Sd-515).

გამოსახულებითა თუ წარწერით, გარშემო მხედრული თარიღიანი ლეგენდით: „მონა ლთისა მეფე მამუკა ტ(ო)ა (1683)“.<sup>60</sup>

XVII საუკუნის ქართული სამეფო ბეჭდების მეორე ჯგუფში სულ ორი ბეჭედი შედის, რომლებიც ქართლ-კახეთის მეფეს თეიმურაზ I-ს (1625-32) ეკუთვნოდა. ეს ბეჭდებია: 1. მეფე თეიმურაზ I-ის I, მრგვალი ბეჭედი, შუაში ჯვრის გამოსახულებით, ჯვრის ზემოთ ჯვრიანი გვირგვინით, დიდი ჯვრის მკლავებს შორის ასომთავრული წარწერით: „ი(ე)ს(უ) | ქ(რისტ)ე, | ნი|კ|ა|“ (წაკითხვა ჩემია – თ. ჯ.), გარშემო ასომთავრული ლეგენდით: „ქ. მეფე თეიმ(უ) რაზ, ქარ[თლი]ს სიმტკიც[ით] მპყრობი“ (წაკითხვა ჩემია – თ. ჯ.);<sup>61</sup> და 2. მეფე თეიმურაზ I-ის II, მსხლისებური ბეჭედი, შუაში ჯვრის გამოსახულებით, ჯვრის მკლავებს შორის ასომთავრული წარწერით: „ი(ე)ს(უ) | ქ(რისტ)ე, | ძლ|ევა“ (წაკითხვა ჩემია – თ. ჯ.), გარშემო მხედრული ლეგენდით: „წყალობით [ღ(მრ)თისა], [თეი]მურაზ, მეფე ყ(ოვ)ლისა საქართველოსი“ (წაკითხვა ჩემია – თ. ჯ.).<sup>62</sup>

XVII საუკუნის ქართული სამეფო ბეჭდების მესამე ჯგუფში ათი ბეჭედი ერთიანდება, რომლებიც ქართლის მეფეების კუთვნილება იყო. ეს ბეჭდებია: 1. ქართლის მეფის როსტომის (1632-58) I, მრგვალი ბეჭედი (დიამეტრი – 2.2 სმ.), ხვეული მხედრული ლეგენდით: „როსტომ“;<sup>63</sup> 2. მეფე როსტომის II, მსხლისებური ბეჭედი (3.4X3.1 სმ), გარშემო ორმაგ წრედ შემოყოლებული მხედრული

<sup>60</sup> ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, 49, ტაბ. VII, სურ. 20. ბეჭედი 1683-85 წლების დოკუმენტზეა დასმული (საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1448, საქმე №2444). აქვე, აღვნიშნავ, რომ 1680-90-იან წლებში მოღვაწე მეფე მამუკა, ნაკლებად ცნობილი ისტორიული პირია და მისი მეფობის საკითხი საფუძვლიან შესწავლას საჭიროებს.

<sup>61</sup> ილია ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII – XX ს-ის პირველი მეოთხედი) (1600-1628 წწ.), II (თბილისი, 1986), 285. ბეჭედი 1626 წლის წერილზეა დასმული (ვატიკანი, Archivio della SCPF, Lettere in diverse Lingue dell' Anno 1622 al 1629 vol. 181, ff. 159-163). იქვე, 186-8, 232-3, 285. აქვე, ხაზგასმით აღვნიშნავ იმ ფაქტს, რომ ბეჭდის წარწერების წაკითხვისას ამ ბეჭდის მეტად უხარისხო შავ-თეთრ ფოტოპირს ვემყარებოდი, რომელიც, თავის მხრივ, ილია ტაბაღუას მიერ 1986 წელს გამოქვეყნებული წიგნის „საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში“ II ტომშია დაბეჭდილი. იქვე, 285. შესაბამისად, არ გამოვრიცხავ, რომ წარწერების წაკითხვაში, ფოტოს დაბალი ხარისხის გამო, მცირე უზუსტობები მქონდეს დაშვებული. დასასრულ, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მეფე თეიმურაზ I-ის მრგვალი ბეჭდის წარწერები ჩემამდე დიდი ხნით ადრე, ილია ტაბაღუას თხოვნით, თინა ენუქიძემ წაკითხა. მოვიტან ამ წარწერების თინა ენუქიძისეულ წაკითხვებს: 1. გოლგოთის ჯვრის მკლავებს შორის შესრულებული წარწერა: „ი-ს, ნ-ი, კ-ა, ი-?“, ბეჭდის გარშემო შემოყოლებული წარწერა: „ქ. მეფე თეიმ(უ)რაზ ქართლისა მტკიცედ მპყრობელი“. იქვე, 188, 233.

<sup>62</sup> ბარნაველი, საქართველოს საბეჭდავები, 36, ტაბ. VIII, სურ. 3. ბეჭედი 1639-59 (?) წლების ხუთ წერილზეა დასმული (ქალაქ მოსკოვის ყოფილი საგარეო საქმეთა სამინისტროს მთავარი არქივი). Переписка на иностранных языках, 48, 73, 77, 79, 80.

<sup>63</sup> ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, 44, ტაბ. IV, სურ. 26. ბეჭედი 1634-58 წლების ორ დოკუმენტზეა დასმული (ხეც Ad-1700 და Hd-1350).

ლეგენდით: „ყაენის ფეკთა მტუერი, როსტომ მეფე ვამტკიცებ“;<sup>64</sup> 3. ქართლის მეფის ვახტანგ V-ის (შაჰ-ნავაზის) (1658-75) I, ოთხკუთხა ბეჭედი (1.3X1.1 სმ), ორსტრიქონიანი მხედრული ლეგენდით: „შაჰნავაზ“;<sup>65</sup> 4. მეფე ვახტანგ V-ის II, მსხლისებური ბეჭედი (3.4X2.8 სმ), გარშემო ორმაგ წრედ შემოყოლებული მხედრული ლეგენდით: „ქ. ნებით(ა) ღთის(ა)თ(ა), ბჭითა შა(ჰა)ბაზისთა, ვამტკიცებ მეფე შანავაზ“;<sup>66</sup> 5. მეფე ვახტანგ V-ის III, მსხლისებური ბეჭედი (4.1X3.3 სმ), გარშემო ორმაგ წრედ შემოყოლებული მხედრული ლეგენდით: „ყაენის ფეკთა მტუერი, შაჰნავაზ მეფე ვამტკიცებ“;<sup>67</sup> 6. ქართლის მეფის გიორგი XI-ის (1676-88, 1703-09) ოთხკუთხა ბეჭედი (1.3X1.2 სმ), სამსტრიქონიანი მხედრული ლეგენდით: „მონა ღთისა, ძე დავითისა გიორგი“;<sup>68</sup> 7. ქართლის მეფის ერეკლე I-ის (ნაზარ-ალი-ხანის) (1688-1703) I, ოთხკუთხა ბეჭედი (1.7X1.5 სმ), ორსტრიქონიანი მხედრული ლეგენდით: „მეფე ნაზარალიხან“;<sup>69</sup> 8. მეფე ერეკლე I-ის II, მსხლისებური ბეჭედი (3.5X3.1 სმ), გარშემო ორმაგ წრედ შემოყოლებული მხედრული ლეგენდით: „ყ(ა)ენის ფეკთა მტუერი, მეფე ნაზარალიხან ვამტკიცებ“;<sup>70</sup> 9. მეფე ერეკლე I-ის III, რვაკუთხა ბეჭედი (4X3.5 სმ), ოთხსტრიქონიანი მხედრული ლეგენდით: „ქ. ყ(ა)ენის ბანდა ყულარალასი, მეფე ნ(ა)ზარ(ა)ლ(ი)ხან ვამტკიცებ“;<sup>71</sup> დაბოლოს, 10. მეფე ერეკლე I-ის IV, მსხლისებური ბეჭედი (3.4X3.1 სმ.), გარშემო და შუაში მხედრული ლეგენდით: „ქ. ბედნიერის ყაენის ბანდა, მეფე ნაზ(ა)რ(ა)ლიხ(ა)ნ ვამტკიცებ“.<sup>72</sup>

XVIII საუკუნეში ქართულ ისტორიულ დოკუმენტებზე დასმული სამეფო ბეჭდების ანაბეჭდების რაოდენობა კიდევ უფრო მატულობს. ამ დროის ბეჭდებში, XVII საუკუნის სამეფო ბეჭდებისაგან განსხვავებით, უკვე არა სამი, არამედ, ოთხი პირობითი ჯგუფი გამოიყოფა.

<sup>64</sup> ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, 44, ტაბ. V, სურ. 3. ბეჭედი 1633-57 წლების ორ დოკუმენტზეა დასმული (ხეც Hd-2125 და Hd-1350).

<sup>65</sup> ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, გვ. 46, ტაბ. V, სურ. 24. ბეჭედი 1660 წლის დოკუმენტზეა დასმული (ხეც Hd-2457).

<sup>66</sup> ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, 46, ტაბ. V, სურ. 22. ბეჭედი 1664 წლის დოკუმენტზეა დასმული (ხეც Hd-14538).

<sup>67</sup> ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, 46, ტაბ. V, სურ. 23. ბეჭედი 1665-67 წლების ორ დოკუმენტზეა დასმული (ხეც Sd-634 და Hd-9292).

<sup>68</sup> ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, 37, ტაბ. I, სურ. 29. ბეჭედი 1681 წლის დოკუმენტზეა დასმული (საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი [ქვემოთ, ყველგან – სეაცსა], ფონდი №1448, საქმე №2283).

<sup>69</sup> ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, 44, ტაბ. V, სურ. 1. ბეჭედი 1689-1703 წლების სამ დოკუმენტზეა დასმული (ხეც Hd-1913, Hd-37 და Ad-69).

<sup>70</sup> ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, 44, ტაბ. IV, სურ. 27. ბეჭედი 1691 წლის დოკუმენტზეა დასმული (სეაცსა, ფონდი №1448, საქმე №3268).

<sup>71</sup> ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, 44, ტაბ. IV, სურ. 23. ბეჭედი 1703 წლის დოკუმენტზეა დასმული (სეაცსა, ფონდი №1448, საქმე №58).

<sup>72</sup> ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, 44, ტაბ. IV, სურ. 25. ბეჭედი ერთადერთ დოკუმენტზეა დასმული (ხეც Hd-14940).



XVIII საუკუნის ქართული სამეფო ბეჭდების პირველ ჯგუფში ათი ბეჭედი შედის, რომლებიც იმერეთის მეფეებს ეკუთვნოდა. ეს ბეჭდებია: 1. იმერეთის მეფის გიორგი VI-ის (1703-11, 1713, 1714-16, 1719-20) I, ნუშისებური ბეჭედი (4X2.5 სმ), შუაში ჯვრის გამოსახულებით, გარშემო მხედრული ლეგენდით: „მონა ღთისა, ყმა ხვანთქრისა, მეფე გიორგი“;<sup>73</sup> 2. მეფე გიორგი VI-ის II, ნუშისებური ბეჭედი (3.5X2.3 სმ), შუაში ჯვრის გამოსახულებით, გარშემო მხედრული ლეგენდით: „მონა ღთისა მეფე გიორგი“;<sup>74</sup> 3. იმერეთის მეფის ალექსანდრე V-ის (1720-41, 1741-46, 1749-52) I, ოვალური ბეჭედი (3.8X2.9 სმ), ხუთსტრიქონიანი, თარიღიანი მხედრული ლეგენდით: „ღთით ვიქმენ მეფედ მე მ(ო)ნა სახელად ალექსანდრე 1720“;<sup>75</sup> 4. მეფე ალექსანდრე V-ის II, გუმბათისებური თავის მქონე ოთხკუთხა ბეჭედი (3.3X3.1 სმ), გარშემო მხედრული, შუაში კი ასომთავრული ლეგენდით: „ტომად აღმრაცხვენ დავითის სოლომ(ო)ნს ჰგავსო სვეობით, თვისებით ყ(ოვლა)დ ნ(მიდ)ისა იესეს ნ(ო)რჩ(ა)დ ხეობით, მეფე ალექსანდრე“;<sup>76</sup> 5. იმერეთის მეფის სოლომონ I-ის (1752-84) I, ოთხკუთხა ბეჭედი (2.3X2 სმ), სამსტრიქონიანი მხედრული ლეგენდით: „მონა მღთისა, ყმა ხონთქრის(ა) მეფე სოლომონ“;<sup>77</sup> 6. მეფე სოლომონ I-ის II, ამოზნექილი ზედა ნაწილის მქონე ოთხკუთხა ბეჭედი (2.3X2.3 სმ), გარშემო მხედრული, შუაში კი ასომთავრული ლეგენდით: „დავითის ნორჩი ჯვრით მტერს მოვრჩი,

<sup>73</sup> ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, 44, 47, ტაბ. VI, სურ. 14. ბეჭედი სამ დოკუმენტზეა დასმული (ხეც Hd-1832, Hd-2086 და Hd-7667). მართალია, ანა ბაქრაძეს არც ამ სამი დოკუმენტის თარიღი აქვს მითითებული და არც ამ დოკუმენტებზე დასმული ბეჭდის ლეგენდაში მოხსენიებული „მეფე გიორგის“ ვინაობა აქვს დაკონკრეტებული, თუმცა სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ განსახილველი დოკუმენტები იმერეთის მეფის გიორგი VI-ეს მიერ იყო გაცემული. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა, 50-1, 53. შესაბამისად, დიდი ალბობით შეიძლება ითქვას, რომ ამ დოკუმენტებზე დასმული ბეჭედი, აგრეთვე, მეფე გიორგი VI-ეს ეკუთვნოდა. აქვე, ვსარგებლობ შემთხვევით და მეფე გიორგი VI-ის I და II ბეჭდებთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობისას განეული ტექნიკური ხასიათის დახმარებისათვის მადლობას მოვასხენებ ჩემს ახალგაზრდა კოლეგას თამაზ გოგოლაძეს.

<sup>74</sup> ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, 44, 47, ტაბ. VI, სურ. 16. ბეჭედი ერთადერთ დოკუმენტზეა დასმული (ხეც Hd-14042). მართალია, ანა ბაქრაძეს ამ ბეჭდის ლეგენდაში მოხსენიებული „მეფე გიორგის“ ვინაობა, მეფე გიორგი VI-ის I ბეჭდის ლეგენდაში მოხსენიებული „მეფე გიორგის“ ვინაობის მსგავსად, დაკონკრეტებული არ აქვს, თუმცა სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ განსახილველი დოკუმენტი (Hd-14042) მეფე გიორგი VI-ის მიერ იყო გაცემული (ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა, 52) და შესაბამისად, საფიქრებელია, რომ ამ დოკუმენტზე დასმული ბეჭედიც ამავე გიორგი VI-ის კუთვნილება იყო.

<sup>75</sup> ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, 46, ტაბ. VI, სურ. 6. ბეჭედი 1720 და 1734-37 წლების ორ დოკუმენტზეა დასმული (ხეც Qd-9371 და Hd-2202).

<sup>76</sup> ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, 46-7, ტაბ. VI, სურ. 7. ბეჭედი 1736-44 წლების სამ დოკუმენტზეა დასმული (ხეც Hd-1910, Hd-6161 და Ad-648).

<sup>77</sup> ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, 49, ტაბ. VII, სურ. 27. ბეჭედი 1753-58 წლების ორ დოკუმენტზეა დასმული (ხეც Ad-98 (?) და Hd-2257).

მეფე სოლომონ“;<sup>78</sup> 7. მეფე სოლომონ I-ის III, ოთხკუთხა ბეჭედი (2.2X1.8 სმ), გარშემო მხედრული, შუაში კი ასომთავრული ლეგენდით: „*კეთილ ძირთაგან რტოანი, მეფედ ვარ ბაგრატიონი სოლომონ*“;<sup>79</sup> 8. მეფე სოლომონ I-ის IV, რვა-კუთხა ბეჭედი (1.4X1.3 სმ), სამსტრიქონიანი ასომთავრული ლეგენდით: „*მეფე იმერეთისა სოლომონ*“;<sup>80</sup> 9. იმერეთის მეფის დავით II-ის (1784-89) ოთხკუთხა ბეჭედი (1.4X1.2 სმ), ორსტრიქონიანი მხედრული ლეგენდით: „*მეფე იმერეთისა დავით*“;<sup>81</sup> დაბოლოს, 10. იმერეთის მეფის სოლომონ II-ის (1789-1810) რვა-კუთხა ბეჭედი (1.4X1.4 სმ), სამსტრიქონიანი ასომთავრული ლეგენდით: „*მეფე იმერთა სოლომონ*“.<sup>82</sup>

XVIII საუკუნის ქართული სამეფო ბეჭდების მეორე ჯგუფში ცხრა ბეჭედი შედის, რომლებიც ქართლის მეფეების კუთვნილება იყო. ეს ბეჭდებია: 1. ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის (შაჰ-ნავაზის) ოთხკუთხა ბეჭედი (1.8X1.7 სმ.), გარშემო და შუაში მხედრული ლეგენდით: „*დავითის ტომ(ა)დ მეფედ ვზი სპას(ა)ლ(ა)რად სახელდებული, ვახტანგ*“;<sup>83</sup> 2. ქართლის მეფის იესეს (ალიყული-ხანის) (1714-16, 1724-27) I, ოვალური ბეჭედი (2.5X2.2 სმ), გარშემო ორმაგ წრედ შემოყოლებული მხედრული ლეგენდით: „*ქ. მღითთ მეფე ცხე-ბით იესე, თესლ-ტომად დავითიანი*“;<sup>84</sup> 3. მეფე იესეს II, გუმბათისებური ბეჭედი (4.4X4.1 სმ), თერთმეტსტრიქონიანი თარიღიანი მხედრული ლეგენდით: „*ღმერთო სასჯელი შენი მეფესა მიეც და სიმართლე შენი ძესა მეფისასა. ქკს შპ (1714), ინდიკტიონს მეფობისა ჩვენისასა ა (1), მეფედ აღმოვედ იესე, ხე ნორჩად დავითიანი ალიყულიხან სახელმძესა ვამ[ტ]კიცებ დო[ვ]ლათიანი*“;<sup>85</sup> 4. ქართლის მეფის ბაქარის (1717-19) ოთხკუთხა ბეჭედი (1.4X1.3 სმ), ორსტრიქონიანი ხვეული მხედრული ლეგენდით: „*მეფე ბაქარ*“;<sup>86</sup> 5. მეფე არჩილის

<sup>78</sup> ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, 49, ტაბ. VII, სურ. 28. ბეჭედი 1766-81 წლების ორ დოკუმენტზეა დასმული (ხეც Qd-6691 და Hd-1387).

<sup>79</sup> ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, 49, ტაბ. VII, სურ. 29. ბეჭედი 1762-79 წლების ორ დოკუმენტზეა დასმული (ხეც Qd-9281 და Sd-506).

<sup>80</sup> ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, 50, ტაბ. VII, სურ. 25. ბეჭედი 1761-97 წლების სამ დოკუმენტზეა დასმული (ხეც Hd-1276, Ad-651 და Ad-585).

<sup>81</sup> ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, 48, ტაბ. VII, სურ. 1. ბეჭედი 1785-93 წლების სამ დოკუმენტზეა დასმული (ხეც Hd-1406, Ad-809 და Ad-207).

<sup>82</sup> ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, 50, ტაბ. VII, სურ. 26. ბეჭედი 1795-1810 წლების ორ დოკუმენტზეა დასმული (ხეც Ad-584 და Sd-1140).

<sup>83</sup> ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, 46, ტაბ. VI, სურ. 1. ბეჭედი ერთადერთ დოკუმენტზეა დასმული (ხეც Hd-6602).

<sup>84</sup> ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, 41, ტაბ. III, სურ. 24. ბეჭედი 1714-16 წლების ორ დოკუმენტზეა დასმული (ხეც Hd-14102 და Hd-1376).

<sup>85</sup> ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, 42, ტაბ. III, სურ. 26. ბეჭედი 1714 წლის სამ დოკუმენტზეა დასმული (ხეც Sd-466, Ad-698 და Hd-9951).

<sup>86</sup> ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, 37, ტაბ. I, სურ. 24. ბეჭედი 1718-31 წლების ორ დოკუმენტზეა დასმული (ხეც Ad-1041 და Hd-5704).

ოთხკუთხა ბეჭედი (1.8X1.8 სმ) ორსტრიქონიანი მხედრული ლეგენდით: „მეფე არჩილ“;<sup>87</sup> 6. ქართლის მეფის თეიმურაზ II-ის (1744-62) I, ოთხკუთხა ბეჭედი (2X1.6 სმ), გარშემო მხედრული, შუაში ასომთავრული თარიღიანი ლეგენდით: „მე ქრისტეს მონა, ქუეყნად შაჰანშასი, მეფე ცხებული საქართველოსი, 1744, თეიმურაზ“;<sup>88</sup> 7. მეფე თეიმურაზ II-ის II, ოთხკუთხა ბეჭედი (2X1.6 სმ), გარშემო მხედრული, შუაში ასომთავრული ლეგენდით: „ქ. დავითის ტომად, მკუ(ი) დრ ტახტზედ მჯდომად, მყო საქართველოს ღ(მერ)თ(მან) ცხებულად, მეფე თეიმურაზ“;<sup>89</sup> 8. მეფე თეიმურაზ II-ის III, ოთხკუთხა ბეჭედი (1.8X1.5 სმ), სამსტრიქონიანი მხედრული ლეგენდით „უ(ფლისა) მ(იერ) მ(ე)ფ(ე)დ ცხ(ე)ბ(უ)ლი თეიმ(უ)რ(ა)ზის დ(ა)მტკიც(ე)ბ(უ)ლი“;<sup>90</sup> დაბოლოს, 9. მეფე თეიმურაზ II-ის IV, ოთხკუთხა ბეჭედი (1.6X1.4 სმ), ოთხსტრიქონიანი მხედრული ლეგენდით „უ(ფლისა) მ(იერ) მ(ე)ფ(ე)დ ცხ(ე)ბ(უ)ლი თეიმ(უ)რ(ა)ზის დ(ა)მტკიც(ე)ბ(უ)ლი“.<sup>91</sup>

XVIII საუკუნის ქართული სამეფო ბეჭდების მესამე ჯგუფში შვიდი ბეჭედი შედის, რომლებიც კახეთის მეფეებს ეკუთვნოდა. ეს ბეჭდებია: 1. კახეთის მეფის დავით II-ის (იმამ-ყული-ხანის) (1709-22) I, ოთხკუთხა ბეჭედი (1.6X1.4 სმ), ორსტრიქონიანი მხედრული ლეგენდით: „მეფე იმამყულიხან“;<sup>92</sup> 2. მეფე დავით II-ის II, ოთხკუთხა ბეჭედი (2.1X1.8 სმ), გარშემო და შუაში მხედრული ლეგენდით: „მეფედ ვი დავით, ძირად მიდგს დავით, ვარ ჰემნიფისა გაზრდილი დავით, იმამყულიხან“;<sup>93</sup> 3. მეფე დავით II-ის III, ოთხკუთხა ბეჭედი (1.8X1.5 სმ), გარშემო და შუაში მხედრული ლეგენდით: „მონა ღთისა მეფე დავით იმამყულიხან“;<sup>94</sup> 4. კახეთის მეფის კონსტანტინე II-ის (1722-32) ოთხკუთხა ბეჭედი (1.8X1.4 სმ),

<sup>87</sup> ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, 36, ტაბ. I, სურ. 15. ბეჭედი 1736-42 წლების ორ დოკუმენტზეა დასმული (ხეც Hd-9392 და Hd-13102). აქვე, აღვნიშნავ, რომ 1730-40-იან წლებში მოღვაწე მეფე არჩილი, 1680-90-იან წლებში მოღვაწე მეფე მამუკას მსგავსად, ნაკლებად ცნობილი ისტორიული პირია და მისი მეფობის საკითხიც საფუძვლიან შესწავლას საჭიროებს.

<sup>88</sup> ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, 41, ტაბ. III, სურ. 18. ბეჭედი 1744-47(?) წლების სამ დოკუმენტზეა დასმული (ხეც Qd-337, Qd-8707 და Hd-2366).

<sup>89</sup> ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, 41, ტაბ. III, სურ. 19. ბეჭედი 1746-54 წლების სამ დოკუმენტზეა დასმული (ხეც Hd-404, Hd-1998 და Qd-827).

<sup>90</sup> ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, 41, ტაბ. III, სურ. 20. ბეჭედი 1749-60 წლების სამ დოკუმენტზეა დასმული (ხეც Hd-14626, Ad-737 და Ad-206).

<sup>91</sup> ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, 41, ტაბ. III, სურ. 21. ბეჭედი 1749 წლის დოკუმენტზეა დასმული (ხეც Hd-13184).

<sup>92</sup> ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, 42, ტაბ. IV, სურ. 4. ბეჭედი 1704-16 წლების ორ დოკუმენტზეა დასმული (ხეც Qd-586 და Ad-210).

<sup>93</sup> ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, 42, ტაბ. IV, სურ. 6. ბეჭედი 1708-16 წლების სამ დოკუმენტზეა დასმული (ხეც Ad-89, Qd-1820 და Qd-7012).

<sup>94</sup> ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, 42, ტაბ. IV, სურ. 3. ბეჭედი 1711-21 წლების ორ დოკუმენტზეა დასმული (ხეც Ad-328 და Sd-114).

ორსტრიქონიანი მხედრული ლეგენდით: „მეფე კოსტანტილე“;<sup>95</sup> 5. კახეთის მეფის თეიმურაზ II-ის (1733-44) I, ოთხკუთხა ბეჭედი (1.6X1.4 სმ), ხვეული მხედრული ლეგენდით: „თეიმურაზ“;<sup>96</sup> 6. კახეთის მეფის თეიმურაზ II-ის (1733-44) II, ოთხკუთხა ბეჭედი (2.2X1.8 სმ), გარშემო და შუაში მხედრული ლეგენდით: „ღმერთო სასჯელი შენი მეფესა მიეც და სიმართლე შენი ძესა მეფისასა განშჯად ერისა შენისა სიმართლით, თეიმურაზ“;<sup>97</sup> დაბოლოს, 7. კახეთის მეფის ალექსანდრეს ოთხკუთხა ბეჭედი (2.2X1.8 სმ), ოთხსტრიქონიანი მხედრული ლეგენდით: „ძირმოდგმით დავითიანი, ალექსანდრე ვარ სვიანი“.<sup>98</sup>

XVIII საუკუნის ქართული სამეფო ბეჭდების ბოლო, მეოთხე ჯგუფში ათი ბეჭედი შედის, რომლებიც ქართლ-კახეთის ის მეფეების კუთვნილება იყო. ეს ბეჭდებია: 1. კახეთისა (1744-62) და ქართლ-კახეთის (1762-98) მეფის ერეკლე II-ის I, ოთხკუთხა ბეჭედი (1.1/1.0X0.8/0.9 სმ), ხვეული მხედრული ლეგენდით: „ერეკლე“;<sup>99</sup> 2. მეფე ერეკლე II-ის II, რვაკუთხა ბეჭედი (2.3/2.4X2.2 სმ), გარშემო და შუაში მხედრული ლეგენდით: „ქნარს მიცემს დავით მიჯმოზს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე“;<sup>100</sup> 3. მეფე ერეკლე II-ის III, რვაკუთხა ბეჭედი (2X1.6/1.8 სმ), გარშემო მხედრული, შუაში ასომთავრული ლეგენდით: „მეფეხთ განბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ერეკლე“;<sup>101</sup> 4. მეფე ერეკლე II-ის IV, რვაკუთხა ბეჭედი (1.5X1.3/1.7 სმ), გარშემო ბერძნული, სომხური, სპარსული

<sup>95</sup> ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, 43, ტაბ. IV, სურ. 11. ბეჭედი 1722-29 წლების ორ დოკუმენტზე დასმული (ხეც Ad-646 და Hd-2191).

<sup>96</sup> ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, 41, ტაბ. III, სურ. 16. ბეჭედი 1722-39 წლების სამ დოკუმენტზე დასმული (ხეც Hd-3033, Hd-2190 და Qd-2795).

<sup>97</sup> ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, 41, ტაბ. III, სურ. 17. ბეჭედი 1740-43 წლების ორ დოკუმენტზე დასმული (ხეც Ad-492 და Ad-603).

<sup>98</sup> ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, 35, ტაბ. I, სურ. 8. ბეჭედი 1735-38 წლების ორ დოკუმენტზე დასმული (ხეც Ad-1035 და Ad-678).

<sup>99</sup> ნინო თარხნიშვილი, „მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, 1, მეფე ერეკლე II-ის ბეჭდები“, [საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველოს] სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენი, 13-14 (1966), 13-4; ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, 39, ტაბ. II, სურ. 22. ბეჭედი 1738-98 წლების ათეულობით დოკუმენტზე დასმული (ხეც Ad-1842, Ad-369 და Hd-9678; სეაცსა, ფონდი №1448, საქმე №№ 1346, 199, 31777, 2132, 2414, 2455, 2524, 2332, 2350, 2414 და სხვ.).

<sup>100</sup> თარხნიშვილი, „მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის“, 15-6; ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, 39, ტაბ. II, სურ. 19. ბეჭედი 1744-97 წლების ათეულობით დოკუმენტზე დასმული (ხეც Hd-5331, Hd-247 და Ad-645; სეაცსა, ფონდი №1448, საქმე №№ 583, 5532, 512, 3233, 1507, 478, 1470, 2066, 3044, 3637 და სხვ.).

<sup>101</sup> თარხნიშვილი, „მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის“, 16-7; ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, 39, ტაბ. II, სურ. 21. ბეჭედი 1750-97 წლების ათეულობით დოკუმენტზე დასმული (ხეც Hd-9432, Hd-2180 და Ad-117; სეაცსა, ფონდი №1448, საქმე №№ 169, 587, 125, 9208, 570, 2949, 504, 5627, 5550, 165 და სხვ.).

და ლათინური, შუაში ასომთავრული ლეგენდით: „ირაკლი“;<sup>102</sup> 5. მეფე ერეკლე II-ის V, ოვალური ბეჭედი (3.4X2.7 სმ), შუაში გვირგვინიანი საგერბო (?) გამოსახულებით, გარშემო მხედრული ლეგენდით: „*ძე ცხებულისა უფლისა მეფის თეიმურაზისა [მეფე] ერეკლე*“;<sup>103</sup> 6. მეფე ერეკლე II-ის VI, ოთხკუთხა ბეჭედი (1.8X1.5 სმ), გარშემო და შუაში მხედრული ლეგენდით: „*სული შენი მომბერე კლებულს იესო ერეკლე*“;<sup>104</sup> 7. ქართლ-კახეთის მეფის გიორგი XII-ის (1799-1800) I, ოთხკუთხა ბეჭედი (1.5X1.3 სმ), მხედრული ლეგენდით: „*გიორგი*“;<sup>105</sup> 8. ქართლ-კახეთის მეფის გიორგი XII-ის (1799-1800) II, რვაკუთხა ბეჭედი (2.1X1.8 სმ), ქანწილით დაწყებული ორსტრიქონიანი მხედრული ლეგენდით: „*მეფე გიორგი*“;<sup>106</sup> 9. მეფე გიორგი XII-ის III, რვაკუთხა ბეჭედი (2.1X1.8 სმ), ჯვრის გამოსახულებით დაწყებული ოთხსტრიქონიანი მხედრული ლეგენდით: „*მეფე სრულიად ქართლისა, კახეთისა და სხვათა გიორგი*“;<sup>107</sup> დაბოლოს, 10. მეფე გიორგი XII-ის IV, ოთხკუთხა ბეჭედი (1.3X1.1 სმ), ასომთავრული ლეგენდით: „*გიორგი*“.<sup>108</sup>

ამით შუა საუკუნეების ქართულ სამეფო ბეჭედებთან დაკავშირებული წერილობითი და ნივთიერი მასალის მიმოხილვას საბოლოოდ ვასრულებ და გარეჯული კრებულის არშიებზე დასმულ მეფე გიორგის სამეფო ბეჭედთან დაკავშირებული საკითხების შესწავლას ვუბრუნდები.

ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ დღეისათვის ქართული ისტორიოგრაფია ჩვენამდე მოღწეულ ორ სამეფო ბეჭედსა და ისტორიულ დოკუმენტებზე დასმული ორმოცდაჩვიდმეტი სამეფო ბეჭედის ანაბეჭდს იცნობს. XV-XVIII საუკუნეებით დათარიღებული ამ სამეფო ბეჭედების მეფე გიორგის ხუთჯვრიან ბეჭედთან შედარება აჩვენებს, რომ ეს უკანასკნელი გარკვეულ მსგავსებას ერთადერთ ბეჭედთან – მეფე თეიმურაზ I-ის მრგვალ ბეჭედთან ამჟღავნებს.

<sup>102</sup> თარხნიშვილი, „მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის“, 17; ბაქრაძე, *მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის*, 24, 39. ბეჭედი 1781 წლის ორ დოკუმენტზეა დასმული (ხეც Hd-13168; სეაცსა, ფონდი №1448, საქმე №189).

<sup>103</sup> თარხნიშვილი, „მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის“, 16; ბაქრაძე, *მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის*, გვ. 39, ტაბ. II, სურ. 26. ბეჭედი 1746 წლის ორ დოკუმენტზეა დასმული (სეაცსა, ფონდი №1448, საქმე №№ 162 და 1317).

<sup>104</sup> თარხნიშვილი, „მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის“, 14. ბეჭედი 1740, 1743 და 1781 წლის ოთხ დოკუმენტზეა დასმული (საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1448, საქმე №№ 189, 507, 511 და 2924).

<sup>105</sup> ბაქრაძე, *მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის*, 37, ტაბ. II, სურ. 8. ბეჭედი 1785-99 წლების ორ დოკუმენტზეა დასმული (ხეც Hd-182; ხეც Ad-123).

<sup>106</sup> ბაქრაძე, *მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის*, 37, ტაბ. II, სურ. 7. ბეჭედი 1799-1800 წლების ორ დოკუმენტზეა დასმული (ხეც Ad-190; ხეც Hd-588).

<sup>107</sup> ბაქრაძე, *მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის*, 38, ტაბ. II, სურ. 6. ბეჭედი 1798-1800 წლების ორ დოკუმენტზეა დასმული (ხეც Ad-710; ხეც Hd-7546).

<sup>108</sup> ბაქრაძე, *მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის*, 38, ტაბ. II, სურ. 5. ბეჭედი 1786-1800 წლების ორ დოკუმენტზეა დასმული (ხეც Hd-10188 და Hd-4597).

აღნიშნული მსგავსება, ძირითადად, ოთხ დეტალში ვლინდება: 1. მეფე თეიმურაზ I-ის ბეჭედი, მეფე გიორგის ბეჭდის მსგავსად, მრგვალია; 2. მეფე თეიმურაზ I-ის ბეჭდის შუაში, მეფე გიორგის ბეჭდის მსგავსად, ჯვრის გამოსახულებაა; 3. მეფე თეიმურაზ I-ის ბეჭდის შუაში გამოსახული ჯვრის მკლავებს შორის, მეფე გიორგის ბეჭდის შუაში წარმოდგენილი ჯვრის მკლავების მსგავსად, ასომთავრული წარწერაა; დაბოლოს, 4. მეფე თეიმურაზ I-ის ბეჭედს, მეფე გიორგის ბეჭდის მსგავსად, გარშემო ასომთავრული ლეგენდა შემოუყვება.

მეორე მხრივ, მეფე თეიმურაზ I-ისა და მეფე გიორგის ბეჭედებს შორის ორი არსებითი ხასიათის განმასხვავებელი დეტალი დასტურდება.

1. მეფე თეიმურაზ I-ის ბეჭდის შუაში გოლგოთის ჯვარია წამოდგენილი, რომელიც გოლგოთის მთის სიმბოლურ გამოსახულებაზე – სამკუთხა სეგმენტზეა აღმართული. თავად ეს სამკუთხა სეგმენტი ბეჭდის კიდესთანაა გამოსახული და მასში ადამის თავის ქალა (თხემი) და ორი გადაჯვარედინებული ძვალია ჩახატული. ჯვრის ოთხივე მკლავი სწორხაზოვანი და სწორია. ამასთან, განივი მკლავები, შვეულ მკლავებთან შედარებით, თვალშისაცემად გრძელია. ჯვრის ზედა მკლავზე თავთა ფიცარი, ხოლო ქვედა მკლავზე ფერხთა ფიცარია გამოსახული. ჯვრის ზედა მკლავის ზედა კიდეს სამეფო გვირგვინი ეყრდნობა, რომელზეც, თავის მხრივ, პატარა ჯვარია აღმართული. რაც შეეხება მეფე გიორგის ბეჭდის შუაში გამოსახულ ჯვარს, ის, როგორც უკვე აღვნიშნე ზემოთ, ტოლმკლავაა. მკლავები ბოლოებისაკენ თანდათანობით განივრდება. ყოველი მკლავის ბოლო კუთხეებში გამოყვანილი ორი პატარა ბურთულითაა გამშვენებული. ჯვრის თითოეული მკლავის ბოლოსაკენ გაგანიერებულ არეზე თითო პატარა ტოლმკლავა ჯვარია გამოსახული. ამ პატარა ჯვრების მკლავებიც ბოლოებისაკენ თანდათანობით განივრდება.

2. მეფე თეიმურაზ I-ის ბეჭდის შუაში გამოსახული ჯვრის მკლავებს შორის შემდეგი ტექსტია ჩანერილი: „ი(ე)ს(ვ) | ქ(რისტ)ე, | ნი|ქა|“, ხოლო ბეჭედს გარშემო შემდეგი ლეგენდა შემოუყვება: „ქ. მ[ეფე] თეიმ[უ]რ[ა]ზ, [ქა]რ[თლი] ს სიმტკიც[ით] მპყრობი“. სრულებით განსხვავებული სურათი გვაქვს მეფე გიორგის ხუთჯვრიან ბეჭედთან დაკავშირებით. ამ ბეჭდის შუაში გამოსახული ჯვრის მკლავებს შორის შემდეგი ტექსტია ჩანერილი: „ჯ(უარ)ი ქ(რისტ)სი. ჯ(უარ)ი ქ(რისტ)სი“, ხოლო ბეჭედს გარშემო შემდეგი ლეგენდა შემოუყვება: „მონად ლქმრთისად, მეფეთა მეფე გიორგი“.

როგორც ვხედავთ, მეფე თეიმურაზ I-ის მრგვალ ბეჭედსა და მეფე გიორგის ხუთჯვრიან ბეჭედს შორის გამოვლენილ მსგავსება-განსხვავებებზე დაკვირვება ცალსახად მიგვითითებს იმაზე, რომ ეს ბეჭედები სრულებით სხვადასხვა სფრაგისტიკული ნიმუშებია და მათ შორის მხოლოდ ის მსგავსებაა, რომ ამ ბეჭედებზე ამოტივრული ჯვრის გამოსახულებები და წარწერა-ლეგენდები, დაახლოებით, იდენტურ კომპოზიციას ქმნის.

მაშასადამე, საკითხის დეტალური შესწავლის შედეგად, ირკვევა, რომ გარეჯული კრებულის არშიებზე დასმული მეფე გიორგის ხუთჯვრიანი ბე-

ჭედი ქართული ისტორიოგრაფიისათვის აქამდე უცნობ სფრაგისტიკულ ნიმუშს წარმოადგენს, რომელსაც დღეისათვის ცნობილ ქართულ სამეფო ბეჭდებს შორის ზუსტი ანალოგი არ ეძებნება.

მას შემდეგ, რაც დავადგინეთ, რომ გარეჯული კრებულის არშიებზე დასმული მეფე გიორგის ხუთჯვრიანი ბეჭედი აქამდე უცნობ ქართულ სფრაგისტიკულ ნიმუშს წარმოადგენს, საჭიროა, გავარკვიოთ, სახელდობრ რომელ მეფე გიორგის ეკუთვნოდა ეს ბეჭედი და საქართველოს ისტორიის კონკრეტულად რომელ მონაკვეთში გამოიყენებოდა ის.

დღეისათვის ქართული ისტორიოგრაფია სახელი გიორგის მატარებელ სულ ოც ქართველ მეფეს იცნობს. ესენი არიან: აფხაზთა მეფეები – გიორგი I (861-68) და გიორგი II (922-57); გაერთიანებული საქართველოს მეფეები – გიორგი I (1014-27), გიორგი II (1072-89), გიორგი III (1157-84), გიორგი IV ლაშა (1207/1210/1213-23), გიორგი V ბრწყინვალე (1299, 1318-46), გიორგი VII (1393-1407) და გიორგი VIII (1446-66); აღმოსავლეთ საქართველოს მეფე გიორგი VI მცირე (1308, 1314-18); დასავლეთ საქართველოს მეფე გიორგი I (1398-92); ქართლის მეფეები – გიორგი IX (1525-27), გიორგი X (1600-06) და გიორგი XI (1676-88, 1703-09); კახეთის მეფე გიორგი II (1511-13); იმერეთის მეფეები – გიორგი II (1565-83), გიორგი III (1604-39), გიორგი VI (1703-11, 1713, 1714-16, 1719-20) და გიორგი VII (1741); ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII (1798-1800).<sup>109</sup>

ჩემი დაკვირვებით, ამ ოცი მეფე გიორგიდან ოთხი პირი ამთავითვე უნდა გამოირიცხოს. ესენი არიან: აფხაზთა მეფეები – გიორგი I და გიორგი II და გაერთიანებული საქართველოს მეფეები – გიორგი I და გიორგი II. როგორც ცნობილია, ეს პირები IX-XI საუკუნეებში მოღვაწეობდნენ. ამიტომ, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ამ მეფეთა კუთვნილი ბეჭდები მათი გარდაცვალებიდან ასწლეულებისა თუ ათწლეულების შემდეგ გადაწერილი გარეჯული კრებულის არშიებზე დაესვათ.

რაც შეეხება დანარჩენ თექვსმეტ მეფე გიორგის, მათგან კიდევ რამდენიმე პირის გამორიცხვაა შესაძლებელი, თუმცა ამისათვის საჭიროა, რომ სამ კითხვას თანმიმდევრულად გაეცეს პასუხი.

<sup>109</sup> ანდრო გოგოლაძე, „აფხაზთა“ (დასავლეთ საქართველოს) მეფეები“, *საქართველოს მეფეები* (თბილისი, 2007), 67-8, 72-3; ქეთევან ნადირაძე, „ერთიანი საქართველოს მეფეები“, *საქართველოს მეფეები* (თბილისი, 2007), 113-6; თამარ მოდებაძე, „ერთიანი საქართველოს მეფეები“, *საქართველოს მეფეები* (თბილისი, 2007), 120-1, 160-1, 166-7; თამარ ქორიძე, „ერთიანი საქართველოს მეფეები“, *საქართველოს მეფეები* (თბილისი, 2007), 134-7; ანდრო გოგოლაძე, „ერთიანი საქართველოს მეფეები“, *საქართველოს მეფეები* (თბილისი, 2007), 144-8; მიხეილ ბახტაძე, „ერთიანი საქართველოს მეფეები“, *საქართველოს მეფეები* (თბილისი, 2007), 161-5; 169-70; გურამ კუტალაძე, „ლიხთ-იმერეთის მეფეები XIII-XIV საუკუნეებში“, *საქართველოს მეფეები* (თბილისი, 2007), 174; თამარ ქორიძე, „ქართლის მეფეები“, *საქართველოს მეფეები* (თბილისი, 2007), 178-9; 185-6, 195-6; მიხეილ ბახტაძე, „კახეთის მეფეები“, *საქართველოს მეფეები* (თბილისი, 2007), 211-2, 230-1; ზუაჩიძე, „იმერეთის მეფეები“, 239-40, 243-4, 253-5, 258-9.

1. რა მიზნით არის დასმული მეფე გიორგის ხუთჯვრიანი ბეჭედი გარეჯული კრებულის არშიებზე?

ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, შუა საუკუნეების საქართველოში ბეჭედს, როგორც სიმტიციის სიმბოლოს, ორი დანიშნულებით იყენებდნენ: 1. ამონებდნენ სხვადასხვა სახის დოკუმენტებსა და კონკრეტული ადრესატისათვის გაგზავნილ წერილებს, რათა დაედასტურებინათ ამ დოკუმენტებისა თუ წერილების ნამდვილობა; და 2. ბეჭდავდნენ ამა თუ იმ კონკრეტულ საგანს, მაგალითად, თასს, ქისას, ტომარას, კარს და ა. შ., რათა შემდგომში შეემონებინათ ამ საგნის ხელუხლებლობა.<sup>110</sup>

როგორც ვხედავთ, ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული მოსაზრება შუა საუკუნეების საქართველოში ბეჭდის ორი დანიშნულებით გამოყენების შესახებ გარეჯული კრებულის არშიებზე მეფე გიორგის ბეჭდის დასმის მიზეზის ასახსნელად ვერანაირად ვერ გამოდგება: გარეჯული კრებულის ხელნაწერი წიგნია და ის, დოკუმენტის, წერილის, თასის, ქისის, ტომრის, კარისა და სხვა მსგავსი წერილობითი თუ ნივთიერი ძეგლებისაგან განსხვავებით, დამონებებსა თუ დაბეჭდვას არ საჭიროებს.

შესაბამისად, სრულებით ცხადია ისიც, რომ გარეჯული კრებულის არშიებზე მეფე გიორგის ხუთჯვრიანი ბეჭედი სულ სხვა მიზეზითაა დასმული და ეს მიზეზი, ჩემი დაკვირვებით, სხვა არაფერი შეიძლება იყოს, თუ არა მეფე გიორგის, როგორც გარეჯული კრებულის კანონიერი მესაკუთრის, უფლების დადასტურება. თუ ეს დაკვირვება სწორია, მაშინ გამოდის, რომ გარეჯული კრებული განსახილველი ბეჭდის ლეგენდაში მოხსენიებული მეფე გიორგის საკუთრებას წარმოადგენდა და მის არშიებზე აღნიშნული სამეფო ბეჭედი სწორედ მეფე გიორგის, როგორც წიგნის კანონიერი მეპატრონის, უფლების დასადასტურებლად იყო დასმული.

სამწუხაროდ, ჩემი ამ დაკვირვების შესამაგრებლად შუა საუკუნეების რომელიმე სხვა ქართული ხელნაწერი წიგნის პარალელის სახით მოხმობა, ჯერჯერობით, არ შემიძლია, ვინაიდან ქართული ხელნაწერი წიგნები, ამ თვალსაზრისით, სრულებით შეუსწავლელია.<sup>111</sup>

მეორე მხრივ, ამ მსჯელობის საპირისპიროდ, შეიძლება გაჩნდეს აზრი, რომ მეფე გიორგის ხუთჯვრიანი ბეჭედი გარეჯული კრებულის არშიებზე

<sup>110</sup> ბარნაველი, *საქართველოს საბეჭდავები*, 75-8; ოლღა სოსელია, ივანე სურგულაძე, „ბეჭედი“, *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*, ტ. 2 (თბილისი, 1977), 350-1; ივანე სურგულაძე, ოლღა სოსელია, „ბეჭედი“, *საქართველო, ენციკლოპედია*, ტ. 1 (თბილისი, 1997), 420; და სხვ.

<sup>111</sup> სხვათა შორის, ამ თემაზე 2001 წელს ქართული სფრაგისტიკის შესანიშნავ მკვლევარს, ან გარდაცვლილ ანა ბაქრაძეს საგანგებოდ ვესაუბრე. ქალბატონმა ანამ დამიდასტურა, რომ ქართული ხელნაწერი წიგნების არშიებზე დასმული ბეჭდების საკითხი ქართველ მკვლევართა მიერ არასოდეს ყოფილა შესწავლილი.



არა რაიმე ქონებრივ-სამართლებრივი დანიშნულებით, არამედ ყოველგვარი იურიდიული მიზანდასახულობის გარეშე, ვთქვათ, ბეჭდის გამოყენებაში ხელის გავარჯიშებისა თუ ანაბეჭდის მელნის ტონალობაზე (სიმკრთალე-სიმუქეზე) დაკვირვების მიზნით არის დასმული. მიუხედავად იმისა, რომ ეს მოსაზრება, ერთი შეხედვით, ნაკლებად სარწმუნო ჩანს, მისი ხელაღებით უარყოფა, შესაბამისი მასალის უქონლობის გამო, ჯერჯერობით, არ შემძლია. ამიტომ აღნიშნულ მოსაზრებას გარეჯული კრებულის არშიებზე მეფე გიორგის ბეჭდის დასმის მიზეზების ახსნის ერთ-ერთ შესაძლო ვარიანტად განვიხილავ.

მაშასადამე, საკითხის შესწავლის შედეგად, ირკვევა, რომ მეფე გიორგის ხუთჯვრიანი ბეჭედი გარეჯული კრებულის არშიებზე, სავარაუდოდ, ორი შესაძლო მიზნით იყო დასმული: 1. გარეჯული კრებული განსახილველი სამეფო ბეჭდის ლეგენდაში მოხსენიებული მეფე გიორგის საკუთრებას წარმოადგენდა და მის არშიებზე აღნიშნული ბეჭედი სწორედ მეფე გიორგის, როგორც წიგნის კანონიერი მეპატრონის, უფლების დასადასტურებლად იყო დასმული; და 2. მეფე გიორგის ხუთჯვრიანი ბეჭედი გარეჯული კრებულის არშიებზე არა რაიმე ქონებრივ-სამართლებრივი დანიშნულებით, არამედ ყოველგვარი იურიდიული მიზანდასახულობის გარეშე, ვთქვათ, ბეჭდის გამოყენებაში ხელის გავარჯიშებისა თუ ანაბეჭდის მელნის ტონალობაზე დაკვირვების მიზნით იყო დასმული.

2. სად ინახებოდა გარეჯული კრებული მის არშიებზე მეფე გიორგის ბეჭდის დასმის დროს?

მას შემდეგ, რაც გარეჯული კრებულის არშიებზე მეფე გიორგის ბეჭდის დასმის შესაძლო მიზნები მეტნაკლებად გავარკვეით, აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა საკმაოდ იოლ საქმეს წარმოადგენს.

მართლაც, თუკი ჩვენ იმ მოსაზრებისაკენ გადავიხრებით, რომ გარეჯული კრებული განსახილველი ბეჭდის ლეგენდაში მოხსენიებული მეფე გიორგის საკუთრებას წარმოადგენდა და მის არშიებზე აღნიშნული ბეჭედი სწორედ მეფე გიორგის, როგორც წიგნის კანონიერი მეპატრონის, უფლების დასადასტურებლად იყო დასმული, მაშინ ავტომატურად მივალთ იმ დასკვნამდე, რომ გარეჯული კრებული მის არშიებზე მეფე გიორგის ბეჭდის დასმის დროს სამეფო კარის საკუთრებას წარმოადგენდა და მეფეთა კუთვნილი სხვა ხელნაწერი წიგნების მსგავსად, სამეფო კარზე, სავარაუდოდ, სამეფო წიგნთსაცავში ინახებოდა.

ზუსტად ანალოგიურ დასკვნამდე მივალთ იმ შემთხვევაშიც, თუკი მეორე მოსაზრებას მივცემთ უპირატესობას და დავასკვნით, რომ მეფე გიორგის ხუთჯვრიანი ბეჭედი გარეჯული კრებულის არშიებზე რაიმე ქონებრივ-სამართლებრივი დანიშნულების გარეშე, ვთქვათ, ბეჭდის გამოყენებაში ხელის გავარჯიშებისა თუ ანაბეჭდის მელნის ტონალობაზე დაკვირვების მიზნით იყო დასმული. ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, შუა საუკუნეების საქართველოში სამეფო ბეჭდები ქვეყნის პირველი პირის

უზენაესი ძალაუფლების ნიშანს და მეფის მიერ მიღებული გადაწყვეტილების იურიდიული სიმტკიცის სიმბოლოს წარმოადგენდა, რის გამოც ამ ბეჭდების შენახვისა და გამოყენების წესები მკაცრად იყო რეგლამენტირებული. ჩვენ უკვე ვნახეთ ზემოთ, რომ 1290-იან წლებში შედგენილ „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ მოხსენიებული „დიდი სასიგელე ბეჭედი“, რომელიც მეფის მიერ გაცემული სიგელების დასაბეჭდად გამოიყენებოდა, სამეფო კართან არსებულ სპეციალურ დანესებულებაში – სალაროში ინახებოდა და მასზე ხელი მხოლოდ მოლარეთუხუცესს მიუწვდებოდა. რაც შეეხება ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენებ XVII-XVIII საუკუნეების სხვა სამეფო ბეჭდებს, სრულებით ამკარაა, რომ ეს ბეჭდებიც, აგრეთვე, სამეფო კარზე ინახებოდა: ისინი, საჭიროებიდან გამომდინარე, ან სამეფო კართან არსებულ სპეციალურ დანესებულებაში იყო დაცული ან კიდევ, საკუთრივ მეფესთან თუ მუდმივად მის ამაღლაში მყოფ მოხელესთან ინახებოდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ვფიქრობ, სავსებით ამკარაა, რომ მეფე გიორგის ბეჭდის გარეჯული კრებულის არშიებზე დასმის აქტს, როგორი არაქონებრივ-არასამართლებრივი დანიშნულებითაც არ უნდა განხორციელებულიყო ეს აქტი, უეჭველად მეფე გიორგის ბეჭდის შენახვის ადგილზე ანუ სამეფო კარზე – რომელიმე კონკრეტულ გეოგრაფიულ პუნქტში განთავსებულ სამეფო რეზიდენციასა თუ ერთი გეოგრაფიული პუნქტიდან მეორე გეოგრაფიულ პუნქტში გადაადგილებად სამეფო „სანოლ-სალაროში“ ჰქონდა ადგილი. შესაბამისად, სრულებით ცხადია ისიც, რომ მეფე გიორგის ბეჭდის გარეჯული კრებულის არშიებზე დასმის დროს გარეჯული კრებული, სამეფო ბეჭდის მსგავსად, აგრეთვე, სამეფო კარზე ინახებოდა, ეს კი, თავის მხრივ, მხოლოდ ერთი მიზეზით შეიძლება ყოფილიყო განპირობებული: როგორც ჩანს, გარეჯული კრებული მეფის საკუთრებას წარმოადგენდა და მეფეთა კუთვნილი სხვა ხელნაწერი წიგნების მსგავსად, აგრეთვე, სამეფო კარზე, სავარაუდოდ, სამეფო წიგნთსაცავში იყო დაცული.

მაშასადამე, საკითხის შესწავლის შედეგად, ირკვევა, რომ გარეჯული კრებული მის არშიებზე მეფე გიორგის ბეჭდის დასმის დროს სამეფო კარის საკუთრებას წარმოადგენდა და მეფეთა კუთვნილი სხვა ხელნაწერი წიგნების მსგავსად, სამეფო კარზე, სავარაუდოდ, სამეფო წიგნთსაცავში ინახებოდა.

3. როდის გადავიდა და როდემდე დარჩა გარეჯული კრებული სამეფო კარის საკუთრებაში?

დღეისათვის გარეჯული კრებულის ისტორიის ძირითადი ეტაპები, მისი ანდერძ-მინაწერების კოდიკოლოგიური და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზის საფუძველზე, გრიგოლ ფერაძის, ვახტანგ იმნაიშვილისა და ჩემს მიერ შემდეგი სახით არის დადგენილი:

– 1160 წელს ხელნაწერი მხატვარ-კალიგრაფმა ნიკოლოზ ნიკრაიმ გარეჯის მრავალმთაში, წმ. დავითის ლავრის მახლობლად მდებარე ბერთის სავანეში გადაწერა.<sup>112</sup>

<sup>112</sup> Peradze, “Über die georgischen Handschriften in Österreich”, 226-7; ფერაძე, „ქართული ხელ-

– 1363 წელს, მოქველი ეპისკოპოსის ლუკა ოძრხელის იერუსალიმში პილიგრიმობის დროს, გარეჯული კრებული უკვე წმიდა მინაზე იყო გადატანილი და იერუსალიმის ერთ-ერთ ქართულ ეკლესიასა თუ მონასტერში (იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტერში?) ინახებოდა.<sup>113</sup>

– 1363 წლიდან 1813-14 წლებამდე გარეჯული კრებული კვლავ წმიდა მინაზე (იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტერში?) იყო დაცული და ადგილობრივი ქართველი მონესეები თუ საქართველოდან ჩასული პილიგრიმები – აღდგომის მოძღვარი იოანე-ყოფილი იოსებ ხუნტუსძე (XV ს.), არტანუჯელი გიორგი ლომას-ძე (XV ს.), აფხაზეთის კათოლიკოსი ბართლომე (დაახლ. 1488-1519), სამცხის ათაბაგის ქაიხოსრო I-ის გაზრდილი ამბროსე (1501 წ-ის ახლოს), თბილელი მთავარეპისკოპოსი და ჯვარის მამა ბარნაბა ფავლენისშვილი (1570), ურბნელი მთავარეპისკოპოსი ვლასე საჰაკასძე (1570), ურბნელი ეპისკოპოსი სვიმეონ ჩხეიძე (1700), მონაზონი ფებრონია ხევარიძე (XVIII ს-ის I ნახ.), დიაკონი ესაია (XVIII ს.), გურიის ერისთვისშვილი, მონაზონი ქრისტეფორე შარვაშიძე (1760-იანი წწ.), მღვდელმონაზონი იოანე მუნჯი (1772), არქიმანდრიტი ანტონიოს დიასამიძე (1778), მღვდელმონაზონი ლავრენტი გოგელიძე (1806), მღვდელმონაზონი ბესარიონ ქიოტიშვილი (1813-14) და სხვები ამ ხელნაწერი წიგნის არსებობზე სხვადასხვა სახის მინაწერებს ასრულებდნენ.<sup>114</sup>

– 1845 წელს, ქართველი ლექსიკოგრაფის ნიკო ჩუბინაშვილის იერუსალიმში მოგზაურობის დროს, გარეჯული კრებული ჯერ კიდევ წმიდა მინაზე ინახებოდა და იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის წიგნთსაცავში იყო დაცული.<sup>115</sup>

– 1845-83 წლებში, ქართველი მეცნიერის ალექსანდრე ცაგარელის იერუსალიმში მოგზაურობის (1883) წინარე ხანებში, გარეჯული კრებული იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის წიგნთსაცავიდან გაურკვეველ ვითარებაში დაიკარგა.<sup>116</sup>

ნაწერების შესახებ ავსტრიაში“, 160-81; ჯოჯუა, „წმიდა მღვდელმონაშემ გრიგოლ ფერაძე“, 93-100, 118-21.

<sup>113</sup> ჯოჯუა, „მოქვის უცნობი ეპისკოპოსი ლუკა ოძრხელი“, 41-2.

<sup>114</sup> Peradze, „Über die georgischen Handschriften in Österreich“, 226-7, 231-2; ფერაძე, „ქართული ხელნაწერების შესახებ ავსტრიაში“, 164-6, 168-9, 172; ჯოჯუა, „წმიდა მღვდელმონაშემ გრიგოლ ფერაძე“, 94-5, 100-5, 109-15, 121-9, 136-41; მისივე, „XII საუკუნის გარეჯული კრებულის“, 117-32; მისივე, „არტანუჯელი პილიგრიმის გიორგი ლომას-ძის სავედრებელი“, 121-34; მისივე, „გელათელი მონაზონის – ლევან IV დადიანის“, 153-73; მისივე, „მღვდელმონაზონი იოანე მუნჯის ბიბლიოგრაფიული მინაწერი“, 201-12; მისივე, „გურიის ერისთვისშვილის, მონაზონ ქრისტეფორე შარვაშიძის“, 148-94; მისივე, „უცნობი ურბნელი ეპისკოპოსის სვიმონ ჩხეიძის“, 131-48.

<sup>115</sup> ჯოჯუა, „წმიდა მღვდელმონაშემ გრიგოლ ფერაძე“, 104, 129.

<sup>116</sup> Peradze, „Über die georgischen Handschriften in Österreich“, 227; ფერაძე, „ქართული ხელნაწერების შესახებ ავსტრიაში“, 161, 165; ჯოჯუა, „წმიდა მღვდელმონაშემ გრიგოლ ფერაძე“, 104, 129.

– 1831 წელს გარეჯული კრებული პროფესორმა ტურკერმა ეგვიპტეში, ქალაქ ალექსანდრიაში, ვინმე ადგილობრივი ანტიკვარისაგან შეიძინა და ავსტრიაში, ვენის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გადაგზავნა.<sup>117</sup>

– 1831 წლიდან დღემდე გარეჯული კრებული ავსტრიაში, ვენის ეროვნული ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერი წიგნების ფონდში ინახება.<sup>118</sup>

როგორც ვხედავთ, გარეჯული კრებულის ხანგრძლივ ისტორიაში მხოლოდ ერთი ისეთი ქრონოლოგიური მონაკვეთი გამოიყოფა, რომლის დროსაც შეიძლება, რომ ხელნაწერი სამეფო კარის მფლობელობაში მოხვედრილიყო. ეს ქრონოლოგიური მონაკვეთი 1160 წლიდან 1363 წლამდე პერიოდს მოიცავს. რაც შეეხება 1363 წლის შემდგომ, უფრო ზუსტად კი, 1845-83 წლებამდე პერიოდს, ამ ქრონოლოგიურ მონაკვეთში, გარეჯული კრებული უეჭველად წმიდა მიწაზე იყო გადატანილი, იერუსალიმის ერთ-ერთ ქართულ ეკლესიასა თუ მონასტერში ინახებოდა და ამ კონკრეტული სავანის (იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის?) საკუთრებას წარმოადგენდა.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, ვფიქრობ, არ შეეცდები, თუკი დავასკვნი, რომ გარეჯული კრებული საქართველოს სამეფო კარის მფლობელობაში მხოლოდ 1160-1363 წლებში შეიძლება მოხვედრილიყო. შესაბამისად, საბოლოოდ დგინდება ისიც, რომ მეფე გიორგის ბეჭედი გარეჯული კრებულის არშიებზე სწორედ აღნიშნულ პერიოდში ანუ 1160-1363 წლებში იყო დასმული.

მას შემდეგ, რაც ზემოთ დასმულ სამ კითხვას პასუხი გავეცი, კვლავ გარეჯული კრებულის არშიებზე დასმული სამეფო ბეჭდის ლეგენდაში მოხსენიებული მეფე გიორგის ვინაობის საკითხს ვუბრუნდები და XII-XVIII საუკუნეებში მოღვაწე თექვსმეტი მეფე გიორგიდან კიდევ თორმეტ პირს გამოვრიცხავ. ესენი არიან: გაერთიანებული საქართველოს მეფეები – გიორგი VII და გიორგი VIII; დასავლეთ საქართველოს მეფე გიორგი I; ქართლის მეფეები – გიორგი IX, გიორგი X და გიორგი XI; კახეთის მეფე გიორგი II; იმერეთის მეფეები – გიორგი II, გიორგი III, გიორგი VI და გიორგი VII; დაბოლოს, ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII. დასახელებული თორმეტი მეფე გიორგი 1393 წლიდან 1800 წლამდე პერიოდში მოღვაწეობდა და ამიტომ მათ კუთვნილ სამეფო ბეჭედს 1363 წლიდან 1845-83 წლებამდე იერუსალიმის ერთ-ერთ ქართულ ეკლესიასა თუ მონასტერში დაცული და ამავე სავანის კუთვნილი გარეჯული კრებულის არშიებზე, ცხადია, ვერანაირად ვერ დასვამდნენ.

<sup>117</sup> Peradze, “Über die georgischen Handschriften in Österreich”, 227; იმნაიშვილი, *სინას მთიდან გრაცამდის*, 24; მისივე, *უძველესი ქართული ხელნაწერები ავსტრიაში*, 22; ფერაძე, „ქართული ხელნაწერების შესახებ ავსტრიაში“, 161, 165; იმნაიშვილი, „უძველესი ქართული ხელნაწერები უცხოეთის“, 10.

<sup>118</sup> Peradze, “Über die georgischen Handschriften in Österreich”, 220, 226-32; იმნაიშვილი, *სინას მთიდან გრაცამდის*, 24; მისივე, *უძველესი ქართული ხელნაწერები ავსტრიაში*, 22; ფერაძე, „ქართული ხელნაწერების შესახებ ავსტრიაში“, 160-1, 164-9, 170, 172-3; იმნაიშვილი, „უძველესი ქართული ხელნაწერები უცხოეთის“, 10-2.

მაშასადამე, საკითხის შესწავლის შედეგად, დგინდება, რომ გარეჯული კრებულის არშიებზე 1160 წლიდან 1363 წლამდე პერიოდში დასმული მეფე გიორგის ბეჭდის მფლობელი მხოლოდ ის ოთხი მეფე გიორგი შეიძლება ყოფილიყო, რომლებიც ქვეყნის სამეფო ტახტს 1160 წლიდან 1346 წლამდე პერიოდში ფლობდნენ. ესენი არიან: გაერთიანებული საქართველოს მეფე გიორგი III, გაერთიანებული საქართველოს მეფე გიორგი IV ლაშა, გაერთიანებული საქართველოს მეფე გიორგი V ბრწყინვალე და აღმოსავლეთ საქართველოს მეფე გიორგი VI მცირე.

სამწუხაროდ, ჩემს ხელთ არსებული მასალა, ჯერჯერობით, საშუალებას არ მძლევს, კიდევ უფრო მეტად დავაკონკრეტო გარეჯული კრებულის არშიებზე დასმული სამეფო ბეჭდის ლეგენდაში მოხსენიებული მეფე გიორგის ვინაობა, ამიტომ, საკითხის შესწავლის ამ ეტაპზე, სამეცნიერო საზოგადოებას მხოლოდ იმ დასკვნას ვთავაზობ, რომ განსახილველი სამეფო ბეჭედი ზემოთ დასახელებული ოთხი მეფე გიორგიდან ერთ-ერთს – ან გიორგი III-ეს, ან გიორგი IV ლაშას, ან გიორგი V ბრწყინვალეს, ან კიდევ, გიორგი VI მცირეს ეკუთვნოდა და ის გარეჯული კრებულის არშიებზე ამ ოთხი მეფის მმართველობის პერიოდში ანუ 1160-1346 წლებში იყო დასმული.<sup>119</sup>

ამგვარად, ირკვევა, რომ გარეჯული კრებულის არშიებზე დასმული მეფე გიორგის ხუთჯვრიანი ბეჭდის სახით ხელთ გვაქვს აქამდე სრულებით უცნობი, უნიკალური სფრაგისტიკული ნიმუში – 1160-1346 წლებში მოღვაწე ქართველი მეფის გიორგის კუთვნილი სამეფო ბეჭედი, რომელიც დღეისათვის ცნობილ უძველეს ქართულ სამეფო ბეჭედს – ქართლ-იმერეთის მეფის ბაგრატ VI-ის ოთკუთხა ბეჭედს, ქრონოლოგიური თვალსაზრისით, მაქსიმუმ, სამასი, ხოლო, მინიმუმ, ას ოცდახუთი წლით უსწრებს წინ.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ბუნებრივად იბადება კიდევ ერთი საინტერესო კითხვა: როდის ან რა მიზეზით აღმოჩნდა 1160 წელს გარეჯის მრავალმთაში გადაწერილი ხელნაწერი წიგნი ჯერ ქვეყნის სამეფო კარის საკუთრებაში, ხოლო შემდეგ უკვე იერუსალიმის ერთ-ერთი ქართული ეკლესიისა თუ მონასტრის მფლობელობაში?

შესაბამისი მასალების უქონლობის გამო, ჯერჯერობით, არ შემიძლია, დასმული კითხვის პირველ ნაწილს რაიმე პასუხი გავცე ანუ ავხსნა, 1160 წელს გარეჯის მრავალმთაში გადაწერილი ხელნაწერი წიგნი როდის ან რა მიზეზით აღმოჩნდა სამეფო კარის საკუთრებაში. რაც შეეხება განსახილველი კითხვის მეორე ნაწილს, ამასთან დაკავშირებით, შედარებით უფრო ჩამოყალიბებული პოზიცია მაქვს და ვფიქრობ, რომ სამეფო კარის კუთვნილი გარეჯული კრე-

<sup>119</sup> აქ მითითებული ქრონოლოგიური მონაკვეთის – 1160-1346 წლების ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი – 1160 წელი გარეჯული კრებულის გადაწერის თარიღია, ხოლო ზედა ქრონოლოგიური ზღვარი – 1346 წელი დასახელებულ ოთხ მეფე გიორგის შორის ყველაზე უფრო მოგვიანო პერიოდში მოღვაწე პირის – მეფე გიორგი V ბრწყინვალის გარდაცვალების თარიღს წარმოადგენს.

ბული წმიდა მინაზე 1363 წლის წინარე ხანებში ანუ XIV საუკუნის I ნახევარში, მეფე გიორგი V ბრწყინვალის მიერ იყო გაგზავნილი. ამგვარი დასკვნისაკენ ორი კონკრეტული გარემოება მიბიძგებს:

ა) გარეჯული კრებულის არშიებზე 1363-1845/83 წლებით დათარიღებული ასზე მეტი მინაწერია დაცულია, რომლებიც იერუსალიმის ქართულ ეკლესია-მონასტრებში მოღვაწე ქართველი მოწესეებისა და საქართველოდან წმიდა მინაზე ჩასული პილიგრიმების მიერ არის შესრულებული. ვფიქრობ, ამ კოლოფონების უჩვეულოდ დიდი რაოდენობა (ასზე მეტი ერთეული) და მათი შესრულების ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი (1363 წელი) ლოგიკურად მიუთითებს იმაზე, რომ გარეჯული კრებული წმიდა მინაზე 1363 წლამდე არცთუ დიდი ხნის წინ ანუ XIV საუკუნის I ნახევარში იყო გადატანილი, რადგან ამ ხელნაწერი წიგნის წმიდა მინაზე კიდევ უფრო ადრე, ვთქვათ, XII საუკუნის II ნახევარსა თუ XIII საუკუნის I მეოთხედში, გადატანის შემთხვევაში, გარეჯული კრებულის არშიებზე ზემოხსენებული მინაწერების შესრულებას არა 1363 წლიდან, არამედ ბევრად უფრო ადრეული პერიოდიდან, სულ გვიან, XIII საუკუნის II ნახევრიდან მაინც დაინწყებდნენ.

ბ) დღეისათვის ქართველ მკვლევართა მიერ არგუმენტირებულად არის დადგენილი, რომ მეფე გიორგი V ბრწყინვალემ თავისი მმართველობის დროს ანუ XIV საუკუნის I ნახევარში დიდი დახმარება გაუწია იერუსალიმის ქართულ კოლონიას და უდიდესი წვლილი შეიტანა წმიდა მინის ქართული ეკლესია-მონასტრების ქონებრივ-სამართლებრივი მდგომარეობის მოწესრიგება-გაუმჯობესების საქმეში, რომლებიც 1270-იანი წლებიდან მოყოლებული XIV საუკუნის დასაწყისამდე, ეგვიპტის მამლუქთა სახელმწიფოს მხრიდან მათ მიმართ გატარებული რეპრესიული პოლიტიკის გამო, უძძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდა.<sup>120</sup>

ჩემი დაკვირვებით, საქართველოს სამეფო კარის კუთვნილი გარეჯული კრებულის წმიდა მინაზე გადატანის ფაქტი სწორედ მეფე გიორგი V ბრწყინვალის მიერ იერუსალიმის ქართული კოლონიის მიმართ გატარებული პოლიტიკის კონტექსტშია განსახილველი. როგორც ჩანს, მეფე გიორგი V ბრწყინვალე მხოლოდ წმიდა მინის ქართული სავანეების ქონებრივ-სამართლებრივი მდგომარეობის მოწესრიგება-გაუმჯობესებისათვის კი არ იღვწოდა, არამედ ადგილობრივი ქართული ეკლესია-მონასტრების წიგნთსაცავების შევსება-გამდიდრებაზეც ზრუნავდა და ამ მიზნით, იერუსალიმის ქართულ კოლონიას სამეფო კარის წიგნთსაცავში დაცულ ხელნაწერ წიგნებსაც უგზავნიდა.

მაშასადამე, საკითხის შესწავლის შედეგად, ირკვევა, რომ საქართველოს

<sup>120</sup> ელენე მეტრეველი, *მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.)* (თბილისი, 1962), 41-8; ვაჟა კიკნაძე, (თბილისი, 1989), 63-5; დავით ნინიძე, „საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XIV საუკუნის ბოლოსა და XV საუკუნის დამდეგს“, *ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები*, I (თბილისი, 1998), 492-9; და სხვ.

სამეფო კარის კუთვნილი გარეჯული კრებული წმიდა მინაზე XIV საუკუნის I ნახევარში, მეფე გიორგი V ბრწყინვალეს მიერ, იერუსალიმის ქართული კოლონიის კუთვნილი ერთ-ერთი მონასტრის (იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის?) წიგნთსაცავის შევსება-გამდიდრების მიზნით იყო გაგზავნილი.

მიღებული დასკვნის შემდეგ, ჩვენს წინაშე მორიგი ახალი კითხვა დგება: თუ გარეჯული კრებული წმიდა მინაზე ნამდვილად მეფე გიორგი V ბრწყინვალეს მიერ იყო გაგზავნილი, მაშინ ამ ხელნაწერი წიგნის არშიებზე დასმული მეფე გიორგის ხუთჯვრიანი ბეჭედიც სწორედ ამ მეფეს ხომ არ ეკუთვნოდა?

ჩემი ვარაუდით, გარეჯული კრებულის არშიებზე დასმული სამეფო ბეჭედი მართლაც მეფე გიორგი V ბრწყინვალის საკუთრება უნდა იყოს, თუმცა, აღნიშნული ვარაუდის რაიმე არგუმენტაციით შემაგრება, ჯერჯერობით, არ შემძლია. არადა, ამ არგუმენტაციის მოტანის გარეშე განსახილველი სამეფო ბეჭდის ლეგენდაში მოხსენიებული მეფე გიორგის მაინცადამაინც მეფე გიორგი V ბრწყინვალესთან გაიგივება ხელოვნური და ნაკლებად დამაჯერებელი იქნება. სამწუხაროდ, ამ საკითხის საბოლოოდ გარკვევის საქმეში ვერც ის ფაქტი გვინევს რაიმე ქმედით დახმარებას, რომ გარეჯული კრებული წმიდა მინაზე მეფე გიორგი V ბრწყინვალის მიერ იყო გაგზავნილი. მართლაც, სულაც არ არის გამორიცხული, რომ 1160 წელს გარეჯის მრავალმთაში გადანერილი ხელნაწერი კრებული საქართველოს სამეფო კარის მფლობელობაში XII საუკუნის III მეოთხედში ან XIII საუკუნის I მეოთხედში მოხვედრილიყო, შესაბამისად, მის არშიებზე მეფე გიორგი III-ის ან მეფე გიორგი IV ლაშას კუთვნილი ბეჭედი დაესვათ, XIV საუკუნის I ნახევარში კი მეფე გიორგი V ბრწყინვალეს წმიდა მინაზე უკვე მისი წინაპრების ბეჭედდასმული ხელნაწერი წიგნი გაეგზავნა. ასე, რომ დასმულ კითხვაზე არგუმენტირებული პასუხის გაცემა, ჯერჯერობით, მართლაც შეუძლებელია.

ამით მეფე გიორგის ხუთჯვრიან ბეჭედთან დაკავშირებული ისტორიული-წყაროთმცოდნეობითი საკითხების შესწავლას საბოლოოდ ვასრულებ, თუმცა კი, მანამდე, მსურს, ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მდგომ ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემას შევეხო, რომლის გადაჭრის საქმეში გარკვეული როლი, შესაძლოა, მეფე გიორგის ხუთჯვრიანმა ბეჭედმაც შეასრულოს. მხედველობაში მაქვს შუა საუკუნეების საქართველოს სახელმწიფო დროშის, უფრო ზუსტად კი, ე. წ. ხუთჯვრიანი დროშის საკითხი, რომელთან დაკავშირებითაც ქართულ ისტორიოგრაფიაში ორი განსხვავებული მოსაზრებაა გამოთქმული. ქართველ მკვლევრები: იოსებ ბიჭიკაშვილი, დავით მუსხელიშვილი, დავით კლდიაშვილი ალექსანდრე თვარაძე და სხვები, შესაბამისი არგუმენტაციის საფუძველზე, ფიქრობენ, რომ შუა საუკუნეების სახელმწიფო დროშა თეთრი ფერისა იყო, რომელზეც ხუთი წითელი ჯვარი იყო გამოსახული: დიდი ჯვარი – დროშის შუაში, ხოლო

ოთხი პატარა ჯვარი – დიდი ჯვრის მკლავთაშორის არეებზე.<sup>121</sup> სხვა ქართველი მკვლევრები: პარმენ ზაქარაია, მარიამ ლორთქიფანიძე, როინ მეტრეველი, ნოდარ შოშიაშვილი, გივი ჯამბურია, ოთარ ჯაფარიძე, აპოლონ სილაგაძე, გოჩა ჯაფარიძე და სხვები აღნიშნულ მოსაზრებას არ იზიარებენ და საპასუხო არგუმენტაციაზე დაყრდნობით, მიიჩნევენ, რომ ხუთჯვრიანი დროშის შუა საუკუნეების ქართულ სახელმწიფო დროშად გამოცხადებისათვის რაიმე საფუძველი არ არსებობს.<sup>122</sup>

დასახელებულ მკვლევართა მიერ მოხმობილი არგუმენტაციის განხილვასა და ამ არგუმენტაციის მიმართ ჩემი პოზიციის დაფიქსირებისაგან, რიგი მიზეზების გამო, ჯერჯერობით, თავს შევიკავებ, თუმცა კი, ხაზგასმით აღვნიშნავ იმ ფაქტს, რომ გარეჯული კრებულის არშიებზე დასმულ მეფე გიორგის ხუთჯვრიან ბეჭედთან დაკავშირებული საკითხების ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზის შედეგები იმ მკვლევართა მოსაზრებას უჭერს მხარს, რომლებიც ფიქრობენ, რომ შუა საუკუნეების საქართველოს სახელმწიფო დროშაზე ხუთჯვრიანი კომპოზიცია იყო გამოსახული. მართლაც, თუკი ჩვენ მართებულად მივიჩნევთ ზემოთ მიღებულ დასკვნას, რომ 1160-1346 წლებში მოღვანე მეფე გიორგის კუთვნილ ბეჭედზე ხუთჯვრიანი კომპოზიცია იყო წარმოდგენილი, მაშინ კიდევ უფრო საფუძვლიანი გახდება ის მოსაზრება, რომ ამავე XII-XIV საუკუნეების სახელმწიფო დროშაზე, შესაბამისი პერიოდის სამეფო ბეჭდის მსგავსად, აგრეთვე, ხუთჯვრიანი კომპოზიცია იყო გამოსახული.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სამეცნიერო საზოგადოებას შემდეგ ძირითად დასკვნებს ვთავაზობ:

1. ავსტრიაში, ვენის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული 1160 წლის გარეჯული ხელნაწერი კრებულის (Ven.4) 56r-სა და 105r-ზე აქამდე უცნობი ქართული სფრაგისტიკული ნიმუშის – მრგვალი, 3.6 სმ დიამეტრის მქონე ბეჭდის ხუთი ანაბეჭდია წარმოდგენილი. ანაბეჭდები საკმაოდ ცუდად განირჩევა, რაც მათ შესწავლას მნიშვნელოვნად ართულებს.

<sup>121</sup> იოსებ ბიჭიკაშვილი, „საქართველოს სახელმწიფო ისტორიული დროშისა და გერბის შესახებ“, *საქართველოს რესპუბლიკა*, 134 (2507), 12 ივნისი (1997), 7; დავით მუსხელიშვილი, „ერთიანი საქართველოს სახელმწიფო დროშა შუა საუკუნეებში“, *ლიტერატურული საქართველო*, 11 (3164), 13-20 მარტი (1998), 5; Давид Мухелишвили, „Государственный флаг единой Грузии в средние века“, *Свободная Грузия*, 91-92 (21314), 3 апреля (1998), добавление, 2; დავით კლდიაშვილი, *ქართული პერალდიკის ისტორია, საქართველოს სახელმწიფოებრიობის სიმბოლოები*, წიგნი I, დროშა სვიანად მოხმარებული (თბილისი, 2002), 33-68; ალექსანდრე თვარაძე, *საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში, XII-XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალის საფუძველზე* (თბილისი, 2004), 73-123.

<sup>122</sup> პარმენ ზაქარაია, მარიამ ლორთქიფანიძე, როინ მეტრეველი, ნუკრი შოშიაშვილი, გივი ჯამბურია, ოთარ ჯაფარიძე, „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ“, *საქართველოს რესპუბლიკა*, 56 (2756), 10 მარტი (1998), 1, 9; აპოლონ სილაგაძე, გოჩა ჯაფარიძე, *ავმართე დროშა მეფისა, აღმთა ნითელ-შავითა* (თბილისი, 1999); და სხვ.



2. ანაბეჭდებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ შესაბამის ბეჭედზე ხუთჯვრიანი კომპოზიციის მეტად ორიგინალური ვარიანტი იყო წარმოდგენილი: ბეჭდის შუაში დიდი ზომის ტოლმკლავა ჯვარი იყო გამოსახული, რომლის მკლავთაშორის არეებშიც, ოთხი პატარა ჯვრის გამოსახვის ნაცვლად, ზუსტად იმავე მნიშვნელობის მქონე ოთხი დაქარგმებული, ორ-ორ გრაფემიანი ასომთავრული სიტყვა: „*ჯუარი ქრისტსი. ჯუარი ქრისტსი*“ იყო ჩანერილი. ამ სიტყვების დაწერილობაში, გამომსახველობითი თვალსაზრისით, ნამყვან, დომინანტურ როლს, პირველი გრაფემები – X (ჯ) და † (ქ) ასრულებდა, რომლებიც, თავის მხრივ, სწორედ ჯვართან მიახლოებული მოხაზულობით იყო გადმოცემული. ამ თავისებურების გამო მნახველის მიერ ეს სიტყვები, ვიზუალურადაც კი, მათი ნაკითხვის გარეშე, დიდი ჯვრის მკლავთაშორის არეებზე გამოსახულ ჯვრებად აღიქმებოდა.

3. ანაბეჭდებზე დაკვირვება აჩვენებს, რომ შესაბამის ხუთჯვრიან ბეჭედს გარშემო ასომთავრული ლეგენდა შემოუყვებოდა, რომელიც შემდეგი სახით იკითხებოდა: „*მონაღ ღმრთისაჲ, მეფეთა მეფე გიორგი*“. როგორც ლეგენდიდან ირკვევა, გარეჯული კრებულის არშიებზე დასმული ხუთჯვრიანი ბეჭედი სამეფო ბეჭედი იყო და ის ვინმე მეფე გიორგის ეკუთვნოდა.

4. ნაშრომში დაწვრილებით შევისწავლე ჩვენამდე მოღწეულ წერილობით ძეგლებში დაცული ცნობები ქართული სამეფო ბეჭდების შესახებ, XX საუკუნემდე მოღწეული ქართული სამეფო ბეჭდები და ისტორიულ დოკუმენტებსა თუ ოფიციალურ წერილებზე დასმული ქართული სამეფო ბეჭდების ანაბეჭდები. კვლევა აჩვენებს, რომ მეფე გიორგის ხუთჯვრიან ბეჭედს, ჯერჯერობით, ანალოგი არ ეძებნება.

5. დგინდება, რომ 1160-1346 წლებს შორის პერიოდში გარეჯული კრებული ხუთჯვრიანი ბეჭდის ლეგენდაში მოხსენიებული მეფე გიორგის საკუთრებას წარმოადგენდა და სამეფო წიგნთსაცავში ინახებოდა. გარდა ამისა, ირკვევა ისიც, რომ ხუთჯვრიანი ბეჭედი გარეჯული კრებულის არშიებზე ამ ბეჭდის ლეგენდაში მოხსენიებული მეფე გიორგის, როგორც წიგნის კანონიერი მეპატრონის, უფლების დასადასტურებლად ან რაიმე იურიდიული მიზანდასახულობის გარეშე, ვთქვათ, ბეჭდის გამოყენებაში ხელის გავარჯიშებისა თუ ანაბეჭდის მელნის ტონალობაზე დაკვირვების მიზნით იყო დასმული.

6. ირკვევა, რომ ხუთჯვრიანი ბეჭდის ლეგენდაში მოხსენიებული მეფე გიორგი მხოლოდ 1160-1346 წლებში მოღვაწე ოთხ ისტორიულ პირთან შეიძლება გაიგივდეს. ესენი არიან: გაერთიანებული საქართველოს მეფე გიორგი III, გაერთიანებული საქართველოს მეფე გიორგი IV ლაშა, გაერთიანებული საქართველოს მეფე გიორგი V ბრწყინვალე და აღმოსავლეთ საქართველოს მეფე გიორგი VI მცირე. შესაბამისად, დგინდება ისიც რომ მეფე გიორგი ხუთჯვრიანი ბეჭედი დღეისთვის ცნობილი უძველესი ქართული სამეფო ბეჭედიცაა.

7. დგინდება, რომ XIV საუკუნის I ნახევარში მეფე გიორგი V ბრწყინვალემ სამეფო წიგნთსაცავში დაცული გარეჯული კრებული წმიდა მინაზე გაგზავნა

და იერუსალიმის ერთ-ერთ ქართულ მონასტერს (იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტერს?) შესწირა. მეფე გიორგის ეს ნაბიჯი, სავარაუდოდ, შესაბამისი მონასტრის წიგნთსაცავის შევსება-გამდიდრებას ისახავდა მიზანად.

8. გარეჯული კრებულის არშიებზე წარმოდგენილი ანაბეჭდების შესწავლას შუა საუკუნეების საქართველოს სახელმწიფო დროშის საკითხის გადამწყვეტისათვისაც აქვს გარკვეული მნიშვნელობა: მეფე გიორგის 1160-1346 წლებით დათარიღებულ სამეფო ბეჭედზე ხუთჯვრიანი კომპოზიციის არსებობის ფაქტი ერთგვარად ამყარებს იმ მკვლევართა მოსაზრებას, რომლებიც ფიქრობენ, რომ შუა საუკუნეების ქართულ სახელმწიფო დროშაზე ხუთჯვრიანი კომპოზიცია იყო გამოსახული.

### ბიბლიოგრაფია

აკაკი [აკაკი წერეთელი]. სამძიმარი. გაზ. ივერია. №182. 8 აგვისტო. ე. ხელაძის სტამბა. თფილისი, 1904.

ანთელავა ილია. საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII საუკუნეებში. თბილისი, 1983

ანთელავა ილია. „ხელმწიფის კარის გარიგების“ დათარიღებისა და ავტორის შესახებ“. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 4, 1982

ანი. სამტრედია (იმერეთი). ცნობის ფურცელი. №2649. 24 ოქტემბერი. ტფილისი, 1904

ახალი ამბავი. ცნობის ფურცელი. №2563. 24 ივლისი. ტფილისი, 1904

ახალი ამბავი. ცნობის ფურცელი. №2569. 30 ივლისი. ტფილისი, 1904

ახალი ამბავი. ცნობის ფურცელი. №2618. 22 სექტემბერი. ტფილისი, 1904

ბარნაველი სარა. საქართველოს საბეჭდავები და სხვა გლიპტიკური მასალები (ნარკვევები). თბილისი, 1965

ბაქრაძე ანა. მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის. კატალოგი. ნაწილი I. თბილისი. 1978

ბაქრაძე ანა. ქართული ბეჭდები. 1. სამეფო ბეჭდები. პალეოგრაფიული ძიებანი. II. თბილისი, 1969

ბახტაძე მიხეილ. ერთიანი საქართველოს მეფეები. საქართველოს მეფეები. თბილისი, 2007

ბახტაძე მიხეილ. კახეთის მეფეები. საქართველოს მეფეები. თბილისი, 2007

ბიჭიკაშვილი იოსებ. საქართველოს სახელმწიფო ისტორიული დროშისა და გერბის შესახებ. საქართველოს რესპუბლიკა, 134 (2507), 12 ივნისი, 1997

ბუაჩიძე კახა. იმერეთის მეფეები. საქართველოს მეფეები. თბილისი, 2007

გელათის მონასტრის გაძარცვის გამო. ცნობის ფურცელი. სურათებიანი დამატება. №240. 29 ივლისი. ტფილისი, 1904

გოგოლაძე ანდრო. „აფხაზთა“ (დასავლეთ საქართველოს) მეფეები. საქართველოს მეფეები. თბილისი, 2007

გოგოლაძე ანდრო. ერთიანი საქართველოს მეფეები. საქართველოს მეფეები. თბილისი, 2007

ეპისკოპოსი იმერეთისა ლეონიდი [ლეონიდე ოქროპირიძე]. წერილი რედაქციის მიმართ. ივერია. №179. 4 აგვისტო. ტფილისი, 1904

ზაქარაია პარმენ, ლორთქიფანიძე მარიამ, მეტრეველი როინ, შო-შიაშვილი ნუკრი, ჯამბურია გივი, ჯაფარიძე ოთარ. საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკის შესახებ. საქართველოს რესპუბლიკა, 56 (2756), 10 მარტი, 1998

თარხნიშვილი ნინო. მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის. 1. მეფე ერეკლე II-ის ბეჭდები. [საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველოს] სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენი, 13-14, 1966

თაყაიშვილი ექვთიმე. კელმნიფის კარის გარიგება. ტფილისი, 1920

თვარაძე ალექსანდრე. საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში. XII-XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალის საფუძველზე. თბილისი, 2004

იაკობაშვილი ირაკლი. გელათში 100 წლის წინ. სამარცხვინო ყაჩაღობის ქრონიკები. 24 საათი, 170 (719), 20 ივლისი, 2004

ივერია. №219. 23 სექტემბერი. ტფილისი, 1904

იმნაიშვილი ვახტანგ. სინას მთიდან გრაცამდის (გრაცის ხელნაწერების ისტორია). თბილისი, 2001

იმნაიშვილი ვახტანგ. უძველესი ქართული ხელნაწერები ავსტრიაში. ხანმეტი ლექციონარი, ფსალმუნი, სვიმეონ სილოსის ცხოვრება, იოვანე ოქროპირისა და იაკობ მოციქულის ჟამისწირვები... თბილისი, 2004

იმნაიშვილი ვახტანგ. უძველესი ქართული ხელნაწერები უცხოეთის წიგნთსაცავებში. შოთა რუსთაველის სახელობის სტიპენდიანტთა შრომები. I ტომი. თბილისი, 2008

ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდის სამთავროებისა (1466-1777 წწ.). წიგნი I. ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო შოთა ბურჯანაძემ. თბილისი, 1958

კ. დ. გელათის მონასტრის გაძარცვის გამო. ცნობის ფურცელი. №2568. 29 ივლისი. ტფილისი, 1904

კაკაბაძე სარგის. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. ნ. II. ტფილისი, 1921

კეზევაძე მერაბ. გელათის მონასტერი ეგზარქოსობის დროს. ქუთაისი, 2006  
კიკნაძე ვაჟა. საქართველო XIV საუკუნეში. თბილისი, 1989

კლდიაშვილი დავით. ქართული ჰერალდიკის ისტორია. საქართველოს

სახელმწიფოებრიობის სიმბოლოები. წიგნი I. დროშა სვიანად მოხმარებული. თბილისი, 2002

კუტალაძე გურამ. ლიხთ-იმერეთის მეფეები XIII-XIV საუკუნეებში. საქართველოს მეფეები. თბილისი, 2007

მეტრეველი ელენე. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.). თბილისი, 1962

მოდებაძე თამარ. ერთიანი საქართველოს მეფეები. საქართველოს მეფეები. თბილისი, 2007

მუსხელიშვილი დავით. ერთიანი საქართველოს სახელმწიფო დროშა შუა საუკუნეებში. ლიტერატურული საქართველო, 11 (3164), 13-20 მარტი, 1998

ნადირაძე ქეთევან. ერთიანი საქართველოს მეფეები. საქართველოს მეფეები. თბილისი, 2007

ნინიძე დავით. საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XIV საუკუნის ბოლოსა და XV საუკუნის დამდეგს. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. ნაწ. I. თბილისი, 1998

პაიჭაძე გიორგი. მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1652-1658). საისტორიო მოამბე, 19-20, 1965

პაიჭაძე გიორგი. მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1660-1685 წწ.). საისტორიო მოამბე, 23-24, 1970

პირთა ანოტირებული ლექსიკონი. XI-XVII საუკუნეების ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით. I. თბილისი, 1991

რ. კ-ი. გელათის მონასტრის გაძარცვა. ივერია. №172. 27 ივლისი. ტფილისი, 1904

რეხვიაშვილი მიხეილ. იმერეთის სამეფო (1462-1810 წწ.). თბილისი, 1989

ს. კ-ძე. [სარგის კაკაბაძე]. გელათის მონასტერში. ივერია. №174. 29 ივლისი. ტფილისი, 1904

საქართველოს ამბები. ივერია. №176. 31 ივლისი. ტფილისი, 1904

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია). ტ. VI. შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული ნადია კასრაძის, ელენე მეტრეველის, ლუბა მეფარიშვილის, ლილი ქუთათელაძისა და ქრისტინე შარაშიძის მიერ. თბილისი, 1953

სილაგაძე აპოლონ, ჯაფარიძე გოჩა. ავმართე დროშა მეფისა, აღმითა წითელ-შავითა. თბილისი, 1999

სოსელია ოლღა. ივანე სურგულაძე. ბეჭედი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. 2. თბილისი, 1977

სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი იევლევის ელჩობა იმერეთში, 1650-1652. საბუთები გამოსცა და შესავალი დაურთო მიხეილ პოლიევქტოვმა. ტფილისი, 1926

სურგულაძე ივანე, სოსელია ოლღა. ბეჭედი. საქართველო. ენციკლოპედია. ტ. 1. თბილისი. 1997

ტაბალუა ილია. საქართველო ევროპის არქივებსა და ნიგნსაცავებში (XIII — XX ს-ის პირველი მეოთხედი) (1600-1628 წწ.). II. თბილისი, 1986

ტივაძე თამარ. იმერეთის სამეფოს რუსეთთან ურთიერთობის ისტორიიდან (XVII ს-ის 60-იანი წწ.). ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბილისი, 1976

გრიგოლ ფერაძე. ქართული ხელნაწერების შესახებ ავსტრიაში. წერილი გერმანულიდან თარგმნა ცისია კილაძემ. თარგმანის რედაქტორი — პროფესორი დიმიტრი თუმანიშვილი. გამოსაცემად მოამზადა და კომენტარები დაურთო თემო ჯოჯუამ. მნიგნობარი. `04. თბილისი, 2004

ქართული სამართლის ძეგლები. 1. ჰელმწიფის კარის გარიგება. 2. დასტურლამალი. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ივანე სურგულაძემ. თბილისი, 1970.

ქართული სამართლის ძეგლები. ტომი II. საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX საუკუნეები). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ. თბილისი, 1965

ქორიძე თამარ. ერთიანი საქართველოს მეფეები. საქართველოს მეფეები. თბილისი, 2007

ქორიძე თამარ. ქართლის მეფეები. საქართველოს მეფეები. თბილისი, 2007  
ძველი აღთქმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ნგნ.: ნიგნნი ძუელისა აღთქუმისანი. ნაკვეთი 1. შესაქმისაჲ, გამოსლვათაჲ. ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს: ბაქარ გიგინეიშვილმა და ცოტნე კიკვიძემ. გამოკვლევა ბაქარ გიგინეიშვილისა. თბილისი, 1989

წერეთელი გიორგი. გელათის მონასტერი. ჯეჯილი, V. ტფილისი, 1890  
ჩხატარაიშვილი ქველი. ბაგრატ IV. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 2. თბილისი, 1977

ჩხატარაიშვილი ქველი. ბაგრატ IV. საქართველო. ენციკლოპედია. ტ. 1. თბილისი, 1997

ხელმწიფის კარის გარიგება. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, ინგლისურად თარგმნა, წინასიტყვაობა, ლექსიკონი, შენიშვნები და კომენტარები დაურთო ქეთევან სურგულაძემ. თბილისი, 1993

ჯავახიშვილი ივანე. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ესლა. ნიგნი III. ნაკვეთი მეორე. ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა. ტფილისი, 1926

ჯავახიშვილი ივანე. ქართული სამართლის ისტორია. ნიგნი მეორე. ნაკვეთი პირველი. ტფილისი, 1928

ჯავახიშვილი ივანე. ხელმწიფის კარის განრიგება. ივანე ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ნიგნი მეხუთე. თბილისი, 1953

ჯიბილა [რაფიელ ჯიბლაძე]. იმერელის წერილები. წერილი მეხუთე. ცნობის ფურცელი. №2593. 25 აგვისტო. ტფილისი, 1904

ჯოჯუა თემო. არტანუჯელი პილიგრიმის გიორგი ლომას-ძის სავედრებული (XV ს.) იერუსალიმში გადატანილი 1160 წლის გარეჯული კრებულის

(Ven.4-ის) აშიებიდან. ქართული წყაროთმცოდნეობა, XI, ეძღვნება ისტორიის მეცნიერებათა დოქტორებს მამისა ბერძნიშვილს და ლიანა დავლიანიძეს, 2006

ჯოჯუა თემო. გელათელი მონაზონის – ლევან IV დადიანის ცოლყოფილის ნინო ბაგრატიონისა და მონაზონ ფებრონია ხევარიძის სავედრებლები (XVIII ს-ის I ნახ.) იერუსალიმში გადატანილი ერთი გარეჯული ხელნაწერის (Ven.4-ის) აშიებიდან. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, VIII, ეძღვნება გელათის მონასტრის დაარსების 900 წლისთავს, 2008

ჯოჯუა თემო. გურიის ერისთვისშვილის, მონაზონ ქრისტეფორე შარვაშიძის სავედრებელი მინაწერი (1760-იანი წწ.) იერუსალიმში გადატანილი XII საუკუნის გარეჯული კრებულის (Ven.4-ის) აშიიდან. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, IX, 2009

ჯოჯუა თემურაზ. XII საუკუნის გარეჯული კრებულის (Ven.4-ის) ერთი მინაწერი და აფხაზეთის უცნობი კათოლიკოსი ბართლომე (დაახლ. 1488-1519 წწ.). საქართველოს სიძველენი, 1, 2002

ჯოჯუა თემო. მოქვის უცნობი ეპისკოპოსი ლუკა ოძრხელი (1360-იანი წწ.) დამისი ხუთი მინაწერი XII საუკუნის გარეჯული კრებულის (Ven.4-ის) აშიებიდან. ისტორიულ ეთნოგრაფიული შტუდიები, VI. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში 2002 წლის 24-26 სექტემბერს ჩატარებული მარი ბროსეს დაბადებიდან 200 წლისთავისადმი მიძღვნილი ახალგაზრდა მეცნიერთა და ასპირანტთა კონფერენციის მასალები. თბილისი, 2003

ჯოჯუა თემო. მღვდელმონაზონი იოანე მუნჯის ბიბლიოგრაფიული მინაწერი (1772 წ.) იერუსალიმში გადატანილი XII საუკუნის გარეჯული კრებულის (Ven.4-ის) აშიებიდან. საქართველოს ისტორიის პრობლემური საკითხები. II. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. II რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის შრომები. ქუთაისი, 2009

ჯოჯუა თემო. რამდენიმე ახალი ცნობა მოქველი ეპისკოპოსის ლუკა ოძრხელის (1360-იანი წწ.) ბიოგრაფიისათვის. ახალგაზრდა მეცნიერთა ასოციაციის II რესპუბლიკური კონფერენციის შრომების კრებული. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2004 წელი. 8-10 ოქტომბერი. თბილისი, 2004

ჯოჯუა თემო. საქართველოს მეფის გიორგი III-ის აღსაყდრების თარიღი 1160 წელს გადაწერილი ხელნაწერის (Ven.4-ის) ანდერძის მიხედვით. ოჩხარი. ჯულიეტა რუხაძისადმი მიძღვნილი ეთნოლოგიური, ისტორიული და ფილოლოგიური ძიებანი. თბილისი, 2002

ჯოჯუა თემო. უცნობი ურბნელი ეპისკოპოსის სვიმონ ჩხეიძის სამი მინაწერი (1700 წ.) იერუსალიმში გადატანილი XII საუკუნის გარეჯული კრებულის (Ven.4-ის) აშიებიდან. Academia, 1, 2010

ჯოჯუა თემო. წმიდა მღვდელმონაშემ გრიგოლ ფერაძე და 1160 წელს გარეჯში გადაწერილი ერთი უცნობი ხელნაწერი. ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები. V. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში ჩატარებული ინსტიტუტის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი

ახალგაზრდა მეცნიერთა და ასპირანტთა დარგთაშორისი კონფერენციის მასალები. თბილისი, 2002

Акты собранные Кавказскою Археографическою Коммиссиею. Том II. Издан под редакцию председателя комиссии Аддолфа Берже. Тифлис, 1868

Гаенатский монастыр и жизнеописание благоверного царя Давида III Возобновителя. Составил Протоиерей Давид В. Гамбашидзе. Квирила, 1909

[Муравьев, Андрей]. Грузия и Армения. Часть III. Санкт-Петербург, 1848

Мухелишвили, Давид. Государственный флаг единой Грузии в средние века. Свободная Грузия, 91-92 (21314), 3 апреля, 1998

Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии. Составленная по Высочайшему повелению профессором Санкт-Петербургскаго Университета Никодимом Кондаковым. Грузинския надписи прочтены и истолкованы Димитрием Бакрадзе. С 82 рисунками в тексте. Санкт-Петербург, 1890

Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями от 1659 года по 1770 году. Его превосходительству, господину тайному советнику и статс-секретарю Владимиру Петровичу Буткову с глубочайшим почтением посвящает Мари Броссе. Санкт-Петербург, 1861

Полиевктов, Михаил. Крестоцеловальная запись имеретинского царя Александра III, 9 октября 1651 г. საისტორიო მოამბე. წიგნი I. ტფილისი, 1925

Церетели, Георгий. О некоторых древностях в Гелатском монастыре. В. кн.: Пятый археологический съезд в Тифлисе. Протоколы Подготовительнаго Комитета, изданные под редакциею секретаря Комитета И. Мансветова. Продолжение. Приложение к I выпуску IX тома Древностей. Москва, 1882

Церетели, Георгий. Полное собрание надписей на стенах и камнях и приписок к рукописям Гелатскаго Монастыря. Древности Восточныя. Том первый. Выпуск II. С 3 таблицами и 20 рисунками в тексте. Москва, 1891

Чубинашвили, Георгий. Грузинское чеканное искусство. Исследование по истории грузинского средневекового искусства. Текст. Тбилиси, 1959

La bijouterie au Caucase. Le Caucase illustre. №1. Aout. Tiflis, 1889

Peradze, Gregor. Über die georgischen Handschriften in Österreich. Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes. XLVII. Band 3 und 4, Heft. Ahnenerbe-Stiftung Verlag. Wien, 1940

Rapports sur un Voyage Archeologique dans la Georgie et dans l'Armenie. Execute en 1847-1848, par Marie-Felicite Brosset, membre de l'Academie Imperiale des Sciences. Avec un Atlas de 45 planches lithographiees. Sankt-Petersbourg, 1851



სურ. 1 გარეჯული კრებული (Ven.4), ფოტოპირი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, RT XXV-3, I, 55v-56r.

სურ. 2 გარეჯული კრებული (Ven.4), ფოტოპირი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, RT XXV-3, I, 104v-105r.



3



4



5



6



7




- სურ. 3 I ანაბეჭდი, გარეჯული კრებული (Ven.4), ფოტოპირი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, RT XXV-3, I, 56r.
- სურ. 4 II ანაბეჭდი, გარეჯული კრებული (Ven.4), ფოტოპირი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, RT XXV-3, I, 56r.
- სურ. 5 III ანაბეჭდი, გარეჯული კრებული (Ven.4), ფოტოპირი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, RT XXV-3, I, 105r.
- სურ. 6 IV ანაბეჭდი, გარეჯული კრებული (Ven.4), ფოტოპირი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, RT XXV-3, I, 105r.
- სურ. 7 V ანაბეჭდი, გარეჯული კრებული (Ven.4), ფოტოპირი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, RT XXV-3, I, 105r.

8



9



10

- სურ. 8 I ანაბეჭდის გრაფიკული მონახაზი, შესრულებული ფოტოპირის საფუძველზე (ავტორი: თემო ჯოჯუა)
- სურ. 9 III ანაბეჭდის გრაფიკული მონახაზი, შესრულებული ფოტოპირის საფუძველზე (ავტორი: თემო ჯოჯუა)
- სურ. 10 ანაბეჭდის სრული რეკონსტრუქცია, შესრულებული I და III ანაბეჭდების გრაფიკული მონახაზების საფუძველზე (ავტორი: კახაბერ დემურაძე)

## Impressions of a Five-Cross Seal (1160-1346) of King Giorgi from the Fields of the Gareji Manuscript (Ven.4, 1160)

*Temo Jojua*

### Summary

1. Five impressions of a round seal, 3.6 cm in diameter, are found on the folios 56r and 105r of the Gareji manuscript (Ven.4, 1160) preserved at the Vienna National Library. Images of the seal's impressions cannot be clearly made out, that complicates their study.

2. According to the impressions, an original five-cross composition was engraved on the seal: an equal-arm large cross stood in the middle, and four words in abbreviated *asomtavruli* writing were placed in each corner of the larger cross instead of four smaller crosses, though exactly with the same meaning. The sigla stand for the words: "The Cross of Christ. The Cross of Christ". The initial graphemes J and Q were shaped like a cross and were of dominant importance in the pictorial form of these words. Due to this peculiarity, the words were visually perceived by a viewer as crosses depicted in the corners of the large cross.

3. The following text in *asomtavruli* script wraps around the seal: "A slave of God, King of Kings Giorgi." According to the text, we deal with the royal seal that belonged to a certain King Giorgi.

4. I have analysed accounts concerning the Georgian royal seals found in the written sources, and have thoroughly studied the royal stamps which came down to the 20th century, as well as impressions of the Georgian royal seals found in historical documents and official letters. As it turned out, our seal of King Giorgi with five crosses has no analogue.

5. Study of the issue has shown that sometime between 1160 and 1346 the Gareji manuscript belonged to the certain King Giorgi, being kept in the royal library. Folios were probably stamped in order to claim possession of the manuscript by King Giorgi. Other options are also possible, e.g. hand training in stamping or checking of the ink's shade.

6. The analysis has shown that King Giorgi mentioned in the text of the seal is to be identified with one of the four kings, reigning between 1160 and 1346: Giorgi III, king of unified Georgia; Giorgi IV Lasha, king of unified Georgia; Giorgi V the Brilliant, king of unified Georgia; Giorgi VI the Minor, king of East Georgia.

7. Based on the analysis I have established that in the first half of the 14th century King Giorgi V the Brilliant donated the Gareji manuscript from his royal library to a Georgian monastery in Jerusalem (to the Georgian Holy Cross Monastery?). The king probably intended to enrich the library of the monastery.

8. Impressions of the seal found on folios of the Gareji manuscript are of special importance for clarifying the issue of medieval Georgia's state flag design: use of the five-cross composition for engraving a royal seal of King Giorgi, which dates to the period from 1160 to 1346, supports the view of those scholars who suppose that the medieval Georgian flag bore the five-cross composition.

### XIII

## ავშართა პერიოდის სპარსული და ქართულ-სპარსული ორენოვანი ისტორიული დოკუმენტები საქართველოს სიძველეთსაცავებში

თამარ აბულაძე  
ელენე გიუნაშვილი

ქართული სიძველეთსაცავების კოლექციებში (*ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივი*) დაცულია ავშართა ხანის (1736-96) ოცდაათზე მეტი სპარსული და ქართულ-სპარსული დოკუმენტი,<sup>1</sup> რომელთაგან ზოგიერთი დღემდე გამოუცემელია. მათი გამცემები არიან დინასტიის მეთაური ნადირ-შაჰი (1736-47),<sup>2</sup> ქართლის სარდალი სეფი-ხანი, კახეთისა და შემდგომში ქართლის მეფე თეიმურაზ II (1700-62; კახეთის მეფე – 1733-44, ქართლის მეფე – 1744-62), კახეთის მეფე ერეკლე II (კახეთის მეფე – 1744-62, ქართლ-კახეთის მეფე – 1762-98). დოკუმენტების ადრესატები არიან ქართლის და ერევნის ვალები, განჯის ჰაქიმი, შაჰის ადმინისტრაციის სხვა ადგილობრივი წარმომადგენლები, სათავადო სახლების წევრები, ეკლესიის მესვეურები. საბუთები ეხება მიწისა და გლეხების წყალობა/დამტკიცებას და განმეორებით დამტკიცებას, სითარხნის მინიჭებას, თანამდებობაზე დანიშნვასა და სარგოს დანესებას, გადასახდების გადახდასთან და დაბეგვრასთან დაკავშირებულ საკითხებს – თალაღა-განკარგულებებს, სხვადასხვა ვალდებულების (მათ შორის, სამხედრო ვალდებულების) შესრულებას, ქართველ დიდგვაროვანთა არზებს შაჰის რეზოლუციით.

---

<sup>1</sup> აღნუსხულია ქართულ წყაროებში დადასტურებული სპარსული ისტორიული საბუთებიც, რომლებიც დღეისათვის დაკარგულია. მათ შორისაა ავშართა პერიოდის (1736-1747 წწ.) დოკუმენტებიც (94 ერთ.). ნუსხა მოცემულია მაგალი თოდუას პუბლიკაციაში: М.А. Тодуа и И.К. Шамс, *Тбилисская коллекция персидских фирманов*, т. 2 (Тбилиси, 1989), 1022-29.

<sup>2</sup> ნადირ-შაჰის მიერ გაცემული ზოგიერთი საბუთი (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის კოლექცია, ფ.1452–234 /1738 წ./, ფ.1452-235 /1747 წ.) უაღრესად საინტერესოა მოხატულობის თვალსაზრისითაც. იხ. თამარ აბულაძე, ირინა კომორიძე, „სპარსული მოხატული საბუთები“, *მოხატული ისტორიული დოკუმენტები საქართველოს სიძველეთსაცავებიდან*, დარეჯან კლდიაშვილის რედაქციით (თბილისი, 2011), 203-5.

აღნიშნული მასალა, ზოგადად, ასახავს ნადირის, „მეორე ალექსანდრეს“, სამხედრო და სოციალურ პოლიტიკას საქართველოს და კავკასიის მიმართ, მის სწრაფვას – გამოეყენებინა ქართველი დიდებულები თავისი მიზნებისთვის ოსმალების, ლეკების და სხვათა წინააღმდეგ, მიემხრო ის ქრისტიანი დიდგვაროვნები, რომლებიც ხსნას ერთმორწმუნე რუსეთის მფარველობაში ხედავდნენ.

„ყიზილბაშობის“ დამყარების შემდეგ ქართლ-კახეთი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ძლიერ მეზობლებს იყენებდა – ირანს ოსმალთა წინააღმდეგ, რუსეთს – ირანის წინააღმდეგ, ზოგჯერ – თავად ირანს საკუთარი ქვეყანაში სტაბილურობის შენარჩუნებისა და გარკვეული გარანტიებისათვის.

თავის მხრივ, ნადირ-შაჰიც იყენებდა ქართველებს ოსმალებისა და ლეკების წინააღმდეგ; თუმცა, როგორც კი ოსმალებმა საქართველო დატოვეს, მან ქართლ-კახეთის თავადებს დაუწყო დევნა. მისთვის ცნობილი იყო ქართველთა კავშირის შესახებ რუსეთთან, იქ მყოფ ვახტანგ VI-თან, რომლის გამეფებასაც აპირებდნენ ქართლში. ნადირმა კარგად იცოდა, რომ ქართველების „ერთგულება“ მხოლოდ ტაქტიკური სვლა იყო და ისინი არასოდეს შეწყვეტდნენ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. ნადირ-შაჰმა ისევ შაჰ-აბას I-ის (1587-1629) გეგმას მიმართა, რაც ქართლ-კახეთის აყრასა და იქ ყიზილბაში ტომების ჩასახლებას გულისხმობდა.<sup>3</sup>

ამასთან, ნადირის პოლიტიკა არ იყო ერთგვაროვანი; იგი იცვლებოდა ქართველთა მიმართ იმის მიხედვით, თუ როგორი იყო მისი პოზიციები საერთაშორისო ასპარეზზე, რამდენად მყარად იყო შაჰი ფეხმოკიდებული ქართველ დიდებულთა შორის, რამდენად ძლიერი იყო მისი მმართველობის წინააღმდეგ მიმართული მდელგარება ხალხში.

1736 წელს ნადირი ირანის შაჰი გახდა. ქართლის მმართველ ალექსანდრე ბატონიშვილს – ალი-მირზას (ქართლის ვალი – 1735-37) მან მულანიდან სეფი-ხან სარდალი გამოაყოლა ყიზილბაშთა ჯარით. სეფი-ხანი ქართლში 1737-38 წლებში ასრულებდა თავის მოვალეობას.<sup>4</sup> ზოგადად, ყიზილბაშთა მმართველობის დროს აღმოსავლეთ საქართველოს სარდლის ფუნქციები უაღრესად ფართო იყო: ყიზილბაშური და ადგილობრივი ჯარების საბრძოლო

<sup>3</sup> ამის შესახებ ვრცლად იხ. ნიკო ბერძენიშვილი, *საქართველოს ისტორიის საკითხები*, წ. VI (თბილისი, 1973), 319-35.

<sup>4</sup> დოკუმენტური მასალის გარდა სეფი-ხანის შესახებ ცნობებს გვანვდის თანადროული ნარატიული წყაროები: სეხნია ჩხეიძე, *მეფეთა ცხოვრება*, ზაქარია ჭიჭინაძის გამოცემა (თბილისი, 1913), 49-51; პაპუნა ორბელიანი, *ამბავნი ქართლისანი*, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა (თბილისი, 1981), 36, 43-4, 75.

მზადყოფნისა და საზღვრების უშიშროების უზრუნველყოფა, საჭიროების შემთხვევაში, ჯარის გამოყვანა და მეთაურობა,<sup>5</sup> აგრეთვე შაჰის სამსახური და მოსახლეობიდან გადასახდების აკრეფა (ამ თვალსაზრისით იგი ვალის თანაშემწე იყო).<sup>6</sup>

საქართველოს სიძველეთსაცავებში დაცულია სეფი-ხანის მიერ გაცემული რამდენიმე სპარსული და ქართულ-სპარსული საბუთი, რომლებიც ეხება ზოგიერთი სოფლის აღწერას ქართლში, საკათალიკოსოს გაფანტული გლეხების თავის საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნებას, საეკლესიო შეუვალობის დამტკიცებას, ცნობილი სათავადო სახლების წევრებისათვის მამულის დამტკიცებას (ან განმეორებით დამტკიცებას).

ქართლი და კახეთი სწორედ ამ პერიოდიდან ჩაერთო ირანის საგადასახადო სისტემაში.<sup>7</sup> როგორც ცნობილია, მმართველობის პირველ წლებში ნადირი განსაკუთრებით ზრუნავდა ქვეყნის ეკონომიკური და სამხედრო მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, ქალაქებისა და საირიგაციო ნაგებობების აღდგენაზე, ვაჭრობის გამოცოცხლებასა და დაცარიელებული ადგილების დასახლებაზე. ეს, თავის მხრივ, არასაკმარისი ნაბიჯები, რომლებიც უმთავრესად მაინც სამხედრო და პოლიტიკურ მიზნებს ისახავდა, ხორციელდებოდა ირანის ზოგიერთი რაიონის სრული განადგურების, არაირანული, დაპყრობილი ტერიტორიების გაჩანაგებისა და უმკაცრესი საგადასახადო ზომების გატარების გზით. ამასთანავე, შაჰი ჯარისკაცებსა და ადმინისტრაციულ თანამდებობაზე დანიშნულ პირებს უნიშნავდა ფიქსირებულ ჯამაგირს, ნაცვლად წინა პერიოდის მიწის შემოსავლებიდან მიღებული ხელფასისა, რაც ასევე ზრდიდა მოსახლეობის ბეგარას.<sup>8</sup>

შაჰის წარმომადგენელთა ხელმძღვანელობით იმპერიაში შემავალი ქვეყნების მიწების რეგისტრაციის მიზნით ხდებოდა დაპყრობილი ქვეყნების სავარგულების, ბაღებისა და ვენახების, ყველა ხის, წისქვილების, საქონლის

<sup>5</sup> ამ შინაარსის საბუთებს ნადირი გასცემდა მანამდეც, ვიდრე ირანის შაჰი გახდებოდა, კერძოდ, 1734-35 წლებში. ამ დოკუმენტების ადრესატები არიან აღმოსავლეთ საქართველოს სარდლობა და მოსახლეობა, ქართლ-კახეთის დიდგვაროვნები. საბუთები ეხება უშუალოდ სამხედრო ვალდებულების შესრულებას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექცია, Pd-108 და Pd-109). იხ. Тодуа, Шамс, *Тбилисская коллекция персидских фирманов*, 48-9; მაკარ ხუბუა, *საქართველოს მუზეუმის სპარსული ფირმანები და ჰოქმები* (თბილისი, 1949), 58-60.

<sup>6</sup> დოდო ლომიძე, *აღმოსავლეთი საქართველო 1735-49 წლებში („ყიზილბაშობა“)* (თბილისი, 2007), 61, 86-7.

<sup>7</sup> იხ. კარლო კუცია, „ნადირ-შაჰი და საქართველო“, *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*, III (თბილისი, 2002), 127-8.

<sup>8</sup> John Perry, “Forced Migration in Iran during the Seventeenth and Eighteenth Centuries,” *Iranian Studies*, 8 (1975), 199-215.

და სხვათა აღწერა და მონაცემების სათანადო კადასტრში შეტანა – ცნობილი რაყაბათ-ე ნადერი.<sup>9</sup> მოსახლეობა უმოწყალოდ იბეგრებოდა. მართალია, ამ ქვეყნებში დანესებული გადასახადები არ აღემატებოდა უშუალოდ ირანის მხარეებში არსებულ გადასახადებს, მაგრამ ეს ემატებოდა ტრადიციულ, მაგალითად, ქართული ფეოდალური კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს. ამდენად, ქათველ გლეხებს, ვაჭარ-ხელოსნებს ორმაგი ხარკის გადახდა უწევდათ. ქართველებს ეკისრებოდათ ყიზილბაშთა ჯარის შესანახი გადასახადებიც; მაგალითად, ქართლის მმართველის ალი-მირზას მიერ შეწერილი გადასახადით და თავად ნადირ-შაჰის მიერ 1736 წელს თბილისის მოსახლეობისადმი გაცემული ბრძანებით – ქართლს ხარკად დაედო 3300 თუმანი, ქალაქი თბილისი მზად უნდა ყოფილიყო საჭიროების შემთხვევაში გამოყვანა სრულად შეიარაღებული ლაშქარი.<sup>10</sup> უაღრესად მძიმე იყო პურის გადასახადი. პაპუნა ორბელიანის თქმით, ქვეყნის მოსახლეობის მდგომარეობისა და შაჰის მიერ დაკისრებული გაუსაძლისი ხარკის დასტურად შეიძლება მოვიყვანოთ ნადირ-შაჰის მიერ 1742 წელს გაცემული ფირმანი Pd-25, სადაც იგი ბრძანებს: „მიუხედავად ქვეყნის მესვეურთა მტკიცებისა, რომ საქართველო დაცარიელებულია, რაიათები კი გაბნეული, მოხელეებს ევალებათ აკრიფონ გადასახადები იმავე ოდენობით“.<sup>11</sup>

საინტერესოა, აგრეთვე, სეფი-ხანის მიერ 1737 წელს გაცემული ერთი ქართულ-სპარსული სიგელიც ეროვნული ცენტრის ყოფილი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კოლექციიდან – Hd-2608. საბუთი ეხება ქართლის სამეფო მოხელის, სეფიანთა და ავშართა პერიოდის ირანისა და ქართლ-კახეთის ისტორიული რეალიების ამსახველი თხზულების ავტორის, სეხნია ჩხეიძის კუთვნილი სოფლების აღწერას, საიდან მიღებული მოსავალიც „სულ მალეუჯათისა არის“. საბუთში ნათქვამია, რომ თავად სეხნია „გაიქცა / დასავლეთ საქართველოში/ და იმისი მამულისა არ ვიცოდით, ვინ სჭამდა, ვინ უვლიდა“. ამ სოფლებს განკარგულებით ზაზა-ბეგს გადასცემენ; მამასახლისებმა

<sup>9</sup> Ann K. S. Lambton, *Landlord and Peasant in Persia: A Study of Land Tenure and Land Revenue Administration* (London, 1953), 129-33, 164.

<sup>10</sup> ნადირ-შაჰის საგადასახადო პოლიტიკის შესახებ საუბარია სპარსულ, ქართულ, სომხურ და სხვა წყაროებში; ამის შესახებ იხ. კუცია, „ნადირ შაჰი და საქართველო“, 127-8; *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. IV, რედაქტორი მამია დუმბაძე (თბილისი, 1974), 451-2; *The Cambridge History of Iran*, vol. 7, From Nadir Shah to Islamic Republic, ed. by Peter Avery, Bayne Fisher, Gavin Hambly, Charles Melville (Cambridge, 1991), იხ. იქვე: Peter Avery, “Nādir Shāh and the Afsharid Legacy”, 3-63; იხ. *Encyclopaedia Iranica* ელექტრონული ვერსია: <http://www.iranicaonline.org/articles/nader-shah> და სხვ.

<sup>11</sup> Тодуа, Шамс, *Тбилисская коллекция персидских фирманов*, 56-8.

და ქეთხოდებმა კი აღწერის შემდეგ უნდა უზრუნველყონ გადასახადების აკრეფა.<sup>12</sup>

ასეთი მკაცრი საგადასახადო პოლიტიკა ხალხში ბუნებრივ მღელვარებას იწვევდა, რისი ნათელი მაგალითიცაა XVIII ს.-ის I ნახევრის ხანგრძლივი აჯანყება ქართლში, რომელის ჩახშობაშიც აქტიურად მონაწილეობდა შაჰის სარდალი სეფი-ხანიც.

ხანმა დაიბარა აჯანყების წინამძღოლები – თეიმურაზ II და გივი ამილახვარი, შეიპყრო ისინი და ისპაჰანს გააგზავნა, თუმცა ნადირმა შემდგომში თეიმურაზი გაათავისუფლა ერთგული სამსახურისთვის. აჯანყების ტალღა არ ცხრებოდა, მაგრამ მან დროთა განმავლობაში სიმწვავე დაკარგა, რაც შემდეგმა ფაქტორებმა განაპირობა: ირანი და ოსმალეთი დაზავდა და აღმოსავლეთი ამიერკავკასია დაუბრუნდა ირანს; რუსებს არ სურდათ ნადირთან ურთიერთობის გაფუჭება და არ გამოხატავდნენ საქართველოს დახმარების სურვილს; ამასთანავე, იზრდებოდა დაპირისპირება ქართველ თავადთა შორის, რასაც ოსტატურად იყენებდა ყიზილბაში მმართველი. ზემოთქმულს ნათლად ასახავს ეროვნული არქივის ერთი დოკუმენტი (ფ. 1452, №94, 1742 წ.), რომლის მიხედვით ნადირ-შაჰი აწყენებს და დაკისრებული მოვალეობის შესრულებისკენ მოუწოდებს გივი ამილახვარის დამსმენ ქვემო და ზემო საციციანოს თავადებს, ქალანთარს, აზნაურებს და გლეხებს.<sup>13</sup> მძიმე ხარკის პირობებში შაჰმა ერთგულ საერო პირებს, ეკლესიის მესვეურთ განუახლა ჯამაგირი, უწყალობა მამულები, რითაც, გარკვეულად, მიიმხრო კიდევ ისინი.

სეფი-ხანის მიერ 1736-37 წლებში გაცემული დოკუმენტი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციიდან – Pd-52 – სწორედ ამ პოლიტიკის ამსახველია. ეს არის ჰოქმი/ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც სეფი-ხანი საქართველოს ვექილების<sup>14</sup> ალი-ყული ბეგისა და ქაიხოსრო ბარათაშვილის დასკვნის საფუძველზე ზაზა ციციშვილს განმეორებით უმტკიცებს ხუთ სოფელს, რომელთა მოსახლეობას პატრონი უნდა მოეპყრას სამართლიანად; მათ კი, თავის მხრივ, წესიერად უნდა იხადონ გადასახადები.<sup>15</sup>

<sup>12</sup> ვლადიმერ ფუთურიძე, *ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები* (თბილისი, 1955), 442-5.

<sup>13</sup> Тодуа, Шамс, *Тбилисская коллекция персидских фирманов*, 59-60.

<sup>14</sup> 1735-1749 წლებში აღმოსავლეთ საქართველოში ვექილი იყო ყიზილბაშური ადმინისტრაციული აპარატის ერთ-ერთი წამყვანი მოხელე, რომელიც განაგებდა სახელმწიფო გადასახადების განწერა-შეგროვებას, ჯარისათვის ხელფასის მიცემას და დარჩენილი შემოსავლის სახელმწიფო ხაზინაში გადარიცხვას. მისი თანაშემწეები იყვნენ ვეზირი და მუსტოფი, იხ. ფუთურიძე, *ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები*, 460; ნუგზარ დუნდუა, *აღმოსავლეთ საქართველოს მეფეების, ბატონიშვილებისა და ხანების მიერ გაცემული სპარსული სიგელები* (თბილისი, 2010), 63.

<sup>15</sup> ამ საბუთის შესახებ იხ. ხუბუა, *საქართველოს მუზეუმის სპარსული ფირმანები*, 62-



სეფი-ხანის მიერ გაცემულ კიდევ ერთ საბუთში ამავე კოლექციიდან (Pd-53) სარდალი ქართლის დივანბეგს ქაიხოსრო ბარათაშვილს<sup>16</sup> მიუთითებს ცნობილი სათავადო სახლის წევრის ზაზა ციციშვილის კუთვნილი სოფლების მისი ვაჟის მფლობელობაში დარჩენის თაობაზე, რომლებიც არ ექვემდებარება აღწერას, რადგან ეს უკანასკნელი დათანხმდა გადასახადის გაზრდას. ეს დოკუმენტი არ არის გამოქვეყნებული.

ზოგიერთი სპარსული დოკუმენტით ხდება ცნობილი სათავადო სახლების წარმომადგენლების თხოვნის დაკმაყოფილება კუთვნილი მამულებისა და გაბნეული გლეხების დაბრუნების შესახებ შაჰის ან ადგილობრივი მმართველის რეზოლუციით. ასეთი დოკუმენტია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციის საბუთი – Pd-98, რომლის მიხედვითაც მზეჭაბუკ ჯავახიშვილი თხოვნით მიმართავს სეფი-ხანს ქართლ-კახეთში გაბნეული მისი კუთვნილი გლეხების დაბრუნების თაობაზე. ხანი საგანგებო რეზოლუციით უბრძანებს ყული-ბეგს თხოვნის აღსრულებას. საბუთს ერთვის გაქცეულ გლეხთა სიაც სპარსულ ენაზე.<sup>17</sup>

ამავე პერიოდს გენეკუთვნება სეფი-ხანის მიერ გაცემული საბუთები, რომლებიც ასახავს შაჰის პოლიტიკას ქართული ეკლესიის მიმართ, მისთვის კუთვნილი მიწებისა და გლეხების დაბრუნებას და შეუვალობის დამტკიცებას. 1737 წელს გაცემული ბრძანებულებით (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Pd-54)<sup>18</sup> სეფი-ხანი ავალებს მცხეთის სახლთუხუცეს გურგენსა და სოლომონ მდივანს ხელი შეუწყონ, „შეკრიბონ და დაამკვიდრონ“ კათალიკოსის სოფლებისა და მხარეების გლეხები, რათა მათ მიჰყონ ხელი ხვან-თესვით საქმიანობას. ორენოვანი დოკუმენტის მიხედვით (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ფონდი, Ad-1779)<sup>19</sup> კი, რომელიც ზემოთ აღნიშნულ საბუთზე ერთი თვით ადრეა გაცემული, ხანი სახლთუხუცეს გიორგისა და მდივან სოლომონს მიაბარებს სამცხეთო სოფლებს ზემო და ქვემო ქართლში, სომხითში, საბარათიანოსა და თრიალეთზე. ამ ადგილებზე დასახლებულ გლეხთაგან სურსათი უნდა „გამოიღონ“ და ისინი ხელმწიფის სამსახურში ჩააყენონ.

4; დუნდუა, აღმოსავლეთ საქართველოს მეფეების, ბატონიშვილებისა და ხანების მიერ გაცემული სპარსული სიგელები, 35-7.

<sup>16</sup> ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია ნადირ-შაჰის მიერ გაცემული ერთი საბუთი Pd-26, რომლითაც იგი „მსგავსთა და თანატოლთა შორის რჩეულს“, ქაიხოსრო ბარათაშვილს, უმტკიცებს მდივანბეგის თანამდებობას, განსაზღვრავს მის მოვალეობებს და განუწესებს ჯამაგირს. ამ საბუთის შესახებ იხ. ხუბუა, საქართველოს მუზეუმის სპარსული ფირმანები, 66-70.

<sup>17</sup> აღნიშნული საბუთი არ არის გამოცემული.

<sup>18</sup> ხუბუა, საქართველოს მუზეუმის სპარსული ფირმანები, 66.

<sup>19</sup> ფუთურიძე, ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, 445-7.

ავშართა პერიოდის წარმოდგენილი დოკუმენტური მასალა – ნადირ-შაჰისა და სეფი-ხანის მიერ გაცემული საბუთები – შეიცავს მრავალმხრივ საყურადღებო ინფორმაციას და ასახავს ირანის პოლიტიკას ქართველი დიდგვაროვნების, მოსახლეობის, ეკლესიის მიმართ; ქართველთა სამხედრო და საგადასახადო ვალდებულებებს; ზოგადად, „ყიზილბაშთა“ მმართველობის სოციალურ და პოლიტიკურ რეალიებს.

განხილული დოკუმენტები, როგორც ფუნქციური ტექსტების ტიპური მაგალითები, წარმოგვიდგენს სურათს, განპირობებულს ამ საბუთების სახეობითა და სოციალური ფუნქციით, თემატური კომპონენტებით, გამცემის სტატუსით და სხვ. შესაბამისად, შაჰის მიერ გაცემული *ჰუმაიონ ფირმანები*, რომლებსაც დასაწყისში ემატება უზენაესი მმართველის, „ღმერთის მიერ განმტკიცებული ნადირის“ ტიტულატურა, სხვაობს ამ თვალსაზრისით ადმინისტრაციული მოხელის მიერ გაცემული „მაღალი ბრძანების“ სტილისგან. სხვაობა ვლინდება ენობრივ-სემანტიკურ და არქიტექტონიკის დონეზე. იერარქიული სურათი ლექსიკური საშუალებებით, სპარსული დიპლომატიკური ენის თავისებურებების სრული დაცვითაა წარმოდგენილი, იმ ეპითეტებით, რომლებითაც არიან შემკული შაჰი, სარდალი, ქართველი დიდგვაროვნები თუ მოხელეები. სხვაობა ნაკლებად საგრძნობია საბუთების შუა და დასკვნით ნაწილებში, საქმიანი, სადა სტილით გამოსახულ კომპონენტში, სადაც საბუთის ძირითადი თემაა გაშლილი.

ზოგადად, სპარსული და ქართულ-სპარსული იურიდიული აქტები იძლევა უაღრესად საინტერესო მასალას სპარსული და ქართული დიპლომატიკური ენის, სოციალური ტერმინოლოგიის, ლექსიკური ინტერფერენციის, ენობრივ ურთიერთობათა თვალსაზრისით. აღნიშნული საკითხები განიხილება დოკუმენტების ზემოთ დასახელებულ და სხვა პუბლიკაციებში, საბუთების გამოცემებზე დართულ სპეციალურ ლექსიკონებში, ისტორიის ზოგადი საკითხებისადმი მიძღვნილ შრომებში, თუმცა სპარსული ისტორიული საბუთების, როგორც გარკვეული სტრუქტურული, კოდირებული ენობრივი მოდელის სისტემური ანალიზი არ არის წარმოდგენილი. ამ მიმართულებით მუშაობა დანეყებულია.<sup>20</sup>

<sup>20</sup> თამარ აბულაძე, ელენე გიუნაშვილი, „სპარსული და ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები: კვლევის ისტორია და პერსპექტივები“, *აღმოსავლეთი და კავკასია*, 7 (2011), 5-10; თამარ აბულაძე, ელენე გიუნაშვილი, „საქართველოს სპარსული და ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები: ლინგვისტურ-ფილოლოგიური კვლევის ასპექტები“, *ენათმეცნიერების საკითხები* (თბილისი, 2012), 9-15; Helen Giunashvili and Tamar Abuladze, “Persian Historical Documents of Georgia (Sixteenth to Eighteenth Centuries): Aspects of Linguistic Analysis,” *Journal of Persianate Studies*, 5 (2012), 35-42; თამარ აბულაძე, ელენე გიუნაშვილი, „სპარსული და ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთების კვლევისათვის საქართველოში“ (სპარსულ ენაზე), ო. აკიმუშკინისადმი მიძღვნილი კრებული, თეირანი (იბეჭდება).

## ბიბლიოგრაფია

აბულაძე თამარ, გიუნაშვილი ელენე. სპარსული და ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები: კვლევის ისტორია და პერსპექტივები. აღმოსავლეთი და კავკასია, 7, 2011

აბულაძე თამარ, გიუნაშვილი ელენე. საქართველოს სპარსული და ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები: ლინგვისტურ-ფილოლოგიური კვლევის ასპექტები. ენათმეცნიერების საკითხები. თბილისი, 2012

აბულაძე თამარ, კოშორიძე ირინა. სპარსული მოხატული საბუთები. მოხატული ისტორიული დოკუმენტები საქართველოს სიძველეთსაცავებიდან. დარეჯან კლდიაშვილის რედაქციით. თბილისი, 2011

ბერძენიშვილი ნიკო. საქართველოს ისტორიის საკითხები. ნ. VI. თბილისი, 1973.

დუნდუა ნუგზარ. აღმოსავლეთ საქართველოს მეფეების, ბატონიშვილებ-ბისა და ხანების მიერ გაცემული სპარსული სიგელები. თბილისი, 2010

კუცია კარლო. ნადირ-შაჰი და საქართველო. ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, III. თბილისი, 2002

ლომიძე დოდო. აღმოსავლეთი საქართველო 1735-1749 წლებში („ყიზილბაშობა“). თბილისი, 2007

ორბელიანი პაპუნა. ამბავნი ქართლისანი. ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა. თბილისი, 1981

საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი IV. რედ. მამია დუმბაძე. თბილისი, 1974

ფუთურიძე ვლადიმერ. ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები. თბილისი, 1955

ჩხეიძე სენნია. მეფეთა ცხოვრება. ზაქარია ჭიჭინაძის გამოცემა. თბილისი, 1913

ხუბუა მაკარ. საქართველოს მუზეუმის სპარსული ფირმანები და ჰოქმები. თბილისი, 1949

Тодуа М.А., Шамс И.К. Тбилисская коллекция персидских фирманов. Т. 2. Тбилиси, 1989

The Cambridge History of Iran, volume 7, From Nadir Shah to Islamic Republic. Ed. by Peter Avery, Bayne Fisher, Gavin Hambly, Charles Melville. Cambridge, 1991

Giunashvili, Helen, and Tamar Abuladze. Persian Historical Documents of Georgia (Sixteenth to Eighteenth Centuries): Aspects of Linguistic Analysis. Journal of Persianate Studies, 5, 2012

Lambton, Ann K. S. Landlord and Peasant in Persia: A Study of Land Tenure and Land Revenue Administration. London, 1953

Perry, John. Forced Migration in Iran during the Seventeenth and Eighteenth Centuries. Iranian Studies, 8, 1975

## Pd-52

გამოვიდა მაღალი ბრძანებულება მასზე, რომ ამჟამად აღმატებულთა ბურჯმა ზაზა-ბეგ ციციშვილმა, რომელსაც მაღალადგილოვანი, უმაღლესი ადგილის მქონე, ჩემი პატრონის, უძლიერესი სპასალარის (?) მაღალადგილოვანი და უკეთილშობილესი ვეკილების სამსახურში ურიცხვი დამსახურება მიუძღვის, მოგვმართა თხოვნით, რომ ხუთი სოფელი, რომლებიც ქვემოთაა ჩამოთვლილი, უძველესი დროიდან ზემოხსენებულის [მფლობელობაში] იყო და ითხოვს, რომ ამის თანახმად [ეს სოფლები] ისევ მოხსენებულს ვუნყალობოთ, რათა დივანის მალუჯეჰათი და მოთავაჯეჰათი (ამ სოფლებიდან) დივანის ხელში წლიდან წლამდე გადარიცხოს.

სოფელი ხაჩთალითი, სოფელი აყქანდი (რომელიც მდებარეობს შულავრის ოლქში), საუფლისწულო დირაყქანდი, სოფელი ზემო წერაქვი, ადგილები: ზემო და ქვემო წერაქვს შორის.

და მაღალი ბრძანებულებით ვავალებთ საქართველოს ვეკილს, აღმატებულ ალი-ყული ბეგსა და რჩეულთა ბურჯს ქაიხოსრო-ბეგ ბარათაშვილს, რომ სიმართლე საბოლოოდ სისრულეში იქნას მოყვანილი და რომ ყოველთვის, უძველესი დროიდან მოყოლებული, ზემოჩამოთვლილი სოფლები რჩეულთა შორის გამორჩეულის, ხსენებულის (ზაზა ციციშვილის) იყო, და არავინ მოდავე და მოქიშპე არ ჰყავს. ამიტომ მათ დაევალოს, რომ ზემოჩამოთვლილი სოფლების დივანის მალუჯეჰათი და მოთავაჯეჰათი სასახლის მაღალ დივანს გადასცენ. ამჟამად მოხსენებულთა რჩეულთა ბურჯმა თხოვნა ხელმოწერილი გვაახლა. ამიტომ მაღალადგილოვანმა ალიყული-ბეგ ვეკილმა და სწორუპოვარმა ქაიხოსრო-ბეგმა ამ საქმეში მაღალი ბრძანების შესაბამისად იმოქმედონ და ამ მაღალი ბრძანების შესრულებისას რაიმე შეცდომა ან ზედმეტობა არ დაუშვან. მას შემდეგ, როცა ნებას დართავენ საქართველოს ოლქის მუსტოფი და მაღალი სამდივნოს ვეზირი, ხსენებულმა ქაიხოსრო-ბეგ ვეკილმა ზემოთჩამოთვლილი ხუთი სოფელი მოხსენებული მაღალადგილოვანის მფლობელობაში სცნოს. დავთარში აღრიცხონ და დივანის მალუჯეჰათი და მოთავაჯეჰათის ჰავალე (ბარათი) გამოუწერონ. დაინერა 1150 წ. ალ-მოჰარამის თვის 12.

(აშიაზე): ის (ლმერთი). დადგენილი არის, რომ რაიათსა და სხვა მოსახლეობას საუკეთესოდ მოეპყრას და დიდი ყურადღება გამოიჩინოს მათ მიმართ და ზედმეტი უშირი, ბაჰრა ან სულადობრივი გადასახადი, ან ერთი დინარიც კი არ მოსთხოვოს მათ. იმნაირად მოიქცეს, რომ ყველა მისი მოპყრობით კმაყოფილი იყოს.

და თუკი გამოჩნდება, რომ რაიათისადმი გარკვეული ძალადობა გამოიჩინა, ამისათვის მას დიდი პასუხისმგებლობა დაეკისრება. ზემოთჩამოთვლილი ხუთი სოფლის რაიების მიმართ ყოველთვის ყურადღებიანი იყოს და რაიებმა ზაზა-ბეგს ერთი დინარით და ერთი მარცვლით მეტი არ მისცენ.

მაგრამ თუ ოდესმე მეტი მოსთხოვოს (ზაზა-ბეგმა) მათ, ხელი არ შეუშალონ მას და მომახსენონ მე, რათა პასუხი ვაგებინო. და (მათ) თავიანთ მოვალეობად ჩათვალონ ამ ბრძანების შესრულება.\*

\* ტექსტის ბოლო აბზაცის თარგმანის ჩვენი ვერსია რამდენადმე განსხვავდება. დუნდუას თარგმანისგან, შდრ. დუნდუა, აღმოსავლეთ საქართველოს მეფეების, ბატონიშვილებისა და ხანების მიერ გაცემული სპარსული სიგელები, 37.

## Pd-53

გამოიცა მაღალი ბრძანებულება მასზე, რომ ამ გველის წლის დასაწყისში ზაზა-ბეგ ციციშვილმა მაღალადგილოვან ფრიად პატივცემულ ვეკილებს, ჩემს პატრონ სპასალარს, დღეგრძელნი იყვნენ მისი ახლობლები, მოახსენა, რომ ქვემოჩამოთვლილი ადგილ-მამულები ძველი დროიდან მას ეკუთვნოდა, ხოლო რამდენიმე ხანია, რაც მისი მფლობელობიდან გასულია და სხვების მფლობელობაშია:

სოფელი აყქანდი, სოფელი ხაჯთალითი, სოფელი ზემო წერაქვი, სოფელი? მან მიმართა თხოვნით, რათა აღნიშნული ადგილ-მამულები გადაეცათ მის მფლობელობაში, რომ შეძლოს დივანის ყოველწლიური ვალდებულებების შესრულება. თანახმად მისი უდიდებულესობის ბრძანებისა, გადაწყდა, რომ მოხსენებული ადგილ-მამულები გადაეცეს მის მფლობელობაში და დაეკისროს დივანში შესატანი გადასახადები.

ამჟამად, როცა კარის მნეობა დაკისრებული აქვთ მის უდიდებულესობასთან დაახლოებულ პირებს, ვეკილ ალიყული-ბეგსა და მირზა აბდულ-ჯაბარ ვეზირს, რომ მათ ქვემო საქართველოში (გადასახადების დადგენის მიზნით) განაახლონ კადასტრი,\* მსგავსთა შორის გამორჩეული ფარსადან-ბეგი, ხსენებული ზაზა-ბეგის ვაჟი, დათანხმდა აღნიშნული სოფლების გადასახადების 10-15 ერთეულით გაზრდაზე, რათა (მათი) აღწერა და შეფასება აღარ მოხდეს. აღნიშნული სოფლები წინანდელ საბუთში შეტანილი იყო ქრისტიან დიდგვაროვანთა შორის უმთავრესის, ქაიხოსრო-ბეგ ბარათაშვილის სახელზე თავრიზული ოცდაათი თუმნის და ოთხას ორმოცდაათი დინარის ოდენობით...

ამა წლის გარიგების საფუძველზე და თხუთმეტი თუმნისა და ორას ოცდაათი დინარის დანამატით სოფელი აყქანდი, სოფელი ხაჯთალითი, სოფელი ზედა წერაქვი, სოფელი?; შემოსავალმა, მისი თანხმობით, შეადგინა ორმოცდახუთი თავრიზული თუმნის და ექვსას სამოცდათხუთმეტი დინარის ოდენობა.

ამიტომ უმაღლესი დავთარი... გადასახადების ამკრეფებმა სოფელ აყქანდის მიმართულების ზემოხსენებული სოფლები, რომლებიც საბატონო და მესაკუთრულია, ამის საფუძველზე მის განაკვეთში შეიტანონ და აიკრძალოს (ახალი) კადასტრის შედგენა, ხოლო მისგან ხსენებული ყოველწლიური მოსაკრებელი და გზის თანხა კანცელარიის ბარათებითა და განმარტებებითურთ...

საჭირო... შეასრულონ.\*\*

(ჯუმა)დი ალ-აულა 1150 (1737)

სეფი ხანის ბეჭედი (ორჯერ)

\* ადგილ-მამულების აზომვა, აღწერა და შეფასება.

\*\* ამ საბუთის ტექსტის ქართული თარგმანი იბეჭდება პირველად.





**Persian and Georgian-Persian Bilingual Historical  
Documents from Afshar  
Period at Georgian Depositories**

*Tamar Abuladze  
Helen Giunashvili*

**Summary**

Collections of Georgian Depositories (the National Center of Manuscripts, the National Archive of the Ministry of Justice) preserve more over than 30 units of Persian and Georgian-Persian historical documents, belonging to the Afshar period (1736-96). Some of them have not been published up to the present. They were issued by 1) the head of the Afshar dynasty, Nāder Shah (1736-47); 2) the commander of Kartli (East Georgia) Sepi-Khan; 3) the ruler of Kakheti (a province of Eastern Georgia) during 1733-44, later the king of the whole Kartli (1744-62) Teimuraz II (1700-62); and 4) the king Erekle II, the king of Kakheti in 1744-62 and of the whole Kartli-Kakheti during 1762-98. Addressees of these deeds were *valis* of Kartli and Erevan, *hakims* of Ganja (Azerbaijan), representatives of the royal and local administration, members of the Georgian princely houses, and heads of the Church. These historical documents deal with granting/ affirmation and reaffirmation/ of ownership on lands, peasants, appointment to a high post; the documents equally concern issues of paying taxes and rates such as, orders and accomplishment of various duties (including military obligation), petitions of Georgian nobles with the Shah's resolution.

Documentary material considered in the article comprises deeds issued by Nāder-Shah and Sepi-Khan from the collections of the National Center of Manuscripts and the National Archive. They contain the most significant and multifarious information on Iranian policy toward Georgian aristocracy, ordinary people, the Church; these deeds are also dealing with military and tax duties of Georgians and generally, social and political realities of *Kizilbashes'* rule in Georgia.

At the same time, these documents as far as being typical examples of functional texts, offer the most interesting data on Persian and Georgian diplomatic languages, social terminology, lexical interference, different aspects of linguistic interrelations.



## XIV

### ათონის ივერიის ღვთისმშობლის ხატის საჩრდილობელი ჯარავი

*სოფიო დავითაშვილი*

ათონის ივერთა მონასტრის მთავარი ტაძრის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში მიშენებულ კოშკში, სადაც ივერონის საგანძურია დაცული,<sup>1</sup> სხვა სიძველეებთან ერთად ინახება ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის საჩრდილობელი ქოლგა – ძველი ქართული ნაქარგობის ერთ-ერთი გამორჩეული ძეგლი წმინდა მთაზე. ამგვარი უჩვეულო დანიშნულების მქონე ნაქარგი ქოლგის თანაფარდი საქართველოს სიძველეთსაცავებში არ მოიპოვება.<sup>2</sup> სწორედ ამიტომ, საჩრდილობელი მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს; მით უფრო, რომ იგი თარიღიანია და საქტიტორო წარწერასთან ერთად ქტიტოროთა გამოსახულებებიც ახლავს.

სამონასტრო გარემოში სასწაულთმოქმედი ხატებისა და სხვა სინმიდეებისათვის პატივის მისაგებად საჩრდილობლის გამოყენების ტრადიცია ამჟამად უკვე ძალზე იშვიათია. ამასთანავე, XVIII-XIX საუკუნეების ვიზუალური წყაროები – კერძოდ გრავიურები – მოწმობს ამ ტრადიციის ხანგრძლივ არსებობას ათონის მთაზე, ისევე როგორც სერენისა და სუმელას მონასტერში.<sup>3</sup> ამ ტიპის ქოლგები ასევე გვხვდება იმ რეგიონებში, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ვენეციის მმართველობის ქვეშ იყო, სახელდობრ (1401-1797 წლებში) კორფუში, სადაც წმ. სპირიდონთან დაკავშირებული, განსაკუთრებით საგულისხმო ოქროქარგული საჩრდილობელი შემოინახა.<sup>4</sup>

<sup>1</sup> ა. ალექსიძე, *ათონი ათასწლოვანი* (თბილისი, 1982), 48.

<sup>2</sup> ერთი ნაქარგი ქოლგის შესახებ საყურადღებო ცნობას გვანჯდის ექვთიმე თაყაიშვილი სვანეთში დაცული საგანძურის აღრიცხვისას: „ჩუკულის ეკლესიაში წინად დაცული ყოფილა ქოლგის პირი აბრეშუმის მატერიისა, გამშვენებული სხვა და სხვა სახეებით, მათ შორის ოთხი მზის სახეა. ამას თამარის ქოლგას უწოდებდენ თურმე. ეხლა ეს ქოლგა ჩუკულის ეკლესიაში აღარ მოიპოვება, მაგრამ მისი სურათი წინეთ გადაუღია ერმაკოვს (№184)“. ექვთიმე თაყაიშვილი, *არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს* (პარიზი, 1937), 119-20.

<sup>3</sup> E. Vlachopoulou-Karabina, *Holy Monastery of Iveron, Gold Embroideries* (Mount Athos, 1998), 126.

<sup>4</sup> Vlachopoulou-Karabina, *Holy Monastery of Iveron*, 149, n. 224.

ამ პრაქტიკის არსებობასთან დაკავშირებით განსაკუთრებით ნიშნულია ათონის წმინდა მთა, სადაც, მრავალასწლოვან სამონესეო გარემოში, სხვა ტრადიციებთან ერთად, დღემდეა შენარჩუნებული საჩრდილობელთან დაკავშირებული ძველი ლიტურგიკული პრაქტიკა.

თანამედროვე ათონზე ლიტანიისას ხატის საჩრდილობლის ქვეშ ტარების ტრადიცია არსებობს ვატოპედის და ივერთა მონასტრებში.<sup>5</sup>

ივერონში, საზეიმო მსვლელობა, რომლის დროსაც საჩრდილობელი გამოიყენება, ამჟამად წელიწადში ერთხელ, თომას კვირის სამშაბათ დღეს, ანუ ბრწყინვალე სამშაბათს აღესრულება, ივერიის ღვთისმშობლის ხატის ზღვაზე სასწაულებრივი გამოჩენის აღსანიშნავ დღესასწაულზე. ამ დღეს, ღამისთევის ლოცვის გასრულების შემდეგ, ადგილობრივი მოწესეები, ივერონის და ათონის ერთ-ერთ უდიდეს სინმინდეს – კარის ღვთისმშობლის ხატს მონასტრიდან გარეთ გამოაბრძანებენ და აღასრულებენ მცირე დალოცვას. ამის შემდეგ იწყება საზეიმო მსვლელობა, რომელსაც წინ მიუძღვის ოლარითა და ფილონით მოსილი მღვდელმონაზონი. მას მიჰყვებიან მეფსალმუნეები, მღვდლები და მღვდელმთავარი, შემდეგ ხატის მტვირთველნი მოაბრძანებენ პატივდებულ წმინდა ხატს, რომელსაც მონაზონთა სიმრავლე მიჰყვება (სურ. 1); მთელი ლიტანიის განმავლობაში იგალობება აღდგომის კანონი; მასში ჩაერთვის კარის ღვთისმშობლის ხატის კანონიც, სადაც მოთხრობილია ზღვით მისი სასწაულებრივი გამოჩენა. მონასტრის გარშემო არსებულ სინმინდეებთან გაჩერების, ხატის დაბრძანებისა და მსახურების გასრულების შემდეგ პროცესია ბრუნდება მონასტერში, სადაც სრულდება აკოლუთია და მთლიანი მსახურება.<sup>6</sup> ამ საზეიმო მსვლელობის დროს ხატს, განსაკუთრებული პატივის ნიშნად, ვითარცა დედოფალს, საჩრდილობლის ქვეშ ატარებენ.

საჩრდილობლის გამოყენების პრაქტიკა უძველესი დროიდან არსებობს როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ყოველდღიურობაში. იგი წარმოადგენდა ფუფუნების საგანს, რომლითაც მხოლოდ დიდებულები სარგებლობდნენ მწველი მზის ან წვიმისაგან თავდასაცავად. ზოგ შემთხვევაში საჩრდილობელს სალხინების ფორმა ჰქონდა, ზოგჯერ კი ცალ ფეხზე აღმართული ქოლგისა.

საჩრდილობელი ქოლგა, როგორც პრაქტიკული დანიშნულების ნივთი,

<sup>5</sup> ივერიის ღვთისმშობლის ხატის ამჟამინდელი საჩრდილობელი ერთმანეთზე მიკერებული წითელი ქსოვილის ცხრა ნაჭრისაგან შემდგარი ქოლგაა, რომელზეც დატანილია ოქროსფერი ტოლმკლავა ჯვრები, კიდებზე კი ოქროსფერი ფოჩები დაუყვება (სურ. 1). ვატოპედის სავანის მფარველ ხატს, მისი სახელობის დღესასწაულზე, ათონის მთის მონასტრებს საჩრდილობელი ქოლგით დაფარულს შემოატარებენ. ეს საჩრდილობელი დღეს გაცილებით საზეიმოა, ვიდრე ივერიის ღვთისმშობლის ხატისა. იგი ნათელი ოქროსფერი, მძიმე ქსოვილისა და ასევე მძიმე და ხშირი ფოჩები ამკობს.

<sup>6</sup> *Παναγια Πορταϊτισσα - Ἄεναος Ἐπίλογια* (Ιερα Μονή Ἰβερων, 2002), 13.

ქრისტიანულ საღვთისმსახურო პრაქტიკაში იმავე დანიშნულებით დამკვიდრდა – ბუნებრივი მოვლენებისაგან ხატის დამცველის ფუნქციით, აგრეთვე ხატისადმი მოკრძალებისა და პატივის მიგების ფიზიკური გამოხატულებითაც.

სალხინებელს, ეკლესიის საკუროთხევლის ტრაპეზის – გამორჩეული და საკრალური ადგილის – საფარველს, ადრეული დროიდან იყენებდნენ, თუმცა ქრისტიანულ ტრადიციაში მოძრავი სალხინებლებისა და საჩრდილობელი ქოლგების არსებობის აუცილებლობა IX საუკუნის მეორე ნახევრიდან, ხატთაყვანისმცემლობის აღდგენის შემდეგ, სახელდობრ ხატთა თაყვანისცემის კვირისა და მასთან დაკავშირებული საზეიმო მსვლელობების პრაქტიკის დამკვიდრებისას უნდა გაჩენილიყო. ამ ტრადიციას არ ჰქონია კანონის სახე – ასეთ შემთხვევაში ხომ იგი მთელს ქრისტიანულ სამყაროში იქნებოდა გავრცელებული; ამასთანავე, წმინდა ხატების ამგვარი პატივმიგება გამონაკლისის სახით არ უნდა არსებულებოდა – როგორც ჩანს სწორედ ამიტომ, რომ იგი დღემდე შემორჩა რამდენიმე სამონასტრო გაერთიანებაში.

ივერიის ღვთისმშობლის ხატთან დაკავშირებული მსახურებების და ხატების საჩრდილობლების ლიტურგიაში გამოყენების შესახებ სხვადასხვა ცნობები არსებობს: *წერილობითი* – მომლოცველთა, მოგზაურთა, სიძველეების მოყვარულთა და მეცნიერთა აღწერები და შენიშვნები; *ვიზუალური* – გრაფიკული გამოსახულებები და ფოტოები.

ვასილი ბარსკი, რომელიც ივერონში 1744 წელს იმყოფებოდა, ახსენებს კარის ღმრთისმშობლის ხატის საზეიმო მსვლელობასაც, რომელიც იმხანად წელიწადში სამჯერ, უძრავ დღესასწაულთა დროს აღესრულებოდა (ავტორთან ეს დღესასწაულები დასახელებული არ არის). მისი შენიშვნით, ამ დროს, სასწაულთმოქმედ პორტაიტის ხატს, სალხინებლით დაფარულს, ზარების რეკვით, მცირე ეკლესიიდან მთავარ ტაძარში გადაასვენებდნენ, საიდანაც დილით, საღვთო ლიტურგიის დამთავრებისთანავე მონასტრიდან გარეთ გაასვენებდნენ და ლიტანიას აღასრულებდნენ. მონასტერში დაბრუნებისას, ხატს კვლავ დიდ ტაძარში დაასვენებდნენ, სადაც იგი ათი ან ოცი დღე იმყოფებოდა. ამ დროის განმავლობაში ხატის წინაშე უწყვეტად მსახურებდა მანტიითა და ბარცყულით მოსილი, საგანგებოდ დადგენილი პროსმონარი. შემდეგ – ვასილი ბარსკის მითითებით, ძველი ტრადიციის შესაბამისად – ორშაბათ დღეს ხატს ზარების რეკვით კვლავ კარის ღმრთისმშობლის ხატის მცირე ეკლესიაში აბრუნებდნენ.<sup>7</sup> პროცესიის აღწერისას ავტორი მოკლედ შენიშნავს სალხინებელზეც: „ზარების რეკვის

<sup>7</sup> *Пешеходца Василия Григоровича-Барскаго Плаки-Албова, уроженца Киевскаго, монаха Антиохийскаго, путешествие к святым местам в Европе, Азии и Африке находящимся, предпринятое в 1723, и окончанное в 1747 году, им самим писанное, ч. II (1735-1747)* (Санкт-Петербург, 1819), 191.

თანხლებით მოაბრძანებენ ივერიის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედ ხატს დიდ ეკლესიაში, ოქროსა და აბრეშუმის ნაქარგით დაფარული საღვინეებით“.<sup>8</sup>

1755-1759 წლებში, ათონსა და წმინდა მინაზე მოსალოცად მყოფი ქართლის მთავარეპისკოპოსი ტიმოთე გაბაშვილი თავის „მიმოსვლაში“ რამდენიმეჯერ ახსენებს ხატთა საჩრდილობელ ქოლგებს.<sup>9</sup> ამ მასალების მიხედვით ცხადი ხდება, რომ თუ უფრო ადრე არა, გვიანი შუა საუკუნეებისათვის მაინც, საჩრდილობლის გამოყენების ტრადიცია ნამდვილად დამკვიდრებული უნდა ყოფილიყო ქრისტიანული აღმოსავლეთის სხვადასხვა სამწყსოს საღვთისმსახურო პრაქტიკაში.

ათონზე, ივერთა მონასტერში ყოფნისას, ნათლისღების დღესასწაულთან დაკავშირებით ქართველი მღვდელმთავარი გამონვლილვით აღწერს კარის ღვთისმშობლის ქოლგას: „...და იყო ღამისთევა მწუხრით ცისკრამდე, და განთიად ჰკრეს დიდთა ზართა და შეიმოსნენ წინამძღვარნი და მამანი, და გამოასვენეს ხატი პორტაფტისა ლამპრებითა მრავლითა დროშებითა და ფარნებითა თითოსახითა. და განვედით ზღვად, ლელესა მუნ წყლისასა, და მოიტანეს საიაზმო დიდი ბადია ძვირფასი, შემონირული ქართველთა და კახთა მეფისა ლეონისა მიერ, და ზედან ქოლგა მძიმედ ნაკერი, აშოთან მუხრანის ბატონისა მიერ შემონირული...“<sup>10</sup> „მიმოსვლის“ ტექსტიდან ისიც ჩანს, რომ მთავარეპისკოპოს ტიმოთეს ათონზე ყოფნისას (1755-1756) ივერიის ღვთისმშობლის ხატისთვის შენირულ ქოლგას არა საკუთრივ ხატის, არამედ აიაზმის საფარებლად იყენებენ. გარდა ამისა, ტექსტი ასევე მონიშნავს, რომ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის ლიტანია ნათლისღების დღესასწაულზე აღესრულებოდა და არა თომას კვირის სამშაბათს, როგორც ეს დღესაა მიღებული.

ტიმოთე გაბაშვილი აღდგომის დღესასწაულისთვის ტაძრის მოსართავ ნივთთა შორის მოიხსენიებს „მძიმე ქოლგებს“. დიდი შაბათის ღვთისმსახურების აღწერისას იგი აღნიშნავს; „...და მორთეს საყდარი ფარდებითა და სერაბინქერობინებითა და ოქრონამკცურვებულითა ჯვრებითა და ხატებითა რას აღმეებითა და მძიმეს ქოლგებითა შინაგან ტაძარისა და გარეგან...“<sup>11</sup>

მღვდელმთავარი იერუსალიმში მოგზაურობის აღწერისასაც ახსენებს ქოლგებს: „...საფლავსა მას გარემოთ ქოლგანი და ალამნი დას-დასად მოედგათ ოქროსა განაზიდისა, ჯომლნი ოქროსნი და ვერცხლისანი...“<sup>12</sup>

<sup>8</sup> “Приносят Образ Чудотворныи Вратарницы в великую церковь, небом (балдыхином) златошелковым осеняюще и в колокола ударяюще”. იქვე, 191.

<sup>9</sup> ტიმოთე გაბაშვილი, *მიმოსვლა*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა (თბილისი, 1956), 032.

<sup>10</sup> იქვე, 23.

<sup>11</sup> იქვე, 49.

<sup>12</sup> იქვე, 91.

ქოლგების დანიშნულება მხოლოდ ერთ შემთხვევაში განიმარტება. ნათლისღების დღესასწაულზე იგი აიაზმის ჯამს იფარავს, სხვა შემთხვევებში კი ქოლგა ტაძრის სამკაულის ნაწილად ჩანს.

მთავარეპისკოპოსი გამონვლილვით აღწერს ივერთა მონასტერში აღსრულებულ სხვადასხვა მსახურებას და ჩამოთლის შეწირულ ნივთებს, თუმცა კი არაფერს ამბობს ივერიის ღმრთისმშობლის ხატის დღესასწაულთან დაკავშირებით არსებულ ტრადიციაზე (თომას კვირა მასთან მხოლოდ გაკვრითაა ნახსენები – „შემდგომად თომას კვირისა...“).<sup>13</sup>

კარის ღვთისმშობლის ეკლესიასთან და კარის ღვთისმშობლის ხატთან დაკავშირებული მსახურების შესახებ უადრესი ცნობა ათონის ივერთა მონასტრის XII საუკუნის ალაპში მოიპოვება: „*ეკლესიისა შტოსა დაუვსებელი კანდელი დ და მთავარანგელოზთა ეკლესიასა კანდელი ხუთი, დაუვსებელად ა პორტისა ყოვლად წმიდისა ეკლესიასა – კანდელი ზ. ტრაპეზს დილა-მიმწუხრ პანაგისა აყვანაჲ ზედგომით და ღუნისა შესუმაი ზედგომითვე, გინა წყლისაი; პორტისა ყოვლად წმინდასა წინაშე მისულა ყოველთაი ერთობით, რავდენტაცა ძალ-ედვას; ხუცეს მემხრეთაი და ყოველთაი. და ყოველთა ოთხშაბათთა გალობათა გარდახდაი... მე, პავლეს დამინერია ქრონიკონს ტყ (=1170)*“.<sup>14</sup> ელ. მეტრეველის შენიშვნით, ეს მსახურება პავლეს წინამძღვრობამდე ჩამოყალიბებული არ უნდა ყოფილიყო – „ყოველ შემთხვევაში, ათონის ალაპებში პორტის ღვთისმშობლის ხსენების სხვა ფაქტები არ დასტურდება“.<sup>15</sup> XII საუკუნეში არსებული ეს წესგანგება ასწლეულების მანძილზე უნდა ყოფილიყო შენარჩუნებული – ამის თაობაზე XVIII საუკუნის შუახანებისათვის ვ. გრიგოროვიჩ-ბარსკი წერს, რომ ხატს ჰყავს კანდელების მუდმივი მეთვალყურე და მლოცველი, რომელიც დიდ დროს ატარებს ხატთან; გალობს კანონს და პარაკლისს მთელი დღე და ღამე, სრული კვირის განმავლობაში; ასევე კვირაში ორჯერ მოდიან ხატთან და ღვთისმშობლის სადიდებლად აღასრულებენ ლიტურგიას.<sup>16</sup> ერთი საუკუნის შემდეგ, 1845 წელს, ათონზე მყოფი ეპისკოპოსი პორფირი უსპენსკიც ივერთა მონასტრის აღწერისას, ბარსკის ტექსტის ამ ნაწილის უცვლელ ციტირებას ახდენს, მოიხსენიებს რა კარის ღმრთისმშობლის ხატის წინაშე მუდმივად მყოფ ბერს, რომელსაც

<sup>13</sup> იქვე, 49.

<sup>14</sup> ელენე მეტრეველი, *ათონის ქართველთა მონასტრის საალაპე წიგნი* (თბილისი, 1998), 190.

<sup>15</sup> იქვე, 267.

<sup>16</sup> “И поющи тамо правило и параклисию по вся дни и нощи, и прислужащи общему Седмичному, иже тамо приходит дважды вседмицу и литургисает во славу Божия Матере”. *Пешеходца Василия Григоровича-Барскаго Плаки-Албова*, 182; П. Успенский, *Первое путешествие в Афонские монастыри в 1845 году*, ч. I, отд. II (Киев, 1877), 194.

ჩაუქრობელი კანდელების მეთვალყურეობა და ხატის წინაშე მუდმივი გალობა ევალეზობდა.

ივერიის ღვთისმშობლის ხატთან დაკავშირებული სახვითი წყაროები – გრაფიურები – ლიტანიის მსახურებას აღბეჭდავს. ნიშნულია, რომ ამ მსახურებისას ქოლგა აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს (სურ. 2, 3, 4).<sup>17</sup> მათზე ასახულია კარიბჭის ღვთისმშობლის ხატის ლიტანიობა, სადაც კარგად ჩანს პროცესიაში მონაწილე მონესეთა მსვლელობა სანაპიროზე, ამასთან – გარკვეული თანმიმდევრობით. მსვლელობას წინ უძღვის ბერი ხის სარეკელზე რეკვით; მას მიჰყვებიან ბერები ბაირაღებითა და ლამპრებით; შემდგომ კმევით მიდიან შემოსილი მღვდელმსახურები და დიაკვნები; თავად ხატის წინ კი – მანტიამოსილი ილუმენი კვერთხით ხელში.<sup>18</sup> ერთ-ერთ გრაფიურაზე წირვის აღსასრულებლად განმზადებული ტრაპეზიცაა ასახული და ნმ. გაბრიელ ქართველის მიერ ზღვიდან ხატის გამოსვენების სიუჟეტიც (სურ. 3). საყურადღებოა, რომ სამივე გრაფიურაზე ნაჩვენებია საჩრდილობელი ქოლგა, რაც იმას მოწმობს, რომ იგი პროცესიის განუყოფელ, განსაკუთრებულ ატრიბუტს წარმოადგენდა – როგორც ჩანს, ბერები მონასტრის მფარველ ხატს განსაკუთრებული პატივით იფარავდნენ, როგორც ზეციური დედოფლის ამქვეყნიურ განსახიერებას.

გრაფიურებზე ქოლგა სხვადასხვა ფორმისა და სახისაა; ეს გარემოება მოწმობს, რომ მონასტრის ძმობა ყოველთვის ზრუნავდა საჩრდილობლის, როგორც საკრალურ ხატთან დაკავშირებული, სრულიად გამორჩეული დანიშნულების მქონე საგნის განახლებასა და გამშვენებაზე.

დღეისათვის ცნობილ სამ გრაფიურათაგან ერთზე (სურ. 3) საჩრდილობელს ოთხ საყრდენ ფეხზე აღმართული, შეკრული კამარის მსგავსი ფორმის სალხინებლის სახე აქვს და კიდეებზე ფუნჯები შემოუყვება. დანარჩენ ორ გრაფიურაზე (სურ. 2, 4) იგი წარმოდგენილია, როგორც ერთ ფეხზე დაყრდნობილი, კონუსის ფორმის ქოლგა.

არსებობს ძველი ფოტომასალებიც.<sup>19</sup> მათზე ასევე სხვადასხვაგვარი ქოლგებია აღბეჭდილი. მათგან ერთზე (სურ. 5) წარმოდგენილი ქოლგა ერთი-მეორის მონაცვლე ღია და მუქი ფერის დიდი სამკუთხა ნაჭრებისგანაა შექმნილი,

<sup>17</sup> *Παναγία Πορταϊτισσα - Ἡ ἑναὸς Ἐἰκὼν* – ამ ნიგნში არსებულ არცერთ გრაფიურას არ აქვს მითითებული შექმნის დრო და ავტორის ვინაობა.

<sup>18</sup> ვ. ბარსკი წერს: “Игумен тамо светлую носит мантию; якоже и Архиереи по дарованию древних Царей.” *Пешеходца Василия Григоровича-Барскаго Плаки-Албова*, 191.

<sup>19</sup> *Παναγία Πορταϊτισσα - Ἡ ἑναὸς Ἐἰκὼν*, 32. სურათებში კარის ღმრთისმშობლის ხატის ქართულ ოქროს პერანგს 1819 წელს, რუსეთში გამოქვედელი პერანგი ფარავს, რომელიც XIX საუკუნის შუა ხანიდან ვიდრე 1993 წლამდე, არარეგულარულად, თუმცა მნიშვნელოვან დღესასწაულებზე კი, აუცილებლად ემოსა ხატს.

მეორეზე კი ქოლგას კვადრატული ფუძის მქონე პირამიდული ფორმა აქვს. შავ-თეთრი ფოტოს მიხედვით შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ ეს საჩრდილობელი წითელი ფერისა უნდა ყოფილიყო, კიდეებს მოვლებული ოქროსფერი ფოჩებით (სურ. 6).

ამრიგად, დღეისთვის ცნობილი ვიზუალური მასალები საჩრდილობელი ქოლგების სხვადასხვაგვარობას მონმოვს. აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ ხატის საჩრდილობელს რაიმე განსაზღვრული ფორმა არ უნდა ჰქონოდა. უმეტეს შემთხვევაში ისინი უქარგავი და სადაა. ამის ფონზე, კიდევე უფრო მნიშვნელოვანი ხდება XVII სს-ის ივერთა მონასტრის საჩრდილობელი, რომელიც დატვირთულია ნაქარგი სახეებით. ქოლგის ფორმის მსგავსად ალბათ, არც მისი მოქარგვის კონკრეტული პროგრამა იქნებოდა განსაზღვრული, ამიტომ მისი შემქმნელები განსაკუთრებული სახისმეტყველებითი შინაარსით მისი დატვირთვისას შეუზღუდავნი უნდა ყოფილიყვნენ.

ქოლგის ზომებია – 116X113 სმ.<sup>20</sup> იგი ერთმანეთზე მიკერებული ორი ტრაპეციული ფორმის, ხორცისფერი აბრეშუმის ნაჭრისაგანაა შეკერილი. ქოლგის ფართოდ გაშლილ, მომრგვალებულ ქვედა კიდეს ფოჩები ამშვენებს; ზედა, მკვეთრად დავინროვებულ, მოხსნილ ყელთან კი ოთხი სამაგრი ყულფი აქვს; საფიქრებელია, რომ სწორედ მათი მეშვეობით მაგრდებოდა მძიმედ ნაქარგი ქსოვილის საჩრდილობელი ხის ან ლითონის ჩონჩხზე.

საჩრდილობლის ერთ გვერდზე (სურ. 7) გამოსახულია ზეციურ ძალთა დასით გარემოცული წმინდა სამება; იქვე გამოუსახავთ ვაზის ორნამენტში ჩართული წმინდანთა ფიგურები, რომელთაც ერთმანეთისგან ერთ სტრიქონად განაწილებული ტექსტი აცალკევებს. მეორე გვერდზე (სურ. 8), ცენტრში მოცემულია შობის კომპოზიცია. მის ქვემოთ, მედალიონში მოქცეული მაცხოვრის ფიგურაა, რომლის ერთ მხარეს ნაწილდება ასევე მედალიონებში ჩასმული წინასწარმეტყველთა ფიგურები, საპირისპირო მხარეს კი – მეუდაბნოე მამები. მაცხოვრის ქვემოთ გამოსახულნი არიან ქტიტორები, რომლებიც მიმართულნი არიან მათ შორის გამოსახულ ტრაპეციის ფორმის საგნისკენ – ეს საჩრდილობელი ქოლგის მოდელი უნდა იყოს.

საჩრდილობლის ქვედა კიდე, ლურჯი აბრეშუმის ფონზე, საქტიტორო ნარწერები გასდევს. ქოლგის იმ გვერდზე, სადაც წმიდა სამება წარმოდგენილი, ტექსტი ბერძნულადაა შესრულებული, მეორეზე კი ქართულად, მხედრულით; ქართულ ტექსტს ახლავს თარიღიც – 1686 წელი.

ივერიის ღვთისმშობლის ხატის საჩრდილობელზე ქტიტორთა ფიგურები,

<sup>20</sup> Vlachopoulou-Karabina, *Holy Monastery of Iveron*, 126-7.

ტრადიციული იერარქიის შესაბამისად, ქვედა არეზეა განთავსებული. მათ ცენტრში გამოსახული ტრაპეციული ფორმის ქოლგა ღია ლურჯი ფერისაა. ქოლგას ქვედა, თარაზულ კიდეზე ვინრო, ხორცისფერი არშია შემოუყვება, ზედა კიდე კი რაკურსით არის მოცემული – მოჩანს კრატერის მსგავსი, ოვალური, მოხსნილი თავი<sup>21</sup>, ასევე ხორცისფერი არშიით. გამოსახულებას ნაბლისფერი ძაფის წვრილი კონტური შემოსდევს (სურ. 9).

ქოლგის ქვემოთ, ცენტრში, ოქრომკედით ნაქარგი და ყავისფერ კონტურმოვლებული ასოებით შესრულებული ბერძნული წარწერაა: **KATA TO CΩTHPION ETOC AX – გამოსხნიდან 1600.**

ქოლგის მარცხნივ მოცემული წვეროსანი მამაკაცი, მის ზემოთ გამოსახული მაცხოვრისკენაა სახით მიმართული. იგი მარცხენა ხელით ქოლგის გამოსახულებისკენ მიუთითებს, მარჯვენა კი ვედრებად მკერდთან აქვს მიტანილი. აღმოსავლურ სამოსში გამოწყობილი ქტიტორის თავის გასწვრივ, ოქრომკედით შესრულებული, ნაბლისფერ კონტურშემოვლებული ბერძნული წარწერაა **ACOYTANIC – აშოთანი.**

აშოთანის მაცხოვრისკენ აპყრობილი სახე ხორცისფერი აბრეშუმის ძაფით არის ამოვსებული. მისი სახის ნაკვეთები, გამოსახულების მინიატურული ზომების გამო, მხოლოდ კონტურებით აღინიშნება, შუქ-ჩრდილის მინიშნების გარეშე. შავი ძაფით გამოყვანილი წარბები მოკლეა და მორკალული. ნუშისებრი თვალების სრული ჭრილი მინიმალური სინვრილის ნაბლისფერი კონტურული ხაზით ისაზღვრება. თვალის გუგები თითო წერტილით იმგვარად არის მონიშნული, რომ ისინი არც მაცხოვრისკენ და არც მნახველისკენ არაა მიმართული. ცხვირი, სახის შესაბამისად, სამი მეოთხედით არის გამოსახული და წარბს ებმის. აშოთანის გრძელი, აპრეხილი უღვაშები ძაფის თითო ხაზით აღინიშნება; ამჟამად დაზიანებული წვერი კი, ჩანს, მთლიანად ყავისფრით იყო ნაქარგი. სახის კონტურში ისაზღვრება ყურიც.

ქტიტორს ჰხურავს დაბალი, გვერდებში გაგანიერებული, ოვალური ფორმის ქუდი, რომელიც შუბლს მრუდი ხაზით შემოუყვება. ქუდს ქვედა კიდეზე გასდევს გადანაკეცის ნაბლისფერი ზოლი, რომელიც ცენტრში ოთხკუთხედად არის ჩაჭრილი; დანარჩენი ნაწილი კი ხორცისფერით იფარება.

აშოთანის აღმოსავლური, წელში გამოყვანილი, წინ ჩახსნილი კაბა ოქროსფერი ძაფით არის ამოვსებული და გარშემო უწვრილესი ყავისფერი კონტური შემოსდევს. სამოსის მაღალი საყელო, ფიგურის უპროპორციო, სქელ კისერთან ფართოვდება და წვეტიან ბოლოებს იკეთებს. მკერდზე

<sup>21</sup> რაც იმას მოწმობს, რომ საჩრდილობელი თავიდანვე ამგვარი ფორმის იყო და ამ დროის განმავლობაში იგი არ გადაუკეთებიათ.



შვეულად ჩაჭრილ სამოსს აქვს საოლველი, რომელიც მხოლოდ კონტურით გამოიყოფა სამოსის ფაქტურისაგან. გრძელ მკლავებზე ცერად დახრილი სამკუთხა ყოშებია აღნიშნული. მოკლე წელზე შემორტყმული ჭაობისფერი მწვანე ქამრის ქვევით, კალთის გადანაკეცი იმავე ფერით იფერება. აშოთანის კაბა თეძოებთან საკმაოდ შებერილია. კალთას ნაპირებთან დაუყვება კაბის ფორმის შესაბამისი თითო შვეული, ნაბლისფერი ხაზი; ქობას ორი ნაბლისფერი ზოლი გასდევს.

ქტიტორის ორივე ფეხი მარჯვნივ, ცენტრისკენაა მიმართული. ხორცისფერი ძაფით დაფერილი, მკვეთრად გამოყოფილ ქუსლიანი ფეხსაცმელი, საგანგებოდ, წერტილებით შემოისაზღვრება – ამგვარი ხერხის წყალობით კონტურული ხაზი სქელი არ ჩანს მის მინიატურულ ფორმასთან. ღია მწვანე აბრეშუმით ივსება ქტიტორის წინდები, რომელიც მოხსნილი ფეხსაცმლიდან ჩანს.

ძნელად აღიქმება აშოთანის წინ, ქოლგისკენ გაპყრობილი მარჯვენა ხელის მტევანზე ჩამოკიდებული, ჯვრით დაბოლოებული სკვნილი. იგი მთლიანად ოქროსფერია და კონტურის უქონლობის გამო არ გამოიყოფა იმავე ფერის ფონიდან.

აშოთანის პირდაპირ, ქოლგის გამოსახულების მარჯვნივ, ოდნავ უფრო ტანმორჩილი ქტიტორია გამოსახული; ისიც ცენტრისკენაა მიმართული, ამასთან ქოლგისკენ კი არ უთითებს, არამედ ხელები ვედრებად აქვს შემართული. თავი სამი-მეოთხედით ცენტრისკენ აქვს მიბრუნებული, თუმცა მყუერბლისკენ იმზირება. თავის გასწვრივ არსებული წარწერის მიხედვით, ესაა **ქაიხოსრო – KAIXOCPOEIC**. იგი წვერგაპარსულია, ოდნავ დახრილი უღვაშებითა და სახის ნაკვთთა გამოსახვის იგივე ფორმებით.

ქაიხოსროს ქუდი აშოთანისაზე თითქოს უფრო დაბალია, ხოლო კაბა – თეძოებთან გაცილებით უფრო დამჯდარი. კისერს მოვლებული დაბალი საყელოს საოლველი მკერდზე შვეულად ჩაჭრილ სამოსს ჩამოუყვება. ყოშებიც სამკუთხა ფორმით აღინიშნება; ისინი ამ შემთხვევაშიც ოქროსფერი სამოსისგან მხოლოდ კონტურული ხაზითაა გამოყოფილი. ქამრის ნაკეციებიც მხოლოდ ნაბლისფერი ძაფით ისაზღვრება, კალთის გადანაკეცი კი მთლიანად ღია ლურჯი ფერისაა, ზედ ხორცისფერი წერტილებით, სახიანი ქსოვილის იმიტაციისთვის. კაბის კალთის კიდეზე, ორ-ორი შვეული ხაზია მოცემული, ალბათ ნაოჭების აღსანიშნავად.

ქობის ქვემოდან მოჩანს მოხსნილი, ქუსლიანი ფეხსაცმელი, რომელსაც ასევე წერტილები საზღვრავს, თავად კი ოდნავ მოყვითალო-ხორცისფერი ძაფითაა ამოვსებული.

ქტიტორთა ფიგურებს ქვემოთ ლურჯ ზოლზე დატანილი, მხედრული შესრულებული საქტიტორო წარწერაა:

ჩუენ :: ბაგრატიონმან :: ლ“თვ :: გვირგვინოსანთ :: ქართველთ :: მეფის :: გიორგის :: ბიძაშვილმან :: ბატონიშვილმან :: აშოთან :: შემოგწირე :: კარავი :: ესე :: მთა :: წმიდას :: პორტაატისა :: ლ“თს :: მშობელსა :: სულისა :: ჩვენისა :: საწსრად :: და :: ცოდვათა :: შესანდობრად :: და :: ძეთა :: ჩუენთა :: წარსამართე-  
ბლად :: ვინც :: წარიკითხოთ :: შენდობით :: მოგვიწსენებდეთ :: ქკს :: ტოდ.<sup>22</sup>

XVII საუკუნისთვის, აშოთანი და ქაიხოსრო დიდებულთა შორის გავრცელებული სახელებია, თუმცა საქტიტორო წარწერაში მითითებული თარიღისა და „ღვთივგვირგვინოსანთ ქართველ მეფის“ ნათესაობის ხაზგასმის გათვალისწინებით, ცხადი ხდება, რომ მასში მოხსენიებული შემწირველი აშოთანი უნდა იყოს ქართლის მეფის, გიორგი XI-ის ბიძაშვილი, რომელიც 1688-1692 წლებში სამუხრანბატონოს განაგებდა; მასთან ერთად გამოუსახავთ მისი უფროსი ვაჟი, ქაიხოსრო.<sup>23</sup> საგულისხმოა, რომ ტ. გაბაშვილი საჩრდილობელს აშოთან მუხრანბატონისგან შეწირულად მოიხსენიებს.<sup>24</sup>

აშოთანი, როგორც ქტიტორი, დოკუმენტებში საკმაოდ ხშირად ჩნდება – სწორედ მუხრანბატონობამდე, რადგან მისი მმართველობის პერიოდს დაემთხვა ქვეყნის გაერთიანებისა და გაძლიერებისთვის მეზობელი გიორგი XI-ს გადაყენება ირანის შაჰის მიერ და კახეთის ბაგრატიონთა შთამომავლის, გამაჰმადიანებული ერეკლე I-ის გამეფება. ერეკლე I-ს დაუძღვებია მეფე გიორგი XI-ს ერთგული მუხრანელები.<sup>25</sup> 1688 წლიდან, სახელოჩამორთმეულ აშოთანს ძვირფას შეწირულობათა გაღება ალბათ აღარ შეეძლო, მითუმეტეს ისეთ პირობებში, როცა „კუალად უვლინებდნენ მრავალსა საგანძურსა“ დევნისაგან შევიწროებული და დამცრობილი „აშოთან მუხრან-ბატონი, გივი ამილახორი და ნიკოლაოზ მალალაშვილი, რათა მით დაუყოს პირი მეფემან

<sup>22</sup> ამ თარიღს არ შეესაბამება საჩრდილობელის გამოსახულების ქვემოთ მოცემული ბერძნული წარწერა, რომელშიც თარიღად მითითებულია 1600 წ. ამგვარი ქრონოლოგიური აცდენა ხშირია ორგვარი წელთაღრიცხვით აღნიშნულ ძეგლებზე. რადგან ქტიტორის მოღვაწეობის პერიოდი სწორედ 1686 წელს უფრო მიესადაგება, სარწმუნოდ ქრონიკონის თარიღი მივიჩნით.

<sup>23</sup> დავით გვრიტიშვილი, *გვიანფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან*, სადოქტორო დისერტაცია (თბილისი, 1952), 667-70; დავით ნინიძე, „სამუხრანბატონო და მუხრანბატონთა განშტოება“, *ბაგრატიონთა სამეფო სახლის განშტოებათა ისტორია XIII-XVIII სს-ში* (თბილისი, 2004), 184-5; А. Калиновский, *Где Правда? История Афонского Иверского Монастыря* (Петербург, 1885), 27-9; Успенский, *Первое путешествие*, 190-201.

<sup>24</sup> გაბაშვილი, *მიმოსვლა*, 23.

<sup>25</sup> ნინიძე, „სამუხრანბატონო და მუხრანბატონთა განშტოება“, 184; შდრ. *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II (თბილისი, 1959), 465.

(გიორგი XI – ს. დ.) ოსმალთა ანგართა“.<sup>26</sup> ალბათ სწორედ ამიტომაცაა, რომ აშოთანი ათონისათვის საფასის გაღებას მხოლოდ 1688 წლამდე პერიოდში, სახელდობრ 1672-1687 წლებში ახერხებს, კერძოდ კი მაშინ, როცა მისი გვარი, გიორგი XI-ის წყალობით, ჯერ კიდევ ძლიერია.

საჩრდილობელი კარვის შემწირველი აშოთან მუხრანბატონი დიდად დახმარებია ოსმალთა მძლავრობის პირობებში დიდი სირთულეების წინაშე მდგარ ივერთა მონასტერს. ტ. გაბაშვილის „მიმოსვლის“ სხვადასხვა რედაქციებში, ივერონისადმი ქართველთა ღვანლის აღწერისას დასახელებულია:

A. „...პალატი დიდი, ხომლითა აღვსილი, საძმო **ტრაპეზ**, აღშენებული **აშოთანისა მიერ მუხრანის ბატონისა** თვით და ძით და ასულით იქ ხატიან. იქ მიცვალებულა კათალიკოზი ნიკოლოზ, მგონიეს ბატონიშვილი იყოს“.

B. „...საძმო, პალატი, **ტრაპეზი** თავის ხომლებით განწყობილი არის, აშენებული **აშოთან მუხრანის ბატონისაგან** (ახლა რომ აშოთან ყოფილა), თავისის შვილებით შინ ხატიან და ქართველებ მოხსენება უწერია. იქ ხატია კათალიკოზი ნიკოლოზ და იქავე მიცვალებულა, მგონია ბატონიშვილი ნიკოლოზ იყოს“.

C. „...საზოგადცხოვრებო **ტრაპეზი** თავისის ხომლითა და განწყობილობით აღუშენებია **აშოთანს მუხრანის ბატონს...** იქ ხატია კათალიკოზი ნიკოლოზ, მგონიეს, ბატონიშვილი იყოს“.<sup>27</sup>

ამ ცნობას ამყარებს XVII საუკუნის ქრონიკა, სადაც აშოთანის ღვანლი შემდეგნაირადაა ასახული: „შუდათას ას ოთხმეოცესა წელსა [ქრისტესით] ჩქობ (=1672 წ.), გავაკეთეთ კამარები ტრაპეზსა შინა და დახატულიცა იყო სრულიად წინამძღვრობასა დამასკელისა მღვდელმონაზონის სკურტისასა, ხოლო წარსაგებელი იყო საქართველოთგან **უგანათლებულესისა ბატონისა აშოთანისაჲ**“.<sup>28</sup>

1680 წელს აშოთანის საფასით აუშენებიათ მცირე ეკლესია მონასტრის ჩრდილოეთ კარიბჭესთან – სწორედ მასში დაუსვენებიათ ივერიის

<sup>26</sup> ნინიძე, „სამუხრანბატონო და მუხრანბატონთა განშტოება“, 184; შდრ. ქართლის ცხოვრება, II, 466.

<sup>27</sup> გაბაშვილი, *მიმოსვლა*, 21 (A, B, C ლიტერებით აღნიშნულია ტ. გაბაშვილის „მიმოსვლის“ სამი რედაქცია); თხზულების სხვადასხვა რედაქციიდან ჩანს, რომ სატრაპეზოში აშოთანი თავის ძესთან და ასულთან ერთად არის გამოსახული, თუმცა არცერთი საბუთით არ დასტურდება, რომ მას ასულიც ჰყავდა.

<sup>28</sup> კორნელი კეკელიძე, „მიტაცება ბერძენთა მიერ ქართული ლიტერატურის კერისა ათონზე და მისი მდგომარეობა XVI-XVII სს-ში“, *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, III (თბილისი, 1971), 79, 86; შდრ. Успенский, *Первое путешествие*, 191; П. Успенский, *История Афона*, III (Санкт-Петербург, 1892), 410; А. Нагроев, *Иверский Монастырь на Афоне в Турции* (Тифлис, 1910), 59; ლევან მენაბდე, *ძველი ქართული მწერლობის კერები*, II (თბილისი, 1980), 230.

ღვთისმშობლის ხატი.<sup>29</sup> ამაზე ტ. გაბაშვილი მონასტრის ტაძართა ზოგადად ჩამოთვლისას დასძენს: „სხვა გუმბათიანი ტაძარი პორტაიტისა – აღშენებული აშოთანის მიერ მუხრანის ბატონისა“,<sup>30</sup> შემდგომ კი უფრო ვრცლად განმარტავს:

- A. „და ზედ გუმბათიანი მცირე ეკლესია აღუშენებია **აშოთანს**, თითონაც მას შინა სახია და ძე მისი **ეზეკიელი**. არა უწყოდი, თუ რომელი ეზეკიელის მამამ აღაშენა აშოთან“.
- B. „ზედ საყდარი აღუშენებია ხატისათვის **აშოთანს მუხრანის ბატონსა**, თვითონაც შიგ ხატია და ძე მისი **ეზეკიელ** გვერდით უხატია. მე ეგრე ვგონებ ქეთევან დედოფლის მამა აშოთან იყოს“.
- C. „და კარზედ ხატისათვის გუმბათიანი მცირე ტაძარი აღუგია **აშოთანს მუხრანის ბატონსა**, თვითონაც შიგ ხატია და ძე მისი **იესე** თან უხატია“.<sup>31</sup>

„მიმოსვლის“ საბოლოო რედაქციაში მღვდელმთავარი აზუსტებს აშოთანის ძის სახელს. B – რედაქციაში გამოთქმული ვარაუდი, რომ ეს აშოთანი ქეთევან დედოფლის მამა შეიძლება იყოს, არამართებულია, რადგან ქეთევან ნამებულის მამას, რომელიც 1561 წელს გარდაიცვალა,<sup>32</sup> ვაჟი არ ჰყოლია<sup>33</sup>. სწორედ ამიტომ გადავიდა მუხრანბატონობა მემკვიდრეობით მის ძმიშვილზე.

კარის ღმრთისმშობლის მცირე ეკლესია 1683 წელს მოიხატა უნგრო-ვლახეთის მმართველის, სერბან კანტაკუზელის საფასით, პატრიარქ დიონისეს და ქართლის კათოლიკოს ნიკოლოზის ამილახვარის მწყემსმთავრობისას.<sup>34</sup> პ. იოსელიანის ცნობით, ეკლესია 1849 დაინგრა,<sup>35</sup> ტაძრის ნართქისის დასავ-

<sup>29</sup> კეკელიძე, „მიტაცება“, 80; Калиновский, *Где Правда?*, 23-4; Натроев, *Иверский Монастырь на Афоне в Турции*, 63, 201-2; Успенский, *Первое путешествие*, 193; მისი თქმით, თავად ტაძრის ფასადზე არსებული ორი წარწერით ირკვევა, რომ იგი აღუშენებია მონყალე მმართველ აშოთანს და სტეფანეს (?); შდრ. მენაბდე, *ძველი ქართული მწერლობის კერები*, 230.

<sup>30</sup> გაბაშვილი, *მიმოსვლა*, 18.

<sup>31</sup> იქვე, 19.

<sup>32</sup> *ქრონიკები და სხვა მასალები საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა*, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თედო ჟორდანიას მიერ, II (ტფილისი, 1897), 402.

<sup>33</sup> *ქართლის ცხოვრება*, II, 433.

<sup>34</sup> Натроев, *Иверский Монастырь на Афоне в Турции*, 202; Успенский, *Первое путешествие*, 194, სადაც ამატებს, რომ ტაძარი მოიხატა ექვთიმეს ილუმენობისას.

<sup>35</sup> მენაბდე, *ძველი ქართული მწერლობის კერები*, 230; ტიმოთე (მთავარ-ეპისკოპოსი), *მოხილუა წმინდათა და სხუათა აღმოსავლეთისა ადგილთა, ტიმოთესგან ქართლისა მთავარ-ეპისკოპოსისა*, (ტფილისი, 1852), 43, შენ. 20. „პალატი ესე სიძულელისაგან დააქციეს ჩემს მისულის დროსა ათონის მთაზე (1849). აშოთისაგან იყო არა აღშენებული, არამედ დახული ძირიდან თავადმდე. ქუეშე მისსა დიდრონი სარდაფნი საკუჭნაოდ. ნაცულად მისსა პროილუმენმან პროკოპი მოხუცებულმა თვისითა ხარჯითა იწყო აღშენებად ერთი

ლეთ კედელზე ახლაც არის შემორჩენილი აშოთანისა და იესეს გამოსახულებები. ა. ნატროშვილი და პ. უსპენსკი კი აშოთანის გამოსახულებასთან ერთად, ასახელებენ ქაიხოსრო და მზეჭაბუკ ჯაყელების გამოსახულებებს, თუმცა არაფერს ამბობენ იესეს გამოსახულებაზე.<sup>36</sup>

1680 წელს უნდა იყოს შექმნილი აშოთანის მიერ შეწერილი და ათონზე დაცული ხატებიც. მათგან ერთზე, მაცხოვრის ხატზე გამოსახულია თავშიშველი, მუხლებზე დამხობილი, მლოცველი აშოთანი, მეორეზე, ღვთისმშობლის ხატზე კი გამოსახულია აშოთანის იმხანად ახალგაზრდა ვაჟი, იესე.<sup>37</sup>

1687 წელს, აშოთანს მონასტრისთვის შეუწირავს ზემო ქართლის სოფელი – ხვითი, თავისი გლეხებითა და მიწებით. სწორედ ამ საბუთში იხსენიებიან მისი ვაჟები – ქაიხოსრო და იესე.<sup>38</sup>

აშოთანს 1678 წელს, ქართლის მეფე გიორგი XI-სთან და იმერეთის მეფე არჩილთან ერთად, გუმბათების და პალატების აღდგენისთვის, ხარჯი გაუღია **კარაკალუს** მონასტრისთვისაც.<sup>39</sup>

საჩრდილობლის ხორცისფერ აბრეშუმზე გამოსახულებები შესრულებულია ვერცხლისა და ოქროს კარგად დაგრეხილი ძაფით და სხვადასხვა ფერის აბრეშუმით. ქოლგის ფართო, მომრგვალებულ ქვედა კიდეს შემოყოლებული ლურჯი აბრეშუმის ნაჭრის ვიწრო ზოლს გაყოლებული ორენოვანი საქტიტორო ნარწერა კი ოქრომკედით სრულდება. კიდის შემომსაზღვრელად შემოვლებულ წითელი ძაფის „ჩალიჩზე“ დამაგრებულია სხვადასხვა მკვეთრი ფერის დიდი ფუნჯები (სულ ოცდაექვსი), რომლებიც იმეორებენ ნაქარგობაში გამოყენებულ ფერებს.

საჩრდილობლის ერთ გვერდზე ბერძნული საქტიტორო ნარწერაა: **Η ΣΚΙΝΙ ΑΥΤΗ ΩΝ ΟΡΑΤΕ ΒΡΝΤΙ ΣΠΟΥΔΙ ΚΑΙ ΕΞΟΔΟΥ ΤΕ ΗΠΑΡΧΙ ΤΟΥ ΕΝΔΟΞΟΤΑΤΟΥ ΚΥΡΙΟΥ ΑΣΟΥΤΑΝ ΚΑΙ ΘΙΟΥ ΤΟΥ ΕΥΣΕΒΕΣΤΑΤΟΥ Β(Α)C) ΙΛΕΟ(С) ΠΑΣ(Ι)C ΙΒΕΡΙΑΣ ΚΥΡΙΟΥ ΓΕΩΡΓΙΟΥ Κ(Α)Ι ΑΝΑΓΙΝΟC ΚΟΝΑΤΙC ΕΥΧΕCΤΕ ΠΕΡ ΑΥΤΟΥ – ეს ძღვენი, რომელიც შენ მოგიძღვნეს მოკვდავთ, ზრუნვითა და ხარჯით გაკეთდა დიდებული ბატონის და სრულიად იბერიის მეფის, გიორგის ბიძაშვილის მიერ; წამკითხველმან ილოცოს მისთვის.**

---

ორად დიდისა ტრაპეზისა. ვჰგონებ ან შესრულებულ იყოს. კარის შესავლისა მარცხნივ, ეხატა სრული-ტანად თვით აშოთან მუხრანბატონი. სრულსა ამბავსა მოვიხსენებ ცალკედ აღწერასა ჩემსა მონასტრისა ჩუენისა, რომელსაცა მალე დავბეჭდავ რუსულად“.

<sup>36</sup> Натроев, *Иверскій Монастырь на Афоне в Турции*, 56; Успенский, *Первое путешествие*, 190.

<sup>37</sup> Натроев, *Иверскій Монастырь на Афоне в Турции*, 60-1; Успенский, *Первое путешествие*, 200-1.

<sup>38</sup> Натроев, *Иверскій Монастырь на Афоне в Турции*, 300-3; Калиновский, *Где Правда?*, 26-8.

<sup>39</sup> მენაბდე, *ძველი ქართული მწერლობის კერები*, 230, შენ. 307.

ქოლგის ამ გვერდს ზედა და ქვედა რეგისტრებად ჰყოფს ერთსტრიქონიანი, მწყობრი ბერძნული წარწერა:

**Η ΑCOMΑΤΟΣ ΦΙΣΕΙΣ ΤΑ ΧΕΡΟΥΒΗΜ ΑΠΑΥΣ(ΤΟΙΣ) ΤΕΣ ΦΟΝΑΙΣ  
ΣΕΠΕΡΙΨΥ ΤΩΝ ΑΓΓΕΛΩΝ ΔΕΠΑΣΕ ΕΣΤΡΑΤΗΣ ΤΡΗΣΑΓΙΕΙΣ ΣΕ ΑCΜΑΧΗΝ  
ΕΦΙΜΗΝ – უსხეულო ბუნებანი, ქერუბიმები დაუცხრომელი ხმით შენ გადიდებენ, ხოლო ანგელოზთა მთელი მხედრობა სამწმინდაარსით შენ გიგალობს.**

ამ სტრიქონს ზევით, ქოლგის ვიწრო ყელზე, თითქოს ზეციური სამყაროა გამოსახული, ხოლო დაბლა – მიწიერი ეკლესიის მიერ ზეცას შეძენილი წმინდანები.

ზეციური ზონა მოიცავს (სურ. 10) წმ. სამების გამოსახულებას „თანამოსაყდრეობის“ იკონოგრაფიით, აგრეთვე ზეციურ ძალთა ცალკეულ ფიგურებს. გრძელ საყდარზე მჯდომ მამასა და ძე ღმერთს შორის ჯვარი და წამების იარაღებია განთავსებული; ყველა ეს გამოსახულება მოქცეულია განიერ, რვაქიმიან ვარსკვლავში; მათ ზემოთ, ასევე რვასხივიან, პატარა, „კვადრატულ“ ვარსკვლავში ჩაქარგულია მესამე ჰიპოსტასი, ჯვრულშარავანდიანი მტრედის სახით.

ვარსკვლავის ოთხივე მხარეს მახარებელთა სიმბოლოებია. „თანამოსაყდრეობის“ გვერდით არსებულ თავისუფალ არეებზე ხალვათად ნაწილდება ზეციურ ძალთა ფიგურები. ცენტრიდან მარცხნივ, ერთმანეთს ზემოთ გამოსახულია თითო-თითო ექვსფრთიანი ანგელოზი, მარჯვნივ კი მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზები.

კომპოზიცია ზემოთ მოყვანილი ბერძნული წარწერის ხატოვანი გაცხადებაა; ჯერ ქერუბიმები ისახებიან, შემდეგ მათი განსაზღვრელი – წმ. სამება, ბოლოს კი მთავარანგელოზები, რომლებიც თავის თავში აერთიანებენ ანგელოზთა მთელ მხედრობას.

დაუსაბამო ძე ღმერთი, რომელიც „მარჯვენით მამისა“ ზის, მარჯვენა ხელით მამა ღმერთისკენ მიუთითებს, მარცხენა ხელით კი ეხება სახარებას, რომელშიც იგი მოწმობს მომავლინებელ მამაზე. თავად მამა ღმერთი მაცხოვრის იკონოგრაფიული სახით გამოსახება, მხოლოდ შარავანდი აქვს სხივებით შევსილი და მარცხენა ხელში უჭირავს ორმხრივ დახურული გრაგნილი, როგორც ძველ აღქმაში გამოცხადებულ ღმერთს. იგი მარჯვენით აკურთხებს ძეს, რომლის შესახებაც წმინდა წერილში სწერია: „დიდებაჲ მისი, დიდებაჲ ვითარცა მხოლოდშობილისა მამისა მიერ“, „მამასა უყვარს ძე და ყოველივე მოსცა ხელთა მისთა“ (იოანე, III:35). მათი შესტიკულაცია უნდა განაცხადებდეს სამების ჰიპოსტასთა ერთმანეთისადმი მიმართებას; ალბათ მრწამსის დაცვას ემსახურება მესამე ჰიპოსტასის ცალკე, ვარსკვლავში გამოსახვაც, რათა მისი თვისება – „გამომავლობა“ ძესაც არ რგებოდა. მტრედის ჯვრული შარავანდი, ძე ღმერთთან ერთად, სამების ერთობაზე მიუთითებს.

ზეციური ზონა – ჰეტიმასიასთან და მახარებელთა სიმბოლოებთან ერთად – მერვე დღეს, მარადისობას გულისხმობს, სადაც უწყვეტლივ აღესრულება ზეციური მსახურება ანგელოზთაგან სამნმინდაარსობის გალობით და სადაც შეისმინება მიწიდან აღვლენილი ლოცვა.

სამების გამოსახულების ზემოთ, ქოლგის ვინრო ყელზე განთავსებულია სამსტრიქონიანი, მჭიდრო, მწყობრი, ბერძნული წარწერა, რომელიც ღმერთს მიემართება:

ΠΡΟ ΓΑΡ ΠΑΝΤΩΝ ΥΠΑΡΧΩΝ Ο ΟΝ

ΠΑΤΗΡ Κ[ΑΙ] ΚΙΝΑ(ΝΑ)ΡΧΟΝ ΕΧΕΙCΤΩ CON

ΥΩΝ Κ(ΑΙ) ΙCΟΤΗΜΟΝ Φ(Ε)ΡΟΝ Κ(ΑΙ) ΠΙΝ(ΕΥΜΑ) ΖΩ(ΗC) ΤΗC

ΤΡΗΑΔΟC*რამეთუ ყოველთა უწინარეს ჰგიე შენ, რომელიც ხარ მამა და თანადაუსაბამოდ გყავს შენი ძე და თანამოპატივედ მატარებელი სამების სიცოცხლის სული.*

ქოლგაზე დატანილი თითოეული ეს ლოცვა ნაწილია დიდი სერობის ჟამნისა, რომელიც ერთიანად ასე უღერს:

„უხორცოთა ბუნება ქერუბიმთა, დაუდუმებელითა ქებითა დიდების გმეტყველებენ. ექუს-ექუს ფრთენი ცხოველნი სერაფიმნი, დაუცხრომლითა ხმითა აღგამაღლებენ შენ. ხოლო ანგელოზთა ყოველნი მხედრობანი, სამ-ნმინდა არსობისა გალობითა გაქებენ შენ.

რამეთუ უპირატეს ყოველთა ხარ შენ, რომელი ეგე ხარ მამა, და დაუსაბამოდ გაქუს ძე შენი. და სწორად გაქუს სული ცხოვრებისა, და სამებისასა აჩუენებ განუყოფელობასა.

**ყოვლად წმინდაო ქალწულო ღვთისა დედაო**, სიტყვისა თვალით მხილველო და ხელით მსახურო. **მოციქულთა** და წინასწარმეტყველთა, და **მონამეთა ყოველთა მწყობრნო**, რომელთა გაქუსთ უკუდავი ცხოვრებაჲ. ჩუენ ყოველთათვის ევედრენით მარადის ღვთისაგან, რამეთუ ჩუენ, ყოველნი ვართ ძვირთა შინა. რათა საცთურისაგან ბოროტისა ხსნილნი, ანგელოსთასა ვლალადებდეთ გალობასა: „წმინდაო, წმინდაო, წმინდაო, სამ-წმინდაო უფალო, შეგვიწყალებ და გვაცხოვნენ ჩუენ. ამინ“.<sup>40</sup>

ამ ლოცვის მეორე ნაწილიდან გამომდინარე, სავსებით ბუნებრივი ჩანს, რომ ზეციური ზონის ქვემოთ გამოსახულნი არიან სწორედ ღვთისმშობელი, მოციქულები და წმინდანები, რომლებიც ცენტრიდან აღმოცენებული ვაზის რტოებით შექმნილ მედალიონებში ნახევარფიგურებად განუთავსებით (სურ. 11).

ცენტრში ამოქარგულ დიდ სფეროში ღვთისმშობელია გამოსახული, წინაღობისა სამეფო კურთხევით ხელგაპყრობილი ყრმით. დედაღვთისას მედალი-

<sup>40</sup> ჟამნი, ჟამნი დიდი სერობისა, გვ. რეე.

ონის მარცხნივ, ზევიდან, მედალიონში მოქცეული თერთმეტი წმინდანია: წმ. თეოდორე (Θ ΑΓΙΟΣ ΘΕΟΔΩΡΟΣ), წმ. იოანე ოქროპირი (Θ ΑΓΙΟΣ ΙΩ[ΑΝΝΗΣ] Ο ΧΡΥ[ΟΤΟΜΟ]), წმ. მოციქული ფილიპე (Θ ΑΓΙΟΣ ΦΙΛΙΠΠΟΣ), წმ. მოციქული და მახარებელი იოანე (Θ ΑΓΙΟΣ ΙΩ[ΑΝΝΗΣ]); მეორე ხაზზე: წმ. დემეტრე (Θ ΑΓΙΟΣ ΔΗΜΗΤΡΙΟΣ), წმ. გიორგი (Θ ΑΓΙΟΣ ΓΙΟΡΓΙΟΣ), წმ. მოციქული ბართლომე (Θ ΑΓΙΟΣ ΒΑΡΘΟΛΟΜ[ΑΙΟΣ]), წმ. მახარებელი ლუკა (Θ ΑΓΙΟΣ ΛΟΥΚΑΣ); მესამე ხაზზე: წმ. ბასილი დიდი (Θ ΑΓΙΟΣ ΒΑΣΙΛΙΟΣ), წმ. მახარებელი მარკოზ (Θ ΑΓΙΟΣ ΜΑΡΚΟΣ) და წმ. მოციქული პეტრე (Θ ΑΓΙΟΣ ΠΕΤΡΟΣ).

ღვთისმშობლის მედალიონის მარჯვნივ, სამი არარეგულარული ჰორიზონტალით ნაწილდება ათი მედალიონი, შემდეგი თანმიმდევრობით: წმ. მათე მახარებელი (Θ ΑΓΙΟΣ ΜΑΤΘΑΙΟΣ), წმ. კირილე ალექსანდრიელი (Θ ΑΓΙΟΣ ΚΥΡΙΛΛ[ΟΙΣ]), წმ. ათანასე ალექსანდრიელი (Θ ΑΓΙΟΣ ΑΘ[Α]ΝΑ[ΙΟΥ]), წმ. ნიკოლოზი (Θ ΑΓΙΟΣ ΝΙΚΟΛΑΟΣ); მეორე ხაზიდან: წმ. მოციქული ანდრია (Θ ΑΓΙΟΣ ΑΝΔΡ[Υ]Ε[Α]ΙΣ), წმ. მოციქული იაკობი (Θ ΑΓΙΟΣ ΙΑΚΟΒΟΣ), წმ. სტეფანე პირველდიაკონი (Θ ΑΓΙΟΣ ΣΤΕΦΑΝΟΣ); მესამე ხაზზე: წმ. მოციქული პავლე (Θ ΑΓΙΟΣ ΠΑΥΛΟΣ), წმ. მოციქული სვიმეონი (Θ ΑΓΙΟΣ ΣΙΜΩΝ) და წმ. მოციქული თომა (Θ ΑΓΙΟΣ ΘΩΜΑΣ).


ღვთისმშობლის დიდი მედალიონი თითქოს ვაზის ძლიერ, შვეულ ღეროს ეყრდნობა. ამ ღეროს ტანზე კი დატანილია წმინდანთა მედალიონების ზომისვე სფერო, რომელშიც გამოსახულია წმ. იოანე დამასკელი,<sup>41</sup> გაშლილი გრაგნილითა და ზედაპყრობილი ხელით. ღვთისმშობლის, მოციქულების, მათი მემკვიდრე ეკლესიის მამების და წმინდანების შემომსახლვრელი სფეროები ერთმანეთს ვაზის ღეროების ამსახველი მრუდი ხაზების მეშვეობით ებმის და მათ შორის ჩართულ ყურძნის მტკვინებთან და ფოთლებთან ერთად ქმნის ერთიან ვენახს. ღვთისმშობელს ეძღვნება ამ კომპოზიციის ძირში, მარცხნივ დატანილი ბერძნული წარწერა: ΘΕΟΤΟΚΕ ΚΙ Η ΑΜΟΠΕΛΟΣ Η Α[Δ]ΙΘΙΝΙ – *ღმრთისმშობელო, შენ ხარ ვენახი ჭეშმარიტი.*

ვენახის ყლორტებით შექმნილ კომპოზიციაში ღვთისმშობლის მედალიონის გარშემო თავს იყრის თორმეტი მოციქული, სხვა წმინდანები კი ვენახის გარეთა კიდეებისკენ იმკვიდრებენ ადგილს. თავად მოციქულთა განაწილება და თანმიმდევრობაში რამდენიმე კანონზომიერება მჟღავნდება:

ცენტრიდან აღმომავალი ღეროებისგან შექმნილი პირველივე სფეროები წმ. პეტრესა და პავლეს ეთმობათ; ისინი ერთმანეთის პირისპირ ისახებიან და წარმოდგებიან, როგორც თავნი მოციქულთა (იხ. სქემა). საგულისხმო განზრახვა იკვეთება ღვთისმშობლის და ორი მოციქულის – წმ. იოანე მახარებლის (მარცხნივ) და წმ. ანდრია პირველწოდებულის (მარჯვნივ) მედალიონთა ერთმანეთ-

<sup>41</sup> ამგვარად აიგივებს გამოსახულებას ზ. სხირტლაძე. განმარტებითი წარწერა ფოტოზე მკაფიოდ არ იკითხება.





ვენახის კომპოზიციის სქემა

თან, ვაზის ყლორტების მეშვეობით, დაკავშირებაში;<sup>42</sup> ამ გზით ღვთისმშობელს იდეურად უკავშირდება, აგრეთვე, წმ. კირილე ალექსანდრიელი.

მაცხოვარმა მონაფეთაგან ყველაზე მოსიყვარულე და ერთგული მოციქული – წმ. იოანე ღვთისმეტყველი გამოარჩია, რათა ჯვარცმის შემდეგ ღვთისმშობელზე ამქვეყნიური ზრუნვა და მუდმივად თანამყოფობა მიენდო მისთვის.<sup>43</sup> ისიც ნიშანდობლივია, რომ სტეფანე ათონელის ცნობით, წმ. ლაზარეს თხოვნით კვიპროსისაკენ გემით მიმავალი იოანე ღვთისმეტყველი და მარადის ქალწული მარიამი, ამოვარდნილი ქარიშხლის გამო, ღვთის ნებით **ათონზე** მოხვდნენ და აქ, ერთობლივი ქადაგებით განამტკიცეს ქრისტეს რჯული<sup>44</sup>;

<sup>42</sup> ვენახის ეს კომპოზიცია მქარგველს ალბათ გამოყენებული აქვს იმ ეპოქის საქართველოში არსებული ერთი პრობლემის გადასაჭრელადაც. იგი საგანგებოდ აკავშირებს ღვთისმშობლის მედალიონს ანდრია პირველწოდებულთან, რადგან ამით წარმოაჩინოს სრულიად საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმ. ანდრია მოციქულის მიერ დაარსება და სვეტიცხოვლის (შესაბამისად მცხეთის), როგორც სამოციქულო საყდრის მნიშვნელობა. ეს ხაზგასმა, მუხრანელი თავადის დაკვეთით შესრულებულ შესანიშნავ საჭირო უნდა გამხდარიყო იმ პრობლემის საპასუხოდ, რომელიც სამეფო-სამთავროებად დაშლილ საქართველოში ეკლესიის ერთიანობის საკითხში წარმოიშვა. **XV** საუკუნეში იყო ცდა, მცხეთის სამოციქულო საყდარს ჩამოშორებოდა სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს მხარეთა ეკლესიები (ჯერ სამცხე და შემდეგ აფხაზეთის სამეფო), როგორც უშუალოდ წმ. ანდრიასაგან მოქცეულნი, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესია წარმოეჩინათ წმ. ნინოს ღვანლით დაარსებულად. მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“, *საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1998* (თბილისი, 1997), 287-8. ეს პრობლემა პერიოდულად უფრო მწვავედებოდა; შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საჩრდილობის ნაქარგობის კომპოზიციაში სწორედ ამ საკითხის გამო იქნა ხაზგასმული „წმ. ნინოს ღვანლითა და ლოცვით საუფლო კვართზე დაფუძნებულ წმ. ანდრია სამოციქულო საყდრის“ (იქვე, 288) ერთიანობა.

<sup>43</sup> იოანე, 19:26-27.

<sup>44</sup> ელდარ ბუბულაშვილი, „წმინდა მოციქულთა მოღვაწეობა საქართველოში და მათ სახ-

არც წმ. ანდრია მოციქულის კავშირია გასაკვირი, რადგან ღმერთმა „ანდრეა... განაჩინა ქადაგებად ნათესავთა აღმოსავალისა და ჩრდილოისათა...“<sup>45</sup> და მათ შორის ღვთისმშობლის წილხვედრი<sup>46</sup> ქვეყნისათვის მაცხოვრებელი რჯულის მახარებლად.<sup>47</sup>

წმ. კირილე ალექსანდრიელი კი ეფესოს III მსოფლიო საეკლესიო კრებაზე ნესტორის არასწორი სწავლების მამხილებელი და ქალწული მარიამის „ღმრთისმშობლობის“ შესახებ მართლმადიდებლური სწავლების უპირველესი დამცველია.<sup>48</sup>

დანარჩენ შემთხვევებში ვაზის ყლორტები მხოლოდ კომპოზიციის მხატვრულად გამართვას ემსახურება და არ იტვირთავს რაიმე განსაკუთრებულ ფუნქციას. ნიშნეულია თავად წმინდანთა შერჩევის და მათი სახეების განაწილების პრინციპი. ამ მხრივ, ისინი გარკვეულწილად მიემართება ერთმანეთს როგორც დროით, ისე მოღვაწეობის ხასიათით.

ცენტრალური ღერძიდან მარცხნივ არსებული დანარჩენი ხუთი მედალიონი ეთმობა სამ მოწამე მხედარს: წმ. გიორგის, წმ. თეოდორეს და წმ. დიმიტრის და ლიტურგიის ორ ავტორს: წმ. ბასილი დიდსა და წმ. იოანე ოქროპირს.

ურთიერთმიმართება ბევრად უფრო თვალსაჩინოა მარჯვნივ გამოსახულ წმ. კირილე ალექსანდრიელს, წმ. ათანასე დიდსა და წმ. ნიკოლოზ მირონ-ლუკიელს შორის: სამივე მღვდელმთავარი მსოფლიო საეკლესიო კრებათა მონაწილეა – კარგადაა ცნობილი მათი ღვაწლი მართლმადიდებლურ სწავლებათა დაცვასა და სიტყვიერ ჩამოყალიბებაში: წმ. ათანასე დიდი და წმ. ნიკოლოზი პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე ერთად იცავდნენ მაცხოვრის ღვთაებრივი ბუნების შესახებ სწავლებას, წმ. კირილე ალექსანდრიელის ღვაწლი კი, როგორც ზევით აღვნიშნეთ, უკავშირდება ყოვლადწმიდა ქალწულის შესახებ „ღვთისმშობლის“ დოგმატს.

სამ მღვდელმთავარს შორის თავსდება მოციქულთაგან დადგენილი ერთ-ერთი პირველდიაკონი და ქრისტიანობისთვის უპირველესი მოწამე – წმ. სტეფანე.

მოციქულთა, მღვდელმთავრებისა და მოწამე მხედართა გვერდით განსა-

ელთან დაკავშირებული სინმინდეები“, *საქართველოს ეკლესიის სინმინდეები* (თბილისი, 2007), 130; *ცხოვრება ყოვლად-წმიდა ღვთის-მშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისა*, თარგმნილი რუსულითგან ქართულად მღვდლის თადეოზ კანდელაკის მიერ, გამოცემული „საქართველოს სასულიერო მახარებლის“ რედაქციისაგან (თბილისი, 1865), 70-1.

<sup>45</sup> *მიმოსვლა ანდრია მოციქულისა*, ძველი ქართული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო მალხაზ კობიაშვილმა (თბილისი, 2008), 165.

<sup>46</sup> ბუბულაშვილი, „წმინდა მოციქულთა მოღვაწეობა საქართველოში“, 127-31.

<sup>47</sup> იქვე, 170-98;

<sup>48</sup> *საეკლესიო სინმინდენი*, 1, იანვარი, 2001, „წმ. კირილე ალექსანდრიელის ეპისტოლე იოანე ანტიოქიელისადმი („ეფესოს სიმბოლო“), 4.

კუთრებულ შინაარსობრივ დატვირთვას იძენს წმ. იოანე დამასკელის ფიგურა, რომელიც განსხვავებული სამოსით, თავსაბურავითა და გაშლილი გრაგნილით ხელში, ღვთისმშობლის მედალიონის ქვემოთ, ცენტრშია განთავსებული. წმ. იოანეს გამორჩეული, ცენტრალური ადგილი საჩრდილობლის შემკულობის იკონოგრაფიულ პროგრამაში გარკვეულ წინაპირობებთან ჩანს დაკავშირებული. წმინდა მამის გამოსახულება მოქცეულია მედალიონში, რომლიდანაც ამოიზრდება ვაზის რტოები წმინდანთა სხვა მედალიონებით – სავარაუდოდ, მინიშნება მასზე, როგორც მართლმადიდებლური სწავლებების შემკრებზე<sup>49</sup>. გარდა ამისა, ხატთა თაყვანისცემის ერთ-ერთი უმთავრესი დამცველის გამორჩეულ ადგილზე გამოსახვა არ უნდა იყოს უჩვეულო იმ ხატის საჩრდილობელზე, რომელიც ხატმებრძოლეობის დროს დაწყებული დევნის შედეგად გამოჩნდა ათონის მთაზე.<sup>50</sup> ამ მხრივ არსებითი ჩანს წმ. იოანეს თხზულებათა მნიშვნელობა ხატთა თაყვანისცემისათვის.<sup>51</sup>

წმ. იოანე დამასკელი თავისი ზეაღპყრობილი მზერით, შემართული ხელითა და გაშლილი გრაგნილით, ღვთისმშობლის განდიდებას და მისდამი შესხმას უნდა გამოხატავდეს. საფიქრებელია, რომ წმ. იოანეს ფიგურასთან, თავისუფალ არეზე ამოქარგული ღვთისმშობლისადმი განკუთვნილი სიტყვები: „ღვთისმშობელო შენ ხარ ვენახი ჭეშმარიტი“ – მას ეკუთვნის. ეს ლოცვა შობის წინა დღესასწაულზე საგალობებელი ერთი „ღვთისმშობლისანის“ ნაწილია: „ღვთისმშობელო ქალწულო, შენ ხარ ვენახი ჭეშმარიტი, რომელმან გამოიღე ტევანი ცხოვრებისა, შენ გევედრებით მიმადლებულო, მოციქულთა თანა, მეოხ-გვეყავ ცხოვრებისათვის სულთა ჩუენთასა“ (ჟამნი). საჩრდილობელზე წმ. იოანე დამასკელი განადიდებს ღვთისმშობელს, რომელმაც გამოიღო „ტევანი ცხოვრებისა“, ხოლო ღვთისმშობლის გარს შემოკრებილი მოციქულები, როგორც ეკლესიის წიაღში გაერთიანებული პირველნაყოფნი უფლისგან „დასხმული“ ვენახისა, მეოხნი არიან „ცხოვრებისათვის სულთა ჩუენთასა“. წმ. იოანესაგან აღვლენილი ლოცვა და შესხმა, ვენახის შვეული ღეროთი, ჭეშმარიტი მტევნის გამომღებელი ღვთისმშობლისკენ მიემართება, მოციქულებისადმი მეოხებისთვის თხოვნას კი წმ. იოანეს მედალიონისაგან გამომავალი ვაზის ღეროთა დინება წარმართავს.<sup>52</sup> ვენახის წიაღში

<sup>49</sup> წმ. იოანე დამასკელი, *მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმინევენითი გადმოცემა* (თბილისი, 2000), 5.

<sup>50</sup> Успенский, *Первое путешествие*, I, отд. II, 159-69.

<sup>51</sup> წმიდათა ცხოვრება, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი, ტ. IV (თბილისი, 2001), 246-9.

<sup>52</sup> წმ. იოანე დამასკელის მიერ ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ ლოცვათაგან, ქოლგის ამ მხარეს არსებულ კომპოზიციას შეესაბამება ეს საგალობელიც: „შენდამი იხარებს მიმადლებულო ყოველი დაბადებული, ანგელოზთა კრებული და კაცთა ნათესავი, ტაძარო სინმიდისაო, სამოთხეო პირმეტყველო, რომლისაგან სიტყვა განხორციელდა, და ყრმა

მოციქულებთან ერთად გამოსახული წმინდანები, ლიტურგიის შექმნასა და სწავლებათა ჩამოყალიბებაში მათი ღვაწლის გამო, საკურთხეველში გამოისახებიან.<sup>53</sup> ნიშნულია, რომ საჩრდილობელზე წარმოდგენილი ვენახი, მასში ჩართული წმინდა სახეებით, ტაძრის საკურთხევლის მოხატულობის სქემას შეესაბამება. მართლაც, დიდ მედალიონში ჩასმული ჩვილედი ღვთისმშობელი, ისევე როგორც საკურთხევლის კონქში, ნაქარგობაზეც ცენტრალურ ადგილს იკავებს. მის გარს შემოკრებილი მოციქულები საკურთხევლის მოხატულობაში კონქს ქვემოთ გამოისახებიან. მოციქულთა ქვემოთ წარმოდგენილ მღვდელმთავრებს საკურთხევლის ქვედა მონაკვეთი მიეჩინება. მათთან ერთად გამოისახებიან პირველდიაკონები სიონითა და საცეცხლურით ხელში; მათ შორის უპირველესი წმ. სტეფანე პირველდიაკონია.

საკურთხევლის მოხატულობისათვის უჩვეულო ჩანს ქოლგაზე გამოსახული წმინდა მონამეები. ამასთანავე, როგორც სასუფევლის მკვიდრნი, ისინიც სხვებთან ერთად ვენახში არიან ჩართულნი, როგორც ზეციური ეკლესიის მარადიული წევრები.

საჩრდილობლის მეორე გვერდზე შობის დიდი მწუხრის ერთ-ერთი საგალობლის (სურ. 12), სცენის ცენტრში გამოსახულია მედალიონში მოქცეული პლატიტერას ტიპის ღვთისმშობელი, წიაღთან სამეუფო კურთხევით ხელეზგაპყრობილი ყრმით. მის ზემოთ განთავსებული სფერო, მასზე დატანილი ბერძნული წარწერის მიხედვით **ზეციური ვარსკვლავია** (ΟΙ ΟΥΡΑΝΙ ΤΟΝ ΑΣΤΕΡΑ), რომლიდანაც გამომავალი სხივი ღვთისმშობლის მედალიონისკენ მიემართება. მის მარცხნივ, ცალკე ჯგუფად გამოიყოფა ზეციურ ძალთა დასი სამი მგალობელი ანგელოზის სახით, რომლებიც ზემოთ არსებული წარწერის მიხედვით, **მგალობელი ანგელოზები** (ΑΓΓΕΛΕΙΤΟΝ ΙΜΝΟΝ) არიან. მარჯვნივ გამოუსახავთ ანგელოზთაგან ხარების მიმღები, მუხლმორთხმული მწყემსები წარწერით: **გაკვირვებული მწყემსები** (Η ΠΙΜΕΝΕΧ ΤΩ ΘΑΥΜΑ). მწყემსების პირისპირ, მარცხენა მხარეს, ოდნავ ქვემოთ, მუხლმოყრილი, მაცხოვრისადმი

---

*იშვა – პირველსაუკუნეთა ღმერთი ჩვენი, რომელმან საშო შენი – საყდრად გამოაჩინა, და მუცელი შენი – ცათა უვრცელეს-ჰყო, შენდამი იხარებს მიმადლებულო, ყოველი დაბადებული, დიდება შენდა“ (ღირს-არსის ნაცვლად საკითხავი, წინადაცუეთასა (1 იანვარი ძვ. სტილით). ღვთისმშობელი ჭეშმარიტად ტაძარია სინმიდისა, რომელმაც დაიტია დაუტევნელი და მისი წიაღი „ცათა უვრცელეს ჰყო“. მისგან განხორციელდა „ყრმა“ რომელიც, ამავე დროს არის „პირველ საუკუნეთა ღმერთიც“ და დედის წიაღი საყდრად წარმოაჩინა. ამიტომ ღვთისმშობლისადმი „იხარებს ყოველი დაბადებული, ანგელოზთა კრებული და კაცთა ნათესავი“. ვენახის კომპოზიციაში იგი ჭეშმარიტ პირმეტყველ სამოთხედ წარმოჩინდება, რომელმაც შემოიკრიბა ყოველი მისდამი თაყვანისმცემელი და მათთან ერთად მეოხ არიან „პირველსაუკუნეთა“ ღმერთის წინაშე.*

<sup>53</sup> Ch. Walter, “La place des évêques dans le décor des absides Byzantines,” *Revue de l’art*, 24 (1976), 81-9.

ძღვენის მიმრთმევი მოგვები არიან გამოსახულები, წარწერით *მოგვთა ძღვენი* (H ΜΑΓΙΤΑ ΔΟΡΑ). ოდნავ ქვემოთ მოცემულ მუხლმოყრილ ქალს, წინ განვდილ მარცხენა ხელზე უდევს ოთხკუთხა საგანი, რომელიც, წარწერის მიხედვით, *უდაბნოს ბაგაა* (H ΕΡΗΜΟΣ ΤΗ ΦΑΤΝΗ). მის პირისპირ კი გამოსახულია ასევე ქალის ფიგურა, რომელსაც წინ განვდილ მარჯვენა ხელზე მთის ფორმის საგანი უდევს; წარწერის მიხედვით, ეს *დედამინის გამოქვაბულია* (H ΓΗ ΤΩ ΣΠΙΛΕΟΝ).

ამ კომპოზიციის ქვემოთ, ღვთისმშობლის მედალიონის ზომისავე მანდორლაში მოქცეული, ჩალისფერწვერიანი მაცხოვარია სამეუფო კურთხევით. ამ ფერით ქოლგის ნაქარგობაში ჭადარა თმა-წვერი გამოსახება. შესაბამისად, მედალიონში მოცემული უნდა იყოს მაცხოვარი „ძუელი დღეთას“ სახით. მის მარჯვნივ და მარცხნივ თითო-თითო ექვსფრთიანი ანგელოზები გამოუსახავთ. მაცხოვრის მედალიონის ქვემოთ სამ სტრიქონად იშლება ბერძნული წარწერა: ΠΡΟΣΔΕΞΕ ΤΗΝ ΔΕΙ[IN] ΗΜΟΝ Ο ΚΑΘΗΜΕΝΟΣ ΕΚ ΔΕΣΞΙΩΝ ΤΟΥ ΠΑΤΡΟΣ ΚΕ ΕΛΕΗΧΟΝΙ/ΜΑC – *რომელი ზის მარჯვენით მამისა, ისმენს ჩვენს ლოცვას და შეგვინყალეზს ჩვენ.*

სწორედ ამ წარწერის ქვემოთ, შუა ღერძზეა გამოსახული ივერიის ღმრთისმშობლის ხატის საჩრდილობელი ქოლგა, ორსავე მხარეს მდგომი ქტიტორებით.

საჩრდილობლის შვეულ ღერძზე ურთიერთს მონაცვლე ამ გამოსახულებათა გვერდით, მარცხნივ გამოსახულნი არიან ძველი აღთქმის მამამთავრები (სურ. 13) და წინასწარმეტყველები, ხოლო მარჯვნივ – სამონასტრო ცხოვრების დამფუძნებელი წმინდა მამები (სურ. 14). ხალვათად განთავსებულ მედალიონთა შორის დარჩენილ არეებზე მიხაკის ყვავილებია მიმოზნეული.

მარცხენა არეზე: სოლომონი (Ο [ΟΦΟC/ΧΟΛΟΜΟΝ) და დავითი (Ο ΠΡΟΦ[ΗΤΗΣ]/ΔΑΒ[ΙΔ]), წინასწარმეტყველთაგან კი ამბაკუმი (Ο ΠΡΟΦ[ΗΤΗΣ]/ΑΒΒΑΚΟΥΜ), დანიელი (Ο ΠΡΟΦ[ΗΤΗΣ]/ΔΑΝΙΗΛ), იერემია (Ο ΠΡΟΦ[ΗΤΗΣ]/ΙΕΡΕΜΙ[ΑC]) და ესაია (Ο ΠΡΟΦ[ΗΤΗΣ]/ΙCΑ[ΙΑ]C). მარჯვენა არეზე: წმ. პავსტუტი (ΠΑΥΝΟΥΤΙC), წმ. იოასაფი (Ο ΑΓΙΟC/ΙΟCΑΦ), წმ. ანტონი დიდი (ΑΝΤΩΝΙΟC), წმ. ეფრემ ასური (Ο ΑΓΙΟC CΥΡC/ΕΜΟCΙ/ΡΟC), წმ. საბა (Ο ΑΓΙΟC CΑΒΒΑC) და წმ. ეფთვიმე დიდი (ΕΥΘΥΜΙΟC).

შემთხვევითი ვერ იქნება ის გარემოება, რომ ქართული საქტიტორო წარწერა საჩრდილობლის სწორედ ამ მხარეზეა შესრულებული. ქტიტორების შესტით კიდევ უფრო საჩინოვდება მისი საზრისი. შეწირულების თემასვე ეხმიანება შობის კომპოზიციაც და მისი შესაბამისი დიდი მწუხრის საგალობელი: „რამე შევსწიროთ შენდა ქრისტე, რამეთუ მოხუედ ქუეყანად ვითარცა კაცი ჩუენ-თვს, თვთოეულნი შენგან ქმნილნი და დაბადებულნი, ესრეთ მადლობასა შენდა შესწიროვენ, ანგელოსნი ქებასა, ცანი ვარსკვლავთ-მთავარსა, მოგუნი

საღმრთოსა ძრვენსა, მწყემსნი საკუირველებასა, ქუეყანა ქუაბსა, უდაბნო ბაგასა, ხოლო ჩუენ დედასა და ქალწულსა, საუკუნეთა ღმერთო შეგვიწყალენ ჩუენ“ (სადღესასწაულო, შობის დიდი მწუხრის საგალობელი, ანატოლის ლოცვა, ხმა ბ; უძველესი იადგარი, 1980, შობა, გვ. 12, სინმიდისაი ხმაი ბ). ეს ლოცვა მაცხოვარს მიემართება და მასში უფლისადმი გაღებულ იმ შესანიშნავზეა მითითება, რომელიც გამოხსნისათვის ხორციელდება.

ქოლგაზე გამოსახული შობის მსგავსი კომპოზიცია (სურ. 15) არქიმანდრიტ პორფირის უნახავს თავად ივერთა მონასტრის მთავარი ტაძრის მოხატულობაშიც – ბეთლემის წიაღს ქვემოთ წარმოდგენილი მეფეები, მღვდელთმთავრები და ერისკაცები ასახიერებენ მათ თავს ზემოთ დართული ლოცვის სიტყვებს: „ჩვენ კი დედასა ქალწულსა“.<sup>54</sup>

სწორედ ამგვარადვე გაიაზრება იერარქიის შესაბამისად ქოლგის ქვედა მონაკვეთზე გამოსახულ ქტიტორთა, აგრეთვე მათ გვერდით წარმოდგენილ ძველი და ახალი აღთქმის მოღვაწეთა სახეები.<sup>55</sup>

ძველი და ახალი აღთქმის მამათა შორის გამოსახული „საუკუნეთა ღმერთი“

<sup>54</sup> Успенский, *Первое путешествие*, 188; Vlachopoulou-Karabina, *Holy Monastery of Iveron*, 149. შობის ამგვარი სცენა დოხიარის მონასტრის ნართექსის XVI საუკუნის მოხატულობაშიცაა წარმოდგენილი. K. Καλοκύρις, Ἡ ἀπάλειψις τῆς σκηνῆς τοῦ λουτροῦ θεοῦ Βρέφους ἐκ τοιχογραφῶν τοῦ Ἀγίου Ὁροῦ, *Ἄθνα, θέματα ἀρχαιολογίας καὶ τέχνης* (Ἀθήναι 1963).

<sup>55</sup> ივერიის ღვთისმშობლის ხატის საჩრდილობელი, საქტიტორო წარწერაში „კარვად“ მოიხსენიება (საგულისხმოა, რომ ვ. ბარსკი, პორტაიტის ხატის საჩრდილობლის მოკლე აღწერისას, მას „ზეცად“ მოიხსენიებს (იხ. ზემოთ). თავად ამოთანისაგან დაახლოებით 60 წლით დაშორებული ტიმოთე გაბაშვილი კი – საჩრდილობელს უბრალოდ „ქოლგას“ უწოდებს). ძველი ქართული ენის ლექსიკონში „კარავი“ – ტალავარს (საჩრდილობელს) ნიშნავს. ილ. აბულაძე, *ძველი ქართული ენის ლექსიკონი* (თბილისი, 1973), 192. თუმცა იგი ამ პირდაპირი გაგების გარდა, სიმბოლურად, თავად ღვთისმშობლის სიმბოლოდაც შეიძლება გავიაზროთ. ძველი აღთქმისეული მოსეს კარავი, „კარავი სინმინდისა“, „კარავი სანამებელი“, ხომ სწორედ ღვთისმშობლის წინასახე იყო, რომლის წიაღშიც დაივანებდა საუკუნეთა ღმერთი. ამის გათვალისწინებით, ქტიტორთა მინიშნება საჩრდილობლის მაკეტზე, ასევე გადატანითი მნიშვნელობით შესაძლოა განასახიერებდეს ამავე სიტყვებს: „ჩვენ კი დედასა ქალწულსა“. ამ გაგების მიხედვით, ლიტანიობით ტაძრიდან გაბრძანებული ღვთისმშობლის ხატის თავზე აღმართული „კარავი“, სიმბოლურად მცირე ეკლესიად წარმოჩინდება და გვევლინება მოსეს მოძრავი კარვის სიმბოლოდ, რომლის ქვეშაც, ივერიის ღვთისმშობლის ხატი, როგორც ძველი აღთქმის კიდობანი, ტაძრის წიაღში დაიარება. იმასაც, თუ გაითვალისწინებ, რომ საჩრდილობელზე არსებული კომპოზიციები XVI-XVII სს-ის ტაძართა მოხატულობის პროგრამის ელემენტებს შეიცავს, შესაძლოა გავამართლოთ ჩვენს მიერ გამოთქმული აზრი კარავის სიმბოლური გაგების შესახებ. კარავი სანამებელი, ისევე, როგორც ღვთისმშობელი განწმენდილია უფლის დიდებით (გამ. 29,43; 40,34; რიცხვ. 9,15); ძველ აღთქმაში კარავი გადატანითი მნიშვნელობით ასევე ზეცადაც მოიაზრებოდა (ეს. X:22) და ეკლესიის ფართოდ გავრცელებასაც განასახიერებდა. ელ. გიუნაშვილი, *ზ. კალანდაძე, ბიბლიის ლექსიკონი (მასალები)*, 1 (2000), 240-1.

რომელიც ფლანკირებულია ექვსფრთიანი სერაფიმებით, წარმოჩენილია როგორც ღმერთი ძველი და ახალი აღთქმისა: „ესე არს რომლისა-თვის ღალადებს დავით მამათათავარი და ღვთის-მეტყველებს, ესე არს წინასწარმეტყველთაგან ქადაგებული, ამას თაყვანის-ვჰსცემდეთ და ვადიდებდეთ“ (სადღესასწაულო, მიგებებაი, უფალო ღალადყავსა დასდებელი, თვით-ხმოვანი, გერასიმე პატრიარხისა). ეს არის ღმერთი, ძველთაგანვე ქადაგებული: „...იესო ქრისტე გუშინ და დღეს და იგი თავადი არს უკუნისამდე“ (ებრ. 13,8), რომელიც, ქოლგაზე არსებული წარწერის მიხედვით: **ზის მარჯვენით მამისა, ისმენს ჩვენს ლოცვას და შეგვიწყალებს ჩვენ** (ΠΡΟΟΔΕΞΕ ΤΗΝ ΔΕΙΧΙΝ /ΗΜΟΝ Ο ΚΑΘΗΜΕΝΟΣ ΕΚ ΔΕΞΙΩΝ ΤΟΥ ΠΑΤΡΟΣ ΚΕ ΕΛΕΗΧΟΝΙ/MAC).

მარცხნივ გამოსახულ ძველი აღთქმის მამებს დახურული გრაგნილები უჭირავთ – მათთვის ჯერ კიდევ დაფარული იყო ის ჭეშმარიტება, რასაც ისინი სულწინდისაგან წინასწარმეტყველებდნენ მომავალ მხსნელზე. ახალი აღთქმის მამები კი უკვე გაშლილ გრაგნილებს ფლობენ, რადგან მაცხოვრის ამქვეყნად მოვლინებით განეცხადათ ყოველივე ძველთაგან უწყებულები.

ქოლგაზე გამოსახულ ძველი აღთქმის მამათაგან გვირგვინოსანი დავითი და სოლომონი ისახებიან, როგორც მაცხოვრის ხორციელი წინაპრები, რომელთა თესლიდანაც განხორციელდა უფალი, ზეციური და მიწიერი წარმოშობითაც ჭეშმარიტი მეფე, „უფლისწული“. დავითი ფსალმუნებით, ხოლო სოლომონი, იგავებით იუწყებოდა მომავალ მხსნელზე. ამაზე თავად საკითხავებშიც ვკითხულობთ: „საუკუნეთა პირველშობილი, აღსრულებად იგავთა მოხვედ, და წყალობისათვის ჩვენისა, შეიმოსე ბუნება ჩვენი“ (სადღესასწაულო, მიგებებაი, გალობა 5, სძლის-პირი).

წინასწარმეტყველები ერთიანდებიან მაცხოვრის მარადიულ მეუფებაზე წინასწარმეტყველებით. ისინი მაცხოვარს ჭვრეტდნენ „იგავთა და სახეთა მიერ გამოსახულს“, ზოგნი კი – ვისაც ეგულებოდა განხორციელება ბოლო ჟამს – გამოცხადებით ხედავდნენ მას. წინასწარმეტყველთაგან, ყველაზე მეტად იერემია ცხოვრობდა მაცხოვარისამებრ. დანიელმა მოასწავა მხსნელის ქალწულისაგან შობა და თავადვე აღასრულა მესამე დღეს სიკვდილზე ძღვევისა და აღდგომის წინასწარუწყება. ესაიამ ქვეყნად ქალწულისაგან მოვლენილი მაცხოვრის მიერ ნათლის გამოჩინება და სიმშვიდე იქადაგა. ამბაკუმმა იხილა ღმერთის სუფევის შვენიერება და ღალად-ჰყო: „დაფარნა ცანი შვენიერებამან მისმან და ქებითა მისითა აღივსო ქუეყანაი“ (ამბ. 3.3).

ძველი აღთქმისას წინასწარუწყებულს განავრცობს მარჯვნივ გამოსახული სამონასტრო ცხოვრების ფუძემდებელი მეუდაბნოე მამები. ისინი უფლისადმი მადლიერებას გამოხატავენ, მისთვის პატიოსანი ცხოვრების შეწირვით. ნმ. პაფნუტი ეგვიპტელის, ნმ. ეფრემის, ნმ. ეფთვიმე დიდის, ნმ.

საბა განწმენდილის და წმ. ანტონი დიდის გარემოცვაში, ცენტრში გამოსახული წმ. იოასაფი, ამ დასს კიდევ უფრო ღრმა შინაარსს სძენს. მაცხოვრისაკენ მომზირალი გვირგვინოსანი იოასაფი ორივე ხელით მეუდაბნოე მამებისკენ მიუთითებს. „სიბრძნე ბალავარიდან“ ცნობილი ეს უფლისწული, მაცხოვრის მსგავსად, მამის მხოლოდშობილი ძე იყო და თავისი უფლისწულობა დათმო ღვთისადმი მადლიერების გამო – მან მეუდაბნოე მამათა მიბაძვით თავი შესწირა მისთვის აღსრულებულ და აღმდგარ, განხორციელებულ მხოლოდშობილ ძეს ღვთისას. სრულიად ბუნებრივი ჩანს ათონის მთის მონასტრისთვის განკუთვნილი შენირულობის იკონოგრაფიულ პროგრამაში მეუდაბნოე მამების გამოსახვა და მათ შორის – წმინდა იოასაფისაც: ათონის მთა ხომ მონაზვნობის დიდი კერაა, ხოლო თავად ივერონის მონასტერში წმ. იოასაფის საგანგებო წარმოჩენა წმ. ეფთვიმე ათონელის ღვანლთანაა დაკავშირებული.<sup>56</sup>

ფიგურათა შორის გაბნეულ მიხაკთა გამოსახულებებიც მსხვერპლის თემას ეხმიანება.<sup>57</sup> ამ მსხვერპლით მონიჭებული ხსნა კი მიეფინა ყველას, ძველ და ახალ აღთქმაში მკვიდრთ.

როგორც დავინახეთ, საჩრდილობელის ამ მხარეს მსხვერპლის თემაა ხაზგასმული. კაცობრიობის სიყვარულით მაცხოვრისაგან გაღებული უდიდესი მსხვერპლის სანაცვლოდ, თითოეული მისი ქმნილება, ზეციური და მიწიერი სამყარო, ხსნის მომლოდინე კაცობრიობა, მადლიერების ნიშნად „ძალისაებრ მათისა“, განწმენდილ გულს და ღვთისათონ ცხოვრებას უძღვნის მოწყალე მაცხოვარს, რათა კურთხევა და ღმერთის წიაღში დავანების პატივი მიიღონ. მათ შორის მოკრძალებული შესაწირის გამღები ქტიტორებიც ითხოვენ მხსნელისგან ცოდვათა შენდობას, ხოლო საქტიტორო წარწერის ნამკითველთ, ლოცვით შეწევნას შეახსენებენ.

ამრიგად, საჩრდილობლის პირველ გვერდზე წარმოდგენილ სახეთა ერთობა მიწიერი ეკლესიიდან ზეცად აღვლენილი ლოცვისა და წმინდა სამების დიდების განსახიერებაა, სადაც ხაზგასმულია ღვთისმშობლის მეოხების უპირატესობა მისდამი მსასოებელი ხალხისათვის, ხოლო მეორე გვერდზე მსხვერპლშენიერის თემაა გაშლილი, რომელიც ღვთისგან შექმნილმა სამყარომ გაიღო მაცხოვრისადმი მადლიერების ნიშნად, მათ შორის ქტიტორებმაც

<sup>56</sup> „სიბრძნე ბალავარისა“ წმ. ეფთვიმე მთაწმინდელმა თარგმნა ქართულიდან ბერძნულ ენაზე – კ. კეკელიძე, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, I (თბილისი, 1980), 187; საჩრდილობელზე წმიდა იოდასაფი, ბერძნული სახელით – იოასაფითაა მოხსენიებული. კეკელიძე, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, 188.

<sup>57</sup> მიხაკის თესლი ლურსმნის ფორმისაა, და სწორედ ამიტომ ჯვარცმასთან და მსხვერპლთან ასოცირდება და მონაშენობის სიმბოლოდ მიიჩნევა. Г. Бидерманн, *Энциклопедия символов* (Москва, 1996), 52; გულნაზ ბარათაშვილი, „ბატონიშვილი თამარის დაფარნის იკონოგრაფიული თავისებურებანი“, *ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები*, VI (2000), 118.



მიუძღვნეს ეს მცირედი შესანიერი ათონის ივერთა მონასტერში ქართველთა მფარველად მოვლენილ ღვთისმშობლის წმიდა გამოსახულებას.

ივერიის ღვთისმშობლის ხატის საჩრდილობელი გამორჩეულია, როგორც მისი უჩვეულო ფუნქციის მხრივ, ასევე მასზე არსებული კომპოზიციების შინაარსითაც; საქტიტორო წარწერის წყალობით, იგი გარკვეულწილად საისტორიო წყაროსაც წარმოადგენს. ამიტომ ქარგული კარავი საინტერესო იქნება, როგორც ხელოვნებათმცოდნეებისთვის, ისე ლიტურგიკითა და გვიანი ფეოდალური ხანით დაიტერესებულთათვის. მითუმეტეს, რომ ნაქარგობით ამგვარად დატვირთული სინმინდეთა საფარველი ქოლგები, მართლმადიდებლურ სამყაროს ბევრი არ უნდა მოეპოვებოდეს.

### ბიბლიოგრაფია

- აბულაძე ილია. ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბილისი, 1973
- ალექსიძე ა. ათონი ათასწლოვანი. თბილისი, 1982
- ბუბულაშვილი ელდარ. წმინდა მოციქულთა მოღვაწეობა საქართველოში და მათ სახელთან დაკავშირებული სინმინდები. საქართველოს ეკლესიის სინმინდები. თბილისი, 2007
- გვრიტიშვილი დავით. გვიანფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან. სადოქტორო დისერტაცია. თბილისი, 1952
- გიუნაშვილი ელ., კალანდაძე ზ. ბიბლიის ლექსიკონი (მასალები). ტომი I. თბილისი, 2000
- თაყაიშვილი ექვთიმე. არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს. პარიზი, 1937
- კეკელიძე კორნელი. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტომი III. თბილისი, 1971
- კეკელიძე კორნელი. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტომი I. თბილისი, 1980
- მენაბდე ლევან. ძველი ქართული მწერლობის კერები. ტომი II. თბილისი, 1980
- მეტრეველი ელენე. ათონის ქართველთა მონასტრის საალაპე წიგნი. თბილისი, 1998
- მიმოსვლა ანდრია მოციქულისა. ძველი ქართული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო მალხაზ კობიაშვილმა. თბილისი, 2008
- ნინიძე დავით. ბაგრატიონთა სამეფო სახლის განშტოებათა ისტორია XIII-XVIII სს-ში. თბილისი, 2004
- საეკლესიო სინმინდენი, 1. იანვარი, 2001
- საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1998. მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. თბილისი 1997

ტიმოთე (მთავარ-ეპისკოპოსი). მოხილუა წმინდათა და სხუათა აღმო-  
სავლეთისა ადგილთა, ტიმოთესგან ქართლისა მთავარ-ეპისკოპოსისა. წინა-  
სიტყვაობის ავტორი პლატონ ეგნატის-ძე იოსელიანი. ტფილისი, 1852

ტიმოთე გაბაშვილი. მიმოსვლა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლე-  
ვა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა. თბილისი, 1956

ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის  
მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტომი II. თბილისი, 1959

ქრონიკები და სხვა მასალები საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა,  
ქრონოლოგიურად დანყობილი და ახსნილი თედო ჟორდანიას მიერ. წიგნი II.  
ტფილისი, 1897

ცხოვრება ყოვლად-წმიდა ღუთის-მშობლისა და მარადის ქალწულისა მარი-  
ამისა, თარგმნილი რუსულითგან ქართულად მღვდლის თადეოზ კანდელაკის  
მიერ, გამოცემული „საქართველოს საულიერო მახარებლის“ რედაქციისაგან.  
თბილისი, 1865

წმ. იოანე დამასკელი. მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმინვენითი  
გადმოცემა. თბილისი, 2000

წმიდათა ცხოვრება. ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი. ტომი IV. თბილისი,  
2001

ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები. ტომი VI. გ. ბარათაშვილი,  
ბატონიშვილი თამარის დაფარნის იკონოგრაფიული თავისებურებანი. თბილისი  
2000

Бидерманн Г. Энциклопедия символов. Москва, 1996

Калиновский А. Где Правда? История Афонского Иверского Монастыря.  
Петербург, 1885

Нагроев А. Иверский Монастырь на Афоне в Турции. Тифлис, 1910

Пешеходца Василия Григоровича-Барскаго Плаки-Албова, уроженца Киевскаго,  
монаха Антиохийскаго, путешествие к святым местам в Европе, Азии и Африке на-  
ходящимся, предпринятое в 1723, и окончанное в 1747 году, им самим писанное, ч. II  
(1735-1747). Санкт-Петербург, 1819

Успенский П. Первое путешествие в Афонские монастыри в 1845 году. Ч. I, отд.  
II. Киев, 1877

Успенский П. История Афона. III. Санкт-Петербург, 1892

Vlachopoulou-Karabina, E. Holy Monastery of Iveron. Gold Embroideries. Mount  
Athos, 1998

Walter, Ch. La place des évêques dans le décor des absides Byzantines. Revue de l'art,  
24, 1976

Καλοκύρης Κ. Ἡ ἀπάλειψις τῆς σκητῆς τοῦ λουτροῦ τοῦ θεοῦ Βρέφους ἐκ τοιχογραφίᾳ  
τοῦ Ἁγίου Ὁρου, Ἄθω, θέματα ἀρχαιολογίας καὶ τέχνης, Ἀθήναι 1963.

Παναγία Πορταίτισσα - Ἄνεοσ Ἐὐλογία. Ἱερα Μονή Ἰβρον, 2002

1




2




სურ. 1 ივერიის ღვთისმშობლის ხატით ლიტანიობა.

სურ. 2 ნახატი გრაფიურა სამკუთხა ქოლგის გამოსახულებით.



3



4

სურ. 3 ნახატი გრავეურა ოთხ ფეხზე დაყრდნობილი ბალდახინის გამოსახულებით.

სურ. 4 ნახატი გრავეურა მკვეთრად წვეტიანი ქოლგის გამოსახულებით



5



6

სურ. 5 მსვლელობა ზოლიანი საჩრდილობელი ქოლგის თანხლებით.

სურ. 6 მსვლელობა პირამიდული ფორმის ფოჩებინი საჩრდილობლით.



7



8

სურ. 7 აშოთანისეული საჩრდილობლის I გვერდი.

სურ. 8 აშოთანისეული საჩრდილობლის II გვერდი.



9



10



11

სურ. 9 ქტიტორთა გამოსახულებები აშოთან მუხრანბატონის მიერ შეწირულ ქოლგაზე.

სურ. 10 ზეციური ზონა აშოთანისეულ საჩრდილობელზე.

სურ. 11 „ღვთისმშობელი შენ ხარ ვენახი ჭეშმარიტი“-ს კომპოზიცია.



12



13

სურ. 12 მაცხოვრის შობისადმი მიძღვნილი საგალობლის ამსახველი ილუსტრაცია აშოთანისეული საჩრდილობლის II გვერდზე.

სურ. 13 ძველი ალექსის მამები აშოთანისეული საჩრდილობლის II გვერდზე.





14

15



სურ. 14 მეუღაბნოე მამეუბი აშოთანისეული საჩრდილობლის II გვერდზე.

სურ. 15 შობისადმი მიძღენილი საგალობლის ამსახველი ფრესკა.

## The shade tent of the Virgin's icon at the Iviron monastery on Mount Athos

*Sophio Davitashvili*

### Summary

The essay deals with the shade umbrella of the icon of the all Holy Mother of God pre-served at the Iviron monastery on Mount Athos. It constitutes one of the distinguished monuments of old Georgian embroidery. Georgia's depositories of antiquities cannot boast of a similar embroidered item of such unusual purpose and adorned with numerous images. This is why the shade deserves special attention of researchers. The more so that it is dated and the dedicatory inscription is attended with images of the donors.

The essay considers the purpose of shading umbrellas of holy objects and just of their use in present-day reality. Attention is focused on an analogous tradition followed in the Iviron monastery as attented to by written and artistic materials left by pilgrims and researchers.

Apart from the monasteries of Mount Athos, shades for protecting holy objects are also used at the Serenji monastery of St. John the Baptist and at the Sumela monastery near Trabzon. Materials are also to be found about such shades in regions that were under the rule of Venice, namely in Corfu, where an especially noteworthy shade has survived connected with St Spiridon.

According to the present rules at the Iviron monastery litanies are sung under the shade of the portaitissa icon outside the monastery, on Tuesday of the week after Easter. However, it is clear from written sources that this rule was not the same from the beginning. Pilgrims, who came to Mount Athos with an interval of a century, i.e. in 1744-1845, presumably witnessed the same rules. V. Barski (1744) and P.Uspenski (1844-45) state that the whole icon was borne out of the monastery three times a year, on fixed holidays (however he does not name the holidays). Timote Gabashvili, the Archbishop of Kartli, who visited Athos in 1755-56, described the festive service on a fixed holiday-Epiphany. In describing the hymn-singing procession involving the icon of the Iviron Virgin, he notes that the umbrella donated by Ashotan Mukhranbatoni was raised above the bowl with the holy water (and to cover the icon of the Virgin, for which it was donated).

Visual material points to the diversity of the forms of umbrellas for the protection of icon: ingravings and photos. The umbrellas are occasionally conical in form; at some places it has the shape of a canopy on four legs, some resemble a pyramid, some are plain,

some are adorned with fringes and tassels. The umbrella of the icon of the Virgin differs from them. It is of the shape of a truncated cone. It has not suffered remaking, as is attested by the representation of the same umbrella, embroidered on its surface, between the donors.

It is not difficult to determine the donors. Research has shown that the Georgian dedicatory inscription done in mkhedruli mentions the cousin of King Giorgi XI of Kartli (1677-88) and a noble depicted next to him is the master of Mukhrani Ashotan, and the youth depicted opposite him is his son Kaikhosro. According to the Kronikon at the end of the inscription, the umbrella is dated to 1686.

Historical documents make it clear that Ashotan gave treasures to Mount Athos. He paid for the building of a chapel for the Iviron icon of the Virgin, the brotherhood's refectory was adorned with vaults and paintings, icons of the virgin and the Saviour were painted, he also donated Khviti, village of Kartli to the monastery; apart from Iviron, Ashotan's trace is seen at Karakalu monastery as well.

The iconographic programme of the shading umbrella's distinguished for it rather unusual choice and interrelationship. The general programme to be chosen for the umbrella does not appear to have been defined, hence a master was not restricted by any special metaphorical system in his work.

On one side of the umbrella the heavenly world is depicted, involving the Holy Trinity shown in "coresidence", in the setting of heavenly forces, the composition of the vineyard beneath it unites the images of apostles, saints and church fathers – all facing the Virgin platitera, placed in the centre.

The mid-axis of the other side of the umbrella presents the composition of the Nativity, with small groups of those bringing gifts, personifying one hymn of the Christmas vespers. Beneath it, to the left of the medallion of the Saviour are represented the prophets of the Old Testament and kings, and on the other side the hermits of the New Testament. Below, beneath the medallion of the Saviour, the donors are depicted, facing the model of the tent dedicated to the icon of the Virgin.

On the first side the advantage of the Virgin's intercession for the people praying to her is stressed. On the other side the theme of sacrifice made by the world created by God to the Saviour as a token of gratitude.

The date remains unknown when the shading umbrellas gained ground in Christian liturgical service, in particular in the Typicon of the Iviron monastery. Part of these questions can be clarified only on the spot, i.e. as a result of research on Mount Athos.

## თამარ მეფის გარდაცვალების თარიღის შესახებ

### გორა ჯაფარიძე

#### I

1974 წელს თამაზ ნატროშვილთან ერთად თამარ მეფის გარდაცვალების თარიღად 1210 წელი (ამ წლის I ნახევარი) განვსაზღვრეთ.<sup>1</sup> ერთი წლის შემდეგ, სომხური ლაპიდარული წარწერების საფუძველზე, იმავე აზრამდე მივიდა შანშე დარჩიაშვილი.<sup>2</sup> ამის შემდეგ ქართველი ისტორიკოსები სამ ბანაკად გაიყვნენ. ერთმა ნაწილმა მიიღო ეს თარიღი, მეორე ერთგული დარჩა ტრადიციული 1212-13 წლისა, მესამე კი – მიიჩნევს, რომ თამარი აღესრულა 1207 წელს.<sup>3</sup> დიდი ხნის მანძილზე ამ საკითხზე საგანგებო ნაშრომი არ დაწერილა. ვითარება შეიცვალა 2004-12 წლებში. ჯერ გვანცა აბდალაძემ ორ სტატიაში<sup>4</sup> და შემდეგ მიხეილ ბახტაძემ<sup>5</sup> დაასკვნეს, რომ თამარი გარდაიცვალა 1210 წელს. შანშე დარჩიაშვილმა 2010 წელს ხელახლა დაადასტურა თავისი თვალსაზრისი ამ თარიღის შესახებ.<sup>6</sup> მაგრამ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ასევე

<sup>1</sup> თამაზ ნატროშვილი, გორა ჯაფარიძე, „ცდა ერთი თარიღის დადგენისა“, *მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია*, 1 (1974), 151-165; 2 (1974), 168-89.

<sup>2</sup> შანშე დარჩიაშვილი, „XIII საუკუნის დასაწყისის საქართველოს ქრონოლოგიის საკითხისათვის“, *მნათობი*, 2 (1975), 151-8.

<sup>3</sup> გორა ჯაფარიძე, „ვახუშტი და XII-XIII საუკუნეების საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიის ზოგიერთი საკითხი“, *ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, ტ. 205 (1979), 125-6. დამატებით, იხ. მიხეილ ბახტაძე, „კიდევ ერთხელ თამარ მეფის გარდაცვალების თარიღის შესახებ“, *ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები*, II (2011), 215-27.

<sup>4</sup> გვანცა აბდალაძე, „კიდევ ერთხელ თამარ მეფის გარდაცვალების თარიღზე“, *ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიღნაღის (კახეთის) ფილიალის სამეცნიერო შრომათა კრებული*, V (სიღნაღი, 2004), 7-15; მისივე, „XIII საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიიდან“, *ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, ტ. 359 (2005), 106-7.

<sup>5</sup> ბახტაძე, „კიდევ ერთხელ თამარ მეფის გარდაცვალების თარიღის შესახებ“, 215-27.

<sup>6</sup> შანშე დარჩიაშვილი, „თამარ მეფის, დავით სოსლანის გარდაცვალებისა და ლაშა-გიორგის გამეფების საკითხისათვის“, *კრ. ძიებანი ქართულ-სომხური ურთიერთობების ისტორიიდან* (თბილისი, 2010), 55-69.

უკანასკნელ ხანებში, ცილა ღვაბერიძემ მხარი დაუჭირა 1207 წელს, ხოლო თემურ კენკებაშვილი დარწმუნებულია, რომ თამარი აღესრულა 1215 წელს.

გ. აბდალაძისა და თ. ბახტაძის ნაშრომების გარჩევას აქ არ შევუდგები. დავინწყებ თ. კენკებაშვილის მიერ შემოთავაზებული თარიღით – 1215 წლით.

## II

თ. კენკებაშვილმა თავისი თვალსაზრისი 2010 წლიდან დღემდე სამჯერ მანაც გააცნო საზოგადოებას.<sup>7</sup> თუ წინა წლებში ახალგაზრდა მკვლევრის ასეთ აქტივობას სერიოზულად არ ვიღებდი, მისმა უკანასკნელმა პუბლიკაციამ ამ თემაზე – სტატიების მოზრდილ კრებულში *ქრონოლოგიური პარადიგმები*, აზრი შემაცვლევინა. კენკებაშვილი, ჩანს, თვლის, რომ ასეთი სიხშირით ბეჭვდა სხვა ისტორიკოსებზე გავლენას მოახდენს და დაარწმუნებს მათ საკუთარ სიმართლეში.

ცნობილი ქართველი არქეოლოგი, ბატონი იულონ გაგოშიძე, რომელიც აღნიშნული წიგნის ერთ-ერთი რედაქტორია (პროფ. სერგო ვარდოსანიძესთან ერთად) და მკითხველს წარუდგინა თ. კენკებაშვილი, წერს, რომ არ მოითხოვს მკითხველისგან შემწყნარებლობას ავტორის ასაკის გამო. ამას ნამდვილად არ ვაპირებ. როდესაც ნაშრომი იბეჭდება, თანაც რამდენჯერმე და ასეთი სიხშირით, ასაკზე საუბარი ზედმეტია. ავტორი უნდა აცნობიერებდეს თავის პასუხისმგებლობას სამეცნიერო საზოგადოების წინაშე. ისტორიკოსობა ძნელი და მძიმე შრომაა, რომელიც მოითხოვს ფართო წყაროთმცოდნეობით და ისტორიოგრაფიულ ბაზას. ასეთი ბაზა ნებისმიერმა მკვლევარმა თავად უნდა შეიქმნას ხანგრძლივი, დაულაღავი შრომით და ამასთან, უცხო ენების ცოდნით, რაც მას ვურჩიე კიდევ ერთ-ერთი შეხვედრის დროს. სამწუხაროდ, კენკებაშვილს ასეთი ბაზა, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ჯერ-ჯერობით არ გააჩნია.

თ. კენკებაშვილის სტატია თამარის გარდაცვალების შესახებ („სად და როდის გარდაიცვალა თამარ მეფე? თამარ მეფის გარდაცვალების თარიღის საკითხისათვის“) პირობითად ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს. პირველ ნაწილში (გვ. 17-41) ავტორი უარყოფს იმის შესაძლებლობა, რომ თამარი გარდაიცვალა 1207 ანდა 1210 წლებში. აქ ის განიხილავს ქართულ და უცხოურ წყაროებს, რომლებიც დიდი ხანია ცნობილია მკვლევართათვის<sup>8</sup> და – ნუმისმატიკურ

<sup>7</sup> თემურ კენკებაშვილი, *გარდაცვალება და დაკრძალვა თამარ მეფისა* (თბილისი, 2010), 4-12; მისივე, „სად და როდის გარდაიცვალა თამარ მეფე?“ *ქრონოლოგიური პარადიგმები* (თბილისი, 2011), 5-42; მისივე, „სად და როდის გარდაიცვალა თამარ მეფე?“, *საისტორიო პარადიგმები*, ტ. I (თბილისი, 2012), 17-42.

<sup>8</sup> კენკებაშვილი იმონმებს ვახუშტისაც, რომელიც თამარის გარდაცვალების თარიღად ასახელებს 1201 წ. და იქვე მსჯელობს იმის თაობაზე, რომ „საერთოდ, ვახუშტის „ისტორიაში“ XV საუკუნეზე ადრინდელი პერიოდის ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების

ფაქტებსაც, ც. ღვაბერიძის მიხედვით. სტატიის მეორე ნაწილში ის ცდილობს დაასაბუთოს, რომ თამარი გარდაიცვალა 1210 წლის შემდეგ (გვ. 41-52). მისი მთავარი არგუმენტი ის, რომ თამარი „1212 წლის შემდეგაც ცოცხალია, რადგანაც 1212 წელს გარდაიცვალა ზაქარია სპასალარი და ამის შემდეგაც თამარი კვლავაც ცოცხლად ჩანს“ (გვ. 41).

სომხური ნარატიული წყაროების მიხედვით, ზაქარია გარდაიცვალა სპარსეთის ლაშქრობიდან დაბრუნების შემდეგ, ვარდანისა და სტეფანოს ორბელიანის თანახმად – 1212 წელს.<sup>9</sup> ამ დროს სომხური ეპიგრაფიკული წარწერებით, თამარი ცოცხალი აღარ არის.<sup>10</sup> ეს ყველაზე კარგად ჩანს 1210 წლის ჰალბატის წარწერიდან, რომელიც „ამოიკვეთა ღმრთისა [მიერ] მეფეთა მეფის გიორგის, დიდი მეფის თამარის ძის კურთხევის წელს“. წარწერა მრავალგზის არის გამოცემული და მისი დათარიღება ეჭვს არ იწვევს. ეს თარიღი, როგორც აღნიშნავს შ. დარჩიაშვილი, კარგად იკითხება იმ პალეოგრაფიულ პირში, რომელიც კ. ლაფადარიანის მიერ გამოცემულ ამ წარწერას აქვს დართული.<sup>11</sup>

როცა ზაქარია გარდაიცვალა, მგლოვიარეთა შორის კირაკოზ განძაკელი თამარს არ ასახელებს.<sup>12</sup> ი. ლოლაშვილმა ამ ფაქტს თავისებური ახსნა მოუძებნა: „რაკი კირაკოზ განძაკელი თამარს ლაშა-გიორგისა და ივანე ათაბაგის გვერდით არ ახსენებს, ეს იმით უნდა ავხსნათ, რომ ისტორიკოსმა არ იცის, ზაქარიას გარდაცვალებამ თამარზე რა რეაგირება მოახდინა და ამიტომაც მასზე ერთ სიტყვასაც არ ამბობს“.<sup>13</sup>

თარიღები გადანუელია წინ დაახლოებით ათი წლით“ (გვ. 38). მკვლევარი უკრიტიკოდ მისდევს ი. ლოლაშვილს („თამარის აღსრულების თარიღისათვის“, 32-33) და არ იცნობს ამ საკითხში სხვა თვალსაზრისებს. თამარის ეპოქისთვის რ. კიკნაძე თვლიდა, რომ ვახუშტის ქრონოლოგიაში იყო 6-წლიანი შეცდომა, ხოლო მე დასაბუთებული მაქვს, რომ არც 6 და არც 10-წლიანი კორექტივი არ იძლევა რეალურ თარიღს. რ. კიკნაძე, *ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“* (თბილისი, 1975), 129-32; ჯაფარიძე, „ვახუშტი და XII-XIII საუკუნეების საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიის ზოგიერთი საკითხი“, 127.

<sup>9</sup> *Всеобщая история Вардана Великого*, перевод Н.О. Эмина (Москва, 1861), 172; ვარდან არეველცი, *მსოფლიო ისტორია*, ძველი სომხურიდან თარგმნეს ნოდარ შოშიაშვილმა და ეკა კვაჭანტირაძემ, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო ეკა კვაჭანტირაძემ (თბილისი, 2004), 158; *სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები*, ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა (თბილისი, 1978), 45.

<sup>10</sup> დარჩიაშვილი, *ძიებანი*, 56, 150-1.

<sup>11</sup> იქვე, 56.

<sup>12</sup> Киракоз Гандзакеци, *История Армении*, перевод с древнеармянского, предисловие и комментарий Л.А. Ханларян (Москва, 1976), 129.

<sup>13</sup> ივანე ლოლაშვილი, „თამარის აღსრულების თარიღისათვის“, *მრავალკარედი* (თბილისი, 1984), 111.

ლოლაშვილის თვალსაზრისი, რომელსაც უკრიტიკოდ იმეორებს კენკებაშვილი (გვ. 47), არადამაჯერებელია. უბრალოდ წარმოუდგენელია, რომ მეფეთ მეფე თამარს არ გამოეხატა თავისი დამოკიდებულება, ნუხილი-საქართველოს ამირსპასალარის გარდაცვალების შესახებ და ის უცნობი დარჩენილიყო ქვეშევრდომთათვის. კირაკოს განცხადებით დაიბადა 1200-1202 წლებში, წერდა ზაქარიას გარდაცვალებიდან მრავალი წლის შემდეგ და გარდაიცვალა 1271 წ.<sup>14</sup> მას ჰქონდა საკმაოდ დრო, რომ მიეღო სათანადო ინფორმაცია თამარის ეპოქაში მომხდარი ამბების შესახებ და თუ თამარის რეაგირებაზე სომეხი მემკვიდრე არაფერს წერს, მხოლოდ იმიტომ, რომ ზაქარია მხარგრძელის აღსრულების ჟამს ის ცოცხალი აღარ იყო.

„მეფეთ მეფის“ გიორგის მეფედ კურთხევა 1210 წლის ჰალბატის წარწერაში ნიშნავს **ცვლილებას** საქართველოს სამეფო ტახტზე. ეს კი შეიძლებოდა მომხდარიყო თამარის გარდაცვალების შემთხვევაში. ლოლაშვილის სკეპტიციზმი ამ დათარიღებისადმი არ არის დასაბუთებული. ხოლო კენკებაშვილი კი მას საერთოდ გვერდს უვლის.

კენკებაშვილი უპირატესობას ანიჭებს თამარის პირველ ისტორიკოსს, რომელიც თარიღებს ჩვეულებრივ არ ასახელებს და მოვლენებსაც ყოველთვის საჭირო თანამიმდევრობით არ იძლევა.<sup>15</sup> ზაქარია მხარგრძელის გარდაცვალების შემდეგ ის მოგვითხრობს მთიულთა აჯანყების შესახებ. კენკებაშვილი ვარაუდობს, რომ აჯანყება (რომლის თარიღი ქართულ წყაროში არ სახელდება) მოხდა 1213 ან 1214 წლის ივნის-ივლის-აგვისტოს თვეებში (გვ. 47-48), როცა თამარი, მისი აზრით, ჯერ კიდევ ცოცხალია და საბოლოოდ თვლის, რომ მეფე აღესრულა 1215 წ. 27 იანვარს (გვ. 48).

კენკებაშვილი, თავისი თვალსაზრისის ჩამოყალიბების დროს, ეყრდნობა უკვე კარგად ცნობილ წყაროებს, რომლებიც გარჩეულია ქართველი მკვლევრების მიერ. ამასთან, ის არ ითვალისწინებს შედარებით ახალ, საკვლევი საკითხისთვის მნიშვნელოვან პუბლიკაციას, კერძოდ, სომეხი ავტორის სმბატ სპარაპეტის (1208-76) „მატიანეს“. არ არის აუცილებელი, ვიცოდეთ სომხური, მაგრამ მისი გაცნობა შეიძლება რუსულ და ინგლისურ ენებზე. ამ თხზულების რუსული თარგმანი 1975 წ. გამოიცა ერევანში<sup>16</sup> და ის დევს ინტერნეტშიც,

<sup>14</sup> კირაკოს განცხადების ბიოგრაფიული მონაცემები იხ. ლ. ხანლარიანის შესავალ წერილში ამ მემკვიდრის შესახებ: Киракос Гандзакети, *История Армении*, 24-5.

<sup>15</sup> კიკნაძე, *ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“*, 108; ჯაფარიძე, „ვახუშტი და XII-XIII საუკუნეების საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიის ზოგიერთი საკითხი“, 107-8. იქვე (შენ. 13 და 14) დასახელებულია სხვა ლიტერატურაც ამ საკითხზე.

<sup>16</sup> Смбат Спаррапет, *Летопись*, перевод с древнеармянского, предисловие и примечания А.Г. Галстяна (Ереван, 1974).

აღმოსავლური ლიტერატურის საიტზე.<sup>17</sup> „მატიანის“ ინგლისური თარგმანი, შესრულებული აშშ-ში მცხოვრები სომეხი მკვლევრის რობერტ ბედროსიანის მიერ, განთავსებულია მის ვებგვერდზე.<sup>18</sup>

სმბატ სპარაპეტი, სომეხი სახელმწიფო მოღვაწე, კილიკიის სომხეთის მეფის ძმა, დიპლომატი, მხედართმთავარი და ისტორიკოსი, თავის „მატიანეს“ იწყებს 951 წლიდან (სომეხი მეფის გაგიკ ბაგრატიუნის გამეფების დროიდან) და მოჰყავს 1272 წლამდე. მემატიანე იყენებდა წინამორბედი ისტორიკოსების: მათეოს ურჰაეცის, სამუელ ანეცის, მიხეილ სირიელისა და სხვ. თხზულებებს, საარქიო მასალებს, თანამედროვეთა ინფორმაციას და ასახელებდა იმ მოვლენებს, რომელთა თვითმხილველიც იყო. მას ბევრი ცნობა აქვს XIII ს-ის ახლო აღმოსავლეთის ისტორიის შესახებ, აგვიწერს მანასკერტის ბრძოლას 1071 წ., საკმაოდ დანვრილებით ეხება სომხებისა და ჯვაროსნების, სომხებისა და მონღოლების ურთიერთობებს და სხვ. ორიგინალურად ითვლება მისი თხზულების ის ნაწილი, რომელიც მოიცავს პერიოდს 1163 წლიდან – 1271 წლის ჩათვლით.<sup>19</sup>

სმბატ სპარაპეტის სახელი უცხო არ არის ქართული ისტორიოგრაფიისთვის.<sup>20</sup> ამას განაპირობებს ის, რომ სომეხ მემატიანეს აქვს ცნობები საქართველოს შესახებაც.<sup>21</sup> სწორედ სმბატ სპარაპეტის თხზულებაში ერთდროულად, ორიოდე წინადადებაში, დასახელებულია, როგორც ზაქარია მხარგრძელის, ისე თამარის გარდაცვალების თარიღები, რაც უცნობი დარჩა, როგორც კენკებაშვილისთვის, ისე ამ საკითხის სხვა ქართველ მკვლევართათვის, რომლებისთვისაც მიუღებელია 1210 წ.

<sup>17</sup> Смбат Спарает, *Летопись*, Восточная литература, Средневековые исторические источники Востока и Запада (<http://www.vostlit.info/haupt-Dateien/index-Dateien/L.phtml>).

<sup>18</sup> Smbat Sparapet's Chronicle (<http://rbedrosian.com/css15.htm>). თხზულების ინგლისურ თარგმანს წინ უძღვის რ. ბედროსიანის შესავალი წერილი, რომელშიც განხილულია „მატიანის“ სომეხური გამოცემები და მისი სხვადასხვა ნაწილის თარგმანები ვ. ლანგლუას მიერ.

<sup>19</sup> სმბატ სპარაპეტის ცხოვრების და მოღვაწეობის და მისი „მატიანის“ მნიშვნელობის შესახებ იხ. Галстян, „Введение,“ წიგნში Смбат Спарает, *Летопись*, IX-XL.

<sup>20</sup> ა. აბდალაძე, „სომეხური წყაროები“, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტომი III, *საქართველო XI-XV საუკუნეებში* (თბილისი, 1979), 37 (დასახელებულია გალსტიანის მიერ შესრულებული სმბატ სპარაპეტის თხზულების რუსული თარგმანი);

<sup>21</sup> იხ. ე. ცაგარეიშვილი, „სომეხური წყაროები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ X-XI საუკუნეებში“, *მრავალთავი*, II (1973), 200-4; მ. გაბაშვილი, „დავით კურაპალატის გარდაცვალების საიდუმლოება და მისი პოლიტიკური მოტივი“, *ნოდარ შენგელია 75* (თბილისი, 2008), 97-118, 100 და სხვ. გ. ჯაფარიძემ დაიმონმა „მატიანის“ ერთი პასაჟი ბასიანის ბრძოლასთან დაკავშირებით ს. დერ ნერსესიანის სტატიის (Sirarpie der Nersessian, „The Armenian Chronicle of the Constable Smpad or of the “Royal Historian,” *Dumbarton Oaks Papers*, vol. 13 (1959), 141-68) საფუძველზე: გოჩა ჯაფარიძე. *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII – XIII ს-ის I მესამედში* (თბილისი, 1995), 153.



სმბატ სპარაპეტი 1211 წლის ამბებში მოგვითხრობს:

„ამ წელს მოკვდა დიდი მთავარი ზაქარე, ანისის მფლობელი, ივანეს ძმა, სპარაპეტი ქართველი დედოფლის – თამარის, მეფე გიორგის ასულისა, რომელიც ლევონის<sup>22</sup> დროს იყო საქართველოს დედოფალი. ის [თამარი] მოკვდა ერთი წლით ადრე და ამ დროს უკვე მეფობდა მისი ვაჟი ლაშა“.<sup>23</sup>

სმბატ სპარაპეტის მიერ დასახელებული თარიღი ზაქარია მხარგრძელის გარდაცვალებისა – 1211 წ., მართალია, განსხვავდება ვარდანის თარიღისგან, მაგრამ ძალიან ახლოსაა მასთან. მთავარია ის, რომ მემატიანის თანახმად, ზაქარია თამარის შემდეგ გარდაიცვალა. რაც შეეხება თამარის გარდაცვალების სუმბატისეულთარიღს – 1210 წ., ის ემთხვევა ჰალბატის ნარნერის ინფორმაციას, რომელშიც საუბარია 1210 წ. გიორგი ლაშას მეფედ კურთხევაზე.

საბოლოოდ, სმბატ სპარაპეტის თანახმად, ზაქარია მხარგრძელი გარდაიცვალა 1211 წელს, ხოლო თამარი – ერთი წლით ადრე. ეს მოხდა 1210 წელს და არა გვაქვს საფუძველი ეჭვი შევიტანოთ ამ ინფორმაციის ჭეშმარიტებაში.

1215 წელი, როგორც თამარის გარდაცვალების წელი, არარსებული თარიღია, რომელიც არ გვხვდება არცერთ წყაროში. მიუხედავად კენკება-შვილის დიდი მცდელობისა, მისი მიღება შეუძლებელია.

### III

ქართულ ისტორიოგრაფიაში მართებულად არის აღნიშნული, რომ „თამარის თანამედროვე „ქართლის ცხოვრების“ სამივე თხზულება არაზუსტ ქრონოლოგიურ მონაცემებს გვანჯდის, არა მარტო გარდაცვალებისა, არამედ სხვა თარიღების შემთხვევაშიც. ამდენად, უფრო მეტი უპირატესობა უნდა მიეცეს სხვა დოკუმენტურ და ნივთიერ წყაროებს, რომელთაც, გადამწერის და სხვა მიზეზთა გამო, არ განუცდიათ რაიმე ცვლილება“.<sup>24</sup> ასეთ ნივთიერ წყაროებს მიეკუთვნება თამარის ეპოქის ნუმისმატიკური ძეგლები. ისინი გახდა მნიშვნელოვანი დამათარიღებელი წყარო, როცა თამარის გარდაცვალება 1210 წლით განვსაზღვრეთ. მაგრამ იგივე მასალები საფუძველს აძლევს ციალა ღვაბერიძეს, თამარის გარდაცვალების თარიღად მიიჩნიოს 1207 წელი.<sup>25</sup> როგორია მისი თვალსაზრისი?

1. თამარის ეპოქის ნუმისმატიკურ მასალაზე დაკვირვებამ საშუალება

<sup>22</sup> ლევონ I (1198/99-1218) რუბენიანი, კილიკიის სომხური სამეფოს პირველი მეფე.

<sup>23</sup> Смбат Спарает, *Летопишь*, 122; Smbat Sparapet's *Chronicle*, 101.

<sup>24</sup> აბდლაძე, „კიდევ ერთხელ თამარ მეფის გარდაცვალების თარიღზე“, 10.

<sup>25</sup> ციალა ღვაბერიძე, „როდის გარდაიცვალა მეფე თამარი“, *ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები*, IX (2009), 97-104.

მისცა ღვაბერიძეს დაესკვნა, რომ გიორგი III-ის დროიდან დამკვიდრდა წესი, როდესაც მონეტაზე მოთავსებული თარიღი მოჭრის დროს კი არ ასახავს, არამედ სამონეტო ტიპის დამტკიცების თარიღს, ყოველგვარი შესამჩნევი ცვლილების გარეშე.<sup>26</sup>

2. დამტკიცებული სამონეტო ტიპი ამა თუ იმ ქართველი მეფის მმართველობის მთელ მანძილზე იჭრება ერთი თარიღით. ასეა გიორგი III-ის, თამარის, გიორგი ლაშას და რუსუდანის დროს. როგორც ჩანს, ეს იყო საქართველოს სამეფო კარის დადგენილი წესი. უდავოა, იგი ძალაშია მეფე თამარის 407 ქორონიკონის – 1187 წლის სამონეტო ემისიის დროსაც.<sup>27</sup>

3. მართალია, არსებობს თამარის მონეტები, რომლებზედაც თარიღია ქორონიკონის 430/1210 წელი, მაგრამ ეს თარიღი შეცდომის შედეგია. ქორონიკონის 430/1210 წელი, რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი თამარის ამ სამონეტო ტიპზე კითხულობს, სიქაზე „მექანიკურად დაშვებული შეცდომაა“.<sup>28</sup> კერძოდ, ეს თარიღი 407 ქორონიკონის შემადგენელი ასოების „ხ“ - „ზენი“-სა და „ზ“- „ლას“-ის გრაფიკული მოხაზულობის მსგავსების ნიადაგზე წარმოიშვა. ცნობილია, რომ ასომთავრულ ანბანში ამ ორ ასონიშანს მხოლოდ მარცხენა მხარეს ჩამოშვებული მცირე ვერტიკალური ხაზი განასხვავებს („ხ“- „ზენი“ და „ზ“- „ლასი“).<sup>29</sup> ამრიგად, ც. ღვაბერიძის თანახმად, მეფე თამარმა პირველი საკუთარი სამონეტო ემისია განახორციელა ქორონიკონით 407/1187 წ. მოიჭრა არასწორი ფორმის სპილენძის მონეტა, რომელიც, მისი მმართველობის დასრულებამდე, ამ ერთი თარიღით იჭრებოდა.<sup>30</sup>

ღვაბერიძე თავის სასარგებლოდ იმონმებს ე. პახომოვს, რომელიც გაცოცებით აღნიშნავდა, რომ 1210 და 1187 წლის მონეტები ერთნაირად ხშირი იყო. გარდა ამისა, 1210 წელს უკვე იწყება გიორგი ლაშას მონეტების ჭრა და და ამდენად თამარის 1210 წლის მონეტების გამოშვებისთვის ძალიან ცოტა დრო რჩებოდა, არაუმეტეს წლისა.<sup>31</sup> ამავე დროს, პახომოვი იმასაც წერდა, რომ „ხ“-ს და „ზ“-ს აღრევის დაშვება ძნელად თუ შეიძლება, ვინაიდან ორივე ფორმა ძალზე ნათლად და გარკვევით არის შემუშავებული და ჩანს, გრავიორს ესმოდა, რას კვეთდა“.<sup>32</sup> პახომოვის ამ ციტატას ღვაბერიძე აღარ იმონმებს, ვინაიდან არ აწყობს, ეწინააღმდეგება მის თვალსაზრისს და ეს ერთადერთი შემთხვევა არ არის მის ნაშრომში.

<sup>26</sup> იქვე, 99.

<sup>27</sup> იქვე.

<sup>28</sup> იქვე

<sup>29</sup> იქვე.

<sup>30</sup> იქვე.

<sup>31</sup> Е. Пахомов, Монеты Грузии (Тбилиси, 1970), 94; ღვაბერიძე, „როდის გარდაიცვალა მეფე თამარი“, 98.

<sup>32</sup> „Ошибку в смешении **ხ** и **ზ** едва ли можно допустить, так как обе формы выработаны очень ясно и отчетливо, и видно, что гравёр понимал то, что вырезывал.“ Пахомов, *Монеты Грузии*, 94.

ღვაბერიძის თვალსაზრისს თუ მივიღებთ, მხოლოდ თამარის ეპოქის ნუმიზმატიკური ძეგლებით ვერ განვსაზღვრავთ ვერც თამარის გარდაცვალებისა და ვერც გიორგი ლაშას გამეფების თარიღებს. თამარისა და გიორგი ლაშას მონეტები თავად საჭიროებენ ახსნა-განმარტებას. ამას მკვლევარი გრძნობს და ამიტომ მიმართავს წერილობით წყაროებს. ქართული წყაროები მას აძლევს უფლებას დაასკვნას, რომ თამარი აღესრულა 1207 წელს და ის ნამდვილად აღარ არის ცოცხალი 1210 წლამდე.

რომელია ეს ქართული წყაროები?

ესენია თამარის პირველი და მეორე ისტორიკოსები და ლაშა-გიორგისდროინდელი მემატრიანე. მაგრამ, თამარის პირველი ისტორიკოსი ასახელებს მხოლოდ მეფის გარდაცვალების თვესა და რიცხვს. მეორე ისტორიკოსის – ბასილი ეზოსმოდვარის ცნობები ურთიერთსანინააღმდეგოა და მათი ახსნა მოტანილია გ. აბდალაძის და მ. ბახტაძის შრომებში, რომელთაც ღვაბერიძე, იმედია, გაეცნობა. ამავე დროს, ც. ღვაბერიძე მიმართავს ჩვეულ ხერხს და გვერდს უვლის ჟამთააღმწერლს, რომლის დამონშემაც არ აწყობს:

„ამას სანატრელსა სიცოცხლესა შინა თჳსსა დაედგა გვრგვნი ძისა მისისა გიორგისდა, რომელსაც ლაშობითცა უწოდა. იყო წლისა ათცამეტისა, რაჟამს დაიდგა გვრგვნი მეფობისა და მეფემან თამარ მიულოცა მეფობა, ხოლო რაჟამს მიიცვალა თამარ, იყო ლაშა ათვრამეტისა წლისა“.<sup>33</sup>

გიორგი ლაშას დაბადების თარიღის (1192) გათვალისწინებით, ჟამთააღმწერელის ცნობა გვაძლევს (1192+18) 1210 წელს.

ღვაბერიძე იმონშებს არაბული და სომხური ნარატიული წყაროების მონაცემებს, რომლებიც, ისევე როგორც ყველა სხვა, კარგად იყო ცნობილი ნატროშვილისა და ჯაფარიძისთვის. სამწუხაროდ, დიდი მოცულობის გამო, მათ ნაშრომში („ცდა..“) საკითხის წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული მიმოხილვა მინიმუმზე იქნა დაყვანილი და მასში ყველაფერი ვერ აისახა. შეფასება მივეციტ არაბი ისტორიკოსის იბნ ალ-ასირის ცნობასაც და მას აღარ გავიმეორებ.

ღვაბერიძე თავის თვალსაზრისს ამაგრებს სომხური წყაროების (ვარდანი, სამუელ ანეცი) ცნობებით. სომხური წყაროების მოტანა მეც შემძლია. უფრო მეტიც, ისეთის, რომელიც სანინააღმდეგოს იუნყება. ესაა ზემოხსენებული სმბატ სპარაპეტის „მატიანე“. ამ წყაროს არცოდნის გამო მე შელავათი არ გავუწიე ახალგაზრდა თ. კენკევაშვილს და მითუმეტეს, არ გავუწიე შელავათს ისეთ გამოცდილ მკვლევარს, როგორც ღვაბერიძეა. ის ვალდებული იყო

<sup>33</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II (თბილისი, 1959), 151.

გაეთვალისწინებინა სმბატ სპარაპეტის თხზულება. ვალდებული იყო, მაგრამ არ გააკეთა და დაკმაყოფილდა (როგორც კენკებაშვილი) იმ წყაროებით, რომლებიც უკვე მრავალგზის იყო გამოყენებული.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სმბატ სპარაპეტი, რომელიც 1211 წლით ათარილებს ზაქარია მხარგრძელის გარდაცვალებას, წერს, რომ თამარი მოკვდა მანამდე, ერთი წლით ადრე (ე.ი. 1210 წელს) და ამ დროს უკვე მეფობდა მისი ვაჟი ლაშა.

სკეპტიკოსები არ დაილევია. მაგრამ, იმისდა მიუხედავად, დავეთანხმებით თუ არა სმბატ სპარაპეტს, ერთი რამ აშკარაა. არც სომხური წყაროებია **ერთგვაროვანი** თამარის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, და არც ქართულ და უცხოურ წყაროებში არ არის **ისეთი ერთსულოვნება**, როგორც ეს ღვაბერიძეს აქვს წარმოდგენილი.<sup>34</sup>

დავუბრუნდეთ ისევ ნუმისმატიკურ მასალას. ღვაბერიძე, როგორც ითქვა, ქორონიკონის 1210 წელს თამარის მონეტებზე, გრავიორის მექანიკურ შეცდომად მიიჩნევს. ზემოთ ისიც აღინიშნა, რომ ამას გამორიცხავდა პახომოვი, რაც მართებულად მიმაჩნია. ასეთი შეცდომა უაღრესად საეჭვოა იმის გამო, რომ გვხვდება სხვადასხვა სიქით მოჭრილ თამარის მონეტებზე. გარდა ამისა, არის ერთი მნიშვნელოვანი მიზეზიც: ზარაფხანის პასუხისმგებლობა დადგენილი ტიპის (მეფის სახელი, ტიტულატურა, მოჭრის წელი) გამოშვებაზე.

ზარაფხანა იყო არა საქველმოქმედო, არამედ სახელმწიფო დაწესებულება. ცნობილია, რომ მონეტის მოჭრა სამეფო ხელისუფლების ერთ-ერთ პრეროგატივას წარმოადგენდა. მონეტა იჭრებოდა მხოლოდ სახელმწიფო ზარაფხანაში, ხოლო მის გარეთ, ყველა ქვეყანაში, ისჯებოდა კანონით. ზარაფხანას ჰქონდა თავისი შტატი: მუშები და ის ხელოსნები, რომლებიც ადნობდნენ სამონეტო ლითონს, ამზადებდნენ ფირფიტებს მონეტებისთვის, სიქებს ქართული და არაბული წარწერებით და სხვა გამოსახულებებით, ქვედა სიქაზე დებდნენ ლითონის გავარვარებულ ფირფიტას და ურტყამდნენ ზედა სიქით. სპეციალური მოხელე ამონმებდა სინჯს, მაგრამ თამარის ეპოქაში, როცა იჭრებოდა მხოლოდ სპილენძის საფასე, ის საჭირო არ იქნებოდა. თუმცა, იმ პირობებში, როცა უცხოური ოქროს და ვერცხლის საფასე დაიშვებოდა მხოლოდ სამონეტო ბაზარზე, მას შეეძლო, ზარაფხანაში შემოსული ამ ძვირფასი ლითონებისგან დამზადებული მონეტების გადადნობისას, მათი სინჯის შემონმებაც.

აკონტროლებდა თუ არა ვინმე მონეტების ზედწერილებს ზარაფხანაში? უეჭველია, ასეთი მოხელე იქნებოდა. ის შეამონმებდა სიქებზე სარკისებურად ამოჭრილ ზედწერილებს, რომ არ გაპარულიყო შეცდომა მმართველის

<sup>34</sup> ღვაბერიძე, „როდის გარდაიცვალა მეფე თამარი“, 102.

სახელსა და ტიტულატურაში და ისიც უეჭველია, რომ მასობრივ ემისიამდე გადაამონმბედა საკონტროლოდ მოჭრილ ეგ ზემპლარს.

ზარაფხანას ისლამურ აღმოსავლეთში ხელმძღვანელობდა ნაზირ ას-სიქქა ან ნაზირ დარ ად-დარბ (მონეტის ჭრის ან ზარაფხანის ზედამხედველი). ასეთი მოხელე იქნებოდა თამარის ეპოქის ქართულ ზარაფხანაშიც. ასე, რომ ზარაფხანაში ზედწერილების სისწორის კონტროლის არსებობაში მე ეჭვი არ მეპარება და მმართველის ზეობის წელში მექანიკური შეცდომა და ასეთი ხარვეზით მიმოქცევაში მონეტის გაშვება სრულიადაც არ იქნებოდა ადვილი. ეს დღეს, ჩვენი საზოგადოების დიდმა ნაწილმა მართლაც არ იცის ასომთავრული და შეიძლება ვერ გაარჩიოს „ხ“-ს „ზ“-საგან, მაგრამ იმ დროს, მოსახლეობის ზედა და, უეჭველია, საშუალო ფენებმაც, ისევე როგორც ზარაფხანის გრავიორმა, ეს ანბანი უეჭველად იცოდნენ.

ქვემოთხსენილი სამი ნიმუში კერძო კოლექციიდან და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის განძების ფონდიდან,<sup>35</sup> გვიჩვენებს, თუ როგორ იყო გამოსახული ასო „ხ“ თამარის მონეტებზე:



სსმ გვ, №25784 კერძო კოლექცია კერძო კოლექცია

1210 წლით დათარიღებულ სხვადასხვა სიქით მოჭრილ თამარის მონეტებზე ასო „ზ“ ჯერ ერთი, პალეოგრაფიულად არ არის ერთგვაროვანი და მეორე - ადვილად განსხვავდება „ხ“-სგან. მაგალითად:



სსმ, ნიზბისის განძი

სსმ გვ, №25916

სსმ გვ, №10670

ასეთი შემთხვევები ცოტა არ არის და ძნელი დასაჯერებელია, რომ გრავიორები, თითქოსდა ერთმანეთთან შეთანხმებით, ერთნაირად უშვებდნენ „მექანიკურ“ შეცდომას სიქებზე „ხ“-ს ამოკვეთის დროს.

<sup>35</sup> მითითებული შემოკლებები ასე იხსნება: სსმ - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, გვ - განძების ფონდი, ქძ - ქართული მონეტების ძირითადი ფონდი.

უაღრესად საყურადღებოა ის, რომ რომ „ზ“-ს „ხ“-საგან“ მარტო ამ ასონიშნის ზემო ჰორიზონტალის მარცხენა მხარეს ჩამოშვებული მცირე ვერტიკალური ხაზი არ განასხვავებს. ის ზემო ჰორიზონტალის შუა ნაწილშიც გვხვდება. მაგალითად:




სსმ გვ, №10649




სსმ გვ, №10666



სსმ ქძ, №4179



სსმ ქძ, №149



სსმ ქძ, №157

ამ სახით ასო „ზ“, მაგრამ უფრო დახვეწილი ფორმით, გიორგი ლაშას 1210 წ. მონეტაზე გვაქვს:



სსმ გვ, №7788

როგორც ზემოთ ჩანს, თამარის ეპოქის მონეტებზე „ზ“-სა და „ხ“-ს შორის განსხვავება საკმაოდ თვალსაჩინოა. ეს გარემოება იმაზე მიგვანიშნებს, რომ გრავიორმა კარგად იცოდა, რას კვეთდა სიქაზე. ამრიგად, მნიშვნელოვანი არგუმენტი – „მექანიკური შეცდომა“ თამარის 1210 წლის მონეტების დათარიღებაში, რომელიც მოყავს ღვაბერიძეს, მიუღებელია.

როდიდან და როდემდე იჭრებოდა „მექანიკური შეცდომით“ 1210 წლით დათარიღებული ეს მონეტები? ღვაბერიძეს ეს საკითხი არ დაუყენებია. არადა ის საკმაოდ მნიშვნელოვანია. თუ ეს ხდებოდა 1207 წლამდე, მაშინ ზარაფხანას ქართული საფასის მომხმარებელი შეცდომაში შეჰყავდა, რადგანაც აწვდიდა ისეთ მონეტებს, რომლებზედაც იყო არასწორი თარიღი – 1210 წელი. თუ ასეთი მონეტები იჭრებოდა 1208-09 წლებში, მით უმეტეს, ზარაფხანა ჩადიოდა სიყალბეს, თამარს ცხადდებოდა ცოცხლად მაშინ, როცა ის ცოცხალი აღარ იყო.

ჩემთვის გაუგებარია, რომელი მონეტები ავსებდა ფულის მიმოქცევას საქართველოში 1208-09 წლებში, როცა გიორგი ლაშა, ღვაბერიძის თვალსაზრისით, უკვე მეფე იყო. გამორიცხულია ზარაფხანის მუშაობის შეჩერება,

რადგანაც ისლამური აღმოსავლეთის ანალოგიით, მონეტის ჭრა საქართველოში იქნებოდა არაბლოკირებული. ნებისმიერ პირს შეეძლო ზარაფხანაში მიეტანა სამონეტო ლითონი და მოეჭრა დაკანონებული ტიპის მონეტა. რომელ მონეტებს მოუჭრიდნენ მას? ანდა რომელი საფასით უხდიდნენ ხელფასს სამეფო კარის მოხელეებს და სამხედრო მოსამსახურეებს, რომელ მონეტებს გასცემდნენ და იღებდნენ ყოველდღიურად ვაჭარ-ხელოსნები და მოსახლეობა? მონეტებზე აღნიშნული არარსებული მეფის სახელით? არა მგონია, რომ იმდროინდელი საზოგადოება იმდენად გულუბრყვილო და უმეცარი ყოფილიყო, რომ ამის თაობაზე რეაგირება არ მოეხდინა.

ყოველივე ზემოთქმულის – სმბატ სპარაპეტის „მატიანისა“ და მონეტებზე აღნიშნული ქორონიკონული თარიღების პალეოგრაფიული ანალიზის (ე.წ. „მექანიკური“ შეცდომის, კერძოდ, ასოების „ხ“-ს „ზ“-ს აღრევის უარყოფა) საფუძველზე, მე ვერ მივიღებ ციალა ღვაბერიძის თვალსაზრისს თამარის გარდაცვალების თარიღის (1207 წ.) შესახებ. ამ საკითხზე შეიძლება მომავალშიც გაგრძელდეს კამათი, მაგრამ მკვლევრებმა, ჯერ ერთი, ობიექტურად უნდა განიხილონ ნერილობითი წყაროების მოცემები და მეორე – ღრმად უნდა გაანალიზონ ნუმისმატიკური მასალები.

#### IV

დასასრულ, ვფიქრობ, დადგა დრო მომზადდეს და გამოიცეს თამარის, და არა მარტო თამარის, ეპოქის მონეტების (ძირითადი ფონდი და განძები) კატალოგები ბეჭდური, ანდა ელექტრონული სახით, და დაიდოს ინტერნეტშიც. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმისმატიკის განყოფილებამ ადრე მის ფონდებში დაცული არაერთი, უმთავრესად, უცხოური მონეტების კატალოგები გამოსცა. შეიძლება ითქვას, რომ ერთადერთი გამონაკლისია კირმანეული, რომელიც დასავლეთ საქართველოში იჭრებოდა.<sup>36</sup> ამდენად, საჭიროა ქართული, მათ შორის თამარის ეპოქის, მონეტების კატალოგების გამოქვეყნებაც. მონეტა წყაროა და ის ისევე უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყველასთვის, როგორც ქართული და უცხოური ნარატიული წყაროები, რომლებსაც დიდი რუდუნებით თარგმნიდნენ და თარგმნიან ქართველი მკვლევრები.

მუზეუმში, ნუმისმატიკური მასალების გაცნობისას, პირადად მე არასდროს

<sup>36</sup> თამარ აბრამიშვილი, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ტრაპიზონის ასპრებისა და დასავლურ ქართული ფულის (კირმანეულის) კატალოგი* (თბილისი, 1984). გარდა ამისა, დავასახელებ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცემულ წიგნებს: ი. გაგოშიძე, მ. ანთაძე, ც. ღვაბერიძე, მ. წონელია, თ. ქუთელია და მ. შეროზია, *ფული საქართველოში* (თბილისი, 2000) და თ. დუნდუა, გ. დუნდუა, ნ. ჯავახიშვილი და ა. ერისთავი, *ფული საქართველოში*, მეორე, გადამუშავებული გამოცემა (თბილისი, 2003). ამ გამოცემებში შესულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული საქართველოში მოჭრილი მონეტები.

მქონია პრობლემები. პირიქით, მუდამ ვგრძნობდი ნუმისმატიკის განყოფილების თანამშრომელთა მხარდაჭერას და ვსარგებლობ შემთხვევით, მაღლობა ვუთხრა მათ. მაგრამ ყოველთვის იოლი როდია, საჭიროების შემთხვევაში, მუზეუმის თანამშრომლების შეწახება. როცა კატალოგში დიდი სიზუსტით იქნება აღწერილი მონეტები, მათთვის დამახასიათებელი თავისებურებებით, განმასხვავებელი ნიუანსებით<sup>37</sup> (საამისოდ აუცილებელია აღმოსავლური ენების ცოდნა, არამარტო ზედწერილების წაკითხვის დონეზე) და მეტროლოგიური მახასიათებლებით, როცა კატალოგში დაიბეჭდება მონეტების ფოტოებიც, ნებისმიერ ისტორიკოსს გაუადვილდება მათი შესწავლა. საქმეში შეიძლება ჩაერთონ ეკონომისტებიც, რომლებმაც შეიძლება შენიშნონ ის, რაც ისტორიკოსისთვის დაფარულია. მაგალითისთვის დავასახელებ პაატა გუგუშვილის,<sup>38</sup> ვასილ ჩანტლაძისა<sup>39</sup> და განსაკუთრებით, ნიკოლოზ ქოიავას შესანიშნავ ნაშრომებს საქართველოს სამონეტო სისტემისა და ფულის მიმოქცევის ისტორიის სფეროში.<sup>40</sup> დარწმუნებული ვარ, რომ ამით ქართული ნუმისმატიკა მხოლოდ მოიგებს.

<sup>37</sup> მაგალითად, 1187 და 1210 წლებით დათარიღებული მონეტების ქვედა სიქებზე მოთავსებული შინაარსობრივად ერთი და იგივე არაბული წარწერები, არცთუ იშვიათად, პალეოგრაფიულად განსხვავებულია. ეს განსხვავება, ერთი შეხედვით, არაარსებითია, მაგრამ მონეტებზე მცირე განსხვავებულ ნიუანსსაც კი მნიშვნელობა ენიჭება. ზურგის ცენტრალურ ლეგენდაში, „თამარი ასული გიორგისა“ არაბულად წერია **آمار بنت كيرك**, ხოლო ზოგჯერ – **آمار ابنه كيرك**. სიტყვა „ასული“ არაბულად გადმოცემულია სხვადასხვა დაწერილობით: **بنت** (ბინთ) და **ابنه** (იბნათ), რის თაობაზე წერდა ჯერ კიდევ პახომოვი: Пахомов, *Монеты Грузии*, 93. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმისმატიკის ფონდებში დაცული თამარის მონეტების არასრულმა შესწავლამ მიჩვენა, რომ 1187 წლის მონეტების ნაწილზეა: **بنت**, ხოლო 1210 წლის მონეტების დიდ ნაწილზე – **ابنه** უკანასკნელ შემთხვევაში არის მცირე გამონაკლისებიც, რაც საერთო სურათს არ ცვლის. ეს ფაქტი, არაბული ზედწერილების სხვა პალეოგრაფიული ნიუანსების გათვალისწინებით, შეიძლება დამატარიღებელი გახდეს 1187 და 1210 წწ. თამარის ყველა იმ მონეტისთვის, რომლებზედაც თარიღი ჩამოჭრილი და ნაშლილია. ამ გარემოებაზე **საკითხის დასმის წესით** ვამახვილებ ყურადღებას. საბოლოო დასკვნისთვის საჭიროა მუზეუმის ფონდებში დაცული თამარის მრავალრიცხოვანი მონეტის გადამოწმება. კატალოგი, რომლის მომზადების საჭიროების შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი, ამის კარგ შესაძლებლობას მოგვცემს.

<sup>38</sup> პაატა გუგუშვილი, „ფულის ნიშნები და ტრიალი საქართველოსა და ამიერკავკასიაში მე-19 საუკუნეში“, *ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, ტ. VI (1937).

<sup>39</sup> ვასილ ჩანტლაძე, „XVII-XVIII სს. ქართული ფულის ერთეულის საკითხისათვის“, *მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*, 1 (1983), 170-84.

<sup>40</sup> ნიკოლოზ ქოიავა, *ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში* (თბილისი, 1963).



## ბიბლიოგრაფია

აბდალაძე ალექსანდრე, სომხური წყაროები. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, საქართველო XI-XV საუკუნეებში. თბილისი, 1979

აბდალაძე გვანცა. კიდევ ერთხელ თამარ მეფის გარდაცვალების თარიღზე. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიღნაღის (კახეთის) ფილიალის სამეცნიერო შრომათა კრებული, V, სიღნაღი, 2004

აბდალაძე გვანცა. XIII საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიიდან. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 359, 2005

აბრამიშვილი თამარ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ტრაპიზონის ასპრებისა და დასავლურ ქართული ფულის (კირმანეულის) კატალოგი. თბილისი, 1984

ბახტაძე მიხეილ. კიდევ ერთხელ თამარ მეფის გარდაცვალების თარიღის შესახებ. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, II, 2011

გაბაშვილი მ. დავით კურაპალატის გარდაცვალების საიდუმლოება და მისი პოლიტიკური მოტივი. კრ. ნოდარ შენგელია 75. თბილისი, 2008

გაგოშიძე ი., ანთაძე მ., ღვაბერიძე ც., ნონელია მ., ქუთელია თ., შეროზია მ. ფული საქართველოში, თბილისი, 2000

დუნდუა თ., დუნდუა გ., ჯავახიშვილი ნ., ერისთავია. ფულისაქართველოში. მეორე, გადამუშავებულ გამოცემა. თბილისი, 2003

გუგუშვილი პაატა. ფულის ნიშნები და ტრიალი საქართველოსა და ამიერკავკასიაში მე-19 საუკუნეში. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, VI, 1937

დარჩიაშვილი შანშე. XIII საუკუნის დასაწყისის საქართველოს ქრონოლოგიის საკითხისათვის. მნათობი, 2, 1975

დარჩიაშვილი შანშე. თამარ მეფის, დავით სოსლანის გარდაცვალებისა და ლაშა-გიორგის გამეფების საკითხისათვის. კრ. ძიებანი ქართულ-სომხური ურთიერთობების ისტორიიდან. თბილისი, 2010

ვარდან არეველცი. მსოფლიო ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნეს ნოდარ შოშიაშვილმა და ეკა კვაჭანტირაძემ, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო ეკა კვაჭანტირაძემ. თბილისი, 2004

კენკეზაშვილი თემურ. გარდაცვალება და დაკრძალვა თამარ მეფისა. თბილისი, 2010

კენკეზაშვილი თემურ. სად და როდის გარდაიცვალა თამარ მეფე? ქრონოლოგიური პარადიგმები. თბილისი, 2011

კენკეზაშვილი თემურ. სად და როდის გარდაიცვალა თამარ მეფე? საისტორიო პარადიგმები. ტ. I. თბილისი, 2012

კიკნაძე რ. ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. თბილისი, 1975

ლოლაშვილი ივანე. თამარის აღსრულების თარიღისათვის. მრავალკარედი. თბილისი, 1984

ნატროშვილი თამაზ, ჯაფარიძე გოჩა. ცდა ერთი თარიღის დადგენისა. მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1, 1974; 2, 1974

სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები. ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა. თბილისი, 1978

ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959

ქოიავა ნიკოლოზ. ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში. თბილისი, 1963

ღვამბერიძე ციალა. როდის გარდაიცვალა მეფე თამარი. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, IX, 2009

ჩანტლაძე ვასილ. XVII-XVIII სს. ქართული ფულის ერთეულის საკითხისათვის. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1, 1983

ცაგარეიშვილი ე. სომხური წყაროები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ X-XI საუკუნეებში. მრავალთავი, II, 1973

ჯაფარიძე გოჩა. ვახუშტი და XII-XIII საუკუნეების საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიის ზოგიერთი საკითხი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 205, 1979

ჯაფარიძე გოჩა. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII – XIII ს-ის I მესამედში. თბილისი, 1995

Всеобщая история Вардана Великого. Перевод Н.О. Эмина. Москва, 1861

Киракоз Гандзакеци. История Армении. Перевод с древнеармянского, предисловие и комментарий Л.А. Ханларян. Москва, 1976

Пахомов Е. Монеты Грузии. Тбилиси, 1970

Смбат Спарпет. Летопись. Перевод с древнеармянского, предисловие и примечания А.Г. Галстяна. Ереван, 1974

Смбат Спарпет, *Летопись*, Восточная литература, Средневековые исторические источники Востока и Запада. <http://www.vostlit.info/haupt-Dateien/index-Dateien/I.phtml>

Smbat Sparapet's Chronicle. <http://rbedrosian.com/css15.htm>

Nersessian, Sirarpie der. The Armenian Chronicle of the Constable Smpad or of the “Royal Historian. Dumbarton Oaks Papers, vol. 13, 1959

## About the Date of the Death of Queen Tamar

*Gotcha Djaparidze*

### Summary

The latest coins of Tamar, the great Queen of Georgia, indicating the date of striking are marked by letters 430, i.e. 430 of the K'ronikon, or A.D.1210. The same year is engraved on the coins of her son and successor King Giorgi Lasha. In 1974, based on the numismatic (and other) data, the present author, in collaboration with Tamaz Natroshvili, suggested that the change on the throne of the Georgian kingdom took place in 1210 – Tamar passed away and her son became the King. According to Sh. Darchiashvili, the year 1210, as a date of coronation of Giorgi Lasha, is confirmed by the Armenian inscription of Haghbat monastery. Some Georgian scholars agree with the mentioned date, but others suggest that Tamar passed away earlier – in 1207, or later – in 1212-1213, or 1215. In recent years, there have been attempts in Georgian historiography to prove that Tamar died in 1207 or in 1215. Tsiala Ghvaberidze thinks that Georgian and foreign sources unanimously indicate 1207 as the date of Tamar's death. According to Temur Kenkebashvili, Tamar passed away after the death of her commander-in-chief Zakaria Mkhargrdzeli, in 1212; that presumably she was still alive during the rebellion of Georgian mountaineers in July-August 1213, even in 1214 (although the exact date of the rebellion is unknown) and died in 1215.

The present paper discusses and rejects the arguments proposed by Ghvaberidze and Kenkebashvili. It indicates that the mentioned scholars did not consider the “Chronicle” by the Armenian historian Smbat Sparapet (1208-76), which is accessible in Russian and English translations (Смбат Спарпет, *Летопись*, перевод с древнеармянского, предисловие и примечания А.Г. Галстяна, Ереван, 1974; Smbat Sparapet's *Chronicle*. Translated by R. Bedrosian, <http://rbedrosian.com/css15.htm>). This important work notes that Zakaria Mkhargrdzeli died in 1211 and the previous year, i.e. 1210 was the date of Queen Tamar's demise.

Besides written sources, Ghvaberidze discusses Tamar's coins, with the letters 430, i.e. 407 of the K'ronikon, or A.D.1187 and 430, i.e. 430 of the K'ronikon, or A.D.1210 as the year of their coinage. The scholar suggests that 430 of the K'ronikon, i.e. A.D.1210 is the result of “mechanical error” on the dies and instead they must indicate 407 of the K'ronikon, i.e. A.D.1187. Paleographic analysis of Tamar's coins, carried out by the present author, rules out the possibility of a “mechanical error” in the date. He believes that the years 1207 and 1215 are similarly unacceptable as the dates of Tamar's death.

## XVI

### რეცენზია

გიორგი ნარიმანიშვილი. ჯვაროსნებისა და ფატიმიანების სამხედრო დაპირისპირება პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის დროს. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი. თბილისი: მნიგნობარი, 2009; 83 გვ. ISBN 978-9941-9079-9-9

სარეცენზიო ნაშრომი პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის დროს ფატიმიანთა და ჯვაროსანთა შორის მომხდარი კონფლიქტის სამხედრო ასპექტის გაანალიზების ცდას წარმოადგენს. ჯვაროსნული ლაშქრობების შესახებ ლიტერატურა ქართულ ენაზე პრაქტიკულად არ გაგვჩნია, რაც უდავოდ ზრდის ამ თემაზე გამოსული ნებისმიერი ნაშრომის ღირებულებას.

წიგნი იწყება იმ ეპოქის ისტორიული მიმოხილვით, რომელიც ჯვაროსნულ ლაშქრობებს უძღოდა წინ (გვ. 3-9); შემდეგ ავტორი განიხილავს საერთოდ არაბული სამყაროს და, კონკრეტულად, ფატიმიანთა სამხედრო ორგანიზაციას (გვ. 10-24), ისევე როგორც, პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის წყაროებსა (გვ. 24-5) და ჯვაროსანთა სამხედრო ორგანიზაციას (გვ. 27-34); ავტორი მოგვითხრობს დიპლომატიურ ურთიერთობებზე ჯვაროსნებსა და ფატიმიანებს შორის (გვ. 36-9) და მხარეთა ქმედებებზე უშუალოდ შეიარაღებულ კონფლიქტამდე (გვ. 41-6); გ. ნარიმანიშვილი დაწვრილებით აღწერს ჯვაროსანთა მიერ იერუსალიმის გარემოცვასა და აღებას (გვ. 47-61), ფატიმიანთა საპასუხო ღონისძიებებს (გვ. 62-3) და ასკალონის ბრძოლას (გვ. 64-9); ნაშრომი ფატიმიანთა მარცხის მიზეზების ანალიზით მთავრდება (გვ. 70-2); წიგნს ახლავს ინგლისური რეზიუმე (გვ. 73-9) და ბიბლიოგრაფია (გვ. 80-2).

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ავტორისეული ბიბლიოგრაფია საკმაოდ მწირია და მხოლოდ ოცდაათიოდე ნაშრომს მოიცავს, რაც სრულიადაც არ არის საკმარისი განხილული საკითხის ამოსაწურად. არასრულია მსჯელობა პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის წყაროებზე (გვ. 24-5). გ. ნარიმანიშვილი არ ასახელებს ისეთ წყაროებს, როგორცაა პეტერ ტუდებოდის,<sup>1</sup> გიბერტ ნოჟენელის,<sup>2</sup> რაულ კანელის თხზულებები.<sup>3</sup>

<sup>1</sup> Peter Tudebode, *Historia de Hierosolymitano Itinere*, translated with introduction and notes by John Hugh Hill and Laurita L. Hill (Philadelphia, 1974).

<sup>2</sup> Guibert of Nogent, *The Deeds of God through the Franks*, translated by Robert Levine (Woodbridge, 1997).

<sup>3</sup> *The Gesta Tancredi of Ralph of Caen: A History of the Normans on the First Crusade*,

მოკლე ბიბლიოგრაფია ხშირად იჩენს თავს რიგი საკითხების განხილვისას. ასე, პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილეთა რიცხვს გ. ნარიმანიშვილი მხოლოდ ს. რანსიმანის მიხედვით ასახელებს (გვ. 27). ასეთი ფუნდამენტური საკითხი მეტ მსჯელობას საჭიროებდა და მის შესახებ არსებული ვრცელი ლიტერატურიდან ავტორს აუცილებელი მინიმუმი მაინც უნდა გამოეყენებინა; ასეთია ჯ. ფრანსის მონოგრაფია, სადაც პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის არმიის რიცხვის დადგენას ცალკე თავი, – „ჯვაროსნული არმიის სიდიდე“, – ეძღვნება,<sup>4</sup> აგრეთვე ბ. ბექრეჩისა<sup>5</sup> და ჯ. რაილი-სმიტის შრომები.<sup>6</sup>

სამწუხაროდ, ნაშრომი შორსაა ორიგინალობისაგან, მასში მთელი გვერდები და პასაჟები უბრალოდ ქართულად ნათარგმნი უცხოური ლიტერატურაა (რომლებიც ხშირ შემთხვევაში, კრებსითი ხასიათის გამო, თავად არიან მეორადნი საკითხთან მიმართებაში). ზოგ შემთხვევაში ავტორი აზრის სწორად გადმოტანასაც ვერ ახერხებს. ასე მაგალითად, 22-ე გვერდზე ის გვარწმუნებს, რომ 1020 წელს ფატიმიანთა ჯარში მრავალეთნიკურობის ნიადაგზე მომხდარი არეულობის დროს ქუთამას ტომი და თურქები დაუპირისპირდნენ ზანგებს და გადაწვეს ფუსტატი, სადაც შავკანიანთა ნაწილები იყო განთავსებული. გ. ნარიმანიშვილი არ უთითებს წყაროს, საიდანაც მან ეს ცნობა აიღო. უეჭველია, ეს ინფორმაცია მას ალებული აქვს კემბრიჯის ეგვიპტის ისტორიიდან,<sup>7</sup> მაგრამ აქ ეს არ არის მთავარი. დედნისმიერი ცნობა გ. ნარიმანიშვილს შეცდომით აქვს მოყვანილი. ფუსტატი თურქებს კი არ გადაუწვავთ, არამედ პირიქით, ის ამბობებულ ზანგთა ნაწილებმა დაარბია და აქ შავკანიანთა ნაწილები კი არ იყო განლაგებული, არამედ, პირიქით, ბერბერთა და თურქთა ოჯახები იმყოფებოდა!<sup>8</sup>

---

translated and with an introduction by Bernard S. Bachrach and David S. Bachrach (Aldershot, 2005).

<sup>4</sup> John France, *Victory in the East: A Military History of the First Crusade* (Cambridge, 1994), 122-42. უნდა ითქვას, რომ გ. ნარიმანიშვილი ამ ნაშრომს იცნობს, მაგრამ, როგორც ჩანს, სათანადოდ ვერ იყენებს.

<sup>5</sup> Bernard Bachrach, “The Siege of Antioch: A Study in Military Demography,” *War in History*, 6 (1999), 127-46.

<sup>6</sup> Jonathan Riley-Smith, “Casualties and the Number of Knights on the First Crusade,” *Crusades*, 1 (2002), 13-28.

<sup>7</sup> *The Cambridge History of Egypt*, vol. I, *Islamic Egypt, 640-1517*, edited by Carl F. Petry (Cambridge, 1998), 155. ასეთი შემთხვევები ერთეული არ არის. ასევე არ უთითებს იგი წყაროს, როდესაც IX საუკუნეში აბასიანთა მიერ ყაზარმების სისტემის შემოღებაზე მსჯელობს (გვ. 20, შენ. 13). წყარო აქაც კემბრიჯის ეგვიპტის ისტორიაა, გვ. 155.

<sup>8</sup> “A few years later, in 1020, the Turks and the Kutama formed a coalition against the black troops, who rioted to protest against the favors granted to the other groups. The black troops pillaged and burned Fustat, where both Kutama and Turkish soldiers had put down roots, even marrying into the local population.” Paula A. Sanders, “The Fatimid state, 969-1171,” in *The Cambridge History of Egypt*, vol. I, *Islamic Egypt, 640-1517*, ed. by Carl F. Petry (Cambridge, 1998), 155.

ასეთი შეცდომა სხვაგანაც გვხვდება: გ. ნარიმანიშვილი აღწერს შემთხვევას, როდესაც იერუსალიმის აღების დროს რაიმონ ტულუზელმა „ბევრი დაატყვევა. სხვებს კი, ვინც ფატიმიანთა გარნიზონიდან გადარჩა, ნება მისცეს უსაფრთხოდ ეცხოვრათ“ (გვ. 60). დედანში, საიდანაც მან ისარგებლა, სრულიად განსხვავებული აზრია მოცემული: რაიმონმა იერუსალიმის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს **დარჩენის და ცხოვრების** უფლება კი არ მისცა, არამედ, ფატიმიანთა გარნიზონის ნარჩენებთან ერთად, ქალაქის **დატოვების!**<sup>9</sup>

აღსანიშნავია შემდეგიც: როგორც კი ავტორი შორდება უცხოურ ლიტერატურას და დამოუკიდებლად იწყებს სამხედრო საკითხებზე მსჯელობას, ის მაშინვე უშვებს ელემენტარულ შეცდომებს და, აქედან გამომდინარე, მცდარ დასკვნებსაც აკეთებს.

გ. ნარიმანიშვილი ვარაუდობს, რომ ფატიმიანთა ჯარში ნაფატინთა ნაწილები ბერძნებისაგან იყო დაკომპლექტებული, რადგან „სწორედ მათ იცოდნენ ყველაზე კარგად „ბერძნული ცეცხლის“ დამზადების ტექნოლოგია“ (გვ. 22, შენ. 15). ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ, ფატიმიანთა გარდა, ნაფატინები ფართოდ იყვნენ წარმოდგენილნი სხვა ისლამურ არმიებში და მათი ყოველთვის ბერძნებად მიჩნევა სწორი არ იქნება. მაგალითისათვის, აბასიანთა არმიის მშვილდოსანთა ყოველ კორპუსს ნაფატინთა ნაწილი უნდა ჰქონოდა. ცეცხლგამჩენი ნივთიერების გამოყენების წესები ასახულია იმდროინდელ მუსლიმურ სამხედრო ტრაქტატებში. უდავოა, რომ მუსლიმური სამყარო ფლობდა ცეცხლგამჩენი ნივთიერების დამზადების საიდუმლოს და მას ამისთვის ბერძენი სპეციალისტები არ ჭირდებოდა.<sup>10</sup> ისიც საკითხავია, თუ რამდენად იდენტური იყო ბერძნული ცეცხლი და აღმოსავლეთში გავრცელებული ცეცხლგამჩენი საშუალებები. ბერძნულ ცეცხლს სპეციალური სიფონის საშუალებით იყენებდნენ, რომლის მოქმედების პრინციპიც ბოლომდე უცნობი დარჩა ყველასათვის.<sup>11</sup>

გ. ნარიმანიშვილის აზრით, აღმოსავლეთში ბრძოლებისას გაიზარდა ჯვაროსანთა მშვილდოსნების მნიშვნელობა და იქვე, ავტორიტეტულად აცხადებს, რომ თურმე ევროპაში მშვილდი ადრეც იცოდნენ, მაგრამ მისი მასობრივი გამოყენება ჯვაროსნული ლაშქრობების დროს-ლა დაიწყესო (გვ. 33, შენ. 41). ჯერ ერთი, ევროპაში მშვილდს მასობრივად ადრეც იყენებდნენ (შარლემანის 802-03, 806 და 811 წლის კაპიტულარები მოწმობენ, რომ მშვილდი

<sup>9</sup> “Raymond took many captive. Others were permitted to leave under safe conduct with what remained of the Fatimid garrison.” David Nicolle, *The First Crusade 1096-99* (Oxford, 2003), 81.

<sup>10</sup> J. R. Partington, *A History of Greek Fire and Gunpowder* (Baltimore, 1999), 21-2.

<sup>11</sup> Peter Purton, *A History of the Early Medieval Siege, c.450-1220* (Woodbridge, 2009), 374-5.

კაროლინგური არმიის აუცილებელი იარაღი იყო);<sup>12</sup> მეორეც, აღმოსავლეთში ბრძოლისას ჯვაროსნები მასობრივად მშვილდს კი არა, არამედ არბალეტს იყენებდნენ, ეს კი ცოტათი მაინც განსხვავებული იარაღია.

ავტორის აზრით, ევროპულმა შეიარაღებამ აღმოსავლეთში ცვლილება განიცადა და ის ორი რადიკალურად განსხვავებული გზით, შემსუბუქებისა და დამძიმების გზით, წარიმართა: შემსუბუქებული რაინდები, თურმე, მოხრილი ხმლებითაც კი შეიარაღდნენ; მეორეს მხრივ, რაინდებმა ქოთნისებური მუზარადი დაიხურეს, ისეთი მძიმე ჯავშანი ჩაიცვეს, რომ ცხენს მათი ტარება უჭირდა და „დიდ ადგილს იკავებდა“ (?!), ისე მძიმე შუბი აიღეს, რომ მას სჭირდებოდა „სამხრეზე არსებულ, სპეციალურ ღრმულზე მიბჯენა“, და შედეგად, ისინი ვეღარ ახორციელებდნენ განთქმულ რაინდულ შუბის ძველებას (გვ. 33-4). ამ მოსაზრებების სერიოზული განხილვისაგან თავს შევიკავებ, მხოლოდ ვიტყვი, რომ რაინდებს ორლესული მახვილი მოხრილ ხმალზე არ გაუცვლიათ; ქოთნისებური მუზარადი (Great Helm) მხოლოდ XIII საუკუნეში ჩნდება და გაუგებარია რა როლს ასრულებდა ის ფატიმიანებთან დაპირისპირებაში; ევროპული მძიმე, მთლიანფირფიტოვანი აბჯარი მხოლოდ XIV საუკუნიდან იწყებს დამკვიდრებას, როდესაც ფატიმიანები კი არა, მათი მემკვიდრე აიუბიანებიც კარგა ხანია ისტორიას მიეკუთვნებოდნენ, და ის სრულიადაც არ იყო ასეთი მძიმე და არ უშლიდა ხელს ცნობილი რაინდული შეტევის განხორციელებას *წაგრძელებული შუბით* (couched lance); რაც შეეხება „სპეციალურ ღრმულს“, ავტორი ალბათ გულისხმობს კირასის მარჯვენა მხარეს დამაგრებულ შუბის ბრჯენს (lance-rest), რომელიც XIV საუკუნის ბოლოს გამოჩნდა.<sup>13</sup>

გადაჭარბებულია იმის მტკიცება, რომ ფატიმიანთა „თითოეული მებრძოლი“, ქვეითიც და ცხენოსანიც, გრძელი ჯაჭვის პერანგით და ჩაჩქანით იყო დაცული (გვ. 15). ასე მძიმედ აღჭურვილი შუა საუკუნეების არცერთი არმია არ იყო.

ერთგან ტექსტში ვკითხულობთ, რომ ჯვაროსანთა ქვეითი მეომრები „სხვადასხვაგვარი იარაღით იყვნენ შეიარაღებულნი ან საერთოდ შეუიარაღებელნი იყვნენ“ (გვ. 31). საერთოდ შეუიარაღებელი უკვე მეომარი არ არის, ის დამხმარეა.

ნიგნში უხვად შევხვდებით ისტორიული მოვლენების ზედაპირულ განხილვასა და ფაქტების არასწორ ინტერპრეტაციას. ასე, გ. წარიმანიშვილის მტკიცებით, 1054 წელს სელჩუკებმა ბალდადი აიღეს და „გარყვნილი“ ისლამური საზოგადოების გადახალისების“ მიზნით, „ზოგიერთი მონაცემით მილიონამდე

<sup>12</sup> Kelly DeVries, *Medieval Military Technology* (Peterborough, 1992), 35-6.

<sup>13</sup> Claude Blair, *European Armour, circa 1066 to circa 1700* (London, 1958), 61.

ადამიანი მოკლეს“ (გვ. 9). მსხვერპლის ასეთი ასტრონომიული რიცხვი მეტის-მეტად გადაჭარბებული ჩანს. ბარ ჰებრეუსი, რომელიც დაწვრილებით აღწერს სელჩუკთა სულთნის თოღრულ-ბეგის შესვლას ბაღდადში, მხოლოდ მცირე შეტაკებებზე მოგვითხრობს ადგილობრივ თურქებთან და დეილამელებთან. საკმარისია ითქვას, რომ როდესაც სულთანმა შეტაკებების წამომწყებები დასაჯა, ასეთი მხოლოდ ათი თურქი იყო, რაც არეულობის არცთუ დიდ მასშტაბზე მეტყველებს.<sup>14</sup> იბნ ალ-ასირიც მოგვითხრობს ბაღდადის მცხოვრებთა გამოსვლაზე სელჩუკთა წინააღმდეგ, მაგრამ არაფერს ამბობს ასეთ მსხვერპლზე და მხოლოდ ქალაქის ერთი ნაწილის ძარცვაზე ამახვილებს ყურადღებას.<sup>15</sup>

არ არის სწორი ავტორის მოსაზრება, თითქოსდა „პირველად ისტორიის მანძილზე ბიზანტიის იმპერიის არსებობას რეალური საფრთხე შეექმნა“ 1071 წელს მანასკერტთან დამარცხებისა და რუმის სასულთნოს დაარსების შემდეგ (გვ. 9). არაბთა ექსპანსიის დასაწყისში ბიზანტია გაცილებით დიდი საფრთხის წინაშე იდგა. საკმარისია ითქვას, რომ თვით კონსტანტინოპოლი არაბებს ორგზის ჰქონდათ გარემოცული (671/4-678, 717-718) და იმპერია მხოლოდ ძლიერმა კედლებმა და ბერძნულმა ცეცხლმა იხსნა.

გაუგებარია გ. ნარიმანიშვილის მტკიცება, რომ ჯვაროსნული ლაშქრობების დროს მუსლიმთაგან „ჯვაროსნებს პირველ რიგში ფატიმიანთა ჯარი დაუპირისპირდა“ (გვ. 13). ჯვაროსნებს პირველად, ფატიმიანებზე უფრო ადრე, რუმის სასულთნო და შემდეგ სელჩუკთა სამყაროს სხვა ერთეულები (ანტიოქია, დამასკო, ალეპო, მოსული) დაუპირისპირდნენ.

გ. ნარიმანიშვილი ცდება, როდესაც თვლის, რომ ჯვაროსნებთან ფატიმიანთა ბრძოლის „ყველა მცდელობა უშედეგოდ დასრულდა“, რის საილუსტრაციოდაც მოჰყავს რამლას სამი ბრძოლა (გვ. 70, შენ. 65). სინამდვილეში, 1102 წელს რამლას მეორე ბრძოლა ეგვიპტელთა გამარჯვებით დასრულდა.

ნაშრომის სუსტი ადგილია შუა საუკუნეების ისლამური და ევროპული სამხედრო ორგანიზაციების დახასიათება და შეფასება.

არ არის დამაკმაყოფილებელი ჯვაროსნულ ლაშქრობამდელი ისლამური სამყაროს სამხედრო ორგანიზაციის მიმოხილვა (გვ. 12-3), სადაც ავტორი მხოლოდ ომაიანთა პერიოდს ეხება გაკვრით და არაფერს ამბობს იმ ცვლილებებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა აბასიანთა ეპოქაში (ასეთია მძიმე

<sup>14</sup> *The Chronography of Gregory Abu'l Faraj, the Son of Aaron, the Hebrew Physician Commonly Known as Bar Hebraeus*, translated from the Syriac by Ernest A. Wallis Budge, vol. I (London, 1932), 207-8.

<sup>15</sup> *The Annals of the Saljuq Turks: Selections from al-Kamil fi'l-Ta'rikh of 'Izz al-Din Ibn al-Athir*, translated and annotated by D. S. Richards (London, 2002), 99-102.



ცხენოსანთა მნიშვნელობის ზრდა ომაიანთა პერიოდის ქვეით არმიებთან შედარებით, თურქი მონა-მეომრების გამოჩენა და მათი წამყვანი როლი), რომ აღარაფერი ვთქვათ სელჩუკთა იმპერიაზე.

კრიტიკას ვერ უძლებს გ. ნარიმანიშვილის მიერ ჯვაროსნული მხედრობის შეფასება. მისი აზრით, ჯვაროსნული ჯარი „არაორგანიზებულ მასას წარმოადგენდა“ (გვ. 29); „რაინდები სრულიად არადისციპლინირებულები იყვნენ. შეტევისთვის დანყობილ რაინდებს შორის თუ რომელიმე სხვა მიმართულებით გადაწყვეტდა წასვლას, მას ამ ქმედებას ვერავინ დაუშლიდა“ (გვ. 30). რაინდთა უდისციპლინობას და არაორგანიზებულობას ავტორი შემდგომშიც აღნიშნავს (გვ. 51, 72). ჯვაროსანთა არმია მართლაც ასეთი „არაორგანიზებული მასა“ რომ ყოფილიყო, ის ვერასოდეს ვერ მიაღწევდა რაიმე წარმატებას. რა თქმა უნდა, თანამედროვე სტანდარტებთან შედარებით რაინდთა დისციპლინა მოიკოჭლებდა, მაგრამ ასეთი მკაცრი „შეფასება“ ისტორიულ რეალობას არ შეესაბამება. წარმოდგენა, რომ შუა საუკუნეების არმიები შედგებოდა უდისციპლინო, მხოლოდ პირადი დიდებისათვის მებრძოლი მეომრებისაგან, კარგა ხანია წარსულს ჩაბარდა. თანამედროვე ისტორიკოსებისათვის უკვე ცხადია, რომ შუა საუკუნეებში წვრთნას გადიოდნენ, როგორც ინდივიდუალურად, ასევე რაზმის შემადგენლობაში, და რომ რაზმები ურთიერთშეთანხმებულად მოქმედებდნენ.<sup>16</sup> შონ მაკგლინი მიიჩნევს, რომ წარმოდგენა იმპულსური რაინდის შესახებ, რომელიც ბრძოლაში წინდაუხედავად ებმება, მეტად მცდარია.<sup>17</sup> დევიდ ნიკოლი მოურიდებლად სისულელეს (nonsense) უწოდებს იმ აზრს, რომლის თანახმადაც შუა საუკუნეების მეომარი მხოლოდ თავის ჭკუაზე იბრძოდა და არ ურთიერთქმედებდა თანამებრძოლებთან.<sup>18</sup> შუა საუკუნეებში რაინდები იბრძოდნენ დისციპლინირებულ ფორმაციებში, პატარა ტაქტიკურ ერთეულებად (ევროპაში მას *conroi* ეწოდებოდა) დაყოფილები. კონრუა სენიორის დროის ქვეშ მოქმედი ვასალთა რაზმი იყო; ასეთი რაზმები ერთიან საბრძოლო წყობას ქმნიდნენ.<sup>19</sup> დისციპლინის გარეშე შუძლებელი იყო ცხენოსანთა შოკური შეტევის (mounted shock combat)

<sup>16</sup> John Gillingham, “Richard I and the Science of War in the Middle Ages,” in *War and Government in the Middle Ages. Essays in Honour of J.O. Prestwich*, ed. by John Gillingham and J.C. Holt (Woodbridge, 1984), 78; Sean McGlynn, “The Myths of Medieval Warfare,” *History Today*, vol. 44, no. 1 (1994), 30-1; David Nicolle, *Medieval Warfare Source Book: Warfare In Western Christendom* (London, 1999), 250.

<sup>17</sup> McGlynn, “The Myths of Medieval Warfare,” 31.

<sup>18</sup> Nicolle, *Medieval Warfare Source Book: Warfare In Western Christendom*, 250.

<sup>19</sup> J.F. Verbruggen, *The Art of Warfare in Western Europe During the Middle Ages: From the Eighth Century to 1340* (Woodbridge, 1997), 7; Carroll Gillmor, “European Cavalry,” in *Dictionary of the Middle Ages.*, Vol. 3 (New York, 1983), 204.

წარმატებით განხორციელება, რაც რაინდთა უპირველესი ტაქტიკური ხერხი იყო.<sup>20</sup>

ავტორმა ვერ წარმოაჩინა დაპირისპირებულ მხარეთა ტაქტიკა, ვერ ახსნა დამაჯერებლად ფატიმიანთა დამარცხებისა და ჯვაროსანთა გამარჯვების მიზეზები (მხოლოდ რელიგიური ფანატიზმი ამისათვის საკმარისი არ არის), ვერ გვიჩვენა განსხვავება სელჩუკურ და არაბულ არმიებს შორის, სხვაობა მათ ბრძოლის სტილს შორის. ის მოგვითხრობს მხოლოდ თურქ ცხენოსან მოისართა ბრძოლის სტილზე (გვ. 33), მაგრამ ასეთი ტაქტიკა არ იყო დამახასიათებელი ფატიმიანთა არმიისათვის. მცდარია გ. ნარიმანიშვილის თვალსაზრისი, რომ „არაორგანიზებულმა და არადისციპლინირებულმა, მაგრამ ფანატიკურად განწყობილმა ლაშქარმა შეძლო მრავალსაუკუნოვანი სამხედრო ტრადიციების მქონე ჯარის დამარცხება“ (გვ. 72). ფატიმიანთა დამარცხების ნამდვილი მიზეზი ჯვაროსანთა ტაქტიკური უპირატესობა იყო. ეგვიპტელთა არმიებს, რომელთა მთავარ კომპონენტებს ქვეითი მშვილდოსნები და ხმლით და შუბით მეზობლი ცხენოსნები წარმოადგენდნენ, არ ახასიათებდათ ისეთივე მობილურობა, როგორც სელჩუკთა ცხენოსან მოისრეებს. ფატიმიანთა არმია ბრძოლის ველზე უძრავ, სოლიდურ სამიზნეს წარმოადგენდა და უძლური იყო ჯვაროსანთა კავალერიის შოკური დარტყმის წინაშე.<sup>21</sup> ჯვაროსანთა ტაქტიკისა და ბრძოლის წესის უპირატესობას ეგვიპტელებთან გამართული ბრძოლები მოწმობს, სადაც ერთი შემთხვევის გარდა (რამლას მეორე ბრძოლა, 1102), ისინი მოწინააღმდეგეს ყოველთვის ამარცხებდნენ: რამლას პირველი (1101) და მესამე (1105), იაფას (1102) და იბელინის (1121) ბრძოლები.

ცალკე აღნიშვნის ღირსია გ. ნარიმანიშვილის მიერ რუკებისა და ილუსტრაციების გამოყენების ხერხი. ის ისე სარგებლობს სხვათა მიერ შედგენილ-დახატული მასალით, რომ ერთხელაც არ უთითებს ავტორის ვინაობას. ასე, სურათები 2, 3, 4, 5, 6, 7 საქვეყნოდ ცნობილი ანგუს მაკბრაიდის ნახატებია,<sup>22</sup> სურ. 10 კრისტა ჰუკს ეკუთვნის,<sup>23</sup> სურ. 9, 11, 12 კი გერი ემბლეტონისაა.<sup>24</sup> გ. ნარიმანიშვილი აქაც ვერ გაექცა შეცდომებს, ხშირ შემთხვევაში ჯვაროსანთა შეიარაღება წიგნში განხილულ პერიოდზე

<sup>20</sup> ამ ტაქტიკის შესახებ იხ. მამუკა წურნუშია, „ნაგრძელებული შუბით ბრძოლის წესი და ცხენოსანთა დარტყმითი ტაქტიკა: ქართული გამოცდილება“, *საისტორიო კრებული*, 1 (2011), 186-90, 208-9.

<sup>21</sup> ფატიმიანთა და ჯვაროსანთა დაპირისპირების სამხედრო ასპექტის შესახებ იხ. R. C. Smail, *Crusading Warfare, 1097-1193*, 2nd ed. (Cambridge, 1995), 83-7.

<sup>22</sup> David Nicolle, *The Armies of Islam 7th-11th Centuries* (Oxford, 1982), pl. A, B, C, D, E, G.

<sup>23</sup> David Nicolle, *The Knight Hospitaller 1100-1306* (Oxford, 2001), pl. C.

<sup>24</sup> Terence Wise, *Armies of the Crusades* (Oxford, 1978), pl. A, B, F.

უფრო გვიანია, მეთორმეტე სურათზე (გვ. 52) კი ჯვაროსნების ნაცვლად ბიზანტიელები არიან გამოსახულნი.

გარკვეულ კორექტივებს საჭიროებს ისტორიულ პირთა თუ ეთნიკურ ჯგუფთა სახელებიც: *დეილემიტების* ან *დაილემიტების* ნაცვლად უნდა იყოს *დეილამელები* (გვ. 8, 22, და შმდ.), *ფუშე დე შარტრეს* ნაცვლად *ფულხერიუს შარტრელი* (გვ. 24), *ვილიამის* ნაცვლად *უილიამი* (გვ. 32), *ბოდვინის* ნაცვლად *ბალდუინი* ან *ბოდუენი* (გვ. 32), და ა.შ.

ტიქსტში მრავლადაა კორექტურებიც, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანდა.

საკმაოდ ვრცელი ინგლისური რეზიუმე ნაშრომის ღირსებად შეიძლება ჩაგვეთვალა, რომ არა ერთი გარემოება: იგი პრაქტიკულად არ ეკუთვნის ავტორს და სხვადასხვა ინგლისური ლიტერატურიდან სიტყვასიტყვით გადმოწერილ კომპილაციას წარმოადგენს. საკმარისია ითქვას, რომ 75-ე გვერდის მესამე აბზაცი გადმოწერილია პ. სანდერსიდან,<sup>25</sup> 76-ე გვერდის მეორე, მესამე და მეოთხე აბზაცი იმავე სანდერსიდან,<sup>26</sup> 78-ე გვერდზე მეორე აბზაცის ბოლო ნაწილი ჯ. ფრანსს ეკუთვნის,<sup>27</sup> მესამე აბზაცი დ. ნიკოლს,<sup>28</sup> მეოთხე კვლავ ფრანსს<sup>29</sup> და ა.შ.

წიგნის დადებით მხარეებს მიეკუთვნება, თავისთავად საკითხის დაყენება და ბაზისური ინფორმაცია ფატიმიანთა სახალიფოს შესახებ; გარკვეული ღირებულების შეიძლება იყოს, აგრეთვე, გრძელი ექსცერპტები ქრონიკებიდან, რაც, საერთო ჯამში, სამწუხაროდ, სრულებითაც არ არის საკმარისი ამ ტიპის ნაშრომისათვის.

*მამუკა წურწუშია*

<sup>25</sup> Paula A. Sanders, "The Fatimid state," 154-5.

<sup>26</sup> იქვე, 155-6.

<sup>27</sup> France, *Victory in the East*, 363.

<sup>28</sup> Nicolle, *The First Crusade 1096-99*, 84.

<sup>29</sup> France, *Victory in the East*, 365.

## XVII

### რეცენზია

ზურაბ ბატიაშვილი (დარუჯანაშვილი). ტრაპიზონის იმპერიის დაარსება. სამხრეთ ქავკასიისა და ანატოლიის უკლევის ცენტრი. თბილისი: არტანუჯი, 2012; 178 გვ. ISBN 978-9941-421-34-1

წარმოდგენილი სამეცნიერო მონოგრაფია, რომელიც ეხება ტრაპიზონის იმპერიის დაარსების საკითხს, შედგება ორი ძირითადი ნაწილისგან: თავი I. „ტრაპიზონის იმპერიის დაარსებამდე“ (გვ. 12-47); თავი II. „ტრაპიზონის იმპერიის დაარსება“ (გვ. 48-143). „წინასიტყვაობაში“ საუბარია ნაშრომის აქტუალობაზე (გვ. 7-8), ხოლო „გეოგრაფიულ გარემოში“ აღწერილია ის ბუნებრივი პირობები, სადაც არსებობა უნევდა ტრაპიზონის იმპერიის მოსახლეობას (გვ. 9-11).

პირველ თავში ავტორი ძირითადად ეხება ქალაქ ტრაპიზონისა და ზოგადად ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ისტორიას, რომელშიც მოკლედ არის განხილული 1204 წლამდე რეგიონში მიმდინარე ძირითადი მოვლენები.

ავტორი ვრცლად საუბრობს ხალიბებზე, ანუ იმ ტომების შესახებ, რომლებიც მოსახლეობდნენ ქალაქ ტრაპიზონის სანახებში (გვ. 12-17). სწორედ ხალიბებმა მისცეს სახელი პროვინციას, რომელიც ტრაპიზონის იმპერიის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენდა – ხალდიას (ქალდეა). მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში მრავალი გამოკვლევაა ხალიბების შესახებ (მაგალითად, გ. მელიქიშვილის, გ. ქავთარაძის შრომები<sup>1</sup> და სხვ.), ავტორი ძირითადად თურქ მკვლევრებს ეყრდნობა.

იმავე, პირველი თავის დასაწყისში ავტორი მიმოიხილავს ქალაქ ტრაპიზონის დაარსებას და მის ისტორიას ელინისტური ეპოქის დადგომამდე (გვ. 18-23). საინტერესოა მსჯელობა, ძირითადად თურქ ავტორებზე დაყრდნობით, ტრაპიზონის სახელწოდების წარმომავლობის შესახებ (გვ. 18-20). მომდევნო მონაკვეთში საუბარია პონტოს სამეფოს შესახებ ძვ.წ. 302-64 წლებში (გვ. 23-27). ავტორი აქაც, უმთავრესად, თურქი მკვლევრების შრომებს იყენებს, თუმცა შეიძლებოდა პირველწყაროების მოხმობაც (მაგ. აპიანე, სტრაბონი და ა.შ.). პონტოს სამეფოს შესახებ ავთენტური წყაროების

---

<sup>1</sup> შემოვიფარგლებით მხოლოდ ზოგიერთის დასახელებით: Г. А. Меликишвили, *К истории древней Грузии* (Тбилиси, 1959); გიორგი ქავთარაძე, *ანატოლიაში ქართველურ ტომთა განსახლების საკითხისათვის* (თბილისი, 1985).

გარდა, სასურველი იყო სხვა, შედარებით უფრო ავტორიტეტული ავტორების დამონმებაც.<sup>2</sup>

შედარებით ვრცლად არის აღწერილი რომისა და ბიზანტიის მმართველობის პერიოდი (გვ. 27-47). საორიენტაციო ლიტერატურად თურქი ავტორების შრომებთან ერთად გამოყენებულია მასალა ინტერნეტიდან, მათი დიდი ნაწილი სრულიად უადგილოა აკადემიური ნაშრომისთვის (მაგ. ანდრია პირველწოდებულის საქართველოში შემოსვლის შესახებ ციტირებისას ავტორს უმჯობესია დაემონმებინა „ქართლის ცხოვრების“ აკადემიური გამოცემები და არა ინტერნეტ მასალები), ასევე ქართული მასალაც (სპეციალური ლიტერატურა და „გეორგია“); იშვიათად, მაგრამ მაინც მოხმობილია, ისეთი ავტორები, როგორებიცაა თ. უსპენსკი, ს. კარპოვი, ე. ბრაიერი, ს. ვრიონისი და სხვ. საინტერესოა ინფორმაცია იმპერატორ დიოკლეტიანეს (284-305) დროს ტრაპიზონის ხელახლა მშენებლობის შესახებ, როცა აიგო ის ნაგებობები, რომლებიც III საუკუნის 50-იან წლებში გუთების ლაშქრობების დროს დაზიანდა (გვ. 30-31). მიუხედავად ამისა, აქაც იგნორირებულია ქართული ისტორიოგრაფიის საინტერესო კვლევები უშუალოდ ქალაქ ტრაპიზონის შესახებ. ასეთია გ. დუნდუას ვრცელი გამოკვლევები, რომლებშიც ნუმისმატიკური მასალების მიხედვით განხილულია ქალაქ ტრაპიზონის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ ეთნიკური ვითარება რომაელთა ხანაში,<sup>3</sup> რომელთაც ზ. ბატიაშვილი საერთოდ არ იცნობს.

მომდევნო ფურცლებზე ავტორი მოკლედ მოგვითხრობს ტრაპიზონის შესახებ IV-XI საუკუნეებში (გვ. 33-37); შედარებით უფრო დაწვრილებით აქვს

<sup>2</sup> პონტოს სამეფოს შესახებ საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა არსებობს, მათ შორის ქართულ ენაზეც. ვასახელებთ სპეციალური ლიტერატურის მხოლოდ მცირე ჩამონათვალს, რომელიც ეხება პონტოს სამეფოს ისტორიას: T. Reinach, *Mithradates Eupator, König von Pontus* (Leipzig, 1895); C. McGing, *The foreign policy of Mithridates VI Eupator, King of Pontus* (Leiden, 1986); С. Сапрыкин, *Понтийское царство: Государство греков и варваров в Причерноморье* (Москва, 1996); *Mithridates VI and the Pontic Kingdom*, ed. by J.M. Højte (Aarhus, 2009). ქართული სამეცნიერო ლიტერატურიდან გამოვყოფდი რამდენიმეს: გიორგი გოზალიშვილი, *მითრიდატე პონტოელი* (თბილისი, 1965); თედო დუნდუა, *კოლხეთი, იბერია და პონტოს სამეფო ნუმისმატიკური მასალების მიხედვით* (თბილისი, 1993). გ. გოზალიშვილის დასახელებული ნაშრომი მის სხვა გამოკვლევებთან ერთად დამონმებული აქვს ზურაბ ბატიაშვილსაც.

<sup>3</sup> გიორგი დუნდუა, „სამონეტო მიმოქცევა და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი ბიჭვინტაში ნუმისმატიკური მასალების მიხედვით ძვ.წ. II – ახ.წ. IV სს.“, დიდი პიტიუნტი: არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში, ტ. I (თბილისი, 1975), 280-429; მისივე, „ერთხელ კიდევ ტრაპეზუნტის მონეტების იკონოგრაფიის შესახებ“, დიდი პიტიუნტი: არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში, ტ. II (თბილისი, 1977), 343-7. ასევე, იხილეთ გ. დუნდუასა და თ. დუნდუას თანავტორობით გამოცემული „ქართული ნუმისმატიკის“ პირველი ტომი: გიორგი დუნდუა, თედო დუნდუა, ქართული ნუმისმატიკა, ტ. I (თბილისი, 2006), 102-9.

მიმოხილული გაბრასების მოღვაწეობა ტრაპიზონსა და ზოგადად, ბიზანტიის იმპერიაში (გვ. 38-47), რომლებიც, ავტორის განცხადებით, 1067-1140 წლებში (გარკვეული ინტერვალებით – ლ. თ.) ხალდიის დუქსის თანამდებობას ფლობდნენ (გვ. 40). ავტორი იქვე ხაზს უსვამს გაბრასების ქართველურ წარმოშობასაც, აქცენტი კეთდება საქართველოსთან კავშირზეც. საერთოდ, გაბრასების მოღვაწეობის საკითხის წინ წამოწევა აქტუალურად გვეჩვენება ტრაპიზონის იმპერიის დაარსების კუთხით, რაც ავტორმა შესაბამისად ასახა კიდევ თავის მონოგრაფიაში. აქვე, არ იქნება ურიგო ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული კვლევების შეხსენებაც, რომლებიც ძირითადად ნუმისმატიკის კუთხით აშუქებენ საქართველოსა და ტრაპიზონის ურთიერთობას. ამ კუთხით გამოვყოფდი თ. დუნდუას ნაშრომებს.<sup>4</sup> ავტორი ასევე არ იცნობს ნ. ლომოურის მრავალრიცხოვან ნაშრომებს აღნიშნული ეპოქის (IV-XI სს.) საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობების შესახებ, რომელთაგან არაერთი ეხება ტრაპიზონისა და ლაზეთის საკითხებსაც.<sup>5</sup> ხალდიის თემსა და გაბრებზე რამდენიმე ნაშრომი აქვს ი. ნოდისაც.<sup>6</sup>

მიუხედავად ტრაპიზონის მხარის მოკლე დახასიათებისა, რომელიც მრავალ საისტორიო სახის ნაშრომზე დაყრდნობით არის წამოდგენილი, გვხვდება გარკვეული უზუსტობებიც, არასწორად არის მითითებული რომის იმპერატორის ადრიანეს მმართველობის წლები (გვ. 28), რაც ალბათ უფრო ტექნიკური სახის შეცდომაა; გაუგებარია რას ნიშნავს ტრაპიზონის მიერ „დამოუკიდებელი სავაჭრო ცენტრის სტატუსის“ მოპოვება (გვ. 36); 1021 წელს შირიმნთან მომხდარი ბრძოლის შესახებ ავტორი აღნიშნავს, რომ „შირიმნი არ არის ლოკალიზებული“ (გვ. 36), თუმცა არსებობს შ. ბადრიძისა და ე. კოპალიანის გამოკვლევები შირიმნის ლოკალიზაციასთან დაკავშირებით.<sup>7</sup>

<sup>4</sup> თედო დუნდუა, *სევასტოსები და მართლმადიდებელი სიმახია: დავით აღმაშენებელი და თეოდორე გაბრასი* (თბილისი, 2003); მისივე, *ბიზანტიური პროვინციული ნუმისმატიკა: გაბრასები და მათი სამონეტო ემისიები* (თბილისი, 2011).

<sup>5</sup> ნოდარ ლომოური, „ლაზეთის სახელწოდების საკითხისათვის“, *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*, 5 (1964); მისივე, *ეგრისის სამეფოს ისტორია* (თბილისი, 1968); მისივე, *საქართველო და ბიზანტიის ურთიერთობა V საუკუნეში* (თბილისი, 1989). ამას გარდა, სულ ახლახანს გამოვიდა ნ. ლომოურის ვრცელი მონოგრაფია საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობების შესახებ IV-IX საუკუნეებში, იხ. ნოდარ ლომოური, *საქართველოს და ბიზანტიის იმპერიის ურთიერთობა (IV-IX სს.)*, ნაწ. I (თბილისი, 2011). მონოგრაფიის დართული აქვს პროფ. ნოდარ ლომოურის ნაშრომების ვრცელი ნუსხა. იქვე, 307-6.

<sup>6</sup> ირინე ნოდია, „ქალდიის თემის საზღვართა დადგენისათვის“, *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*, 46, No 3 (1967), 793-6; ირინე ნოდია, „ქალდიის თემი“, *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე*, 5 (56) (1970), 103-12.

<sup>7</sup> შოთა ბადრიძე, „შირიმნის ბრძოლის ლოკალიზებისა და თარიღის შესახებ“,

არასწორია პ. ინგოროყვას ნაშრომებზე დაყრდნობით გაკეთებული შენიშვნა დავით აღმაშენებლის არაერთგზის გამოჩენაზე ტრაპიზონთან (გვ. 44). დავით IV-ის ლაშქრობა ტრაპიზონზე წყაროებით არ დასტურდება. არ არის მართებული დებულება, თითქოს „მთელი XII საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა მეტოქეობა ბიზანტიასა და საქართველოს შორის ტრაპიზონის მხარის გამო“ (გვ. 46). ჩვენს ხელთ არსებულ წყაროებში არ არის დაცული რაიმე პირდაპირი ცნობა, რომელიც XII საუკუნეში ბიზანტია-საქართველოს სამხედრო კონფლიქტს დაადასტურებდა, მითუმეტეს ვერ განვავრცობთ ამ მოსაზრებას მთელ XII საუკუნეზე. არც გიორგი III-ის (1156/7-1184) დროს ულაშქრიათ ქართველებს ტრაპიზონამდე, როგორც ამას ავტორი პავლე ინგოროყვას მიხედვით აღნიშნავს (გვ. 47). იქვე, რუს მკვლევარზე, დ. კორობეინიკოვზე დაყრდნობით მოტანილია არაბი ისტორიკოსის ალ-‘აზიმის ცნობა ტრაპიზონელთა და ქართველთა შეტაკების შესახებ, სადაც ქართველები დამარცხებულან (გვ. 46). აღსანიშნავია, რომ ეს ცნობა უფრო ადრე გამოაქვეყნა გ. ჯაფარიძემ,<sup>8</sup> რაც სასურველი იყო ავტორსაც გაეთვალისწინებინა. თუმცა, როგორც დ. კორობეინიკოვი სამართლიანად შენიშნავს, ამ დროს ტრაპიზონი ბიზანტიის იმპერიისგან დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებს და ამდენად, ამ კონფლიქტს საერთო არაფერი აქვს საქართველო-ბიზანტიის დაპირისპირებასთან. კორობეინიკოვის ეს მართლაც საინტერესო შენიშვნა მოტანილი აქვს ზ. ბატიაშვილსაც შესაბამის ადგილას (გვ. 45-46), მაგრამ ამ ფაქტის აღნიშვნისას, დაშვებულია ერთი ტექნიკური სახის შეცდომა: „X საუკუნის 20-იანი წლების“ (გვ. 45) ნაცვლად, უნდა იყოს „XII საუკუნის 20-იანი წლები“.

მეორე თავში ავტორი უშუალოდ ეხება მონოგრაფიის ძირითად საკითხს – ტრაპიზონის იმპერიის დაარსებას, რომელსაც იგი იმპერიის დამაარსებლის ალექსი I დიდი კომნენოსის (1204-1222) გარდაცვალებამდე განიხილავს (გვ. 48-143). დასაწყისში ფართოდ არის გაშლილი მსჯელობა ტრაპიზონის იმპერიის დამაარსებლების – კომნენოსების ეთნიკური წარმომავლობის შესახებ (გვ. 48-70). ვრცლად არის მიმოხილული აღნიშნულ საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურა. ასევე, განხილულია მრავალი საისტორიო წყაროს მონაცემებიც. ავტორი ძირითადად იზიარებს გ. გოზალიშვილის

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 3 (1979), 67-82; ვასილ კოპალიანი, „შირიმნის“ - „შირიმთას“ ბრძოლისა და ადგილმდებარეობის შესახებ, მნათობი, 7 (1992), 176-82.

<sup>8</sup> გოჩა ჯაფარიძე, „რამდენიმე ეპიზოდი დემეტრე I-ის ზეობის ხანიდან“, ძიებანი საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში, პირველად დაიბეჭდა 1992 წელს (თბილისი, 2012), 165.

მოსაზრებას კომნენოსების ქართული წარმომავლობის შესახებ და მოყავს დამატებითი არგუმენტები მის გასამყარებლად. იქვე, ის არ გამოორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ეს გვარი წარმოშობით იყოს არა კასტამონიდან ან პონტოს კომანდან, არამედ ლაზეთიდან ან ხალდიიდან, სადაც დადასტურებულია ისეთი ტოპონიმები, როგორცაა კომანიტი და სხვა. დასავლეთ საქართველოში გვხვდება სოფლები: კომანი, კომანდელი და ა.შ. (გვ. 69-70). თვით ის ფაქტი, რომ კომნენოსები კაპადოკიელები იყვნენ, ეჭვს არ იწვევს, თუმცა მათი ეთნიკური წარმოშობის ისტორია კვლავ სადაო საკითხად რჩება. ამ კუთხით ავტორის ორიგინალური მსჯელობის მიუხედავად, არის რამდენიმე მომენტი, რომელსაც ვერ გავიზიარებთ: არ არის მართებული განცხადება, თითქოს „ანა (ანა კომნენა – ლ. თ.) მთელი თავისი თხზულების მანძილზე არაფრით მიგვანიშნებს ალექსის (იმპერატორი ალექსი I კომნენოსი – ლ. თ.) რაიმე ორგანულ კავშირზე ბერძნულ სამყაროსთან“ (გვ. 66). ანა კომნენა თავის ნაწარმოებში არაერთხელ ადარებს ალექსი I კომნენოსს ალექსანდრე მაკედონელს, რაც ცხადყოფს, რომ XII საუკუნეში ბიზანტიელები არა მარტო იჩემებენ ალექსანდრეს მემკვიდრეობას, არამედ ცდილობენ შეედარონ მის ძღვევამოსილ ფიგურას თავიანთი მიღწევებით.<sup>9</sup> ასევე ვერ დავეთანხმებით იმ მოსაზრებასაც, რომ „ალექსი კომნენოსი არ ეკუთვნოდა ტომით იმ დიდგვაროვანთ (ბერძნებს), რომელთა ხელშიც იყო იმპერიის პოლიტიკური ცხოვრების სადავეები“ (გვ. 68). ალ. კაჟდანმა კარგად უჩვენა, რომ კომნენოსების გვარი ჭეშმარიტად მიეკუთვნებოდა ბიზანტიის იმპერიის მმართველ ელიტას, გაცილებით ადრე ალექსი I კომნენოსის მმართველობამდე.<sup>10</sup> რაც შეეხება ეთნიკურ კუთვნილებას, აქ ალექსის არაბერძნულ ეთნიკურობაზე ხაზგასმა აუცილებლად მოითხოვს გარკვეულ დაკონკრეტებას.

XI-XII საუკუნეებში ბიზანტიელები ასხვავებდნენ სულ მცირე ორი სახის იდენტობას:<sup>11</sup> 1. „გენოს“, რაც ძველ ქართულში შეესაბამება „ნათესავს“. ის სისხლით ნათესავის აღსანიშნავად იხმარებოდა ხოლმე. თუმცა, როდესაც საუბარია ფორმულაზე „ნათესავით რომაელი“ აქ, იშვიათად, მაგრამ ადრე ბიზანტიურ ეპოქაში მმართველი კლასის საერთო წარსულს ესმებოდა ხაზი, რაც გარკვეულწილად პოლიეთნიკურობასაც მოიაზრებდა.<sup>12</sup> 2.

<sup>9</sup> Анна Комнина, *Алексиада*, перевод и комментарий Я. Н. Любарского (Москва, 1965), VII. 5, XV. 7.

<sup>10</sup> А. П. Каждан, *Социальный состав господствующего класса Византии XI-XII вв.* (Москва, 1974), 116.

<sup>11</sup> G. Page, *Being Byzantine: Greek identity before the Ottomans* (Cambridge, 2008), 41-2.

<sup>12</sup> იქვე, 42.



„ეთნოსს“, რაც ძველ ქართულში უდრის „ტომით“, ანუ მოდგმით ამა თუ იმ ხალხის წარმომადგენელს. თანამედროვე ქართულში უმჯობესი იქნება, თუ მას შეეუსაბამებთ ტერმინ „ეთნოსს“, ან სულაც „ერს“. ეთნოსი, როგორც ჯილ პეიჯი განმარტავს, არ მოიაზრებს მხოლოდ სისხლით ნათესავს, არამედ აღნიშნავს „ერთად მცხოვრებ ჯგუფს“, კულტურულ ერთობას, რაშიც ერთ ენაზე მოსაუბრე იგულისხმება.<sup>13</sup> ბუნებრივია, ბიზანტიელის შემთხვევაში, როდესაც ერთ ენაზე მოსაუბრე ადამიანზე ვსაუბრობთ, ვგულისხმობთ ბერძნულ ენას. სხვა მხრივ, ბერძნული ენის გარდა, ეთნიკურად რომაელი ანუ ბიზანტიელი აუცილებლად უნდა ყოფილიყო მართლმადიდებელი ქრისტიანიც.<sup>14</sup> ამდენად, ეთნიკური იდენტობის თვალსაზრისით და რელიგიის კუთხით, რაც კონკრეტული ბიზანტიელისთვის მის კულტურულ კუთვნილებას განსაზღვრავდა, რომაელი/ბიზანტიელი უნდა ყოფილიყო ბერძნულ ენაზე მოსაუბრე მართლმადიდებელი, რომელიც თავს ბერძნულ ენაზე „ჰრომაიოსს“ უწოდებდა, ხოლო თითქმის ყველა უცხოელისთვის ეს „ჰრომაიოსი,“ მისი ლინგვისტური და კულტურული კუთვნილებიდან გამომდინარე, უბრალოდ ბერძენია. ამდენად, როდესაც ვსაუბრობთ XI-XII საუკუნის ბიზანტიელზე, რომელიც საკუთარ თავს „ჰრომაიოსს“ (ბიზანტიელს) უწოდებს, მასში აპრიორი იგულისხმება ლინგვისტური და კულტურული თვალსაზრისით ბერძენი. მაგალითად, იმავე ალექსი კომნენოსის ქალიშვილისთვის, ანა კომნენასთვის იოანე იტალოსი უცხოელია, ვინაიდან იტალოსის ცუდი ბერძნული აქცენტი (ის სიცილიიდან იყო) კონსტანტინოპოლში გაზრდილ ანას უფლებას აძლევდა, იგი უცხოელად ჩაეთვალა.<sup>15</sup> ამრიგად, ალექსის და მისი ოჯახის არაბერძნობაზე საუბრისას, სასურველია განმარტება, თუ რას ნიშნავს ბერძენი XI-XII საუკუნის ბიზანტიელისთვის, ვინაიდან ალექსი ლინგვისტური და კულტურული თვალსაზრისით, სწორედაც რომ ბერძენია, ხოლო მისი თვითიდენტობა – რომაული. აქვე არის კიდევ ერთი ტექნიკური სახის შეცდომა: „მიხეილ VII-მ თავის მემკვიდრედ სინადენოსი დანიშნა“ (გვ. 63), მიხეილ VII-ს ნაცვლად უნდა იყოს ნიკიფორე III.

მომდევნო ნაწილში საუბარია კომნენოსების საქართველოში მოღვაწეობაზე, კერძოდ, ანდრონიკე I კომნენოსის (1120-1185) საქართველოში ყოფნაზე, ანდრონიკეს შთამომავალ ანდრონიკაშვილებზე დამის შვილიშვილებზე ალექსი და დავით კომნენოსებზე, რომლებიც საქართველოში ცხოვრების გამო, ავტორის აზრით, ქართული კულტურის მატარებლები იყვნენ (გვ. 71-76). იქვე, ერთ-ერთ ინტერნეტ საიტზე დაყრდნობით, სარეცენზიო ნაშრომის ავტორი

<sup>13</sup> იქვე, 41-2.

<sup>14</sup> იქვე, 44.

<sup>15</sup> Анна Комнина, *Алексиада*, V. 8-9; Page, *Being Byzantine: Greek identity before the Ottomans*, 48.

წერს, რომ მათ დედას რუსუდანი ერქვა და ის ქართველი უნდა ყოფილიყო (გვ. 74-75). ეს საინტერესო საკითხია და მას, ვფიქრობთ, დამოუკიდებელი შესწავლა სჭირდება. უმჯობესი იქნებოდა ავტორს უფრო ავტორიტეტული გამოცემები დაემონებინა, ვიდრე ვიკიპედია და ამ კუთხით ფართოდ განეცრო მსჯელობა. საგულისხმოა ასევე იმის აღნიშვნა, რომ ანდრონიკე I კომნენოსის მოღვაწეობას არაერთი მეცნიერი შეეხო. ერთ თავის სტატიაში ვ. მინორსკიმ ანდრონიკეს ვიზიტზე საქართველოსა და შარვანში საგანგებოდ შეაჩერა ყურადღება, რაც ავტორს გამოორჩა.<sup>16</sup> ანდრონიკეს მოღვაწეობას სხვა მრავალი ნაშრომიც მიეძღვნა, რომლებიც მნიშვნელოვან ინფორმაციას გვანვდიან მისი პიროვნებისა თუ ცხოვრების დეტალების შესახებ, მათ შორის ისეთი ავტორების, როგორებიც არიან ე. მაკნილი,<sup>17</sup> ო. იურევიჩი,<sup>18</sup> კ. ვარზოსი, ჰ. მაგულიასი<sup>19</sup> და სხვ.

ზ. ბატიაშვილი იძლევა სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვას ტრაპიზონის იმპერიის დაარსების შესახებ. მოტანილია ისეთი ავტორების თვალსაზრისები, როგორებიცაა ი. ფალმაიერი, ჯ. ფინლეი, ა. კუნიკი, უ. მიულერი, თ. უსპენსკი, ა. ვასილევი, მ. კურმანსკისი, ე. ბრაიერი, რ. შუკუროვი, ს. კარპოვი და სხვ. (გვ. 76-80). საინტერესოა თურქი ავტორების ჩამონათვალი, დასახელებულია ქართველი ავტორებიც. ავტორის თანახმად, „ტრაპიზონის იმპერიის დაარსების საკითხი ნაკლებადაა შესწავლილი ქართული ისტორიული მეცნიერების მიერ“ (გვ. 80), რასაც ვერ დავეთანხმებით. ზ. ავალიშვილის, გ. გოზალიშვილის, ჯ. სტეფნაძის, ო. ლორთქიფანიძის, ი. ბერაძის, ვ. კოპალიანის, რ. მეტრეველის, ლ. ურუშაძის, მ. სტეფნაძის, გ. გამრეკელის, ს. მარგიშვილის, მ. გაბაშვილის სტატიები თუ წიგნების ცალკეული მონაკვეთები სანინალმდეგოში გვარწმუნებს.<sup>20</sup> თუმცა, ვრცელი

<sup>16</sup> V. Minorsky, “Khāqānī and Andronicus Comnenus, Bulletin of the School of Oriental and African Studies”, Vol. 11, N3 (1945), 550-78; იგივე სტატია იხ. V. Minorsky, “Iranica: Twenty Articles”, Publications of the University of Tehran, Vol. 775 (1964), 120-50. ამ სტატიის მეორე პარაგრაფი სწორედ ანდრონიკე კომნენოსის საქართველოსა და შარვანში ვიზიტს ეხება.

<sup>17</sup> E. H. McNeal, “The Story of Isaac and Andronicus,” *Speculum*, Vol. 9, N3, (Jul., 1934), 324-9.

<sup>18</sup> O. Jurewicz, *Andronikos I Komnenos* (Amsterdam, 1970).

<sup>19</sup> H. J. Magoulias, “Andronikos I Komnenos: A Greek Tragedy,” *Byzantina Symmeikta*, 21 (2011), 101-36.

<sup>20</sup> ზურაბ ავალიშვილი, *ჯვაროსანთა დროიდან: ოთხი საისტორიო ნარკვევი*, პირველად გამოიცა 1929 წელს (თბილისი, 1989), 52-94; ოთარ ლორთქიფანიძე, „ტრაპიზონის სამეფოს წარმოშობის საკითხისათვის“, *თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული*, VI (1953); გიორგი გოზალიშვილი, „ჯვაროსანთა IV ლაშქრობა და ბიზანტია“, *თსუ შრომები*, 37 (1960); ირაკლი ბერაძე, „საქართველოსთან ჯვაროსნების ურთიერთობის საკითხისათვის“, *თსუ შრომები*, 87 (1960); მისივე, *ტრაპიზონის იმპერიის დაარსების საკითხისათვის* (თბილისი, 1971); შოთა ბადრიძე, *საქართველო და ჯვაროსნები*, (თბილისი, 1973) 30-1; როინ

მონოგრაფია აღნიშნული საკითხის შესახებ არავის გამოუცია. მართალია, არსებობს ი. ბერაძის შედარებით მცირე ფორმატის ნაშრომი „ტრაპიზონის იმპერიის დაარსების საკითხისათვის“, თუმცა მისი ციტირების ინდექსი არ არის მაღალი. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, რომ ზურაბ ბატიაშვილს ის მაინც უნდა გაეთვალისწინებინა.

შემდგომ ავტორი საუბრობს უაღრესად მნიშვნელოვან საკითხზე – ტრაპიზონის იმპერიის დაარსების მიზეზებზე (გვ. 81-95). სრულიად ვიზიარებთ ავტორის შემდეგ დასკვნას: „არსებულ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქართველთა პროგრამა მაქსიმუმ იყო ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე მოკავშირე და მონათესავე კომუნოსთა საგვარეულოს აღდგენა და საერთაშორისო არენაზე საერთო პოზიციით წარდგენა“ (გვ. 84). თუმცა, აქვე აღვნიშნავ რომ ეს მოსაზრება გამოთქმული ჰქონდა ერნსტ-ედუარდ კუნიკს, ვინც ერთ-ერთი პირველი მივიდა ანალოგიურ დასკვნამდე,<sup>21</sup> რისი აღნიშვნაც ზურაბ ბატიაშვილს გამორჩა. კუნიკის აღნიშნული მოსაზრება განავრცეს და განავითარეს სხვა მკვლევრებმაც.<sup>22</sup>

მეტრეველი, *თამარ მეფე: ეპოქის პოლიტიკურ-კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური მიმოხილვა* (თბილისი, 1991), 193-9; ლევან ურუშაძე, „ტრაპიზონის კომუნთა შტო და საქართველოს ბაგრატიონთა სამეფო კარი“, *ცისკარი*, 4 (1991), 144-8; სოსო მარგიშვილი, *მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის შესახებ* (თბილისი, 2006), 108-10, 273-9; მაია სტეფნაძე, „ტრაპიზონის იმპერიის დაარსების მიზეზისათვის“, *ქართული დიპლომატია*, 7 (2000), 155-72; გივი გამრეკელი, „კომუნოსები საქართველოში“, *შოთა მესხია 90 – საიუბილეო კრებული მიძღვნილი შოთა მესხიას დაბადების 90 წლისთავისადმი* (თბილისი, 2006), 145-50; მანანა გაბაშვილი, „ტრაპიზონი ქართული წყაროების მიხედვით“, *თსუ შრომები, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია*, 327 (თბილისი, 1998); მისივე, „ტრაპიზონის საერთაშორისო სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობანი X-XIII საუკუნეებში“, *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო* (თბილისი, 2002); მისივე, „თამარ მეფის საზღვაო პოლიტიკის ისტორიიდან“, *ვალერიან გაბაშვილი 90* (თბილისი, 2003), 163-87; მისივე, „ზღვაოსნობა და გულანშაროს საკითხი „ვეფხისტყაოსანში“, *შოთა მესხია 90 – საიუბილეო კრებული მიძღვნილი შოთა მესხიას დაბადების 90 წლისთავისადმი* (თბილისი, 2006), 412-43; მისივე, „ტრაპიზონის იმპერიის დაარსების წინაპირობები: დავით კურაპალატი“, *თამარ გამსახურდია 70* (თბილისი, 2007), 117-49. მართალია, ზემოხსენებულ ნაშრომთა მეცნიერული ღირებულება განსხვავებულია, მაგრამ ვფიქრობ, რომ ყოველივე ეს ადასტურებს იმ დიდ ინტერესს, რომელსაც ტრაპიზონის იმპერიის დაარსების საკითხი იწვევდა ქართულ ისტორიოგრაფიაში.

<sup>21</sup> A. A. Куник. Основание Трапезундской империи в 1204 г. *Ученые записки Императорской академии наук по I и III отделениям*. 1854. Т. 2, 726-8.

<sup>22</sup> კუკური ლილუაშვილი, „საქართველო და ჯვაროსნები“, *ისტორია, საზოგადოება-მცოდნეობა და გეოგრაფია სკოლაში*, 1, 1983, 53-4; მაია სტეფნაძე, „ტრაპიზონის იმპერიის დაარსების მიზეზისათვის“, 165, 168, 170; სოსო მარგიშვილი, *მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის შესახებ*, 108, 110, 274-5, 277.

ამასთან, ვერ გავიზიარებთ მოსაზრებას რომ ბასილი ეზოსმოდღვართან მოხსენიებული ალექსი ანდრონიკე I კომნენოსის (1183-85) უკანონო შვილი იყო (გვ. 84-85). ჩვენამდე მოღწეულ წყაროს ტექსტში ალექსი კომნენოსი მართლაც ანდრონიკეს შვილად არის დასახელებული, თუმცა რამდენად იყო ის მისი უკანონო შვილი და არა მისი შვილიშვილი, ეს ცალკე მსჯელობის საკითხია. სხვათა შორის ეს მოსაზრება თავის დროს გამოთქვა მაიასტეფნაძემ, რომელმაც ივარაუდა ბიზანტიაში განხორციელებული ორი ლაშქრობა, რაც ზურაბ ავალიშვილის ადრე გამოთქმული მოსაზრების განვითარებაა.<sup>23</sup> აღნიშნული მოსაზრება ეფუძნება მიხეილ პანარეტოსის ცნობას და თამარის მეორე მემატიანეს ინფორმაციას, რომელთაც მ. სტეფნაძე ერთმანეთისგან დამოუკიდებელ ლაშქრობებად მიიჩნევს. მისი აზრით, მეორე წინ უსწრებდა პირველს.<sup>24</sup> „ცხოვრებაჲ მეფეთ-მეფისა თამარისაჲ“ ვკითხულობთ: „და წარუდეს ლაზია, ტრაპიზონი, ლიმონი, სამისონი, სინოპი, კერასუნდი, კიტორა, ამასტრია, არაკლია და ყოველნი ადგილნი ფებლალონისა და პონტოსანი; მისცა (თამარ მეფემ – ლ. თ.) ნათესავსა თჳსსა ალექსის კომნიანოსსა, ანდრონიკეს შვილსა, რომელი იყო მაშინ თჳთ წინაჲმე თამარ მეფისა შემოხუენილი“.<sup>25</sup>

აღნიშნულ ცნობას ისტორიკოსების დიდი ნაწილი უკავშირებს ტრაპიზონის იმპერიის დაარსებაზე არსებულ მიხეილ პანარეტოსის ინფორმაციას<sup>26</sup> და ეჭვიც არ შეჰქონდათ, რომ ეს ცნობები ერთსა და იმავე ფაქტს გადმოცემდა. აღსანიშნავია, რომ არც ერთ წყაროში რაიმე მინიშნება ორი ლაშქრობის შესახებ არ არის. ხოლო ქართულ წყაროში მოხსენიებული „ნათესავსა თჳსსა ალექსის კომნიანოსსა, ანდრონიკეს შვილსა“ შეიძლება ავტორის (შვილის და შვილიშვილის აღრევა), ანდა გადამწერის შეცდომას მივანეროთ. როგორც ცნობილია, თამარის მეორე მემატიანეს ტექსტმა ჩვენამდე გვიანდელი რედაქციით მოაღწია. ამდენად, არ არის გამორიცხული, რომ თავდაპირველ ტექსტში „შვილი შვილსა“ ყოფილიყო დაფიქსირებული „შვილსა“-ს ნაცვლად. ძნელად სავარაუდოა, რომ თამარ მეფეს, რომელსაც ბიზანტიის იმპერიის ტახტზე ანდრონიკეს მემკვიდრეების რესტავრაცია ჰქონდა განზრახული, თავისი მიზნებისათვის ყოფილი იმპერატორის უკანონო

<sup>23</sup> ზურაბ ავალიშვილი, *ჯვაროსანთა დროიდან: ოთხი საისტორიო ნარკვევი*, 57-60; სტეფნაძე, „ტრაპიზონის იმპერიის დაარსების მიზეზისათვის“, 155-72. ამავე საკითხზე ყურადღება გაამახვილა ზურაბ ბატიაშვილმაც (გვ. 97).

<sup>24</sup> იქვე, 160-62.

<sup>25</sup> „ცხოვრებაჲ მეფეთ-მეფისა თამარისა“, *ქართლის ცხოვრება*, რედ. რ. მეტრეველი (თბილისი, 2008), 507.

<sup>26</sup> მიქელ პანარეტოსი, *გეორგია – ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ*, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტ. 7 (თბილისი, 1967), 165-6.

შვილი გამოეყენებინა და არა კანონიერი, პირდაპირი მემკვიდრე ანდრონიკე I-ისა, ალექსი მანუელის ძე კომნენოსი, რომლის მამა, მანუელი, ანდრონიკეს უფროსი ვაჟი და ტახტის მემკვიდრე იყო. ეს უკანასკნელი მამასთან ერთად 1185 წელს მოკლეს კონსტანტინოპოლში მომხდარი ამბოხების დროს. ამდენად, ჩვენთვის ნაკლებად შესაწყნარებელია თვალსაზრისი ორი ლაშქრობის თაობაზე და სრულიად მისაღებია რ. შუკუროვის მოსაზრება ლაშქრობის 1204 წელს დაწყების შესახებ, რომელიც აპრილის ბოლოს ალექსი მანუელის ძის იმპერატორად კურთხევით დამთავრდა.<sup>27</sup> ეს იძულებითი ფაქტი იყო, რადგან ამ დროს ჯვაროსნებმა კონსტანტინოპოლი აიღეს და მნიშვნელოვნად გაართულეს ქალაქის დაკავებისა და კომნენოსების ბიზანტიის დედაქალაქში რესტავრაციის გეგმა.

ტრაპიზონის მმართველი კომნენოსები თავს ბიზანტიის იმპერატორებად მიიჩნევდნენ<sup>28</sup> და არა ცალკე აღებული ტრაპიზონის ან ლაზეთისა, როგორც მათ ბიზანტიის ოფიციალური წრეები მოიხსენიებდნენ (უკანასკნელთან დაკავშირებით იხ. გიორგი პახიმერე, ნიკიფორე გრიგორასი<sup>29</sup> და სხვ.). რაც შეეხება უშუალოდ გალაშქრების მიზეზს, ქართული წყაროს მიხედვით, იგი დაკავშირებულია ალექსი III ანგელოსის (1195-1203) დროს მომხდარი ქართველი ბერების გაძარცვის ფაქტთან,<sup>30</sup> რასაც, როგორც ჩანს, ხშირი ხასიათი ჰქონდა. ქართული გემების ძარცვის შესახებ მითითებას ნიკიტა ხო-

<sup>27</sup> P. M. Шукуров, *Великие Комнены и Восток (1204-1461)* (Санкт-Петербург, 2001), 77-8.

<sup>28</sup> ალსანიშნავია, რომ ტრაპიზონის მმართველები თავიანთი მმართველობის დასაწყისიდან ბიზანტიის იმპერატორებად თვლიან თავს, ხოლო მას შემდეგ, რაც 1282 წელს ბიზანტიის იმპერატორი ანდრონიკე II და ტრაპიზონის იმპერატორი იოანე II შეთანხმდნენ, ბიზანტიის იმპერატორი მხოლოდ კონსტანტინოპოლის მმართველებისთვის ეწოდებინათ, ტრაპიზონის იმპერიის მბრძანებლები იწოდებიან „ყოველი აღმოსავლეთის, იბერიისა და პერატიას (ზღვისიქითი) იმპერატორებად“, რითიც ინარჩუნებენ საიმპერატორო ღირსებას, მაგრამ უარს ამბობენ ბიზანტიის მემკვიდრეობაზე. ტრაპიზონის იმპერატორების ტიტულატურის შესახებ იხ. N. Oikonomides, “The Chancery of Grand Komnenoi: Imperial Tradition and Political Reality”, *Archivon Pόντου*, 35 (1979), 321-32; С. П. Карпов, “У истоков политической идеологии Трапезундской империи (О происхождении титула Μέγας Κομνηνός)”, *Византийский Временник*, 42 (1981), 101-5; მისივე, “От сеньора – до императора. Титулование Великих Комнинов в западноевропейской средневековой традиции”, *Искусство власти*, в честь проф. МГУ Н. А. Хачатурян (Санкт-Петербург, 2007), 88-98.

<sup>29</sup> გიორგი პახიმერე, *გეორგიკა – ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ*, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, 7 (თბილისი, 1967), 67-73; ნიკიფორე გრიგორასი, *გეორგიკა – ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ*, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, 7 (თბილისი, 1967), 124, 134-7.

<sup>30</sup> „ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა თამარისი“, 507.

ნიატესთანაც ვხვდებით.<sup>31</sup> ყველაფერი ეს ართულებდა ისედაც გამწვავებულ პოლიტიკურ ურთიერთობას. ერთგვარი შვება თითქოს ალექსი III-ის დამხობა და ალექსი IV-ის ტახტზე ასვლა უნდა ყოფილიყო. თუმცა ბიზანტიაში მცხოვრები ქართველებისთვის სიტუაცია არ შეიცვალა, რამაც თამარ მეფის სამეფო კარს მიაღებინა გადაწყვეტილება, ბიზანტიის ხელისუფლებაში აღედგინა კომნენოსები.

ამდენად, მ. სტეფნაძის მოსაზრება ორი დამოუკიდებელი ლაშქრობის შესახებ, არადამაჯერებლად მიგვაჩნია, ამავე აზრისაა ჩვენთვის საინტერესო ნიგნის ავტორიც. ორ ლაშქრობას ზურაბ ბატიაშვილიც არარეალურად მიიჩნევს და წერს, რომ მოხდა ერთი ლაშქრობა, რომლის შედეგადაც განხორციელდა ორი დანიშვნა: პირველად ალექსის, ანდრონიკეს უკანონო შვილის, ხოლო მეორედ კი ალექსი მანუელის ძის, რომელიც 1204 წლის აპრილში იმპერატორად აკურთხეს (გვ. 97-98). თუმცა, როგორც ზემოთ მივუთითეთ, ჩვენ განსხვავებული ხედვა გვაქვს და ვიზიარებთ ისტორიოგრაფიის ფართო წრეებში გავრცელებულ იმ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც მოხდა ერთი ლაშქრობა და შესაბამისად ერთი კურთხევა.<sup>32</sup> რაც შეეხება ლაშქრობას, მიზეზი, სავარაუდოდ, კომნენოსების რესტავრაცია იყო, ხოლო საბაბი – თამარის ისტორიკოსთან მოხსენიებული ბერების გაძარცვის ფაქტი.

ყველაფერი ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბუნებრივია, არ ვიზიარებთ სხვა მოსაზრებებს ტრაპიზონის იმპერიის დაარსების თაობაზე, როგორც ამას ზურაბ ბატიაშვილი წერს: „ტრაპიზონის გამოყოფა ბიზანტიის იმპერიისგან ადრევე მზადდებოდა და თვით გამოყოფის ფაქტიც 1204 წლის კონსტანტინოპოლის კატასტროფას წინ უსწრებდა“ (გვ. 91). ამას ავტორი ე.წ. პროგრამა მინიმუმის ფარგლებში ათავსებს, რომელიც რესტავრაციის ჩავარდნის შემთხვევაში სარეზერვო ვარიანტი უნდა ყოფილიყო (გვ. 85). ჩვენი აზრით, არანაირი პროგრამა მინიმუმი არ არსებობდა, ხოლო ტრაპიზონის იმპერიის, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური სუბიექტის, დაარსება სრულიად შემთხვევით მოხდა, ყოველგვარი წინასწარი გათვლების გარეშე. მართალია, ტრაპიზონის იმპერიის დაარსებას გარკვეული პოლიტიკური ბაზისი ჰქონდა შემზადებული გაბრასების დინასტიის მმართველობის სახით და ტრაპიზონის სანახებში მოსახლე ქართველური ხალხის, ლაზებისა თუ

<sup>31</sup> ნიკიტა ხონიატე, *გეორგიკა – ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ*, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, 6 (თბილისი, 1966), 132-3.

<sup>32</sup> ლიტერატურისა და წყაროების დაწვრილებითი ანალიზი იხილეთ ტრაპიზონის იმპერიის ისტორიის შესახებ გამოცემულ ს. კარპოვის სოლოიდურ ნაშრომში: С. П. Карпов, *История Трапезундской империи* (Санкт-Петербург, 2007), 84-111.

ჭანების ეთნიკური ელემენტის არსებობით. მაგრამ სპეციალური გათვლა, დაარსებულიყო ბუფერული სახელმწიფო, როგორც ამას ავტორი წერს პავლე ინგოროყვაზე დაყრდნობით, და რომ მას უნდა შეესრულებინა ბუფერული ქვეყნის როლი საქართველო-რუმის სელჩუკებსა და საქართველო-ბიზანტიას შორის (გვ. 92-93), ჩვენი აზრით შეუწყნარებელია. თვით გაბრასებს, რომლებსაც დიდი კომენტოსების ერთგვარ წინამორბედებად თვლიან, არაფერი ესაქმებოდათ ხალდიის დასავლეთით მდებარე მიწებთან, რომლებიც სინოპის, პაფლაგონიის, ბითინიისა და სხვა სამფლობელოების ჩათვლით დაიკავა ქართულმა ჯარმა ალექსი და დავით კომენტოსების მონაწილეობით. ეს, ბუნებრივია, გამორიცხავს დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის ჩამოყალიბების შესახებ გეგმის არსებობის შესაძლებლობას. იმ მიწებზე, რომლებიც, თამარის მემკვიდრის მიხედვით, ქართულმა ჯარმა დაიკავა, არ არსებობდა პრეცედენტი რაიმე დამოუკიდებელი ქვეყნის არსებობისა, თუ არ ჩავთვლით პონტოს სამეფოს, რომელიც ქრონოლოგიურად ძალიან მოშორებულია 1204 წლის მოვლენებს, ხოლო გაბრასების მფლობელობა არ სცდებოდა ხალდიასა და ლაზეთს.

სარეცენზიო ნაშრომის ავტორი ასევე იზიარებს ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ მოსაზრებას, თითქოს ტრაპიზონის იმპერიაში ორი პოლიტიკური ორიენტაცია, ქართული და ბიზანტიური, ებრძოდა ერთმანეთს (გვ. 94). ტრაპიზონის იმპერიის ისტორიის ამგვარი გააზრება, როგორც ჩვენთვის ცნობილია, არ არის გაზიარებული თანამედროვე ბიზანტინოლოგიაში (იხ. შუკუროვის, კარპოვისა და სხვა მკვლევართა შრომები).

მეორე თავის მომდევნო მონაკვეთში ვრცელი მსჯელობაა გაშლილი 1204 წლის სამხედრო ოპერაციის შესახებ (გვ. 107). აღნიშნულ მონაკვეთში ავტორი საისტორიო წყაროთა მონაცემებისა და სპეციალური ლიტერატურის მითითებით ცდილობს აღადგინოს 1204 წლის სამხედრო კამპანიის ძირითადი კონტურები. საინტერესოა მსჯელობა ორი ამისოსის, ბერძნულის და თურქულის, შესახებ, რამაც შვა თანამედროვე ქალაქი სამსუნი (გვ. 104-106). 1204 წლის სამხედრო კამპანიასთან დაკავშირებით მოყვანილია ასევე გადმოცემები თამარ მეფეზე, რომლებიც დაცულია ლაზეთისა და ხალდიის ადგილობრივ მოსახლეობაში (გვ. 106-107). ავტორი ეხება *Partitio Romaniae*-ს სახელითცნობილხელშეკრულებას, რომელიც ჯვაროსანთალიდერებმა დადეს ერთმანეთთან, ამასთან დაკავშირებით მოტანილია სათანადო ლიტერატურაც (გვ. 100). აქ, ხაზს გაუუსვამ მხოლოდ იმას, რომ აღნიშნული ხელშეკრულება და მასთან მიმართებით ლათინთა და ქართველთა ურთიერთობის საკითხი განხი-

ლული აქვს აღ. თვარაძესაც,<sup>33</sup> რაც მითითებული არ არის ზ. ბატიაშვილის მონოგრაფიაში.

შემდეგ ნაწილში განხილულია ტრაპიზონის იმპერიის საზღვრების მაქსიმალური განვრცობა. ავტორი ასკვნის, რომ თავდაპირველად ტრაპიზონის იმპერიის საზღვრები დაახლოებით 141 ათას კვ. კმ-ს აღწევდა (გვ. 107-110). საზღვარზე საუბრისას ავტორი განიხილავს საქართველო-ტრაპიზონის იმპერიის საზღვარსაც დაწერს, რომ იგი ქემალფაშას (ძველი სახელი მაკრიალი/ნოლელი) დასავლეთით უნდა ყოფილიყო (გვ. 110). აღსანიშნავია, რომ იგივე მოსაზრება გაცილებით ადრე გამოთქმული ჰქონდა ივ. ჯავახიშვილსაც, მასვე იმეორებს დ. მუსხელიშვილის რედაქტორობით შედგენილი საქართველოს ისტორიის ატლასიც.<sup>34</sup> ტრაპიზონის იმპერიის სამხრეთ-დასავლეთი საზღვრის შესახებ სპეციალური სტატია აქვს გამოქვეყნებული დ. ვინფილდსაც, რომელიც ზ. ბატიაშვილს არ გამოუყენებია.<sup>35</sup> ბაიბურთისა და სპერის შესახებ მსჯელობისას (გვ. 109) ავტორს შეეძლო მოეხმო გ. ჯაფარიძის მონოგრაფიაც, რომელშიც, სათანადო წყაროების მოხმობით, კარგად არის ნაჩვენები, რომ ბაიბურთი და სპერი XIII საუკუნის დასაწყისში მუსლიმთა ხელში იყო.<sup>36</sup>

მომდევნო პარაგრაფში აღწერილია ბითინია-პაფლაგონიის მფლობელის დავით კომნენოსის (1181/3-1212) მოღვაწეობა, რომელიც ნაკლებადაა შესწავლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში. აღნიშნული საკითხის შესახებ მსჯელობა ვრცელია და საინტერესო (გვ. 111-126).

მეორე თავის ბოლო ნაწილში ავტორი განიხილავს ტრაპიზონის იმპერატორის ალექსი I კომნენოსის (1204-22) მოღვაწეობას (გვ. 126-143). იგი მოგვითხრობს ალექსის მოღვაწეობის მრავალ მნიშვნელოვან ასპექტზე, რომელთა შორის ავტორი გამოყოფს 1214 წელს ქალაქ სინოპთან განცდილ პოლიტიკურ მარცხს, როდესაც ტრაპიზონის იმპერატორი ალექსი I კომნენოსი ტყვედ ჩაიგდეს რუმის სელჩუკმა თურქებმა. ზ. ბატიაშვილი განიხილავს ამ კატასტროფის შედეგებს, რასაც მოჰყვა დიდი ტერიტორიული დანაკარგები რუმისა და ნიკეის სასარგებლოდ (გვ. 130-135). საერთო ჯამში, ალექსი I დიდი კომნენოსი ავტორს საზრიან პოლიტიკოსად და კარგ მებრძოლად ჰყავს წარმოჩენილი (გვ. 139).

<sup>33</sup> ალექსანდრე თვარაძე, *საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში* (თბილისი, 2004), 126-7.

<sup>34</sup> ივ. ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, ტ. III (თბილისი, 1966), 276-7; *საქართველოს ისტორიის ატლასი*, მთ. რედ. დ. მუსხელიშვილი (თბილისი, 2003), 28, 30, 32-4.

<sup>35</sup> D. Winfield, "A Note on the South-Eastern Borders of the Empire of Trebizond in the Thirteenth Century," *Anatolian Studies*, 12 (1962), 163-72.

<sup>36</sup> გონა ჯაფარიძე, *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში* (თბილისი, 1995), 83.



„დასკვნის მაგიერ“ არის მთელი განხილული მასალის ერთგვარი შეჯამება, რომელშიც მოკლედ არის გადმოცემული ძირითად ტექსტში მიღებული მთავარი დასკვნები (გვ. 144-147). ავტორი წერს და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ტრაპიზონის იმპერია ანატოლიასა და კავკასიას შორის ბუნებრივ ბუფერს წარმოადგენდა და დიდი ხნით აკავებდა საქართველოში ანატოლიიდან მომდინარე საფრთხეებს. ამის გარდა, ბიზანტიასთან შედარებით ტრაპიზონის იმპერიის უფრო ხანგრძლივი არსებობა ავტორის აზრით, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ „მისი ჩამოყალიბება არ ყოფილა შემთხვევითი და იგი არც ბიზანტიის ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენდა“ (გვ. 147). ყოველივე ეს ზ. ბატიაშვილის პოზიციას ალნიშნულის შესახებ ზემოთ მივუთითეთ საკუთარი პოზიცია, რასაც აქ აღარ გავიმეორებთ.

ამგვარად, ჩვენს წინაშეა მონოგრაფიულად შესწავლილი, სათანადო წყაროებისა და ლიტერატურის მოხმობით შედგენილი ვრცელი გამოკვლევა ტრაპიზონის იმპერიის დაარსების შესახებ, რომელიც ზურაბ ბატიაშვილმა (დარუჯანაშვილი) წარმოადგინა სამეცნიერო საზოგადოებისა და ალნიშნული საკითხით დაინტერესებული მკითხველის წინაშე. აღსანიშნავია ისიც, რომ ზ. ბატიაშვილი არის კიდევ ორი მონოგრაფიის ავტორი, რომელიც ანატოლიისა და საქართველოს პრობლემატიკას შეეხება.<sup>37</sup> ამდენად, ავტორი გათვითცნობიერებულია საქართველოსა და ანატოლიის ურთიერთობის საკითხებში. იგი იცნობს სპეციალურ ლიტერატურას, როგორც ქართულ, რუსულ, ინგლისურ და სხვა ევროპულ ენებზე, ასევე თურქულენოვანი ისტორიოგრაფიის მასალებს. მიუხედავად მრავალი წყაროსა და ლიტერატურის განხილვისა, არის რიგი საკითხები, რომელიც განსხვავებულ გააზრებას მოითხოვს. მაგალითისთვის კომენტოსების დინასტიის ეთნიკურობის პრობლემა და ტრაპიზონის იმპერიის დაარსების უშუალო პერიპეტეიებიც საკმარისია, რომელთა სრულყოფილი განხილვა დღევანდელ ეტაპზე საისტორიო წყაროების სიმწირის ფონზე შეუძლებელია.

მიუხედავად სპეციალური ლიტერატურის კარგი ცოდნისა, ავტორი დაუმსახურებლად უგულებელყოფს ქართული ისტორიოგრაფიაში შექმნილ შრომებს, რომლებიც უშუალოდ ეხება ტრაპიზონის იმპერიის დაარსების საკითხს. ვფიქრობ, მონოგრაფიის ავტორს ისინი აუცილებლად უნდა დაემომწმებინა და გაეთვალისწინებინა. იგნორირებულია ჭანეთის შესახებ არსებული ქართული გამოკვლევებიც. იმ მკვლევართა შორის, რომლებიც მივუთითეთ,

<sup>37</sup> ზურაბ ბატიაშვილი, *ქართველები ოსმალური პერიოდის ტრაპიზონში* (თბილისი, 2008); მისივე, *კაპადოკია* (თბილისი, 2010).

განსაკუთრებით გამოვყოფდით ი. სიხარულიძეს,<sup>38</sup> ი. ბერაძესა და მ. გაბაშვილს.<sup>39</sup>

სასურველი იქნებოდა, ავტორს მეტი ყურადღება დაეთმო ტრაპიზონის იმპერიის ისტორიული გეოგრაფიისთვის. ასევე მეტი ყურადღება გაემახვილებინა ეკონომიკური ფაქტორებისთვის. ტრაპიზონის იმპერიის სოციალური ისტორია ზოგადად ძალიან ბუნდოვნად არის შესწავლილი თანამედროვე ბიზანტინოლოგიაში. ზურაბ ბატიაშვილის (დარუჯანაშვილი) „ტრაპიზონის იმპერიის დაარსება“ ვრცლად აღწერს პოლიტიკური და დიპლომატიური ისტორიის საკითხებს, ასევე ყურადღებას ამახვილებს ქალაქ ტრაპიზონისა და მისი მმართველების ეთნიკური შემადგენლობის საკითხებზე. ყველაფერი ეს, ტრაპიზონის იმპერიის ისტორიის კონკრეტული საკითხის სპეციფიკური გააზრებაა, მაგრამ არა კომპლექსური.

ბუნებრივია, დასახელებულ მონოგრაფიაში არის სხვა არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ფართო მსჯელობასა და განსჯას მოითხოვს. მიუხედავად ამისა, ძირითადი ნაწილი პრობლემებისა, რომელიც ტრაპიზონის იმპერიის დაარსებას ეხება, მონოგრაფიაში დასმულია და შემოთავაზებულია მათი გადაჭრის ავტორისეული მოსაზრებებიც. ჩვენ შევეცადეთ საკუთარი აზრი გამოგვეთქვა რიგი საკითხებისა და საერთოდ, ახალი მონოგრაფიის შესახებ, რომლის გაცნობაც საინტერესო იქნება, როგორც ქართველ ბიზანტინოლოგებისათვის, ისე საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის.

ლერი თავაძე

<sup>38</sup> იური სიხარულიძე, *ჭანეთი (ლაზეთი): საისტორიო გეოგრაფიის მასალები, I-II* (ბათუმი, 1977-9).

<sup>39</sup> ამ უკანასკნელს ზ. ბატიაშვილი ასახელებს (გვ. 80), მაგრამ არსად იმონმებს. მანანა გაბაშვილის შრომების ვრცელი ჩამონათვალი, რომელიც უშუალოდ ეხება შუა საუკუნეების ქალაქ ტრაპიზონსა და ტრაპიზონის იმპერიის დაარსების საკითხს, იხილეთ მე-20 სქოლიოში.

## XVIII

### როგორ იმსხვრევა მითები

ნაპოლეონის მამლუქი. რუსტამ რაზას მემუარები. ფრანგულიდან თარგმნეს, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთეს ალექსანდრე მიქაბერიძემ და ნიკა ხოფერიამ.

თბილისი: არტანუჯი, 2012; 153გვ. ISBN 978-9941-421-58-7

1798 წლის ზაფხულში დაიწყო ნაპოლეონ ბონაპარტეს სამხედრო ექსპედიცია ეგვიპტეში, რომელიც მიმართული იყო ეგვიპტის მამლუქთა წინააღმდეგ. პირველი სამხედრო წარმატებების შემდეგ გაჩნდა სიძნელები. ამან აიძულა ნაპოლეონი 1798 წლის სექტემბერში ფრანგების შეთხლებული აღმოსავლეთის არმია შეევსო ახალი დამხმარე შენაერთებით, ეგვიპტეში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებით, მათ შორის – ახალგაზრდა მამლუქებით. 1799 წლის 23 აგვისტოს ნაპოლეონმა აღმოსავლეთის არმია გენერალ კლებერს გადააბარა და დაბრუნდა საფრანგეთში. კლებერის შემცვლელმა გენერალმა მენუმ 1801 წლის 30 აგვისტოს კაპიტულაცია გამოაცხადა ალექსანდრიაში ინგლისელებისა და თურქების სამხედრო ხელისუფალთა წინაშე. მენუმ მიიღო უფლება, საფრანგეთში წაეყვანა არამარტო ფრანგების არმია, არამედ – მისი დამხმარე შენაერთებიც. 1801 წლის 13 ოქტომბერს ამ შენაერთების წევრთაგან ჩამოყალიბდა მამლუქთა სამხედრო ესკადრონი 240 მხედრის შემადგენლობით (მათ შორის იყო რამდენიმე ქართველი), რომელიც 1804 წ. შევიდა იმპერატორის გვარდიის შემადგენლობაში. მამლუქთა ესკადრონის შექმნა მეტყველებდა იმ მაღალ შეფასებაზე, რომელიც ნაპოლეონმა მისცა მამლუქთა სამხედრო ოსტატობას. გარდა ესკადრონის წევრებისა, არაერთმა ფრანგმა გენერალმა და ოფიცერმა შეიძინა და თან წაიყვანა საკუთარი მამლუქები. ერთ-ერთი ასეთი მამლუქი 1799 წ. საჩუქრად მიართვეს ნაპოლეონს და ის გახდა მისი პირადი მცველი და საჭურველთმცვირთველი.

ეს მამლუქი იყო რუსტამი.

ნაპოლეონის მამლუქი რუსტამი (1780-83, თბილისი – 1845, დურდანი, საფრანგეთი) საკმაო პოპულარობით სარგებლობდა სიცოცხლეში და სიკვდილის შემდეგ, საფრანგეთში და მის ფარგლებს გარეთაც. მისი სახელი მოხვდა ფრანგული და რუსული რომანების ფურცლებზე (მაგალითად, ლ. ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“, თ. დოსტოევსკის „იდიოტი“, სტენდალის

„ბნელი საქმე“ და სხვ.). რუსტამის ცხოვრებას მიეძღვნა გ. ფლეიშმანის წიგნი „რუსტამი, ნაპოლეონის მამლუქი“ (1910),<sup>1</sup> მ. დერიბერეს სტატია „რუსტამის მოუსვენარი ახალგაზრდობა, ან როგორ გახდა ქართველი ნაპოლეონის მამლუქი“;<sup>2</sup> ეს მკვლევრები მიუთითებდნენ, რომ რუსტამი ქართული წარმომავლობის იყო. მაგრამ ჟ. სავანი წიგნში „ნაპოლეონის მამლუქები“ უკვე წერდა, რომ „რუსტამს უწოდებდნენ ქართველს იმის გამო, რომ ის დაიბადა თბილისში, რადგან ახლო აღმოსავლეთში მიღებული იყო განესაზღვრათ ადამიანის ეროვნება იმ ქვეყნის მიხედვით, სადაც ის დაიბადა და უგულვებლყოფდნენ მის ეროვნულ კუთვნილებას. სინამდვილეში მის ძარღვებში ჩქეფდა სომხური სისხლი“.<sup>3</sup> რაც მთავარია, ამის შესახებ წერდა თავად რუსტამი, რომლის „მემუარები“ ახლახან ითარგმნა ფრანგულიდან ქართულად ალექსანდრე მიქაბერიძისა და ნიკა ხოფერიას მიერ.<sup>4</sup>

საჭიროა აღინიშნოს, რომ „მემუარები“, რომლებიც ქრონოლოგიურად მოიცავს პერიოდს რუსტამის დაბადებიდან 1814 წლამდე, ფრანგულად პირველად გამოსცა კოტენმა 1888 წ.<sup>5</sup> XX საუკუნის დამდეგამდე ის კიდევ

<sup>1</sup> H. Fleischmann, *Roustam, mamelouk de Napoléon* (Paris, 1910).

<sup>2</sup> M. Deribéré, “La jeunesse mouvementée de Roustam,” *Bédi Kartlisa revue de kartvéologie*, vol. 34 (Paris, 1976), 128-31; M. Deribéré, “Les Géorgiens dans le corps des mameluks de l’Empire,” *Bédi Kartlisa Revue de kartvéologie*, vol. 37 (Paris, 1979), 229-31.

<sup>3</sup> Jean Savant, *Les Mamelouks de Napoleon* (Paris, 1949), 324.

<sup>4</sup> „მემუარების“ ქართულ ენაზე გამომცემლები: ალექსანდრე მიქაბერიძე, ახალგაზრდა ქართველი ისტორიკოსი, ლუიზიანის სახელმწიფო უნივერსიტეტის (აშშ) პროფესორი, საქართველოს ნაპოლეონის საზოგადოების პრეზიდენტი, დიდი ბრიტანეთის სამეფო ისტორიული საზოგადოების, ამერიკის სამხედრო ისტორიული საზოგადოების და ნაპოლეონის საერთაშორისო საზოგადოების წევრი, სპეციალიზდება XVIII-XIX სს ევროპის, განსაკუთრებით ნაპოლეონის ომებისა და შუა აღმოსავლეთის სამხედრო ისტორიის საკითხებზე. მისი ავტორობით და რედაქტორობით გამოიცა მრავალი ნაშრომი. დავასახელებთ მხოლოდ მონოგრაფიებს: *The Russian Officer Corps in the Revolutionary and Napoleonic Wars, 1792-1815* (New York, 2005); *Historical Dictionary of Georgia* (Lanham, MA, 2007); *The Battle of Borodino: Napoleon versus Kutuzov* (London, 2007); *The Battle of the Berezina: Napoleon’s Great Escape* (London, 2010); *The A to Z of Georgia* (Lanham, MA, 2010). გარდა ამისა ა. მიქაბერიძის რედაქტორობით გამოიცა ასევე არაერთი ნაშრომი: *Conflict and Conquest in the Islamic World: Historical Encyclopedia* (Santa Barbara CA, 2011), 2 volumes; *Russian Eyewitness Accounts of the 1812 Campaign* (London, 2012) და სხვ. ნიკა ხოფერია, რომელიც არის საქართველოს ნაპოლეონის საზოგადოებისა და ნაპოლეონის საერთაშორისო საზოგადოების წევრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი ისტორიის განხრით, დაინტერესებულია სამხედრო ისტორიის საკითხებით. მიუხედავად ახალგაზრდა ასაკისა, უკვე გამოაქვეყნა ბიბლიის სამხედრო ენციკლოპედია (თბილისი, 2011).

<sup>5</sup> “Mémoires inédits de Roustam, mamelouk de Napoléon I,” *Revue rétrospective*, T. 8 (1888), 3-37, 49-78, 97-140, 145-68.

ოთხჯერ გამოიცა ფ. მასონის რედაქციით. 1997 წელს რუსტამის მემუარები სომხებმა თარგმნეს როგორც რუსულად,<sup>6</sup> ისე – სომხურად. რაც შეეხება სარეცენზიო წიგნს, მისი თარგმანი ემყარება 1911 წლის ფრანგულ გამოცემას.<sup>7</sup> თარგმანი შესრულებულია კარგი ქართულით. მთარგმნელებმა გაითვალისწინეს „მემუარების“ რუსული თარგმანიც, რომელშიც ა. მიქაბერიძემ, ფრანგული ორიგინალისგან განსხვავებით, გამოავლინა არაერთი უზუსტობა და შეუსაბამობა.

„მემუარების“ ქართული თარგმანის 21-გვერდიან პროფესიულ დონეზე დანერგლ წინასიტყვაობაში ა. მიქაბერიძე ასახელებს ძირითად შრომებს რუსტამის ბიოგრაფიის შესახებ; მოგვითხრობს, თუ როგორ გაყიდეს ის ეგვიპტეში და როგორ აღმოჩნდა 1799 წ. ნაპოლეონის სამსახურში. რუსტამი თან ახლდა ნაპოლეონს თითქმის ყველა სამხედრო კამპანიაში, როგორც მისი პირადი მცველი და მოსამსახურე. მაგრამ რუსტამი არ ნაჰყვია ნაპოლეონს, როცა ის კ. ელბაზე გაასახლეს. ამიტომაც, როცა იმპერატორი საფრანგეთში დაბრუნდა 1815 წ. მარტში, არ დააბრუნა რუსტამი თავის სამსახურში. ა. მიქაბერიძე მოკლედ მოგვითხრობს რუსტამის სიცოცხლის ბოლო 30 წლისა და მისი ოჯახის შესახებ. რუსტამი გარდაიცვალა 1845 წ. 7 დეკემბერს საფრანგეთში, დურდანში, სადაც ის დასახლდა. მკვლევარი განიხილავს რუსტამის ურთიერთგამომრიცხავ დახასიათებებს, მისი მემუარების პუბლიკაციებსა და ეხება საქართველოში გავრცელებულ თვალსაზრისს რუსტამის ქართული წარმომავლობის შესახებაც (გვ. 3-24).



როგორც დასავლეთში, ისე საქართველოშიც, რუსტამი დიდ ინტერესს იწვევდა. მინდა ამ საკითხს უფრო დანვრილებით შევეხო, ვიდრე ა. მიქაბერიძის წინასიტყვაობაშია. ეს იმ ქართველ ავტორთა საყურადღებოდ, რომლებიც ხშირად საკითხის შესწავლას სათანადო დროს არ უთმობენ; ავიწყდებათ, რომ ამა თუ იმ პიროვნების ეროვნების მიჩქმალვა, როგორც ჩვენთვის, ისე ჩვენი მეზობლებისთვისაც გამაღიზიანებელია.

რუსტამს საქართველოში, უმეტეს შემთხვევაში, ქართველად თვლიდნენ. ნაპოლეონის მუდმივი თანმხლების – რუსტამის ქართველობა, რის გარკვეულ

<sup>6</sup> *Моя жизнь рядом с Наполеоном. Воспоминания мамлюка Рустама Раза, армянина*. Перевод с французского Григора Джаникяна, Ирины Карумян (Ереван, 1997). რუსული გამოცემის სათაური არ შეესაბამება ფრანგულს იმ ნაწილში, რომელიც ეხება რუსტამის სომხობას, რაც „მემუარების“ ფრანგულ გამოცემებში არ გვხვდება.

<sup>7</sup> *Souvenirs de Roustam, mamelouk de Napoléon I<sup>er</sup>*, introduction et notes de P. Cottin, préface de F. Masson, Quatrième édition (Paris, 1911). ა. მიქაბერიძე აღნიშნავს, რომ მემუარების უკანასკნელი ფრანგული რედაქცია 2010 წელს გამოვიდა: *Le mamelouk de Napoléon: les memoires de Roustam, le garde du corps de l'Empereur* (Paris, 2010).

საფუძველსაც იძლეოდა XIX-XX სს-ის დამდეგის ფრანგული პუბლიკაციები, მაგნიტივით იზიდავდა ქართველ მწერლებსა და მკვლევრებს.

მიხეილ ჯავახიშვილმა, რომელმაც რუსტამის ბიოგრაფიაც იცოდა და ლარუსის დიდი ენციკლოპედიაც გამოიყენა, „არსენა მარაბდელში“ რუსტამი, წარმოშობით კუმისის ტბის მიდამოებიდან, იდეალიზებული მარაბდელი მემამბოხე არსენას დეიდაშვილად გამოიყვანა. დიდი მწერლის წარმოსახვით, მან წერილიც კი მისწერა უკვე ლონდონში მცხოვრებ რუსტამს, სთხოვდა საქართველოში დაბრუნებულიყო და ერთად ებრძოლათ ბატონებისა და რუსების წინააღმდეგ: „ახლა: ერთი ნაპალავანი ჩვენც გვინდა და ვერ გვიშოვია. მოდი და შენ ინაპალავნეო“.<sup>8</sup>

კონსტანტინე გამსახურდია „დიონისოს ლიმილში“ მოგვითხრობს, თუ როგორ უამბო კონსტანტინე სავარსამიძეს პარიზელმა მოხუცმა ბუკინისტმა შარტრიემ „ქართველი ავანტურისტის რუსტომის შესახებ“. შარლერუას ბრძოლაში მოკლულს, თურმე მას ნაპოლეონმა ძეგლი დაუდგა შემდეგი წარწერით: „აქ ასვენია მონა ღვთისა, რუსტომი. დიდი იმპერატორის ერთგული მეგობარი, ქართველი-საქართველოდან“. უფრო მეტიც, სავარსამიძემ შარლერუას პატარა კათოლიკური ეკლესიის გალავანში მიაგნო კიდეც როსტომის საფლავს და თეთრი ყვავილების გვირგვინით შეამკო მისი სამარე.<sup>9</sup> შარლერუას ბრძოლა კუნძულ ელბადან საფრანგეთში დაბრუნებული ნაპოლეონის ასი დღის ტრაგიკული ფინალის უვერტიურა იყო. 1814 წლის 15 ივლისს, საფრანგეთის საზღვართან, იმ დროს ჰოლანდიის, დღეს კი ბელგიის ქალაქ შარლერუასთან შეტაკებაში, ნაპოლეონმა სძლია პრუსიელებს, გადალახა მდ. სამბრა და დაიძრა ვატერლოოსკენ, სადაც 18 ივლისს დამარცხდა ინგლისელებისა და პრუსიელების არმიასთან ბრძოლაში. ამ დროს რუსტამი არ იმყოფებოდა ნაპოლეონთან, რადგან ელბადან დაბრუნებულმა იმპერატორმა ის აღარ მიიღო.

რუსტამს საგანგებო რომანი მიუძღვნა ირაკლი უგულავამ.<sup>10</sup> ამ წიგნში რუსტამი ასევე ქართველია, ხოლო მამამისი ჰონანი – ანანია გახდა. რუსეთის კამპანიის დროს, ნაპოლეონმა რუსტამი თურმე პეტრე ბაგრატიონს ელჩადაც კი გაუგზავნა.<sup>11</sup>

<sup>8</sup> მ. ჯავახიშვილი, *არსენა მარაბდელი, რჩეული თხზულებანი*, ტომი IV (თბილისი, 1961), 417.

<sup>9</sup> კ. გამსახურდია, *დიონისოს ლიმილი, რჩეული თხზულებანი*, ტომი V (თბილისი, 1961), 630-31.

<sup>10</sup> ი. უგულავა, *დურდანში არის საფლავი* (თბილისი, 1986).

<sup>11</sup> აი როგორ წარმოადგინა მწერალმა ამ ორი პიროვნების საუბრის ფინალი: ბაგრატიონი – „სადაური ხარ, საიდან გაგიტაცეს? რუსტამი: საქართველოდან! ბაგრატიონი წამოდგა, სულ ახლოს მივიდა მამლუქთან, თვალეში ჩააშტერდა. – ქართული იცი? – არა. არც მან (ე.ი. ბაგრატიონმა) იცოდა... რუსტამს უხაროდა, ასეთი მტკიცე ხასიათის, შეუვალი და შეუპოვარი თანამემამულე რომ იხილა“ (გვ. 152-53, 156).

მწერალს აქვს უფლება, თავისი წარმოსახვით შექმნას გმირები და არარსებული ეპიზოდებიც, მაგრამ ცუდია ის, რომ მერე ამ სახით ისინი სხვა ავტორების სამეცნიერო-პოპულარული წერილების ფურცლებზე გადაინაცვლებენ; როცა, მაგალითად, თბილისში დაბადებული სომხური წარმომავლობის რუსტამი მაინც მარაბდელად და ქართველად გამოცხადდება<sup>12</sup> და ინერება ლექსებიც.<sup>13</sup> ქართული ინტერნეტის სივრცეში ქვეყნდება პატრიოტული მასალები რუსტამის შესახებ და მხატვრულ-ისტორიული ნარკვევებიც,<sup>14</sup> ზოგჯერ ერთი რომელიმე საერთო წყაროდან გადმონერილი ტყუილი და მართალი.<sup>15</sup>

ნაწილი ქართველი მკვლევრებისა, რომლებმაც იცოდნენ რუსტამის მემუარები, ქართულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ სტატიებში (მ. ხუხუნი,<sup>16</sup> ი. ტაბალუა<sup>17</sup>) მაინც მიიჩნევდნენ მას ქართველად. ამასთან, გაუგებარი მიზეზებით, მკითხველს აწვდიდნენ რუსტამის ქართულ გვარს, რომელსაც საერთო არ ჰქონდა სინამდვილესთან. მ. ვადბოლსკიმ, ჭადრაკის ისტორიისა და ქართული ჰერალდიკის მკვლევარმა, რომელმაც რუსტამი ქართველად გამოაცხადა, დაასახელა მისი გვარიც – ხონამაშვილი.<sup>18</sup>

ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა გივი ჟორდანიამ რუსტამი რაზმაძის

<sup>12</sup> მ. თარხნიშვილი, „მარაბდელი მამლუქი“, *ახალგაზრდა კომუნისტი*, 20.1, №9 (1962).

<sup>13</sup> მაგალითად, ორი ლექსი („ნაპოლეონ ბონაპარტი“ და „მამლუქის საფლავზე“), ანონიმი ავტორისა (ლევან63), რომელიც ააღელვა ქართველი რუსტამის ცხოვრებამ (ინტერნეტრესურსი: <http://urakparaki.com/?m=4&ID=49260>). პარიზში ნაპოლეონის საფლავთან მდგომი ის წერს: „სიმართლეს გეტყვით, აქ რომ ვიდექი, ამაყი ვიყავ, რომ ვარ ქართველი, რადგან ბონაპარტს პირადი მცველი, ქართველი ჰყავდა, თან ავლაბრელი... ზუსტად ამიტომ მემამყება, იმპერატორის კუბოსთან დგომა, როცა ვფიქრობ, რომ მას გვერდში ედგა ქართველი ბიჭი, თავისი ბედის ამაყი მონა“. დურდანში, რუსტამის საფლავთან კი წერს: „მეც რითი მოგცე ნუგეში? მხოლოდ მაქვს თაფლის სანთელი, და ერის შენის ქართველთა, ნაკვესი დანაბარები: მშვიდად ებარე ფრანგთ მინას, ჩაფლულს ია და ვარდებში, ჩვენ გვესომები მარადჟამს, შეგამკობთ შარავანდებში“. (ინტერნეტრესურსი: <http://urakparaki.com/?m=4&ID=44513>)

<sup>14</sup> გიორგი მახარაძე, „ვინ იყო ნაპოლეონის პირადი მცველი? რუსტამი ანუ თბილისელი მამლუქის ისტორია“, *საქართველოს რესპუბლიკა*, 1. V (2011).

<sup>15</sup> ნონა შელია, „ნაპოლეონის მამლუქი როსტომ რაზმაძე (1780-1845)“, საიტი: ქართულო მინავ დასაფიცარო, სად არ წასულან შენი შვილები (ინტერნეტრესურსი: <http://mdinareebimwerlobashi-nonka.blogspot.com/2012/01/blog-post.html>).

<sup>16</sup> მამია ხუხუნი, „მამლუქი რუსტამი“, *მნათობი*, 3 (1984), 170-3.

<sup>17</sup> ი. ტაბალუა, „რუსტამის მოუსვენარი ახალგაზრდობა, ანუ როგორ გახდა იგი ნაპოლეონის მამლუქი“, *თბილისი*, 12.VI. (1986).

<sup>18</sup> მ. ვადბოლსკი, „რუსტამი მამლუქის თავგადასავალი“, *სოფლის ცხოვრება*, 11, VIII (1967); იგივე სტატია უცვლელად დაბეჭდა გაზეთში *ტყიბული*, 22.VIII (1967). ქართველად არის ის დასახელებული ერთი ანონიმი ავტორის მიერ: „რუსტანი“, *ავანგარდი* (ცხაკაია), 30.VIII (1959).

გვართ შეიტანა „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“.<sup>19</sup> გ. ჟორდანიას, ჩანს, ენდო ქართველ ემიგრანტ-მკვლევარს იტალიაში – შალვა ბერიძეს,<sup>20</sup> რომელიც, თავის მხრივ, იმონებდა იტალიელი ისტორიკოსის გ. გუატერის გამოკვლევას რუსტამის შესახებ.<sup>21</sup>

გუატერის ნიგნი, რომელიც, ჩემი თხოვნით, თავაზიანად მომანოდა ა. მიქაბერიძემ, მნიშვნელოვნად არის დავალებული რუსტამის მემუარებისგან. მასში საერთოდ არ არის ნახსენები გვარი რაზმაძე და ის, შალვა ბერიძის „შემოქმედებაა“.

ცხადია, საქართველოში იყვნენ მკვლევრები, რომლებმაც იცოდნენ რუსტამის ეთნიკური წარმომავლობა. მათ შორის, ალბათ, პირველია გიორგი ბეი-მამიკონიანი, ევროპული ენების შესანიშნავი მცოდნე, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ერაყისა და ეგვიპტის ქართული წარმოშობის მამლუქების ისტორიის კვლევას. 1957 წელს, ალი ბეის შესახებ დაწერილ ნარკვევში, ის წერდა: „ეგვიპტის შეიარაღებული ძალების წმინდა მამლუკური ნაწილის შემადგენლობაში ცოტა როდი იყვნენ არაქართველნი. ცნობილია, მაგალითად, რომ ეგვიპტიდან წამოყვანილი პირადი მამლუკი რუსთაში სომეხი იყო“.<sup>22</sup>

სამწუხაროდ, რუსტამის ცხოვრებით დაინტერესებულ პირთ არ წაუკითხავთ, არც გიორგი ბეი-მამიკონიანის აღნიშნული სტატია და არც მის მიერ მითითებული რუსტამის მემუარები. შეუმჩნეველი დარჩა კონსტანტინე კოტრიკაძის სტატია, რომელმაც საგაზეთო სტატიაში, მრავალრიცხოვანი მასალის საფუძველზე, კვალიფიციურად და ობიექტურად გააშუქა რუსტამის ცხოვრება და ყ. სავანის მიხედვით აღნიშნა მისი სომხური წარმომავლობაც.<sup>23</sup> სარეცენზიო ნაშრომის გამოცემამდე რუსტამის სომხურ წარმომავლობაზე წერდნენ ამ სტრიქონების ავტორი<sup>24</sup> და მერაბ კალანდაძე.<sup>25</sup> მაგრამ ასეთი

<sup>19</sup> გ. ჟორდანიას, „რუსტამი“, *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*, ტ. 8 (თბილისი, 1984), 515 და ეს გვარი – რაზმაძე უკვე მეორედება ვიკიპედიის უცხოურ ვერსიებშიც.

<sup>20</sup> შალვა ბერიძე, „ნაპოლეონის მხლებელი – როსტომი“, *კავკასიონი*, XII (პარიზი, 1967), 96. ინფორმაცია ამის შესახებ იხ. გურამ შარაძე, „შალვა ბერიძე“, *სახალხო განათლება*, 18. I (1989), 9.

<sup>21</sup> Gualtiero Guatteri, *Roustan: il mammalucco di Napoleone; storia, memorie, aneddoti* (Napoli, 1935).

<sup>22</sup> გ. ბეი-მამიკონიანი, „ქართველი მამლუკები ეგვიპტის სუვერენიტეტის აღდგენისათვის ბრძოლაში“, *მნათობი*, 9 (1957), 130.

<sup>23</sup> К. Котрикадзе, „Телохранитель Наполеона – уроженец Тифлиса,“ *Свободная Грузия*, 27.09 (1998).

<sup>24</sup> გ. ჯაფარიძე, „იყვნენ ქართველები ნაპოლეონის არმიაში?“, *ჩვენი მწერლობა*, 8. VIII, (2011), 4-5.

<sup>25</sup> მერაბ კალანდაძე, „რუსტამი – ნაპოლეონის მამლუქი“, *ისტორიანი*, IX (2011), 46-9.



შრომები იშვიათი იყო, ხოლო უკანასკნელ ხანებში ინტერნეტის ქსელში გავრცელებულ მასალებში მის შესახებ კიდევ მრავალი სიურპრიზი იხილა ქართველმა მკითხველმა.

მითები რუსტამის გარშემო მარტო საქართველოში არ იქმნებოდა. მ. ნეიმანი 1899 წ. წერდა, რომ რუსტამი, რომელიც დაიბადა ყარაბაღში, ნაპოლეონის პირველად გადადგომის შემდეგ, მარსელიდან ზღვით გაემგზავრა აღმოსავლეთში. მან მიაღწია თეირანს და იქიდან დაბრუნდა კავკასიაში, მონაწილეობა მიიღო 1826-28 წლების რუსეთ-სპარსეთის ომებში და სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა შუშაში.<sup>26</sup>

უნდა ითქვას, რომ სომხებმა დააგვიანეს რუსტამის პოპულარიზება. მხოლოდ 1983 წ. ვ. პოლოსიანმა სომხეთის აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა მაცნეში დაბეჭდა ნაწყვეტები რუსტამის ბიოგრაფიიდან.<sup>27</sup> მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე სომხურ სამეცნიერო ლიტერატურაში რუსტამის ვინაობა გარკვეულია, ინტერნეტის ზოგიერთ საიტზე მაინც გვხვდება ასეთი რამ: ის არის როსტომ ოგანესის ძე ხაჩატრიანი, დაბადებული თბილისში, შუშელის ოჯახში.<sup>28</sup>

მითები რუსტამის შესახებ შეიქმნა თურქეთში და გადაინაცვლა აზერბაიჯანში. 2001 წ. აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის ფიზულის სახელობის ხელნაწერთა ფონდს საჩუქრად გადაეცა თურქი მკვლევრის ალთან არასლის „თურქული ნაკვალევი ევროპაში“ (Altan Arasli, “Aavrup’ada Türq izleri”). ავტორი ამტკიცებს, რომ რუსტამს თავდაპირველად ეძახდნენ იაჰიას და ის იყო წარმოშობით დაღესტნიდან. ამ ნიგნზე დაყრდნობით აზერბაიჯანელი ი. რუსტამოვი თვლის, რომ ის დაღესტნელი თურქია, კუმიკი ან აზერბაიჯანელი.<sup>29</sup> ამ შემთხვევაში რატომღაც ივინყებენ იმას, რომ ეს იაჰია უეჭველად მუსლიმი

<sup>26</sup> М. Нейман, *Армяне* (СПб, 1899), 160-3.

<sup>27</sup> В. Погосян, “Материалы о телохранителе Наполеона армянине Рустаме,” *Вестник Общественных наук Армянской ССР*, 7 (1983), 77-90.

<sup>28</sup> ინტერნეტრესურსი: <http://forum.hayastan.com/lofiversion/index.php/t25142.html>.

<sup>29</sup> Я. Рустамов, “Верный слуга и телохранитель Наполеона был этническим азербайджанцем,” *ЦентрАзия*, 180 (1661), 29 Сентября (2007). (ინტერნეტრესურსი: <http://www.echo-az.com/archive/2007-11/1686/istoriya01.shtml>). სხვა აზერბაიჯანულ საიტზე წერია: “Рустам Роза, Рустам Рза, Рустам Реза - (Яхья Эйсан Ибрагим Одлу), родился в семье крестьянина Ибрагима Одлу из тюркского племени Караманлы Караманиды, попал в рабство в конце 18 века и вошел в многочисленный отряд тюрко-черкесских мамлюков, захваченных армией Наполеона в 1798 году” (ინტერნეტრესურსი: <http://otvet.mail.ru/question/29830901/>). არასლის წიგნმა და აზერბაიჯანში გამოქვეყნებულმა ამ საიტმა გამოიწვია მკვეთრი რეაქცია სომხეთში. ერთ სომხურ ფორუმზე ის ასე შეაფასეს: “Воистину, нет предела наглости и маниакальному рвению этих закомплексованных писак, задавшихся целью присвоить или опорочить все армянское.” (ინტერნეტრესურსი: <http://artsakhwebcombat.am/forum/showthread.php?t=258>)

უნდა ყოფილიყო, ხოლო მუსლიმს, შარიათით, მონად ვერ გაყიდდი და, შესაბამისად, ის ვერც მამლუქი გახდებოდა.

„მემუარების“ გამოცემები ქართულ (და რუსულ) ენებზე, იმედია, ბოლოს დაუდებენ რუსტამის წარმომავლობის შესახებ უსაფუძვლო საუბრებს.

„მემუარებიდან“ ჩანს, რომ ეგვიპტეში მონად გაყიდვის შემდეგ, რუსტამმა, როგორც ყველა მამლუქმა, ისლამი მიიღო და მას იაჰია (Ijahia) უწოდეს (გვ. 50). ქართულ პუბლიკაციებში (მაგ. ხუხუნი) აღნიშნულია, რომ რუსტამს არ ახსოვდა ბავშვობის სახელი.<sup>30</sup> მაგრამ „მემუარებიდან“ ჩანს, რომ ასე არ არის. ნაპოლეონმა მას სწორედ ის სახელი – რუსტამი დაუბრუნა (გვ. 50), ბავშვობაში რომ ერქვა და ეს სახელი საფრანგეთში ზოგჯერ ჟღერდა, როგორც რუსტანი.

გასარკვევია რუსტამის გვარი. ამ მხრივ რუსტამის მიერ ცუდი კალიგრაფიით, ანდა მისი კარნახით დანერგული „მემუარები“ პირველივე სტრიქონში გაუგებრობას ქმნის. აქ დასახელებული იყო მამის სახელი „R ...Kovan“. შემდეგ პოლ კოტენმა დაასკვნა, რომ სახელი უნდა ნავიკითხოთ, როგორც „რუსტამ ჰონანი“.<sup>31</sup> „მემუარების“ რუსულ თარგმანში ჰონანის ნაცვლად წერია უნანი. გამოდის, რომ რუსტამის მამასაც იგივე სახელი ჰქონდა და ჰონანი მაშინ პაპის სახელი იქნება, საიდანაც შეიძლება ეწარმოებინათ გვარი უნანიანი, თუმცა კი ის არსადაა დაფიქსირებული. მაშ საიდან გაჩნდა რაზა, როგორც რუსტამის გვარი, რომელიც ამოტვიფრულია მისი საფლავის ქვაზე დურდანში? სავანი თვლის, რომ რუსტამის მამას ერქვა რაზა და იწოდებოდა რაზა ჰონანად (რაზა ძე ჰონანისა), ხოლო რუსტამი გახდა რუსტამ რაზა (რუსტამი ძე რაზასი).<sup>32</sup> სავანის მიერ მოტანილ მამლუქთა სიაში 151-ე ნომრად რუსტამი სწორედ ასეა შეტანილი (Fils de Reza Honan).<sup>33</sup> რაზა მამლუქი რუსტამის მამის სახელად მიაჩნია ვ. პოლოსიანსაც.<sup>34</sup> მაგრამ „R ...Kovan“ ფრანგულ, რუსულ და ქართულ გამოცემებში აღდგენილია როგორც „რუსტამ“ და არა „რაზა ჰონანი“.

რაზა (რიზა, რეზა, რიდა, რედა) წმინდა ისლამური სახელია: رَضَا ან رَضَا, გავრცელებული სპარსულ, თურქულ, ეგვიპტურ და სხვა ქვეყნების ისლამურ ანთროპონომიკაში და ნიშნავს „კეთილგანწყობას“, „კმაყოფილებას“. ის გვხვდება დამოუკიდებლად და შედგენილ სახელებშიც. შეიძლება დავასახელო შიიტი იმამიტების მე-8 იმამი, ‘ალი არ-რიდა’ (გარდ. 818 წ. ). 1819-20 წწ.,

<sup>30</sup> ხუხუნი, *მამლუქი რუსტამი*, 172.

<sup>31</sup> აქედან უნდა მოდიოდეს ვადბოლსკისეული რუსტამის არარსებული გვარი ხონამაშვილი.

<sup>32</sup> Savant, *Les Mamelouks de Napoleon*, 325.

<sup>33</sup> იქვე, 453.

<sup>34</sup> В.А. Погосян, *Армяне – сподвижники Наполеона: история и мифы* (Ереван, 2009), 22.

ეგვიპტეში მოგზაურობის დროს, გიორგი ავალიშვილს შეხვდა მუჰამედ ალი ფაშას სამსახურში მყოფი, ავალიშვილების ყოფილი ყმა, მარტყოფელი ანდრეა კნოტისშვილი, გამუსლიმებული მაჰმად ალა მუსტოფეი ქაია რაზა.<sup>35</sup>

ძნელი სათქმელია, რამდენად იყო შესაძლებელი, რომ XVIII ს-ში რაზა დაერქმიათ სომეხი ქრისტიანისთვის. სომხურ ანთროპონომიკაში, რომელიც მოტანილია ინტერნეტის ქსელში, სახელი რაზა (რეზა) საერთოდ არ ჩანს.<sup>36</sup>

მე მაქვს ეჭვი, რომ ეგვიპტეში გამუსლიმების შემდეგ, რუსტამს ეწოდა ორმაგი სახელი: იაჰია რაზა და ამ სახელის მეორე ნაწილი – რაზა საფრანგეთში გაიაზრეს როგორც გვარი. რუსტამისთვის ამას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა. თავის მხრივ, რაზა შალვა ბერიძემ გაიაზრა როგორც „რაზმაძე“ და ის ამჟამად დამკვიდრდა ქართულ გამოცემებში და შევიდა ვიკიპედიას სხვადასხვაენოვან ვერსიებშიც.<sup>37</sup>

რუსტამმა პატარაობისას დატოვა თბილისი. ის მოიტაცეს განჯაში მაშინ, როცა აპერკანიდან (ყარაბახი) ყაზახში მიდიოდა მამასთან. რუსტამი კარგად აცნობიერებდა, ვინ იყო ეროვნებით. განჯაში ერთი უცნობი ახალგაზრდის კითხვაზე, საუბრობდა თუ არა ის სომხურად, მან უპასუხა, რომ სომეხი იყო და ენაც იცოდა (გვ. 31). როდესაც რუსტამი მიჰგვარეს ნაპოლეონს, კითხვაზე, საიდან იყო ის, რუსტამი უეჭველია უპასუხებდა – საქართველოდან, რადგანაც სომხეთი, როგორც პოლიტიკური ერთეული იმ დროს არ არსებობდა. ნაპოლეონმა რუსტამი აღიქვა, როგორც ქართველი. არ ვიცი, ოფიციალურ დონეზე რუსტამი ამჟღავნებდა თუ არა თავის ეროვნებას, მაგრამ უეჭველია, ამით ამაყობდა. აი, რას წერს ის „მემუარებში“ მამლუქებთან დაკავშირებით:

„ბევრი ფიქრობდა, რომ მხოლოდ ქართველებს და მეგრელებს... შეუძლიათ გახდნენ კარგი მამლუქები. არ ვიცი, რა განაპირობებს ამ დამოკიდებულებას, არადა, სომხები სხვა ერებზე ბევრად მამაცები არიან“ (გვ. 38).<sup>38</sup>

ეს უნდა გაითვალისწინონ იმ ქართველმა მკვლევრებმა, რომლებიც რუსტამის ქართველობაზე აკეთებენ აქცენტს.

<sup>35</sup> გიორგი ავალიშვილი, *მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა (თბილისი, 1967), 128, 136 და სხვ.

<sup>36</sup> Armenian Male Names – Armeniapedia.org (ინტერნეტრესურსი: <http://www.armeniapedia.org/index.php?title=Armenian-Male-Names>).

<sup>37</sup> მაგალითად, Рустам Раза. Материал из Википедии – свободной энциклопедии (ინტერნეტრესურსი: <http://ru.wikipedia.org/wiki/Рустам-Раза>); Rustam Raza. Wikipedia, la enciclopedia libre (ინტერნეტრესურსი <http://es.wikipedia.org/wiki/Rustam-Raza>)

<sup>38</sup> ოსმალთა ხანის მამლუქთა ეგვიპტეში ასე არ იყო. საკმარისია აღინიშნოს, რომ XVIII ს-ის II ნახევრის ეგვიპტეში მამლუქთა ოლიგარქიაში (ბეილიქათში) და ქვეყანაში დისლოცირებული 7 სამხედრო კორპუსის ხელმძღვანელობაში (აღები და ქეთხუდები) სომეხი საერთოდ არ გვხვდება.

●  
 რუსტამის „მემუარებში“ მკითხველი ნაიკითხავს მისი ცხოვრების ეპიზოდებს ოჯახში – მონად გაყიდვამდე, ეგვიპტეში, სადაც შეიძინა წარმოშობით ქართველმა სალიპ ბეიმ; იმის თაობაზე, თუ როგორ აჩუქა ის ცნობილმა თეოლოგმა შეიხმა ალ-ბაქრიმ ნაპოლენ ბონაპარტეს, როგორ გახდა მისი პირადი მცველი და როგორ ემსახურებოდა იმპერატორს 1814 წლამდე.

რუსტამის ეგვიპტური ცხოვრების ეპიზოდებიდან განსაკუთრებით საინტერესოდ მიმაჩნია მისი პატრონის ვინაობა. მის სახელს რუსტამი არასწორად ასახელებს – სალა ბეი. ასეთ პიროვნებას მამლუქთა ზედაფენაში ვერ ვნახავთ. „მემუარების“ ქართულად გამოცემის შემდეგ ნათელი ხდება, რომ იგულისხმება სალიპ ბეი, რომელიც 1797 წ. გახდა მუსლიმ პილიგრიმთა ქარავანის ხელმძღვანელი, ამირ ალ-ჰაჯჯი, რაც აღნიშნულია კიდევ ა. მიქაბერიძის მიერ კომენტარში (გვ. 37).<sup>39</sup>

სალიპ ბეის შესახებ დაწვრილებით მოგვითხრობს მამლუქთა ეგვიპტის ისტორიკოსი აბდ არ-რაჰმან ალ-ჯაბართი. სალიპი იყო მუჰამედ ბეი აბუ ზ-ზაჰაბის (1882-1775) მამლუქი, ეკავა ჩავუშთა კორპუსის ქათხუდას პოსტი და სანჯაყ ბეიდ ალავლინეს ჰიჯრის 1212/1797-98 წ. იმავე წელს დაინიშნა ამირ ალ-ჰაჯჯად და ხელმძღვანელობდა პილიგრიმთა ქარავანს მექაში (პილიგრიმოზა დაინყო 1798 წ. 17 მაისიდან). ის ახლოს იყო იბრაჰიმ ბეისა (შინჯიკაშვილის) და მურად ბეის დუუმვირატთან, განსაკუთრებით – უკანასკნელთან, რომელმაც მას აუშენა სახლი გიზაში, თავისი სახლის მახლობლად. ალ-ჯაბართი წერს, რომ სალიპ ბეი სარგებლობდა შესანიშნავი რეპუტაციით, მასზე არავინ ჩიოდა და არავისთვის მოჰქონდა ზიანი. იყო მჭევრმეტყველი და განათლებული, მოსაუბრეებს ყოველთვის ეგონათ არაბი, უყვარდა მუსიკა, სიმებიანი ინსტრუმენტები, თავადაც უკრავდა და საერთოდ, უყვარდა გართობა.<sup>40</sup>

სალიპ ბეი, რომელიც ქართველი იყო, დაწვრილებით ესაუბრა რუსტამს ქართულად. ქართული კი რუსტამმა, რომელმაც პატარაობისას დატოვა საქართველო ოჯახთან ერთად, ცუდად იცოდა. სალიპ ბეიმ ჰკითხა, თბილისიდან ხომ არ ხარო და საუბარში გაირკვა, რომ ის კარგად იცნობდა მამამისს, ვინაიდან ხშირად მოგზაურობდა სომხეთში. უფრო სავარაუდოა,

<sup>39</sup> სარეცენზიო წიგნის საძიებელში (გვ. 147), რომელიც რედაქციის მიერ არის მომზადებული, შეცდომით წერია ამირ ალ-ჯაბარი.

<sup>40</sup> ‘Абд ар-Рахман ал-Джабарти, *Египет в период экспедиции Бонапарта (1798-1801)*, Перевод, предисловие и примечания И.М. Фильштинского, Том III, часть I (Москва, 1962), 196-8, 500, пр. 330.

საქართველოში. მაგრამ რისთვის და რა მიზნით, უცნობია. არ არის გამო-  
რიცხული, რომ რუსტამმა, რომელსაც ქართული დავიწყებული ჰქონდა და  
არაბული ჯერ კიდევ არ იცოდა, კარგად ვერ გაიგო სალიჰ ბეის ნაამბობი. ალ-  
ჯაბართის ცნობით, სალიჰ ბეი 1790-92 წლებში რამდენჯერმე იმყოფებოდა  
სტამბოლში იბრაჰიმ ბეის (შინჯიკაშვილის) და მურად ბეის დავალებით, 1787  
წ. ჰასან კაპუდან ფაშას მიერ მძევლებად წაყვანილი მამლუქი (მათ შორის  
ქართველი) ბეიების თაობაზე.<sup>41</sup> არ არის გამორიცხული, რომ მაშინ ისარგებლა  
შემთხვევით და ჩავიდა საქართველოში.

რუსტამი ორი თვის მანძილზე სწავლობდა ცხენოსნობას და შემდეგ  
ჩაირიცხა სალიჰ ბეის მამლუქთა რაზმში. ორი წლის შემდეგ კი ის სალიჰ ბეის  
წაჰყვა მექაში საპილიგრიმოდ. პილიგრიმობიდან დაბრუნებულმა სალიჰ  
ბეიმ აკაბაში შეიტყო ამბავი ფრანგების შემოჭრისა. ფრანგებმა მას მისცეს  
შეუვალობა და შესთავაზეს მცირე რაზმთან ერთად კაიროში დაბრუნებულიყო.  
მაგრამ იბრაჰიმ ბეიმ სალიჰ ბეის მოსთხოვა ბილბეისში გამგზავრებულიყო და  
სალიჰ ბეიც ასე მოიქცა.

ალ-ჯაბართიმ იცის, რომ სალიჰ ბეი მოკვდა სადღაც სირიაში.<sup>42</sup> რუსტამი  
გვანვდის უნიკალურ ცნობას, რომ სალიჰ ბეის თავი შეუფარებია აქქას  
გამგებელთან ჯაზარ ფაშასთან, რომელმაც ის მოწამლა (გვ. 41). თუმცა, რა  
მიზეზით, რუსტამი არ წერს. რამდენიმე ხნის შემდეგ სალიჰ ბეის ცხედარი  
ცოლმა სირიიდან გადმოასვენებინა და დაკრძალა ალ-მუჯავირინის  
სასაფლაოზე.<sup>43</sup>

ამრიგად, რუსტამის ცნობის საფუძველზე, სალიჰ ბეის სახით, ნაპოლეონის  
ეგვიპტეში შემოჭრის წინ, მამლუქთა ბეილიქათის შემადგენლობაში შეიძლება  
კიდევ ერთი ქართველი დავადასტუროთ.<sup>44</sup> სამწუხაროდ, სხვა რაიმე ფასეული  
ცნობა ეგვიპტის მამლუქთა ოლიგარქიის შესახებ „მემუარებში“ მე ვერ ვნახე.

აქქადან კაიროში დაბრუნებული რუსტამი ჩადგა შეიხ ალ-ბაქრის  
სამსახურში და სწორედ ამ უკანასკნელმა აჩუქა ის ნაპოლეონ ბონაპარტეს.

●

„მემუარებში“, უპირატესად, რუსტამის ყოველდღიური ცხოვრებაა ასახული.  
ის წერდა იმის შესახებ, რასაც ხედავდა და მისთვის დიდი პოლიტიკის ნიუანსები

<sup>41</sup> ‘Абд ар-Рахман ал-Джабарти, *Египет в канун экспедиции Бонапарта 1776-1798*), Перевод, предисловие и примечания Х.И. Кильберг (Москва, 1978), 299, 352-3, 355.

<sup>42</sup> Абд ар-Рахман ал-Джабарти, *Египет в период экспедиции Бонапарта*, 18.

<sup>43</sup> იქვე.

<sup>44</sup> XVII-XVIII სს-ის ეგვიპტის მამლუქთა ოლიგარქიაში ქართველების შესახებ იხ. Daniel Crecelius, Gotcha Japaridze, “Georgians in the Military Establishment in Egypt in the Seventeenth and Eighteenth Centuries,” *Annales Islamologiques*, 42 (2008), 313-37.

უცნობი რჩებოდა. რუსტამის სუბიექტურობა, რაც საერთოდ დამახასიათებელია მემუარული ჟანრის ავტორებისთვის, აღნიშნული აქვს სავანს.

„მემუარებში“ კარგად ჩანს, როგორ იცავდა რუსტამი თავის ინტერესებს, იქნებოდა ეს ეგვიპტეში, თუ – საფრანგეთში, მუქარით (მაგალითად შეიხ ალ-ბაქრის მიმართ), დაშინებით, დაბეზღებით, ან ერთგულების უზომო გამოხატვით – ნაპოლეონთან ურთიერთობაში. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, ის პრაგმატული იყო და კ. ელბაზე იმპერატორის გასახლების დროს მას არ ნაჰყვა. ამ ფაქტს უარყოფითად აფასებდნენ თანამედროვენი და ასევე უაღრესად მკაცრი შეფასება მისცა სომეხმა მკვლევარმა ვ. პოლოსიანმა.<sup>45</sup>

ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ 1810 წ., როცა ნაპოლეონის დეკრეტით გაუქმდა იტალიის სამეფოს ყველა მონასტერი, რუსტამის შუამდგომლობით გამონაკლისი გაკეთდა მხოლოდ მხითარისტა კონგრეგაციის მონასტრისათვის,<sup>46</sup> ხოლო როცა 1812 წ. ფრანგებმა დაიკავეს მოსკოვი, სწორედ მისი წყალობით გადარჩა გადანვას სომხური უბანი ამ ქალაქში.<sup>47</sup> ამ ფაქტების შესახებ მემუარებში ვერაფერს ვნახავთ. რუსტამი, რომელიც შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, ნარმოეჩინა თავისი შესაძლებლობები და დამსახურებები, ამ შემთხვევებში დუმს, რაც, ბუნებრივია, ზემოთქმულის მიმართ ეჭვს ბადებს.

ნერენ, რომ რუსტამი დაჯილდოებული იყო საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ორდენით. რუსტამი ამის შესახებაც დუმს. მართალია, ასეთი ცნობა არის 1825 წ. გამოქვეყნებულ ერთ ფრანგულ ბიოგრაფიულ ცნობარში,<sup>48</sup> მაგრამ სხვა გამოკვლევებში (სავანი, დერიბერი, პოლოსიანი) ის ვერ დავადასტურე.<sup>49</sup> ა. მიქაბერიძემ პირად მიმონერაში მაცნობა, რომ მან შეამონმა საპატიო ლეგიონის ორდენით დაჯილდოებული პირების ადრეული სიები, მაგრამ იქ რუსტამი ვერ აღმოაჩინა.

მცირე ხნით რუსტამი ირიცხებოდა ნაპოლეონის გვარდიაში, რომელშიც შედიოდა მამლუქთა ესკადრონი. მაგრამ ის არ იხსენიებს თავის თანამემამულე სომეხ, ანდა ქართველ მამლუქებს, მაშინ როცა ასეთი ცნობები, თუნდაც საარაკოდ მამაც თბილისელ მამლუქ შაჰინზე,<sup>50</sup> რომელიც მართლაც გახდა

<sup>45</sup> Погосян, „Материалы о телохранителе Наполеона армянине Рустаме,“ 53-5.

<sup>46</sup> იქვე, 45.

<sup>47</sup> იქვე.

<sup>48</sup> *Biographie nouvelle des contemporains*, t. XVIII (Paris, 1825), 263.

<sup>49</sup> ასახელებენ დებრეს ნახატს, რომელზეც ასახულია საპატიო ლეგიონის ორდენის დაჯილდოების ფაქტი. სურათზე ჩანს რუსტამი, მაგრამ ძნელი სათქმელია, უკეთია თუ არა მას ორდენი.

<sup>50</sup> ჯაფარიძე, „იყვნენ ქართველები ნაპოლეონის არმიაში?“; უფრო ვრცლად იხ. ალექსანდრე მიქაბერიძე, „ამბავი ერთი მამლუქისა: ჟან შაჰინის მოღვაწეობა (ინტერნეტრესურსი: <http://www.facebook.com/notes/alexander-mikaberidze/ambavi-erti-mamluqisa/10150470316995849%20=EF=BB=BF>).

საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი, უაღრესად ფასეული იქნებოდა.

რუსტამის თვალსაწიერი შეზღუდული იყო. არ დაგვაზინყდეს, რომ ის დიდი პიროვნების მხოლოდ პირადი მცველი და მსახური იყო, ითავსებდა მისი საჭურველთმცირთველის ფუნქციებსაც, ეხმარებოდა იმპერატორს ჩაცმად-დაბანაში, ძვირფას სამოსში გამონყობილი, განუყრელი ჩალმით, ის მუდმივად და ყველგან თან ახლდა მას, ვერცხლის მათარით შეასმევდა ხოლმე კონიაკს, ღამ-ღამობით ეძინა ხოლმე მოსაცდელში იმპერატორის საძინებელ ოთახთან და თუ არსებობდა შეთქმულების საშიშროება, ამ ოთახის კარის წინ წვებოდა. დიდი პოლიტიკა მის მიღმა რჩებოდა. მაგრამ ნაპოლეონის გარემოცვაში ყოფნით, რუსტამს უფრო გაუმართლა ცხოვრებაში, ვიდრე ნაპოლეონის სხვა მამლუქებს. მათ შესახებ ხომ არ დაწერილა წიგნები! იმიტაც გაუმართლა, რომ, სხვებისგან განსხვავებით, არაერთხელაა გამოსახული მხატვრულ ტილოებზე (ანნა-ლუი ჟიროდე, კლოდ გოტერო, დებრე და სხვ.) ნაპოლეონთან ერთად. რაც მნიშვნელოვანია, მან შეძლო ის, რაც სხვა მამლუქებმა ვერ გააკეთეს. დაგვიტოვა „მემუარები“ – ნაშრომი, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის იმის შესახებ, თუ როგორი იყო ერთი მამლუქის ყოფა და ცხოვრება ეგვიპტეში და შემდეგ – საფრანგეთში.

დასასრულ, ქართულ ენაზე რუსტამის „მემუარების“ გამოცემით კარგი საქმე გაკეთდა. რაც მთავარია, ალექსანდრე მიქაბერიძისა და ნიკა ხოფერიას პუბლიკაცია, იმედია, საბოლოოდ მოუღებს ბოლოს საქართველოში უსაფუძვლო თვალსაზრისებს რუსტამის წარმომავლობაზე. ქართველთა რიგებიდან არაერთი დიდი მამლუქი გამოვიდა, რომლებიც, საქართველოს ფარგლებს გარეთ, ხმლით იცავდნენ ერაყის, ეგვიპტის თუ თუნისის სუვერენიტეტს და არც სამშობლოს ივინყებდნენ. ქართველი მკვლევრების ვალი, სწორედ მათი ისტორიის შესწავლაა.

*გოჩა ჯაფარიძე*



მხედარი

ტირაჟი 200 ცალი

გამომცემლობა „მხედარი“  
mkhedari@mkhedari.ge